



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი



United Nations
Educational, Scientific and
Cultural Organization

გაერთიანებული
ერების განათლების,
მეცნიერებისა და
კულტურის ორგანიზაცია



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
მხარდაჭერით

აკაკი ნერეთელი

აკაკი ნერეთელი

ტომი VII

თხზულებათა სრული კრებული
ოც ტომად

მხატვრული პროზა
1875-1912

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
თბილისი 2015

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
თბილისი 2015

აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის
სარედაქტო კოლეგია

ირმა რატიანი	მთავარი რედაქტორი
ზაზა აბზიანიძე	
მაკა ელბაქიძე	
ნანა ფრუიძე	
როსტომ ჩხეიძე	
ზურაბ ჭუმბურიძე	
თამაზ ჯოლოგუა	
ჯულიეტა გაბოძე	პასუხისმგებელი მდივანი

ტომის რედაქტორი: **როსტომ ჩხეიძე**

ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს:
ნანა ფრუიძემ და ნათელა ჩიტაურმა

ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები და
საძიებლები დაურთო **ნანა ფრუიძემ**

ტომი გამოსაცემად მომზადდა
რუსთაველის ფონდის ხელშეწყობით

ISBN 978-9941-0-2789-5 (ყველა ტომის)
ISBN 978-9941-16-439-2 (მეშვიდე ტომის)

უაკ(UDC) 821.353.1-3
ნ-395

© შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ავტობიოგრაფიული პროზა

შესავალი

„ჩემი თავგადასავლის“ ცალკე წიგნებად გამოცემა განვიზრახე და რადგანაც საკუთარი საფასურით არ მეტერხებოდა, ხელმოწერა გამოვაცხადე. მეგონა, თუ ქალალდის ფასი მაინც მოგროვდებოდა, მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაში ოცდათვრამეტი (38) მანეთის მეტი არ შემოსულა. ეს რომ დაწუნების ნიშანი იყოს, მეც უკუვაგ-დებდი ამ ნაწერებს, მაგრამ კარგად ვიცნობ ჩვენს ხალხს: ჩვენში ყიდვას ერიდებიან, თვარა საზოგადოთ ნაბეჭდ წიგნების წაკითხვის მსურველი ბევრია. ეს უსიამო მოვლენა საზოგადო ჩვეულებად არის დღეს ჩვენში გადაქცეული და „ჩვეულება ხომ, ნათქვამია, რჯულზე-დაც უმტკიცესიაო“.

ეს ერთი ხანია, ქართველობას საყოველგვაროდ ცარვა-დაქვეითების ხანა დაუდგა და, რალა თქმა უნდა, რომ მწერლობასაც პატივი აეყარა ჩვენში, თვარა ძველად სულ სხვა იყო: ჩვენი წინაპრები, მიუხედვად სიძნელისა და სიძვირისა, ოღონდ კი ქართული ხელნაწერები შეეძინათ როგორმე და უკანასკნელ ღონესაც არ დაზოგავდენ. მზითვის სიაშიც კი პირველი ადგილი წიგნებს ეჭირათ: „ვეფხისტყაოსანს“, „ვახტანგის კანონს“, „ამირან დარეჯანიანს“, „რუსუდანიანს“ და სხვათა. ერთის სიტყვით, ყოველგვარ მცირეოდნად მაინც შესამჩნევ ხელნაწერს, როგორც საეროს, ისე – სასულიეროსაც.

დღეს კი, როცა სტამბები გამრავლდენ და ნაბეჭდ იმავ წიგნების შეძენას ერთი ფეხის გადადგმის მეტი აღარა ეჭირვება რა და სასყიდელიც იაფია, ყველა გაურბის. ურისის ხელში უფრო ადვილად შევდება კაცი მირონს, ვიდრე ძველ ოჯახებში ქართულ წიგნს.

როგორც ყოველთვის, ისე ამ ჩვენ დროშიაც ყოველგვარ წივთს, ყოველ საგანს და ყოველიფერს თვის-თვისი შესაფერი ფასი ადევს, კარგს მეტი და მდარეს – ნაკლები, გარდა მწერლობისა. ერთ ლიტრა ვერცხლში და ერთ ლიტრავე რკინაში ერთსა და იმავე ფასს, თუ არ გიჟი, ვერავინ შეაძლევს. ერთ ადლ ხავერდსა და ერთ ადლსავე შალს ერთ ფასად არავინ გაჰყიდის, აქაო და ორივე ერთი ზომის და წონის არიანო.

წიგნი კი სულ სხვა არის. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ პატარა წიგნაკად გამოცემული და „ოჩოპენტრეს ოცობოდია“ – დიდ წიგნად

ჩემი თავგადასავალი

არა თუ ერთ ფასში, მეტ-ნაკლებადაც იყიდება; მეორესა აქვს უპირატესობა, როგორც დიდსა და სქლად გაბერილს. და ეს არც არავის ეხიმშება, რადგანაც სტამბიდან გამოსული წიგნის მარტო ქალადლი და ბეჭვდა ფასობს და არა გრძნობა-გონების ძალა. სამწუხარო ის არის, რომ ამ უსამართლობასა და „გონების“ გამრყვნელ უგნურებას თვით მწერლობაც ხელს უწყობს.

ხშირად შეხვდებით რომელიმე უურნალ-გაზეთში საბიბლიოგრაფიო განყოფილებაში ამგვარ განცხადებას: „რედაქციას მოუვიდა ჩვენი სასიქადულო 6. ბარათაშვილის ლექსთა კრება ლამაზად და კოხტად გამოცემული. ფასი სამი შაური აწერია. ცოტა არ იყოს, ძვირია. აგრევე დაიბეჭდა და გამოვიდა მასხარაშვილის პოემები ავტორის სურათით. წიგნი ვაებართელაა. ფასი სამი აბაზი აწერია. არ არის ძვირი“. და ამგვარად თავის თავისს დასამცირებელ რეკლამებს თვითონვე მწიგნობრები ავრცელებენ და მკითხველებიც შეცდომაში შეჰვათ.

აქ უნდა დაგონილება ერთი შემთხვევა: „თამარ-ცბიერი“ რომ დაიბეჭდა ცალკე და ზედ ათი შაური ეწერა ფასი, ერთმა რედაქტორმა, რომელიც იმავე დროს ნაფიცი ვექილიც იყო, იუცხოვა; აღელვდა და ჭექა-ქუხილით გამოილაშერა ავტორ-გამომცემელზე და ანგარი უნდა, თუმცა კი იცოდა, რომ იმ წიგნის გამომცემელი გამოცემის ხარჯს ვერაფერ შემთხვევაში ვერ აინაზღაურებდა და თვითონ კი, ის სიმართლის მიმდევარი ვაჟბატონი – ჩვეულებისამებრ საზოგადოთ ადვოკატებისა, სამსჯავროში ისე ფეხს არ შეადგამდა, სანამ კლიენტებს, მიუხედავდ მათის გაჭირვებისა, ოთხში არ ამოილებდა – თვითონაც მართალი ეგონა თავი და არც არავინ დამზრახველი ჰყავდა.

– სად არის სამართალი? – ვამბობდი გუნებაში. – ადვოკატი, ფრაქში გამოკონტავებული, რამდენიმე წამით წარსდგება მსაჯულების წინაშე, კანონებიდან ამოკრეფილ სხვის სიტყვას წაილიკლიკებს და ამგვარი შრომისთვის ათასობით იჩხრიალებს ჯიბეში და რომელიმე წიგნის ავტორი კი, რომელსაც მისი თბზულებისთვის წელიწადები მოუნდომებია, ვინ იცის, რამდენჯერ თავზედაც დათენებია, თვით ნაწერებში სული და გული ჩაუდევს, თუ ჩალის ფასად არ გამოსცემს თავისს შრომას, ანგარებას ეწამებიან და კიუინას სცემენ!

განა მარტო ადვოკატები. ყოველი მოხელე მეტად აფასებს თავის შრომას და კიდევაც გაუდისთ. ასე გასინჯეთ, უბრალო გადამწერი

ჩემი თავგადასავალი

შავის თეთრად უფრო მეტს იღებს შრომის ფასს, ვიდრე მწერალი სტრიქონობით.

და აი, სწორედ ამის ბრალია, რომ ყველა გაურბის ჩვენში საზოგადო საქმეს, თუ იმავე დროს საპირადოთაც ხელსაყრელი არ არის და მიტომაც არსად სჩანან ჩვენში ნამდვილი მოღვაწეები და მართლა მწერლები.

სხვაგან მცოდნე პირები და ნიჭიერი პირები საზოგადო მოღვაწეობით და მწერლობით თუ მდიდარი არა, უზრუნველყოფილი მაინც არიან. და ჩვენში კი პირიქით, მდიდარი უნდა იყოს კაცი, რომ გაბედოს საზოგადო მოღვაწედ გამოსვლა.

ამაების სათქმელად გამომინვია მე გუშინდელმა საუბარმა „ჩემი თავგადასავლის“ გამომცემლთან.

– პირველი ტომი თქვენი „თავგადასავლის“ პატარა გამოდის და ვაი, თუ იუცხოვონ მყიდველებმა: მანეთად ძვირიაო! დავუკლოთ ფასიო, – მირჩია გამომცემელმა.

– საერთოდ გამოცხადებული იყო თვითეულ ტომს თითო მანეთი, არც მეტი, არც ნაკლები. ზოგი ტომი პატარა გამოვა და ზოგიც დიდი. პატარას რომ დავუკლოთ, მერე დიდს ხომ ვეღარ მოვუმატებთ? – ვუჰასუხე მე.

– ეგ მართალია, მაგრამ მყიდველი რას დაგიდევსთ? სხვა ქვეყნებშიაც მოგებას ძალიან ცოტას სჯერდებიან და ფასსაც იაფს სდებენ.

– სხვაგან? ჰო! მაგრამ იქ ასიათასობით იყიდება და ჩვენში კი ასობითაც გასაჭირია. იქ წიგნზე რომ ერთი გროში მოიგონ, მაინც შორს წავა და ჩვენში კი გამოცემას არ ჰეთავს.

– ეგ ხომ აგრეა, მაგრამ რა გაეწყობა..

– მაშ, სულ ნუ დავადებთ ფასს! მუქთად წაიღოს, ვისაც ჰსურს და თვითონ დააფასოს.

– ეგ კიდევ უარესი! რომ წაიკითხავენ, მერე კაპეიკის გამეტებაც დაეზარებათ.

– მაშ რა გიყო, რა ვქნათ? არა, ძმაო, მე ისევ ჩემ ნება-სურვილზე დავდგები! როგორც ყოფილა, ისევ ისე დარჩეს. . . ვისაც ეძვირება, ნუ იყიდის, კალთას არავინ დააგლევს, ვისაც მართლა არ შეუძლია ყიდვა, მაგრამ სურვილი კი აქვს, იმას შეგვიძლია მუქთადაც დავუთმოთ.

ჩემი თავგადასავალი

პირველი ნაწილი

1

ყოველი არსი, სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი, ერთსა და იმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება: დაიბადება – იზრდება, დაბერდება – კვდება!.. წყალი რა არის?.. წყალი... უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესასა და რიგს: დაიბადება თუ არა, ე. ი. თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილ მთის კალთაზე, მაშინვე იწყებს უონვას ნელ-ნელა, ახალ ფეხადგმულ ბავშვივით, დაუყვება დალმართს, თანდათან იზრდება, ფეხს იკიდებს, სანამ წკრიალით არ ჩაცუნცულდება რომელსამე ხევში, სადაც როგორც აღვირუსებმელი, სისხლჭარბი, თავმომწონე და შეუპოვარი, სანავარდოთ გამოსული ჭაბუკი, აღარავის ეკრძალვის... აღარაფერს ერიდება: მირბის და მიხტის ღრიალ-გრალით!.. უძრავ ქვებს თავზე ევლება და კლდოვან კიდეებს თავგამეტებით აქტი-იქით ესლება, რომ გაგლიჯოს და გაიტანოს მისი მონინაალმდეგე!.. მაგრამ, ვერშემძლები ამისი, ზარითა და ზემით ჭალებისკენ მიექანება. აქ კი გაგულდიდებული, ღრმა კალაპოტში ჩამჯდარი და გულსავსე, ვაშკაცურ მედიდურობით, მშვიდობიანად ტალღებს ტალღებით მიაგორებს!.. მიდის, მიშხუის, ზღვისაკენ თავ-მიცემული, შორის გზით მიმავალი, და რაც უფრო და უფრო უახლოვდება აუცილებელ სავანეს, თანდათან იჩენს აუჩქარებლობას, როგორც მოხუცი, და ბოლოს კიდეც შეჩერდება ერთი შეჩერება... ტბორავს, თითქოს უნდა, რომ უკანასკნელად ერთი კიდევ მოიხედოს უკანვე, თვალი გადავლოს თავის წარსულს, ფერადად გავლილ შორეულ გზას, და მერე-კი საუკუნოდ ჩაინთქას... ჩაიღუპოს ზღვის უფსკრულში!..

მიყვარს საზოგადოთ ბავშვი, უგულითადესათ პატივსა ვცემ მოხუცებულობას, ლირსეულად ვაფასებ ვაშკაცობას, მაგრამ გული კი ჭაბუკობისაკენ მიმინევს და ყველაზე უფრო იმას შეფრქვევით ვეტრინიალები!..

ალბათ ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ წყლებშიაც ყოველგვარ მდინარეს გიუმაჟი ხევის წყალი მირჩევნია და მათში კი უპირატესობას ერთს მათგანს, ჩიხურას, ვაძლევ: ის იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე.

სწორედ ამ ჩიხურის პირად, მაღლობზე, სდგას ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე – ციხის, მაგრამ არც ერთს მათგანს

ჩემი თავგადასავალი

კი არა ჰეგავს!.. აი, ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში კი 1841-თი მიწერია. ნათქვამია: ადამის შვილი, გაჩნდება თუ არა ქვეყნად, მისი ბედის ვარსკვლავიც მამინვე ცაზე იჭედება, წინასწარი ზედნარწერით! თუ ეს მართალია, ეჭვი არ არის, რომ ჩემს ვარსკვლავზედაც შემდეგი შაირი წერებულა:

ერთი რამ ცხოველი არის,
ხმას აწვდენს შორით შორსაო,
თავისთვის ჩოჩორს აკეთებს,
სხვისთვის – კი კაი ჯორსაო.

იმთავითვე, დავბადებულვარ თუ არა, ვაჟის შეძენით გახარებულს მამაჩემს დიდი ხნის გარისხული და სასახლიდან გაგდებული შინაყმა შეურიგებია და მე კი ბებიას მაშინვე გავულახავარ. აი, როგორ მოჰყვებოდა ხოლმე ამ ამბავს გაზირებულ „მამაო ჩენინ“-სავით ცხონებული გადია ჩემი: „ვენაცვალე ჩემს კაკოს! (ბავშვობისას კაკოს მეძახდენ) ამის დაბადებაც სულ სხვანაირი იყოო: დაიბადა ერთი რაღაც დათვისძელა, ბაბისქულა და ისე გაეკმიდა სული, რომ კრინტს არა სძრავდა! ეს თურმე იმას ჰიფიქრობდა: საიდან სად მოვედიო? და ბებიას კი გულშემოყრილი ეგონა და ჩქმეტა დაუწყო!.. ერთი-ორი კიდეც შემოუცაცუნა ხელი და ძლივს ხმა ამოაღებინაო! ვის უნახავს ამის ტირილი? სულ იცინოდაო“.

ამას სხვებიც ამბობენ. დიალ, სულ თურმე ვიცინოდი და ამ სიცილს ერთი კარგი უსიამოვნებაც მოუხდენია: ერთხელ ჩამოსულა ჩვენსა მეზობლების გამდელი და, მომცინარი რომ უნახავარ, უთქვამს: „ვუიმე!.. ჩემი გაზიდილი ნუ მომიკვდება, ეს ბავშვი ისე იცინის, რომ სწორედ სულელი გამოვაო!.. ჩემ გამდელს სწყენია ეს და უპასუხნია: „როგორ თუ სულელიო?!. ანგელოზია თუ ანგელოზებს შესცინის... იმათ ეთამაშებაო!.. სულელები ზოგი თქვენსკენ მოიკითხეო“ და სხვანი!.. ნალაპარაკებულან და სცემიან ერთმანეთს. ჩვენს გამდელს ჩვენი მოსამსახურები მოხმარებიან, მეზობლისას – მათი; ბოლოს ქალბატონებიც ჩარეულან (რასაკვირველია, მხოლოდ სიტყვითა და მუქარით და არა საქმით). ამ ამბავს მიუწევია ვაჟბატონებამდისაც და ჩამოვარდნილა ორ ოჯახს შეა დიდი უსიამოვნობა. აღარ, თურმე, ეკარებოდენ ერთმანეთს და აღარც ხმასა სცემდენ!.. მხოლოდ თევდორობის კვირაში, ზიარების წინედ, ოქროპირ მღვდ-

ლის რჩევით შერიგებულან და მაშინაც კიდევ მამა ჩემს სოფელში კაცი გაუგზავნია და შაუთვლია ძიძისათვის: „აქ გამომგვარე ჩემი ხითხითა ბიჭუნა, რომ მეზობლებმა ნახონ და მტრებს თვალები დავუყენოვო!“ გამოვუყვანივართ, მაგრამ წარმოიდგინეთ ყველას გაკვირვება, რომ „ხითხითა ბიჭს“, ჩვეულების წინააღმდეგ, ერთი ლიმილიც არ მომსვლია, ისე თურმე ვყოფილვარ გაპრუებულსავით.

აქ ცხადია, რომ სოფელში ნამყოფ ათი თვის ბავშს სასახლეში ყოლიფერი მეუცხოვებოდა და გაშტერებული ვიქენებოდი, მაგრამ ასე არ გაუგიათ და არ აუსწიათ ჩვენებს!.. იმათ უფიქრნიათ: სწორედ შურისა და სიხარბის საქმეა, თვალი ჰერეს, გაღალესო და ისევ საჩქაროდ დაუბრუნებივართ სოფელში. ძიძასაც გზაზე ერთ ვიღაც მკითხავთან გაუვლია, გამოულოცვინებია... შეუბამთ ჩემთვის ყელზე ლინჭილა, მწარე ბალი და მიუყვანივართ სოფელში – შინ. იქ რასაკვირველია, მომბრუნებია გული და ისევ დამინყია სიცილი. ჩემი ძიძა დარწმუნებულა, რომ სწორედ გასჭრა შელოცვამ, გამობრუნდა ყმანვილი, ახლა აღარა უჭირს რაო და მახარობელიც უფრენია სახლისაკენ.

„ძიძაობა“ და ყმანვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში: მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდენ და აზრდევინებდენ თავის შეილებს, ერისთავები და დიდებულები – აზნაურებს და აზნაურები კი გლეხებს; უფრო ხშირად თავადებიც გლეხებს აზრდევინებდენ. ნუ გვონიათ, რომ მაშინდელი მშობლები უგულო ყოფილიყონ და შეილები დღევანდელ დედებზე ნაკლებ ჰყვარებოდეთ!.. აქ სულ სხვა მიზეზები და საფუძველი იყო: ეს გაზდილ-გამზდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წილებას. გარდა ნათელმირონობისა, თითქმის სისხლხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზდელ-გაზდილობა. არა თუ ძიძის შეილები და მათი ახლო მონათესავენი, მათი შორეული მოყვრებიც კი მზად იყვნებ ყოველ შემთხვევაში თავი დაედგათ გაზდილის გულისათვის და გაზდილიც მარად ექიმიაგებოდა ამ ხალხს, და მისი ბრალია, რომ ამ უკანასკნელ საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ წოდებას შუა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. რა თქმა უნდა, რომ ამ გონივრულ ჩვეულების მიზეზი იყო ჩემი სოფელში გაბარებაც. და კურთხეულიმც იყოს ეს ჩვეულება!.. არ შემიძლია, არ გამოვტყდე, რომ თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი.

საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა სცხოვრებდა და მე ვიზრდებოდი, როგორც სათვალდათვალოდ, ისე ჰერის სიკეთითაც ის საუცხოვო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ „სავანე“, ე. ი. მოსასვენებელი ადგილი. საჩხერეზე შორს არ არის; ჩვენი სახლიდან ნახევარი საათის სასიარულო თუ იქნება. აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც. თვალწინ მიდგია ისლით გადახურული ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრ-უსარკმლო, მხოლოდ ორი საკვამლურით, ანუ საფაფურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ სინათლე შემოდიოდა. შუა კერაზე, მხარ-თეძოზე წამონოლილი, დევივით, იდვა დიდი უზარმაზარი ჯირკვი და გაუსხლეტლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა. გლეხის ოჯახი დილიდგან საღამომდე სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ და ამიტომაც ბავშვების გრძნობა-გონება სუყველოვის გართულია. კაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოდ ყანებში, თუ ტყებში, სადილი და სამხარიც იქ მიუდისთ და დალამებამდე ძვირად ბრუნდებიან სახლში. ქალები კი საოჯახო საქმეზე ტრიალებენ. მათ ხელშია საქონლის მოვლა, ფრინველების პატრონობა, სახლის დაგვა-დასუფთავება, სადილ-ვახშმის მზადება და მრავალი სხვა საწვრილმანი რამები. ბავშვი რომ თვალ-ყურს ადევნებს იმათ მუშაობას, თვითონაც ძალაუნებურად მონაწილე ხდება და სწავლობს. ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურის გდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცვა, გამოცხობა, სხვადასხვაგვარ შეჭამადის მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვანი, ასე რომ, ჩემი შესაფერი ხელსაწყო რომ მქონდა, ყველაფერს მოვახერხებდი. არ ვიცოდი მხოლოდ წინდა-პაიჭის ქსოვა და კერვა და ისიც იმიტომ, რომ ამბობდენ: „ქალის ხელსაქნარი კაცისთვის დიდი ცოდვა არისო“, და მეც მეჯერა. მჯეროდა, მაგრამ ჩუმად მაინც გავტეხე ცოდვა და ვისწავლე მატყლის ჩეჩვა და ბამბის პენტვა. აი, როგორ მოხდა ეს: ჩემი ძიძის შვილი, რომელიც ჩემთან ძუძუ-შენაწოვარი და ჩემი კბილა იყო, არასოდეს არ მშორდებოდა, სულ ჩემთან იყო. ერთხელ ავდრიანი დღე იყო და ქალებმა რომ ყანაში მუშებს სამხარი ნაულეს, ჩვენ შინ დაგვტოვეს, თან აღარ წაგვიყვანეს. გვეწყინა, მაგრამ რაღას ვიზრდით? დავრჩით მარტო, – მოგვენყინა. ჯერ დანასობია ვითამაშეთ, მერე კენჭობია, მაგრამ მაინც ვერ გავერ-

თეთ, რადგანაც ამგვარი სათამაშოები მოწყენილი და მოპეზრებული გვქონდა. ძიძის შვილმა მითხრა: „მოდი, ერთი, ბაბუას წვერები დავუჩერითო!“ ჩამოილო საჩეჩელი, მოიტანა მატყლი და დაუწყო ჩეჩვა, თანაც ასე იძახოდა: „ასე დაეჩეჩიოს ბაბუას წვერებიონ“. ეს ძალიან მომენონა და მეც მივბაძე. დიდხანს ვერ ვახერხებდი ჩეჩვას; ოჯაველ-სამჯელ საჩეჩელის ჩხირები მეჩხვლითა, მაგრამ მაინც თავი არ დამინებებია. ვინ იყო ის ბაბუა, ან რას ვერჩოდით? ეს წარმოდგენილი არცერთს არ გვქონდა, მაგრამ ძალიან აღტაცებაში მოვყავდით ამ ბაბუას წვერების ჩეჩვას, ასე რომ თითქმის დავიქანცეთ... ბოლოს ისევ ძიძიშვილმა სთქვა: „კმარა ამდენი ჩეჩვა, ახლა გავცენტოთ და ქარს გაგატანოთ ბაბუას წვერებიონ“. ჩამოილო ლარი, მოიტანა ბამბა და დაუწყო პენტვა. თან პენტავდა და თანაც ლარის ბაგაბუგის ხმაზე ბუქნას უვლიდა. მეც, რასაკვირველია, გავიმეორე მისი ნამოძლვრალი და ისე შეგვიყვარდა ეს „ბაბუას წვერის“ თამაში, რომ შემდეგში, როგორც კი გავიგულებდით სადმე ქალებს, სულ ამას ვთამაშობდით და ისე კარგადაც-კი შევისწავლეთ საჩეჩლის და ლარის ხელი, რომ ქალებიც ველარა გვჯობნიდენ. ძალიან ვფრთხილობდით, რაც კი შეგვეძლო, მაგრამ ერთხელ მოგვასწრეს ქალებმა და ჩემმა ძიძამაც ჩამოიკანრა ლოყები: „ვუიმე! რა გიქნიათ ეგ, შვილებო? ეგ ხომ დიდი ცოდვა არის?.. ქალების ხელსაქნარი რა თქვენი საქმეაო?.. და მერე ბატონებმაც თუ გაიგეს სასახლეში რას იტყვიანო?“ იმ დღი-დან გვიმალავდენ ლარსაც და საჩეჩელსაც, მაგრამ გვიანდა იყო. ყმაწვილის გრძნობა-გონება მოუსვენარია, ყოველ წუთს მოძრაობა-შია, მაგრამ ფეხმოუკიდებელი კი არის, დიდხანს ერთსა და იმავე საგანს ვერ შერჩება. ერთგვარობა და ერთფერობა მალე ჰეზზრდება და საგნიდან საგანზე გადადის: ამიტომ ოთახში ყოფნა ეზარება, რადგანაც, რაც კი ოთახში რამ არის, ყველაფერი ნაცნობია მისი, თვალი შეჩვეული აქვს და ვეღარ ართობს მის გრძნობა-გონებას. ის გარბის მინდვრად ცა და მინას შუა, სადაც სანახაობა მრავალ-ფერი და უთვალავია მისთვის. შინ დარჩენა ჩემთვისაც, რასაკვირველია, დასჯა იყო. მიყვარდა ხოლმე ყანებში სიარული, სადაც მუშები იმღეროდენ, მაგრამ დიდხნობით ვერც იქ ვრჩებოდი, რადგანაც მე თითქმის ყურადღებას არავინ მაქცევდა, თავის საქმეზე იდგენ. ვინ არ იცის, რომ ყმაწვილი ბუქნებათანაზიარია, ყოველთვის ჰსურს, რომ თვისი გულის პასუხი სხვებსაც გადასცეს, შეატყობინოს ხოლმე, და ეს მხოლოდ შეუძლია თვის ტოლ-ამზანაგებთან. ხშირად, როდესაც ყმაწვილი ვეღარა ჰედავს ტოლ-ამხანაგს, უსულო საგნებს ესაუ-

ბრება ხოლმე... ქვას, ხეს, ყვავილს, ბალას და სხვა პირუტყვებთან ხომ რაღა! ისე სიამოვნებით მუსაიფობს ხოლმე, რომ მეტი აღარ შეიძლება!.. მხოლოდ დიდებთან ვერ ახერხებდნენ ყმაწვილები სიტყვა-პასუხს და გულს არ უხსნიან მათ!.. და ეს კი თვით უფროსების მედი-დურობისა და აუყოლელობის ბრალია. ცხადია, რომ მეც ამიტომ ვერ ვრჩებოდი დიდხანს ყანაში მუშებთან. მაგიერად სამწყესურში წასვლა, მინდვრად და ტყეში, და იქ დარჩენა ჩემთვის სამოთხეში შესვლა იყო. გათენდებოდა თუ არა, უქუდო, ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსებისაკენ და დალამებამდე იქა ვრჩებოდი. ყმაწვილი, რომელიც კი სოფელში არ გაზდილა, ბუქნებაზე სრულიად მოსხლეტილია. ის არის მოკლებული უპირველესს ბედნიერებას. ქალაქში გაზრდილ ბავშვს, გენიოსიც რომ იყოს, მისი მასწავლებელი სიტყვით და ნახატებით ისე ვერ გააცნობს ბუქნებას, როგორც სოფლელი იცნობს თავის საკუთარი ნახულობით. სოფლელს თვალწინ უდგას ყოველთვის ბუქნება, მისის სხვადასხვაფერობით, გაცნობილი ჰყავს ყოველგვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვემდრომი, მწერი, მცენარე და იცის მათი ზნე და ჩვეულება; ყველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშლება, იფურჩქნება, აჲყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება, – ყველა მათგანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა და ამიტომაც ეთვისიანება მათ. რომელ მხატვრობას შეუძლია გადასცეს ბავშვს ის, რასაც სოფელში მყოფი თავის თვალით ჰედავს? ავილოთ, თუ გინდა, სულ უკანასკნელი: აი, მოდის, მოღრუჩუნებს დედა ღორი და მას ცერიალით უკან მოსდევენ პატარ-პატარა ჭყივილა გოჭები. ძუძუს ეხვეწებიან... დედა მიდის ჩრდილში სადმე და წამოგორდება მხართეძოზე: მისცვივდებიან შვილები და მიეძაბრებიან ძუძუებს; სიამოვნების ნიშნად აქიცინებენ ბატარა გადაპრეხილ კუდებს და დედაც თვალდახუჭული დაჰხარის. დაღრუჩუნებს მათ... აგერ, კრავები კუნტრუშობენ, თიქნები დახტიან... გოჭები ჭიდაობენ, კვიცები კოტრიალებენ და სხვანი – სულ მრავალფერობა და სხვადასხვა სანახაობა... უყურებს ბავშვი და თვითონაც გულშექილი, ხტის და თამაშობს!.. ამაებს ყველას მოკლებულია ქალაქელი. „გიმნასტიკა“ – მეტყვით!.. მაგრამ გიმნასტიკა მხოლოდ ტანჯვაა ბავშვის და სხეულის ჯორჯვა. სხვადასხვა ნაწევრებს ადამიანის გვამისას განა ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს? მე ეგება მარტო ფეხი მინდა ვაგარჯიშო და იმ დროს ხელი შევასვენო. ყველაფერს თავისი დრო აქვს და ამ დროს თვითონ ბუქნება უფრო უტყურად უჩვენებს. „გიმნასტიკის“ დროს კი, წინააღმდეგ ჩემის მოთხოვნილებისა, უნდა

მხოლოდ სხვის ბძანებით ვიმორია. მაგალითად, მე, როცა სირბილი მინდა, ის გამაჩერებს ერთ ადგილზე, მომცემს ხელში მძიმე რკინებს და, გინდა თუ არა, ხელები ავარჯიშეო... ხელოვნებას შეუძლია, რომ დაიმორჩილოს, ე. ი. დაამახინჯოს ბუნება, მაგრამ, რომ შესცვალოს და თავისი სურვილით ვითომ გააუკეთესოს, არა მჯერა. აბა, წარმოიდგინეთ ერთი მხრით თავისუფალი, შეელივით მონაგარდე, სოფლელი ბავშვი და მეორე მხრით „დაჩანჩჩურებული“ ქალაქელი ყმანვილი!.. ფეხსაცმელი უჭერს და მაზოლები სტანჯავს... გამოსუდრულა ტანთსაცმელში, საძრაობა აღარა აქვს, ეუბნებიან: ჭკვიანად იყავი, რაც ჩვენ გირჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენცო!.. იმ საბრალოს ერთი გაკოტრიალება ქვეყანას ურჩევნია, მაგრამ განა გაბედავს, რომ ტანისამოსი დასვაროს?.. იზრდება ბძანებით მომავალი ჭლექი და მუმია.

ქართველების ოდენი სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთს ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭუა-გონებასა და სხეულს წვრთნის, ავარჯიშებს. ყველას არ ჩამოგითვლით აქ, რადგანაც შემდეგ კიდევ მექნება მათზე მსჯელობა განსაკუთრებით და დავასახელებ მხოლოდ „ბურთაობას“. აბა, რომელი „გიმნასტიკა“ შეედრება მას! ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყოლიფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს. ქართულ სათამაშოებს ბავშვები თავის ხელით აკეთებენ, მაგალითად, ტაფა-რიკს თვითონ გამოსჭრიან ხოლმე, შვილდკოდალს – იკეთებენ, ბურთს თავის ხელით ამზადებენ და ეს შრომა კიდევ უფრო აყვარებს პატარა პატრონს თავის საკუთრებას! ნაყიდი სათამაშოები, და მუქთად ნაშოვნი ტიკინები ქალაქებში მუქთახორობას აჩვევენ ყმანვილებს და უფრო უფუჭებენ ხასიათს. ეს მე ჩემ თავზე გამომიცდია! სხვისი გაკეთებული და ნაყიდი სათამაშოები არაფრად არ მიმაჩნდა და ჩემსას კი ვუფროთხილდებოდი ხოლმე. პატარებს უყვართ დიდების მიბაძვა და მეც რომ ხუსულა სახლებსა და ბეღელ-სასიმინდე-წისქილებს ავაშენებდი ხოლმე, – ჩემს სიამოვნებას საზღვარი აღარ ჰქონდა. თავი მომქონდა, რომ მე თვითონ ვაკეთებდი. აბა წარმოიდგინეთ სოფლელი ბავშვი, რომელსაც თავის ხელით გაკეთებული ბურთი ხელში უჭირავს და თავისუფლად გაპკრავ-გამოპკრავს ხოლმე ხტუნვითა და სირბილით, და შეუდარეთ ქალაქელს! იმ საცოდავს უჭირავს ხელში ძაფზე გამობმული ბუშტის ბურთი და შიშით ვეღარ ინძრევა, არ გამიფრინდესო... რომ სიტყვა აღარ გავაგრძელო, მოკლედ ვიტყვი, რომ სოფელში გაზრდილ და

ქალაქში მყოფ ბავშვებს შუა ისეთი განსხვავებაა, როგორიც ნამდვილსა და მის აჩრდილს შუა. ეს უბედურება ბედმა თავიდან ამაცდინა მე და ექვსი-შვიდი წლის ნამდვილი ბუნების შვილი ვიყავი: ტან-მრთელი, მალხაზი, კეთილი, ყველას მოსიყვარულე და თავისუფალი, როგორც სამოთხის შვილი. დიალ, სანამდი სოფელში ვიზრდებოდი, სრულიად ბედნიერიც ვიყავი, თუმცა ხანდახან, კვირაში ერთხელ თუ ორჯელ, ჩემს ბედნიერებას შეაფერხებდენ ხოლმე სასახლიდან ჩემ სანახავად გამოსულები.

„დღეს ბატონები გამობრძანდებიანო!“ – იტყოდა ხოლმე ჩემი ძიძა: გამწმენდდა, გამბანდა, მომრთავდა, თითქოს სადღესასწაულოდ, და აღარ გამიშვებდა გარედ. მართლაც იმ დღეს გამოვიდოდნენ ჩემ სანახავად დედ-მამა დიდის ამბითა და ამალით, ისე, როგორც კი შეშვენდა ბატონუმობის დროს, და მთელი სოფელი ცეკვერად გადაიქცეოდა ხოლმე. იმათი გამოსვლა ჩემთვის მხოლოდ სასეირო და სათამაშო იყო. ვიცოდი, რომ ისინი, ბატონები იყვენ და მე მათი შვილი ვიყავი. როგორც ისინი, ისე მათი მხლებლები მონინებითა და ალერსით მეპყრობოდენ: მკუცნიდენ, ხელში ამიყვანდენ ხოლმე, საჩუქრებს მაძლევდნ და მანებივრებდენ, მაგრამ მაინც მე მათი მობრძანება ბევრად არაფრად მეპიტნავებოდა, რადგანაც გული ტყე-მინდვრისა და სამწყესურისაკენ მქონდა. კიდევ ჩემი ბედი, რომ ისინი დიდხანს არ იცდიდნენ სოფელში და მეც, გავიგულებდი ხოლმე თუ არა მათ ცოტა მოშორებით, ისევ გავრბოდი სამწყესურში. იქ სოფლის ბიჭები, ჩემი ამხანაგები, გამომკითხავდენ ხოლმე: „რა მოგიტანეს, რა გითხრეს ბატონებმა, როგორ იყვნენ?“ და სხვა. ამის გამოკითხვის შემდეგ, ჩევენც მაშინვე „ბატონობიას“ თამაშს დავიწყებდით ხოლმე: ზოგი ქალბატონს წარმოადგენდა, ზოგი ვითომ ვაჟბატონი იყო, ზოგიც მხლებლები!.. გადავჯდებოდით ჯოხის ცხენებზე და ჩვენს მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა. ზემოდაც მოვიხსენიე, რომ ქართველებს ურიცხვი და უთვალავი სათამაშოები გვაქვა-მეთქი. ერთი მათგანი სამუდამოდ ჩამრჩა გრძობა-გონებაში, თუმც ის თამაშობა თავისთავად სახალისო არ არის. ეს გახლავთ „ქორობია“. ერთი უფროსთაგანი კრუხობას იკისრებდა, სხვები წინილები ვიყავით, გავაკეთებდით წრეს, ჩავაბამდით ფერხულს და ვტრიალებდით. ქორი მოდიოდა წინილების მოსატაცებლად, კრუხი იგერებდა, სანამ ძალ-ღონე ჰქონდა. ბოლოს ქორი ხან ერთი კუთხიდან მოვარდებოდა, გაგლეჯდა წრეს და გაიტაცებდა წინილს; მაშინ წინილები გაიფანტებოდენ, მიმალებოდენ

აქეთ-იქით და გამწარებული კრუხი კი, შვილებს რომ აქეთ-იქით მიმალულსა და მინიზნულს დაინახავდა, თვითონ გამოუდგებოდა ქორს, დააგდებინებდა და დაიპრუნებდა ხოლმე გატაცებულ წინილას. მაშინ ხელახლად იწყებდა ქოთქოთს, შეიკრებდა წინილებს და გააბამდა წრეს. მართალია, გამარჯვებული კი ყოველთვის კრუხი რჩებოდა, მაგრამ იმ საბრალოს მოსვენება არ ჰქონდა და იტანჯებოდა. ეს თამაში მე არ მიყვარდა, თუმცა ყოველდღე სხვადასხვა თამაშობას ამითი ვაბოლოვებდით ხოლმე. მეცოდებოდა კრუხი და ხშირად ვეკითხებოდი ხოლმე ძიძას: „რა დაუშავა კრუხმა ქორს, რომ წინილებს სტაცებს და არ ასვენებს-მეთქი?“ – „ჭამა უნდაო!“ – მიპასუხებდა ხოლმე ძიძა და დაიწყებდა სიცილს. არ ვიცი, ეს თამაშობა, რომელიც სავარჯიშოდ დიდი არა არის რა, განზრაბ იყო გამოგონებული რაიმე სამნიშვნელოდ, თუ ისე შემთხვევით, უბრალოდ? მაგრამ დღეს რომ ვუკვირდები, ძალიან მაგონებს ჩვენი ქვეყნის ბედს. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი ისტორია სწორედ ქორობიას წარმოადგენდა: საქართველო კრუხი იყო, სიცოცხლეგამნარებული, და სხვა მისი კუთხები – წინილები!.. მტრები ქორებივით ესეოდენ... იტაცებდენ ხან ერთს მხარესა და ხან მეორეს, მაგრამ საბოლოოდ კი საქართველო მაინც კიდევ იბრუნებდა ხოლმე დაკარგულ მხარეს და გაერთებული, ფერხულჩაბმული წრე ბოლოს იქნევდა ძლიერად. მაშინ მე ეს არ მესმოდა, მაგრამ გულზე კი რაღაც უნებურად მკბენდა და მეჯავრებოდა „ქორობია“, რასაკვირველია, თუმცა მისი თამაშობა ყველას კი უნდოდა, მაგრამ სიყვარულით კი არავის უყვარდა. ერთხელ, სახლში რომ დავბრუნდი, მოწყენა შემნიშნა ძიძამ და მითხრა: „რა იყო ქორობია ხომ არ გითამაშნიათო“.

– ვითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცა-მეთქი! – ვუპასუხე სიცილით. ძიძამ ჩამიკრა გულში და დაიწყო ტირილი. მე გამიკვირდა და ვკითხე: „რა გატირებს-მეთქი?“ – „ის მატირებს, რომ ხვალ ჩემ წინილასაც მოიტაცებენ და მომაშორებენ!.. წინილას რა უჭირს, მაგრამ, როგორ აიტანოს და როგორლა გასძლოს კრუხმა უიმისობით?“ ეს რომ სთქვა, გული ამოუჯდა, მოუმატა ტირილს და უფრო ძალუმად მიმიკრა გულზედ. მე თუმცა არა მესმოდა რა, მაგრამ მივცვდი, რომ აქ კარგი არა არის რა-მეთქი და დავიწყე ტირილი... ვიტირე, ვიტირე და ჩამეძინა ძიძის კალთაში. მეორე დღეს კი ყოველივე გაფიგე: სამუდამოთ გამომათხოვეს სოფელს და გამიყვანეს სასახლეში, სადაც სულ ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო.

სასახლეში ადრეც ბევრჯელ ვყოფილვარ, მაგრამ, რომ გამომიყვანეს, მაინც ბევრი რამ მეუცხოვა. ჩვენებს თითქმის ყველას ვიცნობდი და სტუმრებმა კი სწორედ გამაცეცეს. ხან ერთან მივყავდით, ხან მეორესთან. მეალერსებოდენ და მკოცნიდენ. ისე მეცვეოდენ გარს, როგორც ჩხიკვები ბუს. „ეი, სოფლის ბიჭო!“ – დაიძახა მამაჩემმა, – შენ ახლა ბატონობა უნდა ისწავლო და ბატონიშვილობას უნდა მიეჩვიო; რაც გითხრან, დაიჯერე, თორემ, თუ ურჩობა დაინყე, წაგიყვან და დაგამზყდევ ისე, როგორც ის პატარა ბიჭი მყავს დამწყვდეულიო“. მოკიდა ხელი, მიმიყვანა და გამაჩერა სარკის წინ, სადაც თავიდან ფეხებამდე ნათლად გამოვჩნდი და სიცილი დავიწყე.

– ხომ ხედავ? – მკითხა მამაჩემმა.
– რატომ არა!.. ბრმა ხომ არა ვარ?
– იცნობ? – მეკითხება მამა.
– რა დიდი ცნობა უნდა?
– ხომ არ გინდა, რომ დაეჭიდო?

– ვისა?
– ამ პატარა ბიჭს?
– ბიჭი კი არა, ის არ გინდა კიდე! ჩემი ლანდია!
– რა იცი, რომ ლანდია?
– რატომ არ ვიცი!.. განა ცოტა მინახავს წყალში?

ამ სიტყვაზე სუყველამ სიცილი ასტეხეს და გაიკვირვეს. – „შენი რისხვა ნუ მომეცემა – წამოიძახა მოურავმა – შენი რისხვა ნუ მომეცემა, რო იტყვიან: კვიცი გვარზე წავაო, სწორედ მართალი ყოფილა. სოფლის ბავშვი რომ ყოფილიყო, რას მიხვდებოდა!.. მე რომ პირველად სარკეში ჩავიხედე, ჭალარა მერია, მაგრამ მაინც კინალამ გავგიუდი, ისე გამიკვირდა! ეტყობოდა, მოურავს კიდევ ბევრი რამ უნდა ეთქვა, მაგრამ დედაჩემმა გააწყვეტინა სიტყვა, დამიძახა და მკითხა: წყალშიო? როგორ თუ წყალში?

– ისე, როცა სათევზაოთ დავდიოდი ხოლმე ან ყვირილაში, ან იზვარაში, წმინდა წყალში ყოველთვის გამოვჩნდებოდი ხოლმე.

– მარტო შენ?
– მარტო მე რათა? წყალში ყოველიფერი გამოჩნდება: ხარი, ძროხა, ცხენი, დღე ყოველიფერი გამოჩნდება, ღამე კი მარტო ვარსკვლავები და მთვარე გამოჩნდება ხოლმე.
– თევზს როგორლა იჭერდი?

ჩემი თავგადასავალი

— პატარებს ჩეიფით და დიდებს კი ხელაობით. შევყოფი ხოლმე ხელს ჯილეში, ქვებში და თუ შეგვედებოდი თევზს, დავიჭრდი და გამოვიყვანდი.

— გველი რო შეგხვედროდა?

— რა ვუყოთ მერე? განა არ შემხვედრია? შეჰყოფ ჯილეში ხელს, იქ ბერი ღორჯვი გვინია ერთად თავმოყრილი, გამოგაქ და თურმე გველია დახვეული. გაიშლება და შემოგეხვევა კლავზე.

— მერე... არ გეშინოდა? — შემომკივლა დედამ.

— არა! დავასხვერტებდი ხოლმე რიყეზე.

— რომ ეკბინა?

— ნწუ, ამპა! წყალში როდი იკბინება, შხამი როდი აქ თან. წყალში ჩასვლას რომ დააპირებს, გველი მწვანე შხამს იქავე ქვაზე წამოანთხევს. წყლიდან რო ამოვა, მერე ისევე ალოკავს და გაუდგება გზას. მაშინ თუ ვისმეს შეგვდა და უკბინა, ძნელია: მზის ამოსვლისას თუ უკბინა, მზის ჩასვლამდის ველარ გაატანს, და მზის ჩასვლისას თუ უკბინა, მზის ამოსვლას ველარ მოესწრება კაცი, მოკვდება.

— რო ველარ მიაგნოს თავისი შხამი?

— თუ ვინმემ დაუმალა, ან შხამიანი ქვა გადაუგდო, მაშინ წყლის პირზე დაინყებს ძებნას გველი, ირბენს, ირბენს და, რომ ველარ ნახავს, ჯავრით დაუშენს თავს ქვაზე და მოკვდება.

— შენ რა იცი ეგა?

— შარშან ყვირილას პირზე ვნახეთ მაგრე მკვდარი გველი. არც თავი ჰქონდა გაჭეჭყილი და არც წელი მოწყვეტილი, ისე იყო მკვდარი და მეთევზებმა სთქვეს, შხამი დაეკარგებოდა და თითონ მოიკლავდა თავსაო.

— რაზე იჭირვებს საქმეს, რატომ თან არ ჩაიტანს იმ შხამს წყალში?

— დაწყევლილია!.. მერე და შხამი რო ჩაიტანოს წყალში, წყალს ხომ მთელი სოფელი სვამს და დიდი და პატარა სულ არ მოინამლებოდენ ერთიანად? ჩემს სიტყვა-პასუხზე დედას ეცინებოდა და თავზე მისვამდა ხელს და მეც, რაღაი კი სოფლის ამბავი მომაყოლეს, მზად ვიყავი, რომ საღამომდის მეტიტინა, მაგრამ სხვებმა გაგვაწყვეტინეს საუბარი. დასწყევლოს წმინდა გიორგიმო — დაიძახეს აქეთ-იქით — ტფუ, ტფუ! ვიღაც სწორედ ჩვენ ძვირში არისო და გადავიდენ სხვა საუბარზე. ამასობაში სადილობამაც მოატანა და გადასძახეს ბიჭებს აივანზე, რომ სადილი მოეტანათ.

უცბად ოცი-ოცდათი მეტი ფარეში შემოიჭრენ და გაჩერდენ შუა ოთახში. ბატონები მივიდენ, ჩამომწკრივდენ ტახტზე: პირდაპირ,

ჩემი თავგადასავალი

მეორე ტახტზე აზნაურშვილები დასხდენ და თავში მღვდელი დაუჯდათ. კიბეზე ვიღაცამ დაახველა, სთქვეს — მოურავიაო და მართლაც ის იყო, მოუძღვდა წინ სადილს, შემოვიდა და მიეყუდა სვეტს. იმას შემოჰყვენ სხვებიც. ხელოსნებს პური მოჰკონდათ ხელკალათებით, მზარეულებს კი ქოთნებით და ქვაბებით სხვადასხვა საჭმელები. მიღებს კუთხეში და გაჩერდენ. აბა, ჰე, ხელი დაგვბანიეთო, ბანენს ბატონებმა. ერთმა ფარეშმა ტაშტს დაავლო ხელი, მეორემ თუნგს და მესამემ ხელსაწმენდს. ჩამოუარეს რიგით და ყველას ხელი დააბანიეს. მერე ორმა ბიჭმა შემოიტანა გძელი და ვიწრო ხის სუფრა ოთხფეხიანი, რომელსაც ერთი ფეხი გამოვარდნილი ჰქონდა. „შეუყენეთ ფეხიო“ — უბძანა ბატონმა. ბიჭები სულ ერთიანად გაცვივდენ გარეთ და თვალის დახამხამებამდე ერთმა შემოარბენინა ქვა, სხვებიც ისევ უკან მოსდევდენ; გადააბრუნეს სუფრა და შეიქნა ერთი კაკაკუკი. გაუმაგრეს ფეხი, მაგრამ ცოტა მეტი მოუვიდათ, ფეხი დამოკლდა და სუფრამ ყანყალი დაიწყო. „შეუყენეთ ნაფოტო“, ბძანა ბატონმა. გაცვივდნენ ბიჭები ნაფოტის მოსატანად. კიდევ ისევ ერთმა მოიტანა ნაფოტი და სხვები უკან მოსდევდენ; შეუყენეს სუფრას და გაამაგრეს. როგორც იქნა, ამ ჭირს გადარჩენ, მაგრამ მწუხარება ამითი მაინც არ გათავებულა. დამშეულს ძალლებს რომ სადილის სუნი ეცათ, დრო იხელთეს, შემოცვივდენ ოთახში, შეძვრენ სუფრის ქვეშ და ნამოწვენ. — არიქა, დაგვიხსენით ამ ძალლებისაგანაო, დაიყვირა ბატონმა. ბიჭებმა დაავლეს ჯოხებს ხელი და დაუწყეს სუფრას ქვეშ ძალლებს ცემა. ძალლები ილრინებოდენ, იყბინებოდენ, დიდანს არ უნდოდათ, რომ გამოსულიყვენ სუფრის ქვეშიდან, მაგრამ ბოლოს, ძალა რო დაატანეს, იკადრეს და გაცვივდენ გარეთ. ერთი-ორი ძალლი აზნაურების სუფრას ქვეშაც შემძრალიყო. ბიჭებმა რომ იმათ ჯოხით ცემა დაუწყეს, ერთმა აზნაურმა იყვირა: „ვაიმე, წვივი, წვივი მომტეხე, შე ოჯახდაქცეულოვო! ბატონი-ჩემის რისხვა ნუ მომეცემა, ჩემი ჯინი სჭირს და განგებ მიყო ეს საქმეო! — მაგრამ ბიჭი დიდ უარზე იდგა და იძახოდა: ღვთისა და ბატონის რისხვა მქონდეს, თუ უცაბედათ არ მომსვლოდესო. ამ შემთხვევამ დიდი სიცილი და სარხარი გამოიწვია და ის აზნაურიშვილიც განგებ აზვიადებდა ტკივილს, ისვამდა წვივზე ხელს და იჭყანებოდა. ძალლები რომ გარეკეს, რამდენიმე ბიჭი კარებზე დააყენეს ჯოხით, რომ აღარ შესულიყვენ. ეს შემთხვევა პირველი არ ყოფილა და უკანასკნელი. არა თუ ჩვენ ოჯახში, სხვის ოჯახებშიაც ამგვარივე შემთხვევა იყო ხოლმე; თითქმის ყოველ იჯრაზე, ყოველ სადილ-ვახშამზე ამ სუფ-

რის ფეხების ცოდვილი იყო და ძალების მოგერება და აზრად არა-
ვის მოსდიოდა, რომ ერთხელვე გაემაგრებინა სუფრის ფეხები, და
ან ბიჭები სადილობამდე კარებზე დაეყენებინათ, რომ ძალები არ
შემოსულიყვენ ხოლმე. ამ ახირებულობას ისე იყვენ მიჩვეული დიდი
და პატარა, რომ უამისოდ ვერც კი შეეძლოთ წარმოედგინათ სადილ-
გახშირის ჭამა; თოთქოს ეს ყველა აუცილებელი საჭიროება ყოფილი-
ყოს, ისე, როგორც მღვდლისაგან სუფრის კურთხევა. ყოველიფერს
რომ მორჩენ და დაალაგეს საჭმელები სუფრაზე, უცბად დედაჩემმა
შეჰქივლა მამაჩემს: – რას შვრები მაგას! – თურმე მამაჩემს კარგი
მოზრდილი ლუკმა ჩაედვა პირში ისე, რომ ჯერ მღვდელს „მამაო ჩვე-
ნო“ არ ეთქვა და სუფრა არ ეკურთხებინა. ახლა კი გაახსენდა, წამ-
ოვარდა ზეზე და ხელით ანიშნა მღვდელს. მღვდელმაც სისწრაფით
„მამაო ჩვენო“ გადიკითხა, აკურთხა სუფრა, და მაშინ კი მამაჩემმაც
გადაყლაპა ლუკმა და მიუბრუნდა მღვდელსა: „მამაო, კინალამ არ
დამახრჩვე, შიშით ვერ გადავყლაპე, სირცხვილით ვერ გადმოვაგდე
და შენ კი ლოცვა გააჭიანურეო“ – „შენი რისხვა ნუ მომეცემა, გა-
დავახტი, ორჯელ გადავახტი, რამდენიც შევიძელი, ჩავაფუჩეჩე“.
ამ სიტყვებზე დედაჩემი გაჯავრდა და უსაყვედურა მამაჩემს: სულ
შენი სულნასულობის ბრალია, რომ მღვდელსაც ცოდვაში აგდებ
და გმობას ალაპარაკებ. ვის გაუგონია ლოცვის გადაფუჩეჩება და
ლვთის მოტყუებაო? მღვდელი განითლდა და თავის გასამართლებ-
ლად წაილულულა: არა უშავს რა, პური და ლვინო ისეც ნაკურთხია
ლვთისაგანო; ცოტა რამ დააკლდეს, რა უშავსო! რას ამბობ, მღვდე-
ლო, – სთქვა დედაჩემმა, – რაც კი არსებობს ქვეყანაზე, ღმერთს
უკურთხებია, რო გაუჩენია. და მაშ რა საჭიროა კურთხევანი რო
ყოველდღი ხელში გიჭირავს? ეს ბაასი ვინ იცის, რამდენ ხანს გაგ-
რძელდებოდა და რითი გათავდებოდა, რომ მამაჩემს არ დაეყვირა:
„კარგია, ახლა რა დროს ეგ არის, მშიაო“. ყველამ ხმა ჩაიწყვიტეს და
შეუდგენ გულმოდგინეთ ჭამას.

სუფრა სხვადასხვა თავი საჭმელებით აიქსო, თავ-თავისი კერძი
ყველას საყოფი ედვა წინ, მაგრამ მაინც მამაჩემს მოართვეს ხელ-
გობით და დაუდგეს წინ ასო-ასოდ აქნილი რაჭული ხბო, რომელსაც
მოსაკითხად უგზავნიდა ხან ერთსა და ხან მეორეს. ისინიც თაყ-
ვანისცემით მოახსენებდენ ხოლმე „ღმერთმა ნუ მოგვაკლოს თქვენი
მოწყალებაო!“ ამ დროს გავიხედე, და შეუ ოთახში რომ გამწკრივე-
ბული ბიჭები თავზე გვადგენ და ჩვენ ჭამას რომ უყურებდენ და
ტუჩებს აცმაცურებდენ, მათ რიცხვში ჩემი ძიძიშვილიც იდგა. თვალი

მიქნია, მივხვდი, რაც უნდოდა, გავაპარე ხელი, ვტაცე შუაძვალს
და ელვასავით გადავუგდე. ბურთში გაჩვეულმა ბიჭმაც, რასაკ-
ვირველია, მიმინოსავით დაიჭირა და იგდო უბეში. ბევრმა თვალიც
ვერ მოასწრო ამ ჩვენ ხორცით გაბურთავებას, მაგრამ დედაჩემმა
შენიშნა და სიცილით მითხრა: „შვილო, მარტო მაგას რომ მოუკითხე,
სხვებს ხომ გული დაწყდებათ! მაგის ტოლა ბიჭები, ორი სამი,
ხომ ხედავ სხვაც არისო! ისინი სულ შენი შინაყმები და ვეზირები
იქნებიან! მოუკითხე იმათაცო!“ მე დიდი სიამოვნებით ავასრულე
დედის ბრძანება, და თითო ნაჭერი გადავუგდე სამივეს. ეტყობო-
დათ რომ ბურთაობაში ისინიც განაფული იყვენ. ორმა მათგანმა
თითები ისე გამოჰკრეს ჰაერში მოტრიალე ხორცს, როგორც მიმი-
ნომ ბრჭყალები მწყერს; მხოლოდ ერთ იმათგანს, რომელიც უფრო
მოზრდილი იყო, გაუვარდა ძირს. „აი დაგესხა თავსლაფი!“ – მიაძა-
ხეს აქეთ-იქითგან, „ვერ ყოფილხარ ბატონის ერთგულიო!“ შერცხვა
ბიჭს, მაგრამ ხორცის ნაჭერი მარჯვედ მომუჭნა. „პალური მაგასო!“
ბრძანა ბატონმა, მიცვივდენ პატარა ბიჭები და ჰკრეს პალური. საკ-
ვირველია! ეს პალური არც მეპალურებს და არც საპალურეს არა
სწყენიათ. შეიქნა ერთი საზოგადო სიცილი და ხარხარი. პატარა
ბიჭებს ჰკრიც გადუგდეს და ისინიც სიამოვნებით გაცვივდენ გარეთ,
რომ პირი ჩაეგემრიელებიათ. სუფრაზე ღვინოს არავის არ აძალებ-
დენ, მხოლოდ მერიქიფებს ეჭირათ ხელში ღვინით სავსე ღოქები
და, დაიცლებოდა თუ არა ვისმე ჭიქა, მაშინვე აავსებდენ. სადლე-
გრძელები არ იცოდენ. პირველს ჭიქას რომ აიღებდენ, მაშინ კი
პირველს გამოისახავდენ და იტყოდენ: „დიდება ღმერთსა! მოწყ-
ალესა ერთსა! ღმერთო გაუმარჯვე ბატონსა და ყმებსა, აქა მბანებ-
ელსა! შენდობა მამაო!“ – ეტყობენ მღვდელსაც და გადაჲრავდენ
ღვინოს. მერე კი იმდენსა სვამდენ, რამდენიც უნდოდათ. სამიზეზო
სადლეგრძელები-კი ფიქრადაც არ მოსდიოდათ.

სადილი რაც უფრო გრძელდებოდა, უფრო და უფრო ეტყობოდა
მხიარულება ყველას. იცინოდენ, ხუმრობდენ და სასაცილო ამბებს
ამბობდენ, სიცილსა და მუსაიფში ხანდახან ფარებებიც გამოერეო-
დენ, მაგრამ თავი კი ზრდილობიანად ეჭირათ.

გათავდა სადილი, სუფრა აალაგეს, ფარებებმა ხელი დააბა-
ნიეს ისევ ყველას და წავიდ-წამოვიდნენ. სახლში დარჩენ მხოლოდ
ბატონები. იმ დროში ნასადილევს ძილი ყველასათვის აუცილებელი
საჭირო იყო და ამიტომ დედ-მამა საწოლ ოთახში დარჩა. მე კი სას-
ტუმრო ოთახში შემიყვანეს და იქ დამტოვეს: „იყავი მანდო და როცა

ძილი მოგინდეს, წამოწევი ტახტზე, მუთაქა მანდერ არიო, მიიღევი და დაიძინეო. სანამდის არ აგრილდება, კარში არ გაგიშვებთ, ხომ ხედავ, რომ სიცხით დედამიწას ალმური ასდისო. ყოველი ცხოველი გამორტებულია, ან ბრაზიანმა ძალმა არ დაგვლიჯოს, ან გველმა არ დაგვპინოსო. რო აგრილდება, მაშინ კი პატარა ბიჭებიც გამოიღვიძებენ და იხტუნეთ ერთად ეზოში, რამდენიც გინდოდეთო“.

მომიკეტეს კარები და დამტოვეს მარტო. ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემ სიცოცხლეში, რომ მარტო დავრჩენილიყავი, და ისიც კარ-დაკეტილ ოთახში. დავლონდი და დავიწყე ფიქრი. მე გული ისევ ჩემი სოფლისაკენ მქონდა. „მართალია, ამისთანა სიცხეში, ვიფიქრე გუნებაში, – ყოფნა და წანწალი არ ვარგა, მაგრამ მაგიერად რა სჯობია იმას, რომ ხეს ქვეშ ჩეროში იჯდე და დანასობიას ან კენჭობიას თამაშობდე! და აქ კი, არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო? ძილიო, რომ მეუბნებიან, განა ძილისგუდა ვარ, რომ დღეც ვიკოტრიალო?“ ამ გვარი ფიქრები სევდასავით მომანვენ გულზე და ყელში რაღაც ბურთვით გამტარა. უცბად რაღამაც გრიალი დაიწყო, მივიხედე კედლისკენ და შევნიშნე (თურმე კედლის საათი იყო), თითქოს კოლოფის მზგავი შეიძრაო, გაიღო კარები, გამოხტა გუგული, სამჯერ დაიძახა „გუგუ, გუგუ“ და შეჰყო ისევ თავი, დაიმალა. წამოვარდი ზეზე, დამავიწყდა ჯავრიც, მწუხარებაც, ვითიქრე: „ეს გუგული სად შემოფრენილა-მეთქი“, ის სოფელშიაც ვიცოდი, რომ გუგული ბუდეს არ იკეთებდა და სხვის ბუდეში სდებდა კვერცხებს. ვსთევი, „სწორედ მერცხლის ბუდეა აქა და იქ ზის მეთქი. მოვინდომე, რომ მივპაროდი და ქუდი დამეურა ზედ. მივეპარე ფეხაკრეფით ნელ-ნელა, დავდგი სკამი და შევდექი ზედ, მაგრამ მაინც ვერ ავწვდი. საათი მაღლა იყო ჩამოკიდებული, სკამი სკამზე დავდგი და ისე ვაპირებდი მისარვას, შევპოტინდი. მაგრამ ამ დროს გამომისხლტა სკამი, გადმოვარდი და გამხდა ბრეგვა იატაკზე. ხმაურობაზე გამოცივდენ მეორე ოთახი-დან და გაშხვართული რომ მნახეს იატაკზე, ჯერ შეეშინდათ, მაგრამ მერე-კი, რომ მნახეს არა მიჭირდა რა, სიცილი აიტეხეს. მე შემრცხვა და მოვრთე ტირილი. გული ამომიჯდა და ველარაფრით ველარ გამარენეს, სანამ ჩემმა უფროსმა დამ არ მოქვიდა ხელი და არ წამიყვანა სამოახლოში, სადაც ჩემი ძიძაც სტუმრად იყო.

დედაჩემი დიდი ძველებურ ოჯახის ასული იყო. 1820-ში, თეოფილაქტეს დროს, ქუთათელი და გენათელი რომ დააპატიმრეს და აჯანყება მოხდა, იმ აჯანყებულების მეთაურად ითვლებოდა დიდი ივანე აბაშიძე, ახალციხეს მოკლული. ეს ივანე დარეჯან -ბატონიშ-

ვილის, პირველი სოლომონ მეფის ასულის, შვილი იყო და დედოჩემის მამა. აჯანყებულები რომ დაიმორჩილეს და დაამშვიდეს, (უნდა მოგახსენოთ, მისთანა აჯანყება არ ყოფილა, რომ ხალხს რამე ძალადობა ეხმაროს; მხოლოდ უკმაყოფილებას აცხადებდენ პირდაპირ, დაუფარავად) აბაშიძის ოჯახი აიკლეს და მისი ცოლ-შვილიც სხვებთან ერთად ტყვედ წაიყვანეს. გურიის უკანასკნელი მთავარი, მამია გურიელი, ღვიძლი ძმა იყო აბაშიძის ცოლის: გამოესარჩლა დასა და დისწულებს, იშუამდგომლა მთავრობასთან და ტყვები, გარდა დარეჯან ბატონიშვილის ერთი უფროსი ვაჟისა, უკანვე დაბრუნეს გზიდან. მაშინ დედაჩემი იყო 12 წლისა და ყველაფერი გულისფიცარზე დაებეჭდა. აბაშიძის სახლობა დაბრუნდა, მაგრამ ყმა და მამული ჩამორთმეული დაუხვდა, ოჯახი აკლებული და განადგურებული. საზრდო რომ აღარა ჰქონდათ და პატრონიც აღარავინ ჰყავდათ, გურიის მთავარმა გადიყვანა და ცდილობდა, რომ მათი მწუხარება, მომავალის იმედებით როგორმე გაექარვებინა. ყველაზე უფრო დასევდინდა თურმე დედაჩემი: ამას თურმე დარეჯან ბატონიშვილი აგონდებოდა, რომელიც შვილსავითა ზრდიდა და ანებივრებდა, როგორც შესანიშნავ ბავშვს. დარეჯან ბატონიშვილისა არ იყოს, გურიელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია დედაჩემს. იმ დროს, როგორც სხვა ყოველ ქართველ დიდოჯახებში, გურიელის სასახლეშიაც თითქმის შინაკაცებად ითვლებოდენ ფრანგის პატრები და დიდი გავლენაცა ჰქონდათ ოჯახებზე.

ამ ევროპულად განათლებულმა და გონებაგანვითარებულმა მეცნიერებმა დედაჩემზედაც დიდი გავლენა იქონიეს: მათი მეოქებით შესწავლილი ჰქონდა, სხვათაშორის, ექიმობა და მეურნეობა. რაც-კი იმ დროში ქართველ ქალის ხელიდან გამოვიდოდა, ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა: იყო კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელსაქნარე და მასთანაც კარგი აღმზრდელი. ცნობისმოყვარეობასთან შრომისმოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა: დილას, მამლის ყივილზე რომ წამოდგებოდა, დაღამებამდე ფეხზე იდგა და უსაქმურად კაცი ვერ ნახავდა. „სიზარმაცე და უსაქმურობა დედა არის ყოველგვარ ბოროტებისაო“ – იტყოდა ხოლმე და „კეთილი საქმე-კი იგივე ლოცვა, ვედრებააო“. მოსამსახურეს ყოველთვის თვალ-ყურს ადევნებდა, რომ ცუდი არა ჩაედინათ რა. უსაქმოდ არავის გააჩერებდა, ყოველგვარ ხელობას ასწავლიდა მათ და ზოგ წიგნსაც აკითხებდა. მამინ, ბატონყმობის დროს ამგვარი ქცევა საარაკო იყო და დედაჩემის მოქმედებაც ბევრს თვალში ეჩირებოდა. მკაცრობისა და მრისხანების

სახელი ჰქონდა დავარდნილი, რადგანაც თავი მძიმედ ეჭირა. „თუ თავი გაუყადრე ბრძოს, პირს შეგაჩვევს, აღარად ჩაგაგდებს და, რაც უნდა უწიო, აღარ დაიჯერებსო“ – ამბობდა. სასახლეში მისი ცველას ეშინოდა და დიდი ხათრიცა ჰქონდათ. მაშინ მეც ისე მეგონა, როგორც სხვებს, რომ დედაჩემი ცივგული და მრისხანე იყო, მაგრამ გონებაში რომ ჩაგხვდი, მაშინ კი გამოვიყელი სიმართლე: ის იყო ნამეტანი ჩვილი გულის მქონი და მოყვარული, მაგრამ დიდ ოჯახში ნამყოფი, დარეჯან ბატონიშვილის გაზდილი და პატრების ნამონა-ფარი, განგებ პირბადეს იფარებდა, მხოლოდ კეთილის განზრახვით. უნდა გენახათ მაშინ, როდესაც სასახლეში ავათ ვინმე გახდებოდა, გინდ უკანასკნელთაგანიცა!.. დღე და ღმ მოსვენება აღარა ჰქონდა და თავის ხელით უვლიდა, როგორც შვილს. გაჭირვებულის დახმარება რჯულად ჰქონდა დადგენილი სულ სხვებზე ჰეჭირობდა და სხვებისთვის, თითქოს თავის საკუთარ პირადობაზე ხელალებული ყოფილიყოს, მუდამ მწუხარებაში იყო. და ყოველ ფერიცვალობა დღეს მტირალი იჯდა ხოლმე. ამბობდენ: ამ დღეს რაღაც ძველებური ამბავი აგონდება.

სულ სხვა ბუნების, მიმართულებისა და ხასიათის იყო მამაჩემი. უკანასკნელ დროში წერეთლები მძლავრობდენ და სახუცის ოჯახი-კი, მთავრობისაგან ზურგმომაგრებული, ცველაზე ბატონობდა. იმ დროს მამაჩემი დედისერთა მცირენლოვანი ობოლი ყოფილა; ბიძებიც გადავარდნილი ყოფილან, მეფე სოლომონს ხლებიან თან. ქვრივ-ობოლს ვინ არა სჩაგრავს, და, რასაკვირველია, შეძენის სურვილით გატაცებული სახუცესიც არ დააკლებდა ხელს. ერთხელ სახუცის მოურავი მოსულა ბებიაჩემთან და მოუხსენება: „თქვენ რომ ეზოში ძელევის პატარა სახლი გიდგათ, სახუცეს სურს, რომ დაუთმოთო“. პატრონს, რასაკვირველია, შორს დაუჭერია ეს ამბავი, მაგრამ მოურავს მაინც მიუყვანია მუშები, დაუნგრევია სახლი და გადაუტანია. გამნარებულ ბებიაჩემს სახუცისთვის წიგნი მიუწერია: „დიდო ზურაბ წერეთელო! გრცხვენოდეს უკადრისი საქციელისო. დაგვიმარტოხელე ქვრივ-ობოლი და სახლს თავზე გვანგრევო. ვინ იცის, დრო რას მოიტანს, თუ ღმერთმა ინება და ჩემი მაზლი შინ მშვიდობით დაბრუნდა, მაშინ დრო გადაბრუნდება და შენც ესევე საქმე მოგივაო“. პასუხად ზურაბ წერეთელს აი, რა მოენერა: „აპაშიძის ქალო, ენა დაიმოკლე, თორემ, ხომ იცი, დროც ჩემ ხელთ არის და გასავალიცო. ჩაგნერ სიაში და შენი თბლიანა მოზდოკში ამოგაყოფიებ თავსო!“ ამ მუქა-რით შეშინებული ქვრივი გაჩუმებულიყო, მეტი რა გზა ჰქონდა, და

შვილსაც უბრთხილდებოდა, რომ მუდამ გვერდში უჯდა და აღარსად უშვებდა. ამის ბრალი იყო, რომ მამაჩემი შინაკაცად იყო გაზრდილი და მხოლოდ ის იცოდა, რაც დედა მისს ესნავლებია. მუდამ დედის კალთაში თავის დებას ისეთი ზედგავლენა ჰქონდა მამაჩემზე, რომ იმას მთელ მის სიცოცხლეში თვითნებობა და ახირებულობა ზნედ ჰქონდა გადაქცეული. სულდა ნადირობა, რაც იმ დროში მებატონეების ჩვეულება იყო, ეჯავრებოდა აქეთ-იქით სიარული და სულ სახლში იჯდა. შინაც არას აკეთებდა. ამბობდა: „კაცი სიმშვიდისა და მოსვენებისათვის არის გაჩენილი“. არც თვითონ შრომობდა და არც სხვას აწუხებდა. უყვარდა ძილი, აგრეთვე არ სწყინდა, როცა ხედავდა, რომ უსაქმური მოსამსახურები მთელი დღე მხართეძოზე ნამონოლილი კოტრიალებდენ სახლში. პირის გემო იცოდა, უყვარდა კარგად ჭამა და სულ იმას იძახოდა: „არიქა, მშეირი არავინ დარჩეს სახლში, დიდსა და პატარას, ცველას სამყოფად აჭამეთო“. ბუნებითად ნამეტანი გულკეთილი იყო, შური და ბოროტება, არ ესმოდა, რა იყო; მაგრამ ერთ უპრალო რამეზე უცბად იცოდა გულის მოსვლა, და მაშინ აღარ დაზოგავდა გინდ შორებელი ყოფილიყო და გინდ ახლობელი.

ეს ზნე მოუვლიდა ხოლმე უფრო ხშირად მაშინ, როდესაც უნებურად გამოაღვიძებდა ვინმე, მაგრამ სიფიცხე დიდახანს არ გასტანდა. მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს: ჩვენში, როგორც შობის წინ ალილოზე, ისე საალდგომოთ ჭონაზე დადიოდენ ხოლმე მომღერლები. ერთხელ იმ დროს მოვიდენ ჩვენსა მეჭონეები და დაინეს „ჭონა“, როცა მამაჩემს ეძინა. „ალათასა, ბალათასა, ხელი ჩაჰკარ კალათასაო“, რომ შემოსახეს, მაშინ გამოეღვიძა მამაჩემს და მიაშურა. მომღერლებმაც რომ დაინახეს ლომივით კაცი, პერანგის ამარა, თავშიშველა, ფეხშიშველა, მათკენ მუქარით მიმართული, დაბრთხებ; გადაცვიდენ ზოგი აქეთ, ზოგი იქით ყორეზე, თავს უშველეს, მაგრამ თითო-ოროლა აქა-იქ მოგროვებული კვერცხები კი სულ დაემტვრათ. მამაჩემი გამობრუნდა და უბძანა მოურავს: „შემიტყვე, ვინ იყვნენ ეგ მეჭონეები, რომ ცოცხალი არ გადავარჩინონ“. ამაზე დიდი ფიციც დასდვა, მაგრამ, რომ გამოიძინა და კაი გუნებაზე დადგა, ბევრი იცინა და თავის ბძანებაც გამოსცვალა: შეიტყეთ, ვინ იყვნენ ის საცოდავები, რაც დამტვრევიათ კვერცხები, სასახლიდან უზღვევით და, ამას გარდა, კარგადაც დასაჩუქრეთო“. ეს ხასიათი რომ იცოდენ მისი, მძინარის ყველას ეშინოდა და ფხიზელსკი არავინ ერიდებოდა. ოჯახის საქმეში არ ერეოდა, სულ დედაჩემის ხელში

იყო; მაგრამ მამაჩემის ახირებულობა ბევრჯელ ხელს უშლიდა და ამ ორს, სრულიად ერთმანეთის წინააღმდეგ ბუნების მექონ ადამიანთ, ხშირად ჰქონდათ ერთმანეთში საყვედური. დედაჩემს არ მოსწონდა მამიჩემის ყოფაქცევა, მაგრამ ბევრს უთმობდა. როგორც კი შეიქნებოდა შუადღე და გუგული თორმეტჯელ დაიძახებდა „გუგუს“, მამაჩემი მაშინვე სადილად დაჯდებოდა. ადრე რომ მონდომებოდა სადილი, მაინც არა სჭამდა. უცდიდა გუგულს და მოთმინებიდან გამოსული ყვიროდა: „რა არის, ეს რჯულძალი, რო ასე აგვიანებს და სასადილოს არ დაუკრავსო?“ ესენები ყველა, დედას არ მოსწონდა და ხშირად ეტყოდა ხოლმე: „შენი ცოდვა მიეცეს, ვინც შენ აგრე გამოგზარდაო“. ამგვარი ახირებული ხასიათი ოჯახში მოსაწონი არ არის, როგორც წესისა და რიგის ამრევი, მაგრამ სასახლეში კი ყველას ვაუბატონი უფრო უყვარდათ, ვიდრე ქალბატონი. საკვირველია, მრისხანე დედაჩემს არ უყვარდა არვის დასჯა, მხოლოდ სიტყვითა და შეხედულობით იყო საშიში. ხშირად იპატივებდა ხოლმე მამიჩემისაგან გულმოსულობით განირულს, მაგრამ მაინც ყველა მრისხანედა თვლიდა.

ერთხელ მოცლილი ფარეშები წასულიყვენ შეშის მოსატანად. ტყე იქვე ახლოს იყო; თითო კონის შეკვრას, რასაკირველია, დიდხანს არ მოუნდებოდენ, მაგრამ დაღამებამდე მაინც რად დაბრუნდებოდნენ სასახლეში? დარჩენილიყვენ სათამაშოდ და, სხვათა შორის, „ტირილობია“ ეთამაშნათ: გადააფარებდენ თურმე ჩოხას შეშის კონას, დახურავდენ ქუდს, ერთი მიუჩიქებდა, ორი იქით-აქეთ ხელს მოჰკიდებდა და სხვები ზარს ააყოლებდნენ მოთქმით ტირილს, ვითომდა მკვდარია; ხან ერთმანეთს ტიროდენ, ხან თურმე მოურავს, ხან ხელოსნებს, ხან მზარულებს, ხან ვის და ხან ვის. ამ ხანად თურმე რიგი მოურავზე მიმდგარიყო. იმასაც გაეგო. გული მოსვლოდა და ბატონს დააბეჭიდა: „თქვენ გტიროდენ“. მამაჩემს გული მოუვიდა. მიაყვანია მომტირლები და მათი საქმე ცუდათ იყო, რომ დედაჩემი არ გამოსარჩლებოდა: „როგორ გეკადრება აგრე გამოურკვევლად გარისხებაო? ტირილიც არის და ტირილიც არისო. ვინ იცის, რა სიტყვებს ამბობდენო? ეგებ მართლა წარმოიდგინეს, რომ ბატონი ალარა გვყავდეს, რა დღეში ჩავცივდებოდითო და იმას მოსთქვამდენი!“ ამის გამგონე ბიჭებმა გული მოიცეს და შეპფიცეს: „შენი ხატი ნუ გაგვიწყრება, ჩვენ თქვენი ხსენება არ გაგვებედოს, და ღმერთმა ნუ მოგვასწროს მაგ დღესაო. ჩვენ მხოლოდ მოურავი ვიტირეთო“. მამაჩემს გაეცინა და ბრძანა: „კარგი, ალარ დაგსჯით,

მაგრამ გაიმეორეთ კი ახლავე, როგორ იტირეთ მოურავიო“. იმათაც, რასაკირველია, შემოიტანეს შეშის კონა, გადააფარეს ჩოხა და შეპქენეს ღრიალი: „ვაიმე, მოურავო“ და შეიქნა კომედია. სათო-თაოდ იტირეს სუყველამ. დიდმა, პატარამ, ვინც კი ოჯახში იყო, თავი მოიყარა, შეიქნა ერთი საზოგადო მხიარულება, ასე გაშინჯეთ დედაჩემიც კი მეორე ოთახში იჯდა და ცდილობდა სიცილი შეეკვებია. ცუდ გუნებაზე იყო მხოლოდ მოურავი, და მეორე დღეს მოციქულიც მოუგზავნა მამაჩემს: „თუ შეიძლებოდეს, რამდენიმე ხნით დამითხოვეთ, რომ სახლში წავიდეო“.

ეგებ ვინმებ იფიქროს, რომ ამგვარი საქმების ჩამდენი და საქმეში აჩქარებული მამაჩემი მჩატე ჭკუის ყოფილიყოს. სრულიადაც არა, ძლიერი გონების კაცი იყო, მოსწრებული და ენამჭევრი, თუმცა კი ხშირად ენამწარეც. დედაჩემი იტყოდა ხოლმე: „ამ ჩემ შვილებს მამამისის ენა გამოჰყავთ, დახურდავებულიო“. ჩვენ ხუთნი და-ძმანი ვიყავით, ღვთის მადლით, არც ერთს არ გვქონია სუსტი ენა და აქედან შეგვიძლია ვიგულისხმოთ, თუ რა უნდა ყოფილიყო მამაჩემის დაუხურდავებული ენა? სწორედ სასიამოვნო და საყვარელი სანახავი იყო მამაჩემი, როდესაც გუნებაზე იყო. იმას რომ სწავლა მიეღო და ცხოვრებაში განვითარება ჰქონოდა, შესანიშნავი რამე იქნებოდა. მაგრამ ნამეტან გულკეთილობასთან შეერთებულ გულფიცხობას სულ სხვა ბეჭედი დაესვა, და, თუ დედაჩემი არ ყოფილიყო, ოჯახში ყოველიფერი არეულ-დარეული იქნებოდა. ამას თვითონ მამაჩემიც გრძნობდა და დამშვიდების დროს, დიდი პატივისმცემელიც იყო ცხოლის ნება-სურვილისა. მიუხედავად მისი ახირებულობისა, გარეშეებსაც ძალიან უყვარდათ მამაჩემი და მთავრობაც დიდ პატივსა სცემდა სიმართლისა და პირდაპირობისათვის, და ბევრ რამესაც უთმობდა. ერთხელ გენერალ-გუბერნატორმა გაგარინმა დაიბარა: „მოდი ახლავე ჩემთან, უნდა მოგილოცო ხელმწიფის წყალობაო“. ბზობა დღე იყო. მივიდა მამაჩემი. გაგარინმა მიულოცა და უთხრა, რომ ხელმწიფის „ბლალოვოლენიე“ მოგივიდაო. მამაჩემს იამა და დაჯდა, დაუწყო ცდა, როდის ჩამაბარებენ „ბლალოვოლენიესო“: იცადა, იცადა, სადილობა გადავიდა, მამაჩემმაც მოთმინება დაპკარგა და მიაძახა: „თუ მიბოძებთ, მიბოძეთ, ეგ რაღაც „ბლალოვოლენიე“ არისო!“ გუბერნიის მმართველს გაეცინა და უთხრა თარჯიმანის პირით: „ბლალოვოლენიე“ უმაღლესი მაღლობა არისო“. მოთმინებიდან გამოსული მამაჩემი წამოვარდა ზეზე და მიაყვირა: „ღმერთმა უმადური გამყოფოს, უსადილოდ დამტოვეთ! დღეს ბზობაა, მაგას

ჩემი თავგადასავალი

ერთი კარგი ზურგიელი მერჩია!“ – სთქვა და გამოვარდა გარეთ. არ გაუვლია ნახევარ საათს, რომ ჩემსა თარჯიმანი მოვიდა, გაგარინის გამოგზავნილი, თანაც ერთი წყვილი დიდროვანი ზურგიელი მოიტანა: „ეს მიახლებია შენთვის – შემოეთვალა გუბერნატორს, და „ბლალოვოლენიეც“ კიდევ სხვა იყოს ზედმეტად“. რასაკვირველია, სრულიად და ჯემყოფილებულმა მამაჩემმაც დიდი მადლობა შესწირა.

მამაჩემის ახირებული ხასიათის ასახსნელად ბევრი რამ სასაცილო შემთხვევა მახსოვს.

ფოტოგრაფია რუსეთში ახალი შემოლებული იყო. ჩემ ძმას გადაეღო თავისი სახე და გამოეგზავნა. უწყება მოგვივიდა. მე გემნაზიაში მიმეჩქარებოდა და დავიბარე შინ: რომ დავბრუნდები, ფოსტიდან გამოვიტან-თქო. მამაჩემს სულმა აღარ მოუთმინა და თურმე თითონ წავიდა ფოსტაში. შევიდა, ნახა, რომ ყურადღება არავინ მიაქცია, მიიხედ-მოიხედა, სკამიც ვერსად დაინახა, რომ დამჯდარიყო: დგას ფეხზე სხვებთან ერთად და პფიქრობს გუნებაში: ეს რას ნიშნავს! სადაც შევდივარ, ყველგან დაბანდის მეუბნებიან და სკამს მიდგმენ, და ეს კი, ვიდაც არის, ბუზადაც არ მაგდებსო! ფოსტის უფროსი ახალი დანიშნული იყო და მამაჩემს არ იცნობდა. მამაჩემმა ერთხანს იცადა და ბოლოს, რომ მოთმინება დაჰკარგა, მივიდა და უთხრა:

- კიდევ დიდხანს გინდა, რომ მაცდევინო? მომეცი ჩემი ილიკოს გამოგზავნილი, თუ რამე იყოს და გამისტუმრე.
- ილიკო ვინ არის? – ეკითხება გაკვირვებული ფოსტის უფროსი.
- ილიკო ვინ არის? ვინ არის და ჩემი შვილი, ხელმწიფე იმპერატორის მოსამსახურე – კანვოი.
- მე ვერ ვიცნობ.
- ოხ, შენ თუ არ იცნობ, მაშ პური ვეღარ უჭამია! იმ კაცს სასახლეში იცნობენ და შენ აქ, გინდ იცანი და გინდ არა!
- ყოველიფერი კარგი, მაგრამ თითონ თქვენ ვინდა ბრძანდებით?
- მე? თავადი როსტომ წერეთელი.
- ვერც თქვენ გიცნობ.
- ახლა ხომ გეუბნები ვინცა ვარ!
- ეგ არა კმარა.
- მაშ, ხატზე ხომ არ გინდა რომ შემოგფიცო?
- ფიცი რა საჭიროა, წადით და მოწმობა მოიტანეთ.
- მოწმობა?! რისი მოწმობა?
- მისი, რომ სწორედ თავადი როსტომ წერეთელი ხართ.

ჩემი თავგადასავალი

– მერედა ვის უნდა გამოვართვა ეგ მოწმობა?

– პოლიციაში, კვარტალს.

აქ მამაჩემმა მეტი შეურაცხყოფა ვეღარ აიტანა და სტაცია კის-ერში ხელი...

შეურაცხყოფილი ფოსტის უფროსი გაიქცა საჩივლელად პირდაპირ გუბერნატორთან. დაიბარეს მამაჩემი. შევიდა თუ არა ზალაში, მაშინვე საყვედურით მიმართა გუბერნატორს: მთელი ხმელეთი ხელში გიჭირავთ და კაცებს ვეღარ შოულობთ, თუ როგორ არის თქვენი საქმე, რომ ვილაც გიუებს და მასხარებს ნიშნავთ?

– როგორ! რა ამბავი იყო? რა ჩაგიდენიათო? – ეკითხება გუბერნატორი.

– როგორ თუ რა ჩამიდენია! დიდმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დამამტკიცა თავად როსტომ წერეთლად, ნიკოლოზმა ხელი მოაწერა, ალექსანდრე მეორემ ბეჭედი დაუსვა, და ახლა, ეს ვიღაც ოხერია, სამი დიდი ხელმწიფის მონიჭებულ წყალობას ისე მართმეცს და მხდის, თითქო მაგისი შეკერილი ჩოხა-ნაბადი იყოს! მეუბნება, რომ ეგ ყოლიფერი ჩალადაც არ ღირს, თუ პოლიციაში არ წახვედი და იქ ხელახლა კვარტალმა, მაქსიმე მგალობლიშვილმა, არ დაგამტკიცაო.

– ეგ ყოველიფერი კარგი, მაგრამ თქვენ რაღა უპასუხეთ?

– საპასუხო რა მქონდა?! რისი ღირსი იყო, კიდევაც მივანიჭე.

– მაშ, აღიარებ, რომ შეურაცხყოფა მიაყენე?

– რას ამბობთ? როგორ თუ შეურაცხყოფა?! ჩემი საცინლად აგდება, რომ კიდეც ამეტანა, რა ნება მქონდა, რომ მთავრობის შეურაცხყოფა დამეთმო მაგისთვის?

– ხელი შეახეთ?

– არა, ისე, კისერში წავავლე.

– მეტი არაფერი?

– როგორ არაფერი. გადმოვლუნე და სამიოდე ჯოხი ვზუზდე, ერთი ჩემი გაკიცხვისათვის და ორიც – მთავრობის შეურაცხყოფისთვის. ამას ისეთი გულმოსულობით ამბობდა, რომ ვერც თითონ გუბერნატორმა და ვერც მისმა ჩინოვნიკებმა სიცილი ვეღარ შეიკავეს. ბოლოს როდესაც აუხსნეს მამაჩემს მისი შეცდომა, შეწუხდა, მიუბრუნდა იქვე მდგარ ფოსტის უფროსს და უთხრა: – „შე ცუდო კაცო, მე რა ვიცი ახალი რიგისა და წესებისა? რომ მნახე, შემოვედი ერთი უსწავლელი, ადამის ხნის კაცი, აგესსნა ჩემთვის, რასაც ახალი კანონები გეუბნებიან, თვარა: მე შემოვდივარ ზრდილობიანად, შენ

კი ისე მიბლვერ, თითქოს შენი მოსისხლე მტერი ვყოფილიყო! სხვა რომ არა იყოს რა, უმანვილი ხარ, ჩემი ჭაღარისათვის მაინც უნდა გეცა პატივიონ“. ეს საქმე ბოდიშითა და მორიგებით გათავდა. შემდეგ დიდი მეგობრებიც იყვნენ მამაჩემი და ის მისი მონათლული ჩინოვნიკი. ყოველ დღესასწაულების წინ, საშობოდ, საახალწლოდ, სააღდგომოდ, დღდ მოსაკითხებს, როგორც მეგობარს, უგზავნიდა ხოლმე მამაჩემი და ისიც დიდი მადლიერი იყო: მოუყვიდოდა თუ არა მამაჩემს მისი შეილების წიგნები რუსეთიდან, თვითონ ფოსტის უფროსი მოარბენინებდა ხოლმე მამაჩემთან და აღარც კითხულობდა: „ქტო ტაკო როსტომ წერეთელიო?“

კულებიაკინი ჭკუანი და კეთილი კაცი იყო და ხალხსაც ძალიან უყვარდა, მაგრამ ერთი წუნი ჰქონდა: უცბად რაღაც მოუვლიდა და აყვირდებოდა ხოლმე. მაშინ მის მრისხანებას საზღვარი აღარა ჰქონდა. ამ გუბერნატორს ჩვეულებად ჰქონდა, რომ სადმე წავიდოდა სოფლად, ამალას იახლებდა და წინ ბაირალს გაიძლოლებდა. ერთხელ საჩხერეშიც ამგვარად მოვიდა. თითქმის მთელი საწერეთლო, დიდი და პატარა, თავად-აზნაურთაგანი, შუა გზაზე მიეგება და თან წამოჰყება. კულებიაკინმა თავმომწონედ თავისი ბედაური შეათამაშა. ცხენს რაღაცა წასცდა. ერთმა ახალგაზდათაგანმა თ. ა. მ. სიცილი აიტება. გუბერნატორმა შეჰყვირა თავისი ბედაურად. ახალგაზდა უადგილო მხია-რულებისათვის გაქაჩეს და სატუსალოში ქუთაისისკენ უპირებდენ გაგზავნას... ეს ყველას ეწყინა, მაგრამ კრინტი ვერავინ დასძრა. თავჩაღუნული მიჰყვებოდნენ დიდხანს. ბილოს შენიშვნეს, შორს რომ ერთი დონის ყაზახი რუსი მოდიოდა ცხენით. მამაჩემი დანინაურდა და რომ დაუახლოვდა ყაზახ რუსს, ჩამოხტა ცხენიდან და მძიმედ თაყვანი სცა. ეს სუყველამ დაინახა. კულებიაკინმა წარბი შეკირა და გამოიკითხა: თუ რად ჩაიდინა როსტომმა მაგისთანა უსაქციელობაო. მამაჩემმა უპასუხა:

- რუსი გახლდათ და პატივი არ მეცაო?
- კი, მაგრამ თავადიშვილს როგორ გეკადრება დონის ყაზახის წინ თავის მოხრაო. განა ვერ შეატყე, რომ უბრალო ვინდე იყონო?
- როგორ არაო, მაგრამ შეიძლება ერთი ათი წლის იქით დიდი კაცი გახდეს და მეც მომადლიერებული მეყოლება, ხომ მოგეხსენებათ, წინწადლოლილი საქმე, ხანდახან კაცს კეთილად გამოადგებაო.
- კულებიაკინი დაფიქრდა, გაიცინა და ბრძანა, რომ სატუსალოში გასაგზავნი უკანვე დაებრუნებინათ.

მამაჩემი თავის დროზე განთქმული მოჭადრაკე იყო, ვერავინ უგებდა. განსაკუთრებით ლენერლის შტაბის აფიცრები იყვნენ მონ-

დომებული, რომ როგორმე მოეგოთ, მაგრამ ვერას აწყობდენ. ერთხელ ღენერალ-გუბერნატორს, გ. ერისთავს შემოეთვალა თბილი-სიდან ერთი შესანიშნავი მოჭადრაკე პოლკოვნიკი გვეწვია, შენთან თამაში სურს და, თუ დრო გაქვს, მოდი, ჩემთან არისო. აბა, შენ იცი, თუ შენებურად გვასახელებ ქართველებს! მამაჩემიც წავიდა და გაიმართა თამაშობა. პოლკოვნიკმა დაინახა, რომ მოპირდაპირე ახირებულად ეთამაშებოდა და ჰკითხა: თქვენ, როგორც პირველსავე გამოსვლაზე გეტყობათ, თეორია არ უნდა იცოდეთო: კუთხის პაკი რა ხელმოსაკიდებელი იყონ?

- თეორია რა არის? – ეკითხება მამაჩემი.
- სხვადასხვა სათამაშო კანონები.
- ჩვენ, ქართველებმა, ერთი კანონის მეტი არ ვიცით: ისე უნდა ეთამაშო, რომ მოპირდაპირეს მოუგო.
- ეგ მართალია, მაგრამ უთეორიოდ არ შეიძლება.
- არ ამიხსნით მაინც, რა არის თეორია?
- სხვადასხვა გამოჩენილ მოჭადრაკეთა ნათამაშევი, რომელიც სხვებისთვის სამაგალითო კანონად დარჩენილა.
- ჰო, ისემც კარგი დაგემართოს! ისინიც ხომ ჩემისთანა მიწიშვილები იქნებოდენ, ციდან ხომ ვერ ჩამოფრინდებოდენ? ახლა ჩემ თამაშიაც უგდეთ ყური და, თუ მოგეწონოთ, ჩაწერეთ და თეორია იქნებაო.

პოლკოვნიკმა დაიწყო თამაში და არ გაუვლია დიდხანს, რომ კიდეც წააგო. შეწუხდა და სთქვა: „აშიბკაო“. ითამაშეს მეორე, კიდევ წააგო და სთქვა: „აშიბკაო“; მესამე, მეოთხე, მეხუთე... გაცხარებული პოლკოვნიკი აგებს და თან იძახის: „აშიბკა, აშიბკაო“. მამაჩემს გაეცინა და უთხრა: პოლკოვნიკო, ტყუილად წუ ფიქრობ, რომ მოიგო! სანამ ეგ ვიღაც „აშიბკა“ გადაგვიდებია, მაგას თავიდან არ მოიშორებო! ეს ხუმრობა მის მოპირდაპირეს ეწყინა, შეურაცხოფად მიიღო და ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო. მამაჩემმა დამშვიდებით უპასუხა: წარდი, ჭადრაკი და სათამაშოები სასიამოვნოდ და დროს გასატარებლად გამიგონია ჩვენშიო. ხუმრობაც შემვენის და მეც ჩემი ქვეყნის ჩვეულებაზე ვადგივარო, და თქვენში თუ საწყენი და გასაჯავრებელი ყოფილა, ჩემთან რა გინდა, ისევ თქვენებთან გეთამაშნაო? გაჯავრებულმა დაავლო ქუდს ხელი და გამოვარდა გარეთ.

აი, ამისთანა სასიათის კაცი, რომელიც გარეთ, სხვაგანაც არ იშლიდა თავის ახირებულობას, რა უნდა ყოფილიყო შინაურობაში,

სადაც დამოუკიდებელი ბატონი იყო? მართლაც, ბევრს ახირებულობას ჩადიოდა, და ხელს უშლიდა დედაჩემის ყოველთვის წინდანინ მოფიქრებულ და გონივრულ განკარგულებას.

მახსოვს, ერთი გლეხი გადაგვიშენდა და ოჯახში არავინ დარჩენილა, გარდა ერთი ოთხმოცდათი წლის მოხუცისა, რომელსაც აღარც მამულის მოვლა შეეძლო და აღარც თავის საკუთარი თავის რჩენა. რომ საგლეხო ადგილ-მამული არ გამცდარიყო, მამაჩემმა მოინდომა იმ ბერიკაცის სასახლეში გამოყვანა. მოხუცმა, რასაკვირველია, შორს დაიჭირა თავის სახლ-კარის თავის დანებება; იმას უნდოდა, რომ თავის სიცოცხლეში არ ენახა მის ქოხში გამქრალი ცეცხლი, იქვე მომკვდარიყო, სადაც მისიანები სცხოვრებდენ და ბოლოს იმათვე საფლავს ამონოლოდა გვერდით. ნებით რომ ვეღარ დაიყოლიეს, ბატონმა ბძანა, რომ ძალით გამოიყვანათ და კიდეც გაუგზავნა კაცები. ეს ამბავი არ მოსწონდათ სასახლეში: მოსამსახურები, ბიჭები, გოგოები, ყველანი ჩურჩულებდენ: ნამსახური კაცი თავის სახლიდან რა გასაგდებია? ნაერთგულარს და ნამსახურს კაცი ძალლსაც არ გაიმეტებსო. ამას მოვპერარი მე ყური და გავიქცი მამაჩემთან. ის ნიგოზქვეშ ჩეროში იყო მხართებოზე წამონოლილი; მივედი და ვკითხე: მამაბატონო, ჩერენი მურა რომ დაბერდეს, აღარაფერი არ შეეძლოს, აღარც ყეფა და აღარც ღრენა, მაშინ რაღა ვუყოთ-მეთქი?

– რაში გეკითხება, შვილო? თუ მაგრე დაბერდება, მჭადს აჭმევენ და იქნება თავისთვის, სანამ არ მოკვდებაო.

– მაში, თუ მაგრეა, კაცი უკეთესი არ არის ძალლზე-მეთქი? ბერიკაცს რომ თავის სახლ-კარს აშორებ და გამოგყავს, ის კი არ გეცო-დება-მეთქი?

ამ სიტყვებმა ისე დააფიქრეს მამაჩემი, რომ ხელახალი განკარგულება მოახდინა: თავი დაანებეთ იმ ბერიკაცს, დარჩეს თავის სახლში და საზრდოც მიუჩინეთო. მას უკან ხშირად იტყოდა ხოლმე: ჩემი დაუფიქრებლობით კინალამ ცოდვაში ჩავვარდიო, მაგრამ ანგელოზმა მამხილა ბავშვის პირით, ვენაცვალე იმის ძლიერებასო!

ხშირად მამაჩემს სახარების კითხვა უყვარდა, მაგრამ იმ კილოთი, რა კილოთიც წირვაზე კითხულობენ ხოლმე და ისე გაიტაცებდა ხოლმე კითხვა, რომ სახარებში გამოხატულ პირებს ემუსაიფებოდა. მაგალითად: „ჰი, შენს მადლს“, „ვენაცვალე შენს სახელს“, „იცის ბიჭმა“ სხვანი და სხვანი. ამგვარ სიტყვებს ჩაურთავდა ხოლმე, მოსაწონს აზრს მოიწონებდა და საგმობელს ჰგმობდა. ერთხელ, სა-

არების კითხვის დროს, როდესაც მივიდა იმ ადგილამდინ, სადაც ფარისევლები შეცდენას უპირებდენ ქრისტეს და ქრისტე უბრძანებდა მათ: „მიეცით კეიისრისა კეიისარსა და ლვთისა ლმერთსაო“, მამაჩემმა ჩვეულებრივად წამოიძახა: დაგესხათ თავს ლაფი, გინდოდათ, რომ მოგეტყუებიათ? ჰო, ახლა ნეტავი თქვენი თავი მომცა ხელში, რომ ეგ წვერები სულ ღერღერად დაგაგლიჯოთო!“ – ამ სიტყვებს დედაჩემმა მოჰკრა ყური, გამოვიდა მეორე ოთახიდან და ჰკითხა: ბატონო, ვის უჯავრდებით მაგრე გულითო? – ვისა და შეჩვენებულ ფარისევლებსაო, – გულმოსულად უპასუხა მამაჩემმა.

– შე დალოცვილო, მაგ სიშორეს რომ არ წაეპოტინო, – მიუგო დედაჩემმა, – შინ რომ საკუთარი ფარისეველი გყავს, რატომ იმას კი არაფერს ეუბნებიო? შენმა მოურავმა მოელი ოჯახი აურ-დაურია, მაგის თავგასულობას საზღვარი აღარა აქვს. რამდენი ხანია გევ-ვენები, რომ ამ ოჯახს ეგ როგორმე მოაშორო, მაგრამ ის ფარისევლობით თვალებს გიხვევს და ჩემი აღარა გჯერა – რაო! ამის თქმა და მამაჩემის ზეზე წამოვარდნა ერთი იყო: მომგვარეთ მოურავო, – დაიყვირა. მოიყვანეს ნამძინარევი მოურავი, მაგრამ, სანამდი ის რასმე იტყოდა, მიაძახა ბატონმა ბიჭებს: „მე ფარისეველი სახლში აღარ მინდა, დააყოლეთ ეგ შეჩვენებული თავდალმართზე და მიაყოლეთ პანლური, რომ სასახლისკენ პირი აღარა ქნასო!“

ეს მოურავი მართლა საძაგელი რამ იყო. მაგრამ მამაჩემი მაინც არ ელეოდა და დედაჩემმა, რომ იცოდა მამაჩემის ხასიათი, სახარების კითხვაში შეუჩინა დრო და ძლივს გადაარჩინა ოჯახი იმ ცუდი მოურავისაგან.

ამით ვათავებ მამაჩემზე საუბარს, თუმცა ბევრი რამ შემეძლო რომ კიდევ მეთქვა.

ჩვენი სახლის ზედა სართულს ოდა ერქვა, ქვედას – პალატი, და ორივეს საერთოდ კი – სასახლე, რომელსაც ირგვლივ, სამი კუთხით სხვადასხვა შენობა ერტყა: სამოახლო, საფარეშო, სახაბაზო, სამზარეულო, ბეღლები, საბძლები, სასიმინდეები, მარანი და სხვადასხვა ხულები. იმათზე ცოტა მომერებით საჯალაბო იყო და იმ საჯალაბოს გარს ერტყა საჯინიბო, სათხებო, საღამოებო, საქათმე, საბატე, საინდოურე და სხვ. სამოახლოში ქალები იდგენ და სამ ხარისხოვნად იყოფებოდნენ: გამდელებად, მოახლებად და გოგოებად. გამდელი, როგორც ოჯახის ერთგული, ნამსახური და მოჭირნახულე, დიდ პატივში იყო, ხმა ჰქონდა საოჯახო საქმეში და ბატონიშვილების გამოზდაც მის ხელში იყო. ეს ყოველ ოჯახში საზოგადოთ ძველთა-

განვე მიღებული იყო, მაგრამ დედაჩემი კი ამ კანონს არ დასდევდა და უფრო თვითონ ზრდიდა შვილებს. მოახლე ქალბატონთან თან შეზრდილი და ნამზითევი, მისი ხელზე მოსამსახურე იყო; გოგო კი – ყველას მორჩილი და მოსამსახურე. იმათ გამდელები ადევნებდენ თვალ-ყურს და სწვრთნიდენ; საქმე არ გამოელეოდათ ხოლმე: ჭრა, კერვა, ქსოვა, ქარგვა, რეცხვა, აბრძუმის მოყვანა და სხვა ამგვარი რამ ხელსაქნარი – მათი პირდაპირი მოვალეობა იყო.

კაცებს უფრო ცოტა საქმე ჰქონდათ სასახლეში. სახაბაზოში საბაზები იდგენ; დღეში ორჯელ გაახურებდენ თორნეს, გამოაცხობ-დენ საცხობს და სხვა საქმეს, რაც უნდა საჭირო ყოფილიყო, ხელს არ მოჰკიდებდენ. სამზარეულო მზარეულებს ეჭირათ ხელში და ისინიც ხაბაზობის კვალობაზე მიდოდენ. მარან-ბეღლები ხელოს-ნებს ებარა, სასიმინდე და ხულებიც მათი საქმე იყო; საბძლები კი მეჯინიბებს ჰქონდათ მიჩენილი. მოჯალაბე და მწყემსები ცალკე წრეს შეადგენდენ, ყველას თავისი საკუთარი, ძველთაგანვე დანესე-ბული და გადაჭრილი საქმე ჰქონდა: სხვა საქმეს ხელს არ ჰყიდებდა, სხვების საქმეში არ გაერეოდა; იცოდა მხოლოდ ის, რაც მისი საქმე იყო და კიდეც ასრულებდა, თქმა აღარ უნდოდა. ეს ყველა ასე იყო, მაგრამ, რადგანაც ამგვარი საქმის კეთება მაინცდამაინც ბევრ დროს არ მოითხოვს, ბატონის მხლებლებიც უმეტეს ნაწილად უსაქმურად ბრძანდებოდენ და სიზარმაცით დათენთილი იყვნენ. მხოლოდ ფარე-შებმა არ იცოდენ, რა უნდა გაეკეთებიათ; თუ ბატონები არ მიუ-თითებდენ, ისე, თავისითავად, ხელს არაფერსა ჰყიდებდენ.

ჩვენს სახლს წინ დიდი ეზო ჰქონდა, სადაც უზარმაზარი ნიგვ-ზები, ანუ, როგორც ზოგან უნდებენ, კაკლის ხეები, საჩრდილ-ებლად თავმომწონედ შლილენ შტოებს. სახლის წინ კარის ეკელე-სია იყო აგებული, უკან საქალებოთი. ძველად, საქართველოში არც ერთი ეკელესია არ აშენდებოდა ისე, თუ უკან საქალებოც არ ექნე-ბოდა მიდგმული. წირვა-ლოცვის დროს საყდარში წინ კაცები იდგენ და უკან საქალებოში კი, ქალები. რასაკვირველია, არავის მამაკაც-თაგანს ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ ზურგი მიექცია ხატებისაკენ და ქალებისათვის დაეწყო ცქერა! დღეს კი, როდესაც რუსულ წესზე აშენდა ჩვენი საყდრები და საქალებოს აღარ აკეთებენ, ქალები და კაცები არეულად შედიან საყდარში, ნახევრად ტიტველი ქალები თვალს იტაცებენ კაცებისას, და მლოცველებსაც ზეციური სასოება ქვეყნიურ იმედებზე გადააქვთ, სისხლი უღელავთ და გულისთქმა ებილნებათ.

თითქმის ყოველ დიდ ოჯახს ჰყავდა ძველად საკუთარი მღვდელი; წირვა-ლოცვა გაუწყვეტელი იყო და ადრე მღვდელსაც უფრო პატივსა სცემდენ, ვიდრე დღეს. მეფე და მთავრებიც შენდობას სთხოვდენ მღვდელს და ხელზე ეამბორებოდენ; მხოლოდ ბატონები თავის საკუთარ მღვდლებს, რადგანაც სულ ერთად იყვენ, არა ჰკონიდენ ხელზე. ამიტომაც დარჩენილა ჩეგნში ანდაზი: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“.

აი, ვრცელი სახე, როგორც საზოგადოთ ყველა დიდ ოჯახებისა, ისე ჩვენი მოსახლეობისაც. ეხლა ეგებ ვინმემ იკითხოს, თუ რათ უნდოდათ მაშინდელ ბატონებს ურიცხვი ფარები სასახლეში, მაშინ, როდესაც საქმე არა იყო რაო? ამის მიზეზი იყო მაშინდელი ბატონ-ყმობის წესი და რიგი, ძველთაგანვე ისე რჯულად დაკანონებული, რომ მისი გატეხა ცოდვად მიაჩნდათ.

ბატონყმობა ჩვენში პირობით იყო და არა უსაზღვრო, როგორც სხვაგან. ყმებმა იცოდნენ, რა უნდა გადაეხსადათ. ბატონებმა – რა უნდა გადაეხდევინებინათ, და ორივე მხარე შეურყევლად ასრუ-ლებდა თავის მოვალეობას. სხვადასხვა გვარის და სხვადასხვა სოფ-ლის გლეხები, სხვადასხვაგვარად იყვენ დაბეგრილი, ზოგს მეტი ემართა, ზოგს ნაკლები, ზოგს სულ ამოკვეთილი ჰქონდა ბეგარა და გააზატებული იყო. ერთ ჩვენ გლეხთაგანს, სხვათა შორის, ნახევარი კვერცხიც ემართა. ყველიერის დაურწყებას ჩამოვიდოდა სასახლეში, სამზარეულოში შეწვავდა კვერცხს, გაფცევნიდა, მერე გაჟყოფდა ძუით შუაზე და ნახევარ კვერცხს მიართმევდა ბატონს, როგორც ბეგარას. ნახევარ კვერცხის ბეგარა ისე აწუხებდა იმ გლეხს, რომ რამდენჯერმე სთხოვა ბატონს ამომიკვეთე და ერთს ძროხას მოგ-ართმევო. მაგრამ პასუხად ამას უუბნებოდა: საშვილიშვილო ვალ-დებულება რომ მე მოვსპო ძროხას გულისათვის, ეს ღორმუცელობა იქნება, და თუ სხვებ გამოიჩენ როგორმე თავს ერთგულობით, მაშინ კი შეიძლებაო. მართლაც, ჩვენს სამოახლოში სახადი გაჩნდა, ავადმყოფები გადახიზნეს. საორმოცომ ისე შეაშინა ყველა, რომ ავადმყოფებს არავინ ეკარებოდა; მაშინ ამ გლეხკაცმა იშოვა დრო, დაადგა თავზე ამ გადაწოლილებს და უპატრონა. ამ ერთგული სამ-სახურისათვის ამოუკვეთეს ნახევარი კვერცხის გადახდა.

ერთ გლეხს წელიწადში ათი კოკა ღვინო ემართა; ერთ წელიწადს ღვინო აღარ მოუვიდა და ბატონმაც კოლოტებით ღვინის მაგიერ ათი კოკა წყალი გამოატანია და ჩასახმევინა ჭურში. ღვინო რომ არ მოუვიდა, ის ღვთის წება იყო; გლეხკაცმა მუშაობა და შრომა მაინც

არ დაკლებიაო და, რაც არა აქვს, რა უნდა გადავახდევინო. მაგრამ წყალი ხომ ზედ კარზე ჩამოუდისო, და მიტომ გამოვატანინე, რომ არ იფიქროს, ბეგარა ამოკვეთილი მაქვსო. რაც მამა-პაპიდან არ მართებს, იმაზე მეტს არა ვთხოვ, მაგრამ, რაც მართებს, იმას კი ვერ შევარჩენო, რადგანაც მამებს ასე გადმოუციათ ჩვენთვის და შვილებსაც ასე უნდა გადავცეთო. თვითონ გლეხებიც მტკიცედ იდგნენ თავის პირობაზე და ნამეტანის გადახდას სიკვდილს არჩევდნენ.

როგორც სოფელი შროშა ქათმით, რაჭა ხბოთი და არგვეთი ცხვრით, ისე თავასა ლორის სიკეთით იყო განთქმული. თავასელ გლეხებს ბეგარად ედვათ, რომ ყოველ წელინადს, ნაშობევს, დაურწყების კვირაში, თითო ბურაკი გამოეტანათ სასახლეში. ჩვეულებადა ჰქონდათ, რომ მარჯვენა ფეხი უნდა მოეჭრათ გამოტანილ ბურაკისათვის და უკანვე წაეღოთ შინ. ამას ბედის დაბრუნებას ეძახოდნენ.

ერთხელ ერთ გლეხთაგანს გზაში დაგვიანებოდა და, რომ დამარხვდა, მეორე დღეს მოიტანა ბურაკი. ბატონი გაუწყრა და ის ბურაკი იქვე დაბმულ დათვს გადაუგდო. დათვმა, რასაკვირველია, მაშინვე დატორა. გამნარებულმა გლეხმა გაიმეტა თავი, შეეჭიდა დათვს, გამოგლიჯა ბურაკი, მოჭრა მარჯვენა ფეხი და დანარჩენი ისევ გადაუგდო: „არა, შენი ჭირიმე, – მიაძახა, როგორც დამნაშავეს, რაც გინდა ის მყავითო, მაგრამ ჩემს ბედსა და მამა-პაპის ჩვეულებას დათვს ვერ შევაჭმევო!“

გრიგოლ წერეთლის შვილი ნესტორ წერეთლის მამა, დიმიტრი, რუსეთში იყო გამოზდილი. დაბრუნდა თუ არა, ოფშვითელი ნიუარაძის ქალი შეირთო, მდიდარი მემკვიდრე. ჩაესახლა იქ და მეოჯახობას მიჰყო ხელი. ერთ ლამეს ვიღაცამ თოფი ჰერა და მძინარი მოჰკლა. მკვლელობა მიაწერეს ცოლის ნათესავებს, როგორც გარეშე მემკვიდრეებს, დაიჭირეს, ბევრი დასაჯეს, ზოგი ციხეში გამოახრჩეს და ზოგიც ციმბირში გაგზავნეს. გაიარა ორმოცდაათმა წელიწადმა. ერთმა მოხუცებულმა სოფლებმა სიკვდილის წინ აღიარა საჯაროდ შემდეგი: „მე ვიყავი დიმიტრი წერეთლის შინაგანი, ერთხელ კამბეჩები დარჩენილიყვენ ღამე საჩეხს გარედ და ბატონმა გვიბძანა, რომ შეგვერეკა საჩეხში; ჩვენ, რასაკვირველია, უარზე დავდექით, რადგანაც მწყემსები არ ვიყავით. მაგრამ ბატონი გაგვინწყრა და გვიბრძანა: მე ეგეები არ ვიცი, რასაც გიბრძანებთ, ის უნდა გააკეთოთო! ეს გვეუცხოვა ჩვენ, ფარეშებს, პირობა შეეკარით, რომ მოგვეკლა. წილი ვყარეთ და მე მერგო. იმ ლამეს მივეპარე მძინარს ფანჯრიდან

და თოფი ვკარიო“. ამ რამდენიმე მაგალითებიდან მკითხველი ცხადათ დაინახავს, თუ რა მძიმედ იდგენ თავის მოვალეობაზე ბატონიცა და ყმებიც. აზატ გლეხებს არაფერი გადასახადი არ ემართათ და მიღიოდენ საბატონო აზნაურების კვალობაზე: გამოჰყავდათ სასახლეში თითო პატარა ბიჭი ხელზე მოსამსახურედ და იმით თავდებოდა მათი მოვალეობა. აი, სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ დიდ ოჯახებში ორმოც-სამოცობით ეყარენ ფარეშები და საქმეს კი არაფერს აკეთებდენ. ბატონების დროს მხოლოდ მოვალაბები იყვნენ საზოგადო კანონს, რიგსა და ჩვეულებას მოკლებულნი. გლეხი, მინა-წყლის პატრონი, და მოვალაბე უმინაწყლო, სულ სხვადასხვა იყო. მოვალაბედ გახდებოდა მხოლოდ ნაყიდი, ანუ ტყვედ წაყვანილი და სრული მონაც იყო მისი პატრონისა. მოახლედაც მოვალაბის შვილები უნდა გაეყვანათ და გლეხისას ვერ შეეხებოდნენ, გინდობოლიც ყოფილიყო.

სიკო წერეთელს ერთი გლეხი გადაუშენდა და უპატრონო ობოლი მოსამსახურედ გამოიყენა. სოფელია ინყინა და მოციქული მიუგზავნა: მინა-წყალი თქვენია, საკომლოს რაც გნებავთ, ის უყავით, მაგრამ ობოლზე კი ხელი არა გაქვთ და დაგვიბრუნეთ, რომ ჩვენვე ვუპატრონოთ და გავათხოვოთო. ბატონმა, რასაკვირველია, ყურადღება არ მიაქცია მათ თხოვნას. ერთ დღეს რაღაც უჩვეულო ხმაურობა მოისმა საჩერებები. გაიხედეს და დაინახეს, რომ ყვირილის პირად ხვადაბუნები მოდებული იყო გლეხკაცებით, კალიასავით მოჰკლენოდენ ჭალებს, შემოვიდენ საჩერებები და შემოერტყენ ირგვლივ წერეთლის სახლს ყვირილით: ნუ ჩადიხართ უსამართლობას, გოგო დაგვიბრუნეთო. როდესაც ბატონი გაუძალდა, გლეხებმა შეუყარეს კეტები ხის სახლს და სულ ჭრიჭინ-ჭრიჭინი დააწყებინეს. შემინებულმა ბატონმა დაუბრუნა გოგო და გლეხებმაც სულ მაყრულითა და ვარხალალოთი წაიყვანეს თავის სოფლისკენ. იმ დროს დიდი სვიმონ წერეთელი, სახუცის შვილი, მეფის სიძე, ლრმა მოხუცებული კიდეც ცოცხალი იყო; ინყინა ეს შეურაცხყოფა გლეხებისაგან, შეაკაზმინა თავისი ლურჯი ბედაური (მთელ საწერეთლოში მისი ლურჯი ბედაური იმ დროს განთქმული იყო), შეჯდა და დაიძახა: „მდევარიო!“ მაშინ ყველა მებატონებს ბედაურებით საჯინიბოები გავსილი ჰქონდათ. თვალის დახამხამებამდე გამოეწყვენ, შეიკაზმენ წერეთლის შვილები, თან იახლეს დაიარალებული აზნაურიშვილები და გამოუდეგნ გლეხებს. ხვადაბუნებები, ყვირილის პირად, მოსწოდნენ. გლეხებმა რომ დაინახეს მათზე მიმავალი ცხენოსანი ჯარი, მობრუნ-

დენ, მოიმარჯვეს ხელკეტები და დაწყებული რაზმებად. წამოდგენ წინ მოხუცებული გლეხები. მიეგებენ ბატონებს, დაუწოქეს და მოახსენეს: ნუ იზამთ მისთანა უსამართლობას, რომელიც არც თქვენს ძველებს და არც ჩვენს ძველებს არ ჩაუდენათო, ნურც თქვენ თავს გაგვამეტებიებთ და ნურც ჩვენ ამოგვწყვეტთ ცუდუბრალოდო. ორივე მხარე მაგრად იდგა და, ვინ იცის რით გათავდებოდა საქმე! მაგრამ ამ დროს გაჩნდა მისი ჭაკი ცხენით ოქროპირ მღვდელი, წერეთელი და ჩამოვარდა შუაკაცად: როგორ გეკადრებათ გლეხკაცების თავის გაყადრება! – მიუბრუნდა წერეთლებს, – თავი დაანებეთ, მთავრობას შეატყობინეთ და ის გასცემს მაგათ თქვენ მაგიერ პასუხსო. მართლადაც, გლეხკაცები ძალიან დასაჯეს, ზოგი დააპატიმრეს და ზოგიც გაგზავნეს. საკვირველი ის იყო, რომ ეს ხალხი, რომელიც ჩხუბს უპირებდა მშვენიერ დაიარალებულ ცხენოსან ჯარს, სრულიად დაემორჩილა მხოლოდ ერთ „ზასედატელს“ და ორ ყაზახ რუსს. „რა გაეწყობაო, – ამბობდენ, – ძალა აღმართს ხნავს, მტერმა, რაც უნდა, ის გვიყოს, მაგრამ შინაურობაში კი წესა და რიგს ვერც ჩვენ გავტეხთ და ვერც სხვებს გავატეხინებთო!“ ამგვარი მაგალითები ბევრი ყოფილა, მაგრამ სანიმუშოდ ესეც კმარა.

ბატონყმობის დროს, ჩვენში ცემა-ტყეპა ძალიან იშვიათი რამ იყო! თუ გალახავდნენ ხელით, ან მათრახით, ან ჯოხით, ისევ პატარა ახალგაზდა ფარებებს, თორემ დავაშკაცებულს არა, ამათ შესარცხვენად საკმარი იყო პანლური და ცალი ულვაშის აწევა. „როზგი“ ამ ბოლო დროს შემოიღეს, თორემ ადრე ქართველებმა მისი სახელიც არ იცოდენ.

აი, რა გამიგონია მამიჩემისა და ბიძიჩემისაგან: 1830 წ. ქუთაისში შეკერიბეს იმერეთის თავადაზნაურობა, რომ მარშალი აერჩიათ. იმ თავად-აზნაურებში ერთი თურმე კაპიტანი მიქელაძეც ერია, რომელსაც სუყველა ერიდებოდა. ზემოურებს თურმე გაუკვირდათ ეს და ჰყითხეს ქვემოურებს: რა მიზეზია, რომ მაგ დარბაისელ კაცს პირს არიდებთო? მეტი რაღა მიზეზი უნდაო – უბასუხეს ქვემოურებმა – ეგ დალოცვილ წამოაქცევინებს გლეხკაცებს, ჩაახდევინებს და სულ ისე აროზგვინებსო! ზემოურებმა რომ ეს გაიგონეს, იმათაც ზურგი უჩვენეს ათვალწუნებულ ვაჟბატონს.

ჩვენ ოჯახში მახსოვს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, რომ კაცი დაესაჯოთ. და აი ერთი იმათგანი. ერთხელ სოფლიდან გამოვიდა მოხუცებული გლეხი და შეევედრა მამაჩემს: შენი ჭირიმე, ეგებ მიშველოთ რამე, შვილი გამიმუტრუედაო, ნაქართლი გახლავსო. როცა

იქ მიდიოდა, გვარიანი ჭუიანი ბავშვი გახლდათ, ახლა, იქიდან რომ დაბრუნდა, ჭუის ნიშან-წყალიც აღარ ეტყობაო. ჩაუცვამს რაღაც ქაჯურად, იპრანჭება და სამუშაოდ ხელს აღარ ანძრევსო, ამან ყოველიფერმა კიდევ თქვენი ჭირი წაიღინა, მაგრამ ერთი მისთანა საქმე ჩაიდინა, რომ ოჯახსაც თავი მოსჭრა და ჩვენ სოფელსაცო: საჯაროდ ყბაში სილა გაარტყა დედაკაცსა... საბრალო ჩემი რძალი წყალში გადავარდნას აპირებდა, რომ ჩვენ არ დაგვეჭირაო.

მამაჩემმა გამოაყვანინა ნაქართლი ბიჭი, რომელმაც რაღაც ახირებულად დაუწყო მუსაიფა ბატონს: „კნიაზს გაუმარჯოს“, – უთხრა ბატონს. ბატონს გაუკვირდა და ცივად უპასუხა: შენც ღმერთმა შეგარცხვინოს და შენი კნიაზიცა! ე რას დამგვანებისარ, რანაირად ჩაგიცვამს?

– როგორ თუ რანაირად, კნიაზ? ჩვენი ადათი ესე გახლავს.

– როგორ თუ თქვენი? სადაური?

– ქალაქური. მე გეურქ აღასთან ვიყავ ქარვასლაში. იქ ყველანი ასე იცმენ!

– კი, მაგრამ ეგ ქუდი რომ განზე მოგიქცევია და მარტო ნახევარზე გახურავს, ნახევარმა თავმა რაღა დააშავა?

– ეს ანჩისხატური გახლავს.

– ეგ კოპლებიანი ქამარიც ანჩისხატურია? წვეტიან ჩექმებზე რომ შემდგარხარ, თითო ტკაველა რიკი მიგიცია ქუსლებისათვის და, შენ საკუთარ სიმაღლეს რო აღარ ჯერდები, გინდა ცაც მოატყუო და დედამიწაც?

– ესეც ადათი გახლავს, კნიაზჯან.

– ადათი! ჰმ! მაშ, ისიც ადათი ყოფილა, რომ შენ დედაკაცი გაგილავს?

– ვისი დედაკაცი? მე ჩემს ცოლსა ვცემე.

ამ მუსაიფს მოსამსახურები ყურს უგდებდენ, უკვირდათ და თავის ქნევით იღიმებოდნენ. ერთხანს ბატონსაც ეცინებოდა, მაგრამ ბოლოს ვედარ აიტანა მისი უზდელი სიტყვა-პასუხი და დაიღრიალა: სტაცეთ ამ წუნქს ხელი, ბიჭებო! მოხადეთ ქუდი, გააძვრეთ ჩოხა, შემოხსენით ეშმაკის კოთხოებიანი ქამარი, გახადეთ ფეხს და მიაკარით ხეზეო! მოსამსახურები მიცვივდნენ და სიამოვნებით აასრულეს ბატონის ბძანება. ბოლოს ბძანა ბატონმა, რომ სამოახლოდან გამოსულიყვენ გოგოები, სათითაოდ მისულიყვენ მასთან და ეთქვათ: ფუი, შეგირცხვა წვერ-ულვაში, რომ დედაკაცსა სცემო. ეს რომ გაათვეს, ბძანა, რომ ხელშეკრული გაეყვანათ წყალგაღმა, იქ გაეხსნათ

მისთვის ხელები, პანღური ეკრათ და გაეგდოთ. ეს ამბავი ძალიან ეწყინა დედაჩემს, რომ გაიგო და უსაყველურა ქმარს, როგორ იქნება მაგრე გაკიცხვა კაცისა და შერცხვენაო! ჭხადია, რომ სულელია და მაგითი ეგ ჭუას მაინც ვერ ისნავლისო. ამაზე მამაჩემმა ესა სთქვა: მაგის ჭუას მე რას დავეძებ, მაგრამ სამაგალითოდ დავსაჯე, რომ სხვებიც არ გაბრიყვდენ სოფელში და პრანქიობა არ დაიწყონ".

აი, ასეთი იყო სახე იმ ოჯახისა, სადაც მე სოფლიდან მიმიყვანეს.

სასახლეში რომ გამომიყვანეს, პირველ ხანებში ძალიან მოწყენილი ვიყავი. დედამ შემნიშნა ეს, მომიჩინა პატარა ბიჭები და მიმანება თავი. მე ამ ახალ ამხანაგებთან ერთად დილიდან საღამომდე სულ მინდორში დავრბოდი; მხოლოდ სადილად დამიძახებდენ ხოლმე. თვითონ დედაჩემი, როგორც წინედა ვსთქვი, მშრომელი იყო: დილიდან დაწყებული საღამომდე სულ ფეხზე იდგა; საღამოს შემობრუნდებოდა სახლში და მაშინ ჩვენც დაგვიძახებდენ ხოლმე. დაანთებდენ ბუხარში ცეცხლს, ბუხრის წინ გაგვიშლიდენ შვლის ტყავს და დაგვსვამდენ ზედ. ირგვლივ შემოგვეხვეოდენ ბიჭები და მოგვიყვებოდენ ხოლმე ზღაპრებს. ზღაპარი რომ მოგვწყინდებოდა, მაშინ გავშაირდებოდით ხოლმე ერთმანეთში: ან გამოცანებს ვამბობდით ან სხვებ როგორმე ვიქცევდით თავს ვახშმობამდე. დედა იქვე ტახტზე იჯდა ფეხმოკეცილი, წიგნს ჰკითხულობდა თავისთვის, მაგრამ ჩუმად კი ყურს უგდებდა: ბიჭებს ურიგო არა წასცდეს რა ყმაწვილებთანო. ჩემ ამხანაგ ბიჭებში ერთი პატარა ბიჭი ერია. დიდი გამოეშმაკებული ყოველიფერში, მაგრამ გულისყური კი არა ჰქონდა. როცა დედა დაგვასწავლიდა ხოლმე ჩვენ ყველას საზეპირო ლოცვებს, ის ბიჭი ისე გამოშტერებული იდგა, რომ სიტყვის განმეორებას ვერ ახერხებდა. დედაჩემს ეს ძალიან უკვირდა: „ისე ყოველიფერში მოხერხებული და ნიჭიერიაო, და გულისყური კი დახშული აქვსო!“

— გაიკეთე სამი თითი, — ეტყოდა ხოლმე გამოლენჩებულ ბიჭს: — დაიდევი შუბლზე! სთქვი: „სახელითა მამისათა!“ ახლა კიდევ ჭიპზე!.. სთქვი: „და ძისათა!“ ახლა მარჯვენა მხარზე: „და სულითა წმინდისათა!“ ახლა მარცხენაზე: „ამინ!“ ბიჭი იმეორებდა თუთიყუშივით, მაგრამ თავისთავად კი ვერ ამბობდა. ბოლოს, რომ ვეღარა მოუხერხა რა, სულ დაანებებია თავი და ერთხელ, ბუხრის წინ რომ ვთამაშინდით, დედაც ვითომ ხუმრობით მიუბრუნდა იმ ბიჭს და უთხრა: „პეტრე იყო ბელატიო!“ (მელოტი) უჩვენა შუბლი და დაადებია სამი თითი. „წვერი ჰქონდა აქამდიო“, დაადებია თითები ჭიპზე, „ულვაშები აქედან-აქამდეო“ — გაატანინა მარჯვენა მხრიდან მარცხენაზე

ხელი. ამ სიტყვების შემდეგ, რასაკვირველია, წარმოვიდგინეთ მოხუცებული პეტრე, თავტიტველა, დიდის წვერებითა და ულვაშებით. დავიწყეთ სიცილი და ზედიზედ ვიმეორებდით ზემო სიტყვებს, ხანერთი და ხან მეორე. შედეგი ამის ის იყო, რომ უგულისყურო ბიჭმა პირვერის წერა ისწავლა და მეორე დღეს „სახელითა მამისათაც“ გაიზეპირა. ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. დედაც გამხიარულდა და მკითხა: „შენ არ იცი ჯერ ლოცვებიო?“ — „როგორ არა, სოფელში მასწავლეს და თუ იმას არ მათქმევინებდენ, ისე არ დამაძინებდენ ხოლმე-მეთქი“ და მოვცყევი ზეპირად:

„დავწვები, დამეძინება,
პირჯვარი დამეწერება.
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
თავითა დამესვენება!..“

ჯვარი მწყალობს ჯვარცმული,
ვერას მავნებს მაცდური!

— კარგი ლოცვააო, მითხრა დედამ, მაგრამ ეგ სოფლურია და ჩვენ კი სულ სხვა ლოცვები გვაქვს, წმინდა მამებისაგან შედგენილიო, და ის უნდა ისწავლოო“. მეც, რასაკვირველია, დავეთანხმე და ერთი თვისი განმავლობაში „მრწამსი“, „მიწყალე“, „მამაო ჩვენო“, „წმინდაო ლმერთო“ და სხვანი სულ ზეპირად ვიცოდი. ისე გამიგემრიელდა საზეპიროები, რომ წერა-კითხვის სწავლაც მოვინდომე, მაგრამ დედამ მითხრა: „ჯერ ბრიყვი ხარ და არ შეგშვენის წერა-კითხვაო; როცა დაჭკვიანდები და ხასიათიც კარგი შეგექნება, მაშინ გასწავლი, თორებ ჯერ შეს რა ლირსი ხარო!“ ამ სიტყვებმა სულ ცეცხლი მომიკიდეს და ვცდილობდი დაჭკვიანებას, რომ ჩემ ძმებსავით მეც წერა-კითხვის ლირსი გავმხდარიყავო. მეხარბებოდა ესეები რომ კითხულობდენ, და ბოლოს ჩემმა ბედმაც გასჭრა. ერთხელ ჩემი ძმა, რომელიც რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი იყო, მღვდელს მოეხმარა და წირვაზე შვენივრად წაიკითხა „სამოციქულო“. ნაწირევს დიდი და პატარა ყველა მის ქებაში იყო.

მე მეხარბებოდა და გული მწყდებოდა. ერთმა გლეხმა მკითხა: „შენ როდისლა წაიკითხავო?“ ჩემ მაგიერად მეორემ მიუგო: „როდინობის კვირეშიო!“ მივხვდი, რომ დამცინოდენ და მეწყინა. იმ დღეს ჩემ უფროს დას კალთა დავაგლიჯე ხვეწნით: „კითხვა მასწავლე-მეთქი“. იმანაც დამარიგა: „დედამ არ გაგიგოსო“, და ჩუმად დამაწყე-

ბინა კითხვა: მოკლე ხანში ანბანიც ვისწავლე და ამოსალებიც დავინებუ. „თუ აგრე კარგად და გულმოდგინედ ისწავლი, მალე სამოციქულოსაც დაგასწავლი და საყდარში წაგაკითხვებო, – მეუბნებოდა ჩემი და, – დედას ძალიან გაუკვირდება და მოგიწონებსო“; მე ამ იმედით წახალისებულს, დღედაღამ მეტი აღარა მეფიქრებოდა რა. რა ვიცოდი, თუ ეს სულ დედიჩემის ხერხი იყო, რომ წერა-კითხვა შემყვარებოდა! ამ ნაირმა წინდახედულობამ ძალიან შემაყვარა წიგნის კითხვა და ერთ წელიწადსაც არ გაუვლია, რომ მე მღვდელს ვეხმარებოდი.

დედაჩემი არ გვაქალაჩუნებდა ჩვენ. „ნამეტანი ალერსი აფუჭებს ყმანვილსო“, – იტყოდა ხოლმე და მართლაც, თუმცა გალაზვა არ იცოდა ჩვენი, მაგრამ შიშით მაინც კი ძალიან გვეშინოდა მისი. არც ერთ დანაშაულობას არ შეგვარჩენდა, რომ არ გადაეხდევინებინა ჩვენთვის: მაგრამ სასჯელი კი ახირებული იცოდა! მაგალითად, წიგნის კითხვის ნებას არ მოგვცემდა. „ლირსი აღარა ხართ, როგორც დამნაშავეო!“ და მაშინ უნდა გენახათ ჩვენი მწუხარება!.. „იი! იი!“ დაგვცინოდენ ბიჭები და გოგოები სასახლეში: „უნიგნოდ დარჩით, უწიგნოდ დარჩითო!“ და, მართლაც, ჩვენს სირცევილსა და მწუხარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. რამდენსამე წლის განმავლობაში ხუცური ზედმინევნით ვიცოდი; მხედრული ჩემით ვისწავლე, ანბანის წერა ბეჭთე დავინებუ. რუსული კითხვა დედაჩემმა მასწავლა, მაგრამ სიტყვები კი ბევრი არც დედას ესმოდა და არც მე. ერთ ძველი, მოსკოვში დაბეჭდილი, „რაზღლოვორი“ გვერნდა და იმას მაზეპირებიებდა ხოლმე. დედაჩემი სულ იმას ფიქრობდა, რომ ჩვენ უსაქმოდ არც ერთ წამს არ დავრჩენილიყავით და სწორედ რომ ახირებულად გვზრდიდა. სულ ფეხშიშველა და თავშიშველა დავრბოდით მინდორში, არც გაცივების გვეშინოდა და არც შიმშილის. „კაცი ისე უნდა იყოს დაჩვეული ბავშვობიდანვე, რომ ცხოვრებაში ყოველიფერი აიტანოსო“, – იტყოდა ხოლმე დედაჩემი, და, მართლაც, რომ მისი რჩევა ბოლოს გამოგვადგა. რომ უფრო დაწვრილებით გაიგოს მკითხველმა, თუ რანაირად გვზრდიდნენ ჩვენ სოფელში, მე ავნერ წლიდან წლამდე რას ვაკეთებდით და ან დღეს როგორ ვაღამებდით!

დილას, გამოვილვიქებდით თუ არა, ქვეშაგებშივე უნდა გვეთქვა ეს ლოცვა: „გმადლობ შენ, უფალო, ყოვლითა გულითა“ და სხვ; მერე ხელ-პირს დავიბანდით, ჩავიცვამდით, წავდგებოდით ხატების წინ, საზეპირო ლოცვებს ვიტყოდით და ზედაც დაუჯდომელს მოვაბაძდით. ლოცვის შემდეგ პირს გავისველებდით, ე. ი. ცოტა რასმე ვის-

აუზმებდით, რომ იმ დღეს, გამოსვლის დროს, ჩვენთვის ჩიტს არ დაესწრო და არ ეჯობნა; მერე მივუჯდებოდით წიგნებს, ერთ ხანს ვკითხულობდით, ვსწავლობდით და, რომ მოვრჩებოდით, შემდეგ კი საღამომდე თავისუფალი ვიყავით. სადილად მოგვიკითხავდენ ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ, როცა „სტუმრობიას“ თამაშს მოვინდომებდით ხოლმე, გარედ ვრჩებოდით და ერთად პატარა ფარეშებთან სუფრას ხეს ქვეშ, სადმე ჩრდილში, გავშლიდით. იქ, ჩვენ კერძს გარდა, მოსაკითხიც მოგვალიდა. მასპინძლებად ყოველთვის ყმანვილები ვიყავით ხოლმე და სტუმრებად კი – პატარა ფარეშები. უნდა გამოგიტყვდეთ, რომ ჩვენი სტუმრები ძალიან უბოდიშოდ გვეცეოდენ და გვაბრიყებდენ: გვეტყოდენ ხოლმე: „დაგვახრჩეო!“ დაგვიღებდნენ პირს და რაც კი რამ გაგვაჩნდა, ვტენიდით პირში, განსაკუთრებით ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს. ისინი გააბამდენ ყვირილს: „ვაიმე ვიხრჩობით, ვიხრჩობითო“. აიტეხდენ განგებ ხველას და დაიწყებდენ ფართხალს. ჩვენ სრული დარწმუნებული ვიყავით, რომ ისინი იგონებდენ ყოველიფერს, მაგრამ ეს თვალომაქცობა მაინც ძალიან მოგვწონდა. გვიხარიდა. საღამოს, შინ რომ დავბრუნდებოდით, დედა გვკითხავდა ხოლმე: „რა ქენით? რა გააკეთეთ? რა ითამაშეთ? რა იღაპარაკეთ?“ და სხვანი... საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ სპარტანულად გვზდიდენ; არ გვარიდებდენ არც სიცივეს, არც სიცხეს, არც დარს და არც ავდარს. დილდილობით ცვრიან ველზე ფეხშიშველას უნდა გვერბინა. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, ფიფქებე რამდენჯერმე უნდა გაგვერბინ-გამოგვერბინა; დასოვლებული და სიცივისაგან გაჭარბლებული ფეხები ცეცხლზე უნდა შეგვეშრო. დარწმუნებული ვიყავით, რომ ამით ტანმრთელობა მოგვემატებოდა. ახალ გაზაფხულზე რომ წვიმა მოვიდოდა, ჩვენ სახლის ლარს თავს ვუშვერდით, რომ ოქროს ხუჭუჭი ამოგვსვლოდა. უმთავრესი ყურადღება ჩვენი წირვა-ლოცვაზე და მარხვაზე იყო მიქცეული. სამწუხარო დრო ჩვენთვის დიდმარხვა იყო: მთელი დღე საღამომდის, სანამ ლოცვა არ გამოვიდოდა, წყლის მეტს არაფერს მიგვაკარებდენ; საღამოსაც მარტო ხმელ პურს გვაძლევდენ. არა თუ შეჭამადი რამე, ლვინო, მარილი და ზეთიც აკრძალული გვქონდა. თამაშის ნებაც არ გველეოდა. ცისკარს როგორ დაგაკლდებოდით?

ესეები ყველა ჩვენთვის ჯოჯოხეთი იყო და, რასაკვირველია, აღდგომას სულწასულობით მოველოდით. მას უკან ნახევარმა საუკუნებ გაიარა, მაგრამ დღესაც დიდმარხვა რომ დადგება, მე ჩემს ქერქში აღარა ვარ და ვერც მოვიხდი სიკვდილამდე სიყმანვილიდან

დარჩენილ ზაფრას. საზოგადოთ დიდ ოჯახებში ყველგან ამაოდ-მორწმუნება იყო გავრცელებული: ყმანვილებს ყველას სჯეროდათ, რომ ჭინკები, ქაჯები, კუდიანები და ეშმაკები ქვეყნად დადიან და ადამიანებს აშინებონ. ეს სენი ჩვენს ოჯახშიაც მოდებული იყო. ახლა, როგორც ვფიქრობ, ეს სულ მოსამსახურების ბრალი იყო: იმათ, საზოგადოდ ბიჭა და გოგოებს, აკრძალული ჰქონდათ ერთ-მანეთთან მისვლა-მოსვლა და თამაშობა: დღე ვერ ბედავდენ და, ღამლამობით რომ თავისუფალი ყოფილიყვენ და ვერავის დაენახათ, ბატონიშვილებს, ყმანვილებს განზრას აშინებდენ და ისინიც, დალამ-დებოდა თუ არა, შიშით კარში ვეღარ გამოდიოდენ. არ მახსოვს ისე შევსულიყო ან საფარეშოში და ან სამოახლოში, რომ ათასი რამ უცნ-აური და საშიში არ ეთქვათ ჩემთვის. დედას რომ ვეტყოდი ხოლმე ამას, ის გაიღიმებდა და მიპასუხებდა ხოლმე: „არა, შვილო, ტყუილია! ვინც ცუდს არ იზამს და არც არას დააშავებს, იმას არაფერი არ მოეჩვენებაო“.

ამგვარი სიტყვებით დაიმედებულს გული საგულეს მქონდა და უშიშარიც ვიყავი, მაგრამ ორმა შემთხვევამ გამიტეხა გული და ხასი-ათიც გამომეცვალა: ერთხელ, დღე და ღამის გაყრის დროს გადა-ვიპარე ბოსტანში და ნესვის მოპარვას ვაპირებდი; დავუწყე ძებნა, გადავწინი-გადმოვწინე ბარდები და მივაგენი ერთ მწიფე ნესვს. მოწყვეტა რომ დავაპირე, გამევლო გულში: არავინ მიყურებდეს-თქო, დავანებე თავი, წამოვდექი ზეზე და მივიხედ-მოვიხედე. მეორედ რომ დავა-პირე ნესვის მოწყვეტა, თურმე ხელი დავაცდინე ბარდებს და იქვე სხვა ალაგას გადავშალე ფოთლები; იქ თურმე კატა იწვა. წამოვარდა ზეზე ფრუტუნით და გაიქცა. მე მაშინვე მომაგონდა ჩვენი მოსამ-სახურების სიტყვები, რომ „კუდიანები რადაც უნდათ გადაიქცევი-ანო“; ამას გარდა, დედის სიტყვებიც მომაგონდა: „ვისაც არაფერი დაუშავებია, იმას არაფერი მოეჩვენებაო; ვთქვი გუნებაში: „მეტი დამ-ნაშაობა რაღა იქნება, რომ ჩუმად მინდოდა ნესვის მოწყვეტა-მეთქი? ალბათ კუდიანი იწვა ნესვად და კატად გადაიქცა-თქო“. ერთი-ორი დავიკივლე და შემინუხდა გული. არ გაუვლია ერთ კვირეს, რომ ამას მეორე შემთხვევაც დაერთო: ტალავერში მაღლა ყურძნის მტე-ვნები იყო ჩამოკიდებული. მე პატარა ვიყავი და ვერ ავწვდებოდი, მაგრამ ჩემი უფროსი და კი კრეფდა ხოლმე; ერთხელ მოვარიან ღამეში შევნიშნე, რომ ჩემი და ტალავერ ქვეშ იდგა და ყურძნენს კრეფდა. მივიჭერი, შევეხვენე: „ანნა, გენაცვალე, ერთი მტევანი მეც მომინყვიტე-თქო!“ ჯერ ხმა არ გამცა. მაგრამ, რომ აღარ მოვეშვი,

მომიბრუნდა, უცბად რაღაც წაიბურტყულა და დამეჭყანა. მისთანა თქვენმა მტერმა ნახოს, მე იქ სანახავი ვნახე. ჩემი დის მაგიერად ვილაც სხვა იყო! თურმე ჩემ უფროს ძმას, დავითს, რომელსაც კუჭის სისუსტის გამო ყურძნის ჭამა აღკრძალული ჰქონდა, დის ტანისა-მოსი ჩაეცვა და ისე წასულიყო ყურძნის მოსაპარავად. მე ესევები არ ვიცოდი, ეშმაკად მივიღე და გული შემინუხდა. თუმცა მორვე შემთხვევაში ჩემი შეცდომა თვალდათვალ დამიმტკიცეს, მაგრამ ისე გამიფუჭდა ხასიათი, რომ ბნელაში, კარში გამოვიდოდი კი არა, ოთახშიაც ვერ ვრჩებოდი მარტო, თუმცა მერვე წელიწადში გადმომ-დგარი კი ვიყავი.

ერთხელ, ზამთარი რომ დადგა, მე და ჩემმა პატარა ფარეშებმა შვილდ-კოდლების კეთება დავინყეთ. ქორაფის ხეს რომ ვაკოპიტებდი, დავიცილე წალდი, დავიკარი კოჭში და შუა გავიპე. ტკივილს ისე არ შევუწებივარ, როგორც შიშს: „ვაი-თუ გამიწყრენ-თქო“. მოვა-გროვე აბლაბუდა, დავიდევი სქლად გაჭრილზე, ზედ ბამბა დავიდევი და შევიკარი მაგრად. მინდოდა არავისთვის გამემხილა, მაგრამ იმ ღამეს თურმე ქვეშაგებში შემხსნოდა და სისხლის ტბა დამდგარიყო. რასაკირველია, გაიგეს, მიაქიმეს და ნახევარი წლის განმავლობაში ტკივილი არ დამკრობია. ბოლოს მოვრჩი. მაგრამ ძარღვები კი ისე დამისუსტდა, რომ მუხლი მომეღუნა და დავუტდი. ბევრი მიაქიმეს, მაგრამ არა მეშველა რა. იმ ხანებში მამაჩემი დეპუტატად დაინ-იშნა ქუთაისში სათავადაზნაურო კომისიაში. დედაჩემმა ურჩია, რომ მეც წავეგვანე ქუთაისში და ექიმებისათვის ერვენებია ჩემი თავი, რადგანაც ფეხის გამართვა არ შემეძლო, ქალის უნაგირზე შემსვეს, ქალივით გადამადებინეს შეხეული ფეხი და ისე წამიყვანეს. ქუთაისამდის ორი დღის სავალი იყო. გზაში უნაგირზე თურმე ფეხი დამეზილა, შეკრული ძარღვი გაიხსნა, ჩავედი თუ არა ქუთაისში, ფეხი გამემართა, აღარც ექიმი დამჭირვებია და აღარც წამალი.

რვა წლის ვიყავი, როდესაც სოფელს მომაშორეს და ქალაქ ქუთაისში გადამიყვანეს. აქ თავდება ჩემი ბავშვობის პირველი ხანა ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვინყარი. აქიდანვე იწყება მეორეც: მტანჯავი, დამჩაგვრელი და გამაუკულმართებელი!.. მაგრამ სანამ ამ მეორე ხანაზე ვიტყოდე რასმე, დავუბრუნდები ისევ ჩვენს სოფელს და მაშინდელი ცხოვრებიდან სანიმუშოდ რამდენსამე სახასიათო შემთხვევებს გავიხსენებ. ზემოდ ვსთქვი, რომ სპარტანულად გვზ-რდიდენ-მეთქი და, მართლაც, რაც უფრო ვიზდებოდით, წლიდან-წლობით, უფრო და უფრო გვეტყობოდა ამგვარი აღზრდა. თითქოს

ისე აღარ გვაქცევდენ ყურადღებას, როგორც სულ პატარაობისას და უფრო თავმინებებული ვიყავით. ბევრჯელ, გაზაფხულის დამლევს, ტობობის დროს, როდესაც ღრუდოებიდან გამოსული თევზები ქარავნად აყვებოდენ დიდ მდინარეებს, რომ მერე იქიდან პატარ-პატარა დელებში შესულიყვენ ქვირითის დასაყრელად, გონჯურის პირად, სხვებთან ერთად მეც მთელი ლამე გამითვია; ფაცერსაც ბევრჯელ მოვდგომივარ და გარეთაც ბევრჯერ ვწოლილვარ, მაგრამ არავის უთქვამს, თუ ეგ საშიში, სახიფათო და ურიგო საქმეაო. ლამისთვის დროს, რომ ძილი არავის შემოგვპაროდა, მორიგად ზღაპრებს ამბობდენ ბიჭები: ხან შაირებს, ხან ანდაზებს, ხან გამოცანებს და კიდეც ეს იყო, რომ ამგარ ადგილებისაკენ ჩვენც მიგვიხაროდა. ბევრს აღარც ჭამა-სმას დასდევდენ ჩვენსას: ხან მეტსაც ვჭამდით, ხან მშიერიც ვიყავით, ხან ასე და ხან ისე: ხან ძვირფასად მოგვრთავდენ ხოლმე, ხან უბრალოდ; ხან ბუმბულში ვგორავდით და ხან ხმელეთზე ვკოტრიალობდით, თანასწორობა არ იყო, რიგსა და წესს ვინ დასდევდა? ავისაც და კარგისაც თანასწორად შევეძლო ატანა; ამას არც არას ჩვენ ვნალვლობდით და არც უფროსები გვეკითხებოდენ, მაგრამ ეს კი იყო, რომ ცუდს არაფერს გვაბედვინებდენ. მაგალითად, თავი რომ გაგვეტესა, გვეტყოდენ: „აი, შეგირცხვა თავი! შენხელა ბავშვმა როგორ არ უნდა იცოდეს თავის მოვლაო! გასწი, გასწი, გაიზრდები და დაგავინტებაო!“ ამგვარი ცივი ნუგეშებით გაგვისტუმრებდენ ხოლმე, მაგრამ, სხვისთვის რომ უსამართლოდ წკიპარტი გვეკრა, არ შეგვარჩნდენ და უთუოდ გადაგვახდევინებდენ. ერთხელ, ტყაპატყუბი რომ შემომესმა, მივირბინე სახაპაზოს კარებთან და ხაბაზს ცხელი თორნეული გამოვართვი. ჩემზე ადრე იმავე კარებს მიდგომოდა ჩვენი წუნკი წითელი ლორი და შელრუნუნებდა, მაგრამ ვინ გასცემდა ხმას! მე რომ დამინახა მჭადით ხელში, ამედევნა ჭყივილჭყივილით, გავეძეცი, გამომიდგა, წამოვკარი ქვას ფეხი და გავგორდი მინაზე; იმანაც იხელთა დრო, მეძგერა და ზე ამალლიტა მჭადი. მოვრთე ყვირილი და მივაშურე დედას. დედამ მომისმინა საჩივარი, შეკრა წარბები და მითხრა: „როგორ ამხელ სირცხვილით, შე წაცარექექია, შენაო? ბაბუაშენმა გარეული ტახი დაიჭირა ყურით და შენ კი ერთი შინაური წუნკი ლორიც ვერ მოგიშორებია!... ავიღებდი ჯოხს და დავკრავდი თავშიო! პატარა ხომ აღარა ხარ: დამდეგ თიბათვეს ექვსი წლის გახდიო!“. ამ სიტყვებმა ისე შემარცხვინეს, რომ მჭადიც დამავინყდა და ტირილიც, მთელი დღე ჩემ გუნებაზე აღარ ვყოფილვარ, მით უფრო, რომ პატარა ბიჭები და გოგოები რომ ჩამივლიდნენ

ხოლმე გვერდს, დაცინვით წაილაპარაკებდნენ, ვითომ თავისთვის: „ღორის წაქცეულოო“. ამ დაცინებამ ისე გამამწარა და გამაგულადა, რომ მეორე დღეს ცალ ხელში მჭადი დავიჭირე და მეორეში ჯოხი და განგებ აკუარ-ჩაუვარე გვერდით ჩემს მტერს. წართმევას დაჩვეულმა ღორმა შემომიტია, მაგრამ ძე ვაშკაცურად დავუხვდი და ვხეთქე თავში ჯოხი. ჩემი მტერი აღბად ამას არ მოელოდა, რომ შეჩერდა და შემომიხორხოტა. მაგრამ, რომ მივუნაცვლე მეორეცა და მესამეც, იკადრა და გაიქცა. ახლა მე დავედევნე გაგულადებული. წინ ის და უკან მე! ის მიჭყივის, რაც შეუძლია, და მე კი, რაც ძალი და ღონე მაქს, კიუინას ვაყრი: ვერ წამიხვალ, შე წუნკო, შე ფრთხალო-თქო! იმ დროს სწორედ ჩემი თავი პაპაჩემი მეგონა: შემოვარბენინე ღორს ორჯელ-სამჯელ სამოახლო, საფარეშო, თვითონ ჩვენი სასახლეც და აღარ მოვეშვი, სანამ საღორეში არ შემივარდა. არ იფიქროთ, რომ მე იმის მტერობა მჭირვებოდეს და შერისძიება მდომებოდეს! არა, ეს ომი იმისთვის გადავიხადე, შეეტყო სუყველას, რომ მე ღორის აღარ მეშინოდა.

ღორზე ამ ძლევამოსილობამ ისე გამაგულადა და გამაუშიშარა, რომ, თუკი ჯოხი ხელში მექნებოდა, აღარაფრის აღარ მეშინოდა. საგმირო ზღაპრებმა, სავაშკაცო შაირებმა და ამბებმა იმდენად გამიტაცეს თანდათან, რომ თავი გმირად დავისახე. ერთხელ პატარა შინდის ხეზე გავედი, რომელიც ზღაპრულ ალვის ხეთ წარმოვიდგინე და იქით-აქეთ ყურება დავინყე, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხელმწიფების სარაიები დამენახა, მაგრამ გადმოვვარდი, გამხდა ბრეგვა მინაზე და ზურგის ტკივილმა მაგრძნობინა, თუ რა ზღაპრული „ღვთისავარ გმირი“ ვიყავი! საკვირველია, ამგვარი მარცხები ხანდახან გამომაფხიზლებდენ ხოლმე, მაგრამ მერე კი ისევე ოცნება მერეოდა და ისევ გამანაცარქექიავებდა ხოლმე. ერთ საღამოს „კურდღლობისა“ ვთამაშობდით. ვისაც კარგი ხმა ჰქონდა და მოყეფა შეეძლო, ისინი ვითომ მეძებრები იყვნენ ხოლმე; ვისაც მუხლს ერჩოდათ – მწევრები, სხვები კი უფრო ზანტები – კურძუალები და მონადირეები, კურდღლელი კი მორიგისი ვინმე. იმ დროს, თუმცა მეძებრადაც კარგი ვიყავი, მაგრამ ზოგიერთებთან მწევრობაც მერგო. დაიმალა კურდღლელი, ავუშვით მეძებრები, მოედვენ არე-მარეს, დასცეს კურძუალებმა კიუინა: წაქეზებულმა მეძებრებმაც ვითომ სუნი იცეს და კვალი აიღეს, ასტეხეს ყეფა; ათი თუ თხუთმეტი ბავშვი სულ სხვადასხვა ხმაზე ყეფდა. ყურთასმენა აღარ იყო; მწევრებმა ყურები დაცქვიტეს და აიჩქენ. ამ დროს თურმე ჩვენს

ბალში ნამდვილი კურდლელი ყოფილიყო შეპარული და გამოვარდა. ჩვენ დაგვავიწყდა თამაშობა და გავედევნეთ დიდიან-პატარიანა იმ კურდლელს. კურდლელს თვალი წაუხდა: ხან იქით ეცემოდა და ხან აქეთ, მაგრამ სუყოველი მხრიდან ჩვენი ორფეზი მეძებრები უყვეფდენ და ისე აერია გზა და კვალი, რომ ხიმეში გაეკვეტა; მივასწარი და ვტაცე ხელი უკანა ფეხებში. რომ მაგრად არ ყოფილიყო გაჭედილი, რასაკვირველია, მე იმას ვერ დავიმაგრებდი, მაგრამ მაინც გავაბი ყვირილი: „მიშველეთ, დავიჭირე-მეთქი“. მოცვივდენ სუყველა, დიდი ბიჭებიც მოგვეხმარენ და ცოცხალი მივგვარეთ ბატონს. იმ დღეს ჩემი ვაშკაცობის ამბავი ძალიან გაითქვა და მეც სწორედ დავრწმუნდი, რომ კურდლელს ფეხდაფეხს მოვწვდი და დავიჭირე-თქო. მას უკან, ხშირად, საღამ-საღამოობით ბოსტნის ბოლოზე ვიცდიდი ხოლმე: ეგებ კიდევ გამოვარდეს კურდლელი და დავიჭირო-მეთქი. ალბათ, ეს შემნიშნა დედამ, რომ ერთხელ მიმიხმო და მითხრა: „შენ ხომ ამისთანებში ტოლი არა გყავს და ერთ-ერთი შინაური კურდლელი დამიჭირე, სხვისთვის მინდა გასაგზავნადო“. მეც, რასაკვირველია, ვიკისრე: საყდართან, საქალებოს გვერდით საკურდლელი იყო მიშენებული და იქ შინაური თეთრი კურდლელი ბუდობდნენ. დილიდან საღამომდის ვდიე ხან ერთს და ხან მეორეს, მაგრამ ვერ დავიჭირე, და საღამოს, დედამ რომ მკითხა, თავი მითი ვიმართლე, რომ ფეხები მტკივა-თქო. დედაჩემა სიცილი დაინწყო და მითხრა: „პატარა კი აღარა ხარ, როგორ ვერ მიხვდები, კურდლის დაჭერა ფეხდაფეხს შენ კი არა, არა კაცს არ შეუძლია! შინაური რომ ვერ დაიჭირე, გარეულ კურდლელს შენ როგორ დაეწეოდი, თუ უცაბედად ხიმეში არ გაკერებულიყო!“ ამ სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, გულში ჩამახედეს, ვიგრძენი ჩემი ნაცარქექიაობა, შემრცხვა და გავნითლდი.

იმ დროში ჩაის არ სვამდენ, მხოლოდ სტუმრებისათვის მოადულებდენ ხოლმე, მაგრამ ბავშვებს მაშინაც არ ასმევდენ: ცხელი წყალი შიგნეულს გაუფუჭებსო და შაქარიც კბილებს წაუხდენსო. მე, რასაკვირველია, სული მიმდიოდა შაქარზე, მაგრამ ვინ მაჭმევდა? მაგიერად, როდესაც შაქარს მტვრევას დაუწყებდნენ ხოლმე, მე მივუცუცქედებოდი გვერდით შაქრის მმტვრეველს და იქით-აქეთ შორს გადაბნეულ ფხვნილს ქორივით მივჩირებოდი. მაგრამ მათი აღება ხელით მოუხერხებელი იყო; დასველებული თითები მზად მქონდა, დავანებდი ზედ და ელვასავით ვიტაუცუნებდი პირში. ეს შემნიშნა ერთხელ ჩემთა უფროსმა დამ და მირჩია: – „მაგას ნუ შვრები, სინუნკეაო!“ და ჩუმად თითო კვნიტ შაქარს მაძლევდა ხოლმე:

მეც ეს მინდოდა და ღმერთს ვეხვეწებოდი: „ღმერთო, სტუმრებს ნუ გამოგვილევ-თქო“, რადგანაც უმისოდ, ვიცოდი, შაქარს არავინ დაამტვრევდა. ხშირად დავუხვდებოდი ხოლმე წინ ჩვენგან წამავალ სტუმრებს და ჩუმად ვეხვეწებოდი: თქვენი ჭირიმე, ხშირად იარეთ-მეთქი, იმათ ეგონათ თუ მე ეს სტუმართმოყვარეობით მომდიოდა, მიწონებდენ და ამბობდენ: „რა კეთილია ეს ბავშვი და რა პურადი გამოვაო!“ რა იცოდენ, რომ მხოლოდ ჩემი „უსხის კუდი“ მაგონდებოდა, ე. ი. შაქრის კვნიტი.

პურადობის რა მოგახსენოთ, მაშინ რა პურადობა შემეტყობოდა, მაგრამ გულკეთილი კი მართლა ვიყავი: პირუტყვი რომ ჩემთან ვისმე გაელახა, ვიტირებდი. თუმცა ღორი მეც კი გავლახე ერთხელ, მაგრამ ეს სულ სხვა იყო, მინდოდა მომეგრებია და ჭკუა მესწავლებია. ერთხელ ყანაში ღორი მოკლეს და მე მთელი დღე არაფერი მიჭამია; ისე მებრალებოდა, რომ სიახლოვესაც ვერ მივეკარე, დამესედა და ეს მით უფრო საკვირველი იყო, რომ, საკლავს რომ წამოაქცევდენ, სიამოვნებით თავზე დავტრიალებდი და არც არაფერს სიპრალულსა ვგრძნობდი. საუფლო დღეებში, მაგალითად, შობის, აღდგომის და სხვა ამგვარ დღესასწაულების წინა დღეს ძროხას რომ დაკლავდნენ, ჩემ სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა! ბუშტს გამოვართმევდი ხოლმე მზარეულს, დავზელდი ნაცარში, გადავაძრობდი ზედა კანს და გავბერავდი; მერე ვინმე ქალს ან გამდელს ვაჩუქებდი ხოლმე საუმარულედ, რადგანაც გაგონილი მქონდა, რომ უმარულის შესანახავად კარგია. ერთხელ მხოლოდ, შობის წინ დღეს აღარ მიყურებია ძროხის დაკვლისათვის, რადგანაც უფრო სასიხარულო შემთხვევამ გამიტაცა და ჩვეულება დამავიწყა: სწორედ იმ საღამოს ქუთაისიდან მოგვივიდა მამიჩემის გამოგზავნილი კაცი და პატარა ჩექმები მომიტანა. იმ დღემდის ჩემ ფეხს ჩექმა არ მიჰქარებია და მხოლოდ შლაბუნა ფოსტლებს ვიცავმდი ხოლმე. რაღა თქმა უნდა, რომ სიხარულმა ამიტაცა, ძროხა კი არა, თავიც დამავიწყდა. მამაჩემი იწერებოდა, სხვათა შორის: „ამ ჩექმებს ვაგლახად ნუ გააფუჭებინებთ ჩემ კაკოს! სირბილის ნებას ნუ მისცემთ, რომ ქუსლი არ მოაქციოს და უბრალოდ არ მოჩორთოს!“ ეს ბძანება ჩვენ სახლში გადაჭარბებითაც აასრულეს: ჩამაცევს მხოლოდ შობა დღეს, ახალნელინადს და შეინახეს; მე ისევ ფოსტლებზე გადამიყვანეს და აღდგომამდის აღარ მიპირებდნენ ჩაცმევას.

მომავალ აღდგომას, რასაკვირველია, ორკეცი სიხარულით მოველოდი. ცისკრის რომ დარეკეს და ჩვეულებრივად ჩაცმა-დახურვა

ჩემი თავგადასავალი

დაიწყეს, მეც მომიტანეს ჩემი საოცნებო ჩექმები, მაგრამ, წარმოიდგინეთ ჩემი უბედურება: ჩექმები გამხმარიყვნენ, მეც ფეხები გამზღვდა და შიგ აღარ ჩამეტია! ბევრი მაწვალეს, ქუსლზე კანი გადამაძვრეს, კოჭი კინაღამ ამომიგდეს, მაგრამ არა ეშველა რა. დამმწარდა აღდგომა. იმ დღეს რაღა მოესწრებოდა, მაგრამ სწორამდის კი მომიტანეს ახალი, და იმ დღიდან დაწყებული, ქუთაისს წასვლამდი, თითქმის წელიწად-ნახევარს უჩექმოდ აღარ გამივლია. უკანასკნელ წელიწადს მით უფრო კარგად შევიშვნე ჩექმები, რომ ბევრს აღარ დავრბოდი, რადგანაც ადრინდელი თავშესაქცევარი ყოველგვარი თამაშობა მომწყინდა და უფრო სხვა საფიქრელს გადავჰყევი. ამის მიზეზი იყო „ვეზენისტყაოსანი“ წავიკითხე თავიდან ბოლომდი და, თუმც ზღაპრული მხარის მეტი არა გამიგია რა, მაგრამ მაინც ძალიან გატაცებული ვიყავი. იმას მივაყოლე სხვა საკითხავებიც და მთელი ქრისტომატია, ჩუბინაშვილისაგან პეტერბურგში გამოცემული, რამდენჯერმე გადავიკითხე. ამას გარდა, ერთხელ ქალაქიდან ჩამოგვიტანეს ამბავი, რომ „გლუხარიჩმა“ კომედია დაწერაო და ვარანცოვის სასახლეში ითამაშესო. ამ ამბავს გულმოდგინედ ვუგდებდი მე ყურს და ბოლოს თვითონაც მოვინდომე, რომ იმგვარი რამ კითხვა-მიგებითი დამენერა და მართლაც ავტერე ჩვენი შინაურობა, მაგალითად, როგორ აწვალებდა ჩვენი მოურავი ხალხს, მერე ბატონს აბეზღებდა; ბატონიც მოთმინებიდან გამოღილდა და ჯავრობდა და სხვ. და სხვ. ეს ბავშური სცენები სასახლეში სუყველას მოენონა გარდა მოურავისა, რომელიც გულმოსული ამბობდა: „ჩემი დაცინება არაფერია, მაგრამ ვნახავ, თუ ამ ყმანვილმა მთელი ქვეყანა არ გადიმტეროს, და ნუ აქეზებთო“. ეს ჩემი პირველი ნაწარმოები დედაჩემს თურმე შეენახა და, რუსეთიდან რომ დავპრუნდი, მიჩვენა. მე სიპრიყვემორეულმა ვიუკადრისე, გამოვართვი დედას, დავხიე და ცეცხლში ჩავყარე. დედაჩემს ეს ძალიან ეწყინა და მისაყველურა, მაგრამ, ხომ ვეღარ გავამთელებდი?!.

ამგვარი ბევრი რამ მაგონდება ჩემი სიყმანვილიდან, მაგრამ, რომ მკითხველს თავი არ მოვაძეზრო, ამით ვათავებ.

||

გიმნაზიაში რომ შემიყვანეს, გავცეცდი: იმდენი ბავშვი, ერთად თავმოყრილი, ჩემ დღეში არ მენახა. მოზღილები სკამებზე იჯდენ სულგანაბული და ახალმოსწავლე პატარები კი ჯგუფ-ჯგუფად კედლებთან იყვენ ატუზული. აქ კედლებზე ირგვლივ ქალალდის

ჩემი თავგადასავალი

ფიცრები იყო ჩამოკიდებული, ზედ ანბანი და ამოსალები ეწერა და იმას აკითხებდენ ყმანვილებს. ჯგუფს ერთი უფროსი ჰყავდა და ის ასწავლიდა: ხელში ეჭირა წკეპლა და, შეეშლებოდა თუ არა ბავშვს კითხვა, უცხუნებდა და უცხუნებდა. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნ და, როცა შემოუვლიდენ კედლებს, მერე კი ნება ჰქონდათ სხვებთან დამჯდარიყვენ ისინიც სკამზე. ამ ყოფაში იყვენ, სანამ კითხვას ისწავლიდენ. უნდებოდენ ზოგჯერ წელიწადზე მეტს. წარმოიდგინეთ 7-8 წლის ბავშვი დილის შვიდი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე მშერ-მწყურვალი, და მაშინ იგრძნობთ, თუ რა ტანჯვაში იყვენ ის საწყლები. ზოგს გულს ეყრდნობა, ზოგს თავბრუ ეხვეოდა და ეცემოდენ ძირს, მაგრამ ყურადღებასაც არავინ აქცევდა.

შესვლისთანავე პირველ კედლებთან დამაყენეს „ანბან“-ზე, მაგრამ, რადგანაც მე ხუცური ვიცოდი, მხედრული წერა-კითხვა შესწავლილი მქონდა და რუსულ ამოსალებშიაც გატეხილი მქონდა თვალი დედიჩემის წყალობით, ერთ დღეს შემოვირბინე ყველა კედლები. მასწავლებელმა თავზე ხელი გადამისვა, მომინონა, და უფროსებთან დამსვა სკამზე. კითხვით კარგად ვკითხულობდი, მაგრამ ჩემი უბედურება ის იყო, რომ რუსული არ მესმოდა. იმ დროს შემოღებული იყო საზოგადოდ თუნცის ფირფიტა, რომელსაც „მარკას“ ეძახდენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩირებდენ ხელში და თანაც გრძელ ფიცარს – სახაზავს დაჰკრავდენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმ რიგადვე, ე. ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა“ დაერტყმია ხელის გულზე. ამგვარად, ეს საცოდაობის ფირფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავების დროს ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფირფიტის თავიდან მოშორებას და შერჩებოდა ხელში, უნდა კლასში დარჩენილიყო მთელი დღით უსადილოდ. ვინც რუსული არ იცოდა ახალშემოსულობის დროს, ხმის ამოღებას ვერ ბედავდენ და მუნჯდებოდენ. ამ ჩვეულებას დიდი გამრყვნელი ხასიათი ჰქონდა. ყმანვილები ცდილობდენ, რომ ერთმანეთი მოეტყუებიათ, გაებრიყვებიათ როგორმე და ცბიერობა-ფარისევლობას ეჩვეოდენ. სულ ერთი კვირის შესული არ ვიყავი, რომ მოვიდა ჩემთან ერთი პატარა ყმანვილი, ანგელოზის სახის მქონი, და ტკბილის ღიმილით, მეგობრულად მკითხა რაღაც ქართულად; მეც, რასაკვირველია, რადგანაც სხვა ენა არ ვიცოდი, ქართულად ვუპასუხე. ყმანვილს მშვიდობიანი სახე გადაუსხვაფერდა და სიხარულით მომაჩიჩა ფირფიტა. ჩამოვართვი, მეტი რაღა გზა

ჩემი თავგადასავალი

მქონდა, მაგრამ „ლინეიკაზე“ ვერ დავთანხმე. „რა გენალვლება შენ, მე რომ „ლინეიკა“ არ დავირტყა, მარტო ვართ და ვინ გაიგებს-მეთქი“ – ვეხვეწებოდი. ჩემმა მონინააღმდეგები შორს დაიჭირა: „მე თუ დამარტყეს, შენ რა ჭრელი პეპელა ხარო?“ მე მაინც არ დავ-ეთანხმე, გავუძალდი და იმან ჭუჭუნი დაიწყო. მასწავლებელი რომ შემოვიდა, მივიდა, დამაბეზღა. დამიძახეს, გავედი შიშით და კანკალით. მასწავლებელმა ნარბები შეიკრა და მკითხა: „როგორ ბედავ ურჩიბასო? აქ შენი სახლი ხომ არ გგონიაო!“ მე თავის გამართლება დავიწყე, მაგრამ აღარ გამივიდა! „კარგი, მე გასწავლი ჭკუასო!“ დაუძახა „სტოროუებს“ და უბრძანა: „როზგიო!“ მე, ამის გამგონეს, თავში სისხლი ამივარდა და გაქცევა დავაპირო. „ნუ გაუშვებთ, დაიჭირეთო!“ – იყვირა მასწავლებელმა. იგრიალეს მოსწავლეებმა ჩემ დასაჭერად და გადამელობენ კარებზე... მე მეორე ოთახში შევვარდი, სადაც მესამე კლასი იყო. აქაც ერთი ალიაქოთი მოვახდინე, მაგრამ შევტი ფანჯარაზე, გავამტვრიე მინები, გადავხტი და მოვკურცხლე შინისაკენ. გამომიდგენ „სტოროუები“. წინ მე გავრბოდი კურდლელივით და უკან ისინი მომდევდენ კიუინით. გულგახეთქილი შევიჭრ შინ; დედ-მამამ რომ გაიგეს, რაც მოხდა, შეწუხდენ და ბევრიც მირჩიეს: წადი, რა ვუყოთ, გაგროზგონ, ეგ მარტო შენ თავზე ხომ არ არის – ყველას როზგავენო. მოითმინე, მოიჭირვე. მიეჩვიე და ბოლოს კაცი გამოხვალო; მაგათში უმისოდ არ შეიძლებაო!.. მაგრამ მე შორს დავიჭირე და გამოტეხილი ვუთხარი დედას: – თუ კიდევ გაგიგზავნივარ იმ დასაქცევ გიმნაზიაში, თავს დავიხრჩობ-მეთქი! შეშინდენ და ჩამომეთხოვენ. ერთ კვირას აღარ წავსულვარ კლასში. იმ დროს დირექტორად კოცებუ იყო, ახალი დანიშნული. ქართული მაზრის უფროსობის დროის შეესწავლა, კარგად იცოდა და ქართველებიც ძალიან უყვარდა. მოვიდა ჩვენსა და გამომკითხა ყველაფერი. მეც დაუფარავად მოვახსენე, რაც გადამხდა და რასაცა ვგრძნობდი. გაუკვირდა, გადააჯნია თავი, მომეფერა და მითხრა: შენ ჩემი სახელი ახსენე და ნულარავისი გეშინიაო! ხვალ ჩემთან მოდი პირდაპირ კანცელარიაში და მე წაგიყვან კლასშიო. მეორე დღეს მართლა წამიყვანა და მიმიყვანა ჩვენს კლასში. გამოიკვლია ყოლიფერი და, „მარკას“ ამბავი რომ გაიგო, გაოცდა. მოიხმო ინსპექტორი, ზედამხედველები, მასწავლებლები და გამოუცხადა ყველას, რომ დღეიდან ეგ საქციელი აღარ ჩაიდინოთო! მოსპერ „მარკა“ და უმიზეზოდ ცემა-ტყეპაზედაც ხელი აიღეთო! მერე მიუბრუნდა ჩემ მასწავლებელს და უთხრა: – განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციე

ჩემი თავგადასავალი

ამ ყმაწვილსო! მართლაც იმ დღიდან ცოდვის ფირფიტა გადააგდეს, მაგრამ ცემა-ტყეპაზე კი უცბად ვერ აიღეს ხელი. უიმისობა მაინც არ ეხერხებოდათ. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო!“ იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფიაო. გიმნაზიებშიც, რასაკირველია, პირველი ადგილი ეჭირა... დღე არ იქნებოდა, რომ ყმაწვილების წივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო გაყრუებული. „როტაში“ არ უნდებოდათ იმდენი წკეპლა, რაც თვითეულ კლასში. „სტოროუებს“ ურმებით მოჰქონდათ ყოველდღე ახალ-ახალი. მოსწავლის გალახვა ყველას შეეძლო დირექტორიდან დაწყებული, „სტოროუებამდე“. მიზეზს არავინ კითხულობდა. ვინ იცის, რამდენი დასწეულებულა, რამდენი დამახინჯებულა, და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოდ... ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთი და იგივე ბავშვი, ერთი დღის განმავლობაში, სამჯერ-ოთხჯერ „გაროზგვილიყოს“ სხვადასხვა უფროსებისაგან. მახსოვს და არც დამავიწყდება ჩემს დღეში: ერთი რუსის ბავშვი იყო – კრიუანოვსკი, ძლიერ მოუსვენარი რამ, მაგრამ სხვებ კარგი იყო. ერთხელ ნახევარი საათით დააგვიანდა კლასში მოსვლა და დირექტორმა „გააროზგვინა“; იმ დღეს გაკვეთილი არ იცოდა და მასწავლებელმა „გააროზგვინა“; სწავლა რომ გათავდა, ზედამხედველმა „გააროზგვინა“: სახლში გიცელებია და მეზობლის ბავშვისათვის ქვა გისროლია – გიჩივლეს! ამითაც ვეღარ გადარჩა. ყველამ ერთად დააბეზღეს ინსპექტორს და იმანაც მოუნდომა „გააროზგვა“. ეს ინსპექტორი შეუბრალებელი რამ იყო და მისი ისე ეშინოდათ, როგორც სულთამბუთავისა. კრიუანოვსკიმ, ტანჯვა რომ ვეღარ აიტანა, იშვირა ხელი და ფეხი და გადავარდა რიონში. რომ შემთხვევით იქვე არ დასწრებოდა ერთი მეგრელი მოსწავლე, ძალიან კარგი მცურავი, დაიღუპებოდა. ისე ცემა-ტყეპას ხომ ანგარიში არ ჰქონდა. ვაი, მისი ბრალი, ვისაც კარგი ხუჭუჭი თმა ჰქონდა! ერთ ყმაწვილს, გვარად ჭაჭიაშვილს, დიდი ყურები ჰქონდა. დიდი და პატარა ყველა ყურებში ავლებდა ხელს. ერთხელ გამხეცებულმა ზედამხედველმა შუამდი აახლიჩა ყური; გაუსივდა და მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში ისევ დაუწყო შეხორცება. მაგრამ ვინ აცალა შეხორცება! სტაცებდენ ხელს და ხელახლა აგლე-ჯდენ... ასე რომ გავიდა სასწავლებლიდან. ერთ მოსწავლეს – კლდი-აშვილს – პირით დაპერა შუბლზე „ლინეიკა“ და თავთხლე გადაადინა, ძვალიც კი გაუტეხა. გულშემოყრილი ბავშვი შინ წაიღეს. ამ გარემოებისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია. ამისთანები რამ

უთვალავი იყო. ღვთის მადლით, მე ამცილდა ტანჯვა და ერთხელ მეტად არ გავლახულვარ, მაგრამ ეს ერთიც საკმაო იყო, მთელი ჩემი სიცოცხლე მოეტანჯა! დირექტორმა რომ მიმიყვანა, იმ დღიდან ჩემი მასწავლებელი სულ გულალრენილი იყო ჩემზე და, თუკი შემთხვევა ექნებოდა, რასაკვირველია, არ დამზოგავდა. ერთხელ რომელიდაც მოსწავლემ ხაჭაპურები მოიტანა კლასში და ლატარიაში ჩააგდო თითო კაპეიკად, ყველამ მოაწერა ხელი. წამძლია სულმა და მეც მოვაწერე. შემოგვესწრო მასწავლებელი და იწყინა, როგორ გაგიძედნიათ ხელის მოწერაო! აიღო დიდი, უშველებელი „ლინეიკა“ ხელში. თვითო-თვითოდ გაჰყავდა ხელის მომწერლები; ჰკითხავდა: რომელი ხელით მოეწერეო? და, პასუხს რომ მიიღებდა, დაჰკრავდა ხოლმე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. „კიდევ მოაწერო?“ – ეკითხებოდა დაცინვით. მე ყველაზე ბოლოში ვეწერე, რადგანაც ჩემი გვარი წილზეა, და „ურნალში“ ანიდან იწყება გვარების წერა. იმ დროს საბა ორბელიანის იგავ-არაკები წაკითხული მქონდა და მომაგონდა ოფოფის ხრიკი, თავის გადარჩენა რომ უნდოდა და მელა გააბრიყვა. იმ განყოფილებაში წერის გაკვეთილი იყო. მე ვიფიქრე, რომ, თუ მარჯვენა ხელი მეტკინა, წერა გამიფუჭდება და მოდი მარცხენას გავიმეტებ-მეთქი. მეც რასაკვირველია, მითხრა: „აბა დამნაშავე ხელი გამოაშვირეო!“ მე მარცხენა გავუშვირე. ჯერ დამკრა და მერე ეჭვი შეიტანა, რასაკვირველია განგებ, მარცხენა ხელით როგორ მოაწერდიო? რომ გამოვუტყდი, მარჯვენა ხელზედაც დამკრა და გამიშვა. ტკენა ხომ ტკენა იყო, მაგრამ მე ის უფრო მტანჯავდა, რომ ჭკუა წავაგე და ორი „ლინეიკა“ დამკრეს, მაშინ როცა სხვები კი თვითოთი გადარჩენ! ვტირდი, ხელი მიკანკალებდა და, რასაკვირველია, კარგად ველარ დავწერდი!.. ნაწერები რომ გაარჩია მასწავლებელმა, დამინუნა და კიდევ დამკრა „ლინეიკა“: უკეთ დაწერეო! კლასის გათავებამდი ოთხჯერ კიდევ დამკრა!.. ის დღე იყო და მას აქეთ ველარ გამოვბრუნდი. არ იქნა ველარ გადავიგდე გულზე ეს შემთხვევა. წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კიდევ გაურკვევლად ვწერ; ვინც ჩემ ნაწერებს დახედავს, გაუკვირდება, რომ ზოგან კარგი ხელია და ადგილ-ადგილ კი ნაჯდაბნი და გაუგებარი. ეს მაშინ მემართება, როცა ინსტინქტურად მაგონდება ხოლმე მაშინდელი ჩემი ტანჯვა. ეს შემთხვევა რა გასახსენებელი იყო, მაგრამ მიტომ ვამბობ, რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა იგულისხმონ, თუ რა ძნელია სათუთ ბავშვებთან სასტიკად მოპყრობა და რა შედეგი მოჰყვება ხოლმე...

ჩემი გალავის ამბავი გაეგო დირექტორს და შენიშვნა მიეცა მასწავლებლისათვის. ის იყო და ის, ამ დღიდან ამომიჩემა მასწავლებელმა და ყურადღებასაც აღარ მაქცევდა, თითქო ერთი ჯირკი გდებულიყო იქ. არც მასწავლიდა და არც რამეს მკითხავდა. მე მაინც, ზოგს ამხანაგების შემწეობით, ზოგსაც ჩემით ვსწავლობდი, რაც ძალი და ღონე მქონდა. იმდენი ნიჭი არა მქონდა, რამდენიც სურვილი და ბეჯითობა. ვცდილობდი, დღე და ღამე გასწორებული მქონდა და სხვებს არა თუ არ ჩამოუვარდებოდი, მეტიც ვიცოდი მათზე. ეგზამენები მოახლოვდა, ხმა გავარდა, რომ „პოპერიტელის“ თანაშემწე, მაქსიმოვიჩი, მოდის, იმან უნდა გამოგვცადოს მოსწავლეებიო. იმის სიფიცხეზე და გულქვაობაზე ბევრს საარაკო რამეს ლაპარაკობდნენ. ყველა შიშის ქარმა აიტანა, მასწავლებელიცა და მოსწავლეებიც.

მაქსიმოვიჩი ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე ბრძანება გამოცა, რომ, რადგანაც ყველას ვერ მოვასწრებ, თვითეული კლასიდან სამ-სამი მონაცე გამომგვარეთ. პირველი, შუათანა და უკანასკნელი; იმათ გამოვცდი და მით მთელი გიმნაზიის გარემოებაც გათვალისწინებული და აწონილი მექნებაო. ეგზამენებმა კარგად ვერ ჩაიარა. წინდანინვე დამფრთხალ ყმაწვილებს გონება ეკარგებოდათ. ჯერ იმ სამ მონაცეთაგანს ჰკითხავდა რამეს საპასუხოს და, თუ ვერ უპასუხებდნენ, მერე მთელ კლასს მიუბრუნდებოდა. თუ აქაც აღარავინ აღმოჩენდებოდა, მასწავლებელს უნდა აეხსნა. ხშირად მასწავლებლებიც წაიბორდიკებდნენ ხოლმე. მაშინ თვითონ ეგზამენატორი ახსნიდა გაამორებინებდა ხოლმე ყმაწვილებსაც. ეს ახალი მეთოდი იყო მისგან შემოლებული. იმ დროს გიმნაზიაში სწავლობდა ერთი შესანიშნავი და სახელგანთქმული ახალგაზრდა – ბესარიონ ღოლობერიძე. მოსწავლეებსაც დიდი ხათრი ჰქონდათ მისი და პედაგოგებსაც მისი იმედი ჰქონდათ: „თუ დაგვიხსნის, ის დაგვიხსნის და გვასახელებსო“. მათი მოღოდინი გამართლდა, მაგრამ სულ ისე მაინც არა, როგორც ეგონათ. ამბობდნენ: „მარჯვედ იყო ბესარიონი, მაგრამ ბევრი იფლი კი აწურვიესო“. ასე თუ ისე, თუ იმას არა, მაქსიმოვიჩი გულს ველარ მოიბრუნებდა ქუთაისის გიმნაზიასა და მის მასწავლებლებზე. შუა კლასებშიაც ზოგიერთებმა გვარიანად მიუგეს. ბოლოს ჯერი მიდგა უმცროს კლასიდანაც, განკითხვის დღე რომ დადგა (ასე ვეძაოდით საზოგადოთ მაქსიმოვიჩის ეგზამენებს), სამი მონაცე აიყვანეს და ჩააყენეს თორნეში. მესამე მონაცედ, ესე იგი, უკანასკნელ მაჩანჩალად, მე გამაყოლეს. ჩემი ამხანაგები ცახცახებდნენ და მე კი უფრო სეირის საყურებლად გავედი, რადგანაც ვიცოდი, რომ,

ჩემი თავგადასავალი

როგორც უკანასკნელს, ბევრს არას მკითხავდნენ და ყურადღებას არ მომაქცევდნენ. ერთ ხანს მარჯვედ იყვნენ მოწაფეები. საზეპირო როცა ჰკითხეს, იმათაც ჩააბულბულეს; მაგრამ ბოლოს, როცა აზრით გაეხაზე მიდგა საქმე, მაშინ კი აიძნენ. საკვირველი იყო: „პოპერიტელის“ თანაშემნის საკითხავებმა, სასახლეში რომ ბავშვებმა თამაშობები ვიცოდით: „ბერი ჩამოხტა“, „ჩატი“, „ანზე ვისი ყმა ხარ“ და სხვანი, სწორედ არ მომაგონა! გამიკვირდა: „ეს რა გიმნაზიის საკადრისია-მეთქი“, – ვამბობდი გუნებაში. მაგრამ მომაგონდა ჩვენი სახლი, დედა და ისე წავხალისდი, რომ ასე მეგონა, შინა ვარ-მეთქი და ორჯერ-სამჯერ, ჩემ ამხანაგებს რომ შეეშალა, მე უკმაყოფილოდ თავი გავაქნიე. მაქსიმოვიჩმა თვალი შემატანა და მომაყვირა: – „რას აქნევ თავს ქეციან ცხენივითო!“ შევშინდი და ენა ჩამივარდა. მასწავლებელი მომეშველა და მოახსენა: – „ალბათ ბუზი აწუხებს და ხელს ვერ ხმარობს“... – „რა დროს ბუზები!“ მიუბრუნდა უკმაყოფილოდ მასწავლებელს: „და ან საჭიროების დროს ხელს ნუ გაანძრევო, ვინ ეყბნება? უშლიან მხოლოდ წარამარა ხელების აქეთ-იქით ქნევას. არა, აქ სხვა მიზეზია!“ მიმიხმო სტოლთან.

– მე შეგნიშნე, რომ, როცა იმათ ეშლებოდა, მაშინ აქნევდი თავს. მართალია თუ არა? ნუ გემინია, მითხარი!

– დიახ, უნებურად!..
– მაგალითად, რა შეეშალათ?
– აქლემი გაფრინდებაო, რომ მოგახსენეს, ეტყობათ, არ უნახავთ აქლემი!

– შენ? შენ სად გინახავს?
– მარშან თათრებმა ჩატარეს მაედანში; ძლივს მიიფხორებოდნენ.

– მერე, რა იცი რომ ვერ გაფრინდება?
– ფრთები არ აქვს.
– რასაც ფრთები არ აქვს, ვერ გაფრინდება? მაგალითად, კაცი ვერ გაფრინდება?
– ვერა.
– არ გაიგონია ძველად, რომ ვინმე გაფრენილიყოს?
– ძველად – ენოქ და ილია, მაგრამ ისინი ურმით გაფრინდნენ, ღვთის ძალით. – ეგზამენატორმა თვალები დააჭყიტა და მკითხა:
– ვინ გითხრა შენ ეგ?
– დედამ.
– კუდიანები რომ ფრენენ, იმათ ხომ ფრთები არ აქვთ?

ჩემი თავგადასავალი

– კუდიანები არ ფრენენ.
– მაში, როგორ შეუძლიათ, რომ არ ფრენდნენ, ასე ჩქარა ყველგან როგორ მიივლ-მოივლიან?

– მგელზე ჯიან და ისე დადიან, – აქ გადიხარხარა და თავზე დამისვა ხელი. ამგვარ რამებს მკითხავდა და თანდათან გახალისდა. მეც რომ შევატყე, ალარ წყრება-მეთქი, გავთამამდი. ბოლოს დამიწყო გამოცდა. საზეპიროები მკითხა, – კარგად მივუგე.

– აზრიც გესმის? – მკითხა.
– რასაკვირველია, მესმის!
– შეგიძლია ქართულად გადაგვითარგმნო ეგ ლოცვები?
– რაღაც გადაგითარგმნით, ქართულად რომ უფრო ადრე ვიცოდი?..
– სად ისწავლე?
– სახლში.
– ეგებ რუსულადაც იქ ისწავლე?
– არა, აქ. – მიუბრუნდა მასწავლებელს და ჰკითხა:
– თქვენ ხომ არ შეგძლიათ, რომ ეგ ბავშვი უკანასკნელ მოწაფედ წარმოადგინეთ?

– არა, თქვენო აღმატებულებავ! ერთი რომ პატარაა, მერე კიდევ არც დიდი ხნის შემოსულია და ჯერჯერობით ყურადღებას ალარ ვაქცევდით, არასა ვკითხავდით, გაკვეთილებსაც არ ვაძლევდი: ჯერ მიეჩიოს-მეთქი, – უპასუხა მასწავლებელმა ცოტა ფერმიხდილად.

– მაში თუ არა გკითხავდნენ, შენ როგორლა სწავლობდი? – მითხრა მან.

– სხვებს რომ აკითხებდნენ და უხსნიდნენ, მეც აქ არ ვიყავი? ყურს ვუგდებდი.

ეს რომ გაიგონა, „ხედავთო?“ დაეკითხა ჩემ ამხანაგებს: რომ მოგენდომებიათ, თქვენც ასე ისწავლიდითო. მასწავლებელი რომ კარგად გიხსნით, ეს ცხადად სჩანს“. ხელი ჩამოართვა მასწავლებელს და მადლობა უთხრა. მე შუბლზე მაკოცა, წამოდგა ზეზე და დაიშალა კლასიც. მივთრინდი თუ ფეხით მივედი სახლში, ალარ მახსოვს, სიხარულმა ისე ამიტაცა, რომ მთვრალივით ვეღარ გამოვერკვიე. შინ რომ მივედი, სტუმრები იყვნენ სახლში და მამაჩემმა მომაძახა: რა ქენი, ჩემო კაჭუა? მეც ყველაფერი მოვახსენე, რაც გადამხდა. „მე კი არ ვიცოდი?! – წამოიძახა მამამ. – კვიცი ყოველთვის გვარზე მიდისო. პეტრე არხიმანდრიტს რომ ვებარე მონასტერში ბავშვობისას, ყველას ვჯობდიო, რასაც სხვები ათ-ათ წელიწადს უნდებოდ-

ნენ, მე ორ-სამ წლინადს გავიარე, გავათავე: „ღრამატიკა, ანგარიში, ისტორია, ლეოლრაფია და სხვანიო. ბატებმა არ დამაცალეს, ყიყინით მაწუხებდნენ, თვარა, რომ მომეცადა, არისტოტელის კათელორიასა და ლოლიკას სულ ბდლვირს გავადენდიო. შენც, შვილო, ოჯახის შვილი რომ ხარ, სხვებზე უფრო მეტი უნდა ისწავლო და ვიგინდარები არ გაიტოლოთ!“ სტუმრებმაც ამგვარივე დარიგება მომცეს. დედა კი თავისთვის იჯდა თავჩალუნული, თითქო ამისთვის სულ ერთიაო და არც კი შეუმჩრევივარ. საღამოს, დასაძინებლად რომ ჩავნექ ლოგ-ინში, მოვიდა დედა და შუბლზე დამადვა ხელი. ჩამოჯდა ლოგინზე. მე ვიფიქრე: „ვაი თუ ავად ვარ და მატყობს რამეს, თვარა ასე სხვი-მის როდის მოსულა-მეთქი“. წინათაც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ საკვირველი ზე სჭირდა დედას: თუ არ გამოთხვების დროს, როცა სადმე დიდი ხნით მივდიოდი და ან ხანგრძლივ უნახაობის შემ-დეგ, ისე არ გვაკოცებდა ბავშვებს, და მაშინაც ისე, თითქო გული ნებას არ აძლევსო. ეს მეც მიკვირდა და ვერ ამეხსნა. ეს ხასიათი მთელ მის სიცოცხლეში შერჩა. შვილიშვილებსაც ასე ეპყრიბოდა. ერთხელ, დაცოლშვილიანებული ვიყავი, შევესწარი, რომ ჩემ პატარა შვილს, მძინარს, მიდგომოდა და სიფრთხილით, არ გამოიღვიძოსო, ჰკოცნიდა, ეალერსებოდა. მაშინ მივხვდი, რომ ალბათ ჩვენც ასე გვეალერსებოდა-მეთქი. ცხადად ვინ უშლიდაო – ითიქრებს კაცი, და ის თურმე იმ აზრის იყო, როგორც ერთხელ გამოაცხადა ლაპარაკში, რომ ხშირი მოფერება აფუჭებს ყმაწვილს და წარამარა კოცნასაც ფასი აღარ აქვს მის თვალშიო. არ ვიცი, საზოგადოდ ეს მართალია თუ არა, მაგრამ ჩემ თავზე როგორც გამოცადე, მისი კოცნა რაღაც სასუფევლურ ნეტარებად მიმაჩნდა. იმ საღამოს ავფოფინდი, რომ გვერდში მომიჯდა და ალერსიანად მითხრა: ხომ ილოცეო?..

– როგორ არა-მეთქი!

– დღეს დიღას, სანამ კლასში წახვიდოდი, დაუჯდომელი პარაკ-ლისი ხომ არ დაგვინებია?

– როგორ დამავიზუდებოდა!.. და მერე მით უფრო, რომ განსაცდელში მივდიოდი.

– ჰო, კიდეც მიტომ უხსნიხარ ღმერთს და გაგიმარჯვნია. უღმერ-თოდ, რაც უნდა იცოდე, მაინც ვერას გააწყობ! მამაშენმა რაც გითხრა დღეს, ის მართალი კი ნუ გგონია, იმან ისე იცის ხუმრობა.

– რა?

– რა და, სხვებმა რომ გაჯობოს, სირცხვილიაო. აბა, სხვები რომ კარგები იყონ, შენი რა სირცხვილია? სირცხვილი ის არის, როცა

შენ შენდა თავად არ ვარგხარ და არ ცდილობ სწავლას. შენ სხვებს კი არ უნდა ეჯიბრებოდე! შენ სრულიად შენთვის უნდა ცდილობდე ყოველგვარ სიკარგეზე და, თუ სხვებიც შენისთანები იქნებიან და კიდევ უკეთესიც, შენ იმითი რას დაჲკარგავ? შენ კიდეც უნდა გიხ-აროდეს მათი სიკეთე. შენ რომ კარგად დაგიჭერია დღეს ეგზამენი, აი რა კარგ გუნებაზე ხარ! ისინი კი, შენი ამხანაგები, ვინ იცის, რა გულდანყვეტილები არიან!

– ტიროდენ, დედა!

– მერე არ შეგეცოდა?

– შემეცოდა კი არა, კინალამ მეც ვიტირე...

– ჰოდა, იმათაც რომ შენსავით გაემარჯვათ, ხომ გიამებოდა?

– ნეტავ მართლა!..

– ჰო, შვილო! სხვისი შური და სიხარბე გულში არ უნდა შეუშვა, – ესენი ორივე ეშმაკის კიბის საფეხური არიან. ეშმაკი ჯერ შეგიტყუებს ზედ ნელ-ნელა და მერე უცბად გრავს ხელს და გადაგაგდებს. – მე პირჯვარი დავიწერე, დედამ მაკოცა მხურვალედ, ორჯერ-სამჯერ ჩამეკონა გულში, პირჯვარი გადამსახა და მომშორდა: „დაიძინეო“. ჩემს ნეტარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. დიდხანს თვალი ვეღარ დავხეუჭე, და, რომ დამეძინა, სიზმრებმა წამიღეს: სულ ანგელოზებში დავფრინავდი და ვთამაშობდი.

გათავდა ეგზამენები. წავიდა მაქსიმოვიჩი. მიწყნარ-მოწყნარდა ყოლიფერი და მეც პირველი საჩუქრით გადამიყვანეს მეორე კლასში. სულ სხვა თვალით მიყურებდნენ ამხანაგებიცა და უფროსებიც. ამას მე კარგად ვხედავდი და ვცდილობდი, რომ არ შევრცხვენილვიყავ. დღე და ღამე გაერთებული მქონდა, ისე მონდომებით ვსწავლობდი და იმ შრომასთან და ცოტა ნიჭიანაც, რომ უკეთესი პატრიონობა მქონდა და უფრო სწორ გზაზე ვმდგარიყავ, კარგი რამ გამოი-დოდი, მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ იმ დროს პედაგოგია მეტად დაბალ ხარისხში იდგა. ბავშვებს კაჭკაჭებსავით წვრთნიდნენ და არა ადამიანის შვილებად! ყოველი საგანი უნდა მხოლოდ ეზეპირებიათ მოსწავლეებს, და, აზრი ესმოდათ თუ არა, ამას არავინ ჰკითხავდა. ერთი რუსის შვილი იყო – ვოლკოვი – და იმას საღმრთო წერილი-დან გაკეთეთილი ჰკითხეს. საბრალომ ზეპირად არ იცოდა, მაგრამ თავისი სიტყვით შვენივრად ახსნა, მასწავლებელმა უგდო, უგდო ყური და გაიცინა: – შენი სიტყვებით რომ ბრძანებ, განა სწუნობ მაგის დამწერის სიტყვებს?! გაუჯავრდა და გააგდო, ცუდი ნიშანიც დაუსვა. მერე მეორედ გაიყვანა, როდესაც გაეზეპირებია და სულ-

მოუპრუნებლად, სულ სხაპასეუპით უთხრა, თუმცა კი არ ესმოდა, რას ამბობდა. მოუწონა: „აი როგორ უნდა დაისწავლონ!“ და კარგი ნიშანიც დაუსვა. ასე იქცეოდენ ყველა მაშინდელი მასწავლებლები. მხოლოდ მათ რიცხვში ერთადერთი, გვარად ტროე, სულ სხვა იყო! მაქსიმოვიჩის მეთოდი შემოიღო: საზეპიროს ცოტას გვაძლევდა, სულ რამოდენიმე პწკარს, მაგრამ მაგიერად, არა თუ აზრი, ყოველი სიტყვის მნიშვნელობა უნდა გვცოდნოდა და აგვეხსნა. მის კლასში ყველა – დიდი და პატარა – თანასწორად სმენად იყო გადაქცეული. ბუზი რომ გაფრენილიყო, გაიგებდა კაცი. მაშინ იცოლენენ და დღე-საც კიდევ, მასწავლებლები რიგ-რიგად ჰკითხვენ მოსწავლეებს, ასე რომ მოწაფემ იცის, როდის მოუწევს რიგი და იმ დღისთვის უკეთ ემზადება, ვიდრე სხვიმის, და მის სწავლაში თანასწორობა აღარ არის. ტროეს კლასში კი ყველა მზად უნდა ყოფილიყო. ერთს რომ ჰკითხავდა, უცებ, მოულოდნელად სხვას რომელიმეს „განაგრძეო“ – მიუბრუნდებოდა. აგრეთვე არ იცოდა ძველი და ახალი გაკვეთილი: მოულოდნელად ძველიდანაც გვკითხავდა ხოლმე. თვითულ სკამს მიუჩინა თითო უფროი შეგირდი. ისინი ჰკითხავდნენ ყოველდღე გაკვეთილს მოსწავლეებს და ნიშნებს უსვამდნენ. იმ უფროსებისათვის მერე მე უნდა მეკითხა და დამესვა ნიშნები. ზოგიერთი მათი შეგირდებიც უნდა შემემონმებინა და ის ნიშნები მიმერთმია მასწავლებლისათვის. რომ შემოვიდოდა, ისიც გადაათვალიერებდა და დასამონმებლად გამოიხმოდა ზოგიერთებს. ერთი გაბაშვილი იყო ჩენეს კლასში, რომელიც სოფლიდან დადიოდა სასწავლებელში და კლასის დაწყებას, რასაკვირველია, ვეღარ მოასწრებდა ხოლმე. ამისათვის აჩოქებდნენ იმ საწყალს კუთხეში კლასების გათავებამდე. ასე რომ ფეხზე მდგარი ის სწავლის დროს ძვირად დაგვინახავს. ერთხელ დარჩენილიყო სადღაც და ქუთასიში ნათესავებში გაეთია ლამე. სამოსწავლო წიგნიც ეშოვნა (მაშინ არამცთუ გარეშე წიგნი, სახელმძღვანელო წიგნებიც ცოტა იყო, სულ რამოდენიმე და ერთი მეორისაგან ვნათხოვრობდით) და გაკვეთილი კარგად დაესწავლა. ადრე მოვიდა, მაგრამ, რადგანაც დაჩვეული იყო, თავისთავად დაიჩოქა და ამისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია. მის უფროს შეგირდს მისთვის კარგი ნიშანი დაესვა, მე შევამონმე და მართალი გამოდგა. ტროემ რომ საზოგადოდ ყველას ნიშნები გადაათვალიერა, გაბაშვილის ოთხსაც მოჰკრა თვალი. ალბათ გაუკვირდა და გამოუძახა. ჰკითხა და მისთანა თქვენს მტერს! ერთი სიტყვაც ვერ მიუგო, გადააქნია თავი და გამიხმო:

– ეს ნიშანი შენ დაუსვიო? – მკითხა.
– დიახ, მე-მეტქი, – ვუპასუხე
– მერე რათა, რომ არაფერი იცის?
– მე რომ ვკითხე – იცოდა.
– იცოდა?! ასე მალე, ორ წუთში როგორ დაავიწყდებოდა? აქ რაღაც სხვა ამბავა! – ბრძანა მრისხანედ. – შევიტყობ, რაც არის, მაგრამ ჯერ არ მცალია. გაბაშვილი, წადი და შენ იქვე დაიჩოქე, სადაც იყავი და შენც, წერეთელი, მიდი მაგასთან და გვერდში ამოუდექი, სანამ ჩემი კლასი არ გათავდეს! მერე ორივეს ერთად დაგამოწმებთ. – თუმცა ყველაზე მეტი ჩვენ ტროესი გვეშინდა, მაგრამ მისგან დასჯილი არ გვინახავს, და ახლა: როგორ გამიბედეს მოტყუება, ზომას გადავიდა.
– შე შეჩვენებულო, რა ჰქენი ეგა, აკი იცოდი? – დავეკითხე ჩუმად, კუთხეში რომ გავედით.
– ახლაც ვიცი, – მიპასუხა ტირილთ.
– მაშ, რატომ არ მოახსენე!
– ფეხზე რომ ვიდექი, ვერ მოვახერხე. ეს რამდენი ხანია – სულ დაჩოქილი ვსწავლობ და პასუხსაც ისე ვაძლევ. აი, თუ არ ვიცი! – მოჰყვა ზეპირად. – რომ ავდგე, დამებნევა! – მასწავლებელმა მოგვატანა თვალი და მოგვაყურა – რას ჩურჩულებთო? – მე გავედი და მოგახსენე ყველაფერი. გამოიყვანა გაბაშვილი, დააჩოქა და ისე ჰკითხა. კარგად მიუგო, რამდენჯერმე გაიმეორა ეს ამბავი და ისე გაუკვირდა, რომ წამოდგა ზეზე, კლასს თავი დაანება და გასწია კანცელარიისაკენ. იქ რა ჩაიდინა, ვინ იცის? მაგრამ იმ დღიდან კი გაბაშვილი დაჩოქილი არ გვინახავს.
ერთხელ, სწავლა რომ გათავდა და შეგვასვენეს, მე, რადგანაც დილას არა მეჭამა რა, შევირბინე შინ, ვიგდე ახალუხის ჯიბეში ცხელი მჭადის კოკორი და მივაშურე ისე კლასს: არ დამაგვიანდეს-მეთქი. ტროეს გაკვეთილი იწყებოდა. ფეხად შეესწრო ჩემთვის და ხუთი მოწაფე კიდეც გამოეხმო და გაემზრივებინა. შევყავ თავი თუ არა, მომაყვირა: – შენ, აქ მობრძანდი და დადექ ამათთანაო! მივედი და გავჩერდი. ცხელი მჭადი მომედვა ბარძაყზე და მეცხუნა. მე შმაშური დავიწყე, ხელი მოვუსვი. ასე რომ ავტოკდი, მასწავლებელმა შემნიშნა და მკითხრა: რა გემართებაო? დაფარვა აღარ შეიძლებოდა... ამოვაყოფინე ჯიბიდან მჭადს თავი... შეგირდებმა გადიხარხარეს. მასწავლებელმა ულვაშებში ჩაიცინა, გამომართვა მჭადი და წინ სტოლზე დაიდვა. მე სირცხვილის ოფლი გადამსკდა. დაგვიწყო

გაკვეთილების კითხვა. ამ დროს, ჩემდა საუბედუროდ, ინსპექტორი შემოვიდა. მაშინ კი ამიკანკალდა მუხლები. ეს ისეთი შეუბრალებელი ვინძე იყო, რომ ყმაწვილის „გაროზგვას“ არა ერჩია რა. სულ უბრალო მიზეზი საკმაო იყო, რომ ოთხში ამოელო. ერთხელ ერთსა და იმავე დროს ორი ბავშვი „გაროზგას“: ერთი იმიტომ, რომ თმა წამოგზდიაო და მეორეც იმიტომ, რომ მეტად ძირში მიგიჭრიაო! ვიფიქრი: „ეს მჭადი მე ხეირს არ დამაყრის-მეთქი!..“ მართლაც, მოჰკრა თვალი თუ არა, დაიღრიალა: – ამ მჭადს რა უნდა აქ, ვინ მოიტანაო!.. ერთი მონაფე, რომელიც ხშირად მექიმშებოდა ხოლმე, წამოხტა ზეზე და მოახსენა: წერეთელს ამოუღეს ჯიბიდანაო. – რათ მოგიტანიაო?! მკითხა მრისხანედ. მე ენა ჩამივარდა, მაგრამ მასწავლებლმა მოახსენა: ახლავ გაიგებთო და მკითხა: ეს რა არისო? მჭადი-მეთქი, – ვუპასუხე კნავილით.

- რისგან კეთდება?
- სიმინდისაგან.

– როდის სთესენ სიმინდს? რანაირად იზრდება? როგორ მუშაობენ? როდის აკეთებენ მჭადს და სხვანი. ესენი ყველაფერი გამომკითხა და მეც პასუხს ვაძლევდი. რამდენიმე წუთს მკითხავდა და ბოლოს სთქვა: კარგიო! ხვალ ნუ დაგავინყდება ბრინჯის მოტანაო; ხვალ იმის შესახებ ვიღლაპარაკოთო. ინსპექტორმა ითქირა: აქ სწორედ მასწავლებლის სურვილით მოუტანიათ მჭადიო და გავიდა კლასიდან ხმაამოუღებლად. მასწავლებელმა მაპეზღარი მონაფე გაიხმო და ჰქითხა: შენ არა გაქვს რა ჯიბეშიო? გაუსინჯა და კოჭი უნახა. – ეს რა არისო? ეს ხომ სათამამოა, რომელიც კლასებში სრულიად გამოუსადეგარია და შენ კი ჯიბეში გიძევსო!.. წერეთელმა მჭადი მიტომ მოიტანა, რომ შიოდა და შექმა ვეღარ მოასწრო და შენ კი სათამაშოდ დაბრძანდები! კარგი, გაჩერდი მაგრე კლასის გამოსვლამდე! მე მაგ კოჭით წარგადგენ ინსპექტორთანო. იმ მონაფეს ფერი ეცვალა და ატირდა. კლასი რომ გათავდა, მიუბრუნდა მტირალს და უთხრა: კარგი, ახლა კი მიპატივებია, მაგრამ შემდეგ კი ფრთხილად იყავი: რაც შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო!

ეს ჩვენი საყვარელი მოძღვარი მხოლოდ ოთხ კლასამდე ასწავლიდა; უფროს კლასებში ნება აღარ ჰქონდა, რადგანაც უმაღლესი სასწავლებელი არ ჰქონდა გათავებული. თუკი რამ ვისწავლეთ რუსული, მის ხელში; და მის შემდეგ კი, იმ უფროს კლასებში, მეოთხედან დანერებული, თუ რამ დაგვაკლდა, თვარა არა შეგვიძენია რა. მეოთხე კლასი მეტად ძნელი კლასი იყო: სულ ახალ-ახალი საგნები და

მასწავლებლები: ისტორია, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ლათინური, სჯულისკანონი, მეურნეობა, მინერალოგია და სხვადასხვა – სულ ერთად მოგვაყარეს! – თავ-ტანის რომ აღარა გაგვეგებოდა რა, გავუსვით ზეპირობას ხელი, და, როგორც იქნა, კიდევ იოლად გავდიოდით, თუმცა სრულიადაც არა გვესმოდა რა იმ საგნების. სხვისი რა მოგახსენო და მე კი ასე ვიყავი, თუმცა პირველ მონაფედაც კი ვირიცხებოდი და ოქროს ფიცარზე ვენერე. ამ მაღალ კლასში, ცოტა არ იყოს, დავთარი შემეშალა. ერთი ვიღაც რუსული ენის მასწავლებელი დაგვინიშნეს, გვარად საპეგა. იმისთანა ახირებული კაცი ძვირი იყო! სულ ჯავრობდა რაღაცაზე, ცხვირი ჩამოუტირდა და სხვა რომ ვინმე დაენახა მომცინარი, გადაირეოდა. მე კი, ჩემდა საუბედუროდ, ისეთი მომცინარი სახე მქონდა, რომ ტირილის დროსაც კი მეღიმებოდა! ამითვალწეუნა ამ კაცშა და საშველი აღარ მომცა. წინა სკამიდან სულ უკანასკნელზე გადამსვა: „თვალში ნუ მეჩირებიო!“ ერთხელ რაღაც კაი გუნებაზე იყო, გამიყვანა და მკითხა გაკვეთილი. კარგად მივუგე, მომინონა: „ცოდნით კარგად იციო, მაგრამ რა მიზეზია, რომ სულ იღიმები? ნუ იცინი პირუტყვივითო!“ მე მეგონა, მცდის-მეთქი, და ვუპასუხე: „პირუტყვები არ იღიმებიან და არც იცინიან-მეთქი“. ეს რომ ვუთხარი, ისარნაკურავივით წამოხტა, მტაცა ხელი საყელოში და გამიძახა გარედ.

უკანა სკამზე რომ ვიჯექი, მონაფეები მოიბრუნებდნენ ხელს და ზურგს უკანიდან მომაბზეკუდნენ ხოლმე თითს. წარმოიდგინეთ ორმოცი და ორმოცდაათი თითი ჩემკენ მოშვერილი, მაშინვე დამეთანხმებით, რომ სიცილი ძნელი მოსაკავებელი იყო. მეც უცრად გადვიხარსარებდი ხოლმე. მიზეზს ვერ ვამხელდი, და ის კი მიატოვებდა გაკვეთილებს და დაიწყებდა ხოლმე ერთ ამბავს. მონაფეებსაც ის უნდოდათ. ბოლოს ამიკრძალა მის კლასში შესვლა და რჩევაში ითხოვა: ან მე აღარ ვიქები, ან ის მონაფე გააგდეთო. მის გარდა ყველა მასწავლებელს ვუყვარდი, პირველ მონაფედაც მთვლიდნენ და არ დაეთანხმენ. მიმიხმეს და მკითხეს: რა მიზეზია, რომ ასე გაგიჯავრებია ეს მასწავლებელიო? მე ტირილი დავიწყე და იქვე სიტყვების გათავებამდე გავიღიმე. დირექტორი წამოდგა და წავიდა საპეგას კლასში, რომ სხვებისათვისაც გამოეკითხა და შეეტყო ნამდვილი მიზეზი. ჩემდა ბედად მისთანა გარემოებას შეესწრო, რომ ხელი მომიმართა. ერთი მონაფე იყო ჩვენს კლასში კ... ლ... სამაგალითო რამ, აჩქარება არ უყვარდა. საპეგა კი, როცა გაკვეთილს ჰქითხავდა

ვისმე, ამბობდა: ნუ ფიქრობ, ისე მითხარიო. ის გაუყვანია დაფაზე, რაღაც დაუწერინებია და ახსნას უცდის. კ... ლ... ფიქრობს, რომ კარგად მიუგოს. სულნასული პედაგოგი მიეპარა უკანიდან, ჰკრა თავში ხელი და ცხვირ-პირი დაფაზე მიახლევინა: „რას უცდიო?“ შეშინებულსა და გაბრუებულ მონაფეს ცხვირში სისხლი წასკდა, და სწორედ ამ დროს შეესწრო დირექტორიც. საპეგა მეორე დღეს თვალით აღარ გვინახავს, მის მაგიერ მეორე დაგვინიშნეს – პანიზოესკი. მაგრამ ბევრით უკეთესი ველარც ის იყო, უკეთესი კი არა, ხმას არ იღებდა, სულ წითლდებოდა. კოშანსკის რიტორებას მოიტანდა ხოლმე და ისე უხმოდ, თითოთ გვაჩვენებდა: აქედან-აქამდის გაიზეპირეთო, და ჩვენც ვასრულებდით მის ნებას. იმას „ქალ-ბიჭას“ ვეძახოდით, დავცინოდით, მაგრამ ის თვალს გვარიდებდა. არაფერი გარეშე წიგნი არ იყო, რომ წაგვეკითხა; და რომ კიდეც გვეშვევა სადმე, წაკითხვის ნებას არ მოგვცემდნენ: „რაც კარგი რამეა – რიტორებაშია დაბეჭდილი, ის გყოფათო“. ერთხელ ერთმა თამამმა მონაფებ ჰქითხა: „რაც აქ არ არის მოყვანილი ამ წიგნში, მის მეტი პუშკინს არა დაუწერია რაო?“ „ეგ რა შენი საქმეაო?“ – მიუგო მას-წავლებელმა. ყმაწვილი არ მოეშვა და კიდევ ჰქითხა: „პუშკინი უკეთესი მწერალია, თუ გერცენიო?“ წამოვარდა შეშინებული, დაიცვა თითები ყურებში და გააპა ყვირილი: „აქ არ ვყოფილვარ, არა გამი-გონია რა, არცა გითქვამს რაო... და ამგვარად გავიდა კარში. არანაკლებ ახირებული იყო იყო იყო ლათინური ენის მასწავლებელიც – ძალიან კარგი, მშვიდობიანი და ბეჯითი მასწავლებელი; ბუზის ეშინოდა და, მახარობელას რომ ბზუილი დაეწყო, იმას გული უწუხდა. ეს რომ იცოდნენ მონაფებმა, თუ რომელიმე მათგანმა გაკვეთილი არ იცოდა, მოიყვანდა უცპად მახარობელას და ჩუმად გაუშვებდა კლასში; მასწავლებელი დაფრთხებოდა, მოსწავლეები წამოვარდებოდნენ ზეზე, ზოგი სტოლზე შესტებოდა, ზოგი ამ ბუზს დაუწყებდა ვითომდა კლასიდან გამოდენას; ხან ერთ კუთხში მიაგდებდნენ, ხან მეორეში და ამასობაში კლასიც თავდებოდა.

ცხადია, რომ ამგვარ პირობებში ჩაყენებული მოზარდი თაობა ვერას გამოიტანდა ბევრს გიმნაზიიდან, რომ ამ საზარელ ბნელში ერთი ნათელიც არ გამოგვჩენოდა. ის იყო პოლონელი როდზიევიჩი, რომელიც ჯერ პროფესორად ყოფილიყო, მაგრამ ლოთობის გულისათვის დაეთხოვათ და სტავროპოლში ეშოვნა ინსპექტორობა. მერე იქიდანაც გაეგდოთ და ჩვენში გადმოიყვანეს მათემატიკის მასწავლებლად. ეს ლოთი მასწავლებელი ყურადღებასაც არ აქცევდა

თავის საგნებს, არც ალგებრას, არც გეომეტრიას, არც ტრიგონომეტრიას და არც ფიზიკას; ჩვენს ნებაზე მოაგდო მათი სწავლა და ჩვენ, როცა გაგვიძნებოდა გაგება რამესი, მაშინ დავეკითხებოდით და მშვენიერადაც აგვისხნიდა ხოლმე. საკუირველია, რომ მისი საგანი ყველაზე უკეთ ვიცოდით. რაღაც შეგვატყო, რომ გონიერადახშული და განუვითარებელი არიანო, სულ სხვა რამებზე გვესაუბრებოდა და ცდილობდა ჩვენს გამოფხილებას. იმ ხანებში გამოაცხადეს, რომ ვისაც უნდა რუსეთში წასვლა და უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, იმას ლათინური უნდა ისწავლოს და, ვისაც მხოლოდ გიმნაზიის გათავება უნდა, იმან სჯულის კანონი შეისწავლოს და, თუ პირველ შეგირდად გამოვა, ჩინსაც მიიღებსო. ჩინს მაშინ დიდი მომხიბლავი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ყველა ჩემმა ამხანაგებმა, თუმცა ზოგი მათგანი ვერც კი წავიდოდა რუსეთში სილარიბის გამო, ლათინური ირჩიეს. ერთმა მათგანმა მხოლოდ და მეორემ მეც სჯულის კანონის შესწავლა მოვინდომეთ, ჩინს სურვილით წარტაცებულებმა. იმ ხანებში რუსული ენის მასწავლებელმა გვიპრძნა: აილეთ, რაც გინდათ, და თქვენდა თავად თხზულება დასწერეთ, მაგრამ დიალოგებად კიო. მე ვაიღე და დავტერე ერთი ახირებული რამ. მასწავლებელმა რომ წაიკითხა, ინსპექტორს გადასცა და მას საპედაგოგიო რჩევაში წარედგინა და ეთქავა: „ამის დამწერი, თუ ახლავე არ აიღავმა, არ ივარგებსო!“ რჩევაზე როდზიევიჩს გამოედვა თავი: მაგის დამწერი კარგი ვინმე გამოვა და, განყრომა კი არა, მოფერება ეჭირვებაო. მე ვთხოვულობ, რომ იმას ძალა დაატანოთ – ლათინური შეისწავლოს და მაღალ სასწავლებელში სადმე შევიდესო, მჭერმეტყველებამ გაიტაცა, გადაიყოლია ზოგიერთები სხვებიც და დირექტორმაც ბანი მისცა. შემიხმეს მეც.

– ეს შენი დაწერილიაო? – მკითხა დირექტორმა.
 – დიახ, – ვუპასუხე ცოტა შემკრთალმა.
 – მერე როგორ გაბედე, რომ მთავრობის მოსამსახურე პირებს ასე ცუდად იხსენიებ?
 – ის გადამდგარი ჩინოვნიკია.
 – სულ ერთია, უპატიურად შეხება მაინც არ შეიძლება! ის დამსახურებული იქნებოდა და პენსიაც ექნებოდა, – დაუმატა მრისხანედ ინსპექტორმა. – წაიღე და გადაასწორე სხვანაირად!
 – თუ მხოლოდ ეგ არის წუნი, ეგ ადვილია: წავშლი სიტყვას „გადამდგარ“ და დავწერ „გამოგდებულს“. გამოგდებული, თუ კარგი ყოფილიყო, ისევ სამსახურში იქნებოდა. დირექტორმა გაიცინა და

გამიშვა. იმ დღიდან მეც ლათინურზე გადავედი. ამის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარა როდზიევიჩმა და განსაკუთრებულ ყურადღებას მაქცევდა. საკვირველი იყო მისი საქმე: ისე გაულენთილი ჰქონდა გვამი არაყით, რომ ხანდახან, კიდეც რომ არ დაელია, ისე თავისთავად მოუვლიდა სიმთვრალე. ერთხელ მოუარა გაკვეთილების დროს და მონაფეს, რომელიც დაფასათან იდგა და გეომეტრიულ სახეებსა ხატავდა, — მიაყვირა: „აბა, ჩამოუარე ლეკურიო!“ — და ტაშის კვრა დაიწყო. გაშეშდა მონაფე. ჩვენც შევწუხდით, მაგრამ იმან მაინც თავისი არ დაიშალა: „როგორ თუ შენ ნაციონალური ცეკვა გეზიზლებაო?!

არ იცი, რომ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვაში მისი გული და სული იხატება? აი, ლეკურიც ხომ ქართულია, ცოცხალი რამ არისო!“ დაუკრა ვითომ თვითონ ლეკური, მერე გადავიდა მაზურკაზე: „აი ესეც ჩვენი გამოგონილი თამაში და შეუპოვარი მაზურეაო! და ახლა ესეც ნახეთ, რასა ხატავსო“ და დაუკრა „ტრეპაკა“, უწმანური გინებით შეკაზმული. ბოლოს შეჩერდა, დაავლო ქუდს ხელი და გავარდა კარში. ჩვენ ლმერთს მადლი შევწირეთ, რომ არც დირექტორი, არც ინსპექტორი და არც სხვა ვინმე არ შემოგვსწრებია. ისე შეგვებრალა, რომ არ ვიცოდით, გვეცინა თუ გვეტირა! მესამე დღეს დარცხვენილი შემოვიდა. დიდახანს ხმას არ იღებდა ბოლოს დაიწყო:

„ყმანვილებო! ძველ დროში საბერძნეთში განგებ დაათრობდნენ ხოლმე მონებს და მათ უსაქციელობას თავის შვილებს აყურებინებდნენ, რომ მათთვის თვალდათვალ დაენახვებიათ, თუ რა საძაგლობაა — კაცი რომ დათვრება, გონებას დაჲკარგავს და პირუტყვს დაემსგავსება. გუშინნინ მე დაგანახვეთ თქვენ ამგვარი რამ. ეცადეთ, რომ გაუმაგრდეთ ცხოვრებას, აიტანოთ გასაჭირო და ჩემსავით არ გაგაფუჭისთ. რა ვარ ახლა მე? განა არ ვგრძნობ, რომ ფიზიკურად დამახინჯებული ვარ? მაგრამ მაინც, მადლობა ლმერთს, ამ ფიზიკურმა დამახინჯებამ სული და გული წმინდად, შეუბლალავად შემინახა“. კლასის გამოსვლამდე სულ ამნაირად გვემუსაიფა და მოგვშორდა. ჩვენ თითქმის ყველა ვტიროდით და იმ დღიდან კიდევ უფრო გვებრალებოდა.

უკანასკნელ კლასში რომ გადავედით, მე ფრანგულის მასწავლებლის მუსიკ ტურესის სახლში ვიდეები. ამ მუსიკ ტურესს ყმანვილები „მოსე ტურს“ ეძახდნენ. ერთხელ სალამოს სტუმრად შემოჰყვა როდზიევიჩი; დაჯდენ ორი მარტო და ჩაის დაუწყეს სმა. სტუმარმა რომი მოითხოვა, თვითონაც დაისხა და მასპინძელსაც დაუსხა. შეჰყვნენ ნელ-ნელა მუსაიფა. შეზარხოშებულმა ფრანგმა დიდი

რევოლუცია მოიგონა და აღტაცებით დაიწყო ლაპარაკი. სტუმარმა პოლონეთი გაიხსენა, და მოხსენეს თავი სიფრთხილეს, მით უფრო, რომ იქ იმ ორისა და ჩემს მეტი არავინ იყო. მე ჩემთვის კუთხეში ვიჯექ, ასე რომ, მგონი, ვერც კი შემნიშნეს. იმათმა აბდაუბდა საუბარმა ისე გამიტაცა, რომ რაღაც უჩვეულო სასუფეველი ვიგრძენი, სმენად გარდავიქეცი. ბოლოს სთქა ამოოხვრით როდზიევიჩმა: „ახლა რაღა დროს, ვწუხვარ, რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გავმხდარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისათვის კონრადივით სამსახური გამენია!..“

ეს რომ ჩამენვეთა ყურში, ჩემი თავი ვეღარ ვიცანი! იმ ღამეს აღარ დამეძინა. ვამბობდი: „რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი იქნება სამხედრო სამსახური? რა ადრე შევუდგები საქმეს, ის აჯობებს, და ამ ერთ წელიწადს მაინც ხომ, უკანასკნელს კლასში, ახალს რას გვასწავლიან, ძველებს გვამეორებინებენ, — და გამოვალ, არსად არ წავალ-მეთქი“. გადავწყვიტე და გამოვუცხადე მამაჩემს ჩემი სურვილი. მამას ძალიან იამა: „შენი ნებაა, შვილო! მე შენი ხნისას ცოლი მყავდა და ოჯახს ვეკიდე“. მაშინვე გამოვედი სასწავლებლიდან, რითაც ყველა გავაკვირვე და დილიდან სალამომდე როდზიევიჩს აღარ ვშორდებოდი. ოთხი თვე დავრჩი, მაგრამ ეს ოთხი თვე უფრო ნაყოფიერი იყო ჩემთვის, ვიდრე რვა წელიწადი გიმნაზიაში მყოფობის დროს. დამდეგ მაისს გამოვეთხოვე დედ-მამას, იმერეთს და დავადექი გზას. სრულიად გამოუცდელს ცხოვრებაში, ბევრის არმცოდნეს და სრულიად არაფრის მნახველს უნდა ზღვა გამევლო, ხმელეთი გადამელახა და ერთი ბიჭის ამარა ჩავსულიყავ პეტერბურგში, სადაც ჩემი ძმა მეგულებოდა „კანვო“-ში მოსამსახურედ.

III

ქვეყანაში თვალგაუხელელი, ცხოვრებაში გამოუცდელი და ოცნებით გაბერილი, აპრილის დამლევს დავადექი რუსეთის გზას. ორპირამდე (მარნამდე) ცხენით ვიარე, იქ ნავში ჩავჯექ და მივანდვე თავი გადარეულ რიონს. ფოთამდე ორ დღეს მოვუნდი სიარულს; აქაც სამ დღეს დავრჩი, დავესწარ ფოთის კურთხევას და მერე კი სამხედრო ცეცხლის გემით გავეშურე ოდესისაკენ. პეტერბურგში პირდაპირ მიმავალისათვის, რასაკვირველია, ხმელეთით წასვლა უფრო მოხერხებული იყო და არც ისე საშიში, როგორც ზღვით, მაგრამ ამ გზით მიტომ გამისტუმრეს, რომ იქ ვარანცოვის ქვრივი ეგულებოდათ

და მისი ნახვა დამავალეს. იმ დროს საზოგადოდ ქართველებს ისეთი სიყვარული და ხსოვნა ჰქონდათ ვარანცოვის, რომ, თუ რუსეთში მყოფი, ან მიმავალი ქართველი ვარანცოვის ქვრივს არ გაუვლიდა და არ ნახავდა, ვერც კი ნარმოიდგვენდნენ. ჩემმა მშობლებმაც მიტომ დამავალეს, რომ უთუოდ მივსულიყავ კწენინასთან და მათ მაგიერ მოკითხვა გადამეცა; ძღვნად – მისართმევადაც ერთი დიდი გიშ-რის ჯვარი, ზედ ჯვარცმაგამოსახული გამატანეს. ჩემს ოცნებაში ზღვაცა და ხმელეთიც ნამდვილზე მეტად მქონდა წარმოდგენილი და მიტომაც აღარა გამკირვებია რა!.. გართობით კი ისე გამართო ახალ-ახალ, უცხო სანახაობამ, რომ დროს ვეღარ ვგებულობდი. ჩემი პოეტური ოცნება ისე გაიზარდა მგზავრობის დროს, ისე აჭრელდა და აფერადდა, რომ გაბრუებულმა ცა და ქვეყანა, ზღვა და ხმელეთი საჭადრაკო ფიცრად გავიხადე და ჩემ ნება-სურვილზე ვახტუნებდი მეფესა და ლაზიერს. რას მივხვდებოდი მაშინ, რომ გამოუცდელობა მატყუარა ნატვრის თვალია?!

ვარანცოვის კწენინამ შეიღივით მიმიღო და დედაშვილურად მომექცა. გამომკითხა ყველას ამბავი და ბოლოს, გიშრის ჯვარი რომ გადავეცი, დიდი სიამოვნება დამჩნია. „ვახსოვართ ქართველებს და სჩანს, რომ ჩემ ქმარს მალე არ დაივიწყებენ!“

„სანამ საქართველოს სახსენებელი არ მოისპობა, ვარანცოვის სახელიც არ დავიწყდება-მეთქი“, წამოვიკნავე მე ეს უფროსებისგან ჩვენში ბევრჯერ ნათქვამი და ჩემგან გავონილი და გულში ჩარჩენილი სიტყვები.

მოხუც კწენინას ცრემლი მოერია, ღიმილით შემომხედა და მაკოცა. ჩემი მიტანილი ჯვარი სტუმრების ხელიდან ხელში გადადიოდა. ყურადღებით სინჯავლენ; გიშერი შავი ქარვა ეგონათ და მოსწონდათ, მაგრამ ჯვარზე გამოქანდაკებული ქრისტეს სახე, როგორც ეტყობოდა, ვერ აკამაყოფილებდა მათ ესთეტიკურ მოთხოვნილებას. ერთ სტუმარ ქალთაგანს მიუბრუნდა კწენინა და უთხრა: იტალიაში ხომ არა გონიათ თქვენი თავი? ნუ დაივიწყებთ, რომ ამისთანა რამეებს უბრალო მეგიშერები აკეთებენ იმერეთში! ისინი გლეხები არიან და არსად რამე უნახავთ გარდა გარდამოხსნისა და ხატებისა ეკლესიაში; მათი სამხატვრო გალერია, მათი შეკოლა – მარტო ბუნებაა საქართველოსი, მაგრამ ბუნება საოცნებო და აღტაცებაში მომყვანი. ეს უბრალო ხელოვნება განა არ ამტკიცებს, რომ იმათ, თუ გარემოებას ხელი არ შეეშალა მათთვის, თვისი საკუთარი რაფაელები და მიქელ-ანჯელოები ეყოლებოდათ? განსვენებულ თავადს აღტა-

ცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივსა სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედობდა. სულ იმას ამბობდა: ეს პატარა საქართველო დიდ რუსეთის ქარგაში უმშვენიერესი ფერადი და უმტკიცესი ოქროქსოვილი იქნება! მხოლოდ ჩვენ კი უნდა მივუშვათ ნებაზე, ვუნინამძღვროთ და გარედან ხელი შევუწყოთ.

ერთი საათი მეტი ილაპარაკა სულ ქართველებზე და საქართველოზე. წასვლა რომ დავაპირე, გამოთხოვების დროს ღიმილით მითხრა: აი, ახლა თქვენ, ახალგაზრდა ქართველებმა, უნდა გაამართლოთ ჩემი ქმრის იმედებით! მერე მკითხა: რამდენ ხანს დარჩებით ოდესაში? და რომ მოვახსენე: რამდენიმე დღეს-მეთქი, მეორე ღილისთვის სადილად დამპატიუ, ორმოცი წელიწადი მეტია მას აქეთ, მაგრამ ასე მგონია, თუ ეს ყოველიფერი ახლა იყო-მეთქი, ისე ნათლად ჩამრჩა მისი აღერსიანი სახე გულში და სიტყვებიც ტკბილად ყურში მინივიან.

სასახლიდან დაბრუნებულმა მთელი დღე ოდესის დათვალიერებას მოვანდომე. ბევრი საუცხოვო რამ ვნახე, მაგრამ დიდად არ შემომჩნევია: არც მრავალსართულიანი სახლები, არც განიერი ქუჩები და არც ზედმავალ ხალხის გაცეტებული მისვლა-მოსვლა. მე მხოლოდ ბოლოზში თავმოყრილმა გემებმა გამაოცეს!.. „ან რა მიაქვთ, ნეტავი, ამდენი და ან რა აქვთ წასაღები, რომ ზღვაზე ძლივს ეტევიან-მეთქი?“ ვამბობდი გუნებაში და თანაც გულს ვაყოლებდი ზღვის ფრთვინგას. მეორე ღილეს, ვარანცოვის კწენინასთან რომ ვეპირებოდი წასვლას, სწორედ იმ დროს, სასტუმროს მსახურმა შემომტანა წერილი. ექიმი ანდრიევსკი მწერდა: კწენინა ავად გახდა, დღეს აღარავის მიღება არ შეუძლია და მის მაგიერ მე გთხოვთ, ჩემთან მოხვიდეთ სადილად. მით უმეტესად, რომ კწენინა ვარანცოვის დავალებით ერთი რამ უნდა გადმოგცეთო! მე მისი ადრესი არ ვიცოდი და შევწუხდი, მაგრამ გამოდგა, რომ თავისი საკუთარი რაფეტა გამოეგზავნა ჩემთვის. მეც ჩავჯექი და ვეახელი.

ანდრიევსკი ვარანცოვის სასახლის საკუთარი მკურნალი იყო, შინაური კაცი, და, სადაც უნდა ყოფილიყო ვარანცოვი, ყველგან თან ახლდა. ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი, თავად თუმანიშვილისა. ქართველები დიდ პატივსა სცემდნენ და ისიც მათ სიყვარულს იჩენდა უეჭველია, რომ ვარანცოვის დროსაც იქნებოდნენ ქართველების მოძულარი რუსები, მაგრამ ვერ გაბედავდნენ გამოცხადებას!.. საზოგადოდ ხელქვეითები უფროსის ნება-სურვილს უთანხმებენ თავის გრძნობა-გონებას... ფარისევლურად ხელში იჭერენ ორივეს

ჩემი თავგადასავალი

როგორც აფელსავით და, დროს აყოლით, ხან მარჯვნით გაჰკვრენ, გააზუზნებენ ხოლმე და ხან მარცხნით. ანდრიევსკი კი არ ეპუთვნოდა ამგვარ ხელქვეითთაგანს...

ცოლ-შვილის მოყვარული და მოალერსე, ანდრიევსკი, როგორც ყველგან, ისე ოდესაშიაც ხელგაშლილად ცხოვრობდა. იმ დღესაც, მე რომ ვენციე, სახლი სტუმრებით აევსო. ჩვეულებრივს მოსალმების შემდეგ, ანდრიევსკის მეუღლემ ბოდიში მოიხადა ვარანცოვის კნეინას მაგიერ და გადმომცა რაღაც ქალალდში გრძლად გამოხვეული ლელვის ჩირივით: „ეს იმან გამოგიგზავნათ!“ ხელში რომ ავიღე, მემძიმა. ვნახე, რომ სულ ბაჯალლო ოქროები იყო. გავწითლდი, ჭირის ოფლმა დამასხა და სხვებს კი უთუოდ ეგონათ, სიხარულმა აიტაცაო. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მადლი გადუხხადე და საჩუქარი უკანვე დავუბრუნე. „სწუნიბო? – შეერთომით მეითხა ანდრიევსკის მეუღლემი: – საჩუქრის მიუღებლობა ვის გაუგონია? ეს სახსოვრად გამოგიგზავნა კნეინამო“. დაწუნება რა ბრძანება არის-მეთქი? – მოვახსენე. – სახსოვრად რომ სხვა რამე ებოძებია, დიდის სიმდაბლით და მადლობით მივიღებდი, მაგრამ ფული კი სწორედ არ მეხერხება-მეთქი. – სტუმრებმაც და მასპინძლებმაც გაოცებით დამიწყეს ყურება. ცხადია, უგნურ ბრიყვად ჩამაგდეს, მაგრამ თვითონ ანდრიევსკიმ კი სიცილით უთხრა ცოლს: „ბაბალე, აკი გითხარ, რომ არ მიიღებდა?“

„მაგას ჯერ ისევ საქართველოში ჰგონია თავი, ასე მალე მამაპაპის წესსა და რიგს ვერ მოიშლისო“. მერე მოვიდა ჩემთან, ბეჭზე დამადვა ხელი და ლიმილით მითხრა: „ჩემო ახალგაზრდა მეგობარო! ტყუილა ნუ დაგირცხვენია, აქ საწყენი არა არის რა! ჩვენში ეს მიღებულია და ხომ გაგიგონია თქვენებური ანდაზა: „რა ქვეყანა-შიაც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეთ“. ისიც მართალია, ვინც გაჩუქა და შენც მართალი ხარ, რომ არ მიიღე ეს საჩუქარი. ამას მე უკანვე გადავსცემ კნეინას, ვუამბობ ყოველიფერს და ბევრსაც ვაცინებ, მაგრამ მხოლოდ პირობით კი: ერთი წელიწადიც არ გაივლის, რომ შენ სულ სხვა თვალით შეხედავ ცხოვრებას, დღევანდელ შენს შეცდომას იგრძნობ და მაშინ სიტყვა მომეცი, რომ მომწერო და შემატყობინოო!..“ მართლაც, წელიწადს კი არა, ოთხ თვესაც კი არ გაუვლია, რომ ვიგონებდი ამ შემთხვევას და გუნებაში ვამბობდი: რა გამოუცდელი ვიყავ-მეთქი?! გულიც კი მწყდებოდა, მაგრამ აღარ მიმიწერია რა ანდრიევსკისათვის.

სტუმრებში, იმ დღეს, იქ ერთი ვიღაც პუნქია ახალგაზრდა ერია, სულ საულვაშეზე ისვამდა ხელს. ის მოვიდა, მომიჯდა გვერდით და ჩამეკითხა:

ჩემი თავგადასავალი

– გეტყობათ, თავადო, რომ ბევრი ფული მიგაქვსთ თან? – რატომ არა?!
– მაინც?
– ხუთასი ათასი? – ეს რომ მითხრა, მე გიუი მეგონა და სკამი უკან დავაჩირე და საჩქაროდ მივაძახე, ხუთასი მანეთი მეთქი.
– ხუთასი მანეთი? – გამიტრიზავა – მერე და ეგ რას გეყოფათ?
– გზაში მეტი არ მომინდება და მერე თვიურად გამომიგზავნიან სახლიდან.
– რამდენს?
– ხუთ-ხუთ თუმანს თვეში.
– მერე ეგ განა კმარა?
– საქეიფოდ კი არ მივდივარ!..
– მაში კიდეც მოგრჩებათ!.. – მითხრა კიდევ დაცინვით და გადახედა სხვებს. ზოგიერთებმა ღრეჭა დაინყეს. მივხვდი, რომ მე დამციროდენ და ცეცხლი მომეკიდა. მეტი ვეღარა გავბედე რა, და მეც სიცილით ვუთხარი:
– მე საქმეზე მივდივარ, საქეიფოდ დროც არ მექნება, და, რასაკვირველია, მეყოფა თვეში ხუთი თუმანი. ნათქვამია: „კაცია და გუნებაო!“ თქვენ თავს კი ნუ მადარებთ!.. თქვენ როგორც გეტყობათ, სულ სხვა ბრძანდებით! როგორც ვხედავ, ხუთი თუმანი თვეში მარტო ულვაშებზე მოგინდებათ! – ამის თქმა და ზოგიერთი ქალების გადახარხარება ერთი იყო!.. ჩემი მოსაუბრე განითლდა, ხელები მოაშორა საულვაშეს, ზეზე წამოდგა, რაღაცას თქმას აპირებდა, მაგრამ სახლის პატრონმა აღარ აცალა, ჩაგვერია სიტყვაში: გრაფო! გრაფო! საზოგადოდ ქართველ კაცთან ფულზე ლაპარაკი უადგილოა. ეგნი ფულს სულ სხვა თვალით უყურებენ, ვიღრე ჩვენ, მაგათ თვალში ფულს ფასი არა აქვს. ცხოვრება უზრუნველი აქვსთ და მოთხოვნილება უფულოდაც დაკამაყოფილებული. ყოველივე საჭირო რამ თავის სახლშივე აქვსთ, გარედ ფეხის გადგმა არ ეჭირვებათ: საჭმელი, სასმელი, ტანი, ფეხი, იარაღი, საქონელი, ნივთები და სხვანი... ასე გასინჯეთ, რომ კოლონიალური წვრილმანებიც უსასყიდლოდ მოუდისთ! გვარიშვილებს თავის საკუთარი ვაჭრები ჰყავთ ყმებად, სომხები და ურიები, და ისინი იხდიან, რაც კი ბატონებს დასჭირდებათ: ჩაი, შაქარი, ყავა, ბრინჯი, სანთელი, ზეთი და სხვა-დასხვაგვარი სასმელები და სხვანი... თუმცა მაგათ საჩხერეში არა ვყოფილვარ, მაგრამ ვიცი, რომ წერეთლებს თავის საკუთარი ბაზარიცა აქვსთ. ფული ქართველს საზანდრისთვის საჩუქრად, ან

ეკლესიების შესაწირავად თუ დასჭირდება, თვარა სხვად რად უნდა? ფულის საჭიროებას საიდან შეისწავლიდენ? ერთს საანეგდოტო, მაგრამ ნამდვილ ამბავს კი გეტყვით და ყური დამიგდეთ:

ერთი ქართველი დიდი კაცი, გამოჩენილი გვარიშვილი, რომელიც თეორანშიაც ბევრჯელ ყოფილიყო და სტამბოლიც რამდენჯერმე ჰქონდა მოვლილი, რომ გარდაიცვალა, რასაკვირველია, ყოლიფერი შვილებს დაუტოვა. ორი შვილი დარჩა. უფროსი უცოლმვილო იყო, უმეტყვიდროდ უნდა გადასულიყო და გაყოფის დროს უმცროსს ძმას უთხრა: მე მაინც მარტოხელი კაცი ვარ, ყმა და მამული ღმერთმა შენ მოგახმაროს. მე, ქალაქში რომ ქარვასლაა, ისიც მეყოფაო, თუ ფულებსაც, რაც დარჩა, დამასაკუთრებო. უმცროსიც, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით დაეთანხმა. გაიყარნენ სიყვარულით, მშვიდობიანად. უფროსი გადავიდა ტფილისში, დადგა თავის ქარვასლაში, გახსნა ოქრო-ვერცხლით სავსე სკივრი და მიჰყო ხელი ცხოვრებას. ყოველ დილა-საღამოს გააღებდა ზანდუკს, დასჩერებოდა ფულებს და ამბობდა სიცოლით: ვინ გამოლეს ამ ეშმაკის გაჭედილებსო!.. დახარჯვა არ უნდაო?.. გაიგეს ქალაქელმა ვაჭრებმა და მივიდენ, სთხოვეს, „ხელი გავიმართო“. რასაკვირველია, უარს არავის ეტყვოდა!.. ვისაც რამდენი უნდოდა, მიჰქონდა. ვაჭრები რომ ბაზრობიდან დაბრუნდებოდენ ხოლმე, საჩუქრები მოჰქონდათ თავადთან და ისიც ამბობდა თავის გუნებაში: ასე არა სჯობია? მე მადლი და საჩუქარი, და ისინი კი ხელს იმართავენო. როცა თავისი საკუთარი ექნებათ და ჩემი აღარა დასჭირდებათრა, ჩემსას მაღლობით დამიბრუნებენო. ნუ დაივიწყებთ, რომ ფულებს რომ აძლევდა, ცარიელ სიტყვას ენდობოდა, თვარა, არა თუ საბუთებს არ იჭერდა ხელში, მოწმებსაც არ ისწრებდა!.. „ვინ გამიპედავს, რომ უარი შემეცად-როსო?“ და მართლადაც ვინ გაუბედავდა? იმ დროს რომ ქართველს ვაჭარი თოხში ამოედო, ვინ რას ეტყოდა, და ან ვის გაუკვირდებოდა?.. ბოლოს, როცა ჩვენს ხელში გადმოვიდა საქართველოს სვებედი და წეს-წყობილებაც შეიცვალა, ვაჭრებმა ყველაზე უმაღლემოას თვალი და ქართველ თავადის მოვალეებმაც უარი სტკიცეს ფულის პატრონს: ჩვენ არა ვიცით რა, და თუ ვინმემ ისესხა თქვენგან, საბუთიც ხელში გეჭირებათ და წარმოგვიდგინეთო! განრისხდა თავადი, ეუცხოვა. მაგრამ ფულის დაკარგვას კი არ სწუხდა, უარის თქმა როგორ გამიბედესო! მიჰმართა მთავრობას, მაგრამ მათგანაც იგივე პასუხი მოისმინა! „დალახვროს ღმერთმაო, – სთქვა, – ვინ იფიქრებდა, თუ ამისთანა უპირობა შემოვიდოდა ჩვენშიო?

კიდევ მაღლობა ღმერთს, დანიბეგიშვილების საბუთი მაინც მიჭირავს ხელში... ის ცოტა პირგატეხილი კაცი იყო და უგირაოდ ვერ ვანდე ათასი ოქროო!“ უჩივლა სასამართლოში დანიბეგიშვილებს. თვითონ მსესხებელი აღარ იყო ცოცხალი და, შეილებმა რომ დაინახეს, თავადი ჯიბეში იყოფს ხელს საბუთის ამოსაღებადო, მკვდრის ფერი დაედგათ!.. ქართველმა ამოილო პატარა ქაღალდი ათასგარად დაკუჭნული და დადგა მაგიდაზე. გახსნეს. ნახეს, და რა გამოდგა? ერთი ღერი ულვაში!.. აი ეს მამითქვენის ულვაშის ღერია და გირაოდა მაქვსო. მსაჯულებმაც და მოპასუხებმაც, რასაკვირველია, სიცილი აიტეხეს და ქართველი კი ბედსა სწყევლიდა: „ჰაი, ამისთანა დროს! ახლანდელ კანონს, სამართალს, ნამუსა და პირისწყალსაო!“ ქალაქელი ვაჭრები დღესაც კიდევ სიცილით ამბობენ: „დანიბეგიშვილისთანა ძვირფასი კაცი ქვეყანაზე არ ყოფილაო: ერთი ღერი იმის ულვაში ათას ოქროდ გაიყიდაო!“

– ეგ კარგია, – გააწყვეტინა სიტყვა გრაფმა, – მაგრამ არ ამტკიცებს, რომ იმ დროს, ქართველები ველურ მდგომარეობაში ყოფილან და ცხოვრების არა გაგებიათ რა?

– მართალია, გრაფო, – უპასუხა ნალვლიანად ანდრიევსკიმ, – მაგრამ შემოტანილმა ცივილიზაციამ მალე გამოიყვანა იგინი მაგ მდგომარეობიდან და ბიჯი წინ წაადგმევია შორს წასასვლელად. სწორედ იმ ახირებულის ქართველის შვილისშვილმა გამოიჩინა ცივილიზაციის შვილობა და, ფოსტა რომ გასტეხეს ავაზაკებმა, ისიც შიგ ერია! განსვენებულმა ვარანცოვმა ცრემლები გადმოჰყარა: „ვინ ქართველი და ვინ ამისთანა უცნაური, უმაგალითო მათში საქმეო?..“ სამაგალითოდაც დასაჯა დამნაშავენი: საუკუნოდ მაღნებში მუშაობა მიუსაჯეს დიდსა და პატარას, ყველას.

საზოგადოთ ქართველი დიდად დარცხვენილები იყვნენ და ქალებმა ხომ თითქმის შავები ჩაიცვეს. დიდი კაცის ცოლები ერთხანად მგლოვიარედ იჯდენ, კარში აღარ გამოდიოდენ, ისე ეუცხოებოდათ ქართველისაგან ამგვარი საციელი. „ვინ ქართველი და ვინ ავაზაკებაო? ვის გაუგონია დღემდე ჩვენში ამგვარი რამეო? – იძახოდენ საზოგადოთ – ვაი შერცხვენილს, ვაი თავმოჭრილს!! მოგვეხადა ქუდი და შეგვირცხვა ულვაშებიო!“ – და სხვანი!.. თავადმა ჰყითხა ერთხელ ქალებს: „ნუთუ მაგრე დაგენანათ რამდენიმე კაცის ციმბირში გაგზავნაო?“ და კნეინა მანანა ორბელიანისამ ეს პასუხი მისცა ქართველი ქალების მაგივრად საზოგადოთ: „ისინი რომ სულ არ გაეჩინა ღმერთს ჩვენ შესარცხვენად, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ

ჩვენ ის გვაწუხებს, რომ იმ შეჩვენებულებმა ქართველებს სახელი გაგვიტეხეს და სხვების სჯულზე და კვალზე წავიდენო!..“ ვარან-ცოვმა ხელზე აკოცა მანანას და ღიმილით უპასუხა: „კნეინავ, ნუ შესწუხდებით, თვითო-ოროლა ცუდი ყველგან ურევიაო. თვით მაცხოვარმაც ვერ აირჩია ისე თორმეტი მოციქული, რომ ერთი იუდა მაინც არ გამორეოდა!.. იმან ქრისტე გაყიდა, მაგრამ ქრისტიანობას მითი ჩირქი არა მოსცხებია რა!.. იმედია, რომ საზოგადოთ ქართველები თავის ქრისტიანულ ზნე-ჩვეულებას უფროც განამტკიცებენ მომავალშიო!“. მერე მომიბრუნდა და მიბრძანა: „ერასტ ივანიჩ! საქართველო სულ სხვა ბალია და მის ყვავილებსაც სხვაგვარი მებალეობა ეჭირვებაო!“

მასპინძელი დინჯად ლაპარაკობდა. მის გულიანად ნათქვამ ამბავს ყველა ყურს უგდებდა და მეც იმ პირველ ნახვისთანავე ისე შემაყვარა თავი, რო მოშორება აღარ მინდოდა. მართლადაც, რაც ხანი კი დავრჩი ოდესაში, ყოველდღე იმასთან ვიყავი. როგორც ცხოვრებაში გამოუცდელს, დარიგებას მაძლევდა, მირჩევდა: „ბეტერბურგში რომ ჩახვალ, ასე მოიქეცი და ამგვარად!“. მარტო რომ არ წავსულიყავ, ჩემის, ჩემსავითვე გამოუცდელ, მსახურის ანაბარად, თანამგზავრიც მიშოვა. ერთი მისი წაცნობთაგანი მიდიოდა სწორედ იმ ხანებში მოსკოვს და იმას შემიამხანაგა, როგორც გამოუცდილს, ჩააბარა ჩემი თავი და გამისატუმრა. ჩემი მსახური, რომელიც ლალად გამყვა რუსეთში, ერთხანად მეტად გართული იყო უცხო-უცხო სანახაობით, მაგრამ, ჩემი არ იყოს, გაკვირვებით არა გაჰკვირვებია რა!.. ერთხელ-ორჯელ კი ცოტა რამეზე შეკრთა გზაში, ეუცხოვა, მაგრამ ბოლოს იმასაც მიერჩია და აღარას ამბობდა. – მაშინ რკინის გზა მხოლოდ მოსკოვსა და ბეტერბურგს შეუ იყო, სხვაგან კი რუსეთში ფოსტის გზით მიდი-მოდიოდენ. ჩვენც, რასაკვირველია, ფოსტის ცხენებით მივდიოდით. ერთხელ რაღაც უცნაური ჭყივლის ხმა შემოგვესმა: თითქო პირუტყვების ხროა სადმეო. რომ მივუახლოვდით, ერთი მინდორი გამოჩნდა, სადაც დამწკრივებულიყვენ რუსის დედაკაცები და ცელით ბალახს სთიბავდენ, თანაც უცნაურად გაჰკიოდენ. ის თურმე მათი მუშური იყო!.. იქაური ქალები მეტად ახირებულად იცმენ: გულმკერდი მოღელილი აქვთ, კაბა მოკლეა, მუხლებამდიც ვერ უწევს და მუხლებს ქვეით შიშველ-ტიტვლებს სულ აღარ აცვიათ რა. ეს რომ დაინახა ჩემმა ივანემ, იკივლა: „არიქა, ბატონი, თვალები დახუჭეო!“ თვითონ მიიფარა თვალებზე ხელი და დაიწყო ჭუჭუნი: „დალახვროს ღმერთმა ამისთანა ქვეყანა! აქ სად წამოვსულვართ, ამ უნა-

მუსო ქვეყანაშიო!“ და სხვანი. – სწორე მოგახსენოთ, მეც მეუცხოვა იმგვარი ჩაცმულობა, მაგრამ თვალებზე ხელი კი არ მიმიფარებია. ჩემმა მგზავრმა რომ გამომკითხა: „რა მოსდის შენ მსახურსო?“ და ჩემგანაც პასუხი გაიგო, სიცილით კინალამ მოკვდა; ჩააცივდა ჩემს ივანეს: „მაგრე ჩაცმული ცოლი რომ გყავდეს, არ გინდაო?.. მალე ბრძანება გამოვა, რომ თქვენმა ქალებმაც მაგრე უნდა ჩაიცვან ხოლმეო!“ „მანამდე არაფერი სჭამოს თქვენმა გვერდებმა“, მიაწყევლა ქართულად, და მერე რუსულად ჰკითხა: „ნეტავ ქალბატონებიც ასე იცმენ?“ „ხანდახანო!“ უპასუხა სიცილით და მერე მე მითხრა: „ყოველ ქვეყანას თავისი ზნე-ჩვეულება აქვს, და ვისაც არ უნახავს და არ გამოუცდია, რასაკვირველია, გაუკვირდებაო!“ თვითონ დიდგამოცდილად მოჰქონდა თავი, მაგრამ ერთ რამეში კი ვერც იმან გამოიჩინა დიდი გამოცდილება: ტულაში რომ მივედით, რკინის ქარხანაში წავიდა ლოგინის საყიდლად და მეც მაყიდვინა, თითქო პეტერბურგში კი აღარ ყოფილყოს, და გზაში თრევით თავი შეგვანუხებია. ქალებს გარდა იქაურმა ჩიტებმაც კი ჩააგდეს საგონებელში ჩემი მსახური: „ე, ხე რომ არსად არის, რაზე ჯდებიან და სად სძინავთ ამ ჩიტებსო?“ – ამბობდა გაოცებული. პეტერბურგში რომ მივედით და აღარ დაღამდა, ამანაც მეტად დაალონა. სწორედ ერთ თვეს მოვუდით მგზავრობას. ჩემი ძმა პეტერბურგში არ დამიხვდა. კანვოები „ცარსკოე სელოში“ გადაეყვანათ და მხოლოდ მეორე დღეს წავედი მის სანახავად.

ჩემი ძმა თურმე უფრო ადრე მიმელოდა და, გზაში რომ დამაგვიანდა, შემინებოდა: ვაითუ რამე დაემართაო?! რომ მივედი, დიდად გაიხარა. იქ ჩემი წაცნობი იმერლებიც ბევრი დამიხვდა და შემომქევიენ გარს. ზოგი რასა მეითხავდა და ზოგი კიდევ რას!..

ბოლოს ყველამ მირჩიეს: „რადგან სამხედრო სამსახურში აპირებ შესვლას, აქ დარჩი, ჩვენთან: კანვოობას არა სჯობია რაო! ჩვენი სამსახური, სამსახური კი არ არის, ლხინი და ქეიფიაო!“ მართლადაც, საზოგადოდ კანვოების და განსაკუთრებით ქართველების მდგომარეობა უსაქმური კაცისათვის სანატრელი იყო. კარგად სვამდენ, კარგად სჭამდენ, კარგად ეცვათ, დღეში რამდენიმე საათს ცხენებს აჭენებდენ, ათამაშებდენ და დანარჩენ დროს აქეთ-იქით საქეიფოდ ინახავდნენ. როგორც კავკასიელებს, დიდ პატივსა სცემდენ საზოგადოდ, განსაკუთრებით ქალები. ბევრად უკეთესი მიღებული იყვენ ყველაზე ქართველები, როგორც დიდი ოჯახის შვილები და თვალტანადობითაც არჩეულები.

ჩემი თავგადასავალი

ჩემს ძმას გამოუტყდი, რომ მე, მართალია, სამხედრო სამსახური მსურს, მაგრამ მისთანა ადგილს მინდა შევიდე, სადაც სწავლის გაგრძობა შესაძლებელი იქნება, რომ ბოლოს ღენერლის შტაბში გამოვიდე, და თქვენი კანვორბა კი ხელს არ მომცემს-მეთქი. ჩემმა ძმამ მომინონა და მითხვა: „დღესვე, შადლულიდან რომ დავბრუნდებით, ჩვენ უფროსთან, პეტრე ბაგრატიონთან, წაგიყვან და ის მოგცემს რჩევასა და დარიგებასაო“.

ორი საათი იყო ნაშუადღევის, რომ დაბრუნდა და წამიყვანა ბაგრატიონთან. სახლის პატრონმა ქართულად მომიკითხა, მე გავკვირდი და იმანაც სიცილით მითხვა: „განა ქართველი აღარა გვორინვარო? დიდი ხანია რუსეთში ვარ და ცოტა დამავიწყდა, თვარა შენზე უკეთ ვიცოდი ქართული! შენც, როგორც იმერელი, უეჭველია, იმერული კილოთი უკიდებ და მე კი წმინდა ქართლური ვიცოდი. ტფილისში სააზნაურო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან, პოეტი რომ იყო, და ბრალიც იყო ჩემი რუსეთში წამოსვლა და კორპუსში გადასვლა: გამიგონია შაირებით დიდყაცების ლანძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი მეგობრები: ის სწერდა და ჩვენ ვაგზავნიდით; როცა ფოსტალიონი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ შემოვევეოდით გარს, უცბად ავუნევდით ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელაგა, და ჩავუდებდით ხოლმე ჩუმად ჩვენ გალექსილ წერილებს. ის რას მოიფიქრებდა, რომ ნახავდა ჩანთაში წერილებს? მიჰეონდა ადრესისამებრ. ერთი ალიაქოთი ატყდა ტფილისში! გამოძიება დაინიშნა. ბოლოს გაგვიგეს, დაგვიჭირეს და ბარათაშვილს პონორარად ოცდახუთი როზგი მიანიჭეს; ჩვენც იმდენივე გადაგვიწყვიტეს, მაგრამ მე გავიქეცი, გამოვედი სასწავლებლიდან, კორპუსში გამომგზავნეს და მას აქეთ აქა ვარ სამსახურშიო“. ამას გარდაც ბევრი რამ გაიხსენა საქართველოში მყოფობის დროიდან. მხიარულ გუნებაზე იყო. ცოლმა რომ მხიარულად ნახა, ჰეითხა: „კარგ გუნებაზე ხარ და უთუოდ შადლულს კარგად ჩაუვლია?“

— სამაგალითოდ! — მიუგო სიცილით. — ხელმწიფე იმპერატორმა სამჯერ მიბრძანა მადლობა! და ეს მით უფრო სასიამოვნოა ჩემთვის, რომ ქართველების მიზეზით მოხდა.

— როგორ?

— ძალიან ისახელეს თავი საზოგადოდ! და ბურთი და მოედანიც დღევანდელი დღის აბაშიძეს, ამილახორს და ანდრონიკაშვილს დარჩათ. გიორგი ნაკაშიძეც ხომ ვიცით რაც ცხენოსანია? ამხანაგები დასცინიან, მაგრამ მაინც კი სასწავლი მოახდინა: უკანასკნელ ბურ-

ჩემი თავგადასავალი

ჯამდე რომ მივიდა და ცხენი უნდა გადაეხტუნებია იმასაც სხვებსავით, უეცრად ცხენი შეუჩერდა და თვითონ გადავარდა ბურჯეს იქით.

— ახ!

— სულაც არა!.. ერთი კი გადატრიალდა ჰაერში და მერე რალაც უცაბედად ფეხებზე დადგა კატასავით!.. არ დაცემულა. მაყურებლებს ეგონათ, თუ განგებ ქნაო, და ქების ტაში დაუკრეს!.. ხელმწიფემ ბრძანა, რომ აბაშიძე, ცხენზე მჯდომი, გადახატეთ და სურათი სასახლის გალერეაში ჩამოჰკიდეთო!

— საკვირველია, პირველ ხანებში ვინ მოიფიქრებდა, რომ ქართველები მაგისთანა ცხენოსნები გამოდგებოდენ! ხომ გახსოვს, როგორ ვარდებოდენ ხოლმე წამდაუნუმ?

— ყველაფერსა აქვს საზღვარი და ქართველის ვაშკაცობასა და მხედრობას არც ჰქონია საზღვარი და არც ექნება!

— ძველ დროში ქართველები განთქმული იყვნენ ცხენოსნობითაც ყველგან. დღევანდელ ქართველებსაც სისხლში აქვთ მამაპაპური ღირსება, მაგრამ დრო აღარა თხოვილობს და უვარჯიშოდ არიან, ვეღარას ახერხებენ. აი ახლა: თათრები, ჩერქეზები, ჩაჩნები და ყაზახები რომ მოვიდნენ, მაშინვე კარგი ცხენოსნები იყვენ, მაგრამ მერე ვარჯიშობით მეტი აღარა შეუძნიათ რა! რაც იყვენ, ისევ იმად დარჩენ. ქართველებმა კი, რომ ივარჯიშეს, გაუსწრეს მათ. თათრების რაზმში რომ სახელგანთქმული ცხენოსანი იყო, ჰასრიბეგი, დღეს იმას ბევრი სჯობია ქართველებში; ასე გასინჯე, რომ ესეც აღარ ჩამოუვარდება! — ჩემ ძმაზე მიათითა. — თქვენ?.. თქვენ როგორიღა ცხენოსანი ხართ? — მომიბრუნდა მე.

— დიდი არაფერი, — ვუპასუხე სიცილით.

— რატომ?

— მე ცხენებისათვის კი არ მიდევნია! წიგნები მეჭირა ხელში!

— შენმა ძმამ მითხვა, რომ გიმნაზიაში ყოფილხარ, და მაშ რატომ უნივერსიტეტში არ შეხვალ?

— სამხედრო სამსახური ამოვიჭერი გულში.

— ძმასთან გინდა ერთათ რომ იყო სამსახურში?

— არა!.. კანვოიში სამსახური არ შემიძლია!..

აქ ჩემმა ძმამ გადასცა ყოლიფერი ჩემი გულის პასუხი და ბაგრატიონმა მეორე დღისთვის დამიბარა.

მეორე დღეს მარტო დამიხვდა თავისს კაბინეტში. ჩუბინაშვილის ლექსიკონი გადაეშალა და სინჯავდა. მომისვა გვერდით და მკითხა: „გუშინ სხვებთან არ მინდოდა გამომეკითხა: რატომ არ გინდა, რომ

ჩემი თავგადასავალი

ჩემთან შემოხვიდე კანვოში და შენ ძმასთან ერთად იმსახურო? რას გაჩუმდი! მითხარი დაუფარავად, როგორც მამას“.

– მე ისიცა მწყინს, რომ ჩემი ძმა მანდ არის... მაგან თითქმის გაათავა გიმნაზია და მანდ კი მისთანა ქართველი უნდა შევიდეს, რომელმაც არა იცის რა და სხვა გზა აღარა აქვს. მე რომ შევხედე, მანდ ცულლუტობის მეტს ვერას ისწავლის კაცი. – ღენერალმა გაიცინა და ბეჭზე დამადვა ხელი.

– დრო ბევრი აქვთ და, ვისაც სწავლა უნდა, განა ვერ მოახერხებს?

– კი, მაგრამ, სადაც სხვა ყველა ქიფობს, იქ ერთი რას გააწყობს? ქვეყანა წამხედურობით კეთდება და წამხედურობითვე ირლვევა.

– ოპო, შენ ფილოსოფოსი ყოფილხარ, როგორც გატყობ, და უჯველესი არ არის, რომ უნივერსიტეტში შეხვიდე და სამეცნიერო გზას დაადგე? – მითხრა ხუმრობით. – სამხედრო სამსახური ასეთი რამ არის, რომ ბევრი მოცალება არ გექნება, სწავლა-მეცნიერებას გამოუდგე. აი მეც, მარიამ ნიკოლაევნას ქმარს, ლეიხტენბერგის პრინცს, ვახლდი ადიუტანტად; ის დიდი მეცნიერი კაცი იყო, ქიმიკოსიც იყო. მეც ვითომ შემიყვარდა მის ხელში მეცნიერება, მაგრამ მერე, დრო რომ აღარ დამრჩა, ჩამოვრჩი.

– ეგ ყოლიფერი ცხადია, მაგრამ მე სულ სხვა განზრახვით მივდივარ სამხედროში!..

აქ დაწვრილებით გავუზიარე მას, თუ რა იდუმალი განზრახვა მქონდა სამხედრო სამსახურში შესვლის...

რომ მომისმინა, გადამეხვია და მაკოცა: „ღმერთმა ჰქინას, რომ სურვილი შეგსრულებოდეს. მე დღესვე წავალ ჩემ მეგობარ კნიაზ შეხავსკონისთან. ის გვარდიის მსროლელ ბათალიონს უფროსობს, იმას ჩავპარებ შენ თავს. მამასავით გიპატრონებს და სხვა მაშინ შენ იციო!...“ სადილად დამტოვა... წასადილევსაც ბევრი რამ გამომკითხა... და წასვლის დროს მითხრა: „ახლა „კრასნოე სელოში“ მიდის ჯარი, იქ შადლული იქნება, შემოდგომის დამდეგამდე აღარ იქნება რა!.. მაშინ მოდი ჩემთან, მე დაგაყენებ გზაზე... მანამდე, ამ ორსამ თვეს კი, სხვაგან სადმე შეინახე თავიო“. ჩემმა ძმამაც, რადგანაც კანვოებიც წასასვლელები იყვენ, ჰეტერბურგს წამიყვანა და მიმიყვანა ქართველ სტუდენტებთან.

მაშინდელი სტუდენტობა სულ სხვანაირი იყო საზოგადოთ და ქართველებსაც, მათთან ერთად, სხვა ფერი ედვა... მეც მათთან სტუმრობამ მალე გადამიგდო გულიდან სამხედრო სურვილები და ძალაუნებურად მათ წრეში ამოვყვით თავი.

ჩემი თავგადასავალი

მეორე ნაწილი

ყირიმის ომმა თვალი გამოახელია რუსეთს. პეტრე დიდისგან გამოჭრილი სარკმელი მაშინ აიხადა და, როგორც იქმნა, ძალაუნებურად შემოაშუქა განათლებამ ბნელეთში. თუ პარიზის ტრაქთატს არა, ბატონიუმობა, ეგების, დღესაც არ ყოფილყოს გადავარდნილი რუსეთში. იმ დროს, ესე იგი, მესამოცე წლებში, იტალია და უნგრეთი სცდილობდენ განთავისუფლებას და ებრძოდენ ავსტრიას. გარიბალდი, მაძინი და კოშუტი გაუხდათ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალიად. სწორედ იმ დროს გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშვისკი, ჩაუდგა სათავეში უურნალ „სოვრემენიკს“ და, დობროლიუბოვთან, ანგონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს კიუინა. ამოძრავდა რუსეთი. მაგრამ, როგორც ახალმა გამოღვიძებულმა, ჯერ კარგად გამოურკვეველმა, ბარბაცი დაიწყო. მისი ხელახლად დაძინება შეუძლებელი იყო! დააგდო ძველი გზა, დაადგა ახალს და, რასაკვირველია, როგორც ყოლიფერს ახალს, ამასაც ზოგი შეცდომა მოჰყვა. ტყვილად კი არ არის ნათქვამი: „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო“. რაღაც კი ზურგი უჩვენა ახლად გამოღვიძებულმა ძველს, ყველაფერს თვალი აარიდა, აღარც კარგი და სასარგებლო რამ სწამდა ძველთაგანი: ყველაფერი ბოროტად ეჩვენებოდა, და ნინ მომავალი კი, ყველიფერი გაურჩევლად კარგი ეგონა. და მაშინ გაჩნდა, ტურგენიევისაგან აღნიშნული, ნიგილისტობაც. ეს ნიგილისტობა ბევრ რამეს ჰგმობდა წარსულში, გაბედვით ებრძოდა და უშიშრად სდებდა თავს, მაგრამ გადააჭარბა და სამაგიეროდ უნმინდურობა, როგორც გარეგანი, ისე – შინაგანიც, შემოილო: ქალებმა შენიშნეს, რომ ძველი დედები, უმეტესად, არას აკეთებდენ და მხოლოდ კოპნიაობას უნდებოდენ, პროტესტი გამოუცხადეს და თვითონ ხელი აიღეს კოპნიაობაზე, შეიკვეცეს თმები და გარეგან უურადღებობით უნმინდურობამდე მივიდენ. მერე ამ გარეგნობას შინაურობაც მოჰყვა და წაიტეხს ფეხი. მართალია, ეს საზოგადოდ არ ითქმიდა, მაგრამ მე აქ უმეტესობაზე ვამბობ და მის შეშით, რომ წამდვილ მარგალიტზე თაღლითი მეტია, წამდვილი მარგალიტი ვის დაუგმია?.. კაცებმა, ზოგმა წამხედურობით და ზოგმაც „მგონიაობით“, მეტიც ჩაიდინეს ქალებზე. იმ ხანებში თავისი საკუთარი აზრით მოქმედება სახიფათო იყო და, რომ გამოჩენილ ტურგენიევს საზღვარგარეთ არ გაესწრო, ვინ იცის, რა მოუვიდოდა რუსეთში?

ჩემი თავგადასავალი

ამ ახირებულობის დროს გამოსცა ჩერნიშევსკიმ თავისი პატარა კრიტიკული წიგნაკი: „ხელოვნება მარტო ხელოვნებისათვის, თუ ცხოვრებისათვის?“ ამან დიდი გავლენა იქონია მკითხველებზე. ბევრს ააღებია მუსიკაზე ხელი და მხატვრობა-ქანდაკებაც უარავყოინა. მაშინ ლიტერატურაც ორად გაიყო: უმეტესობა სრულიად უარპყოფდა მწერლობაში ხელოვნებას და მეორე, ბევრად ნაკლე, ისე გადაჰყვა ხელოვნებას, რომ გარდა კეთილხმოვანებისა და მუსიკისა აღარა სწამდა რა მწერლობაში. მხოლოდ ერთი რუსის მგოსანი, გრაფი ალექსი ტოლსტოი გაუდგა ორივე მხარეს, არ ჩაიგდო თავი სხვებსავით უკიდურესობაში და მიტომაც, ორივე უბნისაგან დაგმობილი, დღესეც არ არის ღირსეულად აღსარებული. დანარჩენმა მწერლობამ კი გული ველარ მოიბრუნა და კერპად დაადგა არჩეულ გზას.

როდესაც ნიჭიერი პისარევი და მყვირალა ზაიცევი დაუდგენ თავში ხელოვნების უარმყოფლებს, მთელი მკითხველი რუსეთი შეიძრა და მაშინ წარმიოთქვა შესანიშნავი სისულელეც: „შეესპირს ანტონოვიჩის ჩექმები სჯობიანო“ და იმავე დროსვე, რასაკვირველია, სცდილობდენ პუშკინის დედამინასთან გასწორებას!

იმ დროს ქართველი ახალგაზდობა იზრდებოდა რუსეთის უნივერსიტეტებში. მარტო პეტერბურგში იქნებოდა ოცდაათ სულზე მეტი, და, თუ მართალია, „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“, სტუდენტობაც ქართველებში იმ დროიდან იწყება.

ჩვენ ყოველთვის, საუკუნის განმავლობაში, რუსეთის ნასუფრალით ვიკებებოდით და, რაღა თქმა უნდა, რომ მაშინაც რუსეთის მიმართულება, დრო და უამის მიუხედავად, მისის ნიგილისტობით ჩვენშიაც გადმოვიდოდა? ტყუილი კი არ უთქამს გ. წერეთელს: „ქართველი, ცოტა არ იყოს, კუდაბზიკაა!“ გადაჭარბება გვიყვარს და რუსობანობამაც მისი ნიგილისტობით მაშინ ძალიან მოიკიდა ჩვენში ფეხი. სტუდენტების რიცხვში მეც ვიყავი. ჩემ ხანგრძლივ ცხოვრებაში საპირადო კერძოსა და წვრილმანებში უხასიათობა გამოვიჩინე, მაგრამ დიდისა და საზოგადოსათვის კი ჩემს დღეში არ მიღალატებია. მწერლობაშიაც შემეძლო, რომ, სხვების აყოლით, დიდი სახელი მომებოებია, მაგრამ ჩემს რწმუნებას ვერ ვუღალატე და, ტოლსტოისა არ იყოს, შუა ადგილი მეჭირა... სხვებსავით წამხედურობით უმეტესობის მიმდევარი არ ვყოფილვარ. ზაიცევს არად ვაგდებდი, ნიჭიერ პისარევს თუმცა ვაფასებდი, მაგრამ მისი ბევრი რამ არ მომწონდა და არც ის მეჯერა, მეორე პარტიის, რომ მწერ-

ჩემი თავგადასავალი

ლობაში მხოლოდ მუსიკა და კეთილხმოვანება უნდა იყოს და კმარაო. ორთა შეა მყოფს, მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წყნარად.

ეს იყო მიზეზი, რომ ჩემ მწერლობას პატივი ჰქონდა ახდილი და ამხანაგობა ჩამომშორდა. ერთ საღამოს შემოვიდენ ჩემთან მოციქულებად ვ. თუ-შვილი, გ. ჯავ-შვილი და მ. ჩო-შვილი და გადმომცეს ამხანაგობის მაგიერ: „შენის მწერლობით გვარცხვენ და ლექსების წერაზე აიღე ხელი და ან ჩვენს ნაცნობობაზეო“. მტრობა დღესაც არავისი მაქსი, რომ მაშინ ახალგაზდას მქონოდა, და ეს მათი შემოთვლილი სიტყვა, ისარივით მეცა გულზე. ბუნება თანაზიარს, ყველას მეგობრობა და განწყობილება მსურდა და ერთთავად მთელი ამხანაგობის მოშორება ჩემთვის სიკვდილი იყო. ჩავარდი საგონებელში.

დიდხანს ვყოყმანობდი, მაგრამ იმ ხანებში, ჩემგან პირადად უცნობ, „ცისკრის“ რედაქტორისაგან მივიღე შემდეგი წერილი: „დმაო აკაკი წერეთელო! იმერლობას ნუ გამოიჩენ და ნუ გაფხუკიანდები, რომ შენი სამაგალითო ლექსი „საიდუმლო ბარათი“ დავბეჭდე და უშენოდ შენი სახელი და გვარი მოვაწერე და არა მარტო უმნიშვნელო ორი ასო. აი რა იყო მიზეზი: ჩვენი პლატონი, ფილოსოფოსი, ასწავლის ბარიათინსკის ქართულს. იმას ეჩვენებია შენი ლექსი მისთვის და დიდად მოსწონებოდა; დამიბარა მე და, როდესაც გაიგო ჩემგან შენი ვინაობა, მიბძანა, რომ მისი სახელი და გვარიც მოაწერეო. მეც რაღა გზა მქონდა?! მაინც რა არის ეგ იმერული სიფრთხილე, რომ შენს ლექსებს სახელს არ აწერ? ყველას ძალიან მოსწონს შენი ლექსები, განსაკუთრებით ქალებს. იმღერიან კიდეცა. აბა, შენ იცი, თუ მემშველები მალ-მალ, შენი ივანე“.

ამგვარ წერილს დღეს სულ სხვაგვარად გავიგებდი, მაგრამ მაშინ კი დავიჯერე და დიდი გავლენაც იქონია ჩემზე, მით უფრო, რომ პროფესორმა დ. ჩუბინაშვილმა რომ წაიკითხა ჩემი სახელი, რომელსაც მანამდი არ ვამხელდი, მიმიხმო სახლში და კვერი დაჰკრა კერესელიდის სიტყვებს. იმ დღიდან კი გადავსწყვიტე, რომ მწერლობას გამოვდგომოდი და თუ ვინმე ჩამომშორდებოდა, ის კი მის წებაზე მიმეშვა. ამის შემდეგ ძვირათ თუ ვისმეს შევხვდებოდი ხოლმე და იმასაც უნივერსიტეტში. თითქმის ყველას ჩამოვშორდი, გარდა ორისა. ისინი არ მიყურებდენ სხვებსავით ხმის აყოლით და, სხვებზე უფრო ნიჭიერად თუ მივაჩნდით, თვარა ნაკლებ არა, მაგრამ საოცარია ბრძოს გიპნოზი; გაბედვითა და გამორკვევით ისინიც ვერას ამბობდენ ჩემ სასარგებლოდ. ერთი მათგანი იყო კირილე ლორთქი-

ფანიძე და მეორე – ნიკო ნიკოლაძე. იმ ხანებში მე ერთი ლექსი დავსწერე. თუმც ნახევარი საუკუნე გასულია, მაგრამ დღესაც კიდევ წაიკითხება და ჩემმა ამხანაგებმა კი კიუინა დასცეს მაშინ: „აქ აზრი არ ვარგა და ობროდობის მეტი არა არის რაო!“ მხოლოდ კირილემა და ნ. ნიკოლაძემ კი სთქვეს, რომ კარგი რამ არის როგორც ხელოვნებაო, და მირჩის, ერთი რამ მისათანა მიმემატება, რომ ცხოვრებაში გამოსადეგი ყოფილიყო. ის ლექსი იყო „სიმღერა მკის დროს“. მეც ავიღე და ბოლოში ერთი ხანა ჩავაკერე:

უხვად მოვიდა წელს პური,
მაგრამ ბედს მაინც ვემდური,
რომ პურს ბატონი წაიღებს
და მე კი ოფლსა ტყვილა ვლვრი!

ეს რომ ნახეს მინერილი, მომიწონეს და კიდეც ამ მიკერებულ, ნაძალადევ ლექსით დაიბეჭდა; მე კი უნდა გამოვტყდე, რომ არც მინერის დროს და არც მერე არ მომწონებია და მიტომაც მოვშალე შემდეგში.

6. ნიკოლაძე მაშინ ძალიან ახალგაზდა იყო, კვირცხლი, მოუსვენარი, ნიჭიერი და სულ სხვა მიმართულების, ვიდრე მე. იმას ყოლითერში პირველობა უნდოდა; რასაკვირელია, პოეზიაშიც, რადგანაც კრიტიკოსობას ჩემულობდა, პირველობა უნდოდა. მე დიდდ მაფასებდა, მაგრამ ის კი უნდოდა, რომ მეც მის ნებაზე ვყოფილიყავ; მაგრამ მე ჩემი გზით მივდიოდი და, ვგონებ, ამის მიზეზი უნდა იყოს ის მტერმოყვრობა, რომელიც აქამდისაც არ თავდება მე და იმას შუა, თუმც ის კი ძალიან გამოიცვალა. რაც შეეხება მეორეს, კირილე ლოთეიფანიძეს, ის ყველას საყვარელი იყო და კარგი რამაც, მაგრამ საოცარი უინიანი! ასე რომ მისი უინიანობა სიგიჟესა ჰეგავდა ხოლმე. აი, ამ თრ ახალგაზდასთან მოვიპრუნებდი ხოლმე სულს სტუდენტობის დროს და სხვებს კი ყველას ჩამოვშორდი. ამ ჩამოშორებით ბევრი არა ნამიგია რა, პირიქით, კიდევაც მოვიგე, რომ დროს არ ვჰკარგავდი ლაყბობაში და კეთილად ვხმარობდი.

ერთ დილაზე შემოიჭრა ჩემთან ჩემი ნაცნობი ახალგაზდა სტუდენტი გამბურცოვი და გადმომცა, რომ დღეს მეთორმეტე აუდიტორიაში ერთი ვიღაც ქართველი სტუდენტი უნდა გაასამართლონ: შეუტყვიათ, რომ შპიონი არისო!..

მეუცხოვა!.. არ მეჯერა, რომ ქართველი ვინმე მაგ ხელობას იკადრებდა. გულმა ალარ მომისვენა და წავედი აუდიტორიაში. რომ

მივედი, ათასსზე მეტი სტუდენტი დამხვდა შეგროვილი. ქართველი კი ერთიც არ ერია. ამბიონზე შემდგარიყო ნეკლიუდოვი, მერე რომ სენატის პროკურორათა და მინისტრის ამხანაგად იყო, იმას ამოდგომოდა გვერდით ათანასიევი და ერთიც სხვა, სახელი არ მაგონდება, და სიცილით უუბნებოდა სტუდენტებს: „ბატონებო, ეს შემთხვევა გვიმტკიცებს, რომ ჩვენ ფრთხილად მოვიქცეთ ხოლმე!.. აი ახლაც, რომ ჩვენ პირადად არ ვიცნობდეთ იმ კაცს, ხომ უნდა დაგვეჯერებია და გაგვეწირა ის კაცი? და ის კაცი არის აკაკი წერეთელიო“. ჩამოვიდა ამბიონიდან, ხელი მომცა და მიამბო ყოლიფერი: თურმე ჩემზე ყოფილიყო ის ვაი უშველებელი. რაღაც კი ღმერთმა იმ დღეს გადამარჩინა, რადგანაც ის მეთაურები, ნეკლიუდოვი და ათანასიევი, სხვებთან ერთად მიცნობდენ, მე სიცილათაც აღარ მყოფნია და აღარც არა მითქამს რა, ასე გაიარა ერთმა წელიწადმა.

ერთხელ დ. ყიფანი შემოვიდა ჩემთან და მთხოვა: „ამ სალამოს კ. აბხაზისას უნდა მოხვიდე უეჭველადო“. მე გამიკვირდა დ. ყიფანის ჩემთან შემოსვლა, რომელიც მანამდი მერიდებოდა და სტუდენტებში გარევა კიდევ უფროც მეუცხოვა, მაგრამ სიტყვა მივეცი და კიდევაც ავასრულე. იმ სალამოს ქართველი სტუდენტობა, მართლა, შეყრილიყო აბხაზისას შინაურ საქმეების გადასაწყვეტად და, სხვათა შორის, დ. ბ-ძეც უჩივოდა ამხანაგებთან ი. სერ-ვს: „ჩემ წერილებს, იღებს, ხსნის, კითხულობს და მერე პხევსო“. ი. ს.-ვი შეხტა და შებზიალდა!.. „დ. ნი-ძის სიტყვა რა დასაჯერებელია? – სთქვა – ეგ არ იყო, რომ შარშან ყველას ჩამოვგიარა და დაგვარწმუნა, რომ აკაკი წერეთელი შპიონი არისო?“ ამ სიტყვებზე ყველამ თვალი გამოაჭიტა და განსაკუთრებით თვით დ. ნი-ძემ.

„მართალია, – სთქვა, – მე გავაფრთხილე სუყველა, მაგრამ მე ეს ხომ ჩემით არ მიქმნია? 6. ღ.-ძემ მიბრძანაო“. მაშინ წამოდგა 6. ღ.-ძეც და თავი იმართლა: „მე მეგონა და სხვებიც გავაფრთხილეო“. მხოლოდ დ. ყიფანი მოვიდა ჩემთან ბოლიშის მოსახლეობად და მითხრა: „ნუ გეწყინება, რომ გერიდებოდითო! ჩვენ ქართლელებმა რა ვიცოდით? და ჩვენც იმათ დავუჯერეთო!.. მოხარული ვართ, რომ ტყუილი გამოდგაო!..“ მე დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ 6. ღ.-ძე, რომელიც გავლენიანი იყო და მამაშვილურად გვეპრობდა ჩვენ, ნამეტანის სიფრთხილით შესცდა, თვარა არაფერი პირადობა არ ჰქონია ჩემთან. მხოლოდ მოვალედ სცნო თავი, რომ ყმაწვილები გაეფრთხილებია. ყურადღება არც ამ შემთხვევისათვის მიმიქცევია, მაგრამ, ცოტა არ იყოს კი, მომინამლა სტუდენტობა, ის

სანატრელი დრო, როცა ადამიანს ეკალიც კი ვარდად ეჩვენება. ამის შემდეგ სამი წელინადი კიდევ დავრჩი უნივერსიტეტში. იმ ხანებში მოხდა არეულობა უნივერსიტეტში. ჩვენებმა მიიღეს მონაწილეობა და კიდევაც იგემეს ციხე. მე მათში არ ვრეულვარ!.. არა მიტომ, რომ ციხის შემშინებოდეს!.. მაშინაც ის რწმუნება მქონდა, რასაც დღესაც ვადგივარ და ვერ ვუდალატე: მოსწავლემ ჯერ უნდა ისწავლოს, დაასრულოს სწავლა და მერე კი აღარ დაერიდოს არავითარ მსხვერპლს. ჩვენში კი უკულმა ჰქდება ეს!.. ამან სრულიად ჩამომაშორა ამხანაგებს და მეც, მოვრჩი თუ არა უნივერსიტეტს, გადავედი მოსკოვში. იქ იმავე წელინადს დავცოლშვილიანდი.

ნურავინ ნუ დაიჩემებს: მომავალში ამას ვიზამ, თუ იმასო! მე გადაწყვეტილი მქონდა გუნებაში, რომ ცოლი არ შემერთო და მერე ისიც უცხოელი, მაგრამ შემთხვევას ყოლიფერი შესძლებია! მოსკოვში ე-არ ერისთავისას გამეცნო მოხუცებული კნეაუნა ენიკეევისა და, ვინაობა რომ გამომკითხა, გულითა მთხოვა: „მოდი ჩემსასო!“ მეც ცოტა ხნის შემდეგ ვეხელი. ჩემი მისვლა მოხუცებულს ძალიან ეამა, დიასახლისი გამაცნო და მითხრა: „ეს ჩემი დისწულია: შვილობილადა მყავს აყვანილი; ეს ორი უფროსი ქალი პირველ ქმრისგან დარჩა და ეს სამი, ორი ქალი და ერთი ვაჟი კი, ამ მეორე ქმრის ხელში ჰყავსო. ეს მეორე ქმარი ჯერ ორენბურგში იყო გუბერნიის პროკურორად და ახლა მოსკოვში გადმოვიდა და მიტროპოლიტის კანცელარიის დერექტორად არისო“. ამ ლაპარაკის დროს შემოვიდა თვით ისიც და გამეცნო. ლიტერატორი გამოდგა და ძალიანაც კარგად შევეწყვეტ ერთმანეთს!.. რამდენიმე დღე რომ დამეგვიანებია და არ მივსულიყავ, თვითონ მოიჭრებოდა ჩემთან და წამიყვანდა ხოლმე თავისს სახლში, თვითქოს უჩემობა ალარ შეეძლო!.. სამი თვის განმავლობაში სულ ამ ყოფაში ვიყავი და ძალიანაც დავშინაურდი. უფროსს ქალს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო სრულწლოვანი, შევუყვარდი. მაშინ მე ქალის სიყვარულს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი საზოგადოდ, მაგრამ, როდესაც დიდად შეწუხებულმა ქალმა შემომჩივლა თავისი ალსარება, მაშინ კი გული მეტყინა. ის იყო დანიშნული და სრულწლოვანებას უცდიდა, რომ ტვერის გუბერნატორი კუდრიავ-ცოვი შეერთო. ამ ქალს ის არ უყვარდა და მისიანებს კი არ ჰსურდათ სიტყვის გატეხა და მისთანა სასიძოს ხელიდან გაშვება. საცოლომ შემომჩივლა, რომ ქორწილის ლამეს თავს დავიღრჩობო, თუ შენ არ გადამარჩენი!.. მეც ავდექი და მეორე დღეს ის ქალი ვითხოვე. დედა-მამინაცვალი დიდხანს მეხვეწენ: „მეორე დანიშნე! მაგას ჰყავს

საქმროო“, მაგრამ მე გავჭირვეულდი და ალარც იმათ სწყენიათ, როგორც შევატყვე: სულიც ალარ მომათქმევინეს, ისე გადამწერეს ჯვარი.

მეორე დღეს შემოვიდა ჩემთან ჩემი ცოლის მამინაცვალი და მითხრა: „ეს აქციებია ხუთი ათასი თუმნის, თუმცა ათი წლის კუპონები წაჭრილი აქვს, მაგრამ, როცა ვადა გავა, თავანდ ელირება; ეს შენი ცოლის არის, ნათლიამ დაანათლიავა, რომ მონათლა, მაშინ; მიიღე და მე კი ხელწერილი მომეცი, რომ გასტუმრებული ხარ და ცოლის ყველაფერი სრულად მიღებულიან“. მაშინ მე ცხოვრების ბევრი არა ვიცოდი რა და ფულსაც დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევდი. ყოლიფერი მართალი მეგონა და ეკალიც ვარდის ფრად მეჩვენებოდა; რაღა თქმა უნდა, რაც უნდა ყოფილიყო, მოვაწერდი ხელს, მაგრამ იმ დროს დამესწრო ერთი ქართველი სამ. აბ-ძე და ქართულად მომაყვირა: „არ გაგიწყრეს ღმერთი, აგრე არ მოაწერო ხელიო!.. რამდენიც არის, იმდენი დაწერეო!“ და მეც ხუთი ათას თუმანზე მოვაწერე ხელი, თუმცა ნამდვილად კი ორი ათას ცხრაას თუმანზე მეტად არ ღირებულა. ეს ჩემი ხელის მონერა მაინც არ იამა სიმამრს და წასვლის დროს სიტყვა ჩამომართვა, რომ ცოლს წავიყვანდი კავკასიას და იქ ალარ დავდგებოდი.

მეორე დღეს კნეაუნა მოვიდა ჩვენსას და გუშინდელი ამბავი, რაც გადამხდა, ვუამბე და ვკითხე: სიმამრი უკმაყოფილოდ რად დარჩა ჩემზე-მეტე? იმანაც ჯერ ხატზე დამაფიცა: ჩემად არსად წაგცდეს“, მერე მომიყვა საიდუმლოს: „ჩემი შვილობილის პირველი ქმარი, როგორც ადრეც მითქვამს, იყო ბაზილევსკი, იმ ბაზილევსკის მკვიდრი ძმა, დღეს რომ სიმდიდრით არის განთქმული. ოქროს მაღნებშიც და იმ სიმდიდრეშიაც ნახევარი წილი უძევსო შენს ცოლსა და ცოლის დას, მაგრამ, მაგათი მამა რომ მოკვდა, შენი ცოლი წლის დარჩა და ცოლისდა მუცლის; მაშინ იმ მეორე ძმამ, დღევანდელმა ბაზილევსკიმ, გამოძებნა ორენბურგის პროკურორი, მილიონი მისცა, ჩამოართვა ხელწერილი და სიმდიდრე კი დანარჩენი, რაც ამ ორ დას ერგებოდა, თვითონ მიისაკუთრა; ახლა შენ საჩივარი უნდა აუტეხო ბაზილევსკის და, როგორც შენს ცოლს, ისე ცოლის დასაც დაუბრუნო კუთვნილებაო“.

ეს ამბავი გახმაურდა. კნიაუნა ჩემთან გადმოვიდა და ცოლის მამინაცვალი კი გაგიუდა. მართლა გაგიუდა, თუ მოიგონა, არ ვიცი, მაგრამ სიგიურეში კი მოკვდა. – დამრჩა, როგორც იმერელს, პროცესი ხელში, რომელიც დიდ ხარჯს მოითხოვდა. ვიღაც ტრუბეცკოიმ ორი

მიღიონი შემომაძლია იმ პროცესში: მომყიდეო და მერე მე ვიციო“. მაგრამ მე რა ნება მქონდა დავთანხმებულვიყავ. მით უფრო, რომ იქ ცოლის დაც ერთა. ასე თუ ისე, კრედიტი დიდი მქონდა მოსკოვში: დავიწყე პროცესი და დიდ გაჭირვებაში ჩავარდი, რადგანაც, რომ მეგონა, ისე ადრე არ გათავდა საქმე. იძულებული გავხდი, რომ დამენებებია თავი რუსეთისათვის და წამოვსულიყავი სამშობლოში ცოლშვილიანად. საქმე გადავეცი ჩემს ქვისლს, რადგანაც იმ ხანებში ჩემი ცოლის და გათხოვდა, ზოლოტარიოვმა შეირთო და მერე იმან დაინყო საქმის წარმოება. ექვსი თვის შემდეგ ჩემი ცოლის და დაქვრივდა და იმ თვეშივე შეირთო ქართველი თავადაშვილი, ელ. ერ-თავი, და საქმეც იმას ჩაუვარდა ხელში. მაშინ საქმე პალატაში იყო გადატანილი; რადგანაც ოლქის სასამართლოში ჩვენ მოვიგეთ, პალატაშიაც ჩვენ სასარგებლოდ გათავდა და დარჩა მხოლოდ კას-საცია. სიმდიდრე უნდა მიეღო ნახევარი ჩემ ცოლ-შვილსაც, მაგრამ წარმოიდგინეთ შემთხვევა: ჩამოვარდენ შუაკაცები და ელ. ერ-ვი სულ უბრალო რამეზე გარიგდა, რისაც სრული უფლება ჰქონდა ვექილობის ძალით. ადვოკატებმა, რომ მოარიგეს, გასამრიოლოდ მიიღეს: პასავერმა სამოცდათხუთმეტი ათასი მანეთი, პოტესინმა ასი ათასი და ქართველმა ადვოკატმა ვ. მაჩაბელმა კი ოცდაათი ათასი. ჩემმა ცოლ-შვილმა კი არაფერი!.. თურმე ადვოკატებმა დაარწმუნეს, რომ ერ-ვმა თავის ნილეხედრი მოიგო და, შენ ქმარს რომ ვადა არ დაეკარგა, შენც მოიგებდიო, მაგრამ ათი წელიწადი გაგიშვიათო! მე ეს ამბავი, საქმე რომ გათავდა, ორი თვის შემდეგ გავიგე და მივაშურე აქედან ცოლ-შვილს. მნახეს თუ არა, მისაყვედურეს: რატომ ყურადღება არ მიაქციე და დაგვიკარგე საქმეო? მაგრამ, როცა ავუხ-სენი, რომ ეს ყოლიფერი ტყუილია, – იმ დღიდან, რაღაც კი დას გადასცა ჩემმა ცოლმა უფლება და ვექილობა, ის, და, გახდებოდა მექვიდრედ და იმას უნდა გადმოეცა ნახევარი, რასაც მოიგებდა, – მაშინ კი მიხვდენ და შემოიკრეს თავში ხელი. მაგრამ მზითვი-დან კი მაინც არა რგებათ რა; ასე რომ მე ცოლი წამოვიყვანე და მზითევი კი სხვებმა წაიღეს. ბოდიშს ვიხდი მკოთხველთან, რომ აქ ჩემ შინაურობაზე ამდენს ვალაპარაკობ, მაგრამ იძულებული ვარ: ჩემმა მტრებმა და მათმა ამყოლებმა, სხვა რომ ვეღარა მოახერხეს რა, დაჰყარეს ხმა, რომ აკავიმ ცოლის მზითევი მილიონები აიღო და გაფლანგა!.. წააგოვო! მაშინ, როდესაც თვალით არა მინახავს რა. ეს ცილისწამება დღესაც ბევრს მართალი ჰქონია ჩვენში და სიკვდილის შემდეგ სხვების საგულისხმოდ არ მინდა სიმართლის დაკარგვა და მიტომ ვამბონ.

ახლა გადავიდეთ საქართველოში. რუსეთი რომ მივატოვე და ცოლშვილით დავბრუნდი სამშობლოში, მაშინ ძალიან არეული და გამოურკვეველი დრო იყო. ბატონიშვილი უნდა გადავარდნილიყო, ახალი რეფორმები შემოდიოდა და, რასაც ჩვენ ისე შევხაროდით, ისიც თავისითვის კუდს იტოვებდა. სახელით ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ სახრავად კი არ ვარგოდა. მაგალითად: რა ბატონიშვილის მოსპობა იყო ის მოსპობა, როცა ბატონი და ყმა ჯაჭვით ერთმანეთზე გადაბმული ჩინოვნიკს ეჭირა ხელში და ორივეს აღრჩობდა – ღლეტდა? რაღა ნაყოფს მოიტანდა ის სამსჯავრო, სადაც ხალხის ენა აკრძალული იყო და ენის უცოდნელობის გამო ხალხი უნდა გამდლეტ-გამცვეთელებს ჩავარდნოდა ხელში? ამაებს ყველას ვხედავდი და მიტომაც სრული ჩემი თანაგრძნობა ვერ მოიპოვეს რეფორმებმა და მაშინ დაიწერა: „ადვოკატი“, „კატა და ძალლი“, „ვაის უნდა შევეყარო“ და სხვანი. ვერც ერთ მხარეს ვერ ვხედავდი, რომ მიკედლება და გვერდში ამოდგომა შესაძლებელი ყოფილიყოს; ყველას ჩამოქშორდი და, როგორც იმედ გაცრუებული, ახირებულად დავრჩი მარტოდ.

ერთი მხრით მაღლიდან რისხვა, მეორე მხრით თავადაზნაურობის განყრომა და მესამე მხრით სტუდენტების (მაშინ ინტელიგენციას „სტუდენტობას“ ეძახდენ) ენის წაგებელება მოსვენებას არ მაძლევდა. იმ დროს ხმის აყოლა ისეთი ძლიერი რამ იყო, რომ ძვირად ნახავდი მისთანა ახალგაზდას, რომ ჩემზე ძვირი არ ეთქვას და ცილი რამ არ შეეწამებიოს. რომ ჰკითხავდით: „შენის თვალით გინახავს ეგყველა, რასაც ამბობ? შენის ყურით გაგიგონია? და სხვანი – ისინი გულწრფელად ამბობდენ: „არა, მაგრამ გაგონებით ვიცითო!“ დიახ, გამოდიოდა, რომ გამგონე ყველა იყო და დამსწრე კი არც ერთი!.. მაგრამ ბრბო განა სიმართლეს დაეძებს? ის მხოლოდ წამხედურობით ბლავის ცხვარივით და, რად ბლავის და რას, თვითონაც არ იცის. ეჲ, ასე იყო, თუ ისე, მე კი დიდ გასაჭირში ჩავარდი; ან უნდა თავზე ხელი ამეღო და სხვების ნება-სურვილს ავჰყოლოდი, მაგრამ მე გავკერძი და ვერ ვუღალატე ჩემს თავს. ცოლ-შვილი გავისტუმრე სოფელში და, ულუკმაპუროდ, შიშველი, უსახლეკაროდ დარჩენილი, მაინც არავის ვეპუებოდი და ჩემსას არ ვიშლიდი. მაშინდელი ჩემი მდგომარეობა მშვენივრად გამოჰხატა გულმოსულმა ბეს. ღ.-ძემ: „მაგასათან ბრძოლა შეუძლებელია! რა უნდა წაართვა და რა უნდა დააკლო, რომ არა აბადია რაო?! ჭამა-სმას არ დაეძებს და საწოლ-სახურავსო!.. მარტო ჰყეფს და იღრინებაო!“

მართალია, ვყეფდი და ვიღრინებოდი, მაგრამ ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ჩემ პირადობაზე მე ხელი გამემეძრიოს! ყველასაგან მოძულებულს, ბევრჯელ კარგი ადგილი, ღირსი რომ არ ვიყავი მისთანა, მაძლია მთავრობამ, მაგრამ, რაღაც კი ერთხელვე სხვა გზა მქონდა ამორჩეული, არა ვერენი სამსახურში შესვლა და დავრჩი ოხრად, ანუ გიუად, როგორც ზოგიერთები ამტკიცებდენ. რამდენიმე წელიწადი ვიყავი ამ ყოფაში და, როცა იქნებოდა, ეგებ, კიდეც გავტეხილიყავ, მაგრამ მართალი ნათქვამია: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცას სხვისგან განანირსაო“. მეც გამომიჩნდენ თანამგრძნობნი და გამამნევეს.

იმ ხანებში სასტუმრო „კოლხიდა“ ეჭირა გიორგი ჭელიძეს. ის მოვიდა ჩემთან და მითხრა: „შენ მდგომარეობას ვხედავ და მინდა, რომ დახმარება გაგინოვო! ერთი ოთახი მისის მოწყობილობით, საჭმლით და სასმლით მომირთმევია: გადმობრძანდით ჩემთან და იცხოვრეთ. არაფერსა გთხოვ! არ შეგანუხებ, სანამ ცოცხალი ვარ, და როცა ღმერთი ინებებს და თქვენი გარემოება შეიცვლება, იმედი მაქვს, თითონაც არ დამივიწყებო“. მე, რასაკვირელია, დიდი სიამოვნებით მივიღე ეს თანაგრძნობა და დავდექი გიორგისთან. პირველ ხანებში ჩემი ავის მოსურნები ძალიან აწუხებდენ იმასაც: „რად მიეცი ბინა და საზრდოო?“ მაგრამ, რომ ველარა გაანუყეს რა, მიწყნარდენ... ასე, ამგვარად მოვიპოვე საზრდო და ლუკმა პური აღარ მქონდა საძებრად. მაგრამ არა მარტო პურითა ცოცხალ-არს კაცი: სულიერი საზრდოც, სულიერი თანაგრძნობაც იყო საჭირო და ისიც მალე მოვიპოვე იაკობ ნიკოლაძისა და ბესარიონ ხელთუფლიშვილის ოჯახებში. ეს ორი ოჯახი იყო, რომ მამხნევებდა, ხელს მიწყობდა, გულს მიკეთებდა და მეც უფრო შეუპოვრად და გაპედვით მივდიოდი ჩემი გზით მომავლის მოლოდინში... ვიბრძოდი და არცერთი მოვლინება არ ყოფილა, ჩვენში, რომ მეც ჩემებური მონანილეობა არ მიმელოს!.. პირადობაზე ხელაღებული ვიყავი, საპირადო არავისთანა მქონია-რა, მხოლოდ საზოგადო მახალისებდა, და მივდიოდი ჩემი გზით. რაც კი რამ გასაკეთებელი შემხვდებოდა, თუკი მოვახერხებდი, გინდ დიდი ყოფილიყოს და გინდ პატარა, ჩავჭკიდებდი ხოლმე ხელს; ეს გაურჩევლობა მე ისე გამიტაცებდა ხოლმე, რომ არც მტერმოყვრობა და არც სისხლხორცობა აღარ ვიცოდი. ერთმა ჭკუიანმა კაცმა მითხრა მაშინ: „სწორეთ რომ ახირებული კაცი ხარ; შენი ან სხვისიანობა არ იცი. შენიანს არ არჩევ შენის მნარის ენით და სხვისიანს უდეგები!.. რომ ვისმეს უნდოდეს შენთან დაახლოვება

და დამოყვრება, ვერ ახერხებსო“. ეს მართალი მითხრა, მარა არც მე მიპასუხნია ტყუილი: „ეგ ყველა მართალია, მაგრამ საზოგადო საქმეში მე არ მესმის მტერმოყვრობა!.. მე ჩემი გზით მივდივარ; ვინც გვერდით ამომიღებება, გინდ მტერი იყოს, გინდ მოყვარე, ჩემი-ანად მიმაჩინია და, ვინც წინ მელობება, მტრად-მეთქი“... აი, ასეთი იყო მაშინ ახალგაზღვობის ჩემი რწმენა და დღესაც შეძლებისა და გვარად ვერ ვჰყოფ უარს.

იმ გაერპებულ წინ სვლაში დიდი ტანჯვაც გამოვიარე, მაგრამ, რადგანაც ღმერთმა, იმდენს ხანს მაცოცხლა, რომ რასაც მაშინ ვფიქრობდი, ასრულდა და მტრები მოყვრებად გადამექცნენ, აღარას ვიტყვი აღარც ჩემ თავზე და აღარც მათზე.... .

დღეს, რომ არ დამიმსახურებია, მისთანა პატივის ცემაში და სიყვარულში ვარ საქართველოში!.. მართალია, მტრები დღესაცა მყავს, მაგრამ მე უმეტესობაზე ვამბობ და ღრმა მოხუცი სამარისკენ მივდივარ ჩემის სამშობლოს ლოცვა-კურთხევით.

აი, ამით თავდება ჩემი „თავ-გადასავალი“ და იწყება „ჩემგან ნანახი და გაგონილი“. აქ გავიხსნებ ჩვენს მოღვაწეებს ამ ორმოცდაათი წლის განმავლობაში, ვინცა ყოფილან და ვისთანაც, ასე თუ ისე, მეც მქონია პირადი დამოკიდებულება.

||

ერთხელ ქუთაისის თავადაზნაურობამ თავი მოიყარა მარშლების ამოსარჩევად. რასაკვირელია, ჩვეულებისამებრ პარტიებად დაიყვენ, ატებეს აყალიმაყალი და ბევრი რამ სასაცინოც ჩაიდინეს. საღამ-საღამობით შევდიოდი ხოლმე ხან ნიკოლაძის, ხან ხელთუფლიშვილის ოჯახში და მომხდარს ამბებს გადავსცემდი ხოლმე მუსაიფის დროს.

ქალებმა მთხოვეს, რომ ერთი ფელეტონი დამენერა და დამებეჭდვინებია „დროებაში“, და მეც ავასრულე მათი რჩევა: გამოვიყვანე იმ ფელეტონის სათაურად: „ცხელ-ცხელი ამბები“ და ხელმოუწერლად გაუგზავნე რედაქტორს. ის ფელეტონი იქ წაეკითხათ, ძალიან მოსწონებოდათ და ნ. ნიკოლაძისთვის მიენერათ, რადგან ის იმ ხანებში დროებით იყო ქუთაისში ჩამოსული: „ის თუ მოგვწერდა იმერეთიდან ამისთანა ფელეტონს, თვარა სხვა ვინ მოახერხებდა?“ არ ვიცი, რად იყვენ დარწმუნებული, რომ მე, გარდა ლექსებისა, მეტი არა შემეძლო-რა?.. თუმც ჩემი საიდუმლო არც დებს და არც დეიდაშვილებს, ხელთუფლიშვილის ქალებს, არ გაუმჯდავნებიათ ნიკოლაძისათვის, მაგრამ ის თავად მიხვდა, რომ ჩემი დანერილი

იყო ის ფელეტონი, მოვიდა ჩემთან სასტუმროში და, სხვათა შორის, მკითხა: „რა მიზეზია, რომ აპყოლიხარ აქაურს აყალმაყალს და არ გინდა ტფილისში გადმოსვლა, სადაც უფრო ადვილად შეგიძლია დააკამდაყოფილო შენი ინტელიგენტური მოთხოვნილება? „შეიძლება, – უპასუხე მეც, – მაგრამ იქ უჩემოთაც ბევრი ხართ. ამ საცოდავ იმერეთს, სადაც მართლა მეტი თუ არის ამერეთისაზე, თვარა ნაკლები არა, ყველა გაურბის და მე, როგორც იმერელი ქართველი, მოვალე ვხდი ჩემ თავს, აქ ვემსახურო, რაც კი შემიძლია!..“ „ეგ კეთილი!.. მეც ადრე მანგრე ვფიქრობდი, მაგრამ აქ კაცი მოკლებულია ყველაფერს „ინტელიგენტურს“ და, ადრე თუ გვიან, გამოყრუვდება!.. აქ არც გაზეთია! არც ცენზორი! და სხვა რამ!.. იქ კი ყველაფერი გვაქვს. დამერწმუნე, რომ იქ მუშაობა შეიძლება!.. აქ კი შრომა ტყუილა იკარგება ჯერჯერეობით.“ ამისთანები ბევრი რამ მითხრა და იმდენი მეჩიჩინა, რომ გული გადამიბრუნდა, მაშინ მეც ის უთხარი, რომ ცხოვრება არ შემიძლა, არათერი მაქ-მეთქი!.. „კარგი, – მითხრა, – მეტი არ შემიძლია და ყოველთვიურად, სანამ ჩემი საქმეები გათავდებოდეს, მე გაძლევ ჩემი ჯიბიდან შვიდ თუმან-ნახევარს და შენც დამჯერდი ამას და იმუშავე „დროებაშიო“. დამი-თანხმა, მომცა გზის ფული და გამისტუმრა ტფილისისაკენ, და თვი-თონ კი გაუდგა საქმეების გამო საზღვარგარეთ.

1. ივანე კერესელიძე

იმ ხანებში „დროების“ გარდა უურნალიც გამოდიოდა „ცისკარი“. მისი რედაქტორი ი. კერესელიძე იყო და მოღვაწეებიც ორ გუნდათ იყვნენ გაყოფილი: ახალთაობა, ანუ სტუდენტობა, როგორც მაშინ ეძახდნენ, ეხვია „დროებას“ და ძველები „ცისკარში“ იწევდნენ, „ცისკარს“ ხელისმომწერი ძველები ძალიან ცოტა ჰყავდა და, თუ ა. ორბე-ლიანი არ ყოლოდა ფულით დამხმარედ, არ გამოვიდოდა. ორჯერ მთავრობაც შეეწია. ერთხელ ბარიათინსკის დროს დააგირავა თავისი სახლი ი. კერესელიძემ პრიკაზში და როგორც ქართველ მოღვაწეს, შეაწია ის ვალი ნამესტნიკმა და მეორეთ გ. ორბელიანმა მოუხერხა ისე, რომ კიდევ აპატივეს... ი. კერესელიძე ნამდვილი ქართველი იყო მისის ნაკლით და ნამეტნობით. ფული იმიტომ კი არ უყვარდა, რომ სხვებსავით ქონება რამ შეეძინა, მხოლოდ შესაჭმელად დაეძე-ბდა; თვითონაც სჭამდა და სხვებსაც აჭმევდა; ჩაიგდებდა თუ არა ხელში, მაშინვე სადილს გაუმართავდა ხოლმე მუქთა თანამშრომ-

ლებს. გაშლიდა წინ სუფრას, მიაბნევდა-მოაბნევდა წვანილს, ყველს, სათალს, ახალ თევზს; მოიტანდა მერე საჭმელებსაც და მოიღერებდა ყელს. ეშეში რომ შევიდოდა, ჩამოავლებდა ხელს თარს, კედელზე რო ეკიდა, ჩანგურთან, დაირასთან, ოროტოტოსთან და სხვებთან ერთად და შემოსძახებდა თავისებურად. იმას არ დასდევდა, სხვებსაც მოს-წონდა თუ არა!..

„ქართული პურისჭამა ეს არის ჩვენშიო!.. წვანილი მიყრილ-მოყ-რილი, მოთალი თევზი, კარგი ბოზბაში და მცხელი წვადიო!.. თუ არ მოგწონს, ადექი და შინ წადიო“. დაატანდა ხოლმე სიცილით. დიდი მომლხენი კაცი იყო, მაგრამ ძვირად კი უჯდებოდა ხოლმე თითო მოლხენა... რომ გარეთ ა. ორბელიანი არ ჰყოლოდა ხელის შემწყობად და შინ ეფვთიმე ხელაძე, მაშინ ახალგაზრდა მესტამბე და კერესელიძის მარჯვენა ხელი ყოველიფერში, ცუდად იქნებოდა მისი საქმე.

„აი, ასე გაუმასპინძლდი დიუმასაცო, – იტყოდა ხოლმე – გაუ-შალე სუფრა ჩვენებურად ძირს. ზედ მიყრილ-მოყრილი სანოვაგით. მოვიფრთხენით, წავიკაპინეთ და მივყავით ხელი, იმან ერთი კი შემომხედა, და მოიფრთხნა ჩვენსავით და დაუწყო წვანილს ჩვენსა-ვით ხრამა-ხრუში!.. გაუსვა ხელი და იმდენი სჭამა, რომ მწვადების მოტანას ვეღარ ვასწრებდით. ყველას გვაჯობა. ეს თუ აქედან დაუმარცხებელი წავიდა, არ ივარგებს-მეთქი“, ვიფიქრე გუნებაში და მივედი ალავერდს სამი დიდი სტაქნით, ჩამომართვა და თვალის დახ-ამხამებაში გამოსცალა. მერე – მოითხოვა დიდი, უშველებელი ყანი, აავსო კახური ღვინით და ისე გადაპკრა, რომ სული არ ამოუღია, მერე მოვიდა ჩემთანაც ალავერდს, მაგრამ ჩვენ როგორ მოვერეო-დით, რომ იმ ყანეში სამი დიდი ბოთლი ჩადიოდა. მოგვაკვაკვინა თითო და სიცილი დაგვაყარა. თუ წერაც ასე იცოდა, როგორც სმა... სწორედ ახირებული საქმე იყო!.. მომიბრუნდა ჩვენი ლავრენტი არდაზიანი და მეუბნევა: კაცო, რა შენი საქმეა ქართველობა მერე მაგასთან ევროპილთან? არა, რა გულბათი შენ ხარ, რომ ალა-ვერდს მიდიხარო? მართლა, მე და ჩემმა ღმერთმა!.. მაგრამ ვინ იცოდა, თუ ის იმდენს დალევდა და არც დათვრებოდაო!“... ამ ამბებს ყოველი ლხინის დროს მოჰყვებოდა ხოლმე. მეტად საყვარელი და საამხანავო კაცი იყო, მაგრამ რედაქტორად კი ვერ იყო მომზადე-ბული!.. ერისთავის შემდეგ ზოგიერთებმა მოინდომეს უურნალ „ცისკარის“ გაგრძელება და კერესელიძე აირჩიეს რედაქტორად. ის მაშინ გიმნაზიაში ზედამხედველად იყო, ლექსებსაც სწერდა. დედა მისი

იტყოდა ხოლმე: „ანგრე ნუ უყურებთ ჩემს ივანეს? მაგას თოთხმეტი კლასი აქვს გათავებულიო“ . ჯერ სემინარიაში გაეთავებინა შეიძლი კლასი და მერე გიმნაზიაში დაეჭირა კურსი და დედამისს ეგონა რომ თოთხმეტი კლასი გაათავაო... ეს თოთხმეტი კლასი კი ჰქონდა გათავებული, მაგრამ მის უურნალს მაინც არ ჰქონდა მიმართულება. ერთხელ შემომჩივლა. „რას მერჩიან სტუდენტები, რომ ამტებიან? როგორც კი მომწერეს: „მიმართულება“ გამოუცვალე უურნალსო, აკი მეც გამოვუცვალეო? მანამდის ხმელეთით ვაგზავნიდი და ახლა ზღვით ვაგზავნი ადესაზეო!.. მეტი მეხარჯება, მარა არ დავექებო“. ხანდახან ახირებულსა და სასაცინო ლექსებსაც სწერდა. ერთხელ კახეთში მოგზაურობა აეწერა ლექსში სხვათა შორის ასე ეწერა: „მივალ, მივალ, მივდივარ, მივალ მიმიხარია!.. ჩავალ, ჩავალ, ჩავდივარ, ჩავალ ჩამიხარია!.. ავალ, ავალ ავდივარ, ავალ ამიხარია!“ ამას გომბორის ასავალ-ჩასავალზე ამბობდა, ცხადათ, და დიდ აღტაცებაშიაც მოდიოდა ამ ზმებით. მე ხუმრობად მივიღე და სიცილი ამიტყდა. ეწყინა, გამიჯვავრდა!.. მაგრამ იმას ჯავრი განადიდხანს ჩარჩებოდა გულში? მეორე დღესვე დაავიწყდა და მეგობრობა არ მოუშლია ჩემთან...

2. ალექსანდრე ორბელიანი

პირველად იმან წამიყვანა ორბელიანთან. ის ეგზარხოსის მოედანზე იდგა საკუთარ ძველებურ სახლებში. მხიარულად მიმიღო დიდის პატივით. „პატივით და მონიშებით მიგიღებ, როგორც წერტელსო – მითხრა – და როგორც აკაკის კი მინდა გადაგეხვიოვო!..“ პირველ წახვისთანავე შემიყვარდა. ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის მკითხველი, ბევრის გამგონე და დიდი ნაღვანი. ძალიან უყვარდა საქართველო და უფრო იმერეთის იმედი ჰქონდა. ცოტა დაშინებული კი იყო. ერთხელ თურმე შამილს მისწერა წერილი ამა და ამ დროს ჩამოდიო. მტრებმა დაიჭირეს ის წერილი და მთავარმართებელს გადასცეს. მთავარმართებლად მაშინ ვარანცოვი იყო; საიდუმლოთ დაიბარა ა. ორბელიანი და სთხოვა: „ეს მოუწერია ვიღაც ქართველს და შინაარსი მითარგმნეო!..“ ორბელიანს ელდა ეცა გულზე, მარა რაღას იზამდა! მაშინ ვარანცოვმა ჩამოართვა სიტყვა: „მეორედ ნუღა იზამ ამისთანა საქმესო! თუ უკმაყოფილო ხარ რამეში, მე მითხარიო და ეს შემთხვევაც ჩვენ შორის დარჩეს, სხვებმა არ გაიგონო!“ მამაშვილური სიამტკბილობით გაისტუმრა შინ დამშვიდებული. არ

ვიცი მას უკან დასჩემდა თუ წინეთაც ასე იყო, მაგრამ პოლიტიკაში ნამეტანი ფრთხილი იყო. ბევრი რამ ძველი თუ ახალი იცოდა, მაგრამ დღით იმასაც არას ეტყოდა, ვისთანაც გულგახსნილად იყო, ღამე როცა მარტვა დარჩებოდა მეგობართან, მოჰყვებოდა ხოლმე ხმის კანკალით სხვადასხვა ამბებს, მაგრამ მაშინაც სიფრთხილით სანთლებს აქრობდა!.. ბნელაში სჯობიაო. ერთხელ, აი, რა სთქვა ჩემ გაკვირვებაზე: ბნელაში საუბარი მიტომ სჯობს, რომ ვეღარავინ დაგვინახავს და ვეღარას შეგვიტყობს! „ერთხელ მეფე სოლომონი იჯდა ჭადარს ქვემ, ოქროს ჩარდახთან, მაღლა „ზექედას გორაზე“ ორი კაცი იდგა და თავისითვის რაღაცას ლაპარაკობდენ. აბა, ხმა სად მოუწევდა? მეფეს მოახსენეს იმერლებმა, ეს ორი კაცი თქვენს ძვირშიაო, მეფემ დააჭერია ის ორი კაცი და მართლაც მეძვირები გამოდგნენ. მეფემ რომ იკითხა: „რა იცოდითო? „ხელის ქნევაში და მოძრაობაში შევიტყვეთ“, – მოახსენეს. პაპა ჩემმა ერეკლემ ყაენი გადაარჩინა სიკვდილს: ერთ უცხოსთან თავის დაკვრაში შეატყო, რომ გულში ღალატი ედვალ!..“ მოუხედავად ამა ახირებულობისა, ის ძალიან საყვარელი ვინმე იყო და საქართველოც განსხვავებულათ უყვარდა; ეს მისი ნაწერებიდანაცა სჩანს... მე ახალგაზრდა ვიყავი, რომ ის ღრმა მოხუცებულობაში მოკვდა. ბევრი რამ დარჩა ნაწერები, ზოგიერთი მათგანი ჩემთვისაც წაუკითხავს საიდუმლოთ. ნეტავი რა იქნენ ის წერილები?..

3. „ცისკრის“ თანამშრომლები

იმ დროს „ცისკრის“ მუდმივ მშრომლად იყვნენ თვითონ რედაქტორი ი. კერესელიძე, დიმიტრი ბერიევი, ა. ორბელიანი, ნიჭიერი ქალი ბარბარე ჯორჯაძისა, პოეტ რაფიელ ერისთავის (კომედია-დრამებსაც სწერდა) და, დიმიტრი მგალობლიშვილი. დ. მელიგინეთ ხუციშვილი და ახალგაზრდა ქართველი ბექა: როგორც პუბლიცისტი, მაშინ დიდ იმედს გვაძლევდა (ამტონ ფურცელაძე); ხანდ ხან ბეჭვდვნენ: კოლხიდელი (დავით) და ბაქარ ქართველი (დ. ყიფიანი), გრიგორ რჩეულოვი, რომელსაც დიდი ნიჭი ჰქონდა უცხოდან გადმოქართულებისა და რომელმაც დაგვიწერა „თამარ ბატონიშვილი“, ს. ივ. ბერიძე დამწერი „ხანის ბეგისა“, – „ტფილისის საიდუმლოებისა“ და სხვანი.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავი ნიჭი პატრონი იყო ლავრენტი არდაზიანი. ის იყო სადღაც ჩინოვნიკად. ჩუმი კაცი იყო და სათონ. მის

ქართველობას საზღვარი არა ჰქონდა. ერთი შეხედვით არაფრად მოგეწონებოდა, მაგრამ შესანიშნავი მნერალი იყო; ერთხელ მე, ის და ან. ფურცელაძე დავდიოდით ერთათ. ათ საათზე გამოვეთხოვეთ ერთმანეთს, მაგრამ ლავრენტიმ მომიდომა ჩემი მიცილება სადგო-მამდი. გზაში ხმა არ ამოუღია და სახლის კარებამდი რომ მიმიყვანა, მითხრა: დიდი პატივისცემა მაქს ახალგაზდა ანტონის ნიჭის, მაგრამ, წელან რასაც ლაპარაკობდა, ის კი არ დამიჯდა გუნებაში. აბა, რა სათქმელია ქვეყანა შემთხვევითმა მანქანებამ გააჩინაო? მაშინ იმას აღარა უთხარი რა და ახლა შენ უნდა გითხრა; უნდა გამოგიტყდე, რომ მიტომაც წამოგყევი, როგორც მკვიდრ შვილს გთხოვ, რომ შენ არ აჰყვე მაგის თანაებს, მოერიდე. პოეტს რნებუნება თუ არაფრისა აქვს, რა შვილი იქნება? შენც ორი რამ უნდა გახსოვდეს: ღმერთი და საქართველო – ეს მითხრა დიდის ბოლიშით და გამომეთხოვა. – მაშინ ახირებულად მეჩვენა, მაგრამ მერე კი მივეჩვიე. კრიტიკული სტატიები მისი გ. ბარათაშვილის სახელით გამოდიოდა. საღაებოში, რომელსაც გაბო სულხანიშვილი სწერდა, ბევრი ერია ხოლმე მისი ოხუნჯობაც. – საკვირველია, რომ ამ ნიჭიერ კაცს „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილის“ დამწერს, არც სიცოცხლეში ჰქონდა დიდი პატივი და არც ახლა იხსენიებს ვინმე!.. მაშინ როდესაც დანიელ ჭოქაძე, ავტორი ერთადერთი „სურამის ციხის“, თითქმის ბავშურ მოთხო-ბის, გაჭიმულია როგორც დიდი ვინმე!..

4. გიორგი წერეთელი

მეორმოცელების მოღვაწეებში, როგორც უფრო დაახლოვებ-ულები, ყველაზე წინ მეხატებიან: გ. წერეთელი, ს. მესხი და ნ. ნიკო-ლაძე. – ნიკოლოზ და ბესარიონ ღოღაბერიძეებმა, ვახტანგ თულაშ-ვილმა და დიმიტრი ბაქრაძემ მომიდომეს კვირაში ერთხელ ქართული გაზეთის „დროების“ გამოცემა. აიყოლიეს ახალგაზრდა სტეფანე მელიქშვილი, აკისრებიეს გამომცემლობა და გაგზავნეს ვენაში ტიპოგრაფიის მოსატანათ. მაშინ ჩვენში გაზეთი და საზოგადოდ წიგ-ნის ბეჭდვა ახალი ხილი იყო. ნებართვა გამოიტანეს და უნდა შესდ-გომოდნენ გამოცემას. პირველი ბიჯი ძნელია. აქეთ სტამბა და მესტ-ამბე, იქით ცენტორი და სხვა, ათასი რამ სიძნელე და ახირებულობა მოეხვათ თავზე იმ პირველ ხანებში. და მეტი გზა აღარ დაურჩათ მეთაურებს, რომ რედაქტორად გამოეწერათ გიორგი წერეთელი და მისთვის მიენდოთ გამოცემა!.. გ. წერეთელი დიდი ნიჭიერი ახალგაზ-

რდა იყო და კარგათაც მომზადებული. ის არა ჰქავდა იმ ზოგიერთებს, დიპლომისათვის რომ სწავლობენ და მერე, რაღაც კი იმას ჩაიგდებენ ხელში, შედან სამსახურში და ჩინოვნიკობის გარდა ყველაფერზედ ხელს ილებენ. გ. წერეთელი იმდენად მშრომელი იყო, რომ თავის თავს დაღალვას ვეღარ შეატყობდა ხოლმე. როგორც ოჯახში ხელ-მოკლე კაცი, რომ ვეღარავისა ხედავდა ჩვენში, ყოლიფერს თვი-თონ ეპოტინებოდა, რედაქტორიც იყო, გამომცემელიც; სწერდა: პუბლიცისტურ სტატიებს, კრიტიკულ გარჩევებს, ლექსებს, პრო-ზებს, მოთხოვებებს, რომანებს და კომედია-დრამებს. იმავე დროს ეპოტინებოდა ისტორიკოსებას, არხიოლოგობას და ბოლოს კომერციასაც. ზემოთ ვსთქვი: დაღალვას ვერ ტყობილობდა მეთქი; სწორეთ მითაც აიხსნება, რომ მის შრომას ორგვარი ბეჭედი აზის, ზოგს ნიჭისა, ზოგს მოქანცვის. ეს ბევრჯელ მიმხელია მისთ-ვის, მაგრამ რას გავხდებოდი, ის თავისას არ იშლიდა და მეც რომ მეტი გზა აღარა დამრჩა რა, დავცინე: ორთავა დაუძახე – ამით მე მისი არც წყენა მდომებია და არც დაცინვა, მინდოდა მხოლოდ მეტი შრომა მომეშლევინებია, მაგრამ რა გამოვიდა? ის სიკვდილამდის ისევ იმ გიორგით დარჩა და ჩემზედ კი სამარადისოდ გულნატკენი დარჩა.

იმის ნაშრომ-ნაღვანს ისე უნდა უყურებდენ, როგორც ოქროს მადნეულის ძარღვს: უნდა გაარჩიო, გარეცხო, რამდენიმე ფუთი სილა-ტალახი მოაშორო, რომ მერე გამოარჩიო რამოდენიმე ოქროს მარცვალი. გიორგის თხზულებასაც, როცა გაიმტკიცება, ბევრი ხელისხელ საგოგმანებელი საგანი გამოაჩნდება, რომელიც საბო-ლოვოდ გასტანს. მისი პირდაპირი დანიშნულება პროზაიკობა იყო და რეალური შეოლის მამადმთავრადაც ჩვენში ის უნდა ჩაითვალოს და არა სხვა ვინმე, რადგანაც ის სხვებზე ადრე იყო. სხვები რომ არ ვახსენო, იმის დასამტკიცებულად მარტო „მამიდა ასმათი“ და „რუხი მგელიც“ კმარა. „მოგზაურის წერილები“, რომ შიგა და შიგ დაღალვა არ ეტყობოდეს, ერთი უკეთესი თხზულებათაგანია ქარ-თულს ენაზე. – ერთი სიტყვით, ის ერთი პირველთაგანია მესამოცე წლების მოღვაწეებში. მაგრამ, რადგანაც წინ ბევრჯელ მომიხდება იმაზე საუბარი, ამიტომ გადავდივარ სერგეი მესტზე.

5. სერგეი მესხი

ერთმა ზარაფშა თავის შვილს განათლება მისცა და მილიონიც ადრე დაუტოვა. ახალგაზდამ ცხოვრებისა არა იცოდა-რა, რომ ის

შეძლება შეენარჩუნებია, მაგრამ გულკეთილი იყო. საზოგადო კეთილ საქმეს თანაუგრძნობდა!.. სხვათა შორის ამ სტეფანე ზარაფოვმა, გაგზავნა თავის ხარჯით საზღვარგარეთ, რუსეთში უნივერსიტეტ დამთავრებული სერგეი მესხიც. მესხი დაპრუნდა, შემდეგ სამსახურში შევიდა, ღუბერნატორის კანცელარიაში და კარგი თვალითაც უყურებდენ. მისი სამსახურში დაწინაურება საეჭვო აღარ იყო, მაგრამ 6. ნიკოლაძემ ურჩია, დაწებებია თავი სამსახურისთვის, საზოგადო ასპარეზზე გამოსულიყო და ეკისრა „დროების“ რედაქტორობა გ. წერეთლის მაგიერად, ის რადგანაც საზღვარგარედ მიდიოდა. სერგეიმ სიამოვნებით იკისრა, რადგანაც გამომცემლის ს. მელიქოვის დაც დანიშნული ჰყავდა და დღე-დღეზე უნდა შეერთო; დიდ ხანს არ გაუვლია, რომ გაზეთი გადააკეთეს ყოველდღიურად და შეუდგა შრომას. რადგანაც დამხმარე ბევრი არავინ ჰყავდა, შრომა სულ იმას დააწვა თავზე და ბოლოს კიდეც გადაიტანა იმ შრომამ. იმ დროს შეხედვით კარგი გავითარებული კაცი იყო და, თუ საბოლოო არა დარჩა რა, ეს მითი კი არ მოსვლია, რომ ნიჭი ჰყლებოდეს?... ნილად შავი მუშაობა ხვდა. როგორც საზოგადო საქმეების თანამგრძნობი, უებრო იყო, საზოგადო კარგი რამ გაამხიარულებდა ხოლმე და მშვენიერი ყმაწვილური სიცილი იცოდა; იმდენს და ისე გულით იცინოდა ხოლმე, რომ თვალებში ცრემლი წამოუვიდოდა ხოლმე. თუმცა დიდი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც ის მოკვდა, მაგრამ უიმისოდ ვერაფერი საზოგადო საქმე ვერ წარმომიდგენია: ცოცხალივით დგას გვერდით და თანაგრძნობით იძლევა სიმხენს. რადგანაც სხვა ადგილი არსად იყო, ახალგაზრდობა მის რედაქციაში იყრიდა ხოლმე თავს და ის ყველას მეგობრულად ექცევოდა და სხვათა შორის, აქვე დამოღვანევდა ალექსანდრე ყაზბეგიც, მაგრამ სანამ ამ ახირებულად შესანიშნავ კაცზე ვიტყოდე რასმე, დაპირებისაებრ გადავალ 6. ნიკოლაძეზე.

6. ნიკოლაძე

6. ნიკოლაძის მამა, იაკობი, შესანიშნავი ჭეუის პატრონი იყო, გამჭრიანი და წინდახედული. დიდი სწავლა რომ მიეღო, შესანიშნავი რამ იქნებოდა! მაგრამ, რაც მამამ იმას დააკლო, იაკობმა ის შვილს მისცა და რაც კი შესაძლო იყო, თავი არ დაუზოგნია ნიკოს გამოზრდაში. 6. ნიკოლაძე ძალიან ახალგაზრდა იყო, რომ გაათავა ქუთაისის გიმნაზია და შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, იქ წეს-წყობილებას ვერ შეურიგდა და გადავარდა საზღვარგარეთ, სადაც გაერია ემიგრანტ-

ებში და როგორც ნიჭიერმა კაცმა, ბევრი რამ კარგი შეიძინა დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ ზოგიერთი მათი სანვრილმანო წუნიც კი შეითვისა. – დაბრუნების ნება არ ქონდა, ძალაუნებურად უნდა დარჩენილიყო ევროპაში დავაშკაცებამდი და, უნდა სწორე თქვას კაცმა, რომ კეთილადაც მოიხმარა ის დრო. მამამისმა იცოდა, რომ შვილს ნება არ ჰქონდა დაბრუნების და ფულებს იქით უგზავნიდა. ბევრჯელ ზედმეტიც მისდიოდა გადაწყვეტილზე. ერთჯელ კი ძალიან ნაღვლიანი მოსწრებულიც მისწერა მამამ. ნიკო რომ სწერდა „ძვირფას მამაო“, იმან საპასუხოთ ასე შეუთვალა: „შვილო, ძვირფასი მე კი არა ვარ, შენა ხარო: ამდენი ხანია გყიდულობ და ვერ მიყიდნიხარო!.. ფულებს გიგზავნი და თვალით კი ვერა გხედავ, ისე დამაბერეო“. ბოლოს კი, როგორც იქმნა, მგონია, ბარიათინსკის შემწეობით, მოქანდაკი იაკობი შვილის ნახვას. 6. ნიკოლაძე რომ დაბრუნდა სამშობლოში, ბევრათ არაფრათ ეპიტრანგა ახალთაობის მოღვაწეობა!.. თვითონ მოიმდომა მაგალითის ჩვენება და, როგორც მატელალურად, ისე სულიერადაც თავი დასდო და დიდი ნაყოფიც მოიტანა, მაგრამ ეტყობა, რომ თვითონ არ იყო კმაყოფილი!. საწინამძღვილოდ კარგათ იყო მომზადებული და ყოლიფერიც ხელს უწყობდა, მაგრამ ერთი რამ აკლდა, რითაც მამამისი მდიდარი იყო: ჩვენ ქვეყანას და ხალხს ვერ იცნობდა. იმას ეგონა, თუ რაც ევროპაში ითესებოდა და იმკებოდა, ის უნდა ყოფილიყო ჩვენშიაც, ნიადაგის მომზადებაზე, როგორც წვლილმან რამეზე, ცოტას ჰეთიერობდა... საზოგადოდ კი დიდი შრომა გასწია!.. განსაკუთრებით ბანკების შემოღებას ჩვენში იმ პროგრამით, რითაც დღეს არიან, დიდხანს ეპრძოლა, ასე რომ სასიკვდილოთაც გადადვა თავი. საკვირველია, იმას ავიწყდებოდა, რომ მთესველი იყო და ნათესი ხმირათ არა სჩანს პნელ მიწაში, ხშირად ზედ ტალახი და თოვლი ეყრება, მაგრამ როცა გამოზაფხულდება, ერთბაშად იჩენს თავს!.. იმას კი უნდოდა, რომ მისი ნათესი მაშინვე ამოსულიყო და თვითონვე მოემკო კიდეც, ამის ბრალი უნდა იყოს, რომ უკიდურესობაში ჩავარდნილმა მალე გაიტეხა გული და მიანება ყოლიფერს თავი. იკისრა ქალაქ ფოთის თაობა და თუმცა თითოთ საჩვენებელი ქალაქმთავარია, მაგრამ მაინც აფსუს! რომ მისთანა კაცი წვრილმალ საქმეებს გამოსდგომია, და რაც შეუძლია, ის კი დაუმარხავს! აქ მხოლოდ ამით გავათავებ ამ კაცზე ლაპარაკს, რადგანაც წინაც ხშირად შეგვევდება, და გადავალ ალექსანდრე ყაზბეგზე.

7. ალექსანდრე ყაზბეგი

სანდროს დედ-მამას ადრევე ვიცობდი. მამა გენერალი იყო და დედა – თარხნიშვილის – ქალი, ძველებურად გაზიდილი. დედისერთა სანდრო ძალიან სათუთათ და ნებიერად იზრდებოდა, მისთანას არას აიჩემებდა, რომ მშობლებს, თუკი მოახერხებდენ, არ აესრულებიათ მისთვის. მდაპალი ხალხი იმ თავითვე ბოვშობაშივე უყვარდა. სული ბიჭებში მიუდიოდა და, ვგონებ, მიზეზიც იგივე იყო, რომ, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, დიდი ხნით ცხვრის სამწყესურში გადავიდა. – ფულის ყადრი, პატარა რომ იყო, მაშინაც არ იცოდა: გამოართმევდა ხოლმე მამას ვეცხლის ფულს, ჩაიყრიდა ჯიბაში და გაუდგებოდა გზას; აედევნებოდენ სოფლის ბიჭები, ისიც იღებდა ხოლმე ჯიბიდან ფულებს და გადუყრიდა ბიჭებს; ისინი დაერეოდენ ერთმანეთს, იყო ერთი წინწარ-გლეჯა და ყურთაზიაობა და ეს ამბავი ძაან უხაროდა პატარა სანდროს. – პატარაობას შემდეგ მე ის აღარ მინახავს, ისე გაიზარდა! და აღარც მისი მშობლები!.. ერთხელ რუსის მსახიობმა ქალმა რალფმა შემომჩივლა, რომ ძალიან კაი ოთახი მიჭირავს სადგომად, მაგრამ ჩემ პირდაპირ ოთახში ისეთი ვინძე დგას, რომ უნდა მივატოვო ჩემი ოთახი და გადავიდე სადმეო. ვიღაც ახირებული ახალგაზდა ქართველი დგას, არც გადადის სახლიდან, არც ანშენდინებს ოთახს, არც პირს იპანს. რას შვრება, კაცმა არ იცის, და მისი ოთახიდან ჩემ ოთახშიაც მძიმე სუნი შემოდისო. ამ სასტუმროშივე იდგა ლუკა თარხნიშვილის ოჯახი და მეც იქ შევედი. სანდროს დედა ლუკას და იყო და ისიც იქ დამიხვდა. მე რალფის ნათქვამი გადავეცი მათ და ვკითხე: „ვინ ქართველია, ხომ არ იცით მეთქი“. მაშინ შემომტირა სანდროს დედამ: არ გებრალები, რომ ის ჩემი სანდროა და რაღაცა ემართება, თვითონაც არა გაეგებარაო. ეს ერთი თვეა, ოთახიდან აღარ გამოდის, არც ვისმეს იკარებს და არც თვითონ ეკარებაო. მამის სიკვდილის შემდეგ ადგილ-მამული გლეხებს დაურიგა და გამაღარიბა და, ახლა არის მაგრეო! – მე მაშინვე მის სანახავად გავსწიე. მისი ოთახის კარები რომ გამოვალე, მისთანა კომლი იდგა თუთუნის, რომ დიდხანს ვეღარც გავარჩიე რა. ის ჩამ-ჯდარიყო ქვეშაგებში პერანგის ამარა, წამოეხურა საბანი და რაღაცას სწერდა. შემომაჩერდა ჯერ უკმაყოფილოდ, მაგრამ მერე მიცნო და ბოდიშით მითხრა, რომ წერამ გამიტაცაო. გადმოილო და მიჩვენა ნაწერები. ღმერთო ჩემო, რამდენი რვეული ედვა სტოლზე და რაები არ ჰქონდა შიდ ჩანერილი? დრამები, კომედიები, ლექსები, პროზები

და სხვა... რამდენიმე მათგანი დავათვალიერე და ადვილად დავრწმუნდი, რომ ახალგაზდა ყაზბეგს შრომა მეტი ჰქონდა, მაგრამ ჯერ ქართული არ იცოდა კარგათ, წერაში არ იყო გაჩვეული, მაგრამ მის ნაწერებს ადგილ-ადგილ ნიჭი ეტყობოდა. რომ შევატყე, ჩემი მისვლა არ სწყინდა, მიუხედავად მისი ახირებულობისა, ხშირად თითქმის ყოველდღე დავიწყე იმსათან სიარული. იმ ხანებში მე ქართულ სცენას განვაგებდი და მისი ოთახიდან გამოსატყუებლად მოვიგონე, რომ ერთი მსახიობი მაკლდა და რომ ის იკისრებდეს, არ იქნება ურიგო-მეთქი. ჯერ იუცხოვა, მერე კი ისე შეუჩინდი, რომ იკისრა. შვიდთუმან-ნახევარი დაუნიშნე თვეში და გადავიყვანე. მსახიობად არაფერი შვილი იყო, ეს მე წინდანინვე ვიცოდი, მაგრამ, მსახიობებში რომ გაერია და საქმე გაუჩინდა, დღესხვალობით გამობრუნდა და ძვირად მოუვლიდა ხოლმე ახირებულობა, მისი არა თუ ახირებულობა, ყოველგვარი მოქმედებაც, რალაც ბავშური იყო და ვისთვისაც უნდა ეწყენინებია, გულში არავის ჩარჩებოდა. – აქტიორობაში დიდი ბეჯითობა გამოიჩინა, ბეკრი როლი შეისწავლა, მაგრამ არც ერთში გარდა ერთისა, არ ვარგოდა, ღენერლის როლს როგორლაც კარგათ ასრულებდა ერთ პიესაში. რაც სეზონი გათავდა და ჩემი საქმეც ცუდად ნავიდა, მე მარტოვა მისი შველა აღარ შემეძლო და გადავიყვანე „დროების“ რედაქციაში სერგეი მესხთან. „გლახა გლახას აეკიდა, ღმერთო, ფარატინი გააგდებიე“, რომ იტყვიან, სწორედ ისე იყო ჩვენი საქმეც. რედაქციაში ბინა უშოვეთ, მაგრამ საჭმელ-სასმელი, ჩვენ რა გვერნდა ბეკრი, რომ მისთვისაც ბეკრი მიგვეცა? მაგრამ ეს იმას არ ანუხებდა. ბეკრსა სჭამდა თუ ცოტას, მისთვის სულ ერთი იყო!.. არ დაეძებდა! ერთხელ საგარეულო ძვირფასი სახარება მიჰყიდა ჩვენ „წერა-კითხვის საზოგადოებას“ და იმავე დროს დედიმისის დანარჩენი ქირმანი შალი, რომელიც ძვირფასი იყო, სულ 15 მანეთად გაჰყიდა. მოაგროვა ფულები და ბათომში ამოჰყო თავი. იქ რა ჩაიდინა არ ვიცი, მაგრამ რო დაბრუნდა, აღარა ჰქონდა რა და ერთი პატარა უაკო-მამუნიც ჩამოიყვანა მხარზე შესუბული. – შვილი არ ეყვარება ადამიანს ისე, იმას ის უაკო უყვარდა. ერთხელ დაეკარგა როგორლაც, და იმაზე უსაცოდავესი აღარავინ ყოფილა!! მაშინ რედაქცია გალავინის პროსპექტზე მუხრანსკის სახლში იყო. ზედა სართულში სასტუმრო იყო. ერთხელ გ. ყარანგოზაშვილი დაბრუნდა გვიან თავის ოთახში და, როდესაც ასანთი ვეღარ ნახა, გაიხადა და ჩანვა ქვეშაგებში. ბნელაში ფეხებზე ხელი მოუსვა ვიღაცამ, გამოახილა თვალები და წამოჯდა, მოინდომა კრაოტ ქვეშიდან

ფოსტლების გამოღება, მაგრამ ამ დროს, ხელი რომ შეყო, ვიღაცამ ჩამოართვა ხელი. შეშინებული წამოვარდა ტიტველა კაცი, მოავლო ხელი ხანჯალს, ამოიღო და მიაყვირა მტერს: „გამოდი მანდედან, თუ ვაშკაცი ხარ! ნუ იმაღებიო!.. ბევრი უყვირა, ხან რუსულად, ხან ქართულათ და ბოლოს უაკო მაიმუნი გამოდგა; ყაზბეგს რომ გაეპარა იქ ასულიყო და დამალულიყო. მაიმუნი რომ იპოვა, სანდროს გახარებას საზღვარი აღარ ჰქონდა!.. მაგრამ ბოლოს მაინც მისთანა გაჭირვებაში ჩავარდა, რომ ის თავის საყვარელი უაკო თუმნად გაჰყიდა. როცა „დროება“ მაჩაბლის ხელში გადავიდა, ყაზბეგიც თან გაჰყა. მაჩაბელმა კეთილდათ მიიღო. მიუჩინა ცალკე ოთახი, სანოლი, საჭმელ-სასმელი, მაგრამ კიდე უჩივოდა ხოლმე: „კრაოტიცა“ აქვს, ქვეშაგებიც, მაგრამ მაინც გაუხდელი პოლზე სწვება ხოლმეო“. „დროების“ დახურვის შემდეგ სადაც გაიქცა ტფილისიდან, ვვონებ კახეთში წავიდა და მას შემდეგ ერთხელ კიდე შევხვდი, მაგრამ მაშინ ის სულ აღარ იყო ჭუაზე. – ჩვენი საზოგადოება ცოტა პირშავათ არის მასთან: მაშინ, როდესაც მისი ნაწერები ათასობით იყიდებოდა და, როგორც მწყურვალი წყაროს, ისე ენაფებოდენ მის ნაწერებს, ის სამხედრო ოშპიტალში იწვა ავადმყოფი, დიდ გაჭირვებაში. სიკვდილის შემდეგ კი შეინანა საზოგადოებამ, მის კუბოს მზე და მთვარეც დაახალეს, მაგრამ რაღა დროს? მისი სიკვდილიც კი უცნაური იყო: ერთხელ ვარანცვის ძეგლთან ვიდექ მე და შევნიშნე, რომ საზოგადოება მუშტაილისაკენ მიესწრაფებოდა. ეკიპაჟი ეკიპაჟზე იყო გაბმული და მიაქანებდნენ. იქ თურმე წარმოდგენა იყო: ვირი აჰყავდათ მაღლა აეროსტატით!.. სწორეთ იმ დროს, მოვიდა ჩემთან დანაღვლიანებული ზ. ჭიჭინაძე და ნაღვლიანად თავის ქნევით დამეკითხა: „სად მიდის ეს ქართველი საზოგადოება სასეირნოდო? სულ ნახევარი საათი არ იქნება, რაც პოშპიტალში ყაზბეგი გარდაიცვალა და მე იქიდან მოვდივარო!“ ამ ამბავმა დამაღონა და შეწუხებული დავბრუნდი შინისაკენ.

8. თ-დი გრიგოლ ორბელიანი

დიდებული ჩამომავლობის, მთავრობის მაღალხარისხოვანი ხელჯოხიანი, ბუნებითადაც დიდი ნიჭიერი იყო გ. ორბელიანი!.. მაგრამ არც ერთ ამ ლირსებათაგანის ნაყოფი არ მოუტანია სამშობლოსათვის. როგორც საისტორიო გვარის შვილს ისტორიული არა დაუტოვია რა, მაღალხარისხოვანს ქვეყნისათვის არა გაუკეთებია რა და

როგორც დიდბუნებოვან მგოსანს – მწერლობაში კვალი არ დაუსვამს!.. მრავალი საუკუნოების განმავლობაში, ათასში ერთხელ, ცის ტატანზე კვიმატი გამოჩნდება ხოლმე ყოველ მთიებზე უფრო ბრწყინვალე სხივმფენარი, საოცარ კუდს იკეთებს და თანამედროვეთა ყურადღებას ძალაუნებურად იქცევს. ანათებს ერთხანს და მერე უეცრად გაქრება... გაუჩინარდება. ბევრი მხერვალე სიტყვა წარმოითქვა განსვენებულის ორბელიანის კუბოზე. სხვათა შორის ითქვა, რომ „მზე ჩაესვენა“, „მთვარე ჩავიდა“ და „ვარსკვლავები დაბნელდენო“, მაგრამ არა, მზე კი ჩაესვენა, მხოლოდ კვიმატი გაქრა... გაუჩინარდა... ქვეყნისათვის არ მოუტანია რა და არც კვალი დაუგდია... და ეს მისი ბრალია, რომ იმას ხალხიცა და ცხოვრებაც ბიუროკრატიულად, ბატონკაცურად ესმოდა, იმდენად სწაროველო მხოლოდ, რამდენადაც საჭირო და გამოსადეგი იყო მისთვის და მისიანებისათვის და თუ ეს არ იქნებოდა, ქვა ქვაზედაც ნულა ყოფილიყო!!.

ერთხელ დავით ერისთავმა, გლოხარიშის შვილმა, მოუნდომა ილია ჭავჭავაძეს ბანკის მართველობიდან გადაგდება და მისი ადგილის დაჭრა. ჩამოიყვანა, სულ ტივებით, რადგანაც, მაშინ რკინის გზა არ იყო, ხალხი. შეიტანა მათ მაგიერ ფული და ითხოვა, რომ ისინიც დამფუძნებლებად ჩარიცხულიყვნენ. – ახალი მეკენჭები ერთი ორად მეტი იყო ძეგლებზედ. დალონდენ ილიას მომხრები, მაგრამ საპირადოდ შორმჭვრეტელი ილია კი ყურსაც არ იბერტყდა. დიდის სიამოგნებით მიიღო. მერე მიუბრუნდა ძეველ ამრჩევლებს და უთხრა: „საზოგადო საქმისათვის, რაც მეტია ამხანაგი, ისა სჯობსო და ჩვენც უნდა მადლი შევსწიროთ ახლად ჩაწერილებს, მაგრამ ხმის უფლება ახლავე უნდა მივცეთ, რაც კანონს ენინაალმდეგება, თუ შემდეგისათვის, კანონისამებრო?..“ ძეველი ამრჩევლები მიხვდენ და დაიყვირეს ერთხმად: „შემდეგისათვის! შემდეგისათვის!“ დარჩენ პირჩალა გამოვლებული, როგორც ახალი არჩეულები, ისე ასარჩევიც.

იმ დროს თ-დ. გრიგოლ ორბელიანს ჭავჭავაძის მხარე ეჭირა და მშვენიერი, სატკაცატკუცო სიტყვა წარმოსთქვა. საზოგადოება სულგანაბული უგდებდა ყურს (უმისობა ან კი როგორ იქნებოდა, რომ მაშინ ორბელიანს მთავარმმართებლის ადგილი ეჭირა?). ის სიტყვა ორატორმა ამგვარად დაბოლოვა; „საქართველო შურმა და მეტოქეობამ დაამხო!.. ჩვენი დღევანდელი უბედურება ის არის, რომ მე, ყაფლანიშვილს, და ვიღაც ცალქალამნიძეს ერთი და იგივე უფლება გვაქვს მონიჭებული, ერთი და იგივე ძალა!.. იმასაც ჩემდენი შეუ-

ძლია ამ საკენჭო საქმეში!“ ამ სიტყვების განმარტება საჭირო აღარ არის!.. თავისთავადაც იგულისხმება, თუ რა შეხედულებისა ყოფილა ორბელიანი საზოგადო საქმეზე და პირდაპირ გადავალ მის მგოსნობაზე.

მწერლობა ხელობად არ მიაჩნდა. ლექსის წერას ისე უყურებდა, როგორც სახუმარო და სალალობო რამეს, და მიტომაც მის ხანგრძლივ ცხოვრებაში, რამოდენიმე გულის საფხან ლექსის მეტი არა დაუწერია რა!.. „ონიკოვის დარღები“, „ლოპიანას ვინაობა“ და „იარალია“ ქვეყნის ჭირ-ვარამი ეგონა. მისი ფიქრი ლხინი იყო!.. მისი უბედურება – ულხინობა. „კაზარმობის“ დროს, მეამბოხეებში გამორეული, ნოვგოროდში რომ გაიგზავნა, იქ იგონებს სამშობლოს და პეტერბურგში მყოფ იარალ შანშიერსა სწერს:

„ჩემო იარალი,
ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი
ვსხდეთ ველსა მწვანესა
და სხვანი.

საქართველოს ჭირ-ვარამზე კი არა ჰავიქრობს, ლხინი აგონდება, ქეიფსა ჰავატრობს, შუბლის გამაგრილებელ კოჯრის ნიავს, ჯეირნის შუშხუნა მწვადს და სადლეგრძელობს, იქვე ყურს უგდებს იარალის ნაამბობს ძველებურ ამბებს, გულდანყვეტილი იგონებს მეფეს, მაგრამ იმდენად კი არა, რამდენად ის საჭირო და სასარგებლო იყო ქვეყნისათვის!.. არა, მხოლოდ იმას ისაკლისებს, რომ მეფე აღარ არის და ორბელიანთა გვარი როგორც იმ დროს, ისე ვეღარ ფართაშებს!.. იგონებს მოედანზე ჯირითს, შუბის ტრიალს, ყურთმაჯობრძოლას და ამ გვარ შექცევებს!.. ყველგან ქეიფს ეძებს და იმასა სტირის!.. ლხინი! და ლხინი! ზოგიერთი მღერალია, რომ „მრავალუამიერს“ კარგად გალობს, „სძლის პირებს“ მშვენივრად აკაკანებს, მაგრამ „ზარს“ კი ვერ მოახერხებს. აგრეთვე არის მისთანა მომღერალიც, რომელიც ვერც ერთს ვერ ახერხებს: ვერც „მრავალუამიერს“, ვერც „სძლის პირს“ და ვერც სალხინო რამეს, მაგრამ „ზარს“ კი ისე ჰქვითინებს, რომ ჭირისუფალს გულის სიღრმემდე უნევს, ამ პირველთაგანს ეკუთხოდა გ. ორბელიანი და თავისთავიც საქართველოს ბარძმედად მიაჩნდა, როგორც ვარანცოვის პოლიტიკის მიმდევარს ურუსებოთ ქართველის ნარმოდგენა არ შეეძლო, მით

უფრო, რომ რუსეთი პირადად მისი დიდი მწყალობელი იყო. და განა მარტო იმას? მაშინ შამილობა იყო და საზოგადოდ ქართველებს, გარდა ერთი ორისა, ასე ეგონათ, რუსის ნამოქმედარში ყველაფერში წილი ედებოდათ. გრიგოლს მაინც თვით რუსზედაც უფრო სწამდა რუსი. რუსი ქართველში ჰყავდა განხორციელებული და ქართველი რუსში. და ამით აიხსნება მისი თავდადებული ერთგულება რუსთა-სადმი. – მესამოცე წლების სურვილ-მისწრაფებას ჩქარა ვერ აუღო ალლო და კიდევაც გაილაშქრა მაშინდელ ახალთაობაზე...

გაილაშქრა, მაგრამ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა, მალე კი გაიგო თავისი შეცდომა და მოინდომა ახალთაობისაკენ გადმოკატუნობა: რუსის პოეტის მიხაილოვის ლექსი „მჭედელი“ გადმოაკეთა „მუშა ბოქულაძედ“, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამ ლექსს მაინც ატყვია ნაძალადეობა. – უუკოესების მიბაძვით მან დასწრა პოემა „სადლე-გრძელონ“. რუსების დროს ეტრფის და ნიკოლოზ პირველი ცამდი აჰყავს. სანამ ალექსანდრე ორბელიანი ცოცხალი იყო, ნიკოლოზის მუნასიპი გამოტოებული ჰქონდა და მერე კი ისიც შეიტანა მთელ პოემაში.

ერთი სიტყვით, გრიგოლი იყო ლხინისა და ქეიფის დიდი მღერალი და ნეტავი იმ ხალხს – ეს საგულისხმოა, – რომელიც ამისთანა დიდბუნებოვან შვილს წარმოშობს! მაგრამ თვით ამგარბუნებოვან კაცს რაღა ეთქმის მის მეტი, რაც მისმა დისწულმა მგოსანმა 6. ბარათაშვილმა არ იწინასწარმეტყველა: „არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოს!“ სიკვდილის შემდეგ პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენია, დიდალი ქონება დარჩა, მაგრამ საქველმოქმედო ჩირის ფასიც არა დაუტოვებია რა, რომ მით მაინც ალენიშნა ცხოვრების კვალი.

9. დიმიტრი ყიფიანი

სულ სხვა ბუნებისა და გუნების იყო, ვიდრე გრიგოლ ორბელიანი, განსვენებული დიმიტრი ყიფიანი. სააბაშიო, სააბატონ აზნაურიშვილს, უბრალო ჩამომავლობისას, უფრო მეტი ნიჭი და მეცადინეობა ეჭირვებოდა, ვიდრე რომელიმე გვარისშვილს, რომ ცხოვრებაში ბიჯი გადაედგა!.. შთამომავლობით არა მიუძღვოდა რა!.. მომხრე არავინ ჰყოლია და თავის თავად უნდა გაეკვლია გზა მომავლისა. პირველი ბიჯი მან ციმბირისაკენ გადადგა. ახალგაზრდობა ვოლოგ-დაში გაატარა, მაგრამ დაბრუნების შემდეგ კი ისეთი მხნეობა და

ჩემი თავგადასავალი

ნიჭი გამოიჩინა, რომ ჩინოვნიკობას თავში დაუდგა... მთავარმართებლის კანცელარიის მმართველობა ჩაიგდო ხელში, გაითქვა სახელი და გაძლიერდა. – ქართველობას მისთვის გარდა სიცოცხლისა არა მიუცია რა!.. ყოლიფერი რუსობამ მოახვეჭინა, მაგრამ, დახეთ გულ გაუტეხლობას, იმას სამშობლო მაინც არ დავიწყებია, იმ თავიდან ამ ბოლომდე, სიყრმიდან სიბერემდე სულ თურმე საქართველოზე ჰყიქრობდა, – ცოტას ჰყიქრობდა პირადობაზე. დიდკაცობა და ძალა მიტომ უნდოდა, რომ ხალხში მეტი გავლენა ჰქონებოდა და მეტი სარგებლობა მოეტანა საქართველოსათვის. ამან კარგად იცოდა, რომ იმ დროში, კაცი გენიოსიც რომ ყოფილიყო, თუ მის ადამიანობას რუსის ბეჭედი არ ექნებოდა დაკრული, არავინ რას გაუგონებდა. მის ნინ ორი გზა იდვა, მარცხით ბიუროკრატიული, მთავრობისაგან გატკეცილი, ია-ვარდით მოფენილი და პირადად საბედნიერო. მეორე მარჯვნით, მესამოცე წლის მოღვაწეების ნაჩხირკედელავები, უსწორმასწორი, სახიფათო და პირადად სავნებელი. საპირადო ბედნიერების საფეხურზე შემდგარი ყიფიანი, უშიშრად გადავიდა სიტყვით, კალმით, საქმით, სულითა და გულით მათ-თან იყო ისიც.¹ ორი ნესვი ერთი ხელით არ დაიჭირებაო“, დღესხვალიობით, თანდათანობით, ააყრევინა მთავრობას გული, გაირისხა და თავი მოაშორებია, ირაკლი გრუზინსკისა არ იყოს, ქართულ ლიტერატურულ საღამოზე სალამურის დამკვრელად რომ გამოვიდა. მაშინ რომ ყიფიანმა მუნდირი გაიხადა და ჩერქეზული ჩაიცვა ზედ ვარსკვლავით, სასაცინო პროტესტი იქნება, თუ დღევანდელის თვალით შევხედავთ!.. მაგრამ მაშინ კი საგულისხმო იყო და იმას ნიშავდა, რომ იმან მით მაშინდელ ბიუროკრატიას პირდაპირი ბრძოლა გამოუცხადა. სწორეთ მაშინ დასწრა ალეგორიული ზღაპარიც... „არაბული ცხენი“. სადაც თავისი თავი ჰყავდა გამოხატული და მისი მომავალი ცხოვრების პროგრამაც დასურათებული, მაგრამ, რომ ჰყიქრობდა, ის აღარ გამოუვიდა. მთავრობამ რომ ხელი ააღო, მისიანებმაც ზურგი უჩვენეს და დარჩა მარტოდმარტო ბრძოლის ველზე. – მაშინ კი დაინახა, რომ თვითონ ვეღარ შევიდოდა სამკალში, ნაყოფს ვეღარ მოესწრებოდა და შეუდგა მარტოდმარტო მხოლოდ თესვას, რომ მის ნათესს ოდესმე თავი ეჩინა, დამწიფებულიყო და სხვებისთვის მაინც აელებინებია ხელში ნამგალი. ეს არის

ჩემი თავგადასავალი

იდეიური ბრძოლა, რომელიც არ ეტანება ხორციელ ძალმომრეობას და ამას დაადგა ყიფიანიც.

არც ერთი ქართული დაწესებულება არ არის ჩვენში, რომ მეთაურობა ყიფიანს არ ეკუთნოდეს; ბანკი, ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრი და სხვანი, სულ მისის ინიციატორობით არის დაწყებული. ერთხელ ქუთასს მივდიოდი რკინისგზით და მესამე კლასი რომ გავიარე, იქ შევხვდი დ. ყიფიანს. მოუჯექ გვერდით. მეტათ დაღონებული იყო. ბევრი რამ შემომჩივლა და, სხვათა შორის მითხრა: ვფართხალობ, მაგრამ ფართხალსაც ძალა უნდა და მე კი შემომაკლდაო. მაშინ ქუთასში გუბერნიის მარშალი უნდა აერჩიათ და შევეკითხე: იმერეთის მარშლობას არ იყისრებთ-მეთქ?

– რატომ არა, მაგრამ ხელმოკლეთა ვარ, საშუალობა არა მაქვს და უქონლობა დიდი ხელის შემშლელია.

– რომ საშუალებაც გამოგიძებნოთ-მეთქ?

– მაშინ დიდის სიამოვნებით.. – მომცა სიტყვა და გამითავა.

ჩავედი ქუთასს და მივაშურე გ. ღოლობერიძეს. იმ დროს, როგორც უხუცესი, ის ითვლებოდა ახალთაობის მეთაურად. გადავეცი ჩემი განძრახვა. შევკრიბეთ იმ დამესვე მეცნეჭები და გადავეცით გულში ნადები. იმერლები დიდის თანაგრძნობით მიეგებნ ამ ამბავს, გარდა ერთი ორი ჩინოვნიკისა, მაგრამ ისინი რაღას გახდებოდენ? შედეგი ის იყო, რომ ერთხმად არჩეულ იქმნა დ. ყიფიანი და ჯამაგირიც თოხასი თუმანი დაენიშნა. იმერეთში რომ ჩამოვიდა ყიფიანი, არ ვიცი რას გამოელოდენ მისგან იმერლები, მაგრამ ძალიან აღტაცებით კი დაუხვდენ. მთელი დღე ლიტანიობდენ. სხვათა შორის ჩასვეს ფაიტონში, თვითონაც ჩასხდენ ფაიტონებში და „ვაშას“ ძახილით სამჯერ შემოატარეს ირგვლივ ბულვარი. მთელი ქალაქი საყურებლად გამოვიდა. ამან გაამხნევა მოხუცი, გაუახლა ყმანვილური ოცნებები და ბევრს რამესაც უქადა იმერეთს!.. იმას ეგონა, თუ ის, რაც აღმოსავლეთ საქართველოში ვერ ნახა, ადვილად მოიპორებოდა დასავლეთში და მხნედ შეუდგა საქმეს!.. მაგრამ ეს „სოფელი განა დიდხანს ახარებს?“ იმ ხანებში, გულმოსულმა ექსარხოსმა, რექტორის სიკვდილის გამო, შეაჩვენა ქართველობა. იმ წირვაზე ქართველი დიდებულებიც იყვენ, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავთ და ყიფიანმა კი შორიდან მოსწერა წმინდა მამას მრისხანე საყვედური. ეს წერილი ჩაუარდა მთავრობას ხელში, შეუკეცა წინანდელი უსიამოვნობაც და ავტორი ყიფიანი გადაასახლეს სტავროპოლს, პატიმრად.

1 ამ სახიფათოზე და ჩაირიცხა ახალ მოღვაწეებში...

ჩემი თავგადასავალი

რამდენიმე დღის წინეთ გაგზავნისა ქვიშეთს შეველ, ვნახე და მისმა მხიარულმა სახემ გამაოცა. „ერთი იმ თავითო და მეორე ამ თავითო!“ – მომაყვირა სიცილით, – პატიმრობით დავიწყე ცხოვრება და პატიმრობითვე ვათავებო!.. დაღრეჯილობა რომ შემატყო, სიცილით მითხრა: ნუ გშურს ჩემთვის ეს ღვთის წყალობაო! უკეთესს ჯილდოს მე ვერც კი მოვიფიქრებდიო!.. ეს ერთი საუკუნეა, რაც ქართველები ცუდკაცობისათვის იგზავნებიან ციმბირში და ჯერ იდეიურად არავინ დასჯილაო და დეე პირველი მერცხალიც მე ვიყოო!.. მართალია, პირველ მერცხალს ხანდახან სუსხი დაჰკერავს და გაზაფხული ვეღარ ესწრება... მაგრამ მაინც პირველი მახარობელია და გაზაფხული მაინც მოვაო! – სთქვა და ჩაფიქრდა.

მართლა რომ ინინასნარმეტყველა თავის თავზე: იქ, სტავროპოლში, პატიმრობის დროს მოკლეს!.. ის ტვინი, რომელიც საქართველოზე პფიქრობდა, თავზე გადაანთხიეს. და იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის სძგერდა, ცივი ხელები დააკრიფეს!

ვინ? და რათ?.. სრულიად საჭირო არ არის ამაზედ ვიფიქროთ მაშინ. როდესაც ვიცით, თუ რისთვისაც!.. ამას მომავალი უკეთ გამოიკვლევს, მაშინ, როდესაც ყიფიანის ნათესი თავს იჩენს, ნაყოფს მოიტანს და დაწესებულაებს ჩვენც ისე ცალმხრივად აღარ დავუწყებთ ყურებას როგორც დღეს: ბანკი მარტო სადახლო დუქანი აღარ გვეგონება, წერა-კითხვის საზოგადოება – ბიუროებატიული რამ დაწესებულება და თეატრი – სასაცინო გასართობი!.. დღევანდელი ამბოხება, თუმცა ჯერჯერობით კი უკუღმართი და უთანასწოროა, მაგრამ მაინც ხალხის გამოლვიძების ნიშანი, თავმდებია ამისი.

აი, სწორეთ იმისთანა დევგმირზე, როგორც იყო განსვენებული დიმ. ყიფიანი, ითქმის, რომ „მოვიდა ქვეყნად და ქვეყანასაც ბევრი რამ არგოო!“

მინიატურა

[1893-1909]

ყველა იმ მაღლობისაკენ მიისწრაფის, მაგრამ ფეხს კი მარტო რჩეულთაგანი შესდგამს ზედ! უმეტესობა, ზოგი ადგილიდან არ იძვრის და ზოგიც გზიდან პრუნდება უკანვე. რა მშვენიერი მწვერვალია!... იქიდან ყოლიფერი იხედება: მომავალიც და წარსულიც!... და შენც, ამაღლებულო! ნუ გიკვირს შენი თავი! სხვებმა აგიყვანეს და დაგაყენეს მანდ. ბედნიერო!.. გაგიკვალეს გზა და კეთილად უნდა მოიხსენიო ისინიც. . . სხვები! . . . დრო იყო, მეც ვიდექი მანდ და ახლა შენ დგახარ ჩემ მაგიერ და მე კი მივდივარ მეორეს მხრით დაღმართისკენ. . . ვემონები ბუნების კანონს . . . მაგრამ ღიმილით კი. . . და ვიღიმი მიტომ, რომ ვალი მოხდილი მაქვს და ტვირთად აღარ მიმყვება. მოვა დრო, შენც ჩემსავით დაეშვები! მაგრამ ეცადე კი, რომ ღიმილმა არ გიღალატოს!. . . აი მე! მივჩანჩალობ და მაინც ველარ მომშლია ღიმილი. მივდივარ სიმღერითა და ჩანგურის კვრით, თან უკან ვიხედები. მოდის გაზაფხული შენსკენ. . . ჩემამდი კი... მარტომდენ შორიდან მისი სუნი მოდის და მაინც არ შემიძლია, არ დავიძლერო!

[1905]...

ლექსი პროზაზ

სოკოსავით ამოსულა დედამიწიდან, თუ ციდან გადმოკიდებულა ეს კოშკი? რამსიმალლეა!.. მე კი ზედ მწვერვალზედ ვდგევარ და გადავჰყურებ ხელის გულსავით გადაშლილ პარიზს, სახლები წერტილებად მეჩვენებიან, ქუჩები ვიწრო არშიებად და ზედ ადამიანის მიმოსვლა კი ჭიანჭველის ცოცვად. აქ, ამ სიმაღლეზე სულ სხვანაირად ფიქრობს კაცი და სხვაგვარად გრძნობს.. და მეც ჯერჯერობით მეტი არა მინდარა, რომ მარტოდმარტო, თავისუფლად აქ ვეძლეოდე ხოლმე ოცნებას...

მაგრამ ეს ვიღაც მანდილოსანი ამკვიატებია და მე რომ მოვდივარ, ისიც მაღლე გაჩნდება ხოლმე. დღეს კი დაუსწრია, დამიხვდა და პირველად კიდევაც გამომესაუბრა:

– უკაცრავად კი ნუ ვიქნები და აქაური არ უნდა იყოთ თქვენ, როგორც გეტყობათ?

- დიახ, შორედან მოვსულვარ... კავკასიელი.
- ააა... ჩერქეზი?
- არა.
- ჰმ.. ჰმ.. ჰმ.. მაშ უთუოდ სომეხი?
- არც სომეხი. ქართველი, საქართველოდან.
- ქართველი? ვინ არიან ქართველები? და სად არის საქართველო?
- კავკასიელი ხალხია... მიკვირს, რომ ჩერქეზები გცოდნიათ, სომეხებს იცნობთ და მკვიდრ ქართველებზე კი არა გაგიგონიათ-რა?!
- უკაცრავად, მაგრამ დღეს პირველად მეშმის ეგ ხალხი.
- დიახ, ძალიან უგანგაშო ქვეყანა საქართველო. თვითონ ქართველები ხმას არ იღებენ და სხვები კი მათ არ ახსენებენ.
- ამ სიმორეს რას მოუყვანიხართ?
- ავადმყოფობას.
- მობეზრდით იქაურ ექიმებს და თავიდან მოგიშორეს? აქეთკენ ნამოგიტყუეს?
- აქ უკეთესი ექიმები არიანო.
- ექიმის უმეტესობა ყველგან ექიმია: მაჯას გინახავს, ენას გამოგაყოფიებს, ყურს გულზე მოგადებს და დაგინერს რეცეპტს. ამას მოანდომებს სულ ერთ წამს, მაგრამ შრომის სასყიდელი კი დიდია... განსაკუთრებით აქ, პარიზში. მეც უცხო ქვეყნელი ვარ... ამერიკელი, წელიწადია, რაც აქეთკენ გადმოველ. შემოვიარე მთელი ევროპა, ვეძებ და ჯერ ვერ მიმიგნია...

- რას დაეძებთ?
- კაცი ექცებს იმას, რაც აკლია და განსაკუთრებით ქალებს...
- მე ვეძებ სიყვარულს.
- სიყვარულს?
- დიახ, სიყვარულს, უბინოსა და თავისუფალს.
- ამერიკა მე დიდ ქვეყნად წარმომიდგენია და ნუთუ იქ ვერ მოგინახავთ?
- ჩემს სამშობლოში? იქ ხელოვნებამ დაჩრდილა სიყვარული და ტრფიალება მედიდურობად გადაიქცა ისე, როგორც აქ, ევროპაში, სადაც ფულია გაღმერთებული, სიყვარულიც სავაჭრო სავნად გადაქცეულა. საუკუნო განსვენება ჩემ მშობლებს. დიდი მემკვიდრეობა დამიტოვეს: თვალტანადობა, ჯანმრთელობა და შეძლება, მაგრამ ესები ყველა ვერ მაკაყოფილებენ უსიყვარულოდ. იმას კი დავეძებ და ვერ მიპოვია...
- საკვირველია, რომ მაგას ამბობდეს ადამიანი იქ, სადაც...
- იქ, სადაც ხელოვნება უკიდურეს წერტილამდე მისულა, რომ მოპხიბლოს ადამიანი და თვალჯიბე მოსჭრას. აქ გარეგნობაა... მომხიბლავი გარეგნობა, უსულო. და სიყვარულს კი თავის მოთხოვნილება და კანონები აქვს. ის კანონები მარტო გარეგნობაში ვერ იხარებენ. როგორც ყვავილს ნამი, ისე ეჭირვება ქალს სიყვარული, მაგრამ ვერსად პიონერები, დამონბიან პიონებებს და ვინ გაამტყუნებს... არა, როგორც ამერიკაში, იმ სიყვარულს, რომელიც ადამიანს ააქლერებს, აამაღლებს...
- გეთანხმებით, როგორც ქართველი.
- რაო? როგორც ქართველი? ნუთუ იქ, საქართველოში, სხვა-გვარად ესმით სიყვარული?
- მართალია, ამ უკანასკნელმა მონობის საუკუნემ თავისი ელფერი დასდგა ჩემს სამშობლოს; მიმბადაობის ხანა დადგა იქ, მაგრამ ჯერ კიდევ არ მომკვდარა, - მხოლოდ დასნეულებულია, და სნეული ზოგიერთ ძველ აღთქმას ვერ უარყოფს და მათ რიცხვში სიყვარულსაც. მართალი სთქვით. აქაურ ქალს განა სიყვარული მოეთხოვება? ის მორთულ-მოკაზმული, ფერნაცხები და სარკის წინ დაქანცული გამოდის, რომ აქეთ-იქით ქსელი გააბას და ბუზი დაიჭიროს; ოღონდ ბუზი კი იყოს და მისთვის სულ ერთია, ვინც იქნება... როგორც ქართველს, არ მესმის ეს. ჩემს სამშობლოში ხელოვნებას ჯერ კიდე არ დაუჩაგრავს ბუნება. ვარდი თავისუფლად სუნნელოვნად იშლება, ია ნაზად თავსა ჰერის და ყაყაჩო მედიდურობს... და სადაც ეს სამი ყვავილიანობა არ შეთანხმებულა, ვერ იკიდებს ფეხს სიყვარული... თვით სიყვარულია ყოვლის შემძლებელი ხელოვნება და ხელოვნება

აღარ ეჭირვება. სიყვარულია ღმერთი. იყო დრო, რომ ქართველ ქალთა უმეტესობას, გარეგნობით ზემოხსენებულად შემკულს, შინაგნობაც ეკავშირებოდა: სული სცემდა ხორცს ნათელს და ხორციც სულს შექათქათებდა. დღესაც კიდევ თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც აქა-იქ სადმე კიდევ მოიპოება ნამდვილი ქართველი ქალი და ერთს მათგანს მე კიდეც ვეთაყვანები, და ეს თაყვანი უხმო ლოცვა-დიდება შემოქმედებისა. ჯერ სანამ მთა-გორას მოფარებული მზე მწვერვალზე თავს ამოჰყოფდეს, გაისმის ცისკრის ზარივით ტეპილად, გულის სილრმემდე ჩამწდომი მისი ხმის წერიალი. ეჭ, გაულვიძნია ჩემ სატრფოს, ხელპირი დაუბანია, დაუვარცხნია გულ-მკერდზე დატევრებული თმა, ჩაუცვამს უბრალოდ და შვილებს ისტუმრებს სასწავლებელში, რომ მერე საოჯახო საქმეს მოპკიდოს ხელი და დალამებამდე ფეხზე იდგეს. მთელი დღე მოძრაობს და მისი მოძრაობა საარაკოა. ყოლიფერი ჰელვენის: გაიღიმებს, თითქო ცა გაიხსნაო, მოიქმუხვნის, თითქო დედამიწა შეიკრაო.

მინახავს მის წამნამებზე კურცხალი ჩამოკიდებული, მინახავს და ძლივს გადავრჩენილუარ დადნობას...

დღიურ შრომით დაქანცული, ღამით რომ ქვეშაგებში მოისვენებს ხოლმე, თითქო მთვარემ მოიყვანაო, მე მივდივარ ათრთოლებული, მუხლს ვიყრი მის წინაშე და ზეგარდო შთაგონებული ვეამბორები მის ფეხებს. ვეამბორები მიტომ, რომ იმ ფეხებზე იდგა მთელი დღე და იმ ფეხებს მიმოქონდა იქით-აქეთ მაშვრალი.. წმინდა ის ამბორი, როგორც დედის ცრემლები, და იმ ამბორთან ერთად გათავდება ჩემი სიცოცხლეც...

ასე ვამბობდი აღელვებული, ოცნებით გატაცებული და გავიყურებოდი იქითკენ, სადაც ჩემი სამშობლო მეგულებოდა. სულგანანაბული ამერიკელი ქალი ყურს მიგდებდა დიდხანს და ბოლოს წამოიძახა: აი, სად ყოფილა სიყვარულის ბუდე და მე-კი სად ვეძებდი? უნდა წავიდე...

- სად? პარიზიდან საქართველოში? ეგ სულ ერთი იქნება, რომ დიდებულ დარბაზიდან გლეხის ბოსელში გადავიდეს კაცი...

- არა.. იქ, სადაც წამხედურობა და მიმბადაობა არის გამეფებული, გინდ დარბაზიც იყოს, არ მინდა. იქ კი, სადაც ორიგინალობაა, გინდ ბოსელიც იყოს, მომავალი მოსალოდნელია. იქ სიყვარული იხარებს და, სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ არის. მე უნდა ვნახო შენი სამშობლო და ისიც...

- ვინ ისიც??..

- ის... ის, ვისაც შენ მაგრე იხსენიებ.

უცხოელი ქალი

უცხოელი ქალი

(ლექსი პროზად)

მორთულ-მოკაზმული, ფერნაცხები და სარკის წინ კოპწიობით დაქანცული, გამოდის, რომ აქეთ-იქით ქსელი გააბას და ბეცი ბუზები დაიჭიროს. ვინ არიან ეს ბუზები? – მე.. შენ... ის და ყველა! მე კი, როგორც ქართველს, ლიმილი მომდის. ჩემ სამშობლოში ხელოვნებას ჯერ კიდევ არ დაუჩაგრავს ბუნება; ვარდი თავისუფლათ სუნელოვნად იშლება, ია მორცხვად თავსა ხრის და ყაყაჩო მედიდურობს! ... ესე იგი, იქ, სადაც ეს სამი ყვავილოვანება ერთად არ შეერთებულა, ფეხს ვერ იკიდებს სიყვარული! .. სიყვარული ნამდვილი და არა ბინძურობა. იყო დრო, რომ ქართველ ქალთა უმეტესობას, გარეგნობით ზემოხსენებულად შემკულს შინაგნობა ეკავშირებოდა. სული ხორცს ჰსცემდა ნათელს და ხორცი სულს შეჰქათქათებდა!... დღესაც კიდევ, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც აქა-იქ, სადმე მოიპოება ნამდვილი ქართველი ქალი და ერთ მათგანს მე კიდეც ვეთაყვანები და ეს თაყვანია უხმო ლოცვა-დიდება შემოქმედების! .. ჯერ, სანამ მთა-გორას მოხურებული მზე მწვერვალზე თავს ამოყოფდეს, გაისმის ცისკრის ზარივით ტკბილად გულის სილრმემდე ჩამწდომი მისი ხმის წკრიალი. გაუღვიძნია ჩემ სატრფოს, ხელ-პირი დაუბანია, დაუვარცხნია გულ-მკერდზე დატევრებული თმა, ჩაუცვამს უბრალოდ და შვილებს ისტუმრებს სასწავლებელში, რომ მერე საოჯახო საქმეს მოჰკიდოს ხელი და დალამებამდე ფეხზე იდგეს, მთელი დღე მოძრაობს და მისი მოძრაობა საარაკოა. ყოველიფერი შვენის: გაიღიმებს, თითქო ცა გაიხსნაო. მოიქმუხნის, თითქო დედა-მიწა შეიკრაო! მინახავს მის წამწამებზე კურცხალი დაკიდებული ... მინახავს და ძლივს დადნობას გადავრჩენივარ! .. დღიური შრომით დაქანცული, დამით რომ ქვეშაგებში მოისვენებს ხოლმე, თითქოს მთვარემ მოივანაო. მე მივდივარ ათრთოლებული, ვიჩოქებ მის წინ და ზეგარდმო შთაგონებული ვეამბორები მის ფეხებს!.. ვეამბორები მიტომ, რომ იმ ფეხებზე იდგა მთელი დღე და იმ ფეხებს მიმოქონდა აქეთ-იქით! .. წმინდაა ის ამბორი, როგორც დედის ცრემლი და იმ ამბორთან ერთად გათავდება ჩემი სიცოცხლეც! და ეს კი, დედა-კაცობაზე ხელი აულია და დედაზარდლად გამოდის, რომ ქსელში გამაბას! ამაო ამაოთა! ... მე სულ სხვაგვარად მესმის სიყვარული იგივე ხელოვნებაა“

[1908]

ლიტერატურული ზღაპრები

ზამთრის გრძელი ღამეების შესამოკლებლად გადიაჩემი ზღაპრებს მეუბნებოდა ხოლმე. ზოგიერთი მათგანი დღესაც გულის ფიცარზედ მანერია... მახსოვს, ერთს მკაცრს ზამთარში, როდესაც შავი უკუნი სარტყებში საზარლად იხედებოდა და ქარიშხალიც გარედ ისე გულსაკლავად ზუოდა, რომ თითქოს სიცივისაგან ატანილი, თბილ ოთახში შემოშვებას იხვეწებაო, – გამზიარულებულ ბუხრის წინ შვლის ტყავზე რბილად და თბილად ვიჯექ და სულგანაბული ყურს ვუგდებდი გადიას: იმ დროს ის ამბობდა „ოქროს წყაროს“ ზღაპარს.

საზოგადოდ, ჩვენს ზღაპრებში მზეთუნახავები ისე არ გამოდიან თავის ცხრაკლიტულიდამ და არ ნებდებიან საქმროებს, თუ არ ჭიდაობითა და გამოცანებით: სასიძომ მიდის მზეთუნახავთან იმ პირობით, რომ დაეჭიდოს და დასცეს, და ან გამოცანა ახსნას. თუ აჯობა ან ერთში ან მეორეში, ხომ კარგი: ცოლად წაიყვანს; და თუ ვერა, მაშინ თავს მოსჭრიან და სარზედ ჩამოაცმერ... ამგვარად მთელი მესერი სასიძოების თავებით არის შემოყოლებული!. ეს იმას ნიშნავს, რომ ძველ დროში ხელადუმობასა ჰქონდა ფასი, და კაცი ისე ვერ აისრულებდა თავის სურვილს, თუ არ ბრძოლითა და შეჭიდებით: ან უნდა მომკვდარიყო, და ან უნდა ჩაეგდო ხელში მისი საძებარი საგანი, მისი მზეთუნახავი.

გამოცანები ნიშნავენ, რომ ჭკვასა და ხერხსაც ჰქონია ფასი იმ დროს, მაგრამ ისიც კი სხვა ხასიათისა ჰყოფილა მაშინ, სხვა პირობები სდებია.

ჩვენი „ოქროს წყაროს“ მზეთ-უნახავი კი არ ეკუთვნის საზოგადო მზეთუნახავების დასს! ის იყო სამხრეთის, ანუ სომხეთის მეფის ქალი და, წინააღმდეგ მზეთუნახავების ჩვეულებისა, გამოაცხადა, რომ ჩემთვის თავს ნურავინ მოიკლავთო! მე მხოლოდ იმას შევირთავ, ვინც მომენტება და მომენტება, მხოლოდ ის, ვისაც ოქროს სუჭუჭიანი თმა ექნებაო!

ტკბილ გუნებისაგან სისხლალელებული ახალგაზრდა სასიძოები შეუდგნენ ოქროს სუჭუჭიანი თმის მოპოვებას.

ხმა იყო, რომ აღმოსავლეთისაკენ, უგზო-უკვლო ქვეყანაში, ერთს უდაბურში, კლდის ძირას გამოჩუხებულებს „ოქროს წყარო“, და ვინც იმ წყაროს წყლით თავს დაიბანს, ოქროს თმა გამოესხმისო. აუკიდეს კამარა, დაადგნენ აღმოსავლეთის გზას სასიძოები.

ოქროს წყაროს ზღაპარი

ერთხელ ერთი მათგანი, ხანგრძლივის მგზავრობისაგან დამაშვრალი, დაადგა აღმოსავლეთის გზას. დაფიქრებული მიღოლავდა ნელ-ნელა. უცბად მის წინ მაღლიდამ კვირისტავი დაეცა. აიხედა მაღლა და დაინახა, რომ გზის პირად, მაღალ კლდეზედ ერთი დედაბერი იჯდა და თითისტარით ძაფს ართავდა.

— დედაშვილობას ეგ კვირისტავი მომანოდეო! — მიაძახა მოხუცმა. მგზავრმა აუტანა კვირისტავი და გამარჯვებაც უთხრა.

— ბებია, მათუსალა ხომ არა ხარო? — ჰკითხა ყმაწვილმა.

— არა, შვილო, მათუსალაზე უფრო ხნიერიცა ვარ, მაგრამ სახელი კი არა მაქვს მისთანაო! დედაშვილობამ კაცის რამე სახელი შემთხვევაზედ არის დამოკიდებული: ზოგისას ცოტას დაიხსომებენ და ზოგისას კი ბევრსაც დაივიწყებენ. კი, შვილო... მაგრამ ეგრე რას დაულონებისარ? ვინ სიჭაბუე და ვინ ჭმუნვა? მაგ ხანში მხოლოდ სიხარული შეგმვენის!

— ბებია, ქვეყნის ამაოება მაკვირვებს... ვფიქრობ და ვერ მიმხვდარვარ: რა ვართ ჩვენ ამ ქვეყნად, და ან რა არის თვითონ ეს ჩვენი ქვეყნაც?

— აი, შვილო, რა არის, — დაატრიალა თითისტარი, — ქვეყნა ეს არის; ასე ტრიალობს, ჰა... ადამიანობა ბამბის ქულაა, და მისი ცხოვრება ეს ნართავი ძაფი: თუ დროზედ არ მიეშველე და დართული ძაფი მაგრად თითისტარზე არ დაახვიე, მეტის ტრიალით ძაფი დაიხვენება და ან ისევ უკულმა დაიცარება!.. საქმე დროზედ მოსწრება!

ამ დროს ძაფი გასწყდა და თითისტარი ძირს დაეცა. აიღო დედაბერმა, ძაფი ძაფს მიასკვნა და განაგრძო ისევ რთვა.

— აი, შვილო, ხომ დაინახე, როგორ გამოვსკვენი გაწყვეტილი ძაფი? ძვირად მოხერხდება ისე მთელი თითისტარის დართვა, რომ ერთხელ მაინც არ გასწყდეს ძაფი... იცოდე, რომ ჩვენს მოკლე ხნის სიცოცხლეშიაც ასე სწყდება ხოლმე სიხარულის ძაფი!.. უიმისობა არ ხერხდება; მაგრამ, ნეტავი იმას, ვისაც უფრო ნაკლები ნასკვი ექნება!.. მაგრამ, ეჲ, დავანებოთ თავი ამაებს! საით მიეშურები?

— აღმოსავლეთისაკენ, „ოქროს წყაროს“ საპოვნად, და გზაც ხომ ეს არის ჯერჯერობით?

— დიალ, პირდაპირია... მაგრამ... ჰმ!

— მაგრამ რაო?

— ჰმ! ჰმ... მაგრამ რა ვქნა, შვილო, მართალს გეტყვი და არ მიწყინო: ამვლელი ბევრი მინახავს და ჩამომვლელი კი აღარა!

— როგორ? ყველანი დაიღუპნენ? აღარავინ დაბრუნებულა?

ოქროს წყაროს ზღაპარი

— როგორ არა, მაგრამ ის დავიწყებოდათ, რისთვისაც მიდიოდნენ! „ოქროს წყაროსათვის“ თავი დაენებებინათ და ოქროს ქსოვილს გამოდგომოდნენ, მუცელლმეროთობას შესდგომოდნენ. ვაი, თუ შენც ისე მოვიდეს და, მეტრალები შვილო!!

— როგორ?! და მერე რამ უნდა დამავიწყოს ეს ჩემი აზრი?

— სისუსტემ!.. კაჟის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ არ გაუტყდეს უბედურებაში!! შენ კი გაგაფრთხილებ, შვილო, თუ დამიჯერებ: ეგ გზა მძიმე აგირჩევია, შვილო, მაგრამ მამაცობა გმართებს: ნუ მოერიდები ავდარს, საფრთხეს ნუ გაექცევი, ჭირს ნუ შეუშინდები, ჰკაფე ეკლიანი გზა, ზედ ოფლი აწურე... აქეთ-იქით განზედ ყურებას ნუ დაინტებ, თორემ მარჯვნივ ოქროს ნალკოტს დაინახავ მშვენიერის ხეხილით, სული ნაგძლევს და თუ იქ შეგიტყუეს, გათავდა შენი დღევანდელი სურვილი!.. მარცხნივ ერთი მარმარილოს კოშკი სდგას. იქიდამ ერთი მზეთუნახავი მიზირება, თავსაფარს დაგიქნევს. თვალს ნაგიხდენს, მხარს მოგიქცევს, შეგიტყუებს და დაგვიწყებს შენს აღთქმებს! როგორც ამ კოშკი, ისე იმ ნალკოტშიაც გაგა-მუცელლმერთებენ.

გამოეთხოვა დედაბერს დაჩემებული ჭაბუკი. გულმაგრად დაადგა გზას, არ მიიხედა მარჯვნივ, მოშორდა ოქროს ნალკოტს. მაგრამ, ბოლოს, როდესაც დაიქნიცა ხანგრძლივის მგზავრობით, უნებურად მიიხედა მარცხნივ, მოავლო თვალი მზეთუნახავს. უღალატა გულმა და შეჰყო თავი მარმარილოს კოშკში. ასე, ამგვარად, ახალგაზრდა სასიძოები ზოგნი მარჯვნივ ოქროს ბაღში შედიოდნენ და ზოგნი კოშკში: ავიწყდებოდათ „ოქროს წყარო“ და ჩვენი ნაცნობი დედაბერი კი სულ იქვე იჯდა გზის პირად და ამვლელს ჰედავდა და ჩამომვლელს კი ვეღარა!!

აი, რა სურათს ნარმოადგენს დლეს ჩვენი ცხოვრება:

გზის პირად ერთი დიდი ტალახის მოედანია. შიგ ბევრი კაცი ჩაცვენილა. ზოგი სიამოვნებითა ჰგორავს იმ ტალახში, და ზოგნი კი, თუ თვითონ ასხლეტიათ როგორმე ფეხი და ჩაცვენილან, სცდილობენ ტალახიდან გამოსვლას, ფართხალობენ, ხან მარჯვნივ მიდიან, ხან მარცხნივ და უფრო და უფრო კი იფლობიან ტალახში. იხვენებიან და მშველელი კი არსადა სჩანს! აი, გამოიარა ერთმა მშვენიერმა და წმინდად ჩაცმულმა კაცმა, დაინახა, მაგრამ არ მიეშველა!

— რად მივეშველო, — ამბობს, — ხომ უნდა ჩავიდე მეც იმ ტალახში და ფეხები გავისვაროვ? ჯანი გავარდესთ, დაიღუპონო, ჩემი ბრალი ხომ არ არისო?!

ამ სიტყვებით ჩაუარა გვერდი და მივიდა ერთს სახლში, მეჯლისში, და იქ სიამოვნებით მიიღეს, როგორც წმინდა და პატიოსანი კაცი!..

მართალია, მის სინიდისს ერთი ნიშანი კი ჩირქად მოედო, მაგრამ იმის დანახვას გონებითი თვალი უნდოდა და ვინ ხმარობს იმას ამ დორში ჩვენში. გარეგნობით ყველას მოენონა ის წმინდა ახალგაზრდა და ქება შეასხეს.

გამოიარა მეორემ, დაინახა ტალახში მგორავები, შეეცოდა და მოინდომა მათი შველა; მაგრამ ჩასვლა და ფეხების გასვრა ვერ გაბედა: ხალხი გამკიცხავსო, შიშობდა. დაიწყო მოთქმა და ტირილი და ტალახში ჩაცვენილების უბედურებაზედ, მაგრამ მოშორდა მათ და თვალცრუმლიანი შევიდა მეჯლისში. აქ ამის მიზეზი რომ გამოიკვლიეს, გიუად ჩასთვალეს და სიცილი დააყარეს.

გამოიარა მესამემ და, დაინახა თუ არა გაჭირვებულები, ჩადგა ტალახში, არ მოერიდა ფეხების გასვრას, ურომლისოდაც არ მოხერხდებოდა მიშველება, ამოიყვანა რამდენიმე და მერე წავიდა მეჯლისში. მაგრამ აქ ბატონებმა რომ ფეხებასვრილი ნახეს, გამოაგდეს შერისხული. ტყუილად ამტკიცებდა საბრალო, რომ ჩემის სარებლობისათვის არ გამისვრია ეს ფეხები, ეს კეთილი საქმის ბრალიაო, და სხვანი. დასცეს კიუინა და გამოაგდეს შეუბრალებლად.

გამოიარა მეოთხემ, და რომ დაინახა ტალახში ჩაცვენილები, ისარგებლა მათის უბედურებით: გადახტა ტალახში, შედგა საწყლებს გულზე და ძირამდი ჩაიტანა; რაც რამე გააჩნდათ, წაართვა, დაცარცვა საწყლები, ბევრიც იშოვნა და გამდიდრებული მივიდა მეჯლისში... ჯერ იუცხოვეს აქ და მოუნდომეს გამოგდება, მაგრამ როცა იმის სიმდიდრეც ნახეს, თვითონვე შეინანეს, გადათქვეს და ამტკიცებდნენ, რომ გვეჩვენება, თორემ წმინდა ფეხი აქვსო, და სხვა... აი, ჩვენი დღევანდელი სურათი. დაირღვა ბაბილონის გოდოლი და აირია ენები, ზნეობა. ამისთანა დროში თუ არა შეერთებული მოქმედებით, კერძო მუშაობით არა გაკეთდება რა, მაგრამ ეს არ ხერხდება და რატომ? მიტომ, რომ ვისაც ვარსკვლავთმრიცხველი ჰგონია თავის თავი, ის ყველას და ყოველთვის მაღლიდამ უყურებს და არ ჰყადრულობს გვერდით ამოდგომას. ვისაც ქიმიისათვის უსუნებია, იმას დიდად მოაქვს თავი და ალარას კადრულობს. ვისაც ისტორია გაუგონია, ისიც იძერება. ერთი სიტყვით, ვისაც კი ერთი რამ წიგნი წაუკითხავს, თავი ყველაზედ უბრძნესი ჰგონია და აღარას კადრულობს, თუმცა ამაების ყველას ცოდნა და სიბრძნე კი ერთს კვერცხის ნაჭუჭმი დაეტევა.

[1875]

ვარდი და ეკალი

ერთს ღარიბს, მაგრამ წმინდა ქოხში სცხოვრობდა ქვრივი დედა-კაცი ათის წლის ვაჟით. მოყვარული დედისათვის ამა სოფლის ნეტარება იყო დასახლება მისი გიორგისა და მართლაც, პატარა გიორგი ლირსი იყო ამგვარი სიყვარულისა!

ზოგიერთ ყმანვილს ურჩობა, უნინანბა, ცელქობა და სხვა ამგვარი რამ უზნეურობა საქებად მიაჩნია. მაგრამ გიორგი კი ამგვართაგანი არ იყო: იმან კარგად იცოდა, რომ დედამისი ცუდს არაფერს ურჩევდა და, არა თუ ემორჩილებოდა მის ნებას, თითქმის თვალებში შესცეროდა და იმას სცდილობდა, თუ რა მოვაწონო და რით ვასიამოვნოო!

რადგანაც ჯერ პატარა იყო, ამის გამო მწყემსობის მეტი არა შეეძლო რა და იმას კი რიგიანად ასრულებდა. სამწყემსურში ცხვრებსაც კარგად უვლიდა და გულის საჯეროდაც ბურთაობდა თავის ტოლამზანაგებში, სადაც ხან ბურთაობდენ, ხან რიკაობდენ, ხან მალულობას თამაშობდენ და ხან ძერაკუდაობასა. პატარა გიორგი მისთანა საყვარელი იყო თავის ამზანაგებისა და თანაც მისთანა მარდი, რომ თამაშობის დროს, როდესაც მწყემსები ორად გაიყოფოდენ, არჩევანის დროს პირველად გიორგის მივარდებოდენ ხოლმე.

სალამოობით, როდესაც ცხვრებს მორეკდა სახლში, დაღალული ჩაუდებდა ხოლმე დედას კალთაში თავს და ხან მთისას ეჭუკჭუკებოდა, ხან ბრისას მისგან ალტაცებაში მოსულ დედას, ხანდახან ძილიც მოესწრობოდა დედის მკერდზედ მიყრდნობილს და მაშინ დედამისი სიფრთხილით, რომ არ გამოაღვიძოს პატარა მისი ნუგეში, თითქმის სულთქმასაც კი იკავებდა, დააჩერდებოდა ხოლმე სახეზედ, ხან გაიღიმებდა და ხან წამნამებზედ კურცხალი გადმოეკიდებოდა, ვინ იცის, რას ჰფიქრობდა მაშინ საწყალი დედა! მაგრამ ის კი ცხადი იყო, რომ იმ დროს მისი ფიქრები მხოლოდ პატარა მძინარას ეკუთვნოდენ.

ერთს სალამოს როგორლაც მოწყენილი დაბრუნდა სამწყესურიდან გიორგი. დედა მისმა შენიშნა ეს და მიზეზი გამოჰკითხა, – ხომ არავის გაულახავხარ, შვილონ?

– გალახვას ვინ რას მერჩიოდაო, – მიუგო შვილმა, – მაგრამ მე ის მაწუხებს, რომ ყველა უხერხულის შვილს მეძახის და რა მიზეზია ეს, თუ არ გავიგე, არ შეიძლებაო. მით უფრო, რომ რამდენადაც შენგან გამიგონია, მამაჩემის ნამდვილი სახელი თედორე იყო.

ვარდი და ეკალი

ამ სიტყვაზედ დედამისმა ამოიხვნეშა, ჩაისვა კალთაში შვილი და მოუყვა მარცვალ-მარცვალ, თითო კაკალად, შემდეგი:

— ყოველი კაცი განსხვავდება პირუტყვებისაგან ზნეობის უზენაესობით, რომელიც უმეტესნაწილად სინიდისში გამოცხადდება ხოლმე. მაგრამ თუ კაცმა ზნეობითი მხარე დასჩაგრა როგორმე და სინიდისი წაინუმიდა, მაშინ ის ყოველ პირუტყვზედაც უპირუტყვესი შეიქნება ხოლმე. ხშირად, როგორც უკიდურესი უბედურება, უკიდურესი ბედნიერებაც აბრმავებს კაცს, უპირეს სწორ გზას და მიჰყავს ზნეობით დაცემამდე. ზნეობის დაკარგვას თან გაჰყვება ხოლმე ის ღვთის მზგავსება და ხატება, რომლითაც კაცი უპირატესობს სხვა ცხოველებზე.

რაც აქ თითოეულს კაცად-კაცთაზედ ვსთქვით, იგივე ითქმის მთელს ერზედაც. ზნეობის დამკარგავი პირი თანდათან უფრო იჩაგრება, — ეს საზოგადო კანონია, — ჭლექდება და ბოლოს სულაც გაქრება, რომ იქა-აქა სადმე მიგდებულსა და მივწინებულს ალაგს სულის ჩამპერველი და ჩამდგმელი არა ჰყავდეს. ეს სულის ჩამდგმელები არიან ისევ მისი შვილები. ამგვარი შვილი მამულს ასი ათასში ერთი ჰყავს, ისე ძვირია. — ძვირია, მაგრამ ისინი თავის ოფლისა და სისხლისღვრით უმზადებენ თავის ჩამომავლობას მომავალში მკვდრეთით აღდგინებას.

— ამგვარ კაცთაგანს ეკუთვნოდა მამაშენიც. ის თავის პირადობას და კერძო ბედნიერებას საზოგადოს სწირავდა. ხშირად იტყოდა ხოლმე: „საზოგადო უბედურების დროს კაცი არ უნდა ეძებდეს კერძო თავის ბედნიერებას. თუ ჩემ გარშემო ყველანი მშიერი იქნებიან, მაშინ გემრიელი საჭმელიც უგემურად ჩავა ჩემს პირში, ერთი ყველასათვის და ყველა ერთისთვისაა...“ იტყოდა. ამგვარი აზრის და მოქმედების კაცი, რასაკვირველია, პირადად ვერას შეიძნდა. მარად ლარიბი იყო, უხარისხო. ჩვენს ხალხს და ჩვენს მეზობლებს, რომლებსაც ანდაზადა პქნდათ ბოლებელის არაკი: „თუ მე არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუღარ ყოფილაო!“ ახირებულ კაცად მიაჩნდათ მამაშენი, დასცინოდენ და გაკიცხვითაც დაარქვეს „უხერხული“.

ღმერთმა ხომ იცის, რომ ჩემს ქმარს ბოროტი არავისთვის არ უქნია, მაგრამ ყველასა სტულდა, რადგანაც არ ეპრიანებოდათ მისი გამსედაობა, თავმოუხერელობა და პირდაპირობა. როგორც გველს ეჯავრება გოგირდის სუნი, ისე მეზობლებს ეჯავრებოდათ მამა-

ვარდი და ეკალი

შენი. ეს იცოდა იმ ცხონებულმა, მაგრამ ასე იტყოდა ხოლმე: „მე კი სინიდისი წმინდადა მქონდეს და ვინც რა უნდა სთქვასო: ფიქრი არ არის, ვერას დამაკლებებო, თუ სიმართლე ჩემეკენ არისო“. ასე ამბობდა და ის კი არ იცოდა საბრალომ, რომ ბოროტი კაცი მისგან ამორჩეულ სამსხვერპლოს მარტო სიტყვას არ აკმარებს და საქმითაც გამოიმეტებს ხოლმე.

ყველაზე უფრო ის ეჯავრებოდა ერთს კაცს, რომელიც საზოგადოების დაჩაგვრით ამაღლდა, რომელსაც, ბედნიერებისაგან გაამაყებულს, ვერავინ რასმეს უბედავდა, მაგრამ მამაშენმა კი ბევრჯერ აკვნეტია თითო მის მოსისხარ მდევნელს.

„ვისაც ჩემი მორიდება გაქვსთ და ჩემი რამე გწამსო, მაგ საძაგელ კაცს ნუ მიეკარებით, ნურც ავად და ნურც კარგადო!“ — ეუბნებოდა, ვისაც კი შეხვდებოდა დიდი კაცი.

სულმდაბალი, მუცელლმერთა კაცი, მდიდრის პურმარილზედ გაწუნებული, რასაკვირველია, ძალაუნებურად განზე უდგებოდა მამაშენს ყველ შემთხვევაში და ხშირად, თუ კი მოახელებდენ როგორმე, აქაო და დიდკაცს ვასიამოვნოთო, სდევნიდენ საბრალოს!

მართალია, უკიდურესობაში ჩავარდა საბრალო თედორე, სილარიბე კისერზე დააწვა, მაგრამ მაინც აღარ გადუხვევია ერთხელვე დამდგარ სწორი გზისაგან. ავად რომ გახდა, ჩემს მეტი მომვლელი არავინა ჰყოლია, წამლის ფასი არა გვქონია სახლში და, ასე გასინჯე, რომ შიმშილმაც მოგვისწრო. ისე მოპკვდა ის განათლებული, რომ მის პირს არავისზედ არაფერი საყვედური არ წამოსცდენია. სიკვდილის წინდლეს მხოლოდ შენ მიგირა გულზედ და დაგლოცა: „ღმერთო, ამას უკეთესი დრო მოასწარიო“ და მიიძინა საუკუნოდ.

აქ ქვრივმა ცრემლები გადმოჰყარა, ამოიხვნება, მოიწმინდა თვალები და განაგრძო:

— მეზობლებს მისი სიკვდილი არაფრად სწყენიათ საზოგადოდ, მაგრამ იმათშიაც გამოჩნდა ორიოდე ღვთისნიერი კაცი: გაუთხარეს საფლავი, მიიტანეს სასაფლაოზედ და სასხვისშვილოში ჩაპლეს. არც საფლავის ქვა მისთვის და არც მოხსენება, — ეს ცხრა წელიწადია! გაიარა რამოდენიმე ხანმაც, დიდი კაცი გარდაიცვალა. გამოჩენილად იტირეს და დაასაფლავეს, საფლავზედაც მარმარილოს ქვა დაადგეს ზედ-წარწერილი...

— რომ მივიდე, მე შემიძლიან მივაგნო რომელია მამაჩემის საფლავი და რომელია მისი მტრის, დიდი კაცისა? — ჰყითხა შვილმა.

— ადვილიაო! — მიუგო დედამ, — რომ გახვალ იმ სასაფლაოზედ, ერთი საფლავი მარმარილოს ქვით დახურულია, მაგრამ ყოველს კუთხით კი ზედ ნარ-ეკალი ამოსულა და შიგ ბაყაყები ჰპბუდობენ, და მეორე კი უსაფლავისქვია, მაგრამ ზედ ვარდებია ამოსული, სადაც გაზაფხულობით ბულბულები ბუდეს იკეთებენ ხოლმე და ხშირად ლამით გამვლელებს ესმის ერთის მხრით, როგორ სტვენს ბულბული, ვარდზედ შემომჯდარი, სასიამოვნოს ხმით და იმავე დროს, მეორეს მხრით კი საფლავის ქვაზედ შეცუცქეული ბაყაყი საზარელის ხმით დაყიყინებს. პირველი უგალობს მამიშენის საფლავს და მეორე ზარს ეუბნება მტრის სამარეს.

— იცი, დედა, რასა მღერის ბულბული და ან რას ყიყინებს ბაყაყი?

— მათი ენა არავის ესმის, მაგრამ აზრით ბევრს ეყურება და თვითონ მე გეტყვი, რას ნიშნავს მათი ხმა. მე გეტყვი და მერე შენ ირჩიე, თუ რომელ მკვდართაგანს უნდა დაემსგავსო სიკვდილის შემდეგ: სავარდბულბულოს, თუ საგველბაყაყსაეკლოს?

[1875]

საყმაწვილო ზღაპარი

აქედამ შორს, ცხრა მთა რომ გადავავლოთ, ცხრა ბარი გავირბინოთ, ზღვა გავცუროთ და მერე ისე მოგბრუნდეთ, შევალთ ერთს ქვეყნის პატარა კუთხეში, რომლის ბუნებით სიმდიდრე და მშვენიერება უფრო ჩინებულ ქვეყნებსაც გადაემატება.

არსად ისეთის მხიარულებითა და კარგის გუნებით არ მიდიან წლის ოთხი სტუმრები, როგორც აქ. ასე გასინჯეთ, ამ კუთხეში რომ შამოვა ხოლმე, დედაბერი-ზამთარიც კი გულს მშვიდებს და ტკბება, მაგრამ ნათქვამია: ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანსო!

* * *

ერთხელ კი ამ ღვთისრისხვა დედაბერმა ისეთი ზამთარი დააყენა, რომ მთელი ქალ-წინილა ააცახცახა. ტკბილი და ალერსიანი შემოდგომის მიხედვით და შეჩერებით, ზამთრისათვის მოუმზადებელი დარჩა ერი: თბილი საცმელ-სახურავიც აღარა ჰქონდათ, არა თუ სადგომები, და მისთანა თქვენს მტერს, იმათ საქმე მოუვიდათ! აერიათ გზა და კვალი.

მეტი რომ ვეღარა მოახერხეს-რა, მუშაობაზედ ხელი აიღეს და დაერივნენ ერთმანეთს მეზობლობით, მოყვრობით, ნათესაობით: ძმობით, გინდ მეგობრობით გატანა აღარსად იყო. საქმე მისწრებაზედ მიდგა: ვინც ვის მოერეოდა, სიმართლეც მისკენ იყო. ძლიერები სუსტებს უკანასკნელ პერანგს აძრობდენ, ოლონდ კი თვითონ გამთარიყვნენ.

აირია ქვეყანა. მტაცებლების რიცხვი ყოველ დღე თანდათან მატულობდა. პატიოსანი შრომა ჩვეულებრივად აღარსად იყო და რომ კიდეც მოენდომებინა ვისმეს კეთილად მუშაობა, ნაყოფს მაინც თვითონ ვერ მოიმკიდა. ერი ორად გაიყო: მგლეჯელებად და გაგლეჯილებად. რასაკირველია, პირველის რიცხვი ნაკლები იყო მეორეზედ; და მეორეს რომ მოენდომებინა, ხელი გამოელო, პირველს დაამარცხებდა და მგლეჯელებს დაამშვიდებდა. მაგრამ, როგორც საზოგადოთ ამგვარ შემთხვევაში, ახლაც ხალხმა სასონარკვეთილად გააქნია თავი, მოუშვა ხელები და მისცა თავი ძილს, რაც დამემართოს, დამემართოსო!

* * *

ამ დროს გამოვიდა ქვეყნის მუშად სამი ძმა კაცი.

პირველი დიდის ხელოვნებით ამკობდა წარსულ მშვენიერ ზაფხულს, მოთქმით იგონებდა მისგან მოცემულ სიამოვნებას და აგრეთვე მშვენიერის წარმოდგენით ხატავდა მომავალი გაზაფხულის სურათს.

მეორე გულდამშვიდებით ეჩიჩინებოდა ხალხს, რომ ადრეც ყოფილა ჩვენში ამგვარივე ზამთარი, მაგრამ მაშინ ხალხი ისე როდი ეძლეოდა მცონარეობას, როგორც დღეს თქვენ ეძლევითო. ისინი მუშაობდნენ და თქვენც იმათ მიპახოთ.

მესამე ძმამ იფიქრა, რომ, თუ ამ ხალხმა ასე იძინა და ცოტაც იქნა, არ გამოფხიზლდა, ამ ზამთარს ვეღარ გადურჩებაო. უნდა როგორმე ეს ხალხი გამოვალვიძოო, და შეუდგა ამ ჰაზრის სისრულეში მოყვანას; რაც კი სასარგებლოდ დაინახა, ყოველაგვარი ლონე იხმარა: ხან ყვიროდა, ხან ტიროდა, ხან დასცინოდა, ხან ესვენებოდა და ხან ლანძღავდა ამ მთვლემავ ხალხს. ერთის სიტყვით, რაც კი შეეძლო უჩურჩურებოდა, რომ გამოელვიძებინა.

და მართლადაც, მისმა მოუსვენრობამ ბევრს დაუკარგა ძილი, მაგრამ ძილგატეხილებს კი ყოველთვის გული მოსდიოდათ ამ მოუსვენარ მოჩხინკალე კაცზედა: აქაო და ტკბილი ძილი რათ დაგვიფრთხოვო, და სასიკვდილოთაც ალარ ჰზოგავდნენ. გამოჯავრებულ გულზედ რაც კი საძაგლობა შეიძლება ითქვას ადამიანზედ, ყოველიფერი შესწამეს იმ საჩყალს. ზოგი ამბობდა, – გამოლვიძების დროს გამქურდაო, ზოგი – რომ მოკვლას მიპირებდაო და სხვადასხვა.

ამგვარმა ხმებმა ვერ შეაშინეს მესამე ძმა, ის მაინც თავისისა არ იშლიდა და ხან აღმა აივლიდა ხოლმე თავის ხელობით ამ ხალხში და ხან დაღმა.

* * *

ამის შეუპოვრობამ ისე გააბრაზა ხალხი, რომ ბოლოს მიუცვივდნენ სახლში ამ ძმებს, გამოიყანეს სახლიდამ, უფროსი ცხენზედ შეაბძანეს დიდის პატივით, შუათანა ქვეითათ წაიყვანეს და უნცროსი კი ხელფეხშეერული მიგვარეს გასასამართლებელად მსაჯულს.

– მსაჯული! – შესძახა ერმა, – წამოგვიყენებია შენ ნინ ეს სამი ძმა კაცი და მათზედ სამართალს ვითხოვთ. პირველის კეთილკაცობა და უწყინარობა ქვეყანამ იცის: მაშინ, როდესაც ჩვენ სიცივით ვიზრუკებოდით, ეს ჩვენ გასახალისებელად და ჭმუნვის გასაქარვებელად,

წარსულ ზაფხულზედ გვებულბულებოდა და მომავლის გაზაფხულის იმედებს მერცხალივით გვეტიკტიკებოდა. მაგის ზდილობიან ტკბილ შრომას ბევრჯელ შეუშვრია ჩვენს თვალზედ ცრემლები. დღეს ამ შრომისთვის გვინდა ამის დასაჩუქრება ჩემ დაადე გვირგვინი ჩვენს მოყვარეს.

* * *

თქვენი ნება იყოს, – უპასუხა მსაჯულმა და დაადგა გვირგვინი რჩეულსა.

– აი, ეს მეორე, საშუალი ძმა, მსაჯულო! დაიწყო ისევ ერმა. – მაინც და მაინც რომ ვსთქვათ, ამისგან არც წყენა გვახსოვს და არც მომადლიერება; რომ ძალიან არ გვინებოდა, ეგბი მაშინ კი გამოგვადგებოდა მოყვრათ, მაგრამ ჩვენ ისეთს თვლემაში ვიყავით, რომ მაგის ნამოქმედარი ბევრი არა შეგვინიშნავს რა. ამაზედ ვერც ავს მოგახსენებთ და ვერც კარგს. ამის მადლიც და სამდურავიც შენთვის მოგვინდვია!

– მადლობელი ვარო, ბრძანა მსაჯულმა.

* * *

შემდეგ წამოაყენეს უმცროსი, როგორც ქვეყნის მტერი, მოუსვენარი და ყოველგვარად საძულველი კაცი!

– აპა, მსაჯულო, – ჰყვიროდა ერთხმად ერი, – ჩვენ არას ვიტყვით, თვითონ აღიაროს თავის ცოდვები!

მსაჯულმა აათვალიერ-დაათვალიერა პატიმარი და ჰკითხა:

– რითი მოიმდურე ეს ხალხი?

ფერმიხდილი პატიმარი რაღაც შეუპოვრის ღიმილით მოჰყა შემდეგს:

– იმ ზამთარში, როდესაც თვით ფხიზელი მტარვალი ათას მძინარეებს ქურდულად სცარცვავდა, მე ურიგოდ დავინახე, რომ მაშინ წარსულ ზაფხულსა და მომავალს გაზაფხულს გადავყოლოდი. დიდის მოფიქრების შემდეგ, მე საჭიროდ დავინახე, მხოლოდ ხალხი გამომელვიძებინა, რომ მერე თვალგახელილს იმას თვითონვე შეეხედა თავის მტრებისათვის. თორემ თუ ამნაირად თვალდახუჭული იქნებოდა იმ ზამთარს, ცუდ დროს ვეღარ გადურჩებოდით. ამ განძრახვით დავიწყე ხალხის გამოფხიზლება და არავითარი საშუალობა აღარ დამიზოგავს. უნებურად გამოლვიძებული კაცი ყოველთვის ავგუნებით დგება ზეზედ და ვინც კი მე გავალვიძე, ყველას ჩემზედ

მოსდიოდა გული. ისინი იმას რას დასდევდნენ. – თუ რა მიზეზით ვსცდილობდი მათს გაღიძებას: სწეულს იმდენათ თავის ავათმყოფობაც არა სძულს, რამდენათაც მისი სწეულების საბოლოოთ გამქრობელი წამლები. ასეა ეს ყოველთვის. ჩამთვალეს ქვეყნის მტრად და ცილის წამებასაც მიჰყვეს ხელი, მაგრამ, მსაჯულო, აბა, ჰკითხეთ: შეუძლიანთ, რომ ის დაამტკიცონ, ჩემზედ რასაც ამბობენ? აბა, ვინ მამხილებს პირდაპირ?

მსაჯული მიუბრუნდა ხალხს და ჰკითხა:

– რას იტყვით ამაზედ?

– მტყუანია, მტყუანი, – ჰყვიროდა ხალხი, მაგრამ გამოდგა, რომ ყველა გაგონებით ამტყუნებდა და მნახველი კი არსად გამოჩნდა, რომ პირში წადგომოდა სამართალში შეყვანილს. თუმც მოინდომეს ვიღაც უსინდისო თავებედებმა ვითომ პირში წადგომა, მაგრამ აქვე გამტყუნდნენ და გაპირშავდნენ...

მსაჯულმა მოინდომა პატიმრის გამოშვება, მაგრამ ხალხი მაინც თავისას არ იშლიდა.

– მტყუანია თუ მართალი, მაინც ქვეყნის მტერია! სიკვდილი მაგასო! და სხვა.

მსაჯული შეპრალებით მიუბრუნდა პატიმარს: –

- რა იყო მიზეზი შენი იმ გვარად მუშაობის?
- ამ ხალხისათვის კეთილიო! მიუგო საპრალომ.
- რა ჯილდოს მოელოდი იმ სამსახურის ნაცვლად?
- იმას, რასაც დღეს მიპირებს!

– როგორ! შენ წინდანინვე იცოდი, რომ ხალხს შენ ამისათვის შესძულდებოდი, დევნას დაგიწყებდა და მაინც არ მოერიდე?

– დიახ, მე ვიცოდი, რომ საქმე ცუდი გამოვიდოდა, მაგრამ, ქვეყნის უბედურობის დროს მე სახეში ჩემი ვინაობა კი არა გქონია, ხალხის კეთილდღეობაზედ ვფიქრობდი. მძინარი და თვალდახუჭული ვერც მე დამინახავდა და ვერც ნამდვილ თავის მტერს, და ახლა რაკი იმდენი შევძელი და თვალი აუხილე, მართალია, მე ავის თვალით მიყურებს, მაგრამ იმავე თვალითვე შეხედავს თავის მტერებს და პასუხს გასცემს!

მსაჯული მიუბრუნდა ერს და ჰკითხა, ხომ გესმისთ, რას ამბობსო; მაგრამ გაცოფებულს ერს ყურებში თითები დაეცო, არაფრის გაგონება არ უნდოდა და ყვიროდა: სიკვდილი მაგასო!

დაღონებულმა მსაჯულმა არ იცოდა, რა უნდა ექნა, მაგრამ ისევ პატიმარმა გამოიყვანა ამ მდგომარეობისაგან და უთხრა: „ტყუილად

ნუ სცდილობ, მსაჯულო, ჩემზედ ხელის დაფარებას; ერი ძლიერია, მისი რისხვა ოკეანის ღელვაა. ჯერ სანამ იმ დრომდე მივიდოდეთ, რომელსაც სასუფეველის დროს უწოდებენ, ყოველი ჭეშმარიტება მსხვერპლსა თხოვულობს! როგორც თესლისათვის წვიმა საჭიროა, რომ ნაყოფი გამოიღოს, ისე ზნეობით თავისუფლებისათვის მსხვერპლი! დეე, დამგლიჯოს ამ ხალხმა, ამით ჩემზედ დაიგეშება, მტრებსაც ავ დღეს დააყენებს და მით მოიპოვებს კეთილდღეობას!“ მსაჯულმა პატივისცემით შეხედა პატიმარს, აკურთხა მისი წარსული შრომა, გაიბანა ხელი მის ბრალდებაში და მისცა ხალხს მათი მსხვერპლი, ამ სიტყვით: „უბრალო ვარ ამის დასჯაში და რაც გინდათ, უყავითო...

* * *

ხალხმა დასტანჯა მისი მსხვერპლი და ისე გაუშვა მაგრამ დაბრუნებულზედ მართლა დაინახა მისი ნამდვილი მტრებიც და გამოიღო ხელი. აიღეს ხელში ზოგმა თოხი, ზოგმა ბარი, ზოგმა ნამგალ-ცული, ზოგმა წალდი და ზოგმა სხვა რამ იარალი და ისე დაამარცხეს მცარცველები, რომ მათი ხსენებაც ალარსად იყო.

ამის შემდეგ ხალხმა სული მოიბრუნა, დაინყო ხელშეუშლელათ შრომა, და მოელოდა კეთილს გაზაფხულს.

[1876]

ნაცარქექია

ნაცარქექია

ამბავი

ერთი ნაცარქექია იყო ყოვლად ულონო, არაფრის გაკეთება არ შეეძლო, მხოლოდ იჯდა კერასთან და სადგისით ნაცარს ქექავდა. მოენყინათ ძმებს მისი მუქთად რჩენა და გააგდეს გარეთ; ზურგზე ერთი გუდა ნაცარი მოჰკიდეს, ხელში სადგისი მისცეს, კალთაში ჭყინტლი ყველი გამოუხვიეს საგზლათ და გაისტუმრეს. „დაიკარგე ამ ჩვენის ქვეყნიდანაო!“ უთხრეს. ტირილით დაადგა გზას საბრალო ნაცარ-ქექია. ცოტა იარა ბევრი იარა, მიადგა ერთ მდინარეს, ვეღარ გაბედა წყალში გასვლა და დაჯდა კიდეზე. საღამომდე იქ იცადა. საღამოს ნახა, რომ ერთი უზარმაზარი დევი მოადგა წყალს გაღმით და დაუწყო ხვრეპა. „ჰეი! რომელი ხარ შენ მანდ? აქ გამოდი, მხარზე შემისვი და გაღმა გამიყვანე, თვარა მე თვითონ მეზარება ფეხის დასველებაო!“ გასძახა დევს დიდგულათ ნაცარ-ქექიამ. დევმა გამოხედა და გაკვირვებით ჰკითხა: „ვინა ხარ? და რა სულიერი ხარ, რომ მაგას მიბედავო?“ ჰმ, მე შენ გიჩვენებ ვინცა ვარ, რომ არ მებრალებოდე შე ბრიყვო შენაო!“ იცოდე, სამჯერ გაპატივებ შეცოდებას და მერე კი ვეღარ გადამირჩები ცოცხალიო“, უპასუხა ნაცარ-ქექიამ. „შენ ჩემი ამბავი არ გაგიგონიაო?“ მე ვერმიცანი მქვიანო!.. ვერ გამიმეტებია თვარა, დედამინას რომ ხელი მოვავლო და ზეცას შევსტყორცნ, ქვეყანა დაიქცევაო! გინდა ეხლავე გიჩვენო ჩემი ძალაო? აბა შენ მანდ აიღე ერთი ქვა, მეც აქ დავსწვდები მეორეს, მოუჭიროთ ხელი და ვინც წვენს გაადენს კაციც ის იქნება და წვერულვამიც იმას ესხმისო!“ აიღო დევმა ქვა, მოუჭირა ხელი და დაფშვნა. დაიხარა ძირს ნაცარქექია, ვითომ ქვას ვიღებო, ამოილო კალთი-დან ყველი, მოუჭირა ხელი და სულ წურწკურ-წურწკურით გაადინა წვენი. გაუკვირდა დევს რა არისო? აბა ერთი გავიქცეთ რიყეზე და ვინც უფრო მეტს ბდლვირს აადეს ჩვენ ორში ბიჭიც ის იქნებაო! კიდევ უთხრა ნაცარქექიამ. აძუნძულდა გაღმით რიყეზე დევი და სულ ლანალუნი დააწყებინა სიპ ქვებს. გაკუნკულდა გამოლმა ნაცარქექია, უჩხვლიტა და უჩხვლიტა გუდას სადგისი, გამოვიდა ნაცარი და ისეთი მტვერი ადგა, რომ თვალით აღარა იხედებოდარა. შეშინდა დევი, დაღუნა თავი და ეახლა მორჩილად ნაცარქექიას და შეისვა მხარზე. შუამდი რომ შევიდნენ წყალში, დევმა ჰკითხა: „ბატონი ვერმიცანავ, როგორლაც მემჩატებითო!“ გემჩატებიო? ჰმ, შენ რომ ჩემი სიმძიმის ამბავი იცოდე, მაგას აღარ წამოროშავდიო.

ნაცარქექია

რომ ახლა უჩინარის ბანრით ცაზე არ ვიყო მიბმული და იქ არ მიჭ-ერდენ, ქეცენელში ჩაგიტანდიო! აბა ვნახოთ, ერთი ცოტათი შემიშვან ხელიო! – სთქვა ნაცარქექიამ, ამოილო უბიდან სადგისი და დააჭირა კისერზე... ვაიმე!.. ვაიმე!.. ნუ!.. ნუ, შენი ჭირიმე! უბძანე, რომ ისევ აგნიონო, შეეხვენა დევი და ნაცარქექიამაც ამოაძრო სადგისი. დარ-წმუნდა დევი, რომ ეს ნაცარქექია მართლა საშინელი სულიერი რამ ყოფილაო და მიინვია თავის სახლში; დიდი ჰატივი სცა და ვახშა-მის მზადებას შეუდგა: მოზილა პური, ჩააკრა კეცში და მოუფიცხა ცეცხლს. თვითონ სანადიროთ წავიდა, ვახშმისთვის ნანადირევზე და სტუმარს დაუბარა: თუ უკაცრაგად არ გახლდეთ, ყური უგდეთ პურს, რომ არ დაიწვასო! პურს რომ ცალი გვერდი შეეპრანა, ნაცარქექიამ კეცის მობრუნება მოინდომა. დაუწყო საკეცით ჩხუკური; წამოიქცა კეცი, დაეცა ნაცარქექიას და მომიწყვდია ქვეშ.

დევი რომ დაბრუნდა, ნაცარქექია კეცევეშ სულზე მიგდებული ნახა; აღარაც ფერი ჰქონდა და აღარც ხორცი. „რა დაგმართნიაო?“ ჰკითხა, „რა უნდა დამმართნოდესო? მუცელი ამტკიცდა და ზედ ცხელი კეცი დავიდევიო. ახლა კი გადამიარა, აღარა მიჭირს რაო. მოძიო ამაცალე ეს კეციო!“ დევმა დაუჯერა და მოწინებით აუს-რულა ბძანება. ვახშმათ რომ დასხდენ, დევმა უცბათ დააცხიკვა და სტუმარი სხვენზე შეაგდო. ნაცარქექიამ დირეს დაუწყო ბლაუჭი. „მანდ რას შვრებიო?“ ჰკითხა დევმა, „როგორ თუ რას ვშვრებიო?! ვისთან გაბედე შენ ცხვირის დაცემინებაო? ამ ჩხირს ავიღებ და დაგ-კრავ და თავმთხლეს გადაგადენო!..“ დევმა იფიქრა, ე რა მოუსვე-ნარი და გულბინი რამ ყოფილაო; მე ძლივს, გაჭირვებით გაუდევი და ეს კი ჩხირს ეძახის ამ დიდუმველებელ დირესო?! ერთხელაც იქნება არ შემარჩენს და მის მიზეზიანობას მე ვეღარ გადავურჩე-ბიო!“ დაჰკრა ფეხი, გავარდა კარში და ცხრა მთას იქით გადაიკარგა. დევის სახლ-კარი კი მისის მოწყობილობით იმ ნაცარქექიას დარჩა. ისიც წავიდა, მოიყვანა ძმები, თავის თავთან დააყენა და უთხრა, ხომ გაგიგონიათო:

„ხერხი სჯობია ღონესო, თუ კაცი მოიგონებსო“.

ლექსი

ადექი, ნაცარქექია,
რას მიჯდომიხარ კერასა?
ტოლებში გამოერიე,
ნუ ჰკარგავ ბედისწერასა!

ნუ მოშლი მტერზე მტრობასა
მოყვრისთვის გულის ძერასა!
ძირს ნადირს დაუქაქანე,
მაღლა ქორსა და ძერასა.
მტერი კუდს ამოიძუებს
და ვერ დაგაკლებს ვერასა.

გამოცანა

გინდ გასცერი, გინ გამტკიცე,
კერადანაც დასძარიო:
გინდ შესწვი და გინდ მოხარშე,
ის დარჩება, რაც არიო.

ზეა

1

ის ყანა ცარიელია
გინდა ეთესოს პურიო,
თუ რომ პატრონი არა ჰყავს,
რომ კარგათ უგდოს ყურიო.

2

ვისთანაც არის სიმართლე,
არ დააკლდება პურიო,
არ დაეკარგვის ღმერთან კაცს
ერთგული სამსახურიო.

ჩქარსათქმელი

ავიღე საცერი, ვკარ ცერი; ნაცარი გავცერი, გავმტკიცე, მაინც
გაცრილ-გატეცილ გამინაცარდა.

[1884]

კიკოლას ნაამბობიდგან

ზღაპარი

(ნახევარს გარეთყოფილს ვუძღვნი
და ნახევარს სანოს)

იყო და არა იყო რა. ერთი ახალგაზდა კაცი დაბრუნდა უცხო
ქვეყნიდან სამშობლოში და თავის სახლს რომ მიადგა, კარი დაკეტილი
დაუხვდა... მიიხედ-მოიხედა და შეკრთა: მიდამო გავერანებული იყო
და სახლიც წასაქცევად გადახრილი; უპატრონობას ბეჭედი დაესვა.
„მე რას ველოდი და რა დამიხვდაო?!” – გაივლო გუნებაში: – „არა,
აյ ჩემი დარჩენა უბრალოდ დროს დაკარგვა იქნებაო. რაც უნდა
ვიშრომო, რაც უნდა ვიმეცადინო, მაინც ჯაფისა და ტანჯვის მეტი
არა გამოვა-რაო! მე ოჯახის გამობრუნებას ველარ მოვესწრები და
სჯობს საიდგანაც მოვსულვარ, იქითვე წავიდეო!..“ გადასწყვიტა და,
გულგატეხილობისაგან მოსხლეტილი, მიეგდო იქვე კაელის ძირში.

შემოაწვენენ შავად სხვადასხვა ფიქრები, გაიტაცა მნარე ოცნე-
ბამ და დიდხანს იყო გამოშტერებული, სანამ რაღაც შრიალმა არ
გამოაფხიზლა. აიხედა და ნახა, რომ ყვავი შემომჯდარიყო ხეზე
და ნისკარტში კაკალი ეჭირა. რაღაც უნებურათ, თვითქოს სხვის
ძალდატანებითო, წამოვარდა ზეზე და უნებურადვე შეჟყვირა:
„ჰაუ-ჰაუ!“ შემინდა ფრინველი, შეფრთქიალდა, გააღო პირი,
დაიყვანჩალა „ყვააო!“ და გაფრინდა; მის პირიდან გამოვარდ-
ნილი კაკალი-კი ბზიალ-ბზიალით ძირს დაეცა. ახალგაზდამ აიღო
კაკალი, გაიღიმა და სთქვა: „აბა ამაზე ყოფილა ნათქვამი: „ყვავს
კაკალი გააგდებიაო!“ რაღაი-კი ეს კაკალი შემოსულა... დამწიფე-
ბულა, მას უკან, ვინ იცის, ყოველდღე ჰეჭურდობს ის ყვავი, კაცი
ხელის შემშლელი არა ჰყოლია და დღეს-კი ერთმა „ჰაუ-ჰაუ!“ ლუკმა
პირიდან გამოაცალაო!.. რა ძნელია უბატრონობაო!“ ეს რომ სთქვა,
მარჯვნივ მიიხედა და დაინახა, რომ ნიავისაგან შერხეული ასკილი
მისკენ იხრებოდა, თითქოს თანხმობის ნიშნად, თავის ქნევით, ემოწ-
მებაო... მივიდა ვარდნართან და ნახა, რომ ის, ერთ დროს კარგად
მოვლილი, დღეს შამბნარს წაელო, ვარდის ბუჩქებს იქა-აქა საცოდა-
ვათ ამოეყოთ თავები და ფოთლები წყნარად შრიალობდნენ, თითქოს
უხარიათ, რომ პატრონი დაინახეს და სიამითა თრთიანო!.. რაღაც
უცნაურმა სიამოვნებამ გულში გაჰკრა! საკვირველია, იქ, უცხოეთში,
განა ცოტა უნახავს ედემის მსგავსი ბალები და წალკოტები?! რატომ

კიკოლას ნაამბობიდგან

ამისთანა არა უგრძენია-რა! აქ რაღაც სხვა საიდუმლოა... ნეტარებით აევსო გული... გადნა ის ნეტარება ნელ-ტკბილად, გადაიქცა უკვდავ-ების წყაროდ და სასუფევლის წვეთებად თვალზე მოადგა... გად-მოდის ღაპალუპით ცრემლები და წვეთ-წვეთად მარგალიტივით მის ნინ ცვივიან!.. მოთხიბლა ახალგაზდა კაცი... ნეტავი ვინ შეულოცა? გარემოებამ: იმ ადგილზე, რომელიც მისი წინაპრების სისხლითა და ოფლით მორნყულა, დღეს ამის საკუთარი ცრემლებიც მიემატა და შეჰზავდა ჯადო... ან ის წმინდა-წმინდათა, რომელიც, თუმცა ეკლის გვირგვინით, მაგრამ მაინც სანატრელათ აგვირგვინებს რჩეულებს!.. ამ ერთის წამის წინეთ გასაქცევად მომზადებულ ახალგაზდას რაღაც უხილავი, ძლიერი ჯაჭვი იზიდავს სახლისკენ.

ისიც მიჰყება, ნებამიხდილი, გულის ძერით ალებს კარებს და თრთოლვით შედის სახლში. იქ სიბნელეა და არარაობა... მაგრამ სიბ-ნელე რაღაც ნათელის მომფენი და არარაობა გულის სადლესასწაულოდ ამავსებელი! მითხედ-მოთხედა და კერას მოავლო თვალი. ის გაცივებული იყო, მაგრამ მაინც მხურვალედ გაიტაცა ახალგაზდას გონება და მოაგონა წარსული: ჰედავს კერას გაჩადებულს... ცეცხლს გუზგუზი გააქვს; თვითონ ეს იქვე ახლოს მიმჯდარა, მიუფიცხებია გულ-ბოვკი და ხელები წინ წაუშვერია, რომ მხურვალებამ ნამეტნავად არ წამოინიოს მისკენ; დედა მისი პურის კვერს უმზადებს; ჩაუფლავს ღადარში და ესეც მოუთმენლად უცდის: „როდის გამოცხვება ჩემი კოკორიო?“ აგერ სკამ-ლოგინზე მხარ-თეძოს წამოწოლილა მამა მისი, დაღალულობის მოსახდელად, ყალიონს აბოლებს და თანაც სიამოვნებით შეჰყურებს დედა-შვილს. რა კარგი დრო იყო ის დრო! მასუკან ამ გვარი იმას აღარა უგრძენია-რა.

საკერძოლია, ვყვარებივარ სხვებსაც, ჰელიქრობს მოხიბლული ახალგაზდა, მაგრამ ისე კი არა, როგორც დედა-მამას. აი ავიღოთ თუ გინდა ოლგა, ჩემი ოლგა... განა გაგიჟებით არ ვუყვარდი? ყოველ-დღე მეფიცებოდა, რომ აღტაცებით მიყვარხარ და უშენოთ ვერ ვიცოცხლებ, თავს მოვიკლავო. მეც ვხედავდი, მაგრამ ერთს დღეს რომ ისე გაევლო, ეს სიტყვები აღარ გაემეორებია, გული ხუთვას დამინტებდა და იჭვი კბენას. ედა-კი არასოდეს არ მეუბნებოდა მიყვარხარ და უშენოთ ვერ გავსძლებო და რომ მაინც მეჯერა! ოლგა წამ-და-უნუმ მეხვეოდა და მკოცნიდა, თითქო ტუჩები ექავებაო. ის რომ მაკოცებდა, მე ტანში ჭიანჭველები დამივლიდნენ ხოლმე, ცეცხლი მეკიდებოდა. დედა-კი ხანდახანა, იშვიათად მკოცნიდა და მისი კოცნა ნელ-ტკბილად გამიჯდებოდა ხოლმე ძვალსა და რბილში.

კიკოლას ნაამბობიდგან

ოლგას ყველაზე უფრო ჩემი ნაპერნკლების მფრქვევი შავი თვალები მოსწონდა და მარჯნისფერი ტუჩები და უფრო ხშირათ იმათ დამიკოცნიდა ხოლმე, ზედ მხურვალედ ეძაბრებოდა. დედისათვის კი სულ ერთი იყო. არა, როგორ თუ ერთი იყო? ამორჩევა იმანაც იცოდა, მაგრამ სულ სხვაგვარი: ცალი ყური მტკიოდა ხოლმე, თითქ-მის აღარა მეყურებოდა-რა... და დედა უფრო იმ ყურზე მკოცნიდა, თითქო უნდოდა, რომ იმ კოცნით სატკივარი მოერჩინა, ნატკენი მოეშუშებია და ნაკლი შეესო. ოლგა ამას არ იზამდა... დარწმუნებული ვარ, ყვავილს რომ დავესახიჩრებიე, დედის თვალში არას დავკარგავდი და ოლგა-კი თვალს ამარიდებდა, განზე გამიდგებოდა. არა, არა, ის სიყვარული ჯოჯოხეთური აღტაცება ყოფილა და ეს-კი სასუფევლის ნეტარება. ახლა-კი ვხედავ!..

ახლა მამაც ავიღოთ; რამდენი მეგობრები მყოლია, რომელთანაც ლეინი და მეჯლისი მქონია, მაგრამ მათს ტკბილს სიტყვებსა და სანოვაგის სიკარგეს განა ის გემო ჰქონია, როგორც ამ ქოხში ჩვენს ღარიბს სუფრას, სადაც ხის ჯამზე დასხმულ ცივს ლობიოს ცხელს მჭადს ამოვავლებდი ხოლმე. არა ერთხელ წყრომით შემოუძახნია მამა ჩემს, განსაკუთრებით თევზის ჭამის დროს: „ჰმ! ფხა არ ჩააყოლო. ყელში არ გაგეჩინოს, არ დაგახრჩოს, თორებ ვაი შენს დღეს!.. უკვდავი ველარ გადამრჩებიო!“ ოჳ, რამდენი სიმართლეა ამ მოტყუებაში და რამდენი ტკბილი ალერსიანობა ამ მრისხანე მუქარობაში. და რომელი მეგობრის ალერსიანი სიტყვა ჩაიჭრება გულამდი ამასავით ტკბილ-მაღამდი? ეჳ, მაგრამ სად არიან ახლა ეს ჩემი მეგობრები? რაო? სად არიანო? როგორ თუ სად არიან?.. აქ!.. აქ! ჩემთან, უხილავის კავშირით სამარადისოდ გაუზყვეტლად გადაბმული. მე იმათ ვხედავ, ვგრძნობ მათ სიახლოეს. სანამ აქა ვარ, ისინიც ჩემთან არიან... მარტო არა ვარ... და თუ სადმე წავედი, იქ, უცხო მხარეში, გინდ ქვეყანაც გარს მეხვიოს, მაინც ობოლი ვიქნები. არა, არა, მე აქედან ვეღარსად წავალ. მე თქვენ ვერ მოგმორდებით... დაიღრიალა სევდამოწოლილმა ახალგაზდამ და მოეხვია სვეტს. თვითქო ცივს საგანში სითბო გადავიდაო, ხე გახორციელდა და ათრთოლდა სვეტიო, მოეჩვენა თავისისავე მხურვალებით მოხიბლულ-მოტყუებულ ჭაბუქს. სვეტს მიეკრა უფრო მხურვალედ და ეგონა მშობელს ვევევიო. დიდხანს იდგა გარინდულ-გაბრუებული; ბოლოს დაეშვა მუხლებზე და იქვე მიწვა სვეტის ძირათ. ეგონა, თავი დედის კალთაში მიძევს... ისევ პატარა ვარო. აი, დედამაც გადაუსვა თავზე ხელი, შუბლზე ჰკოცნის და ამეორებიებს ძილად მიმავალის ლოცვას, იმ

სიტყვებს, რომელიც აგერ ოცი წელინადია აღარ მოჰკონებია გაგარეგნებულს „ღმერთო, გამზარდე! კაი კაცი გამომიყვანე! შენი სამსახური დამაცადე, ბოროტი ამაცილე, კეთილი მასწავლე, გზა სიმრუდისა ამაშორე, გზა კეთილისა გამიმტკიცე და იხსენ განსაცდელისაგან ყოველი სული, სულდგმული. ამინ“. გაათავა დედამ, პირჯვარი გადასხა, დაეკონა... გადმოდის მაღლით ანგელოზის სუბუქფრთხებით ძილი; უჩრდილებს მხურვალებით ამზევებულ გონებას, უმშვიდებს აღელვებულ სისხლს, უცხრობს ათრთოლებულ ხორცსა და მკურნალად ეკიდება ნამნამებზე. ჭაბუქს თვალები ეხუჭება და ეძლევა მოსვენებას.

ირიურაუა... გამოეღვიძა... „ეს სადა მძინებია და როგორ? ჩემთვის არც ქვეშსაგები ყოფილა, არც სახურავი და არც სასთუმალიო! მაგრამ, ჰოი საკვირველებავ, არც კისერი მტკენია და არც გვერდები დამჟეუია!.. სჩანს, რომ გარეულს ლენზე შინაური ჭირი უფრო მარგი ყოფილაო“. სთქვა და გადასწყვიტა სიკვდილამდე იქ დარჩენა... მოეკიდა ოჯახობას. ძნელია მარტოხელობა! ყოველგვარი საოჯახო საქმე კისერზედ აწვა. აქაც იყო და იქაც... ამასაც აკეთებდა და იმასაც. ხანდახან ძალივითაც ჰყეფდა ხოლმე, რომ ეგება ამ მოტყუებით მტრები გავაფრთხოო და ქურდობას ველარ გამიბედვენ, რომ ეგონებათ მკენარი შინა მყავს მეცაო. დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა, მაგრამ, რადგანაც თვითო საქმეს ბევრს დროს ვერ ახმარდა, ბარაქა ვერც ერთს ვერ დაატანა და ყველა ერთ ნაირად ცოცხალმკედრად მიჰყავდა. არა უშავს რა. გაცივებით არაფერს გავაცივებ, პირველს ბიჯს ყველას გადავადგმევინებ... მძევლად გადავსცემ ჩემს შვილებს და მერე იმათ იციანო, – ამბობდა და იმედით მხნეობდა... ამ ყოფით გაატარა თავისი სიცოცხლე და სიბერეც შემოეპარა. შემოეპარა, მაგრამ რალას შეეპუებოდა სიბერეს, რომ შვილები მოესწრენ... ნამოეზარდნენ, გაკაცრიელდა ოჯახი, გამრავალსულდა, ასე რომ მამის გადმონაცემი საქმები გაიყვეს და თვითოს თვითო თუ შეხვდა. ნაინია წინ ოჯახმა და ფეხზე წამოდგომა დააპირა.

თავმოყვარება უსამართლოების ბუდეა... შვილებმა თავის ნაშრომის ნარმატება რომ თვალდათვალ ნახეს, მამაზე გული გაუტყდათ და ჰეთიერობდნენ ცალ-ცალკე, ყველა თავისთვის ასე: ჩვენ დიდი ხანი არ არის, რაც ვშრომობთ და საქმე მაინც კარგათ მიდის და მაშ მამა ჩვენი რალას აკეთებდა, რომ თავის სიცოცხლეში ჩხირკედელაბდა და მაინც ვერა გააკეთა-რა? აბა მიგვითითოს ერთს მისთანა რამე საქმეზე, რომ იმას დაემთავრებიოს? სჩანს ის ზარმაცი ყოფილა და

უნიჭოვო? ასე იფიქრეს და აითვალწუნეს ბერიკაცი. რასაც-კი დათესავ, დედამინაც იმას ამოამცენარებს და გაზდის, გინდ ვარდი იყოს და გინდ ეკალი. კაცის გულიც ასეა: რასაც-კი შიგ ჩაგდებ, ისივე იზდება და ისივე იჩენს თავს, გინდა კეთილი იყოს და გინდა ბოროტი. დღეს-ხვალიობით იმდენად ამოიჩემეს მოხუცი, რომ ბოლოს კიდეც გადასწყვიოტეს: ეს ბებერი აღარაფერ საჭიროა ჩვენთვის; მხოლოდ ხელს გვიშლის და თავიდან უნდა მოვიშოროთო. დასწენეს გოდორი, აიტანეს სერზე, იქ აიყვანეს მოხუციც და დაპირეს მისი გოდრით დაგორება. იკითხა მამამ მიზეზი. შვილებმაც გულის პასუხი ამცნეს. მაშინ გადააქნია მოხუცმა თავი ნაღვლიანის ღიმილით და უთხრა ახალგაზდებს:

თავმოყვარებამ და წინდაუხედაობამ კინაღამ ცოდვაში არ ჩაგუარათ. რათ ივიწყებთ, რომ თქვენ თვითო-თვითოს საქმეს ადგიხართ თავზე და მე-კი ყველასათვის ყური უნდა მეგდო, რომ არც ერთი არ გამქრალიყო სამუდამოთო. თქვენ რამდენსამე საათს ანდომებთ დღეში თქვენ-თქვენ ხელობას და მე-კი მხოლოდ რამდენსამე წამს ვანდომებდი, მაგრამ მაინც დღე და ღამე გაერთებული მქონდათ. თვითოეულის თქვენგანის ნაშრომი მსხვილად მოსჩანს და ჩემი-კი არაო? მაშ შეკრიბეთ ყოველი მხრით ჩემი წვრილმანი ნამუშევარიც, შეაერთეთ, შეჰკონეთ და მაშინ დაინახათ, თუ რამ სისხო იქნებაო. ერიდეთ, შვილებო, უსამართლობას!.. საპირადო თავმოყვარება ეშმაკის იარაღია. ის, ვინც თავის თავზე მეტსა ჰეთიერობს, ვიდრე ოჯახზედ, კარგი მუშა არ არის. არა, ყმაწვილებო, ეგ გოდორიც შეინახეთ, გამოგადგებათ. ვინც თქვენში ორგული და მტრელი გამოჩნდეს, ის ჩასვით შიგ და ის დააგორეთო. მე-კი უგოდროდაც თავდალმართში მიმავალი ვარ და მშვიდობით, ლმერთმა ხელი მოგიმართოსთო!“

დალოცა მოხუცმა და ხელში ყავარჯნით დაუყვა თავდალმართს. წინ სიფრთხილით ადგამდა ბიჯს. ფეხი არსად წამოვკრაო, და უკანაც ხშირად იხედებოდა, ერთი კიდევ დავინახო ჩემი შვილები რას შვრებიანო და მათ ყოველ დანახვაზე გული მაინც სიყვარულით და იმედით უძგერდა.

მკითხველო, შენ ხომ არ შეგხვედრია ის მოხუცი?

[1888]

იყო და არა იყო რა, ერთი ხელმწიფე იყო უსაქმური და ჭამა-სმაზე გადაყოლილი. ერთხელ, სადილათ რომ იჯდა, მწვადი დაუგვი-ანეს, გაჯავრდა და ბრძანა: – „რა თავს იგდებს მზარეული, რომ ამდენ ხანს მალოდინებსო? კუჭ-ლვიძლის შეწვას ბევრი რა უნდაო? შამფურზე წამოაგოს და ცეცხლზე მიაფიცხოს“. გაგზავნა მსახ-ური შესატყობათ; გავიდა ხანი და გაგზავნილი აღარ დაბრუნდა. მეორე გაგზავნა, ისიც დაიკარგა. მესამე... მეოთხე... მეხუთეც... რაც მსახურები კი ადგენ თავზე, ყველა გაგზავნა და აღარც ისინი დაბრუნებულან. გაგზავნა ვეზირი, ისიც დაიკარგა; შვილები გაგზა-ვნა, აღარც ისინი დაბრუნებულან. მერე ცოლს უთხრა: – „შენ მაინც შემიტყვე, რა ამბავიაო!“ წავიდა დედოფალი, ისიც იქ დარჩა. გაუკ-ვირდა ხელმწიფეს და თქვა: – „სწორეთ რაღაც ამბავი უნდა იყოსო!“ – თვითონ წავიდა და, რომ შეჟყო თავი სამზარეულოში, მისთანა თქვენს მტერს, იმას საქმე მოუვიდა: თურმე კუჭი გადმოგორებუ-ლიყო, გაეღო პირი, ჯერ მზარეული ჩაეყლაპა და მერე ყველა, ვინც კი ამბის შესატყობლად მიდიოდა. ბოლოს ხელმწიფეც ჩასანსლა... გაიძერა, გაიზარდა და გამოგორდა კარში. მიდის და მიგორავს, ვინც შეხვდება წინ – ჰელაპავს. ჩაუარა სოფლებს და ჩაუყლაპავი აღ-რავინ გაუშვა... შეშინდა ქვეყანა. ვისაც კი გულს ერჩოდა, დაუხ-ვდენ წინ ზოგი კეტებით, ზოგი ცულით, წაჯახით, წალდით, ზოგიც მშვილდისრით, მაგრამ ვერა დააკლეს რა, უფრო და უფრო აღებს პირს „კუჭია“, ჰელაპავს დიდსა და პატარას!.. იზრდება და იბერება... მთისოდენა გახდა!.. მაინც მიდის და მიგორავს უგზოუკვლოთ. რომ ველარა გააწყვეს რა, წავიდენ სოფლელები მეითხავთან. მარჩიელმა უთხრა: – „მაგას თქვენ ვერას დააკლებთ, ტყვილა ნუ აჯავრებთ და ნურც აკვდებითო. ეგ რასაც მეტს ჩაჰელაპავს, ისა სჯობია: ბევრს ველარ მოინელებს და თან გადაჰყებაო. გარედან ვერას დააკლებთ და, ვინც ჩაგყლაპოსთ, მის მუცელში თან სადგისი ჩაიტანეთ და შიგნიდან უჩხვლიტეთ ხოლმეო“. დაუჯერეს და მართლაც, რომ ველარ მოინელა ამდენი მსხვერპლი „კუჭიამ“ და შიგნიდანაც დაჩხ-ვლიტეს, „ბუჟო“ ერთი დაიძახა და გასქდა. რაც რომ ჩაეყლაპა, ვერ მოენელებია და ისევ ისე ცოცხლათ გადმოჰყარა ყველა... ცოცხლები იყვენ, მაგრამ მკვდრის ძილით კი ეძინათ, გარდა ერთი მეჩანგურისა, მარტო იმას ეღვიძა და, რომ განთავისუფლდა, მოაწყო ჩანგური და დაამლერა:

სულხვავო და ღორმუცელა, ძალლთაპირა „კუჭიაო“, უსამართლით ჩანაყლაპი ყველა თურმე ფუჭიაო!

ქვეყნის სასწორ-სამართალი

ღვთას ხელი და მუჭიაო

და რატომ არ ეკითხები

მის განგებას, „კუჭიაო“!

ბაბილონის გოდოლივით

იბერები, იზრდებიო!..

რომ გასკდები გაპრენილი,

მაშინ გამოვხიზლდებიო.

გველეშაპმაც გადაყლაპა

შუა ზღვაში იონაო...

ჰელოვდა ხალხი წინასწარმთქმელს,

რადგანც მკვდარი ეგონაო.

მაგრამ სამ დღეს მტრის მუცელში

ცოცხლათ მოიკალათაო,

მეოთხე დღეს გამოვიდა

ხმელზე ძალისძალადაო.

სთქვა: „რა დიდხანს მძინებია,

სამ დღესა და სამ ღამესო,

უსიცოცხლოთ, უსინათლოთ,

მოკლებული სიამესო.

„მაგრამ, ღმერთო, ვისაც თურმე

არ გასწირავ მაღლით შენო,

ის არ ჰქონება და იმის ბნელს

ნათელ შუქსაც მიაფენო!“

ამდენ მსხვერპლსაც გადმოხედე

მოწყალების თვალითაო,

გაუმტკიცე ნეტარება

კარგი მომავალითაო!..

სიმღერამა და ჩანგურის წკრიალმა ნელ-ნელა ყველა გამოაღ-ვიძა... წამოდგა ზეზე მეფეც, მიიხედ-მოიხედა და ღმერთს მადლი შესწირა: „გმადლობ, უფალო, რომ ახლა გადამარჩინე და ან, თუ კიდევ კუჭს მივენდო, უარესიც დამმართეო“. შეჰყარა ისევ თავისი სახელმწიფო, მარტო ჭამა-სმაზე აღარ ფიქრობდა, დაუდვა გული სახელმწიფო საქმეებს და მის ბედს ძალი აღარ დაჰყეფდა... ჭირი იქ დავტოვე და ლხინი აქ მოვიტანე.

[1897]

ბრონოულის წყარო

პროცესულის ცყარო (ზღაპარი)

იყო და იყო, დავთის უკეთესი არა იყო რა. ერთი ხელმწიფე იყო და ორი ვაჟიშვილი ყავდა, ნანატრი და სანაქებო. სახემწიფო კარგათ იყო და ხემწიფის ბედსაც ძალი არ დაყეფდა, მაგრამ მაინც გაცინებული არავის უნახავს. შვილები წამოიზარდენ, მივიდენ და კითხეს:

– რა არი, რომ შენ პირზედ ღიმილი არ დაგვინახავსო? ხელმწიფემ ამოიოხრა, ისე რომ გულ-ღვიძლი თან ამოატანა და სთქვა:

– შვილები! რაღა სასაცინო პირი მაქვს, რომ დედათქვენი მზე-თუნახავთმზეთუნახავი დევეაუმა მომპარა და ამდენი ხანია მისი ასავალ-დასავალი ველარა გავიგეთ-რაო.

შვილებმა მოახსენეს:

– ნება გვიბოძეთ, ჩვენ წავალთ, მოვნახავთ, სადაც იქნება და დავიბრუნებთ დედასო.

გაეხარდა ხელმწიფეს, შეყარა ჯარი და გაისტუმრა შვილები. წავიდენ, დიდი იარეს, პატარა იარეს, ცხრა მთა გადაიარეს და მიადგენ ერთ ორკაპალა გზას; მარცხნივ ეკლიანი იყო და მარჯვნივ იავარდით მოფენილი, უმფროსმა ძმამ უთხრა უმცროს ძმას:

– ამ ორი გზის მეტი არსად სჩანს... ან იქით იქნება წაყვანილი დედაჩვენი და ან აქეთო. წილი ვყაროთ, ჯარი გავიყოთ, ერთი ერთს გზას დაგადგეთ, მეორე მეორესო. დათანხმდენ; ყარეს წილი და ეკლიანი გზა უმცროს ერგო. ჯარის გაყოფაზედ რომ მივარდა საქმე, არჩევანში ალარავინ აღარ ისურვა ჩაყოლა და უმფროსს გაჰყვენ!.. გამოვიდა მხოლოდ ერთი ახალგაზრდა და უთხრა მარტო დარჩენილ ბატონიშვილს:

– დედიჩემის ძუძუნანოვარი ხარ, მე შენი ძიძისშვილი ვარ, ვერც ჭირში და ვერც ლხინში თავს ვერ დაგნებებო. წავიდა უფროსი მარჯვნივ და იახლა მთელი ჯარი. დაადგა ეკლიან გზას უმცროსი და თან გაყვა მარტო ძიძისშვილი. მთელი დღე იარეს, და გავიდენ ერთ მინდორში; წახეს, რომ ერთ კაცს წისქვილის ქვები წამოუცვამს მუხლის კვირისთავებზე და ისე დასდევს კურდლელს დასაჭერად. გაუკვირდათ მგზავრებს და ჰკითხეს:

– კაცო, რამ გადაგრია? რას შვები? რათ იჭირვებ საქმეს, რომ ამოდენა ქვები მუხლის თავებზედ წამოგიცვამსო? მონადირემ უპასუხა:

ბრონოულის წყარო

– ასე რომ არ ვქნა და ისე ფეხდაფეხ გამოუდგე კურდლელს, გავასწრებ და უკან დამრჩებაო; და ახლა კი ამ ქვების წყალობით დონეზე მომყავს ფეხები, რომ დავიჭირო. გაუკვირდათ და კიდევ კითხეს:

– სადაური ხარ და რა ქვეყნის, რომ მაგისთანა სწრაფი ყოფილხარო? ყველა შენსავით გარბის, თუ მარტო შენ ხარ განსხვავებულიო?

– მარტო მეო! – უპასუხა მონადირემ, – სხვები ყველა თქვენსავით დადიანო; მე თილისმით მაქვს ნასწავლი და თუ თქვენ შვილდისარს აიყრით და გადმომცემთ, ჩაგიყვანთ ორმოში და ერთ დღესა და ღამეს გასწავლით ჩემსავით სირბილს. აიყრეს მგზავრებმა შვილდისარი, გადასცეს და ორმოში კი მარტო ძიძისშვილი ჩაჰყვა. ბატონიშვილი ორმოს პირად უცდიდა. დანიშნული ვადა რომ გავიდა, ამოვიდა ორმოდან ძიძიშვილი და უთხრა ბატონს; „ვისწავლეო!.. და გაუდგენ გზას. ცხრა მთა რომ გადაიარეს, ვაკე გამოჩნდა, შუაგულში ერთი კაცი დამხობოდა დედამინას თავდალმა და იცინოდა. გაუკვირდათ მგზავრებს და ჰკითხეს:

– რა გაცინებსო?

– როგორ რა მაცინებსო, – სთქვა დაწილილმა, – ქვესკნელში ჭიანჭველები ირევიან, ერთად ველარ მოთასებულან, ერთმანეთს ეყრებიან, ყოფა-ცხოვრებას იყოფენ და ჩხუბი მოსდითო. გაუკვირდათ მგზავრებს და ჰკითხეს:

– რა სურიელი ხარ და რა ქვეყნის, რომ მაგ სიშორეს ხედავო? თქვენ ქვეყანაში ყველა მაგრე შორს მჭვრეტელია თუ მარტო შენ გამოსულხარ მაგისთანაო?

– მარტო მეო! – უპასუხა, – თილისმითა მაქ ნასწავლი და თუ ფარს აიყრით და მომცემთ გასამზდელოში, ჩაგიყვანთ ორმოში, ერთ დღესა და ღამეს გაგნვრთნითო, ხმალი აღარა გვაქვს და ფარი რათ გვინდაო, სთქვეს მგზავრებმა და დაეთანხმენ. ჩაჰყვა ორმოში ძიძიშვილი, ხელმწიფის შვილი გარედ დარჩა, ერთი დღე და ღამე უცადა და რომ ამოვიდა ორმოდან ძიძიშვილი, მზე შუბის ტარზე იყო გადმოხრილი. ბატონმა უთხრა ყმას:

– ხომ ხედავ, ფარი ჩვენ აღარა გვაქვს და ხმალი?! თუ რამე იცი და შეგიძლია, ახლა გამოგაჩდებაო, ოთხივე მხრით გაიხედე და რაც წახო გასაკვირვალი, მითხარიო. მიიდვა შუბლზედ ხელი ძიძიშვილმა, ჩამოიფარა თვალებზედ, გაიხედა სამ კუთხით და არა სთქვა რა; მეოთხეს რომ მიუბრუნდა, სამხრეთისაკენ, დაიყვირა:

– ერთ მაღალ კლდის ძირში შვენიერი ბრონოული ამოსულა, მაღლიდან თავზე წყარო გადმოჩუხჩუხებს, კლდეში გამოქვაბულია და

ბრონოულის წყარო

შიგ ხელმწიფის სასახლეა; იქ აქროს ტახტზედ ზის მარტოდმარტო ერთი მზეთუნახავი და ცხარე ცრემლით ტირისო. კლდეს კარები არა აქვს, თავისთავად ხან გაიხსნება და ხან შეიკრავს პირს თვალის დახამხამებამდიო, თუ არ ქარი, ისე ხორცშესხმული ვერავინ შეასწრებს.

– მაშ კარგი, შენ ხომ შეგიძლიაო, – უთხრა ხელმწიფის შვილმა; – წავიდეთ, შეხტი და შემიყვანეო! წავიდენ, დიდი იარეს, პატარა იარეს, მიუახლოვდენ დანიშნულ ადგილს. კლდემ რომ პირი გააღო, ისკუპა ძიძიშვილმა და შევარდა შიგ; მისცა ალიკაპი, დაატანა რიკი კლდის პირსა და პირს შუა და შეიყვანა ბატონიც. გაოცდა მზეთუნახავი და იკითხა:

– ვინ ხართ და რა სულიერი, რომ აქ მოსულხართო? დევკაჟის შიშით მაღლა ცაში ფრინველები ველარ დაფრენენ და დაბლა მიწაზედ ჭინჭველები ველარ დაცოცვენო... წადით, თავს უშველეთ, თუარამ, სანადიროთ წასულია და თუ მოგასწროთ, მეც მომკლავს და თქვენზე უცოდვესი ქვაც აღარ იქნებაო. ხელმწიფის შვილმა თავის თავგა-დასავალი უამბო. შეკივლა მზეთუნახავმა, გადაეხვია და მიიკრა გულ-ზედ, ჩემი შვილი ყოფილხარო და თავს უშველეო!.. ატირდა, აავსო ცრემლებით მილები და წყაროდ ბრონოულის თავზედ გადააჩუბ-ჩუხა. თურმე ბრონეულის წყარო ამ მზეთუნახავის ცრემლები იყო, ჩუმათ მილებში ნაგუბარი. ხელმწიფის შვილმა უთხრა ძიძიშვილს: აპა ერთი გაიხედე და შეგვატყობინე, შორს არის თუ ახლოს ის წყეულიო? გაიხედა ძიძიშვილმა და სთქვა: ცხრა მთას გადაღმა შავ-ტყეში, ქორბუდიანი მოუკლავს, ხეზედ ჩამოუკიდებია, შუბი ძირს მიუყუდებია, ატყავებს, მაგრამ ჯერ ნახევარიც არ გაუტყავებიაო. მიათვალიერ-მოათვალიერა სახლში იქაურობა და კუთხეში თვალი მოჰკრა ერთ პატარა ოქროს კოლოფს, ირგვლივ თვალმარგალიტით შეჭედილს, რომელსაც არც თავსახურავი ჰქონდა, არც კარი, არც კლიტე და არც გასაღები. გაუკვირდა და სთქვა:

– ეს რა არის, რომ ამ ჩამოსხმულ კოლოფში შვენიერი ჩიტი ზის და როგორ ჩაუსვამთო?

– ეგ ჩიტი იმ წყეულის სულიაო, – სთქვა მზეთუნახავმა, – სანამ მაგას არა გაუჭირდება რა, ვერც არავინ მის ხორცს დააკლებს რამესო:

– თვითონ ის რით აღებსო? – კიდევ ჰქითხეს.

– ამირანის გასაღებითო.

– ამირანის გასაღები რა არიო?

ბრონოულის წყარო

– რა არიო და სამყური ბალახიო, – სთქვა მზეთუნახავმა. – დიდ-ხანს იყო კლდეზე მიჯაჭვული ამირან გმირთა გმირი. მისი ცოდვით დედამიწა იწვოდა, ცა და ქვეყანას ებრალებოდა, მაგრამ ვერავინ უშველა... ბორკილი არა ტყდებოდა. ერთხელ მივიდა ჭინჭველა და უთხრა:

– მეცოდები, რომ მაგრე იტანჯები და თუ დამიმადლებ, გიშველი, აგიშვებო. ამირანს გაეცინა და უთხრა:

– დედამიწის ზურგზე შენზე პატარა არა დაცოცავს რაო, მაგრამ გული კი ყველაზე დიდი გქონია და შეუძლებელს იჩემებო. ჭინჭველამ უთხრა:

– აპა, მე გეტყვი და შენ ყური დამიგდეო: ერთხელ გველმა ბაყაყი დაიჭირა, ჩაყლაპვა უნდოდა, ძერამ გააშვებია; ბაყაყმა თავს უშველა, გადახტა ბალახებში, მოგლიჯა მატიტელა ბალაზი, დაიდვა ნაებენზედ და წყლული მოიშუმა; მე გამიკვირდა, მივედი მატიტელასთან და ქება შევასხი:

– ბალახი შენ ყოფილხარ-მეთქი.

– ბალახი მე კი არა ვარ, აგერ რომ ჩემ გვერდით სამყური იზდება, ის არის, რომ ცხრაკლიტულებს ალებს და ბორკილებს ამტვრევს... მიდების მეტი არა უნდა რაო. ეს რომ გავიგონე, მივედი, მოვგლიჯე სამყურას მეოთხე ფოთოლი და წამოგილეო. მიცოცდა, მიადვა ამირანის ჯაჭვს და გაიხსნა ბორკილი. ამირანმა თავი აიშვა და ჭინჭველა დალოცა:

– რაც ტანი გაქ, ერთი ათასად იმაზე მეტი ძალა მოგეცესო. ეს სამყური ბალახი ამირანს, რაღაი თავი აუშვია, გადაუგდია, წყეულ დევკაჟს უბოვნია და სადღაც დამალული აქვსო. მიიხედ-მოიხედა ძიძიშვილმა და კედელს შუა ჩაკირული დაინახა ამირანის გასაღები: გამოიღო, მიადვა კოლოფს, გახსნა, გამოიყვანა ჩიტი, მისცა ხელმწიფის შვილს:

– მაგრად მოუჭირე ხელი, არ გაგიფრინდესო. მოუჭირა ხელი, რაც ძალი და ღონე ქონდა. კითხა ძიძიშვილს:

– აპა შეხედე, რას შვება უწმინდურიო?

– მისთანა შენს მტერს, რაც იმას ემართებოდესო: დანა ხელში გავარდნია და გულს ეყრებაო. წააგლიჯა თავი ჩიტს. ახლა რაღას შვებაო?

– თავი წაძვრა და ტანი უსულოდ ფართხალობსო. – გადიხარხარა მზეთუნახავმა, გადავრჩით განსაცდელსო!.. გამხიარულდენ ყველა

ერთათ, დახვიეს ხელი აუარებელ თვალმარგალიტს და წამოვიდენ. დიდი იარეს, პატარა იარეს, ცხრა მთა გადაიარეს და მიადგენ ისევ ორკაპალა გზას. დაბრუნებული ხელმწიფის შვილი მისი ჯარით წინ შემოეყარა, გამოიკითხა ამბავი და ყოლიფერი რომ შეიტყო, დაავლო ხელი მზეთუნახავ დედას, თავის ჯარიც გააძრახა და გაუდგა გზას. გზაში დედას უთხრა:

– თუ გაგიმხელია და ჩვენი გასამტყუნებელი გითქვამს ხელმწიფისათვის, ამ ჯარს ხომ უყურებ? შენც მოგვლავ და ხელმწიფესაცო. შეშინდა დედოფალი. მეფეს მახარობელი გაუგზავნა უფროსმა შვილმა: – ჩემი ჯარით დევების ქვეყანა ავიკელი, ციხე-ქალაქები დავაქციე, თვალმარგალიტი წამოვილე და დედოფალიც მოგვყავს და მოგვიხარიაო. გამხიარულდა ხელმწიფე, შეიძრა მთელი სახელმწიფო, დაჰკრეს ბუკი და ნაღარა და ზარითა და ზეიმით მიეგებენ გამარჯვებულებს. შვილი ტახტზედ აიყვანა ხელმწიფემ და ბრძანა: – მოდით და ყველამ თაყვანი ეცით გმირსო! დიდი და პატარა მუხლზე კოცნიდა და გამარჯვებას ულოცავდა. მოვიდენ ბოლოს მეორე ძმა და ძიძისშვილი დაქანცული, დაღალული, დაგლეჯილი ტანისამოსით, აღარც ფარი ქონდათ და აღარც შვილდისარი. მოვიდენ და თქვეს:

– დედოფალი ჩვენ გამოვიხსნით და მაგას თაყვანს რათა სცემთო?! გაუკვირდა სუყველას და სიცილი ასტეხეს. ზოგმა სთქვა, გაგიუებულანო! ზოგმა, შუბლის ძარღვი გასწყვეტიათ, გაურცხვებულან და ტყუილის აღარა ცხვენიათო“. დამჯერე აღარავინ გამოდგა, ხელმწიფეც გარისხდა:

– მაგას ძმის შური ალაპარაკებსო, გააგდეთ ეგ სალახანა, სასახლეში არ შემოუშვათ და ეგდოს საბატეშიო! დედოფალი სწუხდა, მაგრამ შიშით ვერას ბედავდა... ენა ქონდა ჩავარდნილი. არ გაუვლია ხანს, რომ ჯავრმა აიტანა უმცროსი ძმა, გული გაუსკდა და მოკვდა. მისი სიკვდილი არავის რამედ შეუმჩნევია, მაგრამ დედოფალმა მეტი ველარ მოითმინა და გადმოჰყარა კურცხალი. ხელმწიფე შემინდა და გამოკითხა მიზეზი:

– „ვაი თქმას და ვუი უთქმელობასაო“! – წამოიძახა დედოფალმა, – არ ვიტყვი – ღმერთსა ვცოდავ და თუ ვთქვი, შენც გაგნირავ და ჩემს თავსაცო. აღარ მოეშვა ქმარი:

– მითხარი, რა საიდუმლოა, თვარა შენც მოგვლავ და მეც ყელში გავირჭობ დანასო.

მაშინ დედოფალმა ყოლიფერი უამბო ქმარს, შეწუხდა ხელმწიფე, ჩავარდა სინანულში, შეყარა სახელმწიფო და დიდის პატივით

დამარხა მიცვალებული. ააგო მის საფლავზე მარმარილოს კოშკი, შიგ მისი ნიშანი დაასვენა და ბრძანება გასცა სახელმწიფოში, რომ ყოველ მზის ამოსვლისა და ჩასვლის დროს დიდი და პატარა მიდით ხოლმე თაყვანისსაცემლათო. ხელმწიფის ბრძანების ურჩი აბა ვინ იქნებოდა? მიდიოდენ და თაყვანსა სცემდენ. მაგრამ ყოველთვის სწორედ იმ დროს ერთი მამალი შემოჯდებოდა ხოლმე კოშკის თავზე და გააბამდა ყივილს. მოახსენეს ხელმწიფეს ეს ამბავი. ხელმწიფემ ბრძანა:

– აქ რაღაც ამბავი უნდა იყოს, ის მამალი უმიზეზოთ არ უნდა იძახოდეს, დაიარეთ მთელი ჩემი სახელმწიფო და მისთანა ვინმე მონახეთ, რომ მისი ენა ესმოდესო. გამოვიდა ძიძიშვილი და მოახსენა:

– „მე ვიცი, ჩემი ხელმწიფეო! ის მამალი ქვეყნის უმაღურობას ყივისო: ცოცხალი რომ საბატეში გყავდათ და მკვდარს მარმარილოს კოშკი აუგეთ, სიცოცხლეში რომ კიუინას აყრიდით და ახლაკი თაყვანს სცემთ, მაგითი ამ საწყალსა რა გაუკეთდება“. შერცხვა ხელმწიფეს, დაფიქრდა და სთქვა:

– არც არაფერი მაგ მამლის ყივილიდან გამოდისო. თუ მაგდენი იცოდა, ადრე დაეყივლა, ის არა სჯობდაო?.. ახლა კი მკვდარს რაღას არგია და ან ცოცხალსო? ჰყარით ისარი და გადმოაგდეთო. მიცვინდენ მეისრეები, მოინდომეს მოკვლა, მაგრამ ერთი შეიფთქიალა მამალმა, გაშალა ფრთები და ცხრა მთა გადაიარა. დარჩა ხელმწიფე პირდალებული. ჭირი იქ დავტოვე და ლხინი აქ მოვიტანე.

[1897]

კუდაბზიკეთი
კუდაპზიკეთი
(ზღაპრული მოთხოვა)

იყო და არა იყო რა. იყო დრო, როცა ადამიანს ყველა გრძნობაზე უფრო შეშის გრძნობა ჰქონდა გამოფხიზლებული და ყოველგვარ საშიშ-საზარელ არსებას, გინდ სულიერი ყოფილიყოს და გინდ უსულო, ყოვლის შემძლებლად ისახავდა, აღმერთებდა და თაყვანსა სცემდა. მრავალმერთობის დრო იყო და ყოველ ერს თავისი შესაფერი ღმერთი ჰყავდა: ზოგს ლომი, ზოგს სპილო, ზოგს გველეშაპი, ზოგს დიდი გველი და სხვანი, ერთი სიტყვით, ვისთვისაც რა უფრო საშიში და საფრთხილო იყო, იმას ემონებოდენ. სხვათა შორის, იყო ერთი ქვეყანაც „კუდაბზიკეთი“, ოდესმე სახელგანთქმული და მოწონებული, მაგრამ ბოლოს კი ისე დაცემული და დაჩიავებული, რომ მისი მკვიდრები ნაცარქექიანობის მეტს ვეღარას ახერხებდენ: უჯდენ კერას და ერთმანეთს უჩუჩებურებდენ. მათვის რაღა საჭირო იყო ან ლომი, ან ვეშაპი, რომ მათი მანუხებელი ჭიალუაც დიდი რამე ეგონათ? და მოინდომეს მყენარის თაყვანისცემა, მაგრამ არ იცოდენ ვისთვის მიეცათ უპირატესობა: ტილისათვის თუ რწყილისათვის? ზოგს ის მოსწონდა და ზოგს ეს!.. არჩევანზე მივარდა საქმე. კუდაბზიკელები ორად გაიყვენ. ერთმა მხარემ ტილი გამოიყვანა თავის კანდიდატად და მეორემ რწყილი, ვერ შეთანხმდენ, მოუვიდათ ჩხუბი და ნაცარმტუტი აადინეს. დაერიენ ერთმანეთს და ალარ ზოგავდენ. ამ საბრალოებს სულ კერას ძირში ეძინათ, არაფერს არ დასდევდენ, არა ენიტერესებოდათ რა და მხოლოდ სამ წელი-წადში ერთხელ, არჩევნების დროს, გამოაჭყეტდენ თვალებს ბეცად, ახორხოზდებოდენ, აჭიჭყინდებოდენ, ერთმანეთს ნაცარს აყრიდენ თვალებში და არჩევნებს რომ მოჩებოდენ, ისევ ისე ჩვეულებრივად მიეგდებოდენ კერას ძირას... ცარიელი გუდა ადვილი გასაბერავია!.. კაციც ასეა: რაც უფრო ცარიელი აქვს თავი და გული, უფრო მალე იძერება და თავის თავიც დიდ რამედ მოაქვს. კუდაბზიკების ქვეყანაშიაც ეს სენი საერთოდ იყო მოდებული; ათში ცხრა იბერებოდა და სხვის თვალში რომ ბენვს ეძებდა, თავისაში დვირესაც ვეღარ ხედავდა. დიდი და პატარა ენად იყო გადაქცეული: ტიტინობდენ და ლაქლაქობდენ! ერთი მათგანი რომ იტყოდა, მაგალითად, „შარ-

კუდაბზიკეთი

შან ზამთარში კურდლელი მოთოვაო“, მეორე დაუმოწმებდა: „მართალია! და შიგადაშიგ შველიც გამოურიათ“. ყველა ტრაბახობდა, ყველა თავის თავზე ლაპარაკობდა, გაისმოდა განუწყვეტელი „მე, მე და მეო!“ ასე რომ, ბრმას რომ ყური დაეგდო, იფიქრებდა: აქ სწორედ სადღაც თხის ჯოგიაო. მართალია, თითო-ოროლა შეგნებული და ქვეყნისთვის გულშემატკივარი მათშიაც ერია, მაგრამ იმ არც-დარევაში და საერთო ხორხოზში ვინდა რას გაიგონებდა, რომ ყურთასმენა ალარსად იყო.

– თქვე უბედურო ნაცარქექიებო, მოეგეთ გონებას, – ურჩევდენ შეგნებულები საბრალო თანამემამულებს, – რა დროს ეგ წილადობილაა?.. რას გადაპყოლიხართ მაგ „რწყილობია-ტილობიას“? ისე როგორ დაგაბრმავათ ცოდვამ, რომ ცვეირს იქით ვეღარასა ხედავთ? ქვეყანას ნადირ-მხეცები შემოსევიან, ლამის გაგვანადგურონ, ერთი ტყვილა შემქაქანებელიც არსადა სჩანს და თქვენ კი ჭიანჭველეთში გინდათ თავი ისახელოთ და ისიც უკულმართობითო!..

– არ შეიძლება, არ შეიძლება! – ყვიროდენ ნაცარქექიები, – ჩვენც კაცები ვართ, ქუდი გვახურავს და ულვაშები გვასხია!.. სხვებს თუ პყავსთ სათაყვანო და არჩევნებში შედიან, ჩვენ რაღა ვართო?

– კი ბატონო! მაგრე იყოსო, – უპასუხებდენ შეგნებულები. – აარჩიეთ, მაგრამ მისთანა კი, რომ ვარგოდეს რამედ და ქვეყნის გამოსადეგი იყოს რამეშიო!.. თუ მართლა მწერ-ბუზებს იქით გზა ალარა გაქვსთ რა, ფუტკარი აირჩიეთ: ის მაინც თაფლსა და სანთელს აკეთებს; ან აბრეშუმის ჭია, დარაიას რომ გაძლევსთ! ან წურბელა, ცუდი სისხლის სხეულიდან გამომწოვიონ და სხვანი...

– ეჱ, არა, არა! – გაიძახოდენ ნაცარქექიები, – ფუტკარი მოუსვენარია, გარეთ დაბზუის აქეთ-იქით და ჩხვლეტაც მწარედ იცის, ყაჭის ჭია – მყრალია, წურბელი მოსისხარიაო და სხვანი. ბატონი ტილი და ბატონი რწყილი კი განუშორებლად დღედაღამ სულ ჩვენთან არიან და მხოლოდ ამ ორ გვარს ეკუთვნის და შეშვენის ჩვენი თაყვანისცემა! ამ ორს იქით გზა არა გვაქს. ან ერთი უნდა ავირჩიოთ და ან მეორე და საქმე მხოლოდ ჯობინობაზე არის მიმდგარიო!

– სად თქვენი კანდიდატი და სად ჩვენიო? – გაიძახოდენ ტილაძეები. – თქვენი ერთი გიუ ვინმეა, მოუსვენარი, ხან აქ არის, ხან იქ, ერთ ალაგას ვერ მიისწრებ, ვერ გააჩერებ! ხან აქ შეძვრება და ხან იქ, დღედაღამ მოსვენებას არ იძლევა! სადაც არ გგონია, იქ

გაჩნდება, სადაც არ ელი, იქ გიყბენს და თუ შეგატყოთ, ჩემი დაჭრა უნდათო, ისკუპებს და ცხრა მთას გადაევლება! ჩვენი კანდიდატი კი მშვიდობიანი, დარბაისელი, დამჯდარი ხასიათის, მორიდებულ-მოკრძალებული; შორს წასვლის თავი არა აქვს!.. მართალია, ხან-დახან ჩუმად იკბინება, ისე რომ ტანს მოგაფხანიებს, მაგრამ, თუ შეგატყო აღშფოთება, შეინანებს და იქვე სადმე ნაოჭში მიიმალებაო.

– ეგ ლირსება კი არ არის, წუნიაო, – უპასუხებდენ რწყილაქები, ჩვენი კანდიდატი კი მარდია, ცოცხალი, მიხტი-მოხტის, ხან იქ შეძვრება, ხან აქ!.. გაგაღვიძებს, გამოგაფხიზლებს და გაგაშფოთებსო!.. თქვენი კი საზიზლარი რამ არის და ყოვლად საბრალო!

ასე ამგვარად, თავისებურად თავთავისას გაიძახოდენ ორივე მხრით მოპირდაპირები და მათ ბრძოლას დასასრული აღარ ჰქონდა. ბრძოლაც ხომ ახირებული იყო ამ ნაცარქექიების! არ იყო მისთანა უპატიური რამ, ერთმანეთისათვის რომ არ შეენამებიათ და არც უშვერი რამ, ერთმანეთისთვის რომ არ ეკადრებიათ! ამ არჩევნების დროს რომ „კუდაბზიკეთი“ გენახათ, იტყოდით: ქვეყანას სწორეთ მტერი შემოჰკევია და ხალხიც საომრად მომზადებული დახვედრას უპირებს, რომ სამშობლო გადაარჩინოსო. მაგრამ რა ბრძანებაა!! ის მხოლოდ „რწყილობია-ტილობიას“ თამაში იყო!.. ამ არეულობის დროს გარეშე მტერმა ისარგებლა და სიცილით გაიძახოდა: „ნამ-კიდებელო წაჲიდეო, ორივეს თავი წასწყიტეო!..“ და მართლაც რომ „კუდაბზიკეთი“ დღითი-დღე სიგლახაკეში ვარდებოდა: ტურა-მელები ფრინველებს იპარავდენ, მგლები ოთხფეხს იტაცებდენ და დათვი იქაურობას ტორავდა და ანადგურებდა, – ერთი სიტყვით, პატრონი აღარავინ იყო!.. ბოლოს ჩავარდა ქვეყანა იმისთანა განსაცდელში, რომ ტილიც დაავინყდათ და რწყილიც!.. დიდი და პატარა ტირილით გაიძახოდა: „გვიშველეთ, ვინ ხართ მამაციო?!“ დაგვიანებული „ვაი! ვაი!“ და „გვიშველეთ!“ კარგად მოგეხსენებათ, ვერაფერი მალამოა წყლულისათვის, და საბრალო ნაცარქექიების სატკივარსაც აღარა ეშველა რა!.. მაშინ კი ჩაფიქრდენ, ჩახვდენ გონებაში და სთქვეს: ეს რა გვემართება? სწორედ გაღალული ვართ, თვალი გვკრეს და დაგვაჩარჩანაკესო! შემლოცველი უნდა სადმე მოვნახოთო! – აქეთ ეცენ, იქით ეცენ, მოიყვანეს ერთი მკითხავი და გამოალოცვიეს „თვალყვისა-თვალნაკრავისა“. ბებერმა სამჯერ პირჯვერი გამოისახა, სამ-ჯერ თავი გააქნია, სამჯერ თვალებში მიაფურთხა ნაცარქექიებს, სული შეუბერა და მოჰყვა:

ნაცარქექია, ქექია,
ფუჭო, ტყუილავ-ბექია,
რას მიგდებულხარ კერასა,
თავი რად გაგიქექია?

ტილზე ნუ ჰყიიქრობ, მოშორდი,
რწყილს აუარე გვერდიო!
რად გინდა პრიშტი-პრუშტები
და სომხის ეფრემ-ვერდიო?..

ნუ ჰყარგავ, შენი რაცა გაქვს,
ნურც ეხარტები სხვისასა!..
პატარა წყარო სჯობია
სასმელად მლაშეს ზლვისასა!..

ადექი, ნაცარქექია,
ნუ მიგდებულხარ კერასა,
ჭიანჭველებში ნუ ექებ
დაკარგულ ბედისწერასა!..

ეს რომ შეულოცა, თავზე ხატის ნაბანი გადაასხა ნაცარქექიებს და რადგანაც ნაცარქექიები პირდალებული შეჰყურებდენ მკითხავს, წყალი ნახევარზე მეტი პირში ჩაესხათ... მეტი მოუვიდათ და კინაღამ დაიღრჩვენ... აუგარდათ ხელა. ბებერმა ხელახლა გამოისახა პირჯვარი და სულთამბრძოლის შეულოცა¹:

„ცისა და ქვეყნის შუამაგალი, დედა მარიამ, იჯდა სამოთხისა კარსა და ლოცვილობდა. მოვიდა წმინდა გიორგი, თაყვანი სცა და მოახსენა: „დედაო მლვთისაო! მოვიარე ფეხდაფეხ შენი წილმხვედრი, ვნახე დაცემული, დავარდნილი, სადაც აღარცა ძველი ძველობს და არც რა ახალია“. ატირდა დედა მარიამ და ცრემლი მისი მარგალი-ტად ეყრებოდა ქვეყანასა ზედა. მივიდა იესო და შეეკითხა: „დედაო, რას სტირი, ვის იგლოვ? ცასა და ქვეყანასა?“ – „ვსტირ ჩემ საწილოსა! ვგლოვ ჩემ სადედოფლოსა, დღეს დაცემულსა, დავრდომილსა და შენგან დავიწყებულს, ხელაღებულსა!“ – „არა, დედაო ჩემო, მე

1 სახალხო შელოცვა (ავტ. შენ.).

კუდაბზიკეთი

როგორ დავივიწყებ შენს სადედოფლოსა? ხელს ვით ავიღებ შენს წილხვედრზედა?.. მხოლოდ გამოვსცდი იობის განსაცდელითა, რომ უმეტესად გავჰკურნო და ავაძალლო! წყეულმცა იყოს ეშმაკი მის-დამი შეჩენილი და ფუ! მის ავის თვალით შემყურესა!..“ გაიხარა მარიამ, შეწყვიტა ცრემლები და ღიმილი ტკბილი ქვეყნად ნათლად მოჰყინა. ამინ“

[1899]

იგავები

ერთის ციხე-დარბაზის ჭერქვეშ ბუდობდენ თაგვები თავისუფლად და შეუპოვრად. ზაფხულში გრილი იყო მათი სადგომი და ზამთარში თბილი და მით უფრო სანეტარო, რომ მაზედ თაგვებს შემცილებელი არავინა ჰყავდათ.

ჭერზეითი მდგმურებისაგან ჭერქვეით მცხოვრებთ, ხშირად, ზეციურ მანანასავით, სხვადასხვა საკნატუნო, საცუცნელი ნამცე-ცები უცვივდებოდათ.

მაგრამ თაგვუნიები მარტო ამასაც არ სჯერდებოდენ ხოლმე: ხშირად, ღამ-ღამობით წავიდოდენ საწუნკარზედ ქურდულად, და თუ სადმე მოახელებდენ თხილს, ნიგოზს, ნაბლს, მნიშვ და სხვა ამგვარ ზეთიან შეჭამადს, მაშინ უნდა გენახათ მათი ლხინი! ქონიც ძალიან უყვარდათ, ისე რომ მარტო ტყავიც რომ ჩაეგდოთ ხელში თუ კი ცოტაც იყო ქონი ეცხებოდა, ისე გამოხრავდენ ბასრი კბილებით, რომ ცხრილივით გახდიდენ ხოლმე.

შუალამის ხანს, როცა დარბაზში ფეხის ხმა და ხმაურობა მიწყნარდებოდა ხოლმე, მაშინ თაგვები მოისაზრებდენ: „ეჱ, დაიძინეს მდგმურებმაო!“. სიფრთხილით ამოყოფდენ თავს ჯურჯუტანებში, მიიხედ-მოიხედავდენ და, რომ დაიჯერებდენ გულს, ყველას დაუძინიაო, ამოცუნცულდებოდენ ჭერზეით და ასეთ ხრაგი-ხრუგს ააყენებდნენ ხოლმე, რომ ყურთასმენა ალარსად იყო! პატარა მსუნაგები ხან ერთს კუთხეს ეცემოდენ, ხან მეორეს; ლოგინებზედ შეხტებოდენ და მძინარეებს ზედ ფეხებზედ გადაუცუნცულებდენ ხოლმე. თაროები, შკათები და უჯრები სულ დასინჯული ჰქონდათ. საწუნკარი თუ კი სადმე იყო, მიუგნებელი არ დაურჩებოდათ – საკვირველი სუნი იცოდენ.

ყველაზე უფრო მეტს ზარალს იმ მდგმურებში საწყალს ერთს ბებერ გადიას აძლევდენ: გადიამ თავის გაზრდილებისათვის სხვადა-სხვა საწუნკრების შენახვა იცოდა ხოლმე ბოყვში. პატარა ქურდები, რაკი ულვაშების ცმაცუნით მოისუნავდენ, რომ აქ არის საშოვარიო, ჩაეპარებოდენ ბოყვში და გაჰქონდათ ხრაგა-ხრუგი, ამ ხმაურობაზედ დედაბერს ხშირად გამოელვიძებოდა და გააბამდა ყვირილს: „აცხა! აცხა! თქვე წყეულებო! აცხა!“ ამ დროს თაგვები გაბუნავდებოდენ და სანამ გადია არ დაიძინებდა, ჩუმათ იყვნენ და მერე ისევ მიჰყვებოდენ ხვრას.

ისე გაუჭირდა გამდელს საქმე ამ თაგვებისაგან, რომ ვისაც კი ნახავდა, სულ ამ თაგვებზედ შესჩივოდა, და საწყალს ყველა სიცილს აყრიდა. გახსაკუთრებით ახალგაზრდა ქალბატონი აჯავრებდა ხოლმე გადიას: „გადია, ე თაგვები რომ მანგრე გადაგემტერენ და საშველს აღარ გაძლევენ, როგორლაც ცუდი ნიშანი უნდა იყოს, საიქიოს ხომ არ გისტუმრებენო!“ – ჰერითავდა ხოლმე და თვითონ ხარხარს მოჰყვებოდა. „იცინე, იცინე, ქალბატონო, და როცა თქვენი კაბები ყველა შეჭმული დაგიხვდებათ, მაშინ ვნახავ, როგორ გუნებაზედ დადგებით! თუ კამოდში ჩაგეპარნენ როდისმე, თქვენს ფარჩის კაბებს ნაკვეც-ნაკვეცებად აქცევენო!“ – უპასუხა გადიამ.

ამ სიტყვაზედ ისე გაყვითლდა ქალბატონი, რომ თითქო ცა და ქვეყანა იქცევაო. შეშინდა და ან კი როგორ არ უნდა შეშინებულიყო, რომ მისი ლირსება მხოლოდ კაბებით იხატებოდა? ის მისთანა ქალბატონთაგანს ეკუთვნოდა, რომლებიც გრძნობას კაბებით იჩენენ და ჭკუას ფერუმარილით. აშფოთებულმა ქალბატონმა მაშინვე გამოსცა ბრძანება, რომ თაგვებისათვის ხაფანგი დაეგოთ. იმ ღამესვე დაუგეს თაგვებს ხაფანგი და მოსატყუუბლად შიგ შეუდვეს დამწვარი ნიგოზი.

ნაშუალამევს, ხმაურობა რომ შესწყდა, თაგვები ამობრძანდენ ზევით, ეცათ ნიგვზის სუნი და გიუივით მიაშურეს სათაგვეს. საქმე მისწრებაზედ შეიქნა, მაგრამ ვაი მისთანა მისწრებას და უი მათს მოსწრებას: უცბად ხაფანგმა დაიძახა ერთი: ჩხივა! დაკეტა კარები და რამოდინიმე თაგვი შიგ მოეწმევრა. საწყლები ხან იქით ეცნენ, ხან აქეთ, შეპქნეს წრიპინი, მაგრამ ვინ გამოიყვანდა იქიდამ? მეორე დღეს, გადიამ რომ ისინი დაჭრილი ნახა, მოგეცათ ღვთის წყალობა, იმან გული იჯერა და მათი ჯინი ამოიყარა: მოიტანა წკეპლი და სულ ტურებმი უცაცუნა საწყალ ტყვეებს; სანამ ოთხში არ ამოილო, არ მოეშვა და მერე მკვდრები შორს გადაუძახა.

მაგრამ ბოლოს კი ისნავლეს თაგვებმა ჭკუა. იფიქრეს: ეს რაღაც მანქანებაა, ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის, ნურც ნიგოზი გვინდა და ნურც მაგას მივეკარებით!

„გამოცდილება ჭკუის გვირგვინია; სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“ – ნათევვამია და, მართლაც, რაკი თაგვებმა ჭკუა ისნავლეს, თავს გაუფრთხილდნენ და სათაგვეს აღარ ეკარებოდენ.

ისევ სიამოვნებით, გაუჭირვებლადა და თავისუფლად დაიწყეს ცხოვრება, სანამ ბოლოს, რამოდენიმე ხნის შემდეგ, მეორე უბე-დურება არ ეწვიათ.

ერთს დღეს მოესმათ საოცარი და საზარელი ხმა, მეორედ მოსვლის საყვირის ხმაზედაც უსაშიშრესი და უსიამოვნო! ეს ხმა კატის „მიაუ“ იყო. ზედა მდგმურებმა გაიჩინეს კატია.

ამ დღეს თაგვებს წელში შიშის ქარი გაუდგათ და არა თუ ზევით ვეღარ ამობრძანდენ, ჭერქვეშაც შიშით ცახცახებდენ და თავ-თავის ბუდეში გულის ბაგაბუგით სუნგალი გაჰკრეს, სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ ჰქონდათ საწყლებს და მერეც დიდხანს ცახცახებდენ შიშით.

მაგრამ ბოლოს ამასაც მიეჩვიენ: პირველი სანახაობაა საშიშარი, თორემ მერე, რაკი თვალი გატყდება, ყოველი ჭირი ადვილი მისაჩვევია. ასე მოუვიდათ თაგვებსაც: რამოდენიმე ხნის შემდეგ არა თუ ჭერქვეით აღარ ეშინოდათ კატის, ხანდახან, როცა კატას სხვაგან სადმე გაიგულებდენ, ზევითაც ამოცუნცულდებოდენ ხოლმე. ესეც უნდა ვსოდეთ, რომ ხანდახან კი ძვირად უჯდებოდათ თაგვებს მათი გამბედაობა: კატა საშინელი ყურმახვილი იყო და მძინარეც რომ ყოფილიყო, მაშინაც გამოიღვიძებდა ხოლმე, თაგვის ხრაგუნს რომ გაიგონებდა. მიეპარებოდა და უეცრად ისარივით დაეცემოდა თავზედ, დაიჭრდა და ისე აწვალებდა, რომ იმაზედ უსაცოდავესი ქვაც აღარ იქნებოდა: ხან მაღლა აისვრიდა ბურთივით, ხან გაუშვებდა, ხან ისევ დაიჭრდა ხოლმე, იმდენს აწვალებდა, სანამ სიმრით სულს არ ამოხდიდა.

ბოლოს ამ კატასაც გაუსატატდნენ თაგვები და ისე ხშირად აღარ ვარდებოდნენ ხოლმე საფრთხეში. ციცუნიას ეს არაფრად ეჭაშნიკა და ისე გაკმიდა ხმა, რომ რამოდენიმე ხანს აღარ დაუჭყავლია, გამოვიდოდა შუა ჭერზედ და მკვდარივით გაიშლართებოდა ხოლმე.

თაგვებმა რომ დიდხანს მათის მტრის ხმა ველარ გაიგონეს, იფიქრეს, თუ ეს რა ამბავი უნდა იყოსო და ამბვის შესატყობლად გამოგზავნეს ზეით ერთი გულმაგარი და ფრთხილი თაგვი. მზვერავმა მიათვალიერ-მოათვალიერა და შეპხედა, რომ კატა ზედ შუა ჭერზედ გაშლართულა. ჯერ მძინარი ეგონა და ახლოს ვერ მიეკარა. მაგრამ ბოლოს და ბოლოს კი მიუახლოვდა, უსუნა, დაუგდო ყური... კატა არ ინძრევა! „ეჲ, – იფიქრა, – სწორედ შეგვენია ბედი და მომკვდარა ჩვენი მოსისხარი მტერიონ“. კიდევ უფრო რომ დაეჯერებინა გული, ერთი კიდევაც უკბინა კუდზედ კატასა. მაგრამ ციცუნია მაინც არ განძრეულა. მაშინ კი სრულიად დარწმუნებული თაგვი წავიდა გახარებული თავის გამომგზავნებთან. გახარებ-

ულმა თაგვებმა შესამონწებლად სხვებიც გამოგზავნეს და ბოლოს ეჭვი ალარ ჰქონდათ, რომ მათი მტერი მომკვდარაო.

შეექნათ დიდი სიხარული და დღესასწაულობა... ბევრი იმხია-რულება და ბოლოს მოინდომეს მკვდრის განკიცხვა და შეურაცხყოფის მიყენება. ამ აზრით შეთხზეს ლექსი, ავიდნენ დიდიან-პატარიანა სულ ერთად ყველა, ჯერ მასხარობით მოთქმით იტირეს კატა და ბოლოს ფერხული დააბეს კატის ირგვლივ ამნაირის სიმღერით:

ციცუნია კატაო,
მაგრე რამ დაგხატაო?
ნუ ხარ ჩვენზედ გაბუტვით:
სევდა მოგვემატაო.

კოხტავ და თავმომწონეო,
„მიაუ!“ გაგვაგონეო!
თორემ შენის უბრობით,
ხედავ, დაგვალონეო!

ეს არს გასაკვირიო:
დაგილია პირიო,
კბილებიც გიკრეჭია,
დაგდგომია ჭირიო!

მეტად არ გამნარდეო,
შენ ჩვენ არ გვიყენდეო!
თუ გულს გერჩის, წამოხტი,
აბა, ინავარდეო!

ამ სიტყვებზედ უეცრად წამოხტა კატა, რომელიც თურმე სიკ-ვდილს იგონებდა, დაერია თაგვებს და მისთანა თქვენს მტერს, იმათ დღე დააყენა!

კუდი ბუძგვით აიპრიხა,
დააბრიალა თვალები,
შეხტა და შეინავარდა,
გაჰკრა-გამოჰკრა ბრჭყალები!

თაგვებო, დედას გიტირებთ,
აბა ვინ დამემატები!
უმწვარად ჩაგაურახუნებთ,
მინდა გიმტვრიოთ ძვლები!

თქვე წუწკო, ქონის პარიავ,
არა ხართ შესაბრალები, –
ეს მიაყვირა ციცუნამ
და ომი იწყო მალები.

ზოგს კუდი დააგლიჯა, ზოგს კისერი მიაკვნიტა, ზოგს ტყავი დაა-ტოვებინა და ზოგს ხორცი.

ძვირად დაუჯდათ თაგვებს მათი სიბრიყვე და უდროვო ფერხ-ული. დიდხანს ეწვოდათ ზურგის კანი.

მაგრამ დრო ყველაფერსა ჰყურნებს. გაიარა დიდმა ხანმა, დაავი-წყდათ თაგვებს ტყივილი, მაგრამ ის უბედური შემთხვევა კი ახსოვ-დათ და მეორედ აღარ ბრიყვებოდნენ: სცხოვრობდნენ თავისთვის ჭერქვეშ თავისუფლად და შეუბორებად. მართალია, ბევრი მწუხარება გამოიარეს, სანამ გამოიცდებოდნენ, მაგრამ რა ვუყოთ, უჭირნახუ-ლოდ ლინის სრული გემო არა აქვს!

იმ დღიდამ დამოკიდებული თაგვები ყოველთვის ბედნიერი იყვნენ, თავის ბედს სჯერდებოდენ და მეტს არ ეძებდენ.

ერთხელ, მხოლოდ ერთმა მათგანმა, სულელმა თაგვმა, იუკადრისა თავის თაგვობა და მოინდომა ჩიტობა. „რა არის ეს ჩემი სიცოცხ-ლეო, – ამბობდა, – მუდამ მინაზედ ვხოხავ და მტვერში ვისვრები ჭერქვეში! სხვაგან წასვლა რომ მინდოდეს, ერთ დღეს ერთ მან-ძილს ძლივს წავიცუნცულებო და ჩიტი კი ერთს შემოჰკრავს ფრთას და თვალის დახამსამებამდის მთა და ველს გადივლისო. მეც რომ ფრთები მქონდეს, იმასავით ბედნიერი ვიქნებიო“.

დაიწყო ვედრება: ღმერთებო, ფრთები მომეცითო. შეუსმინეს ღმერთებმა, გამოება თაგვს ფრთები, გადაიქცა რაღაც ცხოველად, აღარც ჩიტი იყო და არც თაგვი.

გახარებული მიჰორინდა ჩიტებთან. ჩიტებმა აათვალიერ-დაათვა-ლიერს და რომ შენიშნეს, ფრთები ჩვენი აქვს, მაგრამ ნისკარტი არა აქვსო და ტანად თაგვსა ჰეგვსო, აითვალწუნეს. იმდენი კორტნეს, რომ კინაღამ მოჰკლეს. თვალები ამოუკორტნეს და დაჩეკილი გამო-აგდეს. საბრალო ღამურა მეტად შეწუხებული და ღაწყლულებული დაბრუნდა და მოვიდა ისევ თაგვებთან. მაგრამ „ვაის“ გაყრილი „უის“ შეეყარა. თაგვებმა რომ წახეს ფრთები ასხიაო, აიხირეს და იმდენი ჰკბინეს, სანამ არ გამოაგდეს თავის სოროდამ. გზადაბნეული მეღამურა შეფურინდა ერთ ნაგრევში და იქ დაიწყო ბუდაობა და მას შემდეგ, მისი წაშობი ღამურები სულ წანგრევში და კედლების

ნახვრეტებში ცხოვრობენ. დღე ვერაფერს ვერა ჰქედავენ და ღამ-ლამობით ბრმად დაეხეტებიან, აქა-იქ დაფრენენ, ბუზებს იჭერენ და მითი ირჩენენ თავს.

მაგრამ რომ თავის ბედის კმაყოფილი ვერ არიან. ეს მითი მტკიცდება, რომ, როდესაც ორი ღამურა ერთად შეიყრება, ერთი დაიწყებს ხოლმე ტირილს: „ნრიპ! ნრიპ! ნრიპ! ნრიპ!“ და მეორეც უპასუხებს: „ნრუპ! ნრუპ!“ და გაჩუმდებიან.

იცით, ეს რას ნიშნაეს, ჩვენებურად რომ გადმოვთარგმნოთ? ერთი შესჩივის მეორეს: „ვინც თავის გვარტომობას იწუნებს, ის ჩემსავით უბედური იქნებაო!“ და მეორეც უპასუხებს: „დიალ! დიალო!“ მერე ორივე შეერთებულის ხმით მოჰყვებიან ნრიპინს და დიდხანს, დიდ-ხანს გულსაკლავად ნრიპინებენ, თითქოს მოსთქვამენო, და ვინც დაუკეირდება, აი, რა სიტყვებს გაიგონებს მათ საზარელს ხმაში:

კრულ იყოს მისი სახელი,
ვინც მთა გასცვალის ბარზედა!
თვის ტომის დამწუნებელსა
ჭირი მიუვა კარზედა!

ბოროტებისა მოსურნე
ბუნებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!

კრულია მისი ხსენება,
ვინც დაპერმობს დედაენასა,
თვის ტომს ღალატობს და მითი
თვით ფიქრობს მალლა ფრენასა!

[1875]

ძალლი და ცხვრები

ერთი ფარა ცხვარი დადიოდა თავისუფლად, თანაც ერთი ძალლი დაჰყვებოდა და ყოველთვის ყეფაში იყო ისე, რომ სწორედ თავი მოა-ძულა ცხვრებს. აუტყდნენ ცხვრები: რა უბედურებაა, რომ ეს ძალლი აღარ გვასვენებსა! ნეტავი რა სარგებელი მოაქეს ამის ყეფასაო? ყურთასმენა აღარა გვაქვს ამისგან და ბულბულების ჭიკჭიკიც აღარ გვესმისო!

ერთი სიტყვით, იმოდენად შეაწუხეს ეს ძალლი, რომ ველარ გაუძლო მათს დევნას, დაანება ცხვრებს თავი და მოშორდა. თვი-თონაც მოისვენა და ცხვრებიც გახარებული დარჩენ. – გამოიარა მცირე ხანმა და, მისთანა თქვენს მტერს, ცხვრებს საქმე მოუვიდათ: ძალლის ყეფა რომ ველარ გაიგონა მგელმა, იფიქრა: მისთანა სიზმ-რებს ვხედავ, რომ, მგონია, ჩემი ბედი აკუნტრუმდაო! – მიუახლოვდა ცხვრის ფარას და ძალლი რომ ველარ დაინახა, გაერია შიგ, ხან ერთს შეაჯდა ზურგზე და ხან მეორეს! ჰქიჩინიდა უმოწყალოდ!..... შევი-ნროებულმა და ბედის მანყევარმა ცხვრებმა ღმერთს მიჰმართეს ვედრებით: „ყოვლისშემძლებელო, ისევ წაღმა მოგვიბრუნე ჩვენი ბედის ჩარხიო! აქამოდე ძალლისაგან აღარ გვქონდა ყურთასმენა და ახლა მგელი უარესს გვიშვრება: ზურგზედ ტყავს აღარ ჩენსო!“ – იუპიტერმა მიუგო: „თქვენ უგუნურებო, თქვენაო! ის ძალლი იმიტომ კი არა ჰყეფდა, რომ თქვენ შეენუხებინეთ, არა, იმი-ტომ არ ისვენებდა, რომ თქვენი მტერი მგელი შეეშინებია, და ეგ დღე არ დაგდგომოდათო. თქვენი ერთგული თქვენვე მოიძულეთ და ახლა რას მანუხებთო?“ – შეწუხდნენ ცხვრები, და ისევ შეევედრენ: „რადგანაც მისი დაპრუნება აღარ შეიძლება, ერთი პატარა ლეპვი მაინც გვიბოძეო!“ მაშინ გარისხებულმა ღმერთმა მიაყვირა: „თქვენ ისეთის ჯიშისა ხართ, რომ კუდი მოკლე გაქვსთ და რქები დიდიო, და სანამ მაგ რქებს არ მოიცვლით და ტყავს კუდის რიკამდე არ ჩაგახ-ევენ, ვერც ძალლს იგუებთ და ვერც კატასო! ბულბულის სტვენით ნადირი ვის მოუგერებიაო? წაბრძანდით და ახლა თქვენს მელიებს დაეკითხეთო!“

[1884]

სიმართლის მოყვარუ ხელმწიფეს, სხვათა შორის, ერთს საწყალ კაცზედ უფრო ბევრი საჩივარი შემოდიოდა; დღე არ გავიდოდა, ათი საჩივარი მაინც არ შემოსვლოდა, მაგრამ სულ ქალებისაგან იყო შემოტანილი. დიდხანს ითმინა ხელმწიფემ და ბოლოს იფიქრა, რომ ის კაცი, ვიღაცა არის, სწორედ საძაგლი კაცი ყოფილა, თორებ ქვეყანა ასე როგორ გადაემტერებოდა. დაიბარა ერთი დღისათვის მომჩივრებიც და მოპასუხეც. მოიყარეს თავი მომჩივრებმა, მაგრამ სულ ქალებმა, სულ ქალებმა! ასე რომ ათასზედ მეტი მოგროვდა და ყველა ერთხმად ევედრებოდა ხელმწიფეს იმ კაცის ჩამოლრჩობას.

ხელმწიფე თითქმის, კინალამ ნებაზედ დაიყოლიეს, მაგრამ მოპასუხემ იმართლა თავი და მოახსენა ხელმწიფეს:

— ბატონო! ნურც მაგ ქალების საჩივარზედ გაივლით, მაგათ გარდა, ერთი ორმოციოდე ქალი კიდევ დარჩა ჩვენს სოფელში, და თუ ისინიც შეგევედრებიან ჩემს ჩამოლრჩობას, მაშინ თანახმა გავხდები, მადლობა ლმერთსაო!

დაეთანხმა ხელმწიფე, მიაყვანია ის დანარჩენი ორმოცი ქალიც და დაეკითხა მათაც. იმათ ერთხმად უქსეს ხელმწიფეს მოპასუხე და შეევედრენ მის გაბედნიერებას. გაკვირვებულმა ხელმწიფემ უბრძანა მოპასუხეს: „ეს რას ნიშნავს, ამდენი მოსისხარი მტერი გყოლია და ამდენი კი გულითადი მეგობარიო?“

— „დიდებულო ხელმწიფეო! ჯერ ის დაათვალიერეთ, თუ იმ ათასს ქალში უმახინჯო ერიოს და ამ ორმოცში ერთი მახინჯიო, და მაშინ მოგახსენებ პასუხსაცაო,“ — უპასუხა საწყალმა. მართლადაც, დაათვალიერა ხელმწიფემ და, როგორც იმ ათასში უმახინჯო ვერ შენიშნა, ისე იმ ორმოცში მახინჯი, და გაკვირვებით ბრძანა: „ეს მართლა, რას ნიშნავსო?“

— „რა ვიცი რას ნიშნავს, ჩემო ხელმწიფეო! — მიუგო მაშინ მოპასუხემ, — არც არაფერი ერთისტვის დამიშვებია და არც არაფერი მეორისტვის გამიკეთებიაო. მე ერთი საწყალი ხელოსანი კაცი ვარ, მესარქე; სარკებს ვაკეთებ ხოლმე, ლამაზები ჩაიხედვენ შიგ, ლამაზად გამოჩნდებიან, და მახინჯები — მახინჯებად! მე მიტომ ვაკეთებ, რომ ლამაზმა შიგ იკეკლუცოს, და მახინჯმა, გასვრილმა სახე გაინმინდოს და გასწორებას ეცადოს. ესენი კი თავის მახინჯობას ჩემს სარკეს აბრალებენ! ახლა რისიც ღირსი ვიყო, ის მომანიჭეთ, დიდებულო და სამართლიანო ხელმწიფეო!“

მოწონა ხელმწიფეს ეს და გამოსცა ბრძანება:

„დღეს იქით ალარავინ გაბედოს საჩივარი ალარც მესარკეებზე და ალარც მწერლებზედ, რადგანაც ორივე ერთმანეთს ემზავსებიან მოხელობითაო!“

[1884]

ერთ მზეთუნახავს, უზომო და გარყვნილ ცხოვრებისაგან დაზიანებულს და დასუსტებულს, გამოეცხადენ ერთს დროს უცხო ქვეყნიდამ დაბრუნებული ორი ყმანვილი კაცი. ორივე მშვენიერები, კარგი ნასწავლი და მზეთუნახავისადმი სიყვარულით აღვსილი...

უნახა პირველმა მაჯა და შეატყო, რომ თუ ეს ქალი ახლავე არ შეუდგა თავდარიგს, ამ ორი წლის განმავლობაში ან სულ მოკვდება, ან ისე გაფუჭდება, რომ საზიზლარი სანახავი იქნებაო! მაშინვე დაუფარავად უთხრა ესეები ყოველივე მზეთუნახავს, დაარიგა და რაც მისი სასარგებლო, მაგრამ უსიამო წამლები იყო, ის ასწავლა.

მეორემაც უნახა თუ არა მაჯა, ისიც ისე მიხვდა მზეთუნახავის სწეულებას, როგორც პირველი, მაგრამ რაც მზეთუნახავის სასიამო, მაგრამ მავნებელი ქცევა და ნამალი იყო, ის ურჩია ლიმილით... რასაკირველია, მზეთუნახავს პირველი ექიმი უსიამოდ დარჩა და ამას ფიქრობდა: — „რა საძაგელი კაცი უნდა იყოს და უზრდელი, რომ ნახვიასთანავე უსიამოვნობით გული შემინუხაო!“ მეორეზე კი გულმა ბევრი რამ კარგი უთხრა, და რამდენადაც პირველი შეიძლა, იმოდენად მეორე შეიყვარა. დაბრუნდენ ყმანვილები თავ-თავის სახლში და დაიბარეს სამკურნალო წამლების მზადება. პირველმა იფიქრა: — „ეს ჩემი წამლები მზეთუნახავს კი მოარჩენენ, მაგრამ მე დამრჩებიან ავადო! სიცოცხლეს მომინამვლენ, სიმრთელეს დამიკარგვენ და ვინც მიყვარს, იმასაც დამატერებენ; მაგრამ, მადლობა ლმერთს! ისევ მე გავუბედურდე, ის მირჩევნია, ვიდრე ჩემი საყვარელი მზეთუნახავი ვნახო დამახინჯებულიო!“

ეს გადასწყვიტა თავის გუნებაში და შეუდგა წამლების მზადებას: ამოილო თავისი ნაღველი, გალესა თავისი ცრემლებში, ჩააწვეთა ოფლი და შეადგინა სამკურნალო.

მეორემ იფიქრა: — „მე თუ იმას ნამდვილი სამკურნალო წამალი შევუმზადე, საწყენად დარჩება, ჩემს თავსაც ვერას ვარგებ და რად ვქნა ეგაო?! იმისთანა წამალს გავუკეთებ, მის გულს იამოსე მით თავს შევაყვარებ, დიდს პატივში ვეყოლები და ბოლოს თუ ანყენს, ჯანიც გავარდეს! რას დავდევ? მე ხომ მაინც გაბედნიერებული დავრჩებიო! თუ არ ეშმაკობით და მოტყუებით, ისე სიმართლით ვინ გაკეთებულაო!“ ეს გადასწყვიტა და გააკეთა შარბათი.

მეორე დღეს ორივემ მიჰმართეს მზეთუნახავისკენ. — პირველს ხვეწნა, რჩევა და ვედრება რომ აღარ გაუვიდა, ძალა იხმარა, ჩაასხა

სამკურნალო მწარე წამალი პირში ავადმყოფს და ისე დაალევინა. გაანჩხლებულმა მზეთუნახავმა მეტის სიკაპასით წვერ-ულვაში აგლიჯა ექიმს, ტანისამოსი დაახია, სახე დააფხაჭნა და ისე გამო-აგდო კარში. მეორემ, რამდენიც შეიძლო, დაუყვავა, დაალევინა შარ-ბათი და ისე დაატყბო, რომ გული მოუბრუნა, მზეთუნახავმა ისე გააბედნიერა და შეიყვარა, რომ საყვარლადაც კი აიყვანა...

განვლო დიდმა ხანმა. ერთს დღეს, როდესაც სრულიად მორჩე-ნილი და გაბდლიალებული მზეთუნახავი მისის პატარა, ლამაზის და ტანმრთელის ვაჟით ბალში დასეირნობდა, შეხვდა ერთ გლახაქს, რომელმაც, შეხედა თუ არა სიამოვნებით დაუკრა თავი.

- ვინა ხარ შენ? ჰყითხა მშვენიერმა და შეაჩერდა გაშტერებით.
- მე ისა ვარ, ვისიც წყალობით შენ დღეს ასე მშვენიერი ხარ და ვისიც სიყვარული უნდა გქონებოდა! მიუგო გლახამ.
- გეტყობა, რომ ისე მშვენიერი არა ოდეს არ იქნებოდი, რომ მე შენი შეყვარება შემძლებოდა, - სიცილით უთხრა თავმომწონე ლამაზმა.

- არა, შენს საყვარელს კიდე მე ვჯობდი სილამაზით, მიუგო მან; - მაგრამ, როდესაც შენს აქიმობას შევუდექი, მაშინ ჩემი ნაღველი დავანთხიე და გავყვითლდი, ვიტირე და თვალის ჩინი მომაკლდა, თმა და წვერ-ულვაში შენ დამაგლიჯე, სახე დამიბრჭყალე და დღეს რაღად გიკვირს, რომ კარგი აღარ ვიყოო?

ამ სიტყვებმა შეარცხვინეს მზეთუნახავი, ამოიღო ქისა და დაუპირა ფულის ჩუქება, მაგრამ გლახაემა უარი უთხრა.

- ჩემი ჯილდო დღეს მე მიღებული მაქვს. თუ არ ჩემის შრომითა და ჩემის წამლებით, დღეს ვეღარც შენ გნახავდი მაგრე მშვენიერს და არც ეს შვილი გეყოლებოდა მშვენიერი და ტანმრთელი. ჩემი თავმოყვარეობა დაკმაყოფილებულია თქვენის ბედნიერების ნახვითაო!

ეს უთხრა და დაადგა თავის გზას: წარემართა სასაფლავოსაკენ...

[1884]

მოსწავლე და მასწავლებელი

ამბავი

ერთ მოხუცებულ ბრძენს მეფემ შვილი მიაბარა: „როგორც ამის გვარიშვილობას შეჰვეროდეს, ისე გამომიზარდეო“. მოძღვარმა ბევრი ეცადა, მაგრამ უნიჭო მონაფეს ვერა შეასმინარა. რომ დავა-უკაცდა ის უფლისნული მამამ, შემოუთვალა გამზდელს მოდი და ჩემი შვილი მომგვარეო.

გამზდელმა გაზდილს დაუძახა, გადასცა მამის სურვილი, გამო-აწყო რა მგზავრათ და წაიყვანა გზაში ასე უთხრა: შვილო, ჩემ სახლში რაც შემეძლო, წრთვნა შენთვის არ მომიკლია, და სანამ მამასავე არ ჩაგაბარებ არც გზაში მოგიშლიო. უკანასკნელათ კიდევ მოგ-ცემ დარიგებას, მერე შენ იციო: „დაუჯერებელს ნუ დაიჯერებო“, „სადაც არ მისნედეო, იქით ხელს ნუ გაიშვერო“, „გადასულ საქმეს ნუ ინანებო“, „გზაზე რომ მიდოოდე განზე ყურებას ნუ დაიწყებო, წინდაიხედეო“. „ბრიყვისაგან ნურა გეწყინებ რაო“, „ავზე ნუ აჩქა-რდები და კარგზე ნუ გვიანობო!“

დაარიგა და გაუდგენ გზას. გზაზე მონაფემ ჩიტი დაიჭირა და ჩაისვა უბეში: რათ გინდა ეგ ჩიტი ცოდოა გაუშვიო, უთხრა მოძღვარმა და მონაფემაც დაუჯერა და გაუშვა. ოპ, ეგ რა ჰქენე! როგორ გაბრი-ყვდი, რომ ბედი ხელიდან გაუშვიო. მიაყვიარა მოხუცმა ყმაწვილს. ეგ უბრალო ჩიტი კი ნუ გგონია, კუჭმი ბატის კვერცხის ხელა მარ-გალიტი უძევსო!

შეწუხდა უფლისნული, გამოუდგა ისევ დასაჭერათ ჩიტს, პატარა ჩიტი ხეზე შეფრინდა. ერთი შტოდან მეორეზე გადადოოდა ის კი ხელს უშვერდა და ვერ იჭირდა. ბოლოს სულ გაფრინდა ჩიტი. ყმაწვილმა ტირილი დაიწყო. მოხუცმა უთხრა: აგრე იმარხავ შენ ჩემს დარიგე-ბასო? აკი გითხარ რომ დაუჯერებელს ნუ დაიჯერებო: ეგ ჩიტი რომ თვითონ არ იყო ქათმის კვერცხის ხელა ბატის კვერცხის ოდენა მარ-გალიტი კუჭმი როგორ დაეტეოდა? რასაც ხელი არ მიგიწვდებოდა, რილასთვის აშვერდი? განა გაფრინდი ჩიტის დაჭერა მოსახერხე-ბელია? და მართალიც რომ ყოფილიყო, წარსულ საქმეს ტირილით როგორლა გამოაბრუნებდი, რაც თავს არ შეინუხებდი უბრალოდო? არ გითხარ, რომ წარსულ საქმეს ნუ ინანებო.

შერცხვა ყმაწვილს და გაჰყვა მოხუცს თავჩაღუნული. დიდი იარეს, პატარა იარეს შევიდენ ერთ სოფელში და გაჰყვენ შუკას.

მოსწავლე და მასწავლებელი

შეუის პირად გაღმა-გამოლმა მოსახლეები იდგნენ. უფლისწულმა აქეთიქით თვალიერება დაუწყო, უცბად ფეხი ქვას წამოზდო და ძირს დაეცა. იქ შორიახლოს ჩრდილში ერთი ვიღაც საპყარი ეგდო და სიცილი აიტეხა. უფლისწულს გული მოუკიდა და შეუტია გასა-ლახავათ. ბრძენმა ხელი მოჰკიდა შეაჩერა და უთხრა რათ დაივიწყე ჩემი დარიგება! სიარულის დროს განზე რათ იხედებოდი? ის კაცი საპყარია ვერა ოდეს ვერ წამოდგება, ძირსა გდია, შენ კი უცბათ წაი-ქეც, მაგრამ იმავე წამს ზეზე წამოდექი და ის კი სიცილს გაყრისო. ბრიყვი თუ არ იყოს ამას როგორ იზამდა და ბრიყვისგან რამე რათ გენწინაო? და საცემათ რომ არ მოგეშურებია იმ საპყრისათვის, განა გაგექცეოდაო?“

შერცხვა კიდევ უფლისწულს და გაჰყვა თან. სოფლის ბოლოში რომ მივიდენ, იქაც კიდევ ერთი საპყარი დაუხვდათ, მოწყალებას ითხოვდა. არიქა გაიქცი და მალე მიეცი სამოწყალოო... ურჩია მოძღვარმა. მონაფემ გაიცინა: „ეს იმისთანა საპყარი არ არის, სად-გამექცევაო. იქ სხვა იყო და აქ სხვა არისო! მიუგო მოძღვარმა, იქ ცუდ საქმეზე მიდიოდი და აქ კი კარგზე გაგზავნიო! აკი გირჩიე რომ ცუდზე ნუ აჩქარდები და კარგზე ნუ დაიგვიანებო!“.

ნავიდენ კიდევ, მივიდნენ ერთ ტყის პირად. გადუხვია ტყეში მოხუცმა, გამოსჭრა ჯოხი და დაიბჯინა. ყმანვილს უთხრა: თუ გინდა, რომ არ დაიღალო შედი ტყეში და მომხმარე იშოვე, ისიც შევიდა ტყეში, ბევრი იარა, მაგრამ ვერვინ წახა, გამოვიდა ისევ ხელცარი-ელი. სასახლის კარს რომ მიუახლოვდენ, უფლისწულმა სთქვა: მე ძლივს მოვათრევ ფეხებს და შენ კი დაღალვა არ დაგტყობია! მე მომხრე ვიშოვნე ტყეში და შენ კი ვერაო! აბა სად არისო? აი ეს არისო“ უჩვენა მოხუცმა ჯოხი.

ამით გათავდა მათი საუბარი. მივიდენ სასახლეში. მეფემ წახა თავისი შვილი, აათვალიერ-დაათვალიერა, გამოჰკითხა ბევრი რამ და ჭკუა რომ ვერ შეატყო, გაჯავრდა მოხუცზედ, არაფერი არ უსწავლებია ჩემი შვილისთვისაო! ბრძენმა მოახსენა მეფეს: ერთი სათქმელი მაქეს, ის მომისმინეთ და მერე შემრისხეთო: ერთი კაცი მომგვარეს სტუმრათ სახლში. მე ვერ მივიღე, რომ უნდოდა ისე, რადგანაც ბინა არა მქონდა, მწყრალათაც დავუხვდი, სტუმარიც გაჯავრდა და წავიდა, აღარ დადგა ჩემ სახლშიო! და მომყვანს ბრალი რამ აქვს თუ არაო? მეფემ ბრძანა: მომყვანს რა ექნას, ეგ მასპინძლის ბრალია, რომ კარგათ ვერ მიუღია და ბინა არ ჰქონიაო. მაშ, მე რაღათ მიწყრებით დიდებულო მეფეო! მიუგო ბრძენმა სწავლა და მეცნიერება სტუმარია,

მოსწავლე და მასწავლებელი

ჭკუა კი მასპინძელიო და თუ თავში ჭკუა მწყრალად არის, აღარც ისინი მოიცდიანო. მე ისინი მოვგვარე ამ თქვენ შვილს, მაგრამ მაგას რომ ბინა არ ჰქონდეს მათვის და ვერ მიიღოს, ჩემი რა ბრალიაო, განა არ მოგეხსენებათ ანდაზა:

„რა გიყო, ძმაო თარხანო, თუ კი ჭკუაზე თხლათ ხარო“.

ლექსი

სიპრძნე, ჭკუა და გონება
ქვეყნად ედემის ბალია,
სწავლა და გამოცდილება
ხელსაწყო იარალია.
უგნეური დადის ბორკილით,
სახეზე აზის დალია,
სწავლულს წინ უძევს გზა ხსნილი,
კარები სრული და ღია.
უსწავლელობა ბნელია,
სწავლა ნათელი და დღია.

გამოცანა

არც ისმება, არც იჭმება,
არც ხელით დასაჭერია,
თითონვე ასმევს და აჭმევს
კაცისთვის ყველაფერია.

ზმა

რათ გაუგონე ბატონსა
ღვთისა საწყენი სიტყვები!
იქ მოხვალთ სწორათ, სადაცა
არც ბატონია, არც ყმები.

ჩქარსათქმელი

გონება განა განგებ გამოგონებული გგონია. გამოგონებული გან-გებ გონება რა გონებაა.

გიუი-გადარეული

მამა უცხონდა სკვითორელს,
თავი კი მიგსცე ხელათა!
თავის ოჯახში ბრიყვია,
სხვისაში შედის ხელადა;
ხან იღრინება ძალლივით,
ხან იპარება მელადა;
სხვებს „მაცა-მაცას“ უძახის,
დიდად ყროყინებს ველადა;
აღარც კაცია, არც მხეცი,
გამხდარა საეჭველადა;
ქვეყნის ცოდვა და ვარამი
გარს შემორტყმია მცველადა;
არ იხსენება ახლებში,
არც ვარგებულა ძველადა;
ღმერთო, შენ გაასამართლე,
შენ გიხმობთ დამფარველადა.

[1884]

ძველად ერთი დიდებული მეფე იყო. დღედაღამ სულ მისის სამეფოს ბედნიერებაზედ ფიქრობდა, მაგრამ ვერას არიგებდა კი. ერთ დღეს მკითხავმა მოახსენა: „დიდებულო ხელმწიფეო! თქვენს სამეფოში არა გაკეთდება რა, სანამ ქაჩილებსაც ბინა ექნებათო. თუ ისინი არ მოიშორეთ როგორმე, შრომა და ზრუნვა უქმად ჩაგივლისთო“.

დაიჯერა მეფემ, გასცა ბრძანება და, მისთანა თქვენს მტერს, იმ სამეფოს დღე დაადგა: ქაჩილებს ხუჭუჭოთმიანებიც მიაყოლეს ხელქვეითებმა. მათის შიშით ქუდი ველარავინ დაიხურა: მაშინვე სიქაჩილეს შესწამებდენ! მრუდსა და მართალსა თმაში ავლებდნენ ხელს და ქოჩორს აგლეჯდენ... ვინც კი კარისკაცების მორჩილი და მონა არ იქნებოდა, მაშინვე ქაჩილობას დასწამებდნენ, და ვიღას შეეძლო ხმის ამოღება?

შესწავდა ხალხი, ველარ შესძლო მოთმინება და მიუგზავნეს მეფეს მთხრობელი: „აღარა ვართ! ამოვგარდით ამ თქვენის კარისკაცებისგანაო! თუ ამათ ასე წამდაუწუმ თმაში ხელი გვავლეს, დავქაჩილდებითო, აბა, რა დაგვემართებაო?“

მეფემ მოიხმო კარისკაცები და გამოჰკითხა, მაგრამ იმათ ასე იმართლეს თავი: „მართალია, ხანდახან ხუჭუჭოთმიანებსაც მოვაკლებთ ხოლმე ხელსაო, მაგრამ უიმისობაც არ შეიძლებაო: აბა, როგორ გავიგოთ,. მათი საკუთარი თმა არის, თუ არა? განა არ შეიძლება, რომ ქაჩალმა სხვისი თმა გაიკეთოს და თავი შემოგვაპაროს?!“

მეფემ მოუწონა ხელქვეითებს ერთგულობა და მოხერხება და არა თუ შერისხა, კიდევაც დააჯილდოვა. ამით გათამამებულმა კარისკაცებმა სულ მუსირი გაავლეს სამეფოს!.. დარჩათ ბურთი და მოედანი, „ქვეყნის ჭირი მათი ლხინი შეიქნა!“ შევიწროვდა სამეფო. მოხდა ამბოხება და ეს ვერ დაურჩა მეფეს სასიამოდ. დაიბარა კარისკაცები და შეჰყარა ერი დიდ დარბაზში, – არჩიეთ რამეო. თვითონ კი სენაკში დაიმალა და იქიდგან უყურებდა დარბაისელებს: უნდოდა შეეტყო, რანაირად ირჯებიან ისინი, როდესაც მას არ ხედვენ. იცადეს კარისკაცებმა, და რო აღარ გამოვიდა მეფე, უკმაყოფილება დაიჩინეს. ერთმა მათგანმა სთქვა:

– ახლა რომ მეფეს ვინმე გამოიყვანდეს, სწორედ მიწამდი თაყვანსა ვსცემ ასეო! გადიხარა, უეცრად ქუდი მოვარდა, და აკი ქაჩალი თავი გამოუჩნდა! მეფემ ეს დაინახა საიდუმლო ოთახიდამ და გაუკვირდა.

მელოტები

მეორე დარბაისელმა უთხრა პირველს:

– შე უხეირო! სხვასთანაც რომ მაგრე მოგივიდეს მერე რაღა გეშველება? აი, ასე მაგრა უნდა გეხუროს ქუდიო! რამდენიც უნდა ვაქნიო თავი, არ მომდვრებაო, თუ მე თვითონ გულდაგულ არ მოვიხადე, ასეო, – მოიხადა ქუდი, და გამოუჩნდა იმასაც ქაჩალი თავი.

მეფემ ესეც დაინახა.

მესამე დარბაისელთაგანმა უთხრა იმ ორს:

– თქვე ოხებო, მაგ ქაჩალ თავს რომ იჩენთ, რა სასიამოვნო გვონიათო?

– შენ ვინა გკითხავსო? – და სიცილით წაჰერეს თავში. მესამესაც ძალაუნებურად ქუდი გადაუვარდა და ისიც ქაჩალი გამოდგა! მეფემ რომ ესეც დაინახა, აღარ იცოდა, რა ექნა. ადგა, გამოვიდა დარბაზში და ჰკითხა კარისკაცებს:

– „რა მიზეზია, რომ სამეფო ასე გამიორგულდაო?“

იმათ უპასუხეს, რომ ეს სულ ქაჩლების ბრალიაო. ვსდევნით, დღე და ღამ მოსვენება არა გვაქვს, მაგრამ ვერა გავაწყვეთ, არა გვეშველა რაო!

– „რითი გინდოდათ გაგერწყოთ და რა საშუალებას ხმარობდითო?“

– უბრძანა ისევ მეფემ.

– ზოგს თავსა ვსჭრიდით და ზოგს მდუღარეს ვასხამდით და ღადარს ვაყრიდით თავზედაო.

– ბევრი გიშრომიათ, მადლობელი ვარ თქვენი, მაგრამ რადგანაც ქვეყნიური საშუალება აღარ გამოვდოგომია, ახლა უნდა ზეციერს მივმართოთ, და თუმცა ქუდის მოხდა ჩვეულება არ არის, მაგრამ ახლა კი მე გიბრძანებთ: ყველამ ქუდი მოიხადოთ და თავშიშველი შევევედროთ ღმერთს, რომ ქაჩლები მოგვაშოროს.

ფერი ეცვალათ კარისკაცებს, მაგრამ რაღას იზამდნენ? ძალა-უნებურად მოიხადეს ქუდები და მისთანა, თქვენს მტერს: სუყველა ქაჩლები გამოდგნენ! მაშინ კი მიხვდა მეფე, რომ მოტყუებული ყოფილა. მოიხმო თავისი სამეფო და ასე უბრძანა:

– მადლობა ღმერთსა, შევიტყვე, რაც ამბავი ყოფილაო! წაიყვანეთ ეს ჩემი კარისკაცები და რაც გინდათ, ის უყავითო!

– ნათქვამია, შენი ჭირიმე: „რაც თხამ თრიმლს უყო, ის თრიმლმა თხის ტყავსაო!“ მოახსენეს ქვეშევრდომებმა და სტაცეს ხელი კარისკაცებს, გადაატყავეს თავის კანი და გადააკრეს დაირას. მის შემდეგ აღარც ამბოხება და აღარც უკმაყოფილება! ორგულებიც კი გაერთ-

მელოტები

გულდნენ. საქმის დროს მუშაობდნენ და უქმე დღეს ილხენდნენ, დაირას უკრავდნენ, თამაშობდნენ და ასე დაპეროდნენ:

ჰე, ორგულო, შენი სული
ეშმაკისა ბარგია!
და ეგ შენი თავის კანიც
დაირისთვის კარგია!

დიფ-ტი-პიტო! დიფ-ტი-პიტო!
დაუკარი დაირა!
ჩვენმა ცოდვამ ორგულებსა
კისერში დააჭირა!

მოლალატევ, რაც ცუდია,
ყველა შენი ნარგია!
თავცანცარავ, პანლური
ხანდახან შენც გარგია!

დიფ-ტი-პიტო! დიფ-ტი-პიტო!
გამიხურდა დაირა!
ორგული და მოლალატე
ეშმაკმა დაიპირა!

[1884]

ამბავი

ბრიყვი და ჭკვიანი შეიყარნენ გზაჯვარედინზე. ჯერ გამარჯობა უთხრეს ერთმანეთს და მერე ჰქოთხა ჭკვიანმა: „სად მიღიხარო?“ „არსად! აგერ ცხრა მთას იქით, სატირალში მეძახიანო!“ – უპასუხა ბრიყვმა. შენ სადღა მიღიხარო? მეც აგერ ამ მთას გადალმა, ქორნილში მეპატიუებიან! „ლმერთმა კარგი მოგცეს, ერთი გზა გვქონია!“

დაადგენ ორივე ერთად შარას და გააბეს საუბარი. პირველ მთის ძირამდი რომ მივიდენ, მოშივდათ; სადილი მოინდომეს; დასხდენ, მოიხსნეს გუდა-ხურჯინები, ამოალაგეს საგზალი და დაუწეუს ჭამა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ბრიყვმა უთხრა ჭკვიანს: „კატასავით რომ იცუცნები, სთევი რამეო! ხომ იცი რომ ხმის გაუცემლობა მომდურაობას ნიშნავს? მართალია, მაგრამ არც ბევრი ლაპარაკი ვარგა სუფრაზეო! უპასუხა ჭკვიანმა. თუ მაინცა და მაინც აღარ იშლი, შენ „ციცუ-ციცუ!“ მიძახე და „მიაუ-მიაუს“ დაგიძახებო. მოენონა ბრიყვს და მოჰყვა „ციცუ-ციცუს“ ძახილს... პირში ვეღარა ჩაიდვარა. „მიაუ-მიაუ!“ იძახოდა ჭკვიანი და თან იტენდა პირს...

სუფრა რომ აიღეს, ჭკვიანი გამაძლარი დარჩა და ბრიყვი კი მშეირი. მთა რომ გადაიარეს, ბრიყვს კიდევ უფრო მოშივდა და ამხანაგს უთხრა ვისამხროთ! „კარგიო, მაგრამ ერთი ხაჭაპურის მეტი აღარა დაგვრჩნია რაო და ის ან შენ არ გეყოფა ან მეო... თუ გინდა სანაძლევო დავდვათ: ერთ თავში შენ მოუჭირე კბილი, მეორეში მეო; გავსწი-გამოვსწიოთ და ვინც წაართვას იმას დარჩესო უპასუხა ამხანაგმა. – კარგიო? დაეთანხმა ბრიყვი. – მაგრამ შენ ახლა „ციცუ-ციცუ“ იძახე და მე „მიაუს“ დავიძახებო.

მორიგდენ. მოუჭირა ჭკვიანმა კბილები ხაჭაპურს და მოჰყვა „ციცუ-ციცუო!“ მოუჭირა მეორე თავში ბრიყვმაც კბილები და დაიძახა „მიაუ!“ გაალო პირი, გამოუარდა ხაჭაპური და წააგო სანაძლევო. მოჰყვა წუნუნს, რალა ვენა ახლა მშეირმა: შორი გზა მაქვს და საგზალი კი გამომელიაო! „არა გიჭირს რაო!“ – ანუგეშა ჭკვიანმა. დაბრუნდი შინ ცოლ-შვილში, ახალი საგზალი გამოაცხობინე, მაგრამ ბევრი თუ არ იქნა,
„ბრიყვის საგზალი მალე დაილევაო“.

ლექსი

საჭადრაკოა ქვეყანა
დიდი და მრავალფერია;
ავი და კარგი იმისი
ერთ კაბადინზე სწერია,
მაგრამ არ შეკრთე, ვაჟკაცო
ყველა ცით მონაბერია!..
გადი-გამოდი, იშრომე,
არ გახდე თავის მტერია...
თუ ხერხი კაცსა უჭირავს!
დევზედაც ლონიერია.
ბრიყვი ამ სოფლის მონაა,
– უფალი გონიერია!..

გამოცანა

ზურგით ვატარე გარეგან
შიგნითი სატარებელი,
კუჭის საჭირო სტუმარი
და გულის გამხარებელი.

ზმა

კობრი ყვირილის სჯობია,
კალმახი შაორისაო,
თერგის ორაგულს აქებენ
ბიჭები გაღმა მხრისაო.

ჩქარსათქმელი

მგზავრმა გზაგძელი, წაისაგზალ-წაიმგზავრა და ისევ წამოიგზა-
გძელი წამოისაგზალ-წამოიმგზავრა.

[1884]

ერთი მეფე იყო, ორი შვილი ჰყავდა: ერთი გლახა და მეორე კარგი. როცა მეფე მოკვდა, ხალხმა მოითხოვა კარგი შვილის გამეფება, მაგრამ ის კარგი კი უარზე დადგა და რომ აღარ მოეშვა მისი სამეფო, ხალხს უთხრა: მაშ კარგი! მაცალეთ ცოტა, სხვებსაც ვეითხავ რჩევას და მერე გეტყვით გადაწყვეტილ პასუხს.

ეს რომ უთხრა, ფეხისადგილში შევიდა. იქ ცოტა ხანს იცადა და იქიდან რომ გამოვიდა, პირდაპირ მიადგა სარკმელს, გაჰყო თავი და მიაძახა გარეთ მოგროვილ ხალხს: არ შემიძლია, არ მირჩიესო!

გაოცებულმა ხალხმა შეუბრუნა სიტყვა: რომ არავის მოლაპარა-კებიხართ? ჩვენ ყველა ვხედავდით, რომ ფეხისადგილში შებძანდით და მხოლოდ იქიდან გამობძანდითო!

– ჰო და კიდეც იქ მირჩიესო: რომ შევედი, სუნი მეცა და თავი მოვარიდეო! ქვემოდან ვიღაცამ ამომძახა: რას მარიდებ თავს, რომ მარიდებო? სანამ ცოცხალი ვიყავ, მე კაი ქათამი ვიყავი და რომ დამკლეს და ადამიანის ყბაში ჩავვარდი, ასე ავყროლდიო. მეორემ სთქვა, ცხვარი ვიყავი და ადამიანის ქბილი რომ მომხვდა, ასე ავყ-როლდიო. მესამემ სთქვა, ნესვი ვიყავი სუნელოვანი და ადამიანის პირში რომ ჩავვარდი, ასე ავყროლდიო და სხვანი. ახლა, ჩემო ძმებო, ჯერჯერობით კარგი ვარ და თქვენც მაქებთ, მაგრამ პირში რომ ჩაგივარდებით და ყბად ამიღებთ, ავყროლდები და ამას ვერიდებიო.

მკითხველთან ბოდიშს ვიხდი ამ არაკისოვის, მაგრამ მეტად საგულისხმოა! მართლა რომ საბრთხილოა ქვეყნის პირში ჩავარდნა. ხალხმა თუ ერთხელვე ყბად აიღო ვინმე, მორჩა, გათავდა!

ლეგენდები

ლეგენდა

თუ როგორ გაჩნდენ ქვეყანაზედ: მოლალური, ბულბული და ოფოფი

იმისთანა პნელი ღამე იყო, რომ კაცს თვალთან მიტანილი თითის დანახვაც არ შეეძლო; მაგრამ მაგიერად ფეხის ხმა არ გამოეპარებოდა იმ მიწუნარებულ არემარეში.

ამ დროს, თითქოს ჯადოქარს მოეტანოს, რაღაცამ გაიწერიალა ჰაერში და თანაც მოისმა ჩონგურის საამური ხმა. ისეთნაირად ქვითინებდა სიმები, რომ, თითქოს ქვეყნის ტანჯვა უნდოდათ ნემსის კუნწში გაეძვრინათ ისე დაედნოთო...

დიდხანს, დიდხანს გულ საკლავად წერიალებდა სიმები უცნაურის ძალით, და ბოლოს კი სიმღერაც მოისმა.

კილო იმ სიმღერისა არა ჰერგვადა არც „სალხინოსა“ და არც „ზარის“ ხმას; ის იყო გულგახეთქილის რაღაც გულ გამხეთქის საყვედურისა და წყევა-კრულვის ერთად შეერთებული ხმა.

შესწყდა სიმღერა, მაგიერად იქვე მოისმა ერთი მეორეზედ რაღაც ბუტბუტის, ამოოხვრისა და ხითხითის ხმები.

მთვარე ამოვიდა და გამოჩნდა შემდეგი სანახავი:

ერთის სახლის წინ იდგა ჩონგურით ხელში თავდახრილი გოგია მეჩინგურე და შესცეკროდა მოაჯირს, საიდამაც სამი ქალი იყო გადმომდგარი. ერთი მათგანი, მოხუცი, რაღაცას ბუტბუტებდა, მეორე, მშვიდობიანის სახის ახალგაზდა ქალი ხენწმიდა და მესამე – კოპნია ყმაწვილქალი კი, იცინოდა.

სამივესი სხვადასხვა გვარად გულის თქმისა და სულის მოძრაობის მიზეზი იყო ერთი და იგივე.

– ეგ არის რაღა, გვეთხოვები, აღარ იშლი? მიდიხარ, მაგრამ ოჯახს ვის უტოვებ? ჩემზედ აღარას გეტყვი, დედა ვარ, მარა ეს და მაინც აღარ გებრალება?! და ან ამ ახალგაზდა ცოლის მოშორება როგორ არ გწყვეტავს გულსა? ვის ხელში გვტოვებ და რას გვიპირებ? – უთხრა მოხუცებულმა ქალმა.

– დედილო, უპასუხა გოგიამ მშვიდობიანად. – ვისაც თავისი ვალი არ შეუსრულებია, იმას ნება არა აქვს არც დედის, არც დისა და

გოგია მეჩონგურე

არც ცოლის სიყვარულისა! სირცეხილია მამაკაცისათვის, დედის კალთაში ქალაჩუნობით თავის ჩადება, დის კისერზედ მოხვევა და ცოლის გვერდით ამოჯდომა მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას შავი დღე ადგია და მისი მოძმები თავგანწირვით ბრძოლის ველზე სისხლად იწურებიან!.. ხომ ხედავ, ჩვენ სამშობლოს რა დღე ადგია?..

აღარ შემიძლია მოვიცადო! მივეშურები იქით, საითკენაც ჩემი ვალი მიმიწოდებს!.. სიკვდილი ან გამარჯვება! აი ასე გადაწყვიტა ჩემმა გულმა! მივდივარ და თქვენ გიტოვებთ ამ ანდერძს: გიტოვებთ ამ ჩემს ჩონგურს, რომ გამოილვიძოთ! სამივემ თითო-თითოჯერ დაუკარით ხოლმე ყოველდღე: თუ სიმები არ დაწყდეს, ცოცხალი მიგულეთ; და, თუ სიმები დაწყვეტილი ნახოთ, მაშინ კი შენდობა შემომითვალეთ!..

ამ სიტყვების შემდეგ თვალცრემლიანი გოგია ჩაეკრა გულში სამივეს, გამოეთხოვა, დაინერა პირჯვარი და გაეშურა გზას.

გამწარებულმა დედამ გზა დაუწყევლა სიტყვიერად, თუმცა გულში კი სულ სხვასა გრძნობდა; დას რაც გულში ჰქონდა, ის პირა-დაც უთხრა: გზა დაულოცა; და ცოლი მხოლოდ გაიბუტა და თვალთ ცრემლები მოიწმინდა.

იმ ღამეს დას ძილი არ გასტეხია, ცოლმაც მადიანად ამოუშვა ხვრინვა, მაგრამ მოხუცმა დედამ კი საწოლი ცრემლებით მორწყო!

– რად დავწყევლე მე უგუნურმაო? – ფიქრობდა, – რომ გასჭრას ჩემმა წყევლამ? მაგრამ არა, არა, ტყვილად ხომ არ არის ნათქვამი, რომ „დედის წყევლა შვილზედ არ გადისო“, დედა რომ პირით იწყევლება, მაშინ ძუძუები უარს ამბობენო! – ჩემმა ძუძუებმაც უარი სთქვეს!.. ღმრთო, ნუ უსმენ ჩემ ცოდვილ ენას! – ასე ქვითინებდა მოხუცი დედა და თანაც სასოებით პირჯვარს ისახავდა.

გათენდა თუ არა, დედა პირველი მიდგა თაროზედ, ჩამოილო ხელის კანკალით მალლიდან ჩინგური და, ანდერძისამებრ, სიფრთხილით ჩამოჰკრა სიმებს და დაამლერა შემდეგი სიტყვები:

დედის სიმღერა

ცხრა თვეს მუცლით გატარებდი,
„ვაით“ გშობე, „უით“ გზარდე,
და რად გიკირს, ყოველს ქალზედ
უფრო დედას რომ უყვარდე?

გოგია მეჩონგურე

ქალი მამას ქმარში გასცვლის,
ცოლი ქვრივი სხვას წაჰყვება;
მაგრამ დედას შვილის ტრფობა
სამარეში თან ჩაჰყვება!

ახლოს გული მისთვის უძგერს,
შორს მყოფს ფიქრით თავს ევლება:
უფიქრელად თავს შესწირავს,
დედა თვის შვილს ენაცვალება!..

რა მოგშორდი, შვილო, შემდეგ
შავი ფიქრი გულს მიბურავს...
ვაჲ, თუ გშიან? ან გწყურია?
ან გცივა და არა გხურავს?

ეგებ გდიხარ ბრძოლის ველზედ,
გულს გასვია მტრის ისარი
და რომ წყლული შეგიხვიოს,
დედა შენი არსად არი!..

ვაი, თუ შენს ლამაზ თვალებს
ყვავი ჰქონდნის და ყორანი,
და უნაგრით, უპატრონოდ,
დაგხვიხვინებს თავს მერანი!..

ვაჲ, თუ შენსა ხუჭუჭ თმასა
ჩიტი ბუდეს შიგ უფენდეს?
მაშინ დედა შენი ჩიტად
გადაიქცეს, შენსკენ ჰფრენდეს!..

ეს რომ გაათავა, ჩინგური სიფრთხილით გადასცა თავის ქალს, გოგიას დას. იმანაც მოკრძალვით ჩამოართვა დედას ნაანდერძევი, აკოცა სიამით, წყნარად ჩამოჰკრა სიმებს და დაამლერა შემდეგი სიტყვები:

დის სიმღერა

ძმა კარგი და რიგიანი
დისთვის არის საქებარი,
თუ მასთანაც იმავე დროს
არის მისი მეგობარი.

გოგია მეჩონგურე

მეგობრობა არის გრძნობის
აზრების შეთანხმება,
თვარა უამათოდ არის
ანგარიში და გაქრება!..

მე გოგია მისთვის მიყვარს,
რომ ძმა და მეგობარი,
და მისთვის მსურს მისი ხილვა,
მასთან ხშირი საუპარი,

რომ თავიდან ფეხებამდე
ის მამულის შვილი არი!..
თვის მარჯვენას მისთვის ხმარობს
და მისთვის ულერს მისი ქნარი.

ღმერთო, მიეც გამარჯვება,
განსაცდლისგან დაიხსენი!
დაგვიბრუნე შინ მშვიდობით,
გევედრები მონა შენი!..

და თუ მოკვდეს ბრძოლის ველზედ,
გაემსჭვალოს ისრით გული,
მაშინ ჩიტად გადამქენი!
მსურს შევიქწე მე ბულბული,

რომ მის საფლავს მარტოხელსა
მე ვუსტვენდე გრძნობა მტკბარი,
და იმ ხმასაც ყურს უგდებდენ
არებარე, მთა და ბარი...

გაათავა თუ არა დამ უკანასკნელი სიტყვა, მივარდა გიჟივით
რძალი, გოგიას ცოლი, გამოჰლიჯა ხელიდან ჩინგური მულსა და,
რაც ძალ-ლონე ჰქონდა, ისე ჩამოჰკრა სიმებს და დაინყო შემდეგი
სიმღერა:

ცოლის სიმღერა

მითხარით, ლამაზ ცოლისთვის
ნეტა რა არის ქმარიო?
ადვილად გამოსაცვალი
ვერცხლისა რამ ქამარიო!

გოგია მეჩონგურე

დღეს ერთს მოირტყამს, მეორით
ხვალ დაიშვენებს წელსაო,
თუ დაეკარგა, იტირებს,
მაგრამ გაუძლებს სენსაო!

ჭკვიან ქალს ვერ შეაშინებს
ქვრივობა, ქმრის სიკვდილიო,
შავს იცვამს, მაგრამ იმედი
გულში უჩნდება ტკბილიო.

მითხარით, ლამაზ ცოლისთვის
აბა რა არის ქმარიო,
თუ არ ადვილად საცვალი,
უბრალო რამ ქამარიო?!

გაათავა. მეტისმეტი ბარტყუნით თითები ეტკინა და სიმები კი
მაინც არ დასწყდა.

ამგვარად რამდენიმე თვეს უკრავდენ რიგრიგად ქალები იმ ჩინ-
გურს, და სიმები კი მაინც ისევ მთლად იყო.

ერთ დღეს, სადილად რომ ჯდებოდნენ ქალები, სუფრაზედ ხორცი
მოიტანეს, თაროზედ მწოლარ შავ კატას სუნი ეცა, გადმოხტა იქი-
დან, წამოედვა ჩინგურს, ძირს ჩამოაგდო და ლუკმა-ლუკმა დაამსხ-
ვრია. მოცვივდნენ ქალები და ნახეს, რომ სიმები ყველა დაწყვეტილ-
იყო. დედა-შვილი შეშინდნენ. მაგრამ გულს მაინც არ იტეხდნენ:

– რა ვუყოთო, ამბობდნენ, თავისით ხომ არ დაწყვეტილა სიმები?
კატამ ჩამოაგდო უნებურად!

– არა, ბატონო! ცუდი ნიშანიაო! ინვავდა ენას კოპნია ცოლი, –
ნუხელი ბუ მთელ ღამეს ჰყვიროდა ჩვენს ეზოში, და დღეს ყორანმაც
დაგვძახაო!

რაღა ამის თქმა ეჭირვებოდათ?!!. დედა გაყვითლდა შიშით, დას
ნაცრისფერი დაედვა და ცოლმა კი თავის ოთახისაკენ გასწია, ჩაიცვა
ჭრელი კაბა და თავის ვარცხნას მოჰყვა, – ვითომ აქ არაფერი ამბავი
არისო.

ამ დღროს მართლა მოვიდა მთხოვბელი, მოიტანა გოგიას სიკვდი-
ლის ამბავი და მისი ნიშანი.

იმის დანახვაზედ გაყვითლებული დედა მოლალურად გადაიქცა,
დაი – ბულბულად, და ცოლს კი დარჩებოდა ბურთი და მოედანი,
რომ რაღაც ხმას არ დაეძახნა: „სადაც ის ორი, იქ შენც, მესამეო!“

ამ ხმაზედ ცოლიც ოფოფად გადაიქცა და სავარცხელიც თავში გარჭობილი შერჩა.

იმ დღიდან აქამომდე მოლალური მაღალ ხეებზედ სამის ძაფით, საცეცხლურივით, ჩამოჰკიდებს ხოლმე თავის ბუდეს, არწევს – ვითომც თავის შვილის აკვანი იყოს, და თანაც დასძახის ხოლმე: „შვილო გოგია! შვილო გოგია! შვილო გოგიაო!“ – ბულბული.....

ბულბული სადაც კი ნახავს ამოსულ ვარდს, ყველგან გოგიას საფლავი ჰერნია და ათასს ხმაზედ დამღერის და უგალობს ძმის სულს. – ოფოფი...

ოფოფი კი უხეიროდ დაგოგავს მინდვრებზედ, და ეძებს გოგიას საფლავს, და ძებნაში ხან აქ და ხან იქ ჩაჰკრავს ხოლმე ნისკარტს მიწაში.

[1875]

ქუთათელის სიზმარი

(ისტორიული ოცნება)

სულინმინდის მოფენის ღამეს, სანამ საცისკრო ზარის პირველი წერიალი ქვეყნად გაისმოდეს, ზეცას ჩამოჰკერენ ზარს – და მაშინ ცა, გინდ მოლრუბლულიც იყოს, გადიყრის და გუნდ-გუნდი ვარსკვ-ლავები თავს იჩენენ. ისინი არიან, თურმე ჩვენი გმირ მამა-პაპების სულები. იჭედებიან იმ ადგილის პირდაპირ, სადაც უკანასკნელად მათი ღვანლი დაგვირგვინებულა, და მაღლით ზედ სხივებს აყენებენ. სხვათა შორის, ერთი დიდებული მნათობი ქუთათელის ძევლი ტაძრის ნაშთებსაც ზე ეგვირგვინება და ნათლის კიბით ქვეყნად ჩამოსული ანგელოს გუნდი ხმატებილად დაგალობს: მიხსენ მე მტერთა ჩემ-თაგან, ღმერთო, და მათგან, რომელი ალდეომილ არიან ჩემზედა, განმარინე მეო. “ ის მნათობი არის ვარსკვლავი მთავარეპისკოპოსის ანტონ ქუთათელისა.

ანტონი იყო დიდებული გვარიშვილთაგანი, დედისერთა, იმერე-ეთში საერისთავოდ განძრახული, მაგრამ როდესაც დედამისის მოძღვრებით, დროისა და ვითარების საკადრისად შეისწავლა ქვეყ-ნის სიბრძნე, მაშინ მოინდომა სულითაც განათლება და მიენდო მწიგნობართაუხუცეს ანტონ ჭყონდიდელს: შედგა ბერათ და მალე ისე გამოიჩინა თავი, რომ ერთხმათ აირჩა მთავარეპისკოპოსათ და მიიღო ქუთათლობა.

იმ დროს წმინდა მამებს დიდი გავლენა ჰქონდათ საეროდ, ქვეყნის გულის მოგებითა და ნდობის მოპოებით. სამოქალაქო საქმეებსაც კი მათი რჩევა-კურთხევით აბოლოებდნენ. ანტონ ქუთათელსაც, რასაკ-ვირველია, როგორც მათში ყოველფრად პირველს, ისე გატაცებული ჰყავდა სრულიად იმერეთი, რომ დიდებული, ზვიადი და შეუპოვარი გიორგი მეფე იძულებული იყო პატივი ეცა მისთვის, თუმცა მიქელა „ათალიკოსი კი სხვებს ასმენდა და აგონებდა მასზე. საერო საქმეე-ბით გარემოცულს ქუთათელს საზოგადოდ დრო აღარ რჩებოდა, რომ თავი შეესვენებია და მხოლოდ ხანდახან, დამღამეობით შედიოდა იქვე ტაძრის მახლობლად სამღვდელმთავრო სახლის წინ გაშენებულ პატარა წალკოტში და ეძლეოდა მაღალ ოცნებას.

იმ ხანებში მოუსვენარის მიქელ ქათალიკოზის შურისძიებით გადააყენეს ჭყონდიდელი, ჩამოხადეს მწიგნობართაუხუცესობა და გაგზავნეს გარეჯის უდაბნოში. თვით ანტონ ბრძენმა გულგრილად იტვირთა ეს ახალი ხვედრი, მაგრამ ქუთათელი კი ააღელვა მისი მოძ-

დღრის უსამართლოდ გაუპატიურებამ... დღისით საქმეებს აყოლებდა გულს, მაგრამ დამით კი გაუტყდა ძილი, შევიდა წალკოტში და იქ ფიქრობდა, როგორი ეპისტოლე გაეგზავნა მეცის გიორგის დის რუსულანისათვის ჭყონდიდელის თაობაზე. ფიქრებმა გაიტაცეს: გაახსენდა უზრუნველი სიყმანვილე, როდესაც საღამოობით დედის კალთაში ედვა თავი: დედაც თავზე უსვამდა ხელს, კოცნიდა და ზღაპრებს ეუბნებოდა! მოიგონა ის ზღაპარიც, თუ როგორ გაჩნდენ ქვეყნად ვარდი და ეკალი, რომელსაც დედა ათქმევინებდა ხოლმე პატარა ანტონს. ის ჩამოჯდა ქვაზე მუხის ძირში, მიეყრდნო ხეს, წარმოიდგინა – ვითომც ახლაა ის დრო, და მოჰყვა ზღაპარს თავის გუნებაში.

„იყო და არა იყო რა, ორი ძმა კაცი იყო, „ერთგულა“ და „ორგულა“, პირველი ქვეყნის სამსახურსა და ერთგულებაში გაღარიბებული, და მეორე კი ორგულობით გამდიდრებული. უმეტესობის ჭკუა თვალშია და რაც შიგ არ ეჩინირება, იმას ვერ ხედავს!.. „ორგულას“ ზოგი სიბრივით, ზოგი შიშით და ხათრით, ზოგი ანგარიშით პატივს სცემდნენ და ხელს აფარებდნენ, „ერთგულა“ კი ყოველგან და ყველასაგან უსამართლოდ იჩაგრებოდა, ასე ლევდნენ ეს ძმები თავის დღესა და სოფელს. მხოლოდ ეს კი იყო, რომ „ორგულა“ რაც უფრო და უფრო მეტად ძლიერდებოდა, უფრო და უფრო შფოთავდა და მისმა გაუმაძლარმა გულმა არ იცოდა მოსვენება; „ერთგულა“ კი თავისთვის იყო გულუბინოდ, წყნარად და თავისთავად მოსვენებით. ერთათ დაიხოცენ ორივე. „ორგულა“ იგლოვა ხალხმა, დიდი პატივით დაასაფლავა და მარმარილოს ფიქალი დაადვა ლოდად. „ერთგულას“ სიკედილი კი ბევრს არ შეუტყვია!.. არც არავის უგლოვია: აიღეს, ჩააგდეს საფლავში და მიაყარეს მინა სამადლოთ. მეორე დღეს გაიარეს მწყემსებმა და ნახეს, იმ ახალი საფლავიდან უცხო ბუჩქი ამოსულა, რომელსაც მშვენიერი ყვავილი გამოულია და ზედ ბულბული დაჭიკვიკობს, ის ბუჩქი იყო გვამი „ერთგულასი“, ყვავილები – მისი ქველი საქმეები და იმ ყვავილებს ფერს აძლევდა შიგ გამჯდარი ქვეყნის საერთგულოდ დათხეული სისხლი და ოფლი, მისი ანგელოსიც ბულბულად შემოსხდომოდა და უგალობდა მის სულს. ნახეს, გაუკვირდათ, და სთქვეს: ეს რა მშვენიერება რამ ამოვარდნილა საფლავიდან ასე უეცრათო? სთქვეს და დაარქვეს იმ ბუჩქს „ვარდი“. იმ ხანებშივე ზოგიერთებმა შენიშნეს, რომ „ორგულას“ საფლავზედაც რაღაც მყრალი ბალახები ამოსულა და მნარედ იჩხვლიტება, ლოდის ქვეშ დაუბუდებიათ ბაყაყებს და საზარელი ხმით ყიყინებენ, – ის ბალახი იყო „ორგულას“ გვამი, მყრალი სუნი – მისი ქვეყნიური ლვანლი და ბაყაყიც – ეშმაკი.

ნახეს და გაუკვირდათ! სთქვეს: ეს რა საშინლად იჩხვლიტებიანო? თითქმის კაცსა ჰკულავენო! სთქვეს და დაარქვეს „ეკალი“.

ამ ზღაპრების მოგონებაში ძილი მოერია მთავარებისკოპოსს და ნახა საკვირველი სიზმარი: ქუთაისის ტაძარს ირგვლივ ცეცხლი შემოდებია, ცამდის უწევს მისი ალი, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მხოლოდ ანათებს და არასა სწვავს!.. საყდრის თავიდან გადმომდგარა მეფე ბაგრატ დიდი და ანიშნებს ქუთათელს, რომ ისიც იქ ავიდეს მასთან. მღვდელმთავარი ეთანხმება, მიდის, თამამად აპობს აღს და ადის ისიც საყდრის თავზე. იქიდან ბაგრატი გადაახედებს აღმოსავლეთისაკენ და დაანახვებს, რომ გელათის ტაძარიც იმგვარადვე განათებულია. ამ ორ ტაძარს შუა ნათლის გზა არის გაყვანილი და ბაგრატს იმ გზით მიჰყავს გელათს მთავარეპისკოპოსი. ამ ჰაეროვან გზაზე გაბედვით ადგამენ ფეხს ორივე და გადადინ გელათს. იქ დაუხვდებათ მეფე დავით აღმაშენებელი და უჩვენებს მათ საკვირველ სანახავს: დგას დიდებული კუბო და იმ კუბოდან უეცრად ერთი რაღაც უცხო ფრინველი, მტრედის სიმშვიდის მექონი, გველის სიბრძნის და შევარდნის ჭანგებისა, – ერთს შეინავარდებს ჰაერში და მერე გაექანება კავკასიის ქედისაკენ, სადაც მიჯაჭულ ამირანს ყვავყორანი ახვევია!... გაუქროლ-გამოუქროლებს იმ გუნდს, სრულიად გაფანტავს და ისევ გამობრუნდება. კუბო გაქრება; მის ნაცვლად დგას ოქროს ტახტი და ზედ მზეთუნახავად გადაქცეული ფრინველი დაჯდება. ერთის მხრით ბაგრატი ამოუდგება და მეორე მხრით დავითი, გადასცემენ სამეფო გვირგვინს ქუთათელს და ეტყვიან, რომ ის გვირგვინი იმ მზეთუნახავს დაადგას თავზე. ქუთათელი ასრულებს მათ სურვილს, მერე მოიყრის მუხლს იმ დედოფლის წინ და უნდა რომ თაყვანი სცეს. ამ დროს თავს დაჰკრავს ძირს და გამოელვიძება.

ამ უცნაური სიზმრით გაკვირვებულ მღვდელმთავარს მთელი ღამე აღარ დასძინებია, ლოცვით გაატარა და მეორე დღეს გაეშურა ქალაქისაკენ, რომ იქ ენახა თავისი მოძღვარი, ნაჭყონდლევი ანტონი, და მისთვის ეთქვა ის სიზმარიც. გზაში შეიტყო გიორგი მეფის გარდაცვალება.

II

ძმაზე მგლოვიარე, შავით მოსილი რუსუდან დედოფალი მუთაქაზე იყო გადაწოლილი და ფეხთით უსხდნენ დარბაისელთ ცოლები; მათ რიცხვში ჯავახიანთ ქვრივი ვახახიც ერია.

– მაშ ასეა საქმე?! – იყითხა დედოფალმა.

– დიახ, დედოფალი! – მოახსენა ერთმა ქალთაგანმა. – სასახლის ნამოძღვრალს სვიმონ მეუდაბნოეს აუხსნია ქუთათელის სიზმარი: ის უცნაური ფრინველი – თამარი, გიორგის ასული არის, და ხომ მოგეხსენებათ, თუ როგორ სწავლას ხალხს მისი ყოველი სიტყვა; აღელვებით თხოულობენ, რომ თქვენი ძმის დიდებულ ტახტზე დაჯდეს მისი ასული თამარი, – დიდებულებმა ხმა გაიკმინდეს და ურჩობას ვეღარ ბედვენ.

– კი, მაგრამ რა იციან, რომ ის უცხო ფრინველი, კუბოდან ამოფრენილი, ასული არის, და არა და გიორგი მეფისა, – ცბიერად სთქვა ვახახმა და გადახედა რუსუდანს.

– არა, ჩემო ვახახი! – უპასუხა რუსუდანმა ღიმილით, – წყნარი და მშვიდობიანი თამარი დაუზიშნავს ზეცას და ქვეყანა ურჩობას ველარ გაუწევს!.. ის მე შვილად გამიზრდია და ჩემს უკითხავად ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს!..

ამ დროს შემოვიდნენ რუსუდანთან დიდებულნი: ვარდანიძე, სალირიძე, ამანელიძე და სხვანი და მოახსენეს: „დღეს შენ ხარ თამარის მშობელი! ჩენ ვიცით, რომ თამარი გონებით სრულია და მასთან შენი მორჩილი. უპრძანე, რომ მზუხარება და მამის გლოვა იქმაროს და სამეფო ტახტს, თავის მამის სახსოვრად, ხელი მოჰკიდოს, განაგოს საქართველო და დაიპყროს ტახტი მამისაო!“ მაშინ ადგა რუსუდანიც და შევიდა თამართან.

III

თბილისი ხალხს ველარ იტევდა, გარშემო გორები სულ მოფენილი იყო წერილფეხობით. შვიდ სამეფოში გამორჩეულთაგანი მისთანა აღარავინ დარჩენილა, რომ იქ არ ყოფილიყოს, უჩვეულოსა და საარაკო რასმე ელოდნენ: სამეფო ტახტზე ადიოდა მეფის გიორგის ასული თამარი... მამიდა მისმა რუსუდან დედოფალმა გამოიყვანა თვრამეტი წლის მშვენიერება და წყნარად დასვა ტახტზე. ქუთათელმა გვირგვინი დაადგა. „აი, ის მზეთუნახავი, ქუთათელს რომ სიზმარში დაუგვირგვინებიაო!“ – გაივლო ხალხმა გუნებაში. რაჭის ერისთავმა კახაბერმა ხმალი შემოარტყა და თაყვანი სცა. თამარს სახე შეეცვალა, წამოდგა ზეზე, გადაავლო კრებულს თვალი, ნელა აიღო მაღლა ხელი და სთქვა: „შიშველი ვიშევ და შიშველადვე მეგულების გასვლა ამიერ სოფლით! მეც ერთი თქვენისთანა სამეფოს მსახურთაგანი ვარ, ბედმა წილად მახვედრა უდიდესი ტვირთი, რომელსაც დღეიდან

კისრად ვიღებ თქვენთან შეთანხმებით და თქვენივე დახმარებით! ვეცადოთ, რომ დაბალი ავამალლოთ და მაღალი გავაძლიეროთ! („აი ის უცხო ფრინველი, მტრედივით მშვიდიო“ – წაიჩურჩულეს ქალებმა). ჯერ უნდა მოვუპოვოთ სამეფოს შინაგანი მშვიდობა, და პირველათ თქვენ მოგმართავთ, წმინდა მამები! ორკეცია თქვენი მოვალეობა: აქ ქვეყნიერად ვალდებული, იქ ზეცასაც პასუხისმგებელნი ხართ! სხვებზე მეტად უნდა იღვანოთ – და მეც თქვენგან მეტს მოვითხოვ! („აი ის უცხო ფრინველი, გველივით მეცნიერიო!“ – იფიქრა სასულიერო კრებამ). შემდეგ შინაგანი მშვიდობისა ვალდებული ვართ, რომ მოვიშოროთ გარეშე მტერი, ზოგჯერ შემანუხებელი ჩვენი სამეფოს ნაპირებისა, და თქვენ მოგმართავთ, გმირნო, მამიჩემის, დიდებული მეფის გიორგის წინამდლოლობით გაწვრთნილნო და გამართულნო! („აი ის უცხო ფრინველი, შევარდენის ჭანგებითა!“ წარმოიდგინა ჯარმა). მე მსურს, რომ მიეცეს გზა ნიჭს და ფასი დაედოს ღირსებას!.. გაირჩეს ერთგული და ორგული. ამისთვის მე ვითხოვ ზეცით მაღლსა და კურთხვას და ქვეყნად თქვენს შემწეობასა და მორჩილებასაო!“

გაათავა და გადაავლო თვალი კრებას!.. მომლიმარ ნათელ სახეზე ცრემლები მარგალიტებრ მოგორავდნენ. თამარის მშვენიერებით, დიდებულებით, საგულისხმო სიტყვით მოიხიბლა ერი!.. რაღაც უცნაურმა ძალამ გამსტვალა... საოცარი მდუმარობა ჩამოვარდა!.. ამ დროს სასულიერო კრებაში ყველაზე წინ წამოდგა ღრმა მოხუცებული სვიმონ მეუდაბნოე, თვით თამარის ნამოძღვრალი... უცნაური აღტაცებით ფერმიხდილმა დაიძახა: „გესმისთ მაღლით რეკაო?“ ყველამ ცას შეხედა, მაგრამ ვერაფერი გაიგონეს-რა სხვებმა, მხოლოდ შემკრთალმა ქუთათელმა კი უპასუხა: „მესმისო!“ გაიშვირა ხელი პირდაპირ ისევ იმ მოხუცმა და სთქვა: „ხედავთ იალბუზს, როგორ იხრის თავსაო?“ მიიხედეს სხვებმაც და ვერაფერი დაინახეს!.. მხოლოდ ჭყონდიდელმა შეკრთომით მიუგო: „ვხედავო!“ – „დიდ ხარ შენ უფალოო!“ – შესძახა ზეცას ბოდბელმა. „და საკვირველ არიან საქმენი შენნიო!..“ – დაუმატა ტფილელმა მიქელ კათალიკოსმა. „ღირს არს! ღირს არსო!“ – დაიძახა ერთხმად სასულიერო კრებამ. – „გაუმარჯოს თამარ მეფეს, იდიდოს საქართველოო!“ – გადასძახა ჯარს სარგის მხარგრძელმა და ჯარმაც გაიმეორა: „გაუმარჯოს, იდიდოს და გაძლიერდესო!“ – „მრავალუამიერი!“ – სთქვა გამრეკელმა. აპყვა მთელი ერი, დასძახეს ერთხმად „მრავალუამიერ“ და ხმა გაისმა კიდით-კიდე.

[1894]

(ხალხური)

ქვეყნის სიბრალულით გულავსებული მაცხოვარი მიბძანდა ერთ-ხელ ტბის პირათ და მეთევზები ნახა: ზოგი ახალ ბადესა ქსოვდა, ზოგი ძველს აკერებდა და ზოგიც მხართებოს იყო წამოწლილი კიდეზე. გუნებაზე ვერ იყვნენ: მთელი ღამე ენადირათ და ვერა ეშოვათ რა! ხელი გადგომოდათ!.. – შეებრალა საწყლები ქრისტე ლმერთს და ერთ მათგანს უბრანა: „სვიმონ-პეტრე! ადე ზეზე, ეგ შენი ნავი ნაპირზე მოაყენე, ჩავჯდეთ და ტბაში შევცუროთ“. მეთევზეს გაუკვირდა და ჰკითხა: „პირველათა ვხედავთ ერთმანეთს და რა იცი, რომ მე სვიმონი მქვიაო?“ – „მაგას რა დიდი ცოდნა უნდა?.. შენ სვიმონი გქვია და მამაშენს ივანეო.. პეტრე კი მე დაგიძახე მეტსახელათ, რადგანაც სიტყვა „პეტრე“ ქვას ნიშნავს და შენც ქვასავით მაგარი ხასიათის კაცი ხარო!“ შუაში რომ მივიდენ, შეაჩერებია ნავი და უბრანა: „აბა, აქ დავჰკრათ ბადეო!“ – „რა ბძანებააო, – უპასუხა მეთევზემ, – წუხელი აქ არ გახლდითო?.. გათენებამდის ჩვენ თვალს რული არ მოჰკიდებია, ბადეები დავგალიჯეთ და ეს ოხერი თევზი ისე გამწყდარა, რომ, ერთი ჭიჭყინა რა არის, ისიც ვერ ვიშოვეთო“. – „ეგ შენი საქმე არ არის!.. შენ ჩრევა დამიჯერე და მაშინ ნახავ, მოხვდება თუ არაო“. მართლაც ჩაუშვეს წყალში თუ არა, ბადე გაიტენა თავამდი. მეთევზე ველარ მოერია, რომ გამოეთრია ბადე და ამხანაგებს დაუძახა: „მიშველეთო!“ გამოიტანეს ნაპირზე სავსე ბადე და ორი ნავი აავსეს პირწმინდათ ნანადირევით. – მეთევზებს გაუკვირდათ: ეს ვიღაც სასწაულთმომქმედი უნდა იყოსო და თაყვანი სცეს. ქრისტემ გაიცინა ულვაშებში, – ვენაცვალე იმის სიცილს – და უთხრა: „რა ცოტა რამ გაგკვირვებიათო. წამომყევით და თევზებს კი არა, კაცებსაც ბევრს დაგჭრიებთო“. მეთევზებს გაეხარდათ და მიაძახეს: „გვიახლეთ, შენი ჭირიმეო“ და აედევნენ. მასუკან სადაც კი მიბრძანდებოდა მაცხოვარი, ისინიც თან დადევდნენ. ბევრი სასწაულები ნახეს და შეუყვარდათ მოძღვარი. აღარ შორდებოდენ!..

ვნებათა კვირე რომ დადგა, მოძღვარი მოწაფებს გაენდო და უთხრა: „ჩემი ტანჯვის და სიკვდილის დღეც მოახლოვდაო. ერთი თქვენგანი გამყიდის – გამცემსო. მე რომ დამიჭრენ, თქვენც შეშინდებით და აქეთ-იქით გაიქცევით... გაიფანტებით, მაგრამ არაფერია, მე ამოვალ საფლავიდან და ისევე მოგიყრით თავს და შეგაერთებთო“.

პეტრემ უპასუხა: – „რას ბრძანებო, ჩვენში მაგისთანა ვინ იქნება, რომ შეშინდეს და გაიქცეს?“

„პირველა შენო!.. შენ ხომ პირდაპირი და გულმაგარი კაცი ხარ და „პეტრეც“ მიტომ დაგერქვაო. გასაჭირს რომ ნახავ, შენც კი გადარები და სანამ მამალი ორჯელ დაიყივლებდეს, სამჯერ უარმყოფო!“ – იმ ღამეს მართლა შეიპყრეს ქრისტე. პეტრემ მახვილი ამოილო და ყური ჩამოათალა მალხაზ ურიას. ქრისტემ დაუშალა პეტრეს ჩხუბი და ისევე გაუმთელა ურიას ყური!..

– „ძალაზე თუ მივარდა საქმე, ცა და ქვეყანაც ვერ მომერევა, ჩემ ხელთ არისო, მაგრამ აქ სულ სხვა საქმეა და უნდა დავნებდეო“, – ბრძანა მოძღვარმა. როცა შეიპყრეს და მღვდელმთავართან წაიყვანეს, მოწაფეები შეშინდენ და გადაცვივნდენ. მხოლოთ ორი მათგანი აედევნა უკან და გაჰყვა: ივანე და პეტრე. სასახლეში რომ მივიდენ, ივანე როგორც კაი ნაცნობი, შეუშვეს სახლში, მაგრამ პეტრეს კი ბჭის კარი დაუკეტეს და გალავანს გარეთ რჩებოდა; შეეხვენა მეკარეს: „მეც შემიშვიო“. მაშინ მეკარემ ჰკითხა: – „რა მოგარძენიებს? მაგის მოწაფე ხომ არა ხარო?“ – „არაო!“ – უთხრა პეტრემ. სანამ სასახლეში ქრისტეს ასამართლებდენ, პეტრე ეზიოში იცდიდა, ცეცხლის პირა იჯდა და თბებოდა. აქაც ვიღაცამ ჰკითხა. „შენ, როგორც გეტყობა, მისი რამე უნდა იყოო?“ – „არაო! ვერც კი ვიცნობო!“

ბოლოს, ქრისტე რომ გამოიყვანეს და მეორე მღვდელმთავართან წაიყვანეს, გაჰყვა. ერთი ურია მივიდა და ჰკითხა: „შენ ის არა ხარ, ჩემ ნათესავ კაცს მალხაზს რომ უური ჩამოათალეო?“

შეეშინდა და უარზე დადგა. ამ დროს მამალმაც დაიყვირა: „პეტრემ – უარყოო!“ მოაგონდა საბრალოს ქრისტეს სიტყვები და შემოიკრა თავში ხელი, ეს რა მომივიდაო... დაიწყო ტირილი, გაიჭრა გიჟივით. აღარ იცოდა, რა ექნა. გარბის და მამლები კი მიჰყივიან, „პეტრემ უარყოო!“, „პეტრემ უარყოო!“, „პეტრემ უარყოო!“ – აღარ იცოდა, რა ექნა. თითქმის თავის მოკვლაც უნდოდა, მაგრამ ამ დროს ყვინჩილებმაც დაიძახეს: „შეინანააა!“, „შეინანაა!“, „შეინანაა-ო!“ პეტრემ ყური მოჰკრა და გამოფხიზლდა. ჰჩანს, უპატიებია ღმერთს ჩემი შეცოდებაო!.. დაემხო პირქვე სათაყვანოთ.

მას შემდეგ ყოველდამ ბნელაში მამლები დღესაც კიდევ იძახიან: „პეტრემ უარჲყოო!“ მაგრამ, როცა ყვინჩილებიც დაიძახებენ ხოლმე „შეინანააო“, თენდება და ქვეყანას ნათელი ეფინება.

(ქართველ ეპრაელთ ლეგენდა)

მთვარე ღამე ამოდის, ვარსკვლავები ბნელში ბრწყინავენ, მაგრამ როცა მზე ამოიელვარებს, მაშინ კი ყველა უჩინარია!.. ღვთისაგან რჩეულ ურიებს არაოდეს არ კლებიათ წინასწარმეტყველთა გუნდი, მაგრამ მთავარმეტყველები ჩრდილავდენ და მათ ალარავინ იხსენიებდა. ასე იყო სამულის დროსაც, როდესაც ერთი დაჩრდილ-ულთაგანი გავიდა უდაბნოთ და განმარტოვებულათ სცხოვრობდა ქვაბში. ქვეყანას ერიდებოდა, ალარავის იყარებდა, არავის ხედავდა. მხოლოდ ათასში ერთხელ გულკეთილი სოფლელები მწყემსების ხელით მოსაკითხს უგზავნიდენ: დაუდგამდენ ქვაბის პირად სავსე ჯამ-ჭურჭლებს და მეორე დილას, დაცლილი, უკანვე მიქონდათ. ხანდახან იმ ჭურჭლებთან ერთად საჩუქარიც დაუხვდებოდათ ხოლმე: რაღაც უცნაურად გამოკიბიტებული ხე, წელქვეით გამობერილი, წელზეით ჯოხისგვარი, ყელში უსწორმასწორო ნახვრეტებით და შიგ გაყრილ-გამოყრილი ჩხირებით; შუაზე სიგძისად თავიდან ბოლომდე ერთი ძაფი ჰქონდა გადაჭიმული და შვიდი სხვა კი ისე ეწყო გულზე გაუბმელათ.

„აი, ახირებული კაცის უცნაური საჩუქარიო!“ – ამბობდენ სიცილით მწყემსები. – „რა უნდა იყოს? და ან რა სახმარია?!.. სათამაშო არ არის!.. ჭურჭლად არ გამოდგება! კომბლად მჩატეა და ჯოხად მოკლეო“. იცინოდენ და გულგრილათ ამსხვრევდენ ქვაზე – მხოლოდ ძაფებს კი ატმასწილენ ერთმანეთს... აგრეხდენ, გამოყავდათ წვრილი ბანარი და საბელ-ბორკილებს უკეთებდნენ თხებს.

მასის მიწურულიყო, დღე და ღამე იყრებოდა. ღამე დღის მშვენიერებით და დღე ღამის სიკელუცით მიზიდული, ერთიმეორეს თვალს ველარ აშორებდა და ერთხანს, თითქოს გაქვავებულსავით ერთმანეთს შეჰყურებდენ!..

სწორედ ამ დროს გამოსულიყო ქვაბიდან განდეგილი, შეჰყურებდა ცა და ქვეყანას და ჩანგით ხელში ადიდებდა შემოქმედს: ჩანგი კვნესოდა!.. წყევლა-კრულვის ხმა შვება-ლხენის ულერასთან ერთად შეერთებულად გამოისმოდა!.. სიმები მორჩილებით იმეორებდენ დამკვრელის გულისთქმას: ხან ეგვიპტურ ტყვეობას ქვითინებდენ, ხან კიუინასა სცემდენ ზღვა-მენამულში დანთემულ ფარაონს, ხან უდაბნოში უგზოუკვლოდ ხეტიალს წუნუნებდენ და ხან, აღთქმულ

ქვეყნის მოპოებით გულდამშვიდებულნი, ხმატკბილათ ადიდებდენ ყოვლის შემძლებელს!

ქარი ჩამდგარიყო, თითქო შეჩერებულ მდინარეს ხმა გაეკმიდა და მოხიბლული არემარე სულგანაბული ყურს უგდებდა! დაიქანცა მოხუცი! მიდგა განზე ქნარი და ერთხელ კიდევ მიმოიხედა, მის მახლობლად იდგა გაქვავებული ერთი მშვენიერი თვალჭრელი ახალგაზრდა; ოქროსფერი ხუჭუჭი განიერ ბეჭებზე ტევრად ეყრებოდა, სახე გაბრწყინვებოდა და მოელვარე თვალებით მონიწებით შეჰყურებდა.

– ვინა ხარ, შვილო? – კითხა გაკვირვებულმა.

– მწყემსი! – მიუკო ახალგაზრდამ.

– აქ, ამ უდაბნოში, რას მოუყვანიხარ?

– თხები დავკარგე და საძებრათ დავდივარ.

– მარტო მწყესიდი?

– სხვებიც იყვნენ, მაგრამ ყველა თავთავისას უვლიდა!.. მე კი ჩემსას თავი ველარ გავართვი! მეთაური თხა მოუსვენარია, გარბი-გამორბის და ჯოგსაც გაიტაცებს ხოლმე.

– განა სხვა მწყემსების თხები კი უფრო მშვიდობიანი არიან?

– არა!.. მაგრამ ბორკილი უყრიათ!.. სხვები თქვენი საჩუქარის ძაფებსა ჰგრეხენ ბანრათ და ფილმანდებს აკეთებენ.

– შენ?! არ მიგილია? არ გრგებია საჩუქარი?

– როგორ არა, მაგრამ სხვებსავით ვერ გავიმეტე, – უთხრა დარცვენით, – შინ რომ მიმქონდა, გზაში უეცრად თითო მოვდევი ძაფს და საცოდავად დაიკვნესა, თითქოს ობლობას უჩივისო!.. შემებრალა და გვერდით მეორე ძაფი გავუბი; ვსიჯვე და იმანაც ხმა გამოიღო. შვიდივე ავაბი და რვავე ერთად ავაწკრიალე!.. მოვინდომე მათი შეთანხმება, მაგრამ.....

– მაგრამ?

– ვერ დავიმორჩილე!.. ვერ შევახმატკბილე ისე, როგორც შენ!

მოხუცმა თავი მაღლა აიღო, შეხედა ცას და ხმის კანკალით წამოიძახა: „ოჳ, იეგოვა!.. ეს ის შენი რჩეულია, რომელსაც დიდი ხანია მოველოდი!..“ მოჳკიდა ხელი ახალმოწაფეს და წაიყვანა გამოქაბულში.

ეურჩა უფალს საულ-მეფე და გაარისხა ღმერთი. მოევლინა ჭირი ურიასტანს და აღელდა ერი. მაშინ გამოეცხადა მეამბოხეთ წინასწარმეტყველი, როგორც შუამავალი და გადასცა წება მომავლინებელისა: „დაუტევეთ საულ და აირჩიეთ სხვაო!“ – იყო კაცი ვინმე სათხო და ღვთის მოყვარე, იესე ბეთლემელი, მისას მივიდა სამუელ

და უთხრა: „კურთხეულ არს ამიერიდან სახლი შენი! მოვალ, რათა ვაკურთხო ძე შენი და ვსცხო ზეთიო!“ გაოცებულმა მამამ წარმოუდგინა პირშო, თვით საულზე არანაკლებ თვალტანადი და მისივე მხედართმთავარი, მაგრამ არ მიიღო წინასწარმეტყველმა, გამოჰვარა მეორე – ისიც დაინუნა. შვიდი შვილი ერთიმეორეზე უკეთესი უჩვენა და არც ერთი არ გამოდგა სამეფოთ. ბოლოს მოიხმეს ყველაზე უმცროსი, ჯერ კიდევ მწყემსი დავით. შეხედა სამუელმა და კითხა: „ეგ რა გადაგიკიდებია მხარზე?“

– შურდული! – მიუგო მორჩილებით მწყემსმა.

– ეგ არის შენი ფარ-ხმალი?

– სხვას არა ვხმარობ!.. მხოლოდ ამითი ვიგერებ ნადირს! ბევრჯერ მძვინვარე ლომიც კი გამიბრუნებია... მომიკლავს კიდეც! – დაუმატა მშვიდათ.

– ხელში რაღა გიჭირავს?

– მეუდაბნოეს საჩქარი, ჩემგან ქნარად გადაკეთებული. დაკვრა კი თვით მეუდაბნოებ მასწავლა. ამის მეტი ხელობა არა ვიცი რა!.. ეს არის ჩემი ჭირი და ლხინი, ჩემი მანუგეშებელი და სიმხნის მომცემი; ამის ხმაზე ვაგროვებ აქეთ-იქით გაფანტულ თხებს და დასასრულ ამით ვადიდებ უფალს.

„ამას ვეძებდი! ეს არის!“ – სთევა წინასწარმეტყველმა, „იმ თავითვე ხელში დაგიჭერია ნიშანი მეფობისა: ეგ ჩანგი არის შენი სამეფო და სიმები სხვადასხვა ერი, შენ არ მიგიგრებია სიმები ერთმანეთზე, რომ მით შეუძლია გაგედიდებია და გაგეხადა საბმელათ!.. მხოლოთ შეგიკავშირებია ერთმანეთისათვის შეუცვლელათ თავთავის საკუთარის ხმით და სიდიდით! შეგიხმატებილებია ერთ ჰანგად და მოგინადირებია სამწყესო.. მწყეს სამეფოცა შენი მაგგვარათ და ჯდე საყდარსა ზედა უკუნისამდეო!“ აიღო ჭურჭელი და სცხო ზეთი... გაიხსნა ცა, გადმოვიდა მაღლით გვირგვინი და დაედგა თავზე დავითს. სამეულმა, ნიშნათ მადლობისა, ხელები ააპყრო ზეცისადმი, იესემ მუხლები მოიყარა და ეამბორა კალთაზე წინასწარმეტყველს. გაკვირვებული ერი თავდალმა დაემხო! ახალცხებულმა ჩამოკრა სიმებს და ააუღერა საგალობელი: „ყოველი სული აქებდით უფალსა! აქებდით ლმერთსა ყოველნი ერნი! და ყოველსა ენასა ზედაო!“ მისცა ზეცამ ბანი და ფსალმუნი საგულისხმო გაისმა კიდით-კიდე.

[1897]

დღეს ირაკლის დასაფლავების დღეა. მას აქეთ ასი წელი შესრულდა, რაც საქართველოს ქართლ-კახეთმა მაღალგონიერ სოლომონ მდივნის დატირებით მინას მიაბარა გმირთა გმირი და იმერეთმაც, იმ უმეტესმა საქართველოს ნახევარმა, ზარი აუშვა, რომ ერთად ორ ძმას, ორ გაუყრელ ნახევარს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, თანასწორათ ეგლოვა დიდებული ქართველი.. „ა თ ა ს ი ნ ე ლ ი – ვ ი თ ა რ ც ა გ უ შ ი ნ დ ე ლ ი დ დ ე რ“, – ამბობს უკდვავი წინასწარმეტყველი დავით. და მაშ ასი წელი რაღათ უნდა იხსენიებოდეს საუკუნეთა უფსკრულში? მაგრამ ამ ჩვენს ცხოვრებაში კი ერთი საუკუნეც დიდია: ცხოვრებას ფერს უცვლის, ძველს აჭერნობს, ახალს აღმოაცენებს, უკუღმას წალმა აპრუნებს და წალმას უკუღმას სცარავს. რა იყო მაშინ და რასა ვხედავთ დღეს? მაშინ თვალსაჩინო ამბოხება და მოუსვენრობა, დღეს კაი სათვალდაოვალო „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“: „მ ა რ თ ა ლ ი, ვ ი თ ა რ ც ა ფ ი ნ ი კ ი ა ღ ყ ვ ა ვ დ ე ს, დ ა ვ ი თ ა რ ც ა ნ ა ძ ვ ი ლ ი ბ ა ნ ი ს ა გ ა მ რ ა ვ ლ დ ე ს რ“. რა იყო ამ ასი წლის წინეთ? შევი ჭირი მუსრს ავლებდა ჩვენს ქვეყანას, რომ მისი მძვინვარება სამარადისო სახსოვრათ დაეგდო ჩვენთვის, მაგრამ ირაკლის სიკვდილმა, როგორც ყველაზე უფრო მეტმა უბედურებამ, გადააჭარბა და დაავიწყა ყველას კერძო და პირადი. ეტყობა, მაშინდელი აქამდისაც უწევს, რომ დღესაც ცა მოღრუბლულია, მთა-გორები ნისლით დაბურვილან, რომ თავი აღარ გამოიჩინონ და თვითოვეულს ჩვენთაგანს რაღაც გამოუთქმელი ურვა მძიმე ლოდათ გულზე აწევს... გაბრნეინვებულია მხოლოთ უძლურთა სასოება სამლოცველო, ჭირთა მკურნავი სვეტიცხოველი, საითენაც ხალხი მიეშურება და შიგნით რომ ტევა აღარ არის, დღეს ჩამომტირალ მცხეთის ტაძარს გარს ეხვევა. წინაშე მისსა, ვინც მოციქულთა და მათ მოადგილეთა მიანიჭა „შეკვრა-გახსნის“ უფლება, გაისმის გრგვინვა მთავარდიაკვნისა: „ანააააფემა!“ მგალობელთა გუნდი კრიმანჭულით ეხმატებილ-ეკავშირება. საყდარში საოცარი მდუმარებაა, წამიერათ გაქვავდა ხალხი. ყველას რაღაცამ უბინა გულზე... ჰერინიათ უწევს და სასოებით შეჰყურებენ მას, ვინც ჩვენს სარწმუნობას ქვაკუთხედათ სიყვარული დაუდვა: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისიო“ და „მიუტევეთ, რამეთუ მოგეტევოთო“ . „მოგვიტევენ, უფალო, შეცოდებანი ჩვენნი“, – ამბობენ გუნებაში

მღოცველები, და მათაც სანუგეშით საიდუმლო ხმა ჩაჩურჩულებს ყურში: „მოვედით ტვირთმძიმენო და დამაშვრალნო, რათა განგის-ვენოთ“. აქ იცვლება კილო განგაშისა და გრგვინვის. იგივე მთავარდიაკონი სასოებით შეჰქალადებს ყოვლის შემძლებელს და მრავალუა-მიერით იხსენებს ლირსსახსოვარ გმირებს. მათ რიცხვში ირაკლიც გამოერია, „ააამინ!“ გაისმა ხალხში ერთპირი ჩუმი დვრინი.

გათავდა წირვა, გადახდილ იქმნა პანაშვიდი, ხალხი ნასადილევს დაიშალა, წავიდ-წამოვიდა. დაღამებამაც მოატანა, ჩამოვარდა ჩვეუ-ლებრივი სიჩუმე და არარაობა, ჯანდი მთის იქით გადავიდა, ცამ-ლრუბელი გადაიყარა, მთვარემ გამოაჭიატა და იქ, სადაც ირაკლის სურათი ესვენა და მისი თოფი იყო ჩამოკიდებული, ორი აჩრდილი გამოჩნდა: გულებელდაკრეფილი, თავჩალუნული, თვალცრუმლიანი ზის ოთხმოცი წლის მოხუცი და თავზე ადგას შუახნის ტანმორჩილი კაცი. საიდან გაჩნდენ ისე, რომ თვალმა ვერ მოასწრო? მაღლით მთვარის სხივებს გადმოჰყვენ თუ ქვესკნელით ამოვიდენ? შორს გაჰყურებს მოხუცი ნალვლიანათ, მონინებით შეჰყურებს გულჯავრი-ანი თავმდგმური, ხანგრძლივი სიჩუმეა.

– სოლომონ, რა ვნახეთ? რას იტყვი? – ეკითხება მოხუცი.

– „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“, ჩემო ხელმნიფევ! – მორჩილებით უპასუხებს სოლომონ.

– ვხედავ!.. ვხედავ!.. დიახ, „მშვიდობაა და სათნოება“. ამ ასი წლის წინათ ქვეყანას გარს ცეცხლი ეკიდა და ქარბუქი უბერავდა!. ცხოვრება მსხვერპლს ითხოვდა და ტარიგიც დიდი იყო! დღეს სამ-სხვერპლოზე ზვარაკის ნაცვლად დამშვიდებული გულით სწავლა-მეცნიერება იდება...

საუკუნე შესრულდა მას შემდეგ, რაც ირაკლი საქართველომ მინას მიაბარა, მაგრამ დღესაც კიდევ მის გულმივე სუფევს მისი სიქადული და ამ „წმიდა-წმიდათას“ გარეგან ნიშნებს ძეგლათ უგებს.

აქ მოხუცმა ნალვლიანათ ჩაიცინა და სთქვა:

– დიახ!.. დიახ!.. ჩემმა ნაჭირნახულევმა ქალაქმა დაამტკიცა ეგ: მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მპყრობელს, ყენისა და ხვანთქა-რის მოქიმებს, სამარადისო სახსოვრათ, დროებითად ირაკლის სახ-ელით მოუნათლა თვით დღევანდელ ცხოვრებასავით უსწორმასწორი, მიხევულ-მოხვეული ქუჩა, სადაც დღეს, ამ უმაღლესათ მინიჭებულ „მშვიდობიანობის“ დროსაც, ძაღლებიც კი უშიშრათ დადიან!.. შეი-ნირე, მეუფეო, ვითარცა წვლილი! წვლილი ლარიბისა და არა მდიდ-რისა!.. ჰმ... განა საქველმოქმედო არა გამოინახებოდა რა, რომ ჩემი

სახელით მოემართათ?.. მაშინ, როდესაც ქალაქის გამგეობას ამგვარ შემთხვევაში ბევრი რამ გაუნანილებია, რომ სხვებისთვის მიეთვისე-ბია... ირაკლი მათზე უჭირნახულო არ ყოფილა... მემართლებიან!.. მე... მარ... თლე... ბიან!..

– განძრახვა კაცთა, ხოლო განგება მეუფისა! ბოროტი კეთილად შეცვლილა: გზა სასახლიდან ტაძრამდი მიმყვანი და ტაძრიდან სასახ-ლეში მაღლის მომტანი უთუოდ ირაკლის სახელით უნდა აღნიშნუ-ლიყო. ხასიათი საგნისა და არა სიდიდე თვალსაჩინობის.

– ჩემო სოლომონ! სიცოცხლეშიაც შენი მოქარგული ენა მიბ-რუნებდა გულს და დღესაც იმავ გზას გინდა დაადგე? დავანებოთ თავი გარენრებს!.. აქაც, შინაობაში, რა ვნახეთ?.. როგორც ხალხის შვილს, მეც ყოველგვარი მისი ზნე-ჩვეულება ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი და დღეს კი მე აქ ყველაფერი მეუცხოვა... მესხვაფერა! სად იყო ჩვეულებრივი შესანდობარი წვეულება?.. განა ოდესმე ქართველი ისე დაიმარხებოდა, რომ ხალხი მიწვეული არ ყოფილიყო და მიცვალებულის შესანდობარი არ დაელიათ? ჩემთვის კი ჩემიანებს ასიოდე ჯამი ლობიო, რამდენიმე ხმიადი და საზედაშე დანანებიათ!..

– მეც ვნახე და კიდეც ეგ მეუცხოვა!.. მე მინდოდა მენახა სოფლელები, ის გლეხობა, რომლისათვისაც მთელ ჩემ სიცოცხლის განმავლობაში გული მიცემდა. ჩვეულებრივად, მამაპაპურად, ეკლე-სიის გალავანში, წმინდა ტაძრის ირგვლივ, ფეხმოფრთხინით მჯდომარე რომ შეუდგებოდენ სადილის ჭამას: ჯერ პირჯვარს გადაიწერდენ, დაბებერაცებული ხელით აიღებდენ ხმიადს, ემთხვეოდენ, გასტეხ-დენ, მონინებით მიიღებდენ, როგორც ზიარებას, ავსებულ სასმოს თავს წაუქცევდენ ჩემი სულის შესანდობრათ პურზევე და წმინდის გულით კურთხევას შემომითვლიდენ... ნასადილევს დაბრუნდებოდენ შინ, მიუჯდებოდენ გახურებულ კერას, გარს ცოლ-შვილს შემოხ-ვევდენ და დაინყებდენ ჩემზე საუპარს, მოიგონებდენ ჩემს ღვანლს, გაიხსენებდენ ჩემგან თქმულს, ჩემზე ნათქვამს... და უმანკო გონ-ებით გადაჭრილ სიყვარულს ჩარჩოში ჩასვამდენ, რომ მამა-პაპის ნათქვამი საშვილიშვილოთ გადასულიყო... – აქ ხმა აუკანკალდა ირაკლის, თვალში ცრემლი მოერია, სიტყვები ყელში ეჩრებოდა, ნერწყვს ყლაპვა დაუწყო და დიდხანს ხმა აღარ ამოულია....

– სოლომონ! – იკითხა უცბათ, – ის რაღა იყო, რომ დედაკაცებს უულაბები დაჲქონდათ?

– თქვენი სახელით საქველმოქმედო ფულებს აგროვებდენ.

– რაო?! მის წაცვლათ, რომ ჩემი სულის მოსახსენებლათ სამო-წყალო დაერიგებიათ, პირაქეთ მათხოვობდენ და იმასაც კიდევ

ირაკლის სახელით?! ვაი ჩემს გაგონებას!.. სოლომონ, შენ თვითონ მონამე ხარ, იმ შავდღეს, როდესაც ხოჯა-ხანი თბილის აოხრებას უპირებდა, მოლარეთუხუცესი მოვიდა ჩემთან და მომახსენა: – „ბატონი მეფევ, გვიპრძანეთ, რომ სალაროები გავხსნათ და სასახლის საუნჯე გადავარჩინოთ“-ო! მე წმინდის გულით ვუპრძანე: – „რა დროს მაგაზე ფიქრია, რეგენო! სადაც ქვეყნა კი ოხრდება, იქ დაიღუპოს მეფის საუნჯეც-მეთქი!“ და ამის შემდეგ ვიღას ჰქონდა უფლება, რომ ჩემი სახელი ანგარებისათვის შეერთებია!..

– ჩემო ხელმიწვევ, აქ სულ სხვა აზრი და განზრახვა იყო: თქვენი დიდებული და წმინდა სახელი გულის გასაღებათ იხმარეს, რომ საქველმოქმედო რამე გაეღოთ ქართველებს.

– კმარა!.. მეტს ნუდარას იტყვი!.. ქართველი და გულდახურული! განა შეიძლება მაგის წარმოდგენა?! თვითეული ჩვენთაგანი, ცალი ხელით რომ მტერს იგერიებდა, მეორეთი იმავე დროს სამონქალოს არიგებდა!.. სადაც კი ძალ-ღონე შესტანდა, სადამდისაც კი ხელი მიუწვდებოდა – გულს მოჰყავდა საქველმოქმედოთ... ჭირი და ლხინი იცოდა!.. და დღეს კი ქართველი ისე გარდაქმნილია, გადასხვაფერებულია, რომ კლიტე-გასაღებზე მივარდა საქმე?! ვაი, ამ დღის მომსწრეს!!!. სოლომონ! ამ ასი წლის წინეთ ჩემდა უნებურათ ჩამდვეს მიწაში და ახლა კი ნებით მინდა ჩავიდე საფლავში... წავიდეთ, მოვმორდეთ აქაურობას!.. – სთქვა და იბრუნა პირი.

დიდხანს ხმა აღარ ამოუღია, საგონებელში იყო ჩავარდნილი. ბოლოს მიუბრუნდა სვეტიცხოველს, დაიჩოეა, ხელი მაღლა ააპყრო და შეევედრა: „დედაო ღმრთისავ! შენი წილხვედრია და შენი საუფლისწულო ეს ქვეყნა!.. შენს ხელშია მისი წარსულიც და მომავალიც და შენ შეგშვენის მაზედ ზრუნვა!..“

სთქვა და ჩავიდა იქვე საფლავში. მასთან ერთად მისი მხლებელიც გაუჩინარდა. ჰაერში გაისმა ხმატებილი გალობა „განუსვენე წმიდათა თანა, განუსვენე, უფალო!.. საუკუნოთ იყოს სახსენებელი მისი!“ მგალობლები არა ჩანდენ. ანგელოზთა გუნდი იყო თუ სულნი მიცვალებულთა – არავინ იცის!.. მხოლოთ კილო და სიტყვა ქართული იყო და სიტკბოება და ძლიერება სასუფევლისა...

[1898]

ლეგენდური

ლმერთმა რომ იობი განსაცდელში ჩააგდო, ყოველგვარი ჭირი მიაყენა კარზე: დაუქცია სახლ-კარი, გაუნადგურა ჭირნახული, გადაუშენა ჯოგები და ესეც რომ აღარ აკმარა, დაასნეულა-დააწყლულა და მატლებიც დაახვია. ამ დროს შეუჩინდა ეშმაკი, მაგრამ ძვირი ღვთისა ვერ ათქმევინა: „ყოველივე მისი ნებაა! ამბობდა.

ნახა ლმერთმა მისი მორჩილება და ერთიორად დაუბრუნა ყოველგვარი დაანაკლისი. აკურთხა მაღლით და მისი მოთმინება სამაგალითოდ დაუდვა კაცობრიობას. მისი გვამიდან გამოსული ჭია-მატლებიც მაღლად გადააქცია და დაურიგა სასარგებლოდ ქვეყნიერებას.

იმათთაგანი ორი საქართველოსაც ერგო: ფუტკარი და აბრეშუმის ჭია. პირველი უწყინარი ბუზია, მაღლიანი, მაგრამ მოთმინება კი არ გამოჰყოლია იობის. დილიდან სალამომდე დაპორტენს, დაბზუის, გადადის ბალახიდან ბალახებზე, ფოთლიდან ფოთლებზე, ყვავილიდან ყვავილებზე; დაექებს იობის ცრემლებს და რომელ ყვავილის გულშიაც კი მიაგნებს, ამოსწუნნის, რომ თაფლი და სანთელი აკეთოს; თაფლი ხორცის ჩასაგემრიელებლად და სანთელი სულის გასაბრძყინვებლად.

ზოგს არ უყვარს ფუტკარი! მოუსვენარია, უსიამოდ ბზუის და იკბინებაო. უსამართლო ცილისწამებაა! მოუსვენარია მიტომ, რომ ცისა და ქვეყნის სამსახურშია და არ უნდა დრო დაპორტოს. მისი ბზუილი, ვისაც კი ეყურება, საამურია და საგულისხმო: იმ ბზუილით ის ქვეყნიერებას იობის ტანჯვა-მოთმინების ამბავს გადასცემს და დაჩაგრულებს ანუგეშებს და რაც შეეხება მოუთმენარობას, მისი მოუთმენრობაც შესაწყნარებელია: წმინდა მუშას სიწმინდით უჭირავს თავი და არ უნდა, რომ უნმინდურად ხელი ვისმეს შეახებიოს! პირიქით არავის ერჩის და პირაქეთ თუ ვინმემ მოუნდომა ხელის შეხება, იმას კი აღარ ზოგავს და მნარედ კბენს, რომ მოიგერიოს. ეს თითქმის უცაბედად მოსდის და მერე, როცა გამოერკვევა ხოლმე, მიხვდება, რომ სხვისი მანყინარი ღვთის მუშად აღარ გამოვდგები, ჩემი ნახელავი აღარც თაფლი ივარგებს და აღარც სანთელი! ვარდება ჯავრში და თან გადაჰყვება ხოლმე მისს შხამისარას.

მეორე უფრო მშვიდი, ჩუმი და გულჩახვეულია. რამდენჯერმე იძრობს ტყავს, რომ ამოხვენოს აბრეშუმი ტიტველთ შესამოსად. თავის ნებით ემწყვდევა ბნელ პარკში შშიერ-მწყურვალი, თითქოს მაგალითს აძლევდეს ქვეყნის ერთგულებს, რომ ბნელ საკანს ქვეყნის

გულისთვის ნურც თქვენ მოერიდებითო, და ბოლოს გამოდის სატყ-ვეოდან, რომ ფრთაშესხმულმა ერთხელ კიდევ შეხედოს სინათლეს, დაჰყაროს თესლი გვარტომობის გასაგრძელებლად და მერე კი პირ-ნათლად გამოეთხოვოს წუთისოფელს.

— დიახ, მადლი მადლისაგან წარმოიშობა და ეს მადლმოსილი ჭიებიც იობის მადლმა წამოშობა.

ძველად, საქართველოში, ყოველ ოჯახში იჩენდენ ერთსაც და მეორესაც. სადაც არ იხარებდა, ის ოჯახი ნაძრახი იყო: უთუოდ ბოროტი და უკულმართი რამ შეუტანიათ ოჯახშიო!

ამისთანა ხმას ყველა ერიდებოდა და მიტომაც სცდილობდენ, რომ ფუტკარიც გაეშენებიათ და აპრეშუმიც მოეყვანათ და ღმერ-თიც ხელს უმართავდათ. დღეს კი ჩვენში ძველებურად ვერც ერთი და ვეღარც მეორე ვეღარ ხარობს და რა უნდა ვქნათ, რომ გამოვა-ბრუნოთ?

— არ უნდა დავივიწყოთ მამა-პაპათა ღვანლი!.. უნდა მივბაძოთ მათ საქციელს: რაც პატიოსან შრომითა და წმინდა ოფლის ღვრით მონაგვარი არ არის, უწესრიგოდ და უსამართლოდ არაფერი უნდა შევიტანოთ ოჯახში და მაშინ შემოსილიც ვიქნებით და ცხოვრებაც დამტკარ-დათაფლული გვექნება...

[1904]

306 არიან აზნაურნი

(ლეგენდა)

ალექსანდრე მაკედონელმა რომ მთელი აზიის დაპყრობა მოინ-დომა, საქართველოზედაც გამოილაშქრა. მაშინ მეფობა არ იცოდ-ნენ. მამასახლისობა იყო ჩვენში და მცხეთის მამასახლისი, როგორც ყველაზე უფროსი, განაგებდა ქვეყანას. მამასახლისმა მოულოდნე-ლად მოსულებს მოციქულები მიაგება და მოიკითხა ძლვნით. ოქროს ხონჩაზე ოქროს შოთები ეწყო.

ალექსანდრეს გაეცინა და იკითხა: თქვენში ნამდვილი პური არ მოდის, რომ ხონჩაზე ოქროსი დაგილაგებიათო?

— როგორ არა? — მიუგეს მოციქულებმა. — ჩვენში კი მოდის, მაგრამ ჩვენ გვეგონა, თქვენში არ მოდიოდა, თორემ ამ სიშორეს რა წამოგიყვანდათო!

მოწინა მეფეს მათი პასუხი და მოინდომა, მეგობრულად რამო-დენიმე დღით სწვევოდა მამასახლისს.

ერთხელ, როცა მამასახლისი ხის ძირად მჯდარი ასამართლებდა მომჩივრებს, სხვათა შორის წამოიჩიქა ერთმა და მოახსენა: — „დიდე-ბულო ბატონო, ამ კაცს, — მიუთითა მეორეზე. — მე მივყიდე ცარიელი ადგილი სამოსახლოდ, მაგან მოინდომა სახლის დადგმა და როცა საძირკვლის თხრა დაიწყო, მინაში ორმო ნახა. შიგ დიდასალი განძი იყო: ოქრო, ვერცხლი, თვალი და მარგალიტი. ახლა მოსულა ჩემთან და მეუბნება: მე განძი კი არ მიყიდია, ცარიელი ადგილი ვიყიდე და განძი კი შენია და შენვე უნდა წაიღოო!.. უნდა რომ უსამართლობა ჩამადენიოს და უბრძანეთ, მომშორდეს, თვითონ წაიღოს, ღმერთმა მოახმაროს, რაც უპოვნიაო!“

— შენ რაღას იტყვიო? — მიუბრუნდა მსაჯული მეპასუხეს.

— მე რა მაქვს, შენი ჭირიმე, სათქმელი? — მიუგო მეპასუხემ. — მე ადგილი ვიყიდე და თუ იქ მიწაში რამე აღმოჩნდა, მაგისი იქნება და არა ჩემი, უბრძანეთ, რომ წაიღოს და მე თავი დამანებოს, უსამართ-ლობას ნუ ჩამადენიებსო.

დაფიქრდა მსაჯული; მერე აიღო თავი და მიუბრუნდა მომჩივანს:

— ვაჟიშვილი გყავს?

— გახლავსთ ერთი ღვთის წყალობა!

— უცოლოა?

— საცოლო გახლავსთ!

- შენ, – მიუბრუნდა მოპასუხეს, – ქალიშვილი გყავს?
- მყავს გასათხოვარი.
- მაში მოილაპარაკეთ ერთმანეთში. ის ქალ-ვაჟი ერთმანეთს შერთეთ და განძიც მზითევში გაატანეთ. ეს მაშინ, თუ ქალ-ვაჟს ერთმანეთი მოეწონოსთ. თუ არა, მიაყარეთ იმ განძს მინა – დატოვეთ ისე, როგორც ყოფილა! ნულარც შენ და ნულარც შენაო.
- ალექსანდრეს გაეცინა: ეგ სამართალი ახირებულად მიმაჩინიაო.
- მაში, თქვენში რომ მომხდარიყო ამისთანა ამბავი, რა განჩინებას დასდებდნენ? – დაეკითხა მამასახლისი.
- განძს სახელმწიფოდ შერაცხდნენ.
- სახელმწიფოდ?! სხვის საკუთრებას?
- რასაკვირველია, თუკი პატრონი არ გამოუჩნდებოდა!..
- ჰმ!.. მზე ამოდის თქვენში?
- ამოდის!
- ჰმ... წვიმაც მოდის ხოლმე?
- მოდის.
- მაში, სჩანს, რომ პირუტყვები არიან თქვენში კარგი და ზეციური მაღლი – მზეცა ან წვიმაც – მათთვის ყოფილა და არა ადამიანებისათვის, რომელნიც არ ვარგებულან თქვენშიო!

მაკედონელს გაუკვირდა. მოეწონა ეს პასუხი და უთხრა მამასახლისს, როგორც მეგობარს: მე დავტოებ ნაწილს ჩემი ჯარისას შენს ქვეყანაში მხედართმთავრის აზონის ზედამხედველობით. მათგან შენი ხალხი ისწავლის სამხედრო წესებს და ისინიც შენს ქვეყანაში ისწავლიან ცხოვრების წესწყობილებას. მართლაც დასტოვა ჯარის ნაწყვეტი და თვითონ კი გაეშურა ინდოეთისაკენ.

ზოგი იმ მაკედონელთაგანი დაცოლშვილდნენ საქართველოში და დარჩნენ, როგორც მკვიდრები. არაფერ გადასახადს არ იხდიდნენ. თავისუფალნი იყვნენ და ხალხიც საზოგადოდ დიდ პატივსა სცემდა. იმათი შთამომავალნი დღესაც არიან და იწოდებიან აზონაურებად, ანუ აზნაურებად.

წვრილ-წვრილი ამბები

საიპიოს დაჯილდოვებული

ერთი იმერელი აზნაურშვილი მოკვდა ხოლერით და სურამში დაასაფლავეს. ჭირისუფლებმა შეიცხადეს და შორიდან გამოიგლოვეს, მაგრამ გულში კი ნაკად დარჩათ, რომ ახლოს, დაუტირებელს, მისი საგვარეულო სამარე აღარ ელირსა და სადღაც, სასხვისშვილოში, უპატრონოდ გდიაო. ეს გაიგო ერთმა მათმა მოგვარეთაგანმა, თბილისში „გამოსუქისინებულმა“, მოვიდა ნათესავებთან და რჩევა მისცა, „მაგაზე ნუ შეიწუხებთ თავს!... მე ვიცი ის, ჩვენი მკვდარი, სადაც მარხიაო, თქვენ მხოლოდ ხელი შემიწყვეთ, მე ჩუმად გავათხრევინებ მუშებს საფლავსა, ამოვილებ და კარზე მოგაყენებთო!“ რასაკვირველია, ხარჯს აღარავინ დაერიდებოდა და მართლაც, დანიშნულ დროზე, დამით მოასვენეს კუბო! ჭირისუფლებმა იტირეს, ითავცემეს... რაც წესი და რიგი იყო, გადაუხადეს, გაუთხარეს საფლავი და უპირებდენ მამა-პაპის გვერდით ჩასვენებას.

ამ დროს გაჭირვეულდა ქვრივი: „ახადეთ კუბოსა და ერთხელ კიდევ დამანახვეთ ჩემი ქმარიო!“ სურვილი აუსრულეს, გახსნეს კუბო და რა ნახეს? მკვდარი მაზარაში გამოხვეული და გულზე წმინდა გიორგის ჯვარი ეკიდა. ეუცხოვათ ყველას, შეკრთენ და ერთმანეთს დაუწყეს ყურება! აღარ იცოდენ, რა უნდა ექნათ.

უტიფარი და ურცხვი მატყუარა მხიარულად მოვიდა გაოცებულ ქვრივთან და უთხრა: „მომილოცაგს, ჩემო რძალო! მადლობა უფალს! აქ უბედური იყო შენი ქმარი და იქ ბედი გახსნია: ასე მალე სამსახურშიაც შესულა და ჯილდოც მიუღიაო“.

ლაფგადასხმული ქათამი

ერთი დარბაისელი, ძველებური იმერელი მიიწვიეს სადილათ, ევროპიულათ გაუმასპინძლდნენ და, სხვათა შორის, ქათამი მოუტანეს, რომელსაც თეთრი სანები („სოუსი“) ჰქონდა გადასხმული. სტუმარმა გამოარჩია კარგი ნაჭერი, გადაფხიკა დანით, გაწმინდა და ისე დაუწყო ჭამა, მასპინძელმა თვალი მოჰკრა და ჰქითხა: „განა არ მოგეწონათ ეგ ქათამი? უგემური ხომ არ არის?“

– რას ბძანებო, – მიუგო სტუმარმა, – ქათამი ჩვენებურია და, ღმერთმა კაი მოგცეს, კარგიც იყოს, მაგრამ თქვენებურად რომ ლაფი გადაგისხამთ თავზე, იმას კი გაუფუჭებიაო.

წვრილ-წვრილი ამბები

3

ახირებული სიცილი

ერთმა კაცმა ახირებული სიცილი იცოდა: თითქო ხვიხვინებსო. ერთხელ ცხენმა წინა პერა და წინა კბილები ჩაამტვრია. რომ მორჩა, შეხვდა თავის კარგ მეგობარს და შესჩივლა: „არ ხედავ და არ გიყვირს, რა მიყო ჩემმა ცხენმა?“ – მე ის მიკვირს, რომ ან ამდენ სანს რათ გითმენდა და აქამდისაც არ დაგმართა ეგ საქმე, რაც შენ იმას აჯავრებდი, – მიუგო მეგობარმა.

4

მფავარში ჩავარდნილი სომხის ვაჭარი

ნათლილება დღეს, წყალკურთხევის დროს რომ მტკვარზე ხიდი ჩაინგრა, ერთი სომეხი ცოლშვილიანა ჩავარდა წყალში, მცურავებმა გამოიყვანეს. გონზე რომ მოვიდა ვაჭარი, ჯიბეზე მოიკრა ხელი: „საფულე ხომ არ დამსველებიაო“; ცოლ-შვილი კი მერე იკითხა.

5

სომხის ვაჭარი და ქართველი თავაზი

იმ დღეს სომხებთან სხვებიც ჩაცვინდენ. ერთ ქართველს ჩაევლო ხელი სომხისათვის და ორივე ერთად იხრჩობოდენ. რომ გამოიყვანეს ნაპირზე, ძლივს გააშველეს ერთმანეთს. გონზე რომ მოვიდენ, ქართველმა უხუმრა სომეხს: „შე კაი კაცო! რომ ჩამფრენოდი, ხელს აღარ მიშვებდი და საიქიოს თან მიმყებოდი, შენი მოვალე ხომ არ გეგონე?!"

– არა, კნიაზო! – მიუგო სომეხმა – მე კი არა, შენ მტაცე ხელი, რადგანაც ფულის სესხებას გპირდებოდი, მაგრამ ხმელეთზე ვეღარ მოვასწარით და წყალშიაც თან ჩამომყევიო.

6

„ალლაჰ! თალლაჰო!“

შემთხვევით როგორდაც თათარიც ჩავარდნილიყო... იხრჩობოდა და შეშინებული ღმერთს შეჲყვიროდა: „ალლაჰ! თალლაჰო!“ ტერ-

წვრილ-წვრილი ამბები

ტერამ გაიგონა და გადააქნია თავი: „ვერა ჰედავთ იმის კერპობასო?!.. იხრჩობა, სალავათს მაინც არ იშლისო!.. ამ ჩვენ ნაკურთხ წმინდა წყალს „ტალახს“ ეძახისო“.

7

ანგელოზი – ცოლი

ერთმა მახინჯი ცოლის პატრონმა მეგობარს გააცნო ახალი შერთული მეუღლე და უთხრა: „მომილოცე ბედნიერებაო!.. მართალია, უსახურია ჩემი ცოლი, მაგრამ მაგიერათ ანგელოზიაო!“ – „მჯერა და მომილოცავსო – უპასუხა მეგობარმა – დარწმუნებული ვარ, მაგ ანგელოზს ისე ვერსად შეხვდება ეშმაკი, რომ არ შეშინდეს... არ დაფრთხესო!“

8

უცხაური ნაძლევი

მდინარეს ფრანცუზი მოპქონდა. საბრალო, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, ებრძოდა ტალღებს და დიდ განსაცდელშიაც იყო.

ხიდზე გადმომდგარიყვენ ერთი ინგლისელი და ერთი ნემეცი და გულგრილად ადევნებდენ თვალს. თურმე ნაძლევი დაედვათ: დაიხრჩობა თუ არაო? რუსმა თვალი მოპქრა და მიაშურა საშველად. „ეი, რას შვრები?!.. ხელს ნუ გვიშლიო! – მიაძახეს დანაძლავებულებმა. – რომ გამოიყვანო, მაშინ ხომ ჩვენი ნაძლევი უჯერო იქნებაო?!"

9

თანასწორობა

ინგლისელი, ნემეცი და იტალიელი დამეგობრდენ. პირობა დასდვეს: უერთმანეთოთ ნურას გავაკეთებთო. მოინდომეს ძეხვის გაკეთება.

ნემეცმა მასალა მოაგროვა, იტალიელმა გატენა და ინგლისელმა შეჭამა. ფრანცუზმა გაიცინა და სთქვა: „აბა, თანასწორობაც ამას ჰქვიანო!“

წვრილ-წვრილი ამბები

10

ექიმები

თათარს მუცელი ასტკივდა. რუსმა წამალი მიაწოდა, ფრანცუზმა გაულესა, ნემეცმა ჭურჭლებში ჩაუსხა და ინგლისელმა დაალევინა. ბერძენმა მწუხარებით გადააქნია თავი: „დახეთ, რას მიშვრებიანო?!” მე ოყის მეტი აღარა მერგო-რაო!”

11

სიყვარულიც ამისთანა უნდა

ფრანცუზის ქალმა რუსს კოცნა დაუწყო. რუსმა ხელი მოჰქვია, მიკრა გულზე და მიიჭყლიტა. ავსტრიელმა რომ დაინახა, გაიცინა: „აბა, სიყვარულიც ამისთანა უნდაო!”

12

ცყალცალებული ურია

ქალაქში მიმავალი ურია მცხეთას მტკვარში ჩავარდა. მცურავებმა გამოიყვანეს. შეშინებული ეპრაელი რომ მობრუნდა, სთქვა: „ნეტავი ეცლიათ და ტფილისში გამოვეყვანეთ, გზის ფული შემრჩებოდაო“.

13

ცყალცალებული იქანები

იმერელი წყალში ჩავარდა, მცურავმა გამოიყვანა და ფულის თხოვა დაუწყო. იმერელმა შემოუძახა: „რას მიედ-მოედებიო? თვალი დაუდგეს ახლანდელ სამართალს, თვარა შენ უნდა ერთი კაი ორა-გულის ფასი გადამიხადოო: მე წყალში განგებ ჩავიყურყუმალე, რომ თევზი დამეჭირაო! ერთ ორაგულს მოვავლე ბოლოში ხელი და, შენ რომ უდროვო დროს ჩემთვის ფეხში არ გეტაცნა ხელი და არ გაგეშ-ვებინებია, ის-ის იყო, გამომყავდა დაჭერილო!“

წვრილ-წვრილი ამბები

14

ცყლით გაგუდული ქართლელი

ქართლელი წყალში იხრჩობოდა, გამოიყვანეს გაგუდული. რომ დაწრიტეს და მობრუნდა, გადაიხედა წყლისკენ და სთქვა: „ლვინო რომ ყოფილიყავ, ვერ მომერეოდიო, მაგრამ წყალი ხარ და რაღას გიზამდიო“.

15

მცენალი და ადვოკატი

ერთმა ადვოკატმა უთხრა ერთ მწერალს: „შენ არც არასა ჰსოფესავ და არცა მკიო და მე კი კიდევაც ვთესავ და კიდევაც ვმკიო!“ – „მართალს ამბობო – მიუგო მწერალმა – მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებ, რომ კლიენტებს ციმბირისაკენ თესავ და მკით კი აქვე ჩვენში მკიო“. 16

იიგნის გამომცემელი

ნიგნის გამომცემელს შეხვდა ერთი ნაცნობი და ჰკითხა: „ახალ ნიგნს ხომ არ სცემო?“ – „ვბეჭდავ და არა ვცემო“ – უპასუხა გამომცემელმა. – „არა, მე იმაზე მოგახსენებ, რომ ცოტა შელახული გამოდის შენი გამონაცემიო“. – „როგორ თუ შელახულიო?“ – „ისე, რომ ჯერ ცენზორი ოთხში იღებს და მერე შენ ასილაქნებ ტიკორასავითო, და მეტილა ცემა-გალახვა იქნებაო!.. და ანდაზაც სწორეთ მაგაზე უნდა იყოს ნათქვამიო: „ვაი, ჩემო ტიკორაო, რა ბევრ ტყუილს მიჭორავო!“

17

სოლომონ ხავე და ქაჯაიას ნაქვრივალი

იმერეთის მეფემ, დიდმა სოლომონმა, ქაჯაიას ნაქვრივალის ცოლათ შერთვა მოიწადინა, დიდკაცობამ იუკადრისა: „ჩვენ აზნაურის ნაცოლარს ვერ გავიდედოფლებთო“. უარზე იდგა იოსებ გენა-თელიც – მეფე სოლომონის ძმა. კარისკაცებმა უძაგეს მეფეს ქვრივი: ზოგმა – ბრუციანიაო, ზოგმა – ყრუ და ზოგმა – ბებერია უკბილოო!

მეფემ ითქმულა: „რა ვქნა, მართალია, კარგი ოჯახის შვილია ის ქალი, მაგრამ, რომ ასე ყოვლად საჯაყი ყოფილიყოს, ის ყმაწვილი ქაჯაია თავმომწონე კაცი იყო და არ შეირთავდაო!“ დაბარა გიორგი აბაშიძე და გაენდო: „ნადი, ნახე როგორმე ის ქალი და, თუ გიყვარდე, კარგად დაათვალიერეო!“ აბაშიძემ აასრულა მეფის ბრძანება. ქალი ჩინებული გამოდგა, მაგრამ კარისკაცმა ქვეყნის ყბაში თავის ჩაგდება ვეღარ გაძედა და მოატყუა მეფე: სხვების ნათქვამი იმანაც დაამონმა. ერთხელ მეფე სანადიროთ ბრძანდებოდა. ააფრინეს ხოხობი, მოუტივეს ქორი, მაგრამ ფრინველი თვალსა და ხელს შუა სადღაც მიიმალა. ეწყინა მეფეს და გამობრუნებას აპირებდა ქუთაი-სისაკენ, მაგრამ იმ დროს წადგა მის წინ ვიღაც ახალგაზრდა და მოახსენა: „თქვენ რომ ხოხობი გაგიფრინდათ, აგერ გახლავთ, ჩემს ეზოშიო!“. მეფემ მისი ბაზიერებით შეაჭენა ცხენი, დაუწყო ძებნა, მაგრამ ხოხობი ვერსად ნახა!.. მერე მიიხედა სახლისაკენ და სარკ-მელთან მოჰკრა თვალი ერთ მშვენიერ ქალს. „სად არის, ბავშვო, ის ხოხობიო? – ჰკითხა ახალგაზრდას – მომატყუუეო?“ – „არა, ჩემო ხელმიწვეო – მიუგო ყმაწვილმა – ქაჯაიას გვარს მის დღეში მეფისთვის ტყუილი არ გაუბედნიაო! ის ხოხობი, თქვენ რომ გაგიფრინდათ, აქ გახლავთ, მაგრამ დარბაისლების ეშინია და იმალებაო!.. მეფემ გაიღიმა, ცხენი გამოატრიალა და გაუდგა გზას, დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ჯვარიც დაინერა ქვრივზე.

ერთ დღეს მოლენით იყო მეფე; გარს დარბაისლები ეხვიენ და გიორგი აბაშიძეც მათ რიცხვში იყო, მეფემ ჰკითხა დარბაისლებს: „როგორ მოგწონთ დედოფალიო?“ კარისკაცებმა, რაც კი შეიძლებოდა, შეამკეს დედოფალი და ცამდის აიყვანეს. მეფემ შეიკრა წარბები და თქვა: „მაშ, ადრე რაღათ მიძაგებდითო?“

– განაგონბით მოგახსენებდით და ერთგულებისთვის ნუ შეგვრისხავთო!.. – მიუგეს ხმის კანკალით დარბაისლებმა.

– გიორგი აბაშიძე! შენ მაინც რაღას იტყვი? არ იცოდი, რომ ტყუილს არავის შევარჩენდი? – ბრძანა უფრო მრისხანეთ მეფემ.

– მე ტყუილი არ მომიხსენებია, ჩემო ხელმწიფევ! – მიუგო თამა-მად აბაშიძემ.

- მაშ, ახლაც ისე გეჩვენება?
- ახლა მზეთუნახავი ბრძანდება!..
- განა ეს შესაძლებელია?

– რატომ არა, შენი ჭირიმე? მამათქვენი ალექსანდრე რომ მიიცვალა და სამეფო ხელში ჩაგივარდათ, მაშინ იმერეთი კოჭლიც გახლდათ, ყრუც, ბრმაც და კბილებჩაცვენილიც, მაგრამ დღეს კი

ყველაფერი კარგათ ესმის, შორს ხედავს, ფეხებზე მაგრად დგას და კბილებიც ამოუგიდა, რომ მტრებს უკბინოსო... და, თუ მთელი სამეფო ასე გამობრუნდა და გაკეთდა, რაღა გასაკვირვალია, ერთი უბრალო აზნაურის ნაქვრივალის თქვენს ხელში გადასხვაფერება?!

მეფეს გაეცინა და სოფელი ჯოყოეთი უწყალობა.

დარბაისლური სიცრუა თუ ტეტიური სიმართლე?

მეფე სოლომონ მეორე ირაკლის შვილიშვილი იყო. არჩილ ბატონიშვილი რომ მიიცვალა, ობლათ დარჩა პატარა სოლომონ და დედამისიც მეორეთ გათხოვდა, ანდრონიკაშვილს გაჰყვა ცოლად. იმ დღიდან ქართლში იზრდებოდა და, რასაკვირველია, ზნე, ჩვეულება, მიხვრა-მოხვრა და ქცევა სულ ამერული ჰქონდა. თავზედაც ყოველთვის ბოხოხი ეხურა მაშინ, როდესაც იმ დროში არც ერთი იმერელი უფაფანაკოთ არ გაივლიდა. იმერეთის ტახტზე დიდი სოლომონის შემდეგ დავით მეფე იჯდა. თვითონ მეფე დასაწუნი არ იყო, მაგრამ ცოლი ჰყავდა ცოტა ნაძრახი და მიტომაც იმერლებმა მოახსენეს ქუთათელის პირით: „ჩვენი ცოლები დედოფლის შემყურე უნდა იყონ და მისი მიბაძვით, და მაგის ქცევა კი მოსაწონი არ არისო!.. გთხოვთ ან დედოფლი გაუშვათ და ან ტახტზე ხელი აიღოთო“.

მეფემ იუცხოვა ქვეშევრდომების ამგვარი კადნიერება და გარისხდა. მოხდა ამბოხება და მეფე ტახტიდან გადააგდეს. მაშინ იახლენ დარბაისლები იმერეთიდან ქართლ-კახეთის მეფეს ირაკლის და სთხოვეს: „იმერეთი შეიერთეთ, პატარა სამთავროსაც ხელი მოჰკიდეთ და საქართველო ისევ ძველ კალაპოტში ჩააყენეთ“. მეფე ირაკლიმ დარეჯან დედოფლალის რჩევით შორს დაიჭირა ეს საქმე და მოინდომა მისი შვილიშვილის, სოლომონის, გამეფება იმერეთში. იმერლებმა რომ თანხმობა არ გამოაცხადეს, ჯარი გაგზავნა ოცი ზარბაზნით საომრად და ძალის დასატანებლად. დაუშინეს კიდევაც იმერლებს, მაგრამ იმათ ხელი არ გამოუღიათ: „ჩვენ ძმობასა და ერთობას ვითხოვდით და არა სისხლის ღვრასაც“. ძალით გამეფებული სოლომონი ჩაუვარდა ხელში წერეთლებს და ბურთივით გაჰქონდ-გამოჰკონდათ. ხალხი დაემორჩილა თავის ბედს და თავის მხრით პატივსა და ერთგულებას არ აკლებდა პატარა მეფეს, მაგრამ იმას კი მაინც უფრო ამერლებისაკენ უწევდა გული, ყოველიფერი მათი მოსწონდა და, სხვათა შორის, ერთხელ დაიჟინა, რომ იმერ-

ლებს სიტყვა-პასუხი არ უვარგათო და დარბასლობას ვერ ახერხებენ ქართლელ-კახელებივითო.

– ნუ გამინწყრებით და მაგაზე მე, თუმცა თვითონ იქური ვარ, ვერ დაგეთანხმებითო! – მიუგო სოლომონ ლიონიძემ, მსაჯულმა. მეფე მაინც თავისას არ იშლიდა. – „გამოვცადოთ, ბატონი, მაგაზე ადვილი რაღა არის? ერთი და იგივე რამ ჰკითხეთ იმერელსაც და ქართლელსაც და მათი პასუხიდან გაიგებთ სწორსა“.

მეფემ კბილის ტკივილი მოიგონა და ყბა აიხვია. შემოვიდა სვიმონ წერეთელი და მონქენით რომ ნახა ყბაახვეული მეფე, შეჰქადრა: „რა დაგმართნიათ, ბატონორ?“

– კბილები ამტკივდაო! – უპასუხა მეფემ. წერეთელი შეწუხდა და მოახსენა სანუგეშებლათ: „არა გიშავს-რა, შენი ჭირიმე, ქარს გაუკრავს და გადაგივლისო“.

– კი, მაგრამ არ გიკვირსო? – კიდევ ჰკითხა მეფემ.

– რა გასაკვირალია, შენი ჭირიმე? ეგ სულ თქვენი მოუსვენრობის ბრალია: აქეთ ხვანითქარსა ჰკბენთ და იქით ყეენსა და ან აქამდე როგორ შეგრჩა ეგ კბილებიო!

იმ დროს იმერეთში მეფის კარზე სტუმრათ იმყოფებოდა ქართლელი თავადიშვილი, ამილახორი, და ის შემოაყვანია მეფემ. შესჩივლა: „კბილები მტკივაო“. სტუმარს მართლა ეწყინა და თავის ქნევით მოახსენა: „მართლაო?.. აიპე! რა უსიამოვნო საქმე მოგსვლიათ!.. თავსლაფი კი დავასხი მაგისთანა კბილებს!.. ი ოხერი სატკივარი, მაინცდამაინც, თქვენთან რომ არ მოსულიყო, სხვას ვერავის გამონახავდაო?“

– აკი მოგახსენეთ?! და ახლა რაღას ბრძანებთო? – ლიმილით ჰკითხა სოლომონ ლიონიძემ.

მეფე სოლომონს ეწყინა და ბრძანა:

– დარბასლურ სიცრუეს ისევ ტეტიური სიმართლე სჯობსო.

ფილოსოფოსი და ვირი

ერთი ფილოსოფოსი, ძველებური ჩვეულების მიხედვით, ვირზე იჯდა და ისე დადიოდა სოფლით-სოფლათ ხალხის დასამოძღვრებლათ. ერთხელ ლამის გასათევად მექორწილეებს მიადგა კარზე. იცნეს და მიიწვიეს სუფრაზე. მეფე-დედოფლის სადლეგრძელო რომ დალიეს, ფილოსოფოსსაც მიაწოდეს სასასმო და დაალევინეს ნუნუა. მეორე სადლეგრძელოზე უარი გააცხადა სტუმარმა: „მეტი აღარ

მინდა და ვერ დავლევო“. ალარ მოეშვენ, ძალა დაატანეს და დაალევიეს. მესამეზე ხვეწნა-ვედრებით მიმართეს: „მართალია, არ გინდა, მაგრამ პატივი გვეციო!.. შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, თუ გიყვარდეთ“ და სხვანი... ფილოსოფოსმა ამდენ მახვეწარს ხათრი ველარ გაუტეხა და ძალაუნებურათ კათხას კათხაზე სცლიდა. ისე მოეკიდა ლვინო, რომ იქვე უგრძნობლათ სუფრის ქვეშ გაგორდა. მეორე დღეს რომ გამოელვიდა, შერცხვა: „ეს რა მომივიდაო?“ შეჯდა ჯორზე და გამოიპარა შინისკენ. გზაში ერთ პატარა მდინარეს მიადგა: მწყურვალმა ვირმა რომ წყალი ნახა, დალუნა თავი და იმდენი სვა, სანამდას გული არ იჯერა; მერე კი აიღო თავი და გაჩერდა. პატრონმა უთხრა: „დალიე კიდევო!“ ვირი არ გაინძრა. „დალიე, გიბრანანებო!“ – შეუძახა. ვირმა მხოლოთ კუდი გაანძრია და ყურები გააპანტურა. გადმოხდა მხედარი, დაუზოქა და შეეხვენა: „თუ გიყვარდე, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, თუ ჩემი ხათრი გაქვს, დალიეო“. ვირი არ ინძრეოდა, ყურადღებასაც არ აქცევდა პატრონის ხვეწნა-ვედრებას. მაშინ ადგა ფილოსოფოსი და დიდი მონინებით თაყვანი სცა ვირს და მოახსენა: „ვირი მე ვყოფილვარ, რომ სხვებს ავჰყევი და, რაც არ მინდოდა, იმაზე მეტი დავლიე, – შენ კი ფილოსოფოსი, რომ ამდენი ხანი გეხვეწები და ვერ გადმოგიყოლიეო“.

მოტყუებული ტერტერა

ერთ ტერტერას მზეთუნახავი ცოლი ჰყავდა. გამვლელ-გამომვლელებს თვალი მასზე რჩებოდათ და მრევლიც ქმარზე უფრო ცოლს შეჰყურებდა. დიდხანს ვერავინ მოიგო მისი გული. ბოლოს მაინც ველარ გაუმაგრდა მაცდურს და შეიყვარა მეზობელი, მაგრამ ისე მოხერხებულათ კი, რომ ეჭვი ვერავის შეჰქონდა. ერთხელვე რომ კარი გაიღება, იქ ერთთან მეორეც შევა. ტერტერას ცოლმა, რაღაი კი ერთხელვე სიყვარულს გული გაულო, დაკეტვა ველარ მოხერხდა და მალე სხვაც შეუყვარდა. უნდოდა პირველი მეორეში გაეცვალა, მაგრამ გარემოება ხელს უქმლიდა. ერთხელ ტერტერა მირონის მოსატანათ გაემგზავრა. ცოლმა იმ საღამოსვე შეატყობინა სატრფოს და დაიბარა. ძველ საყვარელსაც თავისთავათ გაეგო ტერტერას წასვლა და ჩვეულებისამებრ დაადგა ერთხელვე გატკეპნილ გზას და მიადგა ტერტერას სახლის კარებს სწორეთ იმ დროს, როცა მისი საყვარელი სხვისი აღერსით იყო გატაცებული. შეშინდა ქალი და უთხრა ახალს: „არაფერია, იმას მე მალე გავისტუმრებ და შენ მანამდის ამ ტახტქვეშ

შექვერი და დაიმალეო!“ ახალი დამალა, თავი შეიხვია, გააღო კარი და შემოიყვანა ძველი, მაგრამ მის საალერსოთ კი ველარ მოიცალა და მიზეზად შეაკიკი მოიგონა. ამ დროს ეზოში ცხენმა დაიჭიხვინა. „ვაი, დავილუპეთო, – წამოიძახა ქალმა – ეს ჩვენი ცხენის ჭიხვინია, ჩანს ჩემი ქმარი დაბრუნებულა და რაღა ვქანათ, სად წავიდეთო?!. ამის მტერი აღარა დაგვრჩენია რა – უთხრა საყვარელს – მე კივილს დავიწყებ, შენ ამოილე ხმალი, ვითომ ძალიან გაანჩხლებული ხარ, მიიქნიე-მოიქნიე, იყვირე, იყვირე გიჟივით: არა! უნდა მოგვლა! ვერ დაიმალები! სადა ხარ! გამოეთხოვე სიცოცხლეს! და სხვანი.“

ქალმა კივილი მორთო, კაცი აღრიალდა და ამოლებული ხმლის ქნევით და მუქარით გავარდა კარში. წინ ტერტერა შეხვდა, დამ-ფრთხალი რომ არბოდა კიბეზე, და ჰკითხა: „კაცო, რა ამბავია? რა ყვირილია? რა დაგემართაო?“ მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ის გიჟივით გაშორდა და ლრიალებდა: „მიჩვენეთ, სად არის? სად დაიმალე? უნდა მოგვლაო!“ შეშინებული ტერტერა შევიდა შინ და იქვე ცოლი დახვდა თმაგამლილი, ტანგაზდილი და გაფითრებული. „უჳ, გენაცვალოს შენი ცოლი, რა კარგ დროზე მოხვედიო!.. სწორეთ სასწაულმა მოგი-ყვანაო!“ აუხსნა და მოუყავა: „შენ რომ შინ აღარ მეგულებოდი, ადრე გავშალე ლოგინი და ჩავწერი ქვეშაგებში, მაგრამ, შენზე ფიქრით და ჯავრით დარტიანებულს, კარები დაუკეტელი დამრჩენოდა. უცბათ რაღაც ხმაურობა მომესმა გარედან. სანამდის წამოვდგებოდი, უცბად შემოვარდა სახლში ვიღაც უცხო კაცი, შეშინებული, და დაი-წყო ხვენნა: დამალე, მიშველე, მოკვლას მიპირებენო! მე სანამდის გამოვერკვეოდი, ჩვენი მეზობელიც შემოვარდა ხმალამოლებული და დაუწყო იმ საწყალს ძებნა. იქით ეცა გიჟივით, აქეთ ეცა! მიანგრია, მოანგრია... ქვეშაგები ამიშალა: აქ უნდა იყოს სადღაც დამალულიო, და რომ ველარ ნახა, გავარდა ისევ კარში. სწორეთ ფარსაგი არა დამართინა-რაო!“ დაამატა ქალმა. ტერტერას გაუკვირდა და თქვა: „რაღაც ერთი დიდი ამბავი უნდა იყოსო... და ის უცხო კაცი მაინც სადღა არისო?“ – „რა ვიცი, – უთხრა ცოლმა, – ტახტევეშ თუ შეძ-ვრაო“. დაუძახა ტერტერამ: „სადა ხარო?“ და მართლაც პასუხი იქი-დან მიიღო. „ნუ გეშინია“, უთხრა ტერტერამ, გამოაძრინა შეშინებული და გამოჰკითხა: „რა დაგემართაო?“ – „რა ვიციო“, უპასუხა უცხო კაცმა: „გზად მოვდიოდ აქეთკენ, უეცრათ გამომივარდა ვიღაც ხმალამოლებული კაცი, მეგონა გიჟი იყო, სიკვდილი მომინ-დომა, გავექცი; ის გამომეკიდა და რომ აღარ მომცა საშველი, აქ შემოვედი და თქვენი მოწყალებით რომ არ გადავრჩენილიყავ, ჩემი აღსასრულის დღე მოსული იყოო“.

– შენს ბედს უმადლოდე, შვილო, – უთხრა ტერტერამ, – რომ მეც დღეს გზაში კურდლელი დამიხვდა და გზა გადამიჭრა, თვარა აღარც მე დავპრუნდებოდი სახლში და ველარც შენ გადარჩებოდიო. – უცხო კაცმა მადლი მოახსენა და წასვლა მოინდომა, მაგრამ ცოლმა არა ჰქნა: – „რას ამბობ, ეგებ ის კაცი სადმე გარეთ მიმალულია და გიც-დის, რომ გაგათაოსო!“ მერე მოუპრუნდა ქმარს და უთხრა: „წადი, გენაცვალე, ეზოში მიიარ-მოიარე, დაათვალიერე, ის ჩვენი მეზო-ბელი არსად იყოს და რომ დარწმუნდები, მერე შემოპრუნდი და შენვე გააცილე ეს უბედური სამშვიდობომდეო“. ტერტერას ძალიან დაუჯდა ცოლის ჭუა. გავიდა გარეთ და დაუწყო თვალიერება. რომ შემოპრუნდა კარგა ხნის შემდეგ, ესენი აქ ორივე დამშვიდებული დაუხვდენ და იმანაც იკისრა უცხო კაცის გაცილება.

მოჩვენება

ერთ კაცს კარგი ცოლი ჰყავდა, მაგრამ ნამეტანი ეჭვიანობით თავი მოაბეზრა: თვალიდან არ იშორებდა, არც სადმე გაუშვებდა, არც ვისმე სახლში შემოუყვანდა, გარდა ერთ-ერთი მისი საკუთარი მეგობრისა, რომელიც შინაურ კაცათ ითვლებოდა. მოთმინებიდან გამოსულმა დედაკაცმა მოინდომა ამ მეგობრის შეცდენა; შეუჩდა, მაგრამ ოჯახის მეგობარი ძალიან შორს იჭერდა თავს. ქალი მაინც არ ეშვებოდა, დღესხვალებით ნელ-ნელა იმდენზე მიიყვანა, სიყვარული გულში ჩაუგდო. მაგრამ რა გამოვიდოდა, მარტო, ქმრის დაუსწრებლათ, მისი ნახვაც არ შეეძლო. ერთხელ, სადილათ რომ იჯდენ, ყველი მოინდომეს; ქალმა უთხრა სტუმარს: „მე დაღალული ვარ, ჩემი ქმარი მოხუცებულია, შენ უფრო ყმანვილი ხარ, ძამიაშვი-ლობას, ადი მაღლა სხვენზე, გიდლით ყველია ჩამოკიდებული, ერთი წველა ამოილე და მოგვიტანეო“. წავიდა მეგობარი, შუაგზაზე რომ მივიდა, შეჩერდა, გადმოიხედა მაღლიდან და გადმოიძახა: „მაგისათ-ვის გამომაგზავნეთო? ერთმანეთს რომ ეხუტებით და ჰკითნით, რა სულწასულობაა, მერე ველარ მოასწრებდითო? ჩამოპრუნდა გულ-მოსული და მოუჯდა გვერდით. ცოლ-ქმარმა ერთმანეთს დაუწყეს ყურება, გაუკვირდათ: ხომ არ გაგიჟდაო? ადგა ცოლი და თვითონ წავიდა ყველის ჩამოსატანათ. შუა გზამდის რომ მივიდა, შეჩერდა ისიც და გულმოსულმა გადმოიძახა: „რას შვრებით, თქვე ლვთისპირ-დან წყეულებოო!.. ვის გაუგონია, კაცი კაცს რომ ეხუტებოდაო?!“

წვრილ-წვრილი ამბები

დაბრუნდა გულმოსული და დაჯდა. „რა ღმერთი გინყრებათო? – თქვა ქმარმა. – რის კოცნა, რის ხვევნა, ხომ არ გადარეულხართო!“ ადგა და წავიდა ყველის ჩამოსატანათ. შუა ადგილამდი რომ მივიდა, შეჩერდა, გადმოიხედა და დაინახა, რომ ქალი და კაცი ერთმანეთს ეხვევიან და ჰკოცნიან. გაუკვირდა ძალიან, გადაინერა პირჯვარი და სთქვა: „დიდება შენს სახელს, ღმერთო! ახლა კი მიეხვდი, რაც ამბავია! ეს ადგილი ისეთი შეჩვენებული ყოფილა, რომ ვინც აქედან გადაიხედავს, ყველას მოეჩვენება, რომ ქვეით დარჩენილები ერთმანეთს ეხვევიან და კოცნიანო... მოჩვენებას რომ იტყვიან, სწორეთ ეს ყოფილაო!“ გაიცინა, გადაიქნია ხელი: „ფუ, ეშმაქსო!“ თქვა და წავიდა ყველის მოსატანათ, აღარ დაბრუნებულა. რომ ჩამოვიდა, ნახა, რომ ქალი და კაცი თავ-თავის ადგილზე იჯდენ ისე, როგორც დატოვა. ქალს უთხრა: „დიდი ხნის გაუნათლავია და დავუძახოთ მღვდელს, რომ სახლი გვიკურთხოს, თვარა მოჩვენებას ვერავინ წაუვაო. „როგორო?“ – ჰკითხეს. „სწორედ იმ ადგილას, საიდანაც თქვენ მოგეჩვენათ, მეც იქიდან დავინახე, რომ თქვენ ერთმანეთს ეხვეოდით და ჰკოცნიდითო, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ეს მოჩვენება იყო და აღარ დაგბრუნდიო“.

22

ცერცვი თუ ცეცხლი

ერთი მღვდელი თავზე წაესწორ ცოლს, კუროს რომ ეტრფიალე-ბოდა, დაავლო კეტს ხელი და შეუტია. კურო სარქმელში გავარდა, მღვდელი გამოუდგა და მორთო ყვირილი: „დაიჭირეთ, ნუ გაუშვებთ მაგ ქურდო, მაგ ავაზაკსო!“ მოგროვდა ხალხი და შეაკავეს გაქცეული, რომელმაც, ბალში რომ გარბოდა, იმ დროს რამოდენ-იმე ცერცვი მოგლიჯა და მუჭებში ეჭირა. ხალხმა ჰკითხა: რა ამბავია? „როგორ რა ამბავია!.. ხუცის ბალში ეს ერთი მუჭა ცერცვი მოვგლიჯე და ამისათვის მომდევს მოსაკლავათ, აღარ მზოგავსო და მიშველეთო“. ხალხს გაუკვირდა, ის გაუშვა, გადაეღობა წინ ღვდელსა და დაუწყო საყვედური: „მღვდელო, როგორ გეკადრება უბრალო რამეზე მოთმინების დაკარგვა? ერთი მუჭა ცერცვისთვის კაცი ვის მოუკლავს, რომ შენ მოგაკვლევიოთო!“ მღვდელი ოჯახის გაკიცხვას მოერიდა, რაც იყო, ვეღარ გაამხილა, წაიშინა თავში ხელი და აღრიალდა: „შვილებო, ვინც არ იცის – ცერცვია, მაგრამ ვინც იცის – ცეცხლია!.. მეტი რაღა მეთქმისო“, – თქვა და გამობრუნდა სახლისკენ.

[1897-1898]

ნაკვესები

უცხოეთიდან ახლად დაბრუნებული აკაკი მიიწვიეს ერთს ლხინში, სადაც ჭირვეული თამადა სავსე ყანით მივიდა იმასთან „ალლავერ-დის“. პოეტმა ცოტა მოწრუპა და ისევ უკანვე გადასცა სავსე ყანი. „უკაცრავად, მაგრამ ღვინის სმა არ შემიძლიაო“. მაშინ ტოლიპაში, ყველასათვის მოულოდნელად, მიუბრუნდა პოეტს და კისერში მიუშვა მთელი ყანი ღვინო, რაც ვერ დალიე, შენვე უნდა შეიშროო! თუ სმა არ შეგეძლო, რად ჯდებოდი ჩვენ სუფრაზედო? შენი გულისათვის კანონს ვერ დავარლვეთ და კანონი კი ასე მოითხოვსო! პოეტს ღიმილი არ შესწყვეტია და სიმდაბლით უთხრა ჭირვეულს: „მე ეგ კანონი არ მცოდნია, თორემ არ მოვიდოდი და ახლა რაღა გაეწყობა? რადგანაც მაგისთანა კანონი გქონიათ, მეც დაგმორჩილებივარო,“ – ხუმრობაში გაატარა შეურაცხყოფა და ლხინმაც მშვიდობიანად ჩაიარა. რამდენიმე ხნის შემდეგ აკაკის სტუმრები ეწვიენ და მათ რიცხვში, ღვინო რომ გადაასხა, ის ტოლიმბაშიც ერია.

პოეტი მიუჯდა საწერ მაგიდას და ერთ ხანს ლექსები სწერა. მერე მიუბრუნდა ჭირვეულ თამადას, გადასცა კალამი და სთხოვა: ახლა შენ დაათავე ეს ლექსიო! – მე ლექსების წერის რა ვიციო, – უთხრა გაოცებულმა სტუმარმა. – როგორ თუ არ იციო? – მიუგო აკაკიმ, – მაშ რად მოუჯექი ამ ჩემ საწერ მაგიდასო? – და მთელი საწერელი მელანი გადაასხა თავზე. წამოვარდა ზეზე გაანჩხლებული თამადა, მაგრამ პოეტმა დამშვიდებულად უთხრა: – მეც შენს კანონსა ვხმარობო. მე, რადგანც ღვინის სმა არ ვიცოდი და ისე დავჯექ თქვენ სუფრაზე, მიტომაც თქვენ თქვენის ხელით გადამასხით ერთი ყანი ღვინოო, და თქვენ კი, როცა წერა არ შეგიძლიათ, ჩემ საწერ მაგიდას რაღად მოჯდომიხარო.

ჩვენში ერთი მოსამსახურე იყო, დიდი ლოთი და დიდი მოქრთამე, როცა იქნა, გადააყენეს, მაგრამ იმას რაღა ენდავლებოდა? წავიდა პეტერბურგს და იქ ცხოვრობდა თავისთვის. ერთხელ ამ გადაყენებულს დიდი წვეულება პეტერბურგში და სხვათა რიცხვში, შემთხვევით იქ მყოფი აკაკიც მოხვდა. მასპინძელმა სადილზე ტრაბაზი დაიწყო, რომ კავკასიაში რომ ვიყავი, ძალიან ვუყვარდი ხალხსაო! წამოსვლის დროს სადილი გამიმართა და სახსოვრად საჩუქრაც მომცაო. გამოიტანა საჩუქრად მიღებული აზარფეშა, რომელზედაც

ნაკვესები

„კოლხიდის ვერძი“ იყო დახატული. სტუმრებმა იკითხეს: რას ნიშნავს ეს ვერძი? ალეგორიული ხომ არა არის რაო? – როგორ არაო, – მიუგო აკაკიმ, – ჩვენში აზარფება ლოთობის ემბლემაა და ვერძი კი იმას ნიშნავს, რომ ბერძნებმა დიდალი ფული გაიტანეს ჩვენი ქვეყნიდან.

3

ქუთაისში ერთსა და იმავე დროს მსახურებდენ ორი ძმა: გვარად პრინცი ბეკი და კნიაზევი. იმ ხანებში გუბერნატორმა ჰკითხა აკაკის: რა აზრისა ხარ ჩემ გუბერნიაზეო? – დიდი არისტოკრატიული გუბერნიაო, – მიუგო პოეტმა, – აქ სამსახურში ამწესებენ პრინცებს, ბეგებს, კნიაზებს და საწყალ ქართველისათვის კი ადგილი აღარ რჩებაო.

4

ერთმა ახალგაზრდამ დაიტრაბახა, აკაკის რაც კი რამ დაუწერია, სულ ჩემი წყალობააო: ერთად ვიდექით, დავამწყვდევდი ხოლმე ჩვენს პოეტს ოთახში და სანამ არას დასწერდა, არ გამოუმვებდიო! მაგის ნანარმოები მე დამრჩებოდა და ვიდებდი ხოლმე უბეშიო. ხომ მართალია? – დაეკითხა იქვე მყოფ აკაკის. – სწორედო, – დაემონმა ტრაბახას გულმოსული პოეტი, – თუ გახსოვს, ერთხელ კიდეც გამიჭირდა და შევრცხვი, რომ აღარ გამომიშვიო.

5

ერთ სტოლზე ქალალდს თამაშობდენ; მათში ერთა კ... ჩ... ძეც, ქალალადი არ მოდიოდა, ჯავრობდა და ცმუტავდა. აკაკიმ შენიშნა. კ...ს ეწყინა და თამაშობას თავი დაანება. მისი ადგილი ერთმა დარბაისელმა ხელჯოხიანმა დაიჭირა. ქალალდი არც იმას მოუვიდა და იმანაც ჯავრობა დაიწყო. მაშინ მიუბრუნდა აკაკი კ...ტეს და უთხრა: უკაცრავად, ტყუილა შეგნიშნეთ, თურმე ეს ოხერი ადგილი ყოფილა მოუსვენარიო. დარბაისელი განითლდა, მაგრამ კრინტიც აღარ დაუძრავს მერე.

6

აბასთუმნის სასტუმროში ანგარიში ნარუდგინეს აკაკის, ზედ-მეტი მიენერათ და პოეტმაც, როცა გასინჯა, სთქვა: ახლა კი მივხვდი, რად ეძახიან ამ ადგილს აბასთუმანსო, თურმე აბაზში თუმანს ახდევინებენ!..

ნაკვესები

7

ი. ა-მ სთხოვა აკაკის: მარაოზე ლექსი მინდა დავაწერო და გამო-მითქვიო. აკაკიმ უპასუხა: თუ ლამაზი ქალისათვის გინდა, ეს დააწე-რეო:

„ხელში აიღე მარაო,
ნუ მენაზები, კმარაო!“

8

ერთხელ ტანმორჩილი კაცი ამბობდა ერთ ტანმაღალ კაცზე: ისეთს გულზე მომიყვანა, რომ კინალამ გავარტყიო; და თუ არ გავარტყი, მარტო მისთვის, რომ... – ახლოს სკამი არ იყო, რომ ზედ შემდგარი-ყავიო, დაუმატა აკაკიმ.

9

ერთმა ახალგაზრდა ნაცნობმა უთხრა აკაკის: დღეს პირველად გამოვდივარ საადვოკატოდ, ჩემი კლიენტი საჭურისია (სკაპეცი) და ქურდობას სწამებენო. – გაკეთებულა შენი საქმეო, – მიუგო პოეტმა. – კანონი სჯის მხოლოდ სქესს. ან მარიობითი უნდა იყოს და ან დედრობითი და რადგანაც შენი საჭურისი არც ერთს სქესს არ ეკუ-ვნის, ველარც გაასამართლებენო!..

10

ერთმა ახალგაზრდამ მიაძახა აკაკის: საყმაწვილო წიგნი მინდა გამოვსცეო. – საყმაწვილო წიგნი განა ბავშვმა უნდა გამოსცესო? – დაეკითხა პოეტი.

11

გრიგოლ დადიანმა მოიწვია სადილად აკაკი და სხვათა შორის თავის მამულის ღვინო „კოლოში“ დაალევინა და ჰკითხა: როგორ მოგწონს ეს „კოლოშიო“? – ახლა კახური მირჩევნია, მაგრამ ზამ-თარში კი კალოში სჯობიანო, – უპასუხა პოეტმა.

აკაკი ერთს სადილზე იყო მიწვეული. ვიღაცამ იკითხა: თეთრი ლვინო სჯობს თუ წითელიო? პოეტი თეთრ ლვინოს სვამდა, მაგრამ პასუხის საგებლად წითელიც დაისხა და რომ არ მოენონა, სთქვა: სადილობამდე ეს ლვინოც თეთრი ყოფილა, მაგრამ სუფრაზე რომ მოუტანიათ, სირცხვილით განითლებულაო.

ერთი უხეირო არტისტი ეუბნებოდა აკაკის: ვერ წარმოიდგენ, რა რიგად მიყვარს სცენაო!.. როცა მე არ ვთამაშობ და სცენას ვუყურებ, ურუანტელი მივლის ხოლმეო.

– წარმოიდგინე, რომ მეც მაგ მდგომარეობაში ვარო, – უპასუხა აკაკიმ.

– შენ რათაო? – ჰერიტეგებულმა არტისტმა.

– შიშისაგანო

– რისა გეშინიანო?

– იმის, ჩემო კარგო, რომ სცენაზე კარი არ გაიღოს და შენ არ შემოხვიდეო, – აუხსნა შეუბრალებლად აკაკიმ.

ერთი მოსამსახურე სჩიოდა: მე რომ აქ, თქვენში, თქვენთანა ვარ, ვმსახურებ, თქვენთვის ვწვალობ, თქვენთვის ვიტანჯებიო და თქვენ კი არ მაფასებთო. – როგორ არაო, – მიუგო აკაკიმ – მეტი არა შეგვიძლია რა და ღმერთს კი ყოველ დღე ამას ვეხვენებით: ყოვლად შემძლებელო, ნუ სტანჯავ ამ კაცს უბრალოდ ჩვენთან, შენ მოუმართე ხელი და, საიდამაც მოსულა, იქვე წაიყვანეო.

ერთმა მელოტმა სთქვა: ერთ ლამაზ ქალს წიგნი მივსწერე, ვსთხოვე, რომ ისე შეგინახავ, როგორც ჩემს თავსო, მაგრამ მაინც არ შემირთო!..

– სწორედ მაგ მიწერით დაგიფრთხიაო: რა სასიამოვნოა მუდამ შიშვლად და ცარიელად დარჩენაო? – მიუგო აკაკიმ.

აკაკის ზოგიერთი ადვოკატები საზოგადოდ ეჯავრებოდა. სასტუმროში ერთმა ადვოკატმა ძეხვი მოითხოვა, ბევრი ეწვალა და კანი ვერ გააცალა და გულმოსულმა იკითხა: არ გიკვირსთ, რომ კანი არ სძვრება ამ ძეხვსაო?

– ეგ არ მიკვირსო, – მიუგო იქ მყოფმა აკაკიმ. – ის კი გასაკვირველია, რომ ადვოკატი ხარ და ტყავის გაძრობას ვერ ახერხებო.

ერთხელ აკაკის უთხრა ერთმა ძველი თაობის კაცმა: ათასიც რომ გვაგინოთ, ისევ თუ რამე ვართ, ჩვენა ვართო!.. უჩვენოდ თქვენ არად ივარგებთ: ჩვენ რომ მოვკვდებით, თქვენ მშრალზედ დარჩებითო.

– მადლობა ღმერთსო, – მიუგო აკაკიმ. – ახლა თქვენთან თქვენის წყალობით ჭენჭყოში ვართ და მაშინ კი მშრალში ვიქნებითო.

აკაკის ჩაი მიართვეს სამეგრელოში: შაქარი დავინწყებოდათ თუ როგორლაც იყო, აკაკიმ ზედაზედ ერთსა და იმავე სტაქნისათვის სამჯერ მოითხოვა შაქარი. – რამდენიც უნდა შაქარი ჩააგდო, რაკი შენი ენა მოხვდება, გამწარდებაო, – უთხრა მასპინძლის ახალგაზრდა ქალმა.

– მაშ ჯერ თქვენ უნდა დააწოთ შაქარს ენა, რომ ალარ გამნარდესო! – მიუგო პოეტმა.

ერთმა პედაგოგმა, რომელიც პოეტობასაც ჩემობს, ახლოს სოფელში წამავალ აკაკის ერთი კვიმატიანი ცხენი ათხოვა და თანაც ლექსების რვეული გაატანა. თუ მოგეწყინოს, ამეღამ ეს გადაიკითხო. მეორე დღეს ჰერიტეგებულს: როგორ იმგზავრე? ლამე როგორ გაატარეო?

– რა უნდა გითხრა, ძმაო, დღე შენმა ცხენმა დამტანჯა და ლამე ლექსებმა, – მიუგო პოეტმა.

ერთი ვინმე კარგ გუნებაზე იყო სადილად და „მიმინო მყვანდა“ - ს მღეროდა. იმდენი იმდერა ეს „მყვანდა - მიყვარდა“, რომ ყველას თავი მოაპეზრა და ყველაზე უფრო აკაკის.

- არ გეტყობა, რომ მიმინო გყოლოდეს... მაშინ ამდენი მწყერები აღარ გეყოლებოდაო!.. - მიაძახა ნერვებაძრულმა პოეტმა.

რა არისო, რომ სამსჯავროში საქმის გარჩევის დროს მსაჯულებს მუნდირები აცვიათ, ადვოკატებს ფრაკი და დამნაშავენი კი უფრო ხშირად შიშვლებიც არიან? - ჰყითხეს აკაკის. - ეს იმას ნიშნავსო, - მიუგო პოეტმა, - რომ საქმის გარჩევა მსაჯულებისათვის სამსახურია, ადვოკატებისათვის - ბალი და დამნაშავეთათვის კი აბანოო.

აკაკის ჰერიტეს: რას მივაწეროთ, რომ ესა და ეს კაცი, როცა მთვრალია, კარგად ლაპარაკობს და სასიამოვნოც არის და თუ ფხი-ზელია, მაგისი ველარა გაგვიგია რაო?

- უთუოდ, როცა თვრება, რაც თქვენ არ მოგწონსთ, იმას ჰერ-გავსო, - უპასუხა პოეტმა.

ერთმა ქალმა უსაყვედურა აკაკის: შენი სიტყვები ლოდივით მან-ევს გულზეო! - რა ვქნა, ბატონო!.. მე მაინც ვერ დავიმუნჯებ თავს! ნეტავი სულაც ჩემ სიტყვებად გადამაქციაო, - მიუგო აკაკიმ.

არჩევნების დროს ზოგიერთი აბეზარი კენჭოსნები ჰეყვიროდენ: „კენჭი მოგვეცით, კენჭი!.. კენჭმა უნდა გაგვასწოროსო“.

ნეტავი თქვენ გასწორდებოდეთ და ვინ ოხერი ან ლოდს დაი-შურებს თქვენთვისაო, - მიაძახა აკაკიმ.

ერთი მელოტი კაცი ამბობდა: ახლანდელ ყმანვილების ყოფაქცე-ვას რომ კაცმა უყუროს, თავზე თმა აუდგებაო!..

- გეტყობა ბევრი გიყურებიათ, რომ თქვენი თმა არა თუ ამდგარა, არ დამდგარა კიდეც და გადაკარგულა ცხრა მთას იქითო, - მიუგო აკაკიმ.

აკაკი მასკარადში იყო. თავი ტკიოდა. მოწყენილი და დაღვრემილი დადიოდა. ერთი ბებერ დედაკაცად ჩაცმული „მასკა“ აეკვიმატა და საშველს არ აძლევდა: რას მოგინყენია? წამალი მე ვიციო!.. - არა, ჩემო კარგო, ძველი აფთიაკიდამ მე წამალს არ ვხარჯავო, - უპასუხა აკაკიმ.

ერთ ლხინში, სადაც გახურვებული სმა იყო, აკაკიც დაეს-წრო. ჯერ პირველად კარგი, მაგრა თავი ღვინოები შემოქონდათ სუფრაზე, მაგრამ ბოლოს კი, როცა მასპინძელმა გაივლო გუნებაში, რომ სტუმრებს ბევრი აღარა გაეგებათ რაო, მდარე, თხლე ღვინოე-ბიც მოაყოლეს და მართლაც ყურადღება არავის მიუქცევია. მაგრამ ბოლოს, მასპინძლის სადღეგრძელოს რომ სვამდენ, აკაკიმაც აიგვი იმ მდარე ღვინით ჭიქა და მიაძახა მასპინძელს: - შენი სადღეგრძელო იყოს, ბატონო ანტექრისტეო, - მასპინძელს ეწყინა და ჰერთა: რა მიგავს ანტექრისტეო? - სასწაულთმოქმედებაო, - მიუგო პოეტმა, - ქრისტემ წყალი გადააქცია ღვინოდ და შენ კი ღვინო - წყლადო!

აკაკის ღამე ქურდი შეეპარა ოთახში. პოეტს ჯერ არ ეძინა, მაგრამ თავი მოიმძინარა. ქურდმა აქეთ-იქით ფოთიარი დაიწყო და მიუახლოვდა პოეტს. პოეტმა იმ ბნელაში ჩუმად ჩასჩურჩულა ყურში: „ვერაფერი იპოვე რაო? ქურდს, ალბათ, ეგონა, რომ აქ სხვა ქურდიც არისო და დაიღრიალა, მოულოდნელად შეშინებულმა. მის ყვირილზე გამოიღვიძეს სასტუმროში და დაიჭირეს ქურდი.

ერთმა სომებმა ა... უთხრა აკაკის: ქართველებს ერთადერთი კაცი გყავსთ ჭკვიანი – ილია ჭავჭავაძე და ისიც იმიტომ, რომ დედა ჰყავდა სომხის ქალიო.

–შენ რომ დედაც სომები გყავს და მამაც, რატომ ერთიორად იმაზე ჭკვიანი არა ხარო? – პასუხის მაგივრად ჰქითხა აკაკიმ.

აკაკი ერთ ოჯახში სადილად იყო. დიასახლისის პატარა ვაჟი გაჭირვეულდა და ვერმიშელი აღარ სჭამა. დედა დაემუქრა, შვილი დაიმედებული იყო, სტუმრებთან მანც არას მეტყვიანო და ხელში კოვზს ცოდვილობა დაუწყო. მერე მიუბრუნდა აკაკის და ჰქითხა: ძიავ, ამ კოვზს რა აწერია? – აკაკიმ კოვზი ჩამოართვა და ვითომ წაიკითხა:

„თუ არ სჭამე ვერმიშელიო,
გაგლახვენ და ვერ გიშველიო“.

გორში ლეკურში შეეკამათენ ერთმანეთს. ორი გამოჩენილი მოლეკურე ქალი. ქ... ა...სა და ფ...სა. ზოგი ერთს ამჯობინებდა და ზოგი მეორეს, ა...ის ქალი მივიდა აკაკისთან და ჰქითხა: ვინ უკეთ ვთამაშობთო?

– ორივე კარგად თამაშობთო!..
– არა, მანც ჩვენ ორში ვინ უკეთესიაო?
– ხელების გაშლა იმან უკეთესად იცის და ფეხებისა კი – შენაო,
– მიუგო პოეტმა.

აკაკი დალაქთან შევიდა თავის გასაკრეჭად. დალაქი ერთს მელოტს თავს დასტრიალებდა და ორი აბაზი გამოართვა. მერე მიუბრუნდა დიდთმიან პოეტს და უთხრა: ხომ დაინახეთ, რომ მელოტს ორი აბაზი გადავახდევინე? თქვენ კი მაგდენ თმაში მანეთსაც ვერ დაგჯერდებითო. აკაკიმ გაიღიმა და უთხრა: რათა, ძმაო? ჩემი სულ ერთ ალაგას არის თავმოყრილი და მაგისი კი საძებარიაო და მის ძებნაში დროც მეტი დაგიჯდებაო.

ერთმა მეგობარმა შესჩივლა: ცუდი ყოფაქცევის ცოლი შემხვდაო.

– ფიქრი ნუ გაქვსო, – ანუგეშა, – შენ ნურას ამბობ და ისიც თავისით მოიშლისო, დედამისი მაგისთანა იყო, მარა გახდა თუ არა თოხმოცი წლის, მაშინვე მოიშალაო.

ერთმა რუს-ქართველმა ჰქითხა აკაკის: რუსი რომ იცინის, ამბობს, გვერდები ამტკივდაო და ქართველი კი – ვაიმე, დედავ, მუცელიო, და ეს განსხვავება რისგან არისო. – შენ უკეთ უნდა იცოდეო, – მიუგო პოეტმა, – ამიტომ რომ, როცა გაიცინებ, გვერდებიც უნდა გეტკინოს და მუცელიცო.

ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელიც გათხოვებამდი ძალიან მოსწონდა აკაკის, გათხოვდა და გადაჰყვა სიმდიდრეს. გათხოვილს ერთხელ შეხვდა აკაკი და ვითომ ვეღარ იცნო, თავი არ დაუკრა, ქალმა მოაგონა თავი.

– უკაცრავად, თუ ვეღარ გიცანითო! – უთხრა პოეტმა – ადრე თავში გქონდათ ოქრო და ახლა კი გარეთ გამოგსვლიათო!.. ქალს თმებში ოქროს სავარცხელი ერჭო.

სურამში სეირნობის დროს დაინახა, რომ მ(ეუნარგი)ა იაკობ გოგებაშვილთან დადიოდა. ბიჭოს, – დაიძახა პოეტმა, – იაკობს არკი ღენერლობა მიუღიაო!.. მ(ეუნარგი)ს ღენერლები უყვარდა.

ერთი კბილის ექიმი ცუდად იხსენიებდა აკაკის, გადასცეს და იმან ღიმილი დაიწყო. ნეტავ, რა დამიშავებია იმ ყმაწვილისათვის? ალბათ იმაზედ მემდურის, რომ საღი კბილები მაქვსო.

ერთი წიგნი დაიბეჭდა, სათაურად ეწერა: „აკაკის ოხუნჯობანი“. აკაკიმ წაიკითხა ის წიგნი, ბევრი ოხუნჯობა თავისად ვერა სცნო და სთქვა: – დალახვროს, ე რამდენი აკაკი ყოფილა ქვეყანაზედაო!

ერთი ყმაწვილი კაცი სადილად მეგობართან იყო. მარჯვნივ აკაკი უჯდა და მარცხნივ ერთი ტატანა-მოლაპარაკე. იმას უნდოდა ეთქვა, რომ მარჯვნივ ბულბული უზის და მარცხნივ კაჭკაჭიო და იკითხა: რა მანძილია ბულბულსა და კაჭკაჭს შორისო?

– ბევრი არაფერიო, – უთხრა აკაკიმ, – შუაში მარტო ერთიღა ბაიყუში უზისო.

სენაკის სათავადაზნაურო სკოლა რომ აკურთხეს, აკაკიც დაესწრო და სიტყვაც წარმოსთქვა. სადილზე, სხვათა ღვინოთა შორის, კახური ღვინოც მოიტანეს ბოთლებით, დავით ჭავჭავაძის „ნაფარეულის“ ზერიდან. აკაკიმ მოატრიალა ბოთლი, ბოთლზე წარწერილს თითი დადვა და სთქვა: საკვირველი ხალხია ეს მეგრელები! ღვინოც ნაპარეული აქვთო. ნაფარეულის მაგიერ ბოთლზე რუსულად ნაპარეული ეწერა.

ერთი ყმაწვილთაგანი დიდხანს იყო ძალაუნებური სტუმარი რუსეთის. ბოლოს, როგორც იქნა, ჩამოვიდა ჩვენში და 1891 წლის საბანო კრებაზე ამტკიცებდა, რომ მოგებიდან უნდა გადავსდევათ დამშეულთათვის რუსეთში ასი თუმანიო. აკაკიმ მიაძახა: ჰაი, ბეჩავ, რა ძალიან დაგხსომებია რუსეთის პურმარილიო.

ფოთში ქართლელს საწყენი უთხრეს, ქუთაისში მიხვდა, გორში ეწყინა და თფილისში გული მოუვიდაო, – სთქვა აკაკიმ.

ერთი ლიტერატორი შეხვდა ნაავადმყოფარ აკაკის და უთხრა: შენი ამბავი მიტომ არ ვიკითხე, რომ არც მე და არც სხვა „ივერიის“ თანამშრომლებს შენი ავადმყოფობა არ დაგვიჯერებიაო.

– მე თქვენი სიმრთელე და კარგად ყოფნა არასოდეს არ დამიჯერებია და თქვენც რომ ჩემი ცოტა ხნის ავადმყოფობა არ დაიჯეროთ, რა საბოდიმოა? – მიუგო აკაკიმაც.

ახალწლის წინაღამეს მოურავმა უთხრა აკაკის: თქვენი ცხენი მოუპარავთ, მაგრამ, იმედია, ვიპოვნითო.

– თუ ღმერთი გნამს, ძებნას ნუ დაუწყებთ... დაიკარგოსო, – მიუგო აკაკიმ. – ეს ძევლი წელიწადი, მთელი თორმეტი თვე, უბედური იყო ჩემთვის!... ახლა, ეტყობა, ჩემ ცხენზე შემჯდარა და ისე მიდის. ნუ გამოუდგები.. აღარც მისი დაბრუნება მინდა და აღარც ჩემი ცხენიო.

ერთმა ინჟინერმა ხუმრობით უთხრა ნაავადმყოფარ აკაკის: ასე მალე როგორ დაბრუნდი საიქაოდანო?

– თქვენი, ინჟინრების, გაკეთებული გზა რომ ყოფილიყო, დღე-საც იქ ვიქნებოდიო.

აკაკის უსაყვედურეს: შენ შენის კალმით არაფერი შეგიძენია, საოცნებო ფრენას უნდები და ადვოკატები კი ქვეყანას ჰქონია.

– ეგ მისი ბრალია, – მიუგო აკაკიმ რომ ჩემი კალამი ბატის ფრთი-საა და იმათი კი ძალლის კბილისაო.

ერთი ნაამხანაგარი შეხვდა აკაკის და, სხვათა შორის, უთხრა, რომ ახლა ყველაფერი მომზყინდა და მარტო ფილოსოფიით ვიქცევთავსაო.

ნაკვესები

– ბარაქალა, ბარაქალა, რომ ბიჯი წინ წაგიდგამსო, – უპასუხა აკაკიმ. – უნივერსიტეტში რომ იყავ, სოფია მიგაჩნდა თავშესაქცევად და ახლა კი ფილოსოფიაზე გადასულხარო.

48

ეხლანდელ ქართველ ოჯახში ანბანის მოსწავლე ბავშვი, – სთქვა აკაკიმ, – დაჯდება და ხმამაღლა კითხულობს შ. ყ. ხ. ესე იგი, შინ ყარ ხარო.

49

„დროების“ რედაქციაში ერთხელ ამ გაზეთის თანამშრომლები შეყრილიყვენ და რაღაცაზე ცხარედ ლაპარაკობდენ. აქ იყო იონა მეუნარგიაც, რომელიც „ლელოს“ ფსევდონიმითა სწერდა „დროებაში“. ამ დროს რედაქციაში შემოვიდა აკაკი და შეუტია მეუნარგიას: – სუ, ლელოო!..

50

ყაზბეგმა თავისი მოთხრობა „ელისო“ ცალკე წიგნად გამოსცა. ყოველ გვერდზე თავში „ელისო“ ენერა. აკაკიმ ხელში აიღო წიგნი, ფურცელა დაუწყო და იძახოდა გაოცებული: „სულ ელისო, სულ ელისო, სულ ელისომ?!“

51

აკაკი ერთხელ „ივერიის“ რედაქციაში შევიდა და მაგიდას მიუჯდა. ხელში ხელის მომწერელთა სია ჩაუვარდა, გადაშალა და სწორეთ ისეთ გვარებს წააწყდა, რომელიც „d-ით იწყებოდა – ძილამდე ჩასულა „ივერიის“ რედაქციაო.

52

ერთი ახალგაზრდა ქართველი კოხტაობით პენსნეს ატარებდა და სანდახან შუბლზე იდებდა ხოლმე.

– ბატონო აკაკი, რა მიზეზია, რომ ის ყმაწვილი შუბლზე იდებს ხოლმე სათვალესო და არა თვალზეო?

ნაკვესები

– იმიტომ რომ ჭკუით არის ბეცი და არა თვალებითო! – მიუგო აკაკიმ.

53

„ოტელოს“ ადგენდენ, „იაგოს“ როლს სვიმონიძე თამაშობდა. მეზობელმა უთხრა აკაკის: ვერა ხედავ, რა კარგად თამაშობს სვიმონიძე ამ როლსო?

– რა ძალიან გაგკირვებია: განა არ იცი, რომ ყველა იმერელი იაგოა ცხოვრებაშიო? – მიუგო აკაკიმ.

54

მ... ერისთავი და აკაკი რაღაცაზე წალაპარაკდენ. ერისთავმა უთხრა პოეტს რიხით: ნუ დაივიწყებ, აკაკი, რომ მე, რაც უნდა იყოს, მაინც ერისთავი მქვიანო!..

– ბატონო, ერი კი აღარა გყავს, ჩამოგართვეს და ცარიელი თავი გინდ იყოს და გინდ არაო.

55

აკაკი ერთ მეგობარს ა.-კ-ძეს – ფულს ესესხა. დრო რომ მოვიდა კი...მ წერილი მისწერა:

„საყვარელო აკაკი,
წიგნსა გწერ ახლა კი,
თუ ფულს არ გამომიგზავნი
წელშიაც მოვიყაპვი“.

პოეტმა იმ წერილზე დაუწერა ლექსი და გაუგზავნა:

„საყვარელო ანდრია!
ფულის თხოვნა ადრეა;
დღემდის ჭკვიანი იყავ,
დღეს რამდა გადაგრია?“

56

ჩვენში ცნობილი სვიმონ გუგუნავა, „თამარიანის“ გამლექსავი და აკაკი ლამე მოდიოდნენ ერთად ქვეითად და მოსაუბრობდნენ

თვისთვის. სხვათაშორის მწერალმა ერთი პატარა ლექსი თქვა, სადაც ეს სიტყვებიც ერია: „მაღლობა ღმერთს, ჩემი ჯიბე ძლივს გავტენე ოქრო-ვერცხლითო“. ერთი ვიღაც იმათ შორიახლოს მოსდევდა და თურმე ყურს უგდებდა. მგზავრებს მისთვის ყურადღება არ მიუჰცევიათ. გზაში სვიმონი გამოეთხოვა ამხანაგს და თავის სახლში შევიდა, მეორემ კი, რადგანაც უფრო შორს იდგა, გასწია ბალახოვანისაკენ მარტოდ-მარტო და ერთ ყრუ და ბნელ ქუჩაში რომ შეუხვია, უკან რომ კაცი მისდევდათ გზათ, იმან გადაუარა თავი დამარტოხელებულ მწერალს, გაუჩერდა წინ და მიაძახა: გაჩერდი, თვარა გაგათავეო! – რას მერჩი?! – მიუგო შემკრთალმა მწერალმა.

– მოიტა, რაც ფული გაქვს!

– ჰო!.. ეგ გინდა, სხვა არაფერი? – დიალ! ჩქარა! – მაშ კარგი, რაღა გაეწყობა? მაგრამ ერთი პირობით კი – ნახევარს დამჯერდი...

– მე პირობის არა ვიცი რა! მოიტა მალე სულ! – შენი წებაა, მაგრამ ჩემი ხელით კი არ შემიძლია, რომ მოგცე და შენ თვითონ ამოიღე. – მოძალადე მივარდა მწერალს, ჩაუყო ჯიბეში ხელი, უცებ გაუსინჯა, მაგრამ ვერა იპოვა-რა და გულდანწყვეტით ჰყითხა: სად არის, რომ ვერ მივაგენიო. – „რა სულნასული ყოფილხარო? – მიუგო აკაკიმ. – ასე მალე მოგწყინდა ხელის ფათურიო? მე ჩემ სიცოცხლეში სულ მაგ ჯიბეებში ვყოფ ხელს, ჯერაც არა მიპოვნია-რა, და შენ კი ერთ წუთს გინდა იპოვონ?!.“ – რომ არა არის-რა, რა ვიპოვონ? – ეგ მეც ვიცოდი და მიტომაც შემოგაძლიე ნახევარი, რომ გულიც ნახევრად დაგნევეტოდა. – გაეცინა მოძალადეს და უთხრა: წადი შენთვის და მეორეთ აღარ გნახო უფულოთო – მაღლობელი ვარ, ღმერთმა გისმინოს, რომ უფულოთ მეც აღარ მენახოს ჩემი თავიო, – მიუგო მწერალმა და დამშვიდებით გაუდგა გზას, მეორე დღეს ეს ამბავი გაეგო სვიმონ-საც, მეწუხებულიყო, – რატომ არ გავაცილეო. მივიდა მწერალთან და სხვათა შორის ჰყითხა: ვინ იყო ის შეჩერებული, ეჭვი მაინც ვერ აიღეო? – აქაური არ უნდა ყოფილიყოს! ერთი, რომ მე ვერ მიცნო და მერე კიდევ ისიც, რომ ჩემი ჯიბის იმედი ჰქონდა, – უპასუხა.

აკაკის ერთხელ თემობაში მიეპარა ჯიბგირი და ჩუმად ხელი ჩაუყო ჯიბეში, სადაც ნაწერი ქალალდების მეტი არა იყო-რა. პოლიციელმა თურმე შენიშნა და წავლო ხელი ჯიბგირს. მწერალმა რომ დამფრთხალი და შეშინებული ახალგაზრდა ქურდი დაინახა, შეეცოდა, მიუბრუნდა და სიცილით უთხრა: „შე კაცო, აკი ერთხელაც გითხარი,

მაგას ნუ შევრები-მეთქი! რად იცი ხოლმე ჩემ ჯიბეში ხელის ჩაუოფა? ხელნაწერი რომ არ წაიკითხო, არ იქნება? როცა დაიბეჭდება, მაშინაც მოესწრები სხვებთან ერთად წაკითხვასაო!“ პოლიციელმა რომ ეს გაიგონა, იფიქრა: ალბათ ვინმე კარგი შეხუმრებული ნაცნობი ყოფილაო! ბოდიში მოიხადა და გაუშვა ჯიბგირი. რამოდენიმე წლის შემდეგ მწერალს წერილი მოუვიდა: „დიდი ხანია, რაც კი რამ დაბეჭდილა თქვენი და ან იბეჭდება, ყველასა ვკითხულობ. თქვენ რომ პირველად გნახეთ, იმ დღიდანვე მე ხელი ავიღე ჩემ პირვანდელ ხელობაზე, შევისწავლე წიგნების კვრა, მეყდე გახლავარ და თუ ინებებთ, წიგნებს ნახევარ ფასათ შეგიკრავთ.

თქვენი მოსამსახურე გ. სან-ძე“

საზოგადოდ იმერეთში და, კერძოთ, ლეჩეუმისკენ ბევრი მოიპოვება მისთანა კაციცა და ქალიც, რომ ქართულის მეტი არა იცოდეს-რა, მაგრამ კარგათ კი იყოს გონებაგახსნილი და განვითარებული. აკაკის ძალიან მოსწონდა ისინი და უპირატესობასაც აძლევდა იმ პირებზე, რომელთაც წარამარა ტიტინი უსწავლითათ უცხო ენაზე და მით დაუმთავრებიათ თავისი განათლება. ამხანაგებმა უსაყვედურეს ერთხელ ამ ახირებულ კაცს. შინ გაზრდილები რომ მოგწონს და ნასწავლებს არად აგდებ, რად შევრები მაგასა? – მაგის პასუხს ამ საღამოს მოპრძანდით ჩემსა და მოგახსენებ, – მიუგო მან. საღამოს მართლა ესტუმრენ ამხანაგები. მასპინძელმა მიინვია ისინი მისთანა ოთახში, სადაც მამაპაპურად გახურებულ ბუხარს გუგუნი გაჰქინდა. ოთახში სითბოც კარგი იდგა და სინათლეც იყო, მაგრამ სანთელი კი არსად ნოებულა. „ეს უსინათლობა რა არის?“ – იკითხა ერთმა. „სანთელი თუ გნებავს, სხვა ოთახში მიბრძანდითო!“ უპასუხა მასპინძელმა და შეიყვანა სტუმრები მეორე ოთახში. აქ ბუხარი გაცივებული იყო და მხოლოთ სადღაც კუთხეში სანთელი ბუტავდა, აღარც სინათლე იყო და აღარც სითბო, დასხდენ იქ სტუმრები, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, სიცივემ რომ გაუჭირათ, იკითხეს, არ აჯობებს, რომ ეს სანთელიც იმ თბილ ოთახში გავიტანოთ და ჩვენც იქ გავიდეთო? – „რასაკვირველიაო“ – დაეთანხმა მასპინძელი. გავიდნენ და გაიტანეს სანთელიც. პირველ ოთახს სანთელიც რომ მიემატა, ერთიორად უფრო განათლდა და აქათქათდა. მაშინ მიუბრუნდა მასპინძელი სტუმრებს და უთხრა: „აი, ყმაზვილებო, ხომ ხედავთ? ამ ოთახში, სადაც კარგი მამაპაპური ბუხარი ანთებული იყო, სითბოც კარგი დაგიხვდათ და

ნაკვესები

სინათლეც ცოტაოდენი; იმ უცხო ოთახში რომ შეგიყვანეთ, სადაც კერა გაცივებული იყო, იქ აღარც სითბო იყო და სანთელიც ობლად, საცოდავად ბუტავდა, სანამ ისევ აქ ამ ოთახში არ გამოვიტანეთ და ბუხრის სინათლეს მისიც არ მივუმატეთო.. მე რომ შინ გაზ-რდილი კაცები მომწონს, ისინი მამაპაპურად არიან გაზრდილი და განვითარებული, იციან კარგად დედაენა და სამშობლოც ყოველ-გვარად შესწავლილი აქვთ, იმათ სიახლოვეს მე სითბოსაც ვგრძნობ და სინათლესაც ვხედავო. თქვენ რომ ნასწავლებზე მითითებთ, ისინი კი იმ უცხო ოთახში მბუტავ სანთელსა ჰგვანან, სადაც აღარც სით-ბოა და აღარც სანთელიო, მშობლიურ ნიადაგზე თუ არა სდგას კაცი, მისი შუქი ბევრს ვერც გაანათებს და ვერც არავის გაათბობსო“.

59

ერთი გრძელი ცხვირის და გრძელი პირის პატრონი არწმუნებდა აკაკის: „ბევრ ცუდს ამბობენ ჩემზე ხალხში, მაგრამ სტყუიან და ნუ დაუჯერებთო!“

— მეც ვხედავ, რომ სტყუიანო — მიუგო მან. — მთელი ქვეყანა, ერი და ბერი, სულ იმას იძახის შენზე: უცხვირპიროაო და შენ კი, რომ უნდა, იმაზედაც მეტი გქონია ორივეო.

60

კენჭის ყრის დროს ერთმა მოხუცმა ჰკითხა ამასვე: „რა მიზე-ზია, კაცი რო დაბერდება და წვერ-ულვაში და თმა გაუთეთრდებაო? აი, მაგალითად, მე შავი აღარც კი მირევიაო!“ — ალბათ საიქიოს გირჩევენ, იქ უყრიათ თქვენთვის კენჭი და გაუთეთრებიხართო, — უპასუხა ცივად.

61

ერთ დროს „ივერიის“ თანამშრომლები სულ ფსევდონიმებით აწერდენ ხელს: „ფარნაოზი“, „ლალიო“, „იაგუნდიო“ და სხვანი. ერთმა თანამშრომელმაც რომ დაიწყო წერა, ფსევდონიმათ „ნალი“ მოაწერა. აკაკი, რომელიც კარგის თვალით ვერ უყურებდა თანამშ-რომლებს, ძალიან გაახარა ამ ფსევდონიმა,

— ოპ! ძლიერ მართლის წერა დაიწყესო: ამდენ ნახირს, რასაკ-ვირველია, ერთი ნალი დასჭირდებოდაო.

აკაკის მოსწრებული სიტყვები

ლხინში საზოგადოდ ძალიან მოწყენა იცოდა აკაკიმ. ერთხელ, როდესაც ახალგვარ „მრავალუამიერს“ ამბობდნენ და ყველა მოლხ-ენილად იყვნენ, ჰკითხეს:

– მოწყენილი რათა ხარო?

– როგორ თუ რათაო? – მიუგო აკაკიმ, – ვხედავ, რომ ძველე-ბურს ჩვეულებას წესს უგებთ, ზარს ამბობთ, თქვენ ჭირისუფლე-ბათა სხედხართ და ამ აღაპში მე რა მომალხენსო?

ერთად შეყრილიყვნენ ყმაწვილები და სწუხდნენ:

– რა გვემველება, რომ ჩვენში შრომა ყველასა სძულს და მუშა არავინ გვყავს. განსაკუთრებით ქალებშიო?

– ეგ ძალიან ტყუილიაო, – სთქვა აკაკიმ. – ვერა ჰქედავთ, რამოდენა კურტან-ტიურნირები დააქვთ ჩვენს ქალებს? მუშები არიან, აბა რა არიანო?

აკაკიმ ერთი ძველი, ეტრატზე დაწერილი სახარება წარუდგინა „წ.კ. საზოგადოებას“ და მისწერა ეყიდნათ ეს წიგნი 5 თუმნად. საზოგადოების გამგეობამ ფასი იუცხოვა და წიგნის სყიდვაზე უარი განაცხადა. სხვაზედ უფრო მღვდელი ჯანაშვილი იყო ამ წიგნის სყიდვის წინააღმდეგ. ეს რომ აკაკიმ შეიტყო, სთქვა:

– მღვდელი რომ ჯვარისა და სახარების წინააღმდეგი იყოს, ეს რად უნდა გაუკვირდეს კაცს ახლანდელ დროშიო.

ამას წინად აკაკისთან სადარბაზოდ შემოვიდა ერთი მისი ძველი მეგობარი ქართულად ჩაცმული. სტუმარმა შემოსვლისთანავე ქუდი მის სამწერლო მაგიდაზე დასდო. სადაც აკაკის ნაწერები ელაგა. აკაკიმ შენიშნა ეს და უთხრა:

აკაკის მოსწრებული სიტყვები

- ეგ ბოხოხი რომ დაგიდვია აქ, რა მისი ადგილია?
მეგობარმა უპასუხა:
- ქართველები ქუდით ვამაყობთ ხოლმე და რა უშავს, რომ აქ იდვასო.
აკაკიმ მოსწრებულად მიუგო:
 - კიდეც ეგ არის ჩვენი უბედურება, რომ ქუდით ვამაყობთ და არა თავითო.

„დ“

საგულისხმო

საგულისხმო

ქათამი რომ მოკრუხდება, საბუდარს არ შორდება, რომ გადაკ-რუხდება – აღარ ეკარება. ქალიც ასეა: როცა უყვარს, სატრფოს არ შორდება და თუ გული გადაუბრუნდება – გაურბის.

ჭკვიანი მტერი მიმპარავი ძალლია! უჭკუო – შორიდან მყეფარი.

ტრფიალების მოყვარული კაცი გუგულს ჰგავს: სხვის ბუდეში სდებს კვერცხს. დედალი ჩიტი გამოჩეკს, საბრალო მამალი საკვებს უზიდავს, დააფრთიანებს, ბუდიდან გადასხავს და მაშინ მიხვდება, რომ სხვაგვარია, მაგრამ რაღა დროს?

საზოგადოდ, მეგობრობა გულის გაშლაა, ჩვენებურად – სუფრის გაშლა.

ორი ძალლი მომგვარეს. შიმშილით ძლივს კანკალობდენ. მოვუ-ტანე ორი გობი კერძი და ცალ-ცალკე დაუდგი. მშიერი ძალლები სულხავად მივარდენ, მაგრამ რომ დაინახა პირველმა მეორე და მეორემ პირველი, დაანებეს თავი ჭამას, მივარდენ ერთმანეთს და ეცენ ყრონჭში. სანამდი ისინი ხორხოზს გაათავებდენ, მათი კერძი სხვა ძალლმა წაიღო. მე გამიკვირდა, მაგრამ მომყვანმა მითხრა: ეს ძალლები იმერული არიან; ოღონდ კი ერთმანეთს შეუშალონ ხელი და თვითონ კი მერე თუ გინდა შიმშილით მოკვდენ, აღარ ინალვლებენ.

დაუმთავრებელი მოთხოვები

იმერლები

იმარლები

რომანი

პირველი თავი

არჩევანი

|

შემოდგომის მიწურულზედ, როდესაც ცეცხლი გემრიელდება, გამხიარულებულს ბუხარს მიჯდომოდა სამოცი წლის მოხუცი კუკ-ნია და ნებიერად გულბოყვით ეფიცხებოდა.

მისი გამოშტერებული თვალები ამტკიცებდნენ, რომ, ოცნებები-სგან გატაცებული, ის იმ დროს სადღაც შორს გარბოდა, მაგრამ მისი წარმოდგენილი სარბიელი კი რომელ დროს ეკუთვნოდა: წარ-სულს ბედნიერს? შეშინებულ ანმყოს? თუ უსახო მომავალს? – ეს ვინ იცოდა?

გაიძვერაობაში დასილაქნებულ სახეზე დიდხანს არ ეტყობოდა არავითარი სულისკვეთება, მაგრამ, როდესაც სითბომ თანდათან შეუხიცინა მისს ტვინის ძაფებს, მაშინ კი უღალატა მოხუცს ჩვეუ-ლებრივმა გულკაჟობამ და ერთი მისთანა ამოიოხვრა, რომ, თითქოს, მითი უნდოდა ცოდვის ტვირთის ზურგიდამ მოშორება და რაიმე საიდუმლო უფსერულისკენ გატყორცნა. წარბები შეიქმუხვნა. სახ-ეზე ჭმუნვის ღრუბელი გადაეკრა და უსიამო ღიმილმა ეშმაკების სადგურის სარკმელს დაუმსგავსა სახე.

– სთქვა უგუნურმან გულსა შინა თვისსა: არა არს ღმერთი! – წამოიძახა უეცრად. – დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი! ყოვლისშემძლებელო! შენის მიუწვდომელის საკ-ვირველებით მხოლოდ შენ ძალგიძს სხვადასხვაგვარ საგნების გას-აერთნივთებლათ შეზავება და შენვე გახრწნი ერთს ნივთს მრავალ-გვარად!

აი, ცეცხლი... ყრმა და მოხუცი, მთავარი და მონა, მდიდარი და გლახაკი, ბრძენი და რეგვენი ერთნაირად სარგებლობენ მითი და სიყრმითგანვე მიჩვეულები, აღარ ხდიან საკვირველებად, მაშინ როდესაც მიუწვდომელია მისი ძლიერმოქმედება!! ხეს ეკიდება!.. რა? – ცეცხლი! და რა არის ცეცხლი? – საკვირველმოქმედება! რა გვარი? – აი, რაგვარი: ალი აღეტყინება, ვითარცა საკვერთხი, ცად მიმართ,

იმერლები

სითბო გამოხეთქს ცხოველთ შვებად და ჰერის განსაწმენდელად, კომლი ღრუბელს ემატება, ნაკვერცხალი ძირს ეყრება და დასასრულ კი გვრჩება ხელში მარტომდენდა ნახშირ-ნაცარი!.. ჰმ... დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენი! ისინი კი ამას ქიმიის ძალას ეძახიან!! – ჰმ.. ხა! ხა! ხა! ქიმიაო! ჰმ... ქიმიაო?!

სიტყვა „ისინი“ ისეთის მნარის კილოთი და ხმის კანკალით გამოსთქვა, რომ თითქოს ამ ნაცვალსახელში რამდენიც ასოა, იმდენი ისარი გაემსჭვალა გულში და ხუთადაც გაუპო გულგვამიო.

ბოლოს დადუმდა, მაგრამ სახე კი სრულიად დაშლილი დაურჩა და შეშლილივით, თავისთვის, რაღაცას ბუტბუტებდა, ხანდახან კი ხმამალლადაც წამოიძახებადა ხოლმე: ლეკვები! უსჯულოები!.. ძალები! უსუსურები! და სხვა...

ვინ იცის, რამოდენს ხანს იქნებოდა მოხუცი ამგვარად აღელვებული, რომ ერთ მოულოდნელს შემთხვევას არ გამოეფხიზლებინა.

II

ერთი შუახნის კაცი ფეხებაკრეფით შემოიპარა და შეუნიშნავად, მორიდებით დაუდგა კუკნიას უკან. ხელჯოხიანობაში ჩასუქებულ ბატონებაცს, რომ ვთქვათ, არ ჰქონდა ბუნებითად უშნო სახე, მაგრამ ზნეობით სილარიბეს კი უშმურად აებეჭდა ის. რაღაც მზაკვრებით დიდხანს უჭვრეტდა ჩაფიქრებულ კუკნიას, შებრალებით გადააქნია თავი და სთქვა თავისთვის ჩუმათ:

– ვაი ჩვენს დავსებას! ეს მელა ის მელა ველარ არის, ადრე რომ საქათმოებსა აცივდება, დრო არის ან ტურებსაც ერგოსთ მოედანი!

მერე მიეპარა სწორეთ იმ დროს, როდესაც იმან ჩვეულებრივ ბუტბუტში ახსენა ძალები და უეცრად მიაძახა: „ამუო!“ ამ მოულოდნელმა შეყეფამ თავს შიშის ზარი დასცა, მხეცურის ხმით დაიღრიალა და მოტრიალდა მოსაგერებლად; მაგრამ, ჰოი საკვირველებავ, მის წინ იდგა სიმდაბლით თავდახრილი და ქვეშევრდომული ღიმილით თვალებში შემჩერე, მისი საყვარელი გაზდილი და სიკვდილამდე საიმედო მეგობრად საგულებელი ცუცნია!

III

იმ დროს, როდესაც კუკნიას ბედის ვარსკვლავი შესანიშნავად კაშკაშებდა, ვიღაც მოხუცმა მამამ მოჰვარა მას თორმეტი წლის

იმერლები

ვაუი და შეევედრა: – „ჩემო მწყალობელო, დიდო და დიდებულო ბატონო, მომხედე წყალობის თვალით, იახელი ეს ჩემი ბავშვი, რომ თქვენთან ახლოს ყოფნით ერთ დროს, ოდესმე ესეც კაცი გახდეს!“ მერე მიუბრუნდა შვილსა და უთხრა: – „შვილო, დღეის იქით მამაც ეს იქნება შენი, პატრონიცა და ბატონიც!.. გიბრძანოს – წყალში ჩავარდი და გიბრძანოს – ცეცხლში! ერთი სიტყვით, ამის ბრძანების მორჩილი და თვალებში შემჩერე იყავო!“

კუკნიას პირველი შეხედვისთანავე მოენონა მკვირცხლი ლამაზი ყმანვილი, იკისრა მისი გამოზრდა და იმ დღიდამცე კიდევაც შეუდგა მის წვრთნასა: დღე ჩიბუს აკეთებინებდა და ღამდამობით თან ფეხებზე ხელის სმით ზღაპარს ათქმევინებდა ხოლმე. მერე სასამართლოში ქაღალდების გადაჩაპვნის ნება მისცა. ააყოლა ასე ამგვარად და ბოლოს, როდესაც მაჭანკლობაშიდაც გამართა, მაშინ კი მისცა ნება თავის თავადაც საქმეებში ცოტა რამეების აწაპვნის, ე. ი. უცოდველად გამორჩენისა.

გონიერმა მოწაფემ მოძღვრის ხელობა ისე ნაყოფიერად მიიღო და შეისწავლა, რომ ოცდახუთი წლისამ კიდევაც გადააჭარბა მას: სახეს მრავალგვარად იცვლიდა, დროზედ მოხრუკვა შეეძლო და დროზე გაჭიმვ-გაბერვა, ზურგი მოთელილი ჰქონდა, შუბლის კანი გამაგრებული, მუხლები ადვილად ეყრებოდა და გარყვნილების მორევში, რომელსაც ჩვენში დღესაც სიბრძნისა და გამოცდილების ზღვად უნიდებენ, მისავით თამამად ვერვინ მისცურავდა; მაგრამ, დახეთ უბედურებას, რომ ისე შემჩერული მაინც ვერ იყო ხალხისგან, როგორც ოდესმე მისი მოძღვარი კუკნია, რომელსაც ამ უკანასკნელმა დროებმა ფრთხები ჩამოაყრევინეს და ჭირიან ინდაურივით აბუზეს!..

ნეტავი, რა იყო ამის მიზეზი? – დრო! ვინ შეარყია ამ ოდესმე შესანიშნავი კაცებისთვის ბედნიერი დრო? ვინ იყო მიზეზი მათის ასე დაჩაგვრისა? – „ისინი“!

IV

შეშინებულმა კუკნიამ რომ გული მოიბრუნა, ძალდატანებითი ღიმილით მიუბრუნდა ცუცნიას და ხმატებილად უთხრა:

– გიუო, ასე საშინლად როგორ შემაშინე?!

ცუცნიამ მოწინებით და თანაც ლაქუცით მიუგო:

– არა მჯერა, რომ ის ლომი, რომლისგანაც იმერეთი ძრწოდა, ძალის ერთმა შეყეფამ შეაშინა!

იმერლები

მოხუცს იამა ეს მოსწრებული ნათქვამი სიტყვა, მაგრამ მაინც ხვეშით სთქვა:

– მართალია, ლომს, არათუ ერთი ძალი, ხროც ვერ შეაშინებს, მაგრამ შეაწუხებს კი და არც ეს არის სასიამოვნო! ის ძალები, ისინი უნდა მოვიშოროთ! გესმის? მისთვის დაგაბარე, რომ ერთად რამე ვარჩიოთ... თუ ისინი იქმნენ, ჩვენ ყოველდღე თანდათან პატივი გვაკლდება, სულ ვმცირდებით! გესმის, ვმცირდებით ხალხის თვალში!.. ან ჩვენ და ან ისინი! გესმის?

– ბრძანეთ!! იყავნ ნება თქვენი!! – მიუგო ცუცნიამ.

– ბრძანება ადვილია, ასრულება კი არსად ჩანს!

– ცდა არ დაგვიკლია.

– ცდაც არის და ცდაც.

– თავი არ დაგვიზოგავს.

– მაშ რატომ ვერ შევაწუხეთ?

– ვერ შევაწუხეთ? ჰმ! რამ უნდა შეაწუხოსთ, თუკი არას დაჲკარგვენ და რა დაჲკარგონ, რომ დასაკარგავი არა აპალიათ რა? მათ-თვის პირადობა, კერძოობა, აი, ეს არის! – ფრჩილი მიიდვა კბილზე და დააწკატუნა.

– ეგ კი მართალია!..

აქ ერთი მწარედ ამოიხვენეშა და ჩაფიქრდა. მერე ისევ განაგრძო:

– მით უფრო სირცეხვილი ჩვენთვის... ლარიბ-ლატაკები. უხარისხოები, შერისხულები, სიცოცხლეს გვიმწარებენ ჩვენ? მდიდრებს!.. დაჯილდოებულებს?!.. და კეთილად შემცნეულებს?! სასაცილოა!

– სსსუუ! ნუ გამოვტყდებით!..

– სანამდე? შუბი ხალთაში არ დაიმალება!! მდაბალი ხალხი მათი თანამგრძნობია!!

– მაგრამ ჯერ კი, სანამ ხალხი პირუტყვობაშია, ისევ ვხედნით!

– მაგას „ძალათ მაცხონე“ ჰქვიან.

– რა გვენალვლება? ოღონდ კი გვეყომს ვინმე და გინდ ნებით იყოს და გინდ ძალით – სასარგებლოდ ერთი იქნება. ჯორს მხედარი არ უყვარს, მაგრამ, ვინა ჰქითხავს: უნაგირს ადგმენ და აქეთ-იქით ათოხარიკებენ...

– ვაი მხედარს, თუ ჯორი რისგანმე დაუფრთხა: გადმოაგდებს და ძირს დაცემულს რომ ნახავს, სასიკვდილოთ წიხლებსაც მიარტყავს.

– რა გაეწყობა: ვინც მხედრათ არ ვარგია, ის ნურც შეჯდება.

– კი, მაგრამ თავგამომეტებულ ჯორზე მხედარი ვეღარ შერ-

იმერლები

ჩება!.. რაღაი კი იკვინტებს, მშვიდობით: თუ გადახტომა მოასწრო, ხომ კარგი, თორემ ვაი გვერდებს!

– ჩვენი ჯორი ჯერ კიდევ მაგრე არა ფრთხის.

– „ისინი“ მისთანა მეჯინიბებები არიან, რომ იმ ჩვენს ჯორს მალე გადაგვირევენ. სხვა თუ ვეღარა მოახერხეს რა, ბუზანკალათ გადიქცევიან.

– მაგის მეც თანახმა ვარ, მაგრამ... მაგრამ მაშინ ჩვენ ბუზანკ-ლებს ჩიტები მივუსიოთ.

– მივუსიოთ, თორემ იმდენს გავხდებით, რამდენიც დღემდი...

– დღემდი თუ ვერას გავხდით, ეს თქვენივე ბრალია: რად ხმა-რობდით უნაყოფო საშუალებებს?

– მაგას სტყუი! რაც კი მოგვეხერხებოდა, თავი არ დაგვიზოგავს.

– უანგარიშმ ცდა და შრომა ჩიტების რეკაა!

– არა, ჩვენი მოქმედება სულ სხვაგვარი იყო! ანგარიშიც გვქონდა და საფუძველიც. განა შენ თვითონ კი არ იცი?

– ვიცი! ვიცი! ჩამოვიდნენ თუ არა „ისინი“, თქვენ გოგირდის სუნი გეცათ, მაშინვე ხალხს მიჰმართეთ და ჩაასმინეთ, რომ იმათ მამა-პაპის სარწმუნოებაზე ხელი აუღიათ, ღმერთი ალარა სწამთ, მარხვებს არ ინახვენ, ნირვა-ლოცვაზე არ დაიარებიან, ნათესაობასა სტეხენო და სხვა...!

– მერე? რა ცუდი მოგვიხერხებია? ერთხანს ხომ გვიჯერებდა ბრმა ხალხი?!?

– დიაბ, გვიჯერებდა, მაგრამ შემდეგ კი, რაღაი სიმართლე გაიგეს, თქვენვე ჩაგთვალათ ცილისმწამებელად...

– ეგ როდის?

– მაშინ, როდესაც დრომ დაანახვა მას, რომ ყოველი მცნების დამარღვეველი საქმე ქრისტიანობის მჩემებლებს ემჩნეოდათ და არა „იმათ“. აბა, რომელი მათგანი გაბმულა: დედ-მამის კვლაში, ფიცის გატეხაში, ქურდობაში, ავაზაკობაში, მეძაობაში და სხვ. მაშინ როდე-საც ჩვენ კი...

– სსუ! „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას...

– ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“, – გაიცინა ცუცნიამ. – არა! დღეს არა დაშავდება რა, უნდა გამოვტყდეთ ყველაფერში. „მაშ მკურნალმა ვითლა არგოს“, – ხომ გახსოვთ?.. ხუმრობა იქით იყოს და ჩვენვე გავაფუჭეთ საქმე.

– მართალია, ეგ ჩვენი სისუსტე იყო! – კვნესით სთქვა კუკნიამ და ჩაჰკიდა თავი.

იმერლები

– დიახ, დიახ! მაგან გაგვაშვა ხალხის თვალში. ხალხს სიმართლე უყვარს!.. გვიან მიხვდება, თორემ ოდესმე რომ არ მიხვდეს, შეუძლებელია! ეს, თითქმის, საზოგადო კანონია! დიახ... მიგიხვდათ და შეგიძლათ! გულით მათკენ არის.

აქ ახლა ცუცნიამ ჩატკიდა თავი, ეტყობოდა, რომ შესცურა მწუხარების ზღვაში, კუკნიამ რომ თავისი ვეზირი ამ მდგომარეობაში ნახა, გაიცინა და ერთიც მისთანა გადაიხარხა, რომ ცუცნია გამოაფხიზლა, ცუცნიას ეგონა, თუ გაგიუდაო და შეშინებული მიაჩერდა.

– იცი, რამ გამაცინა? – უთხრა ნამოძღვრალმა. – ორი მთვრალი მომაგონდა, ერთმანეთს რომ ხელსა ჰყიდებდენ ზეზე წამოსაყენებლად და ხან ერთი ეცემოდა და ხან მეორე... ჩვენც ისე მოგვდის: წელან შენ მამხნევებდი მე გულგატეხილს და ახლა კი შენვე გჭირდება გულის გამმაგრებელი.

– სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, არ მოგეხსენებათ? რაც იყო იყო, ნუდა მოვიხსენიებთ, მაგრამ ანინდლისთვის კი გვმართებს მოფიქრება! ხალხი მათი მომხრეა და ჩვენ რიყეზე ვრჩებით!..

– ხა! ხა! ხა! ეგ რა სთქვი? სუსტის მოხმარება!.. ხალხის შემწეობა... განა საჭიროა ჩვენთვის? მონება!.. მორჩილება! კრძალვა! აი, რას ვითხოვ ხალხისაგან!

– რომ ვეღარ მოგართვან!.. თმაგადაკვეცილს სამსონს რომ თმა წამოებრდება, მაშინ დაცემა კერპების ბომონი.

– ნამეტანს ნებას აძლევ შენს თავს! ნუ კადნიერობ!

– კარგია ერთი, ღმერთი გადლეგრძელებს, რა დროს შიში და კრძალვა-მორიდება იქ, სადაც ორივე ერთს ტაფაზედა ვართ და ერთს არჩევანში. რაც გულში გვაქვს, ვიღას უფიცავთ? კიდევ ვიტყვი, მდაბალი ხალხი არ გვემადლიერება და თუ ოდესმე გაგიცანით...

– ეჱ, ოდესმე? შორს მიჰყორინავ! მაშინ როდესაც მე აღარ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუდა ყოფილა, ჯერ კიდევ სძინავს ხალხს.

– ცალი თვალი გამოხელილი აქვს!

– არაფერია, დავახუჭვინოთ.

– ჯერ გამოხელა იყო ძნელი და ახლა დახუჭვინება აღარ მოხერხდება. ვეღარ მოვატყუებთ მარილის წატლაკვინებით.

– მაშ რა ვქნათ? გადავინწყვიტოთ სასოება?

– არა!.. გაესწიოთ!.. ხიდი ჩასტყდა... მობრუნება აღარ მოგვიხერხდება და ის მდაბალი ხალხიც ერთად „იმათთან“ ვამსხვერპლოთ ჩვენს კეთილდღეობას... ჩვენი ურგები ჯორი მგელს შევაჭამოთ!.. მიხვდი?..

იმერლები

– მივხვდი და საშუალებაც მზადა მაქვს.

– რაგვარი?

– იცი, – განაგრძო ცუცნიამ, – ძველ დროში ხელოსნები რანაირად აბეზღებდნენ ბატონებთან მათს უსიამო გლეხებსა? მოვიდოდენ და ეტყოდენ: ბატონო, დიდი ჩხუბი მომივიდა ამა და ამ გლეხთან, მაგრამ მე რას შემეცუებოდა, როდესაც თქვენც აღარად გაგდებსთ. ასე სთქვა: ვინ გდია ბატონიო? ბევრი უკადრისიც გაადრათ და სხვანი... ჰმ::: რას იტყვი ამაზედ?

– არაფერს! – გააქნია თავი, – ეგ საშუალობა ძალიან მოკლეფებიანია... მაგაშიაც შევრცხებით: ოდესმე აღარ დაგვიჯერებენ!..

– განა ახლა კი სჯერათ? „მიზეზ-მიზეზით დოს მარილი აკლიაო“, ხომ გაგიგონია? იქედამ მიზეზს ეძებენ და აქედამ ჩვენ ვაძლიოთ ხელში.

– კი, მაგრამ მაშინ უნდა ვაძლიოთ, რომ ხელი ეკიდებოდეს და ისე შეძლევა კი საცინლად აგდებას ემსგავსება და ოდესმე...

– ოდესმე! ოდესმე!! კიდევ ოდესმეო?! დაანებე თავი მაგ იმდესმებს! ახლა!! ახლა!! ვერ შეიტყე, რომ მე იმდესმეს არ ვუცდი? ოდესმე ჩემს საფლავზედაც იმყოფონ!

– დიახ, მაგრამ ეს „ოდესმე“ შორს აღარ არის; სარკმელში გვიჭვრეტს და ძილი აღარ გვმართებს.

– მაშ ყოველივე გზას მისპობ? გადაგიწყდეს – აღშფოთებით ჩაფიქრდა კუკნია. – მაშ სხვა აღარა იცი რა? რომ მოინდომო, ვერ მოიგონებთ სხვა რამ საშუალებას უფრო საფუძვლიანს?

– ვერა! გათავდა! – ცუცნიამ რაღაც სულის სიამაყით შეხედა თავის ნამოძღვრალს და ცბიერობით უთხრა: „მე ვიციო!..“ კუკნიამ გაოცებით შეხედა ცუცნიას, თითქოს უნდოდა ეთქო: ბიჭო, მე თუ ვეღარას ვახერხებ, შენ რაღა კვერცხები შეგიძლიან?.. მაგრამ ცუცნიამ ბრძნულად დაიწყო.

– ბუნების ნებაა ქვავილებში ეკლების გამორევა; სადაც ხორბალი ამოდის, იქ ღვარძლიც თან ამოჰყება ხოლმე. ეს კანონი არ შეადგენს ერთი წლის ანუ მხოლოდ ერთის მოსავლის კუთვნილებას!.. ყოველწლიურია!! შარშანდელ პურსაც ისე მოჰყება ღვარძლი და გორვალა, როგორც წლევანდელს, როგორც მომავლის წლისას და სხვა... ხალხიც ამ კანონს ექვემდებარება: ყველას დგმაშია თავისი ყვავილებიცა და ეკლებიცა, დღეს რომ ახალთაობად იხსენებიან, იმათშიაც ურევიან უმიშვნელო ნაყოფებთან ერთად თანამედროული ეკლები და „იგინი“ ჩვენის დროის ეკლებს არ დაუვარდებიან არაფერში.

იმერლები

სიტყვა „იგინი“ ცუცნიამ იმ განზრახვით იხმარა, რომ განესხვავებინა სიტყვისაგან „ისინი“, რადგანაც ეს ორი ლექსი: „ისინი“ და „იგინი“ სულ სხვადასხვას, ორს ერთმანეთის წინააღმდეგ კრებასა ნიშნავდა.

— დიახ, არა თუ დაუვარდებიან, კიდევაც გადააჭარბებენ, მაგრამ რადგანაც ბრმა ხალხი ჯერ პირდაპირ არ დაქანცულა მათგან, ვერა ნიშნავს და კიდევ დიდი დროც უნდა, რომ შენიშნოს... მანამ კი ჩვენ უნდა ვისარგებლოთ მათით.

— როგორ? — ჰკითხა კუკნიამ და თვალებზე სიხარულის ცრემლები მოადგა.

— „ისინი“ და „იგინი“ უნდა ერთმანეთს შევატაკეოთ და ჩვენ კი საითკენმე, მიფარვით განზედ გავსდგეთ. „ისინი“ თუ ყვავილები არიან ჩვენ დასაწყლულებლად, საწამლავის გამომლებლები „იგინი“ ხომ ეკლები არიან და ჩვენც მათი საშუალობით უნდა გავიკვეთოთ წყლულები.

— განაგრძე! ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — ეუბნებოდა ალშოთებით მოხუცი და რაღაც უცნაური მოწინებით ყურს უგდებდა ორატორს.

— „ისინი“ და „იგინი“ ხალხის თვალში ერთნი არიან; ორნივ ახალთაობის კაცებად ითვლებიან, ორივეზე დიდი რწმუნება აქვთ და იმ ორში მხოლოდ იმას მისცემენ უპირატესობას, რომელიც უმაღალაღებება და მაშ ჩვენ უნდა ვეცადოთ „იგინის“ ამაღლებას: გამოცდილ მებაღებსავით მოვუწყოთ ხელი იმ ეკლებს, გარს სუროებად შემოვეხვიოთ, ვეცადოთ მათს გახარებას, მათს ამაღლებას, ისე რომ მათი ჩეროსგან „ისინი“, ყვავილები, დაიჩრდილონ და მაშინ... „ჩვენი ჩვენთან“ იგინიც იძულებული იქნებიან მხარი მოგვცენ და ამგვარად მდაბალი ხალხი კიდევ ვერ მოიხდის უნაგირს! ვხედნოთ სიკვდილამდი!!

ახალგაზრდა ორატორი ისეთი გრძნობით ღაღადებდა, რომ სახე წამდაუწუმ ეცვლებოდა და მოხუცი, ვითარცა გენიოსს, მოწინებით უყურებდა და თანაც გული ეუბნებოდა: „გიხაროდეთ და მხიარულიყავნ, რამეთუ მოძლვრება შენი ფრიად არს გულსა შინა მისსაო!“ როდესაც გაათავა ცუცნიამ თავისი წინადასკვნა, კუკნიამ სტაცა მას ხელი, ჩაიკრა გულში და შემოსძახა: ვხედავ, ჯერ კიდევ ჩვენია ბურთი და მაედანი, სანამ შენისთანაები გვყავს! შეატაკე „ისინი“ „იგინის“, დეე, დაგლიჯონ ერთმანეთი ძალლებმა... სსიიი!.. ჰკა მაგას!! დღეის იქით აბა შენ იცი, კურძუალო!..

იმერლები

თვი მეორე

„იგინი“ და „ისინი“

V

პეტერბურლში, ვასილის კუნძულზე, ერთი დიდი სახლი სდგას, რომელშიაც ორი ათას მცხოვრებლამდი თავსდება და მათს რიცხვში ასამდი მაინც, თუ არ მეტი, სტუდენტები იქმნებიან, რადგან მათ-თვის ის სახლი სამარჯოა, როგორც უნივერსიტეტთან სიახლოვით, ისე ოთახების სიიაფითაც.

1862 წ. ამ ზემოხსენებულ სახლში, ერთ ვრცელს ოთახში, იყვნენ შეკრებული რამდენიმე ახალგაზრდა სტუდენტი, რომლების შეხედულებაც ამტკიცებდა, რომ ისინი კავკასიელები იყვნენ.

საზოგადოდ ორი და სამი სტუდენტი თუ ერთად არის, იქ უთუოდ ბაასი უნდა ასტყდეს... უმისობა არ მოხერხდება; იმ დღეს კი უველანი მშვიდობინათ იყვნენ, თუმცა მათი რიცხვი, არა თუ საშს, ოცდაათ-საც კი აღემატებოდა.

როგორც მათის შეკრების, ისე მათის სიჩუმის მიზეზი ის იყო, რომ რამდენიმე მათგანს გაეთავებინათ უნივერსიტეტი და ბრუნდებოდენ სამშობლოსაკენ; ამხანაგები გამოსათხოვარ სადილს უმართავდენ მათ და გზის დალოცვით უპირებდენ გაცილებას.

VI

კარგი სანახავია ახალგაზდა ჭაბუკი, რომელსაც ჯერ ცხოვრების ტალღა არ მოხვედრია, რომლის გულიც დროთა ვითარებისგან არ გაქსუებულა, რომლის სინდისი ქვეყნის უკუღმართ ბრუნვას არ შეუბლალავს, რომელიც მძიმე ტვირთის ქვეშ არ მოხრილა და რომლის ოცნებანიც ვარდისფრად იფანტებიან ლავგარდოვანს უფსკრულში. მისი თვალები ანგელოზის სარქმელებს წარმოგვიდგენენ მაშინ და სახეზე ნამდვილი კაცური ღირსების ბეჭედი აზის.

ეჱ, რომელი ჩვენგანი არ ყოფილა ერთ დროს ამგვარს სახარბიელო მდგომარეობაში, მაგრამ ბევრს კი შეგვრჩენია მამაცობა, რომ გამოვტყდეთ? არა! არა! ჩვენ ჩვენის გასამართლებლათ დღეს, ხანშიშესულები, თითქოს დავცინით იმ ჭაბუკობის დროს და რაღაც უხეირო ღრეჭით თავს იმედს ვაძლევთ შემდეგი უსაფუძვლო სიტყვებით: „რა სულელი, რა გამოუცდელი და რა ყმაწვილი ვიყავით მაშინ“ და სხვა...

მართალია, ამ სიტყვებში სიმართლეა, რადგანაც ეკლიანი ქვეყნის ვარდათ მიღება შეცდომაა, მაგრამ როდესაც ამ ჭეშმარიტებას გავიგებთ ხოლმე, მაშინ ხომ ჩვენი უმანკოებაც გვეთხოვება?!

დიახ, გამოცდილება არის ცხოვრების გვირგვინი, მაგრამ რათ მინდა ის გვირგვინი, რომელიც გულს მირევს და სასოებას მიკვეთს? ბოროტზე მაფრთხილებს, მაგრამ კეთილზე კი ნდობას მაკარგვინებს? ეჱ, იყოს წყეული ის მიზეზები, რომლებიც იძულებულსა მყოფენ ჭაბუკობიდან გამოსვლისას!.. ვინ არის, რომ ჭაბუკობის ერთ წელინადს დანაშთენი მისი საუკუნე არ ანაცვალოს, რომ მოეხერხებოდეს?.. მართალია, ხშირად სცდება ჭაბუკობა, მაგრამ იმ შეცდომაში უმანკო და ტკბილი განზრახვები იხატებიან!! და მაშინ არის, რომ იძახის კაცი:

გასწი, მერანო, შენს ჭერებას არ აქვს საზღვარიო!

დიახ, არ ჰგავს ეს აზრი იმ ჭიასავით ღოლიალა აზრს, რომელიც ამ სიტყვებით იხატება: – „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო!.. ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო!“ ფული! შმორის სუნი უდის ამ სიტყვებს!!!.

VII

ოცდაათი ახალგაზდა, იმ ზემოთქმულის ღირსებაებით შემული, აბა, წარმოიდგინეთ, თუ რა სანახავები იქნებოდნენ! და მართლადაც, მაშინ რომ გენახათ ის ჩვენი ახალგაზდები და დაგეგდოთ ყური მათი ბაასისთვის, მათს სამშობლოს, უეჭველია, ბევრს საიმედოს უქადებ-დით: ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას!

იმ დღეს, როგორც საზოგადოდ ყოველთვისაც, ბევრი სიტყვები ითქვა, ბევრი დაპირება და მამაცური მოქმედების სურვილის გამოცხადება, როგორც მათი სიტყვიდან ჩანდა, ისინი ემზადებოდნენ სამშობლოსთვის მოციქულებად და თავს მხვერპლად ითვლიდნენ.

„ვერ შეგვაშინოს ტანჯვამან, თუ თავში ჰაზრი ბრნყინავდეს!“ – იძახდნენ. რასაკვირველია, როგორც ყოველთვის და ყოველს საქმეში, ისე ახლაც, რამდენიმე ახალგაზრდა არ იღებდა მონაწილეობას იმ აღტაცებით აღთქმებში.

VIII

ერთი 18 წლის ახალგაზრდა პირდალებული შეჩერებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს. თვითონ არას ამბობდა, მაგრამ ეტყობოდა

კი, რომ რაღაცას ფიქრობდა თავისთვის ჩუმად და იმ ფიქრებსაც თავის გულში იკლავდა. მეორე პირველზე კიდევ უფრო ახალგაზრდა, თითქმის იქ მყოფებზე ყველაზე უმცროსი, თავდახრით იჯდა თავისთვის კუთხეში, ჩაეგდო კატა ხელში და აწვალებდა: ხან ეფერებოდა, ხან კუდა მისცემდა ხოლმე პირში და ატყუებდა და ხან ისე უჭერდა ხელს, რომ კატა საცოდავათ ჭყაოდა, ბოლოს, რომ მოეწყინა, აიყვანა კატა და ზურგზე შეუგდო ერთს ამხანაგს, რომელიც წამოუვარდა ზეზე, დატრიალდა ჯარასავით და უთხრა: – „არ იცი, რომ მე ეგეები არ მიყვარს?.. ახლა ხომ დამეპილნა სერთუკი და კარგია? უმორჩილესად გთხოვთ, რომ თავი დამანებოთ!“ ამ ამბავმა ყველა სტუდენტის ყურადღება მიიქცია და რადგანაც ეს უსაქციელობათ ჩასთვალეს, ამისთვის უსაყვედურეს იმ ცელქს, მაგრამ იმან კი ყურადღება არავის მიაქცია! გაბანორა სათვალეები, რომელიც სრულიადაც არ ეჭირვებოდა მის შავს და სწორმხედველ თვალებს და მიჯდა კუთხისენ, იქ, სადაც ერთი ახალგაზრდაც იჯდა და სულ იცინოდა ავზე თუ კარგზე, იმათთანვე მივიდა პირია სტუდენტი და შეაჩერდა ცელქს. ამ დროს უეცრად იმ მესამემ, რომელიც სულ იცინოდა, ჩაჰკრა პირიას თითო ლია პირში და გადაიხარხარა!..

ამ უხეირო ხუმრობამ სულ გადარია სტუდენტები!.. იმათ ეს მიიღეს შეუფერებელ და უკადრის ხუმრობად; შეიქმნა ერთი „სუუს“ ძახილი და ბოლოს ერთმა მათგანმა სთქვა ბრძნულად: – „ჭეშმარიტად ცოდნა, რომ მაგათანა ყმანვილებს ჰგზავნიან აქ სასანავლებელად! აბა, ამათგან რა უნდა გამოვიდეს ხეირიანიო?“ ეს სიტყვები თუმცა ჩურჩულით იყო ნათქვამი, მაგრამ მაინც მოჰკრა ყური იმან, ვისზეც ეს ითქვა და ერთი მისთანა გადაიხარხარა, რომ თითქოს ისტერიკა მოსვლოდეს.

- რას იცინი? – ჰკითხა ცელქმა.
- რას ვიცინი? ვერ გაიგონე რა სთქვეს ჩვენზე? – მიუგო ახალგაზდამ სიცილით.
- ნეტავი შენ, რომ ყურს უგდებ.
- რა ვქნა, ხომ ვერ მოვიქრი ამ ყურებს.
- ცოტა რომ ჩამოითალო, არ გაწყენდა კი, რადგანაც მომეტებული გაქვს.

- რას თავს იგდებ შენ! გამურულო ფინიავ?! რას იღრინები!.. აი, ვერ უყურებ ამ შოშიას, რა ლამაზად დაუღია პირი და იქით-აქეთ იყურება?..

პირიამ დამუწა ტუჩები და გაბტყელებით მოჰყვა: – ნეტავი თქვენ, რომ სიცილ-ხუნტრუცის გუნებაზე ხართ.

იმერლები

- აბა, შენმა სიცოცხლემ, ტირილს მოყვები! – უთხრა მომცინარმა.
- ვინ გულება იტირო, მაგრამ არც მაგდენი ღრეჭა ვარგა: ვერა ჰქედავ, რომ ყველა სულელადა გთვლიან?
- ამ სიტყვებზე კიდევ გადაიხარხა მომცინარმა და ამოჰკრა ნიკაპში ხელი პირლიას.
- ახირებული ხარ, – უთხრა მომცინარს გამურულმა. რას იცინი მართლა, რომ გკითხოს კაცმა!
- როგორ თუ რასა? ვერა ჰქედავ, რომ ყველანი ტიკებივით იძერებიან და სიცილი ვერ გაუბენიათ მისი ხათრით, რომ ვაი თუ გარეგანი ნიშანი მოგვაკლდეს სიბრძნისო?
- მაშ, მაშინ რაღას იცინი, როცა ისინი იცინიან?
- იმას, რომ ისინი იცინიან.
- ერთის სიტყვით, შენ სიცილს ვეღარ გაჰყრიხარ?
- ნურც გამყაროს!.. მაშ შენსავით ჩამოუშვა ცხვირ-პირი, თუ ამა-სავით პირი გავაღო, რომ შიგ ბუზები მიფრინდებოდნენ?
- შენ შენს პირს გაუფრთხილდი და ჩემი პირის ჯავრი წუ გაქვს, ბიძიავ! – უპასუხა პირლიამ.
- ადე ზეზე! აქ წუ ზიხარ! მიდი იქ იმ ყმაწვილებთან და კარგად ჩაყლაპე იმათი სიტყვები, რომ კეთილად შეგერგოს! პირის გაღება ხომ აღარ დაგჭირდება და გადაყლაპვას ბევრი არა უნდა რა, მარ-თალს ვამბობ თუ არა? – მიუბრუნდა მესამეს.
- დაანებე თავი ამ ლაყბობას!.. მაგის მეტი ვეღარავინ გამონახე სახუმრო? სხვებთან მიდი...
- იმათან ხუმრობას ვერ გავბედავ! ხომ იცი, რომ ისინი ქვეყნის ბურჯები არიან და... გენიოსები... ხა! ხა! ხა!
- რატომ არა!.. დიახაც... მაგრამ ეს უსეირო ანდაზა კი მომდის თავში: „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“!
- მე კიდევ უარესიც მაგონდება. მაგრამ ლექსად:

„მალე გნახავ შენ, ლიახვო,
გეხვეოდენ კოლოები,
შიგ ბიჭები ბანაობდენ
და უნიფხო გოგუები!..“

- არ ვიცი, ძამია, და მე როგორლაც არ მეჭაშნიკება მაგათი ფახი-ფუხი!.. უდროოდ არა ვარგა რა! ახლავე რომ მანგრე დარბაისლო-ბენ ეგენი, დარბაისლობის დროს ხომ უკულმა უნდა მოტრიალდნენ?

იმერლები

მეტი რაღა გზა ექნებათ? გარეგნობით თავის ჩენა ხომ ფარისეუ-ლობა არის და... მაგრამ, ჩუ! ყური დავუგდოთ იმათ: რაღაცას თქმას აპირებს ჩვენი პალმერსტონი.

IX

პალმერსტონს ეძახდენ ხუმრობით ერთს შუახნის სტუდენტს, რომელსაც პოლიტიკაზე ლაპარაკი უყვარდა და პალმერსტონიც „სიბრძნის იდეალით ჰყავდა გამოხატული“. ეს „სუტ-პალმერსტონი“ უჭყუო არ იყო, ბევრიც ეკითხა და გულკეთილიც ძალიან იყო, მაგრამ ამ ლირსებაებს ყველას უქარწყლებდა უკიდურესი თავის მოყვა-რეობა, ეს ხასიათი თითქმის ზნეთ ჰქონდა გადაქცეული, ოლონდ კი თავკაცად დაგესახელებინათ და თუ გინდ უბრალო რამ საქმეც მიგენდოთ მისთვის, სიამოვნებით მოჰკიდებდა ხელს. საზოგადოდ მართლა რომ კარგი კაცი იყო და კარგი მცოდნეც, მაგრამ ის კი თავის თავზედ მეტსა ჰყიქრობდა და ან როგორ არ ეფიქრა მაშინ, როდესაც სხვები, ე. ი. მისივე ამხანაგები გენიოსადა ჰედილნენ და თავკაცობაც იმას ექნებოდა, რომ იქვე მეორე სტუდენტი მეტოქეთ არა ჰყოლოდა.

ეს ორი სტუდენტი, პალმერსტონი და გეგელი (გეგელად მეორეს უწოდებდნენ ხუმრობითვე), ერთმანეთის მეგობრები იყვნენ და ეს საქმე მით უფრო გასაკვირალი იყო, რომ ხასიათებით სულ სხვადასხვა იყვნენ: პალმერსტონი გულწრფელი და პირში მთქმელი კაცი იყო, გეგელი გულჩახვეული და ენადაცული, პალმერსტონი ნიჭიერი და გეგელი კი ძალიან შესამზღვრულის ნიჭისა, ერთი კარგი საამხანაგო და მეორე კი გაუტანელი. მაგრამ გეგელმა ხერხითა და ფარისეუ-ლობით ისე გამოიჩინა თავი, რომ პალმერსტონი დაჩრდილა.

ახლადჩამოსულ სტუდენტებზედ ყოველთვის დიდი გავლენა აქვსთ ძველ სტუდენტებს, და პალმერსტონს თუ ჩაუვარდებოდნენ ხელში ახალმოსულები, ადვილათ შესაძლებელი იყო, რომ ყოველთ-ვის რიგიან გზას დასდგომოდნენ; მაგრამ გეგელი იმათ უცნაურად მიიბირავდა ხოლმე და თავის ზედგავლენით აჩვევდა მათ ფარი-სევლობას, გარეგანად ლირსებების გამოჩენას და გაიძვერობას ეს ბოროტი თესლი, თუმცა იმ ახალგაზრდებს იქვე, სტუდენტობაშივე, არ ეტყობოდათ, მაგრამ ბოლოს კი ნაყოფი მოიტანა და გვიან საწამ-ლავივით ბოლოს გასჭრა.

პალმერსტონმა რომ შეიტყო გეგელის გამარჯვება, სულ თავი დაანება ახალგაზრდებს და სადლაც შორს გადავიდა თავისთვის,

აღარც ავში ერეოდა და აღარც კარგში. თითქოს ქვეყანაზედ ხელი აიღო, ცას მიაჩირდა და პლანეტების განხილვას შეუდგა.

დარჩა მარტო გამარჯვებული გეგელი თავკაცად. მისი წინააღმდეგობა აღარავის შეეძლო და რომ კიდეც ვისმეს სურვებოდა, ვერ გაბედავდენ, რადგანაც მაშინ გეგელი ყოველიფერს უკანონო საქმეებს ჩაიდენდა მათ დასაჩაგრავად.

ყველაზედ პირველად მისი რისხვა გამოსცადა მომცინარმა სტუდენტმა, რომელიც არათუ არ ემონებოდა, კიდეც დასცინოდა იმის დიდვინმებობას. ერთხელ ლექსიც გამოუტქვა:

„ქართველ სტუდენტების შუა წინ წამოდგა მელაკუდა,
შურისა და ორპირობის ზურგს ჰქიდია სავსე გუდა,
სიბრძნე ყელში არ ეტევა, ხახამივით გაიგუდა
და ბელზებულმა ეშმაკთ გუნდით იმის გვამში დაიბუდა...“

ამ ხუმრობის შემდეგ გეგელმა ისეთი მტერობა განიზრახა გულში, რომ სასიკვდილოთ არა ჰარგავდა, მაგრამ სიმართლით ვერ იჩენდა ცხადად და ჩუმად კი სხვებს აშფოთებდა მაზედ; რაც კი გაიძვერობით მოხერხდებოდა, ხელს არ აკლებდა; მაგრამ ვერა გააწყო რა მის მეტი, რომ სხვა სტუდენტები დააშორა მას და იმ ახალგაზდას თავისი სიცილი მაინც არ მოუმლია; არც გეგელსა ჰარგავდა და აღარც იმის თაყვანისმცემლებს. ისეთნაირად დასცინებდა ხოლმე, რომ გულ-ლვიძლს უწყვეტდა გაბერილებს.

რამდენიმე ხანი სულ მარტოდმარტო იყო ეს ყმაწვილი, მაგრამ ბოლოს სხვებიც მიეკედლენ და მათ რიცხვში ის სამიც, ზემოთ რომ მოვისენიერ და გეგელის ბატონობას ცოტა ჩამოაკლდა.

იმ დღეს, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, გეგელი, პალმერსტონი და ორიოდე სხვაც კურსდასრულებულნი იყვნენ და ეპირებოდნენ შინისკენ წამოსვლას და გამოსათხოვარი სიტყვა უნდოდათ ეთქვათ ამხანაგებისთვის.

X

პირველი სიტყვა ერგო პალმერსტონს, რომელმაც გაპარჭყა ხელები და მოჰყვა ტკეპნით:

„დირსსასახსოვარმა მთავარმართებელმა მიხაილ სვიმონის ძემ ვარანცოვმა მოინდომა ოდესშე ჩინებულის, მაგრამ დღეს კი დროთა

ვითარებისგან დაჩაგრულის საქართველოს ფეხზედ წამოყენება. იმ ყოვლად ლირს გვამს კარგად ესმოდა, თუ რა ეჭირვებოდა იმ დროს ჩვენს ქვეყანას: პირველად გარეშე მტრების, ე. ი. მთის სალხების მოშორება და მერე შინაგანი მტრების, ე. ი. უგნურებისა და უმეცრების დევნა.

„პირველისთვის საჭირო იყო თავგანწირული რაინდობა და მეორისთვის-განათლება.

„ამისთვის იმან მიაქცია ყურადღება უფრო სამხედრო ძალას და რადგანაც ჰერძნობდა, რომ მომსვლელების წინამძღოლად საჭირო იყო იქაურივე, ადგილობრივივე რაინდობა, ამისთვის საქართველოს ახალგაზდობას მისცა განზრახვით რაინდული მიმართულება და არც შემცდარა: მართლადაც, კავკასიის მთები მოწმობენ მათ თავგანწირულს გმირობას.

„ის სამხედრო ახალგაზრდობა, რამდენადაც დაუფასებელი და აუცილებელი იყო, ეგრეთ იმოდენადვე მოუმზადებელი და გამოუდეგარი იყო შინა საქმეებისთვის.

„მაგრამ ეს შინაგანი საქმეებიც მხედველობაში ჰქონდა ვარანცოვს: შეაგონა მამები, რომ შეიღები გამოეზარდათ, წაახალისა შვილები სწავლაზედ, მის დროს გაიხსნა სასწავლებლები, მისმა ბრწყინვალე მეუღლებ თავის ხარჯით ქალების სასწავლებლები გამართა, დაძინებულს ლიტერატურას მიაქცია ამ კეთილმა კაცმა ყურადღება, წაახალისა მწერლები; მის დროს ყოველი მოლვანე სამშობლოსთვის მისაგნ დასაჩუქრებული იყო როგორც ზნეობითად, ისე მატერიალურადაც. ბოლოს გამოგზავნა ახალგაზრდები სახელმწიფოს ხარჯით მაღალ სასწავლებლებში სტუდენტებათ და იმ სტუდენტებისგან ელოდა მისი აზრის, შესახებ საქართველოს ბედნიერების, სისრულეში მოყვანას; მაგრამ ამაოდ, იმ დროს სტუდენტები რომ დაბრუნდენ, მხოლოდ ის დაუმტკიცეს ხალხს, რომ თავზედ უბრალო ქუდის მაგიერ შეიძლება კაცმა ბოყვეუდა დაიხუროს და მარხვაში სახსნილა სჭამოსო, სხვა არაფერი.

„მაგრამ ის იყო პირველი წყება სტუდენტობისა და ამისთვის ბევრიც არ მოეთხოვებოდათ.

„დღეს კი ჩვენ შევადგენთ მეორე წყებას და ჩვენი ვალიც არის სხვაგვარად საქმის წაყვანა.

„ჩვენ უნდა გავიხსენოთ დიდი მოძღვრის სიტყვები: „აღიღეთ ჯვარი თქვენი და შემომიდეგით მე“.

„მივჰაბოთ მოციქულებს, დავიგინწყოთ პირადობა, შევსწიროთ ჩვენი თავი ქვეყნის სიყვარულს, თავგამომეტებულად ვსდევნოთ

ყოველივე ცუდი ჩვენი ქვეყნის შემარცხვენი და ვადიდოთ მისი კეთილი საქმით, სიტყვით და განძრავით!..

„რასაკვირველია, ეს ეკლიანი გზაა ჩვენ დაგვქაცრავს, მაგრამ განა არ ვიცით, რომ ეკლის გვირგვინმა რომ თავი დააშვენა, არცერთ ძეირფას სადიდებელ გვირგვინს არ დაუშვენებია მტარვალი თავი?“

„ნუ შევჰქონდებით, ამ თავითვე უნდა ველოდეთ, რომ ჩვენი წამება და ტანჯვა არ იქნება იმგვარი, რაგვარიც მიუღიათ ჩვენს მამულისშივილებს, ბრძოლის ველზე სისხლათ დაწურულებს. არა, აქ რამდენიმე საათში თავდებოდა მათი ტანჯვა და სიკვდილის დროს თანამგრძნობი ჰყავდათ და ჩვენ კი ისე უნდა ჩავიდეთ საფლავში, რომ უგნური უმეტესობა წყევლას გაგვატანს საიქიოს, მაგრამ რა ვუყოთ?! საქართველო იყო ჩვენი აკვანი და ისვე უნდა შეიქმნეს ჩვენივე სამარე! სამშობლოვ, ვინ არ შესვას შენოვის სიმნარე „უტკბეს კახეთის ლვინისა?“

„ყმანვილებო, დღეს ჩვენ გეთხოვებით თქვენ, ჩვენ რამოდენ-იმე და იმ იმედით ალვასილი, რომ თქვენც მალე მოგვეშველებით, გამხნევდებით და თამამად მივიტან იერიშს ჩვენს სამუშავო საგან-ზედ. მშვიდობით!..“ გაათავა და გადაეხვია თვითეულად ყველას, ახალგაზდობა აღელდა, ზოგს ცრემლებიც მოსდიოდა.

XI

პალმერსტონის შემდეგ წამოდგა გეგელი და დაიწყო:

„ყმანვილებო, თვითეულმა ჩვენგანმა კარგად იცის, თუ რას ემს-გავსება დღეს ჩვენი სამშობლო. ის ემსგავსება ერთ დიდსა და ბნელს აკლდამას, სადაც ძველი აზრების კაცნი დაბოდიალობენ, უნდათ გარეთ სინათლეში გამოსვლა, მაგრამ კარების ვერ მპოვნელი ეხლებიან ერთმანეთს, თვითონაც ეცემიან და სხვებსაც აქტი-იქით ახლიან.“

„ჩვენ უნდა დღეს ჩავიტანოთ იმ სიბნელეში ანთებული ლამპარი, უეჭველია, ძველი აზრების კაცნი რომ სინათლეში თავის თავებს დასისხლიანებულად და გაჩირქიანებულად დაინახავენ, მოინდომებენ ჩვენზევე თავიანთ გულის ბუხრის ამოყრას: ეცდებიან, რომ ხელიდან გამოგვიქრონ ის ლამპარი და ჩვენც გაგვგმირონ. ეს ბუნების წესია: ხშირათ დედაბერი უცხარდება და ამტვრევს იმ სარკეს, რომელიც აჩენს მის უსახობას; მაგრამ ნუ შევშინდებით.“

„მართალია, ძველი კაცები მიჩვეული არიან და არ გამოვლენ იმ სიბნელიდამ, მაგრამ ჩვენ უნდა ვიქონიოთ სახეში მათი შვილები და

ისინი გამოვიყანოთ სინათლეში, ვიწყოთ სიმართლით მოძღვრება ახალგაზდებისა და ეს იქნება ჩვენი კეთილი შრომა.

„ჩვენ უნდა წინდაწინვე გადავწყვიტოთ და მოვიმზადოთ ჩვენი თავი სამსხვერპლოდ! მსხვერპლი არის ბეჭედი და გვირგვინი კეთილ ნაწარმოებისა; მხოლოდ ის ამაგრებს ქვეყნად ჭეშმარიტებას! და მაშ ჩვენც ვიყოთ მსხვერპლი ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისა, ვიღვა-ნოთ მამულის გულისთვის და ეს მოღვაწეობა დაპატიჟებს ათს ჩვენზე უკეთეს მომავალ მუშას...“

— ვინც უღალატოს ამ ალთქმას და განზე გადგეს? — იკითხა მომცინარმა სტუდენტმა. ამ დროს კატამ იჭყივლა „მიავო!“ და შავგვრე-მანმა ცელქმა სტუდენტმა, რომელიც კატას სტანჯავდა, დაიყვირა, „სიკვდილიონ“. ეს სიტყვა ისეთ დროს თქვა, რომ თითქოს კატასთან ყოფილიყოს მიმართული და ბევრმაც ისე მიიღო და გარისხდნენ, მაგრამ მომცინარმა სტუდენტმა კი სხვაგვარად გაიგო, მოუბრუნდა შავგვრემანს, მისცა ხელი და უთხრა:

— შენთანა ვარ! კარგათ კი დაიბეჭდე ეგ სიტყვა გულისფიცარზე.

— ამის შემდეგ ორივე გაერივნენ სხვების გუნდში, იმ დღეს ბევრი სხვადასხვა სიტყვები ითქვა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ეს ორი მოგვყავს ნიმუშად, რადგანაც ერთი ხასიათისა იყო ყველა.

XII

ოთხის თუ ხუთის წლის განმავლობაში უმეტესი ნაწილი ამ ახალგაზდა სტუდენტებისა დაბრუნდა საქართველოსკენ. თუმცა ცუდი დრო შეუხვდათ: ბატონყმბობის გაყრა და სხვადასხვა რეფორმები, მაგრამ ძლიერათ მიიტანეს იერიში და რამდენიმე წელიწადს ასრულებდნენ პირობას.

ბოლოს კი მეტი ველარ შესძლეს: დღეს ერთი დაუთმეს საზოგადო ცდას, ხვალ მეორე, შეჰყვნენ და ბოლოს სულაც შესტოპეს სიცუდის გუბეში. ზოგიერთებიც ჩაითრია ცხოვრების კეთილდღეობამ და მშვიდობით პატიოსნებავ! ამ უმეტესობას დაშორდა რამდენიმე ახალგაზდა, მოსწყვიტა მასთან ყოველივე კავშირი და იწყო თავგან-ნირულად შრომა.

საზოგადოების დევნამ და ცუდმა მდგომარეობამ ის ორიოდე ახალგაზრდა სულ გააფოლადა და მათგან კუკინასა და ცუცნიასათანა კაცებს თავზარი ეცემოდათ.

იმერლები

თვითონ რომ ვეღარა მოახერხეს რა, მაშინ მოინდომეს იმ უმეტე-
სობის მიკედლება, რომელსაც რაღაც პატივისცემის ნიშნად უწოდეს
„იგინი“ და იმ მცირეოდენ თავგანწირულებს დაარქვეს „ისინი“ და
ჩვენც მომავალ ჩვენს რომანში გავეცნობით თვითოეულს მათგანს.

(დასასრული მეორე თავისა)

იმერლები

რომანი თანამედროვე ცხოვრებიდამ

თავი მესამე

VII

ერთადერთი ლერი სამთელი ძლივს ბინდად ანათებდა იმ დიდს
ოთახს, სადაც კუთხიდამ კუთხემდი მიდი-მოდიოდა ცოტათი აღელვე-
ბული არაფერა, უეცრად კარები გაიღო და ლრეჭით შემოვიდა მოხ-
უცებული მსახური.

- ბატონი გიახლათ, – მოახსენა ლრეჭით მსახურმა.
- ვინ? ჰკითხა გაკვირვებულმა არაფერამ.
- ის.
- ვინ ის?
- თქვენ რომ იცით, ბატონო.
- რას იღრიჭები, მთვრალი ხომ არა ხარ? სთქვი, ვინა?
- თქვენს ნომერს კითხულობს!
- ქრისტეს გულის მადლს, ან მითხარი, ვინაა, ან მომშორდი!
- ქალი გახლამსთ, ქალი, თქვენი მონონებული, – წაუჩურჩულა
მსახურმა.
- ქალი?! რა დროს ქალია ამ დროს და ან ვინ არის?
- რა მოგახსენო, პირი მობუდნული აქვს; მაგრამ ძალიან გულდა-
გულ კი გკითხულობს.
- ჰმ.... ვინც უნდა იყოს, სთხოვე შამობრძანდეს და სხვა აღარა
ვინ მიიღო.
- რას მიბრძანებ, ბატონო, განა მაგდენი არ მესმის!
- მსახური ლრეჭითვე გავიდა. არაფერამ ადგილიდამ ფეხი ვერ
მოიცვალა, გაშეშებული დარჩა და თვალი ვერ მოაშორა კარებს.

იმერლები

ცოტა ხნის შემდეგ გაიღო კარები და აშფოთებული შამოვარდა ერთი
ახალგაზდა ქალი, მოიხსნა საბურავი და არ იცოდა, რა ექნა: დაეკრა
თავი არაფერასათვის თუ არა. არაფერა მის დანახვაზე შეკრთა და
ფერმა გადაჰკრა.

– ჩემმა მოულოდნელმა და უდროვოთ მოსვლამ ეგრე როგორ
შეგაშინათ? უთხრა სახეგაჭარხალებულმა ყანვილმა ქალმა.

– ხშირად შიშსა და გაკვირვებას ერთი და იგივე შედეგი აქვსთ!
მართალია, შევკრთი; მაგრამ ეს წამითი გრძნობა იყო და ახლა კი
ნება მომეცით, რომ გულდამშვიდებულად და სიამოვნებით, როგორც
შეჰვერის რიგიანს მასპინძელს, გისტუმროთ... კრესლოში ჩაბრ-
ძანება.

ქალმა გაიღიმა, დააპირა კრესლოში ჩაჯდომა; მაგრამ ჯერ კი
რაღაც კეკლუცურად ჰკითხა:

– სანდო არის თქვენი კრესლო? საზოგადო ხომ არაფერი აქვს
თქვენ გულთან?... უთუოდ ღალატი ეცოდინება!

– შესაძლებელი იქნებოდა, რომ მამიჩემის გაკეთებული იყოს,
მაგრამ... მაგრამ ჰე, დავანებოთ თავი ამგვარ ლაპარაკს, გატყობთ,
რომ რამე მძიმე მიზეზს მოუყვანიხართ ჩემთან, თორებ არ მობრძან-
დებოდით ასე გვიან, როდესაც თითქმის ძილის დრო არის.

– თქვენი გულისთვისაც?

– მაგის კი რა მოგახსენო... ბევრს რამეში დიდი ხანია მარ-
თლა ჰსძინავს ჩემს გულს, – უფრო ხშირად ძილს იგონებს, მაგრამ
საჭიროების დროს კი ყოველთვის ფხიზელია; მაგრამ კიდევ მოგახ-
სენებთ, მაგრამ....

– უგულოვ, მე მძულხარ შენ.

– ასე ძორს და ასე გვიან რას მობრძანდებოდით მაგის სათქმე-
ლად! ნუთუ ღამე მისთვის ამოგირჩევიათ? დღე სინათლის შეგ-
რცხვათ, ან ეგება გეგონოსთ, რომ დღეს უფრო მახვილი ყურები
ჰქონდეს? შემცდარი ხართ, უფრო მახვილი კი არა და უფრო დიდი
ყურები კი აქვს დღეს ღამეზედ, რადგანაც უფრო მეტს ვირობას
ჩადის და მაგიერში ღამეს კი უფრო დიდი კუდი აქვს დღეზედ.

– ღვთის გულისათვის, ახლა მაიც დაანებე აგდებით ლაპარაკს
თავი.... მომექეცი ადამიანურად, რა დროს ხუმრობაა? განა ვერა
გრძნობ, თუ მძიმე მიზეზით არ ვიყო გამსჭვალული მე დღეს აქ არ
მოვიდოდი? – შეჰვერა აშფოთებით ქალმა. არაფერამ მოიღუშა სახე
და თითქმის ჩურჩულით უთხრა: ბრძანეთ!

– მე მძულხარ შენ, გესმის?

იმერლები

- კეთილი და პატიოსანი.
- მძულხარ ისე, რომ ჯერ ქვეყანაზედ კაცი არ შემძულებია.
- კიდევ უკეთესი.
- შენ ამას არაფრათ აფასებ? განა სულ ერთია შენთვის!?
- რა მოგახსენო, ჯერ არ შევდივარ სავაჭროთ.... მაგრამ ეს ხომ წელანაც ბრძანებო, რაღათ იმეორებდით.
- სიტყვას მაწყვეტინებ, უთხრა აღმშვიდებული სულითქმით ქალმა... ყელში სული ეხრჩობოდა.
- მაშ ბრძანებ და ყურს გიგდებთ.
- მძულხართ, მაგრამ....
- მაგრამ?
- მინდა, რომ მიყვარდე და არ მძულდე; ღვთის გულისათვის, ნუ ილიმები მაგრე გულსაკლავად; ამიხსენი, რა არის ამისი მიზეზი, ან რათ მძულხარ და რათ მინდა, რომ არა მძულდე?!
- მაგის პასუხი რომ გითხრა, უნდა მაშინ გული გაგიხსნა და ხუმრობის კილო დავკარგო, ვულალატო ჩემს ჩვეულებას.
- განა წაგებაში იქნები, რომ ულალატო? მე ვიცი, რომ შენთვის სულ ერთია ჩემი გრძნობები, მაგრამ ჩემთვის, საკუთრებად ჩემთვის გეგენები დამამშვიდე, დამიცხრე გულის ვნება და ამიხსენი: ან რათ მძულხარ და ან რათ მინდა, რომ არა მძულდე? ამ სიტყვით ცრემლები მოერია ლამაზ ქალს. არაფერამ თანაგრძნობით შეხედა და უთხრა:
- პირადი მიზეზი მომიცია მე თქვენთვის სიძულვილისა?
- არა, აქ პირადობა არ არის; ვიცი, რომ ცუდი კაცი ხარ.
- საბუთი?
- მე არაფერი მაქს, მაგრამ ხმა ერისა... მთქმელი ბევრია, ოცი, ორმოცი.
- ხასიათი მაგ თქმის?
- ასე ამბობენო.
- მნახველი?
- ვერსად შევხვდი.
- მაშ კარგი, როცა მნახველი გამოჩენდება, მაშინ მოგცემ პასუხს.
- მადა?
- რამდენიც გენებოსთ და მანამდი კი მშვიდობით.
- აგრე იყოს, მაგრამ ერთი თხოვნა შემისრულე.
- ბრძანებ, თუკი შესაძლებელია.
- ხვალვე გადით ამ ქალაქიდამ, ერთისა ან ორის კვირის ვადით.

იმერლები

- ეგ არ შემიძლიან, საქმე ნებას არ მომცემს.
- მაშ სალამ-სალამონბით ამ დღეებში ითახიდამ ნუ გამოხვალ.
- დიდის სიამოვნებით, თუ თქენისთანა სტუმარი მეყოლება ყოველთვის.
- კიდევ სასაცინოდ აგდება! არა, მე გთხოვ შენის სიკეთისათვის, რომ ამ დღეებში ნურსად წახვალ, ვინც უნდა დაგპატიულს, უარი შეუთვალე.
- ბატონი ბრძანდებით, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ გუშინ არ ჩამომართვით ეს სიტყვა.
- გუშინ რა იქნებოდა?
- ერთს საჩუქარს დაგვარგავდი..
- რას?
- არაფერა წამოდგა, აუნია ბალიშს თავი, გამოილო იქიდან ექვს-ლულიანი რევოლუციი, დაუდვა წინ სტოლზე და უთხრა: – აი, რასა. ქალმა გაოცებით შეხედა და ჰკითხა კანკალით.
- ვუიმე, რას ნიშნავს ესა?
- იმას რომ თქვენი ეგ პატიოსნური გაფრთხილება დაგვიანებული შეიქნა. დღეს მე ვიყავი მინვეული ერთის ჩემის ვითომ მეგობრისა-გან; იქიდამ ადრე დავპრუნდი, საშინელი ბერელი ღამე იყო და აბა-ნოების აქეთ რიონის პირათ ერთი ვიღაც გადამელობა წინ, მაგრამ.... თქვენ რასა სწუხართ.... ეგება ცივი წყალი გნებავდეთ? ქალმა, ენა-ჩავარდნილმა, თავი გაიქნია და თვალებით ეხვენებოდა, განაგრძეო. არაფერა მოჰყვა ისევ.
- დიახ, გადამილობა გზა და მომიშვირა ის საჩუქარი, რომელზე-დაც მე ხელი მოვავლე, შეგვექნა ბრძოლა, რევოლუციი მე შემ-რჩა ხელში, იმას, მგონი, ფეხი აუსხლტა, იყალრა გაგორება, მაშინ მივბრუნდი და ვარტყი.... ქალი უეცრად წამოვარდა და შეჰკივლა: რევოლუციი?
- არა, – წიხლი, – უთხრა დაცინვით არაფერამ.
- მერე?
- მერე, შემდეგი იმას ჰკითხეთ! ამ სიტყვების შემდეგ ქალი ჩაჯდა ისევ კრესლოში, თავბრუ დაესხა, ენა ჩაუვარდა, და ფერმიხდილს გულმკერდი საოცრად უღელავდა; ბოლოს ამოკუნავა: – საშიში კაცი ხარ.
- ისე, როგორც პატარა ჭიისათვის დიდი ჭია.
- იცანი, ვინ იყო ის კაცი?
- ვერა.

იმერლები

- არც ეჭვი გაქვს ვისმეზე?
- ეგ მე ვიცი.
- ვან გითხრა?
- თქვენგან ხომ არა შემიტყვია რა და რა გაწუხებსთ!
- მაშ, მე რომ გითხრათ?
- საჭირო არ არის, ისეც ვიცი.
- ავაზაკი იყო?
- ერთი კი და დანაშთენი თქვენსავით შემცდარი.
- მაშ არ გცოდნიათ, იქ ავაზაკი არ რევულა.
- კაცის მკვლელი....
- რა ვუყოთ, ხანდისხან მიზანი.... პრინციპი.
- ფარისევლობა, თვალთმაქცობა, ცხვრის ტყავში მგლის გამოხვევა, თქვენისთანა დეზდემონა, იმისთანა იაგო და სხვ. და სხ.
- ამ სიტყვების შემდეგ ქალი ნამოდგა ზეზედ, დაიკრიფა გულზედ ხელი, ამაყად დაადგა თავზე არაფერას და უხმოდ დაჰყურებდა რამოდენიმე ხანს. ბოლოს წაილაპარაკა:
- ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ? გულ-მკერდი გიდულს, სჩანს, გქონია გული, ფერი მიგხდია, რა არის მაგისი მიზეზი?
- შენ.
- მე? - მიაკივლა რაღაც სიამოვნებით.
- დიახ, შენ, - მიუგო არაფერამ. ცოდვა არ არის, რომ ეგ ბუნებითი ძალა, რომელიც შენში ადრეც შემინიშნავს, უკულმართად მწიფებოდეს; რამდენი შენისთანა იღუპება ჩვენში და მშველელი კი არსად არის. შენი გული ბუნებას გაუჩენია სავარდნაროდ და ცხოვრებას კი ეკლნარად გადაუქცევია.... ჰე, შენი ბრალი არ არის!! ჯერჯერობით კიდევ ბევრი მსხვერპლი იქნება შენისთანა და თუ ორის უძლურებისაგან ერთის ამორჩევა აუცილებლად საჭირო იქნება, მაშინ შენის ბუნების ადამიანს ღმერთმა აღირსოს ადრეული სიკედილი, რომ პატიოსანი იმედებით სავსე გული ჩაიტანოს სამარეში. აი, ახლაც გამიმტე სასიკვდილოთ? რათა? განა არ ვიცი, რომ შენ ავაზაკი არა ხარ და პრინციპით მოქმედობ, მაგრამ რითი იცი, რომ შემცდარი არა ხარ?
- მაგას დრო გამოაჩენს.
- რომ დაგვიანებული შეიქნეს?
- შენ შენი ენის ძალის იმედი გაქვს.
- თვინიერ საბუთისა ყოველიფერს უარსა ვყოფ; ჭეშმარიტება, მხოლოდ დაურღვეველი ჭეშმარიტება, უნდა გვხელმძღვანელობდეს.

იმერლები

შეყვარებულ ქალს ყოველი გრძნობა გულში მოუდის და ის ხდება უნებურად მონა მისი სატრფოსი. შენ არ უყვარხარ იმას, გატყუებს და მხოლოდ იარაღათ გხმარობს თავის ფარისევლურ საქმეებში. მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის, მე მხოლოდ ამას ვამბობ, რომ ის არის უზნეური კაცი.... არაფერს საქმეში იმას პრინციპი არა აქვს და, როგორც უკიდურესი გარყენილი კაცი, თავის პირადოვნებას პრინციპებში ჰქვევს. აი, როგორც ახლა ჩემ შესახებ..

- სტყუით.
- თვითონ თქვენ სცდებით.
- რომ ვერ დამიმტკიცოთ?
- აი რევოლვერი.... და რომ დავამტკიცო?
- შენ იცნობ ღამის გუშაგებს?
- სულ ყველას, ერთის მეგობარიცა ვარ.
- მაშ მართალი ვყოფილვართ.
- თქვენ გარეგნობას უყურებთ თუ შინაარსს? მოქმედებით აფასებთ კაცს თუ ნამოქმედარით? რადგანაც დღეს უკანასკნელია ჩვენი ბაასი, მე მინდა, რომ დაუფარავათ გითხრათ ყოველიფერი.

თავი მესამე

VIII

არაფერა ადგა, მივიდა კამოდთან, ამოილო იქიდამ რაღაც ქაღალდი და მისცა ქალს წასაკითხავათ. ქალმა დაიწყო კითხვა; კითხვის დროს თანდათან ფერი ეცვლებოდა და ღელამდა; ბოლოს ველარ დაათავა, გაუვარდა ხელიდამ ქაღალდი, რომელიც არაფერამ ისევ აიღო და ჰქითხა ქალს: - ხომ მიხვდით, რა არის ეს?

- აქტი.
- ვიზედ?
- იმაზედ.
- მაშ, იცოდეთ, თუ დღეს ის ამ ქვეყანაშია, კიდევ ჩემი ბრალია, ამ დაზოგვას ვრაცხ მე დიდ დანაშაულებად, მაგრამ რა მექნა, რომ იმასთან სხვაც ვინმე უნდა გამეწირა.
- ვინ მოგცა შენ ეს?
- ჩემმა მეგობარმა გუშაგმა.
- ეს ცილის წამება არის.
- მის ხელს იცნობთ?

- ვიცნობ.
- მაშინ მონერილს დახედეთ და ისე ჰსტექით.
- და იმან იცის, რომ თქვენ ხელშიდა გაქვსთ ის საბუთი?
- აი, ეს ამტკიცებს! დაუდვა ხელი რევოლვერზე. ამ სიტყების შემდეგ ქალმა ჩაკიდა თავი, დიდხანს, დიდხანს ხმაამოულებლად რაღაცას ჰეთიქრობდა; ბოლოს უეცრად წამოვარდა ზეზედ, სტაცა ხელზე ხელი არაფერას და უთხრა: ჩვენში დარჩეს ეს საიდუმლო!
- თუ თქვენ არ შემცოდებოდით, დღესაც საიდუმლო იქნებოდა ეს სამი წლის ამბავი.
- ეს რევოლვერი მე მაჩუქეთ.
- ბოროტად რომ მოიხმაროთ?
- სიტყვას გაძლევთ ჩემ სასიკვდილოთ რევოლვერი საჭირო აღარ არის.
- არც იმას მოჰკლავთ? - ჰკითხა დაცინებით არაფერამ.
- არა.
- მაშ წაიღეთ, შემომიწირავს ეგ თქვენთვის, ჯერ სროლაში გაწრთვენით და მერე ინადირეთ, მაგრამ ამასაც გეტყვი, ცუდი იარაღი კი არის ეგ პრინციპებისთვის. თუ კარგი პატრიოტი ხართ, იარაღათ ხანჯალი უნდა იხმაროთ, იმან მტყუნება არ იცის.
- კმარა, ხანჯალზე უარესად ეგ ენა მიბასრავს გულს, მაგრამ მემართლები, ღირსი ვარ, მშვიდობით.... მაგრამ იცოდე, რამდენიც აქ გამოვიტანე შენი სიძულვილი, ორი იმდენი ახლა გამაქვს. შენ გამომიყვანე ტებილი მოხიბლულობისაგან, თავი მადლობას გეუბნება და გული კი შეჩერებას, მშვიდობით, მშვიდობით! ამ სიტყების შემდეგ ისარივით გავარდა ახალგაზრდა ქალი გარეთ.
- ცოტა ხნის შემდეგ არაფერამ ჩადვა კამოდში ისევ ის ქალალდები. მიუჯდა სტოლს და დაინყო წერა ბარათისა ერთ მეგობართან და იმ ბარათის შინაარსი იყო შემდეგი:

„პასუხი, პასუხი, უსათუოდ პასუხიო, მწერ, ჩემო მეგობარო? კეთილი და პატიოსანი: შენი მეგობრული რჩევა და დარიგება შევანონე ჩემს ჰაზრებს; მაგრამ ვერ მიუდგნენ ერთმანეთს და კერპობათ არ ჩამითვალო: ეს მისი ბრალია, რომ მე საზოგადოდ უარს ვყოფ ზნეობით მონებას; თავი მართალი მგონია და თუ შემცდარი ვარ, აჲა აღსარება და თვით გასაჯე.

„დღეს სწორეთ თხუთმეტი წელიწადია, რაც მე გამოვსულვარ სამუშაოთ ცხოვრების ასპარეზზედ. იმ თავითვე გადასწყვიტა ჩემმა გულმა პირადობის უარყოფით საზოგადო საქმისთვის თავის მსხ-

ვერპლობა; მაშინ მე არ ვიცოდი, თუ რამდენათ ნაყოფიერი იქნებოდა ჩემი შრომა, და პირადათ მე რაც მელოდა, იმას კი ვგრძნობდი, მაგრამ ჩემს გულში შიში არ შესულა. შავ ბედისაგან მონაძლვენი ჩემნის ხალხისათვის ანდაზები: „ამყოლს აპეკევი, ჩამყოლს ჩაპეკევი“, „თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნულარ ჰყოფილა“, „მკბენარს უკანიდამ მოექცი, მნიხლარს წინადამ“, „რა ქვეყანაშიდაც მიხვიდე, იმ ქვანის ქუდი დაიხურე“ და სხ. და სხ. მეც გაგებული მქონდა. და თუ ის გზა ამერჩია, რომელზედაც სხვები მიდიოდნენ, ჩემს ცხოვრებაში ვარდს მოვკრეფი და ბულბულს ვაგალობებდი; ყოლიფერი მიქადდა ამ მოსახიბლავ გზაზე წარმატებას, მაგრამ ჭირისუფალს ლხინის დრო აქვს? და როდესაც ჩვენს სატრიფოს აქ რყვნიან, მაშინ ნამდვილი არმიყის გული თავის თავზე იფიქრებს?

„სხვებ შევხედე მაშინ ჩვენ საზოგადოებას. ის მეგულებოდა სწეულად და თუმცა მკურნალად ვერა ვგრძნობდი თავს, მაგრამ რამდენსაც შევიძლებდი, მოვლას კი ვერ დავამადლიდი. დიახ, მე მინდოდა, რომ ვმსახურებოდი... ვმსახურებოდი არა ჩემ თავგამოსაჩენად, არა, საკუთრად მისთვის. სამსახური შეიძლებოდა ორგვარი: პირველი, რომ მე მესირინოზებია მის აწმყოზედ, მეჭიჭიყა მის წასულ ბედნიერებაზედ და ოცნებით გამომეხატა მისი მომავალი ბედნიერება, მაგრამ ეს იქნებოდა ჩვენი ხალხისათვის ისეთი სამკურნალო, როგორც ჩინგური და დაირა ყვავილით ავადმყოფისათვის. პირადათ მე მოგებაში ვიქნებოდი ამ თაღლითობით, მაგრამ საზოგადოებას რა შეეძინებოდა!... მეორე – უნდა მეფიქრა მის აწმყოზე და ჩემ ცრემლშივე გალესილი ჩემი ნაღველი წამლათ მესმია; სწეულს წამალი სძულს, მისი სიმწარე აპრაზებს და აძულებს იმას, ვინც იმ წამალს აძლევს. ვიმეორებ, რომ ესები ყველა კარგათ ვიცოდი, მაგრამ თავის დაზოგვა განაღა შეიძლებოდა. უარყავ წასული წანინები, მომავალს მივანდევი მომავალი ოცნებები და მე აწმყო ვირგე. ჩემი იარაღი იყო კალამი და სიტყვა; არც ერთისთვის არ მიღალატებია და არც ერთი არ შემულებია, თუმცა პირადად კარგათ კი ვერა მრჩებოდენ. არც ერთი არ დამინახავს შემცდარად და ვსწუხვარ მხოლოდ დღეს იმას, რომ რაცა ვსთქვი, ათასჯერ მეტიც ვერა ვსთქვი. ვინც რა უნდა სთქვას, მისი ნებაა, ბასუხს არ ვაგებ; მაგრამ შენისთანა კაცებს კი ვერ დავაგდებ უპასუხოდ. როგორ, შენ სიტყვა განა საქმე არა გგონია? სცდები, ჩემო მეგობარო, სიტყვა არის თესლი და ნამყოფი კი საქმე. ჯერ უნდა ჩავარდეს თესლი მინაში, შეინოვოს იქ საზრდო, გაიფუნჩის, გაიდგას ფესვი დაფარულად და მერე სათვალდათვალად ამო-

ცენდეს და დამწიფდეს. მსგავსად ამისა, სიტყვა არის თესლი, ხალხი – მისი ნიადაგი. კეთილად და დროზედ ხალხში ჩანატყორცნი სიტყვა ფესვს იდგამს, იზრდება და იქცევა მცხად საქმეთ, რომელიც ძალაუნებურად ყველას თავს ანახვებს. მაშ, ვინც მე იმას მეტყვის: სიტყვა არ არის საქმესათვის საჭიროვო, მე მას ვუპასუხებ, რომ ნამყოფისათვის მაშ თესლიც არ ყოფილა საჭირო-თქო. – ახლა გადავიდეთ წვრილმანსა და სხვილმან საქმეებზე: თესლი რომ პატარაა, საიდუმლოთ მიწაში იფარება და ნამყოფი კი დიდი და გამოცხადებულია, ნუ თუ მითი გონია, რომ ერთმანერთზე ნაკლები იყვენ? განა მთესველი მომკელზედ უფრო წვრილმანი მუშაა? მუშის მხრით მიწის მარგვლა, დათესვა უფრო მსხვერპლია ვიდრე ნამგლის ტრიალი. მკა სასიხარულო და საქეიფო იერიშია, დამწიფებული ნამყოფი ყველას ძალათი მოაკრეფიებს თავს, ხშირად პატარა ჭახრაკი იმაგრებს მთელს მანქანას და ნუთუ მისთვის, რომ ჭახრაკი პატარაა, ჭახრაკის მუშას წვრილმანი მუშა დაერქვას? არა, ჩემო მეგობარო, ვერ გეთანხმები და ვერა; მე მინდა ვიყო დღიური მუშა და რასაც დღევანდელი დღე მომთხოვს სამუშავოთ, გინდ წვრილი იყოს გინდ სხვილი, შეძლებისადაგვარად დაუზოგველად ხელსა ვკიდებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიქენებოდი პირადობის მიყოლი და თავმოყვარე. აი აზრი, რომლისათვისაც არ მიღალატებია ამ თხუთმეტი წლის განმავალობაში.

„დღეს კი შევასვენებ როგორც კალამს, აგრეთვე სხვა დღემდი ხმარებულს, იარაღსაც; მაგრამ არ იფიქრო, რომ ამას ჰაზრის გამოცვლით ან შიშით, ან სხვაგვარ რამ მორიდებით ვწვებოდე. სრულიადაც არა, ან დრო არის ავირჩიო სხვა გზა, გამოვცვალო სამუშაო იარაღი და შევუდგე იმ გზას, რომელიც მარტო ცრემლების და ოფლის ღვრას არ მოითხოვს. ან კი მშვიდობით, ჩემო მეგობარო, უკანასკნელად გილოცავ იმ შრომას, რომელშიაც შენი პირადობა არ გამოიკიაფებს. მარად შენი კეთილის მსურველი არაფერა.“

1875

ურიების ჩხუბი

სუჯუნის ხახამი გაბრი ელიოზასშვილი და მცხეთის რაბი, რაღაც ერთმანეთის ანგარიშების გამო, დიდი მეცე სოლომონის დროს, გადაემტერენ თურმე ერთმანეთს. იმ დროს სუჯუნას მამასახლისობდა ერთი ანგარი და თავხედი კაცი, რომლისგანაც ის სოფელი თითქმის ამოვარდნილი იყო. ამ ანგარმა მამასახლისმა სთქვა თურმე ერთხელ: „ირმებს საბალახოზედ კინწლაობა მოუვიდათ; დაეჯახნენ ერთმანეთს და ისე შეუკვეტეს ერთმანეთს რქები რქებში, რომ დაებნენ და საძრაობა აღარა ჰქონდათ. იმ დროს მონადირე წაესწროთ თავს, დაგრიხა ლულეჭი და ჩააბა ორივეს. მოდი, მეც იმ მონადირისა არ იყოს, ამ ხახამ-რაბის ჩხუბით ვისარგებლებ და ორივეს დავთო-კამო!“

სთქვა და გადაწყვიტა: შემდეგ მოვიდა თურმე ხახამთან და უთხრა: „ხომ იცი, თუ რა საყვარელი ვარ დადიანისო? ნათესავია ქართლბატონის, წიგნს მიგინერს მასთან, გიშუამდგომლებ და მას გააგდებენ და მის ადგილს შენ მოგცემენო; ამას მე მოგიხერხებ, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ურიები მომანველინო“. თავ-მოყვარეობით გაბრუებული ხახამი, რომელიც ადრე კარგი კაცი იყო, სანამ მეწვრილმანებს არ ჩაუვარდათ ხელში და არ გადაახვევინეს სწორ გზიდამ, დაეთანხმება მამასახლისს, შევიდა მათს სალოცავში, ე. ი. სინაგოგაში, და რომ გამოვიდა, შიგ აღარა დარჩენილა რა.

ატყდნენ, აგანგაშდნენ ებრაელები, ერთმა მათგანმა – არონა კაკიტელაშვილმა გამოაცხადა ეს საქმე. ასე რომ, ამ ამბავმა დადიანის ყურამდე მიაღწია და მოსთხოვეს პასუხი ხახამს. ხახამმა იფიქრა: „მე მოსეს კანონით მაქვს უფლება მონიჭებული, რომლის ძალით ცოდვას შეუნდობ სხვებსა და თუ სხვების მიტევბა ჩემ ხელთ არის, მაშ ჩემმა თავმა რაღა ქვა მკრაო? ჩემს თავს უფრო ადვილად არ შევუნდობო?“ ასე განიზრახა გულში და მიჰყო სიცრუეს ხელი: გადათქვა სიმართლე და ურცხვად დაუპირა არონა კაკიტელაშვილს პირში წადგომა. რაც უნდოდა, ის სთქვა და საბრალო არონას, თუმცა დამტკიცება კი შეეძლო, მაგრამ რომ ჰკითხეს, თურმე ხმაც ვერ ამოიღო; მაყურებლებს გაუკვირდათ, იძახდნენ: ეს რა დამართნია ამ კაცს? მთელმა ქვეყნამ იცის, რომ ხახამი უსინდისობზედ ადგიან და რატომ არ წაუდგება პირშიო. თურმე, ნუ ბრძანებთ, ბოლოს გამოდგა, რომ დადიანს არონა კაკიტელაშვილისთვის ბურთი ჩაედვა პირში. ეს საქმე რომ გამოაშკარავდა, მაშინ შეიკრიბენ ურიები და რა ქმნეს?

[1875]

სავარაუდო

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე

(ზეპირგადმოცემული თანამედროვისაგან, რომელიც იყო
სიკო კანდელაკის პაპა და ჩანერილი მისი შვილიშვილის, სიკო
კანდელაკისაგან)

ეს მეფე იყო ალექსანდრე მეფის ძე, თუმცა სამეფო ტახტი
უფროს ძმას იოსებს ეკუთვნოდა, მაგრამ ვინაიდან ხედავდა, რომ
მისი უმცროსი ძმა სოლომონ უფრო სამეფო კაცი იყო როგორც
თვალტანადობით, ეგრეთვე ძლიერებით და სიმარჯვით, ამის გამო
იოსებმა მეფობა მას დაუთმო და თვითონ ბერათ შედგა.

სოლომონი რომ სამეფო ტახტზე ავიდა, სულ თვრამეტი წლისა
იყო. ამ დროს ოსმალეთის ჯარები იყო იმერეთში შემოსული და
ციხესიმაგრეებიც იმათ ეჭირათ: პირველი ფაშა მამედ-ალი კიკიანი
ქუთაისის ციხეში იდგა დიდძალი ჯარით და მბრძანებელიც იყო დან-
არჩენი ფაშების, მეორე ფაშა უსეინ იდგა ბალდადის ციხეში; მესამე
ფაშა ახმედი შორაპნის ციხეში; მეოთხე ფაშა ალიბეგი იდგა ხრე-
სილზე, თუმცა ამათ გამგეობაში არ იყო ჩვენი სამეფო, მაგრამ ბეგა-
რას კი ახდევინებდენ იმერეთის მეფეს, რამდენიმე ათას ყურუშს.
ამ დროს ცხოვრობდენ იმერეთის სამეფოში ორი თავადი: ერთი
რაჭაში, რომელსაც უწოდებდენ დიდ როსტომ ერისთავათ და მეორე
არგვეთში, თვით მეფის დედისძმა ლევან აბაშიძე, ამათ შემოყვანეს
თათრები ალექსანდრეს მეფობის დროს, გაუღეს ციხის კარები, დაა-
ბინავეს, დაასუსტეს ალექსანდრე მეფის ძლიერება და თვითონ მათი
შემწეობით გავლენა მოიხვეჭეს. ახლაც სოლომონის გამეფების შემ-
დეგ დაუახლოვდენ კიკიან ფაშას ძვირფასი საჩუქრების მირთმევით
და ურჩევდენ, რომ ბაგრატიონის გვარი სრულიათ მოესპო და მათ-
თვის მიეცა მეფობა, ასე რომ ორ სამეფოთ გაეყო იმერეთი: ნახ-
ევარი ერთისათვის მიეცა და ნახევარი მეორესთვის. სამაგიეროთ
პირდებოდენ იმერეთში მაჰმადიანობის შემოღებას. უნდა აეშენებიათ
მეჩითები ქუთაისს, ბალდადს, შორაპნის, ხრესილზე, საჩინოს,
ორბირს, კულაშს, ხონს, რაჭას, ნიკოლოზ-წმინდის ტაძრის გვერ-
დით, ონში და ამბრალეურში.

კიკიან ფაშა მოხარული იყო, მაგრამ თავის თავათ ცოტა ჯარით
შებმას ვერ ბედავდა, რადგანაც, როგორც თვით მეფე სოლომონს,

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

ისე მის ძმას არჩილს დიდი ვაშუცობის სახელი ჰქონდათ დავარდნილი. მეფე სოლომონს თვალს უჭრიდა და ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ოთხი თვალი აქვსო. მართლადაც, პირდაპირ მისი შეხედვა და თვალის გამართვა, შეუძლებელი იყო. მის ძმა არჩილზე კი ამას ამბობდენ: მისმა მადლმა, წმინდა გიორგი, სასწაულს გარდა, სიმარჯვით ვერ აჯობებსო. ეს არჩილი იყო ძლიერ ახოვანი, ხმელი, მაგრამ ძვლები ჰქონდა მსხვილი და მოგრძო. იმისი ხმლის ხმარება სამაგალითო და საარაკო იყო. ცოლათ ჰყავდა ქართლ-კახეთის მეფის ირაკლის ქალი. აი, მიზეზი, თუ რატომ ვერ ბედავდა კიკიანი ფაშა ციხეებიდან გამოსვლას და მეფესთან ბრძოლას თავის თავად, სანამ ხონთქარს არ აცნობა ყველაფერი და არ თხოვა ჯარების დასქელება. ხონთქარმა აღუთქვა და ამას შემდეგ კიდევ უფრო გათამამდენ, როგორც ფაშები, ისე მათი ჯარისკაცებიც და აღარაფრათ აგდებდენ მეფეს.

ერთ აღდგომა დილას თათრის ჯარისკაცი შევიდა მეფის სამზარეულოში, მეფისთვის მომზადებულ სასაუზმო ცხვარს ააგლიჯა ბეჭი, იქვე შექამა და წავიდა უშიშრათ. სასახლის გამგემ სხვა ცხვრის კეთება დააწყებინა და აცნობა სახლთუხუცეს პაპუნა წერეთელს ეს გარემოება. წერეთელი შეწუხდა, მაგრამ რას იქმოდა! მოხსენება ვერ გაუბედა მეფეს. მხოლოდ ქათალიკოსი და დიდებული კარისკაცები, მეფესთან მისალოცად მიმავალნი, შეაჩერა, რომ დრო გაგრძელებულიყო და მანამდის მოქსნროთ სხვა ცხვრის გაკეთება. მეფეს რომ საუზმე დაუგვიანდა, ვეზირს – თამაზა მესხს – უბრძანა: სად არიან ჩემი დარბაისლები, რომ ვეღარ ვხედავ, ან ქათალიკოსი რატომ არ მობრძანდა, რომ სუფრა მიუურთხოს და ან პაპუნა წერეთელი საუზმეს რად მიგვიანებს, რომ გავიხსნილოთ? თამაზამ გამოტეხით მოახსენა ყველაფერი. მეფე ისარნაკრავივით წამოვარდა ზეზე და დაიძახა: ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო! წულარც გამთენებია აღდგომა, თუ ისინი იმერეთიდან არ გავრეკონ! მოითხოვა ცხენი, შეჯდა და ვარციხისაკენ გაეშურა: მე აქ, ქუთაისში, დასადგომი პირი აღარ მაქვსო. დიდებულები ზოგი თან წაყვენ და ზოგი გზაში დაეწიენ. მისვლის უმაღვე სარდლები დაიბარა: ციხისთავი ქაიხოსრო აგიაშვილი, ბერი წულუკიძე და გიორგი აბაშიძე. მეოთხე სარდალი კი პაპუნა წერეთელი თანვე ახლდა. ამ პაპუნას სამი ხელისუფლობა ეჭირა, ესე იგი, იყო სახლთუხუცესი, უფროსი ვეზირი და იმავე დროს ცხენოსნის სარდალი.

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

სარდლები აღდგომის მეორე დღესვე გამოცხადდენ. მეფე უბრძანა ციხისთავს, სარდალ აგიაშვილს, ბაღდადის ციხეზე მიდგომა. თავის ძმას არჩილს და გიორგი აბაშიძეს – შორაპნის ციხეზე ბრძოლა, ბერ წულუკიძეს და პაპუნა წერეთელს ხრესილზე ომი და თვითონაც იქ ყოფნა აირჩია, რადგანაც თათრის ჯარი იქ მომეტებული იყო და გაშლილი ალაგიც იყო. ქუთაისის ციხის აღება კი უბრძანა ფიცისკაცებს და გაუგზავნა შემდეგი ბრძანება: „თავადს ბერ ლორთქიფანიძეს მეფე სოლომონ სიყვარულით მოგიკითხავ, ამასთანავე გიბრძანება, რომ მიღებისთანავე ამა ბრძანებით წერილისა შეკრიბო ფიცისკაცნი: თავადნი და აზნაურები თავისი ყმებით და ისინიც, რომელნიც ჩემი სახასო ყმები არიან და ანუ ეკლესისა; ვისაც იარაღის ხმარება შეეძლოს, თავადაზნაურობისაგან სუველა და გლეხებისაგან მხოლოდ თვითონ გამოაწვიე. შემოჰკარი ქუთაისის ციხე, დაამწყვდიეთ შიგ ოსმალეთის ჯარი, არავინ გამოუშვა! ვინც გამოვიდეს და ქრისტიანობის მიღება განაცხადოს, ის დაკრძალეთ და შემდეგ ჩემთან მოიყვანეთ. მეფე იმერთა სოლომონ“. ამგვარივე ბრძანება გაუგზავნა მიქელაძეს. „თავადს ზურაბ მიქელაძეს სიყვარულით მოგიკითხავ და გიბრძანება: ახლავე შეკრიბე ჯარი, გამოაწყვე ყველა თავადაზნაურნი და გლეხნი, საჩინოს სოფლიდან მთელი მთის მცხოვრებნი, ვიდრე გურიის საზღვრამდე; ვაკიდან – ორპირი, კულაში, ჯაგანი, გეზათი, მაედანი, ჯიხაიში, ორივე სოფლები, გუბი და ეწერი, კომლზე თითო გლეხი გაიყვანე, თავადა-აზნაურს, რომელსაც იარაღის ხმარება შეეძლოს – რამდენიც იყოს ოჯახში, ნუ დატოვებ და შეკარი ფოთის გზა, სადაც გურიისა და ფოთის გზა შეერთდება იქ, ესე იგი, ეკალ-მუხურში დაბინავდით. ოსმალოს ჯარი არც აქეთ მომავალი და არც იქეთ მიმავალი არ გაუშვათ, სრულებით გაწყვიტეთ! მეფე იმერეთისა სოლომონ“. ამ ბრძანების მიღებისთანავე ზურაბ მიქელაძე მივიდა ორპირის ქალაქს და გაგზავნა კაცები ჯარების გამოსაწვევთა. ამ დროს მოვიდენ ახალგაზდა მიქელაძეები, რომელნიც ჭალადიდს მაყრებათ ყოფილიყვნენ ქორწილში და გზაში შეჰკროდენ თათრებს, იმერეთიდან ტყვეები რომ მიყავდათ სათათრეში, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ გაეწიათ მეფის ხათრით. ახლა კი, როდესაც გაიგეს მეფის ბრძანება, გამოუდგენ, მიეწიენ ფოთთან, თათრები გაწყვიტეს და ტყვეები გამოიხსნეს. ეს გარემოება როსტომ ერისთავმა და ლევან აბაშიძემ სიჩქარით აცნობეს კიკიან ფაშას. მან ცნობისათანავე გზის შეკვრამდის გაგზავნა ფოთში კაცი და დაიბარა

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

ჯარები, მაგრამ ამ ჯარებს დახვდენ ეკალ-მუხურში მიქელაძები. შეიქნა დიას ფიცხელი ომი და სულ ცხვრის ფარასავით გადაყარეს თათრები რიონის წყალში. ფიცისკაცებმა ქუთაისის ციხე შემოკრეს. მეფის სურვილი იყო, რომ თათრებთან ომი ყოველ ადგილს ერთსა და იმავე დღეს, რაც შეიძლება სიჩქარით დაწყებულიყო, მაგრამ პაპუნა წერეთელმა მოუშალა და ურჩია როსტომ ერისთავთან წასვლა და იმასთან მოლაპარაკება. ამ რჩევაზე დათანხმდა მეფე და მოულოდნელათ მიბრძანდა ბარაკონს ერისთვისას. როსტომი იმ დროს საღალატოთ ემზადებოდა: უნდოდა, რომ ლევან აბაშიძესთან ერთად თათრებს მიხმარებოდა და, რასაკვირველია, მეფის მიბრძანება სასიამოვნოთ არ დაურჩა. იმ ღამეს სასტუმროში მიიღო, თვითონ არ ნახა მეფე, ბოდიში მოითხოვა: ავად ვარო. ვახშამი დიას საკადრისი მოუმზადა: სხვათა შორის, ირემიც დაუკლა და ჭამის გათავებამდის, როგორც მეფის სადღეგრძელოზე, აგრეთვე ისეც დროგამოშვებით ზარბაზანს ისროდენ ციხიდან. ორივე კარებზე ოსმალური წესით ორმოც-ორმოცი კაცი ხელჯონიანები იდგენ უიარალოთ და ჭამის გათავების შემდეგ შეიარაღებული – გათენებამდის. დილას, მეფის პირის დაბანის შემდეგ, გავიდა როსტომი მეფის სანახავად განზრას მოურიდებლათ და თავხედათ: ახალუხზე ტოლომონამოსხმული წითელი ჯამფასის ნიფხვით და ქოშებით. მეფემ ეს არაფრად შეიმჩნია: „როგორც გიჭირდეს, ისე გილირდესო“, – სთქვა თავის გუნებაში და ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ საქმეზე დაუწყო ლაპარაკი და თხოვა, რომ თავისი რაჭველებით ხრესილზე მოსულიყო და მოხმარებოდა. ერისთავი დიდი მორჩილებით დაეთანხმა, ალუთქვა ოთხი ათასი კაცის გამოწვევა. გაგზავნა ყოველი მხრით მისი შვილები ჯარის გამოსაწვევათ: რაჭაში და ოსეთში – კუდაროს და თხოვა მეფესაც მასთან დარჩენა, სანამდის ჯარი სულ არ შეგროვდებოდა..

გამოწვეული ჯარები წერილ-წერილათ იყრიბებოდენ ბარაკონში ერისთვის დიდ ეზოში. მეფე დიდ შექცევაში ჰყავს: დილაობით ყოველდღე ყაბახზე სროლა არის, საღამოობით ჯირითი და სადილვახშამზე ზარბაზნების სროლა. მეფე გაკვირვებულია ამ კაცის ცხოვრებაზე და პაპუნას უბრძანებს: „მადლობა ღმერთს, გურიელსა და დადიანს გარდა კიდევ მყოლია დიდებული ქვეშევრდომებიო!“ ამ ყოფაში იყვნენ რამდენიმე დღე, რომ მესამე დღეს ორმა კაცმა ცხენი მოაჭენა ხიდისკარიდან, მივიდენ პირდაპირ ერისთავთან და აცნობეს: ნაქერალას მთაზე თათრის ჯარი ამოვიდა და შაორის მდინარეზე

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

დაბინავდა; როგორც გავიგეთ, ხრესილზე მდგომი ჯარის ოცდაათი ათასისაგან ნახევარი აქეთ წამოსულაო. ეს ლაპარაკი მაღალი ხმით იყო. მეფემ მოკრა ყური და უბრძანა ერისთავს: რა ამბავი არისო? ერისთავმა მოახსენა: რაჭაში მტერი შემოგვსევია და აოხრებას მიპირებსო, მადლობა უფალს, რომ მეც მომზადებული ვარ, იმას რაჭაში არ შემოუშვებ, ნაქერალაზე გადმოვყრი და მერე თქვენ მოგეშველებითო. ახლა კი წაბრძანდით, დროს ნულარ კარგავთო. მეფემ მადლი უბრძანა და დაიმედებული გამობრუნდა. თათრების ჯარების შესვლა რაჭაში თურმე გამოგონილი იყო ერისთვისაგან. მეფე მოატყუა და დროც დააკარგვია, რომ მანამდი ხრესილზე თათრებისათვის მეფის განზრახვა ეცნობებია.

რაჭიდან გამობრუნებულ მეფეს სიმონეთში სარდალი ბერი წულუკიძე დაუხვდა დიდი ჯარით. მეფემ ჯარი დალოცა და გასამხნევებელი სიტყვები უბრძანა: „ჩემი იმერლებო! მტრები ბევრით ჩვენზე მეტია, მაგრამ ნუ შეშინდებით! დღეს მარტო ჩვენ არა ვართ მეომარნი, არამედ ჩვენთან არს ძალი ისო მაცხოვრისა. დღეს ეჭირვება ქრისტიანობას გამოხსნა. შესწირეთ თავი თქვენი ქრისტეს სარწმუნოებას, გამხნევდით, შვილებო, გამხნევდით! მეც თქვენთან ვიწენები, არც ჭირში და არც ლხინში არ მიგატოვებთ და ღმერთი იქნება ჩვენი შემწე!“ ეს რომ სთქვა, ჯარის დაწყობაც ბრძანა. გამოვიდა კერძოთი ცხენოსანი ჯარის სარდალი პაპუნა წერეთელი და დააწყო ცხენოსანი ჯარი. გამოვიდა ბერი წულუკიძე – სარდალი ქვეითი ჯარისა და დააწყო ქვეითი ჯარი. შედგა სულ ქვეითი და ცხენოსნის ჯარი თერთმეტი ათასი. მეფემ გამოთხვა პაპუნას ნახევარი ცხენოსნის ჯარიდან და უბრძანა: თუმცა შენ ხარ ყოველ ომში მემარჯვენე, მაგრამ ხვალ მე უნდა ვიქნეო. იმ ღამეს მტერზე ახლოს მივიდენ. მეფეს არ უძინია, მთელი ღამე დაჩოქილი ლოცულობდა. ბრძოლის წინათ ბრძანა ღვინის მიტანა, აივსო აზარფება და თქვა: „დიდება ღმერთს! ღმერთო, გაუმარჯვე ჩემ ჯარს, საქრისტიანოს გამოხსნისათვის მსხვერპლად გამზადებულს!“ დაცალა და გადასცა პაპუნა წერეთელს, წერეთელმა თაყვანისცემით ჩამოართვა სასასმო, აავსო და დაილოცა: „ღმერთო, უსმინე ბატონ მეფე სოლომონსო!“ წერეთელმა ბერ წულუკიძეს გადაულია და იმანაც ჯარი შეავედრა წმინდა გიორგის. მოემზადენ საომრათ. პირველ მამლის ყივილზე მიადგა ბერი წულუკიძე, საიდანაც მარჯვე ადგილი იყო. დაპერეს საომარი ბუკი და ნაფირი. მეფემ მარჯვით შეუტია და პაპუნამ მარცხნით. შეიქნა

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

დიდი ფიცხელი ომი. გათენებამდე ძლევა არც ერთ მხარეს არ ჩჩიბა. რომ გათენდა, დაინახეს, რომ მეფე შევარდნილა შიგ შუაგულ ჯარში და ხმალამოლებული ექიბს, უყივის და იწვევს დავლურში ალი-ფაშას. ამასობაში ბერმა წულუკიძემ და პაპუნა წერეთელმა შემოამტვრიეს საფრები. თათრის ჯარი გაქცევას აპირებს, მაგრამ ლევან აბაშიძე თავის ჯარით ამხნევებს მათ!..

მეფემ დაინახა ფაშა, შეჭყივლა თათრულათ: „აიყარე იარაღი და ან მარჯვეთ დამხვდიო!“ ფაშა მეფის დანახვაზე ისე შეშინდა, რომ, როგორც იყო, ნახევრამდი ხმალი ძლიერ ამოილო. ომის დროს საოცარი რამ სანახავი იყო ბატონი მეფე! მიიგდო ცხენი და როგორც ქათამს, ისე გააგდებია თავი ფაშას. ალი-ფაშას სიკვდილის შემდეგ სარდლობა აბაშიძეს დარჩა და გაგრძელდა ისევ ომი. რომ არავის უბრძანებია, ისე, ერთი ვიღაც ჯარისკაცი გავიდა დიდ ხეზე მორთო ძახილი: „გაიქცა თათრის ჯარი და ლევან აბაშიძეო!..“ ამ ტყუილმა ძახილმა ჩვენი ჯარი გამოაფხიზლა. ეს ხმა ლევან აბაშიძესაც მოესმა, მიიგდო ცხენი ხეზე, შენიშნა, რომ მყვირალი კაცი ხეზე იყო გასული, შემოუარა ხეს და დაექცებდა, საიდან მოეხერხებია სროლა. ამ დროს ერთი ჯარისკაცი თურმე ჩირგვში იყო მიმალული, მიადვა თოფი აბაშიძეს და გადმოაგდო ცხენიდან. გადმოიხედა ხეზე გასულმა კაცმა, დაინახა, რომ აბაშიძის რახტით შემკული ცხენი უპატრონოთ გარბის და პატრონი კი ძირს აგდია მკვდარი, – მოუმატა ყვირილს: „მოჰკლეს აბაშიძე და ფაშა ალი ბეგო!..“ ამ ორი სარდლის სიკვდილმა თათრის ჯარები სრულიათ მოშალა. სამხრობამდის კიდევ გაგრძელდა ომი, მაგრამ მხოლოთ წყვეტდენ და იჭერდნენ თათრის ჯარს, რომელსაც ხელის გამოლების ღონე აღარ ჰქონდა, თვარა ნამდვილი ბრძოლა კი დიდი ხნიდან გათავებული იყო. მეფეს, თუმცა წინათვე მოახსენეს აბაშიძის სიკვდილი, მაგრამ ომის დასრულებამდე არ უნახავს. შემდეგ კი მივიდა, გადააფარებინა ნაბადი და იტირა ისე, როგორც ეკადრებოდა ნათესავს. არც ერთი საყვედური არ უთქვამს! შეაკვრევინა კუბო და დიდი პატივით გაგზავნა თავის სახლში. მოითხოვა აბაშიძის მკვლელი, მაგრამ ვერავინ გამოჩენდა შიშის გამო, სანამ დაჯილდოება არ ბრძანა. მაშინ კი მოიყვანეს მესხეთელი გლეხი გეგელა თევდორაძე. „როგორ გაბედე შენ ბიძაჩემის მოკვლაო?“ – უბრძანა მეფემ. – „მე ბიძათქვენი კი არა – ქვეყნის მტერი და ორგული მოვკალიო“, – მოახსენა თევდორაძემ. მეფეს გაეცინა, აზნაურობა უბოძა, სახელი გვარად შეუცვალა:

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

თევდორაძეობა გეგელაშვილად, რომ მისი ნაშიერები გეგელაშვილათ იწოდებოდენ, მასთან აჩუქა ათი კომლი გლეხი და სახნავ-სათესი ადგილები გეგუთში. გამარჯვებულმა და გახარებულმა მეფემ იმ ღამეს ცუცხვათში მოისვენა და მეორე დღეს ქუთაისს მიბრძანდა.

იყო ერთი დიდი მილოცვა და სიხარული. ამ დროსვე მოვიდა მახარობელი შორაპნის ციხის აღებისა – ქაიხოსრო ჭაჭიშვილი და ბალდადის ციხისა – კონსტანტინე კოპაძე. ჭაჭიაშვილს უბოძა არგვეთში ჩვიდმეტი მოსახლე გლეხი და კოპაძეს წაბლარასხევას მთა – ნახევარი. ამ დღესვე გამოეცხადა მეფეს ბერი ლორთქიფანიძე, მიულოცა გამარჯვება და მოახსენა: ეს ოცდახუთი დღე გადის, ციხე შემოკრული მაქვს და გალავანს გარეთ ვერავინ გამოსულა, გარდა ექვსი კაცისა, რომლებიც ასისთავმა მომგვარაო. იმათი წინაპარნი ოდესმე ქრისტიანები ყოფილან და სურთ, რომ ისევ მამა-პაპის რჯულს დაუბრუნდენო. მეფემ ბრძანა მათი მოყვანა. ლორთქიფანიძე მიუძღვა. ტყვეებმა პირველად თავის წესისამებრ ხელი პირზე მიიდვეს, შემდეგ მიწას პირი დაჲყვეს, შებლზე ხელები მიიდვეს და მოახსენეს მეფეს: ქრისტიანობის მიღება გვინდაო. მეფემ ყოველიფერი გამოკითხა მათ. გამოდგა, რომ ერთი მათგანი გვარად კვინიხიძე – აჭარიდან იყო, მეორე გვარად ქვარიანი შავშეთის ქვეყნიდან, მესამე გვარად ჭოლოშვილი ასპინძიდან, მეოთხე გვარად კიკიანი ფანეთიდან, მეხუთე, ინაკავაძე, ჩაქვიდან და მეექვსე, კეუერაძე, ქობულეთიდან. ეს კაცები თავის რჯულისაებრ სწავლით განათლებული იყვნენ. მეფემ უბრძანა მათ: ეგებ გულით არა გსურთ ქრისტიანობა და შიში გაიძულებდესთო? მე ძალას არ გატანთ, გამითავისუფლებისართ, წადით, სადაც გინდათო. ამ სიტყვაზე დაიჩიქეს თათრებმა და რჯული ქრისტიანობისა ითხოვეს. მეფემ პაპუნა წერეთელი მისცა მათ ნათლიათ. ჩაიყვანეს თვით მეფის სახლის ოქროს ჩარდახთან და მონათლეს. მეფემ უბოძა მათ აზნაურობა და მამულებიც დაანათლიავეს. ერთმა მათგანმა – ანანია ჭოლოშვილმა – მიიღო ქართული სწავლა და შვენიერი მწერალიც იყო. ბევრი გრამოტები და განჩინებები არის მისი ნაწერი იმერეთში.

როგორც ზემოთა ვთქვით, ქუთაისის ციხე ფიცისკაცებისაგან იყო შემოკრული. ფოთიდან თათრების საზრდოს ველარ აწვდენდენ, რადგანაც ზურაბ მიქელაძე შიგ კრიჭაში უდგათ. დრო იყო, რომ შიმშილით დალონებულ თათრებზე იერიში მიეტანათ, მით უფრო, რომ სამი ათასი კიბე გარედან ციხეზე მისადგმელი ფიცისკაცებს

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

მზათ ჰქონდათ და მეორე დღეს კიდეც მიადგენ. ბერმა ლორთქი-ფანიქემ უბრძანა ნაფირის დამკვრელს: სანამდი მე გალავანზე არ შევდგე და ნიშანი არ მოგცე, ნაფირი არ დაუკრაო. ჯარსაც ეს ჰქონდა მისგან ნაბრძანები, რომ პირველ ნაფირის ხმაზე ყველა ერთად გადამხტარიყო გალავანში. მიიდგეს ღამით გალავანზე კიბები, შეჩერდნენ მაღლა, დაჰკრეს ნაფირი და ყოველი მხრიდან ერთ დროს გადაცვინდენ ციხის გალავანში. შეიქნა დიდი ბრძოლა და მზის ამოსვლამდის იბრძოლეს. მოჰკლეს კიკიანი ფაშა და ჯარიც სრულებით ამოსწყვიტეს. ციხეში გამომწყვდეულმა მტრებმა შიმშილის გამო მაინცდამაინც დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ამ შემთხვევაში იყო ერთი არგვეთის აზნაური, გვარად ჩიკვაიძე, თავის სიმამრს ავალიანს ახლდა; შეხედა: ხატაველი კატა, რომელსაც ქართულად ბარგის კატას ვეძახით, გასულიყო ხეზე და ტოტებზე დახტოდა. ჩიკვაიძემ დაანება თავი ომსაც და საშოვარსაც, მორთო ჭყივილი და იხვეწებოდა: ეს კატა დამაჭერიეთო, მაგრამ რა დროსი იყო და ვინ აყვებოდა, რომ მოხმარებოდა. გამარჯვებულმა ჯარმა ერთად შეკრიბა ყოველივე საშოვარი და საომარი იარაღი, მოართვა მეფეს, მაგრამ მეფემ ყოველივე იმათვე უბოძა, გარდა ზარბაზნებისა. ეს უკანასკნელი იყო ქუთაისის ციხე, რომელიც ეჭირათ თათრებს ხელში და რაღაი ეს აიღეს, კიდეც გაინმინდა იმერეთი სრულიად თათრებისაგან. დამშვიდდა ქეყანა და ძლევამოსილი მეფე მიეცა სისარულსა და განცხრომას. ყოველი მხრით მოდიოდენ დიდებულნი და მორჩილებით თაყვანისმცემელნი, ულოცავდენ გამარჯვებას.

ქუთაისის ციხე საკუთრათ ფიცისკაცებმა აიღეს, ისე რომ, სხვა აღარავინ გაურევიათ; ფიცისკაცები იყვენ შემდეგი გვარისანი: თავადი ლორთქიფანიქები, აზნაური: მესხი, ავალიანი, იოსელიანი, ლოლობერიძე, მიქაბერიძე, ყიფიანი, ქორქაშვილი, იაშვილი, უგრეხელიძე, გრიგოლაშვილი და ჭაბუკიანი. ესენი ცხოვრობდენ სოფლათ: ახალბედისულში, დედალოურში, ცხუკურში, გვაშტიბში, ჩუნებში, წყალტუბოში, ქვილიშორში, გუმათში, ჯიმაშტოროში, ოფიჩეთში, ნამახვანში და რიონში. ამ სოფლებს საზღვრავდა აღმოსავლეთით სოფლები: სიმონეთი, ქვაშავა, ნავენახევი, ძევრული ანუ იგივე ძევრი, ჩხარი და ნაქერალას მთა; აქედან გაგრძელდებოდა დასავლეთით, ვიდრე დადიანის საზღვრამდის და ხონამდის; სამხრეთით: ვაკე იმერეთი – ქუთაისი და ჭიშურა; ჩრდილოეთით: კვალადვე დადიანის საზღვარი, ბომბუას ხიდი, გორდი და ლეჩეუმი, ვიდრე რაჭის

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

საზღვრამდის. ამ საზღვრებს შიგნით ზემოთქმული სოფლები ისეთი მიუღებომელი ადგილები იყო, რომ ვაკე იმერეთიდან და ქუთაისიდან ურმის შესვლა არ შეიძლებოდა: სრულებით მთაგორა და კლდოვანი ადგილები იყო. ვაკეს სივრცით ერთ ქცევა ადგილსაც იშვიათად შეხვდებოდით, გარდა ერთი ადგილისა, რომელსაც ჰქვია გურებევი. ამ გურეშევის ზემო კერძოთი უძახდენ ერთ პატარა ნაკვეთ ადგილს ლეკერნას, სადაც იდგა ერთი შესანიშნავი დიდი მუხის ხე. ფიცისკაცნი, ვიდრე თხუთმეტი წლისა, თავისი ყმებით, სამღვდელოებით და ხატებით მათი ეკლესისა ამ მუხის ხესთან შეიკრიბებოდენ ყოველ წლობით თხუთმეტ მაისს და იფიცებოდენ ესრეთ: მეფის ერთგული ვიყოთ და თანაც ჩვენი ოჯახების მტრის მტერი და მოყვრის მოყვარუო. გვარებს კი თვითეულად აღიარებდენ. როდესაც ერთი მათგანი ფიცა ასრულებდა, მისი ყმები უკან იდგენ და ფიცის შესრულების შემდეგ მიდიოდენ, ხატებზე ხელს ადებდენ და იტყოდენ: ჩვენი ბატონი მართალს ფიცავს, ამისმა მადლმაო. და რომ ფიცი გათავდებოდა, გამოვიდოდენ იქვე გურეშევის დიდ შევენიერ მინდორზე. იქ ჰქონდათ მომზადებული ნეშოს კარვები, ბარგი, ხაბაზები, მზარეულები და ყოველივე ჭამის სამკაული, ვისაც როგორ თავი მოსწონდა. ლოგინებათ ჰქონდათ ნეშო და ზედ გაგებული ხალიჩები და ქვეშსაგები საზაფხულო. თუმცა, როგორც ბინა ცალცალკე, ეგრევე სადილ-ვახშამიც კერძოთ კეთდებოდა, მაგრამ ჭამათ კი ყველანი ერთად დაჯდებოდენ. პირველათ უმთავრესი სასასმოთი უნდა დაელიათ ღვინო და ეთქვათ: „დიდება ღმერთსა! ღმერთო, გაუმარჯვე ჩვენს მეფეს და მის ერთგულს ერთობით ფიცისკაცს, შენდობა ბატონოო“. იყო სიმღერა, ცეკვა-თამაში და გაუწყვეტილი თოფის სროლა. ეს ლხინი გასწევდა, უკეთე დარი იქნებოდა, ორ კვირეს. იყო ყოველ დილაობით ყაბაზზე სროლა, საღამოს ჯირითი. პირველი ყაბახის გაგზავნის მოვალე იყო მეფე; აგზავნიდა ბტყლათ გაჭედილ ვერცხლს. ამის ჩამოგდების შემდეგ დასვამდენ ყაბახათ ქაშანურს, მაგრამ ყოველი ოჯახიდან იყო მოტანილი ნაცვლად ყაბახისა ვერცხლის იარაღი, ე. ი. აზარფეში, თასი და დიდროვანი ვერცხლის სტაენები და ვის სახელზედაც ყაბაზი დაისმოდა, მისი მიტანილი ვერცხლელობაც იქვე, ხის ძირში, იდვა. ვინც ყაბახის ქაშანურს გატეხდა, ვერცხლიც მისი იყო. ფიცისკაცს დიდი გავლენა ჰქონდა მეფეებთან, ასე რომ, უკეთე ვისმე მეფე გაუწყრებოდა, შერისხული მიმართავდა ფიცისკაცს და თუ შეასწრებდა ფიცისკაცის

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

საზღვარში, მდევარი ველარ შეყვებოდა; რაკი ფიცისკაცს მიენდობოდა, მეფე ძალით ველარ გამოიყვანდა.

შეიკრიბებოდენ ერთობით ფიცისკაცნი, ესენი ცოტანი არ იყვნენ: ათასი მეომარი სახელოვანი გამოვიდოდა მარტო თავადაზნაურნი და მათი ყმები კი, რასაკვირველია, ზედმეტი იყო. ფიცისკაცნი, თავის ყმებით შეკრებილი, ერთ ადგილას ქუთაისის მახლობლათ დაბინავდებოდენ, მიუგზავნიდენ მეფეს მოციქულს და მოახსენებდენ, რომ ეპატიებიათ მათვის ის დამნაშავე კაცი. არ იშუამდგომლებდენ მხოლოდ მეფისა და ქვეყნის მოლალატეზე; სხვებს კი, როცა შენანებულს ნახავდენ, თავის კალთას აფარებდენ და მეფეც იძულებული ხდებოდა მიეტევებია.

ფიცისკაცებს, მეტადრე ომის დროს, დიდი ერთობა ჰქონდათ: ომში ერთათ შედიოდენ, – ერთი მეორეს ვერ დატოვებდა, გაწყდებოდენ ერთათ და გამოვიდოდენ კიდევ ერთად. როგორც დაჭრილს არ დატოვებდენ, ეგრეთვე არც მკვდარს და თუ ვისმე შენიშნავდენ, რომ ხელგამოუღებელი და ან შეშინებული მოკვდა, იმას აღარ მარხავდენ და არც შინ ნამოილებდენ, მინდვრათ დატოვებდენ მხეცების შესაჭმელათ. უკეთუ ამისთანა კაცი ცოცხალი დარჩებოდა ომის დროს, იმაზე იტყვოდენ: ფიცისკაცს უდალატაო და აღარც შეიძლებოდა დაეყენებიათ მათ საზღვარში, აყრიდენ და გადაასახლებდენ, მაგრამ მის ადგილ-მამულს კი ფიცისკაცებივე შეიყიდდენ ლირებულ ფასათ.

პირშავი ერისთავი დიდხანს არ მოკარებია მეფეს, სანამ არ დარწმუნდა, რომ მეფე სახუმროთ აღარ გაძლიერდა და მორქმით ზის ტახტეო. მაშინ კი ნამოვიდა შვილებიანათ მეფის მისალოცავათ, წყვილი ირემი და საქებარი სახორცები წინდლით მოართვა. მეორე დღეს მოვიდა, ბინა უჩვენეს, გადახტენ, ტანისამოსი გამოიცვალეს და იახლენ მეფეს. ორი დიდებული კარისკაცი წინ მიუძღვდა. მეფე აუდგა. ერისთავებმა კვანტგადადებით თაყვანი სცეს და გაჩერდენ. – „ყოვლად ძლიერო მეფეო იმერეთისა, დიდო სოლომონ! – ჰკადრა როსტომმა, – მოგილოცავ გამარჯვებას, რათა ძლევაშემოსილმა მარჯვენმა თქვენმა დათრგუნა წინააღმდეგნი მტერნი თქვენნი ქვეშე ფერხთა თქვენთა. თქვენ დააგვირგვინეთ სამეფო თქვენი ესე, ვითარცა წინაპარმან თქვენმან ლეონ ბაგრატოვანმა, რომელსაც დაადგა თვით ანგელოზმა თავსა ზედა ზეგარდმო ხელთუქმნელი გვირგვინი, ვითარცა უბრძანა მაცხოვარმა მოციქულსა ჰეტრეს: შენ ხარ კლდე და ამა კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემიო. ეგრეთვე

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

შენ ხარ კლდე გმირობისა და სიმტკიცე ქრისტიანობისა. თქვენ შეიმოსეთ ძალი ძლიერი, გაანათლეთ იმერეთი და ამიერიდან მაპ-მადიანის მძორებითა აღარ შეიბილწების ნათელლებული სამშობლო ჩვენი. ვთხოვ, ზეგარდმო განგებას ესრეთ განაგრძოს დღენი თქვენი მრავალ წელს და შემდეგ თქვენი მეფობისა მემკვიდრეთა თქვენთა ასეთივე ძალა და დიდება შეიმოსონ, ვითარცა თქვენ!“ მეფე თვალებში შეჩერებოდა და ბოლოს ბრძანა ცივად: როსტომ ერისთავო, ღმერთსა ვთხოვ ის შემასრულებიოს შენთვის და ჩემი სამეფოსთვის, რაცა მსურდეს და გულში მედვასო. დარბაისლებმა დასძახეს ამინ. პაპუნა წერეთელმა კი ორჯერ გაიმეორა: ამინ, ამინო. ერისთავებმა კვალადვე თაყვანი სცეს. მეფემ ფეხი წინ წამოდგა, როსტომმა გულზე აკოცა, მეფემ თავზე, შვილები კი ხელებზე ეამბორენ მეფეს. ბრძანა მეფემ სელის მოტანა და გვერდით მოისვა ერისთავი. შვილები კი მოშორებით კერძო ადგილას დასვეს. ისეთი რამ სანახავები იყვნენ ერისთავები, რომ უცნობი ვინმე როსტომს მეფედ ჩათვლიდა და მის შვილებს მეფის შვილებათ. დიდხანს დარჩენ მეფესთან ერისთავები, ერთათ ისადილეს და სადილის შემდეგ კი გავიდენ ბინაზე. შვილებმა უთხრეს როსტომს: ძალიან ალერსიანათ გვეპყრობა მეფეო. მამამ მწარეთ გაიღიმა: თქვენ ვერ ატყობთ, თორემ ეგ ალერსი რისხვაზედაც უარესიაო. პაპუნა წერეთლის ამინ-ამინი კარგს არაფერს მოასწავებდაო და თუ ჩვენ თავი დღეს არ დავაძვრინეთ როგორმე, ცუდად არის ჩვენი საქმეო. შორსგამჭვრეტელმა ერისთავმა პაპუნა წერეთელი და ორი დიდებული გაუგზანა მეფეს და თხოვა: რადგანაც სიშორისა გამო თქვენთან ხშირად ხლება, სამსახური და ერთგულების გამოჩენა არ შემიძლია, გთხოვთ თქვენ მიიღოთ ჩემი ყოველივე სამკვიდრო: ბარაკონში ციხე და სასახლე, ობში ციხე, სასახლე და თვით პატარა ქალაქიც. ამასთანავე ყოველი ჩემი რაჭის სამფლობელო აზნაურ-გლეხებით და სამაგიერო აქ მახლობლათ სადმე მიბოძოთო. როსტომს ვეზირობა უბობა, მის შვილს გიორგის სარდლობა და მეთოდეს – დივანბეგობა. მერე შემოიკრიბნა ვეზირნი და ჰკითხა, თუ რა მიეცა შენანებული ერისთვისათვის ამ დათმობის სამაგიერო. მათი რჩევისამებრ დაიბარა მდიგანი და მისცა მას ღრამოტის შედგენაზე თანაშემწედ ოტია ჩხეიძე: „ჩვენ მეფე მეფემან იმერეთისამან სოლომონ პირველმან და დედუფალთ დედუფალმან მაკრინემ ესე წყალობის წერილი გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს დიდებულ თავადს როსტომ ერისთავს, შვილთა და მომავალთა

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

თქვენთა, ასე რომ, გიბოძეთ ყმად სოფელს გეგუთში მცხოვრებინი გლეხნი ყოველივე გვარისანი; გარდა ამისა, სოფლები: პატრიკეთი, უკანეთი და მესქეთი, რაც ამ სოფლებში მცხოვრებინი გლეხნი და აზნაურნი არიან საჩემო – ყველანი შენ გიბოძეთ; გარდა ამისა, სამოსახლიდ გიბოძეთ გეგუთს თამარ მეფის ნასახლი, ციხე და ეკლესია; რაც ნაკლეულობა აქვს, მე უნდა გავაკეთო. გარდა ამისა სამი ათასი ქცევა ირგვლივ შენი მოსახლობისა გიბოძეთ; გარდა ამისა საშეშედ საღორიას ტყე – ქუთაისიდან სამხრეთით ხანის წყლის მდინარის ღელემდის, აღმოსავლეთით წყალწითელას მდინარის ღელე, დასავლეთით რიონის მდინარე. გიბოძეთ მთა საჯოგებად – სახელწოდებული „ტიტველათ“. აღმოსავლეთით ქართლის საზღვარი, დასავლეთით ჩიჯავაძის საზღვარი, სამხრეთით ახალციხის საზღვარი, ჩრდილოეთით სოფლები. ესე ზემოხსენებულნი აზნაურნი, გლეხნი მიწაწყალმთებითურთ შენთვის გვიბოძებია. უკეთუ ჩვენი ერთგული და ბრძანებისა ჩვენისა მორჩილი იქნები, ესე წყალობა შენ და არცა შენს შვილსა და მომავალს არ მოემალოს არაოდეს ჟამსა. ან არიან სიგელისა ამისა მოწამენი ვეზირნი და დიდებულნი კარისა ჩემისანი: წერეთელი პაპუნა, აბაშიძე პაატა, მიქელაძე ზურაბ, წულუკიძე ბერი, ჩხეიძე ოტია, ლორთქიფანიძე ბერი, თამაზა მესხი, მამუკა მდივანი, პაპუჩა და ქაიხოსრო აბულაძები, თანდარუხ იოსელიანი და დარბაზისა ჩემისა ერნი“. ეს ღრამატა ხელჩართულ ბეჭდითურთ უბოსა ერისთავს პაპუნას ხელით. ერისთავი გამოვიდა თავის შვილებით, მივიდა მეფესთან, კვანტგადადებული მადლობა შესწირეს და მოახსენა, რომ მას მისცეს მეციხოვანები და ციხეები ჩაიბაროს. შინ წასვლის ნებაც გამოითხოვა. მეფემ დასტური უბოძა და ციხეების მისალებათ მეციხოვანები ბასილა და კვირიკა იამანიძები გაატანა. გამოეთხოვა ერისთავი მეფეს და წავიდა რაჭას. ნაქერალს მთის გვერდზე შემოხვდა ერთი რაჭელი აზნაური, მეფესთან მომავალი. ერისთავმა ამ მგზავრს გაატანა წიგნი მეფესთან და უბრძანა: თუ შენი ხელით არ მიეცი მეფეს, რაჭის ქვეყანას გამოეთხოვეო. მან დიდი შიშით მოახსენა: მიტანის დროს ორივე ხელები რომ მომჭრას მეფემ, მაინც მივართმევო. წიგნში ასე ეწერა:

„შენსა მოველ და შევამკობ შენსა ტანადობასა, შენი უდასტურობა კი არღვევს ბატონყმობასა“.

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

ეს წიგნი იმ აზნაურმა მიართვა მეფეს. მეფემ წაიკითხა, და პაპუნა წერეთელი შემოიხმო და ჰეკითხა: ჩემო პაპუნა, როსტომ ერისთავმა ხომ არ დაგვატყუილა, რომ ხელიდან გაგვძრომოდაო? პაპუნამ შორს დაიჭირა. მაშინ გადასცა მეფემ წიგნი და წააკითხა. წერეთელს კიდევ არ ეჯერა და ამბობდა: რა ვიცი, რაც ის გახარებული მიდიოდაო! – გახარებული მიტომ წავიდა, რომ ჩვენ მოგვატყუა, ხელიდან გაგვიძვრაო, – ბრძანა მეფემ. – და თუ ასე არ იყოს, ამ წიგნის მოწერას ვერ გაბედავდაო.

გზაზე ერისთავმა უთხრა შვილებს: „ასე რომ არ მოგვეხერხებია, ჩვენი საქმე ცუდად იყო და უთუოთ დაგვამარცხებდენო. ვერ შენიშნეთ, როგორ წვრილ-წვრილათ იკრიბებოდენ ფიცისკაცები: ლორთქი-ფანიძები, მესხები, ავალიანები, იოსელიანები და სხვანიო. ოთა და მისი ძმა ივანეც ცალ-ცალკე მოვიდენ, რომ იჭვში არ შევეყვანეთო“. „ეგ ორი ძმა მესხი და არჩილ ბატონიშვილი სწორეთ რომ სასაშირონი იყვენ და სხვების კი რა მოგახსენოთ“, – ჩაილაპარაკა მეთოდემ. „შენმა გაზდამ, არც სხვები იყვნენ მაგათზე ნაკლები! ბევრი უკეთესებიც არიან იმერეთში, მაგრამ ერთხელვე მაგათ დავარდნიათ ვაჟუაცობის სახელი და ის არისო“, – მიუგო უმცროსმა ძმამ გიორგი. ამ საუბრით მივიდენ რაჭაში თავის სასახლეში, სოფელ ბარაკონს. ბასილა და კვირიკა იამანიძებს ციხის გასაღების მაგიერათ შემდეგი წიგნი გაატანეს მეფესთან:

„ესე ასრე არ იქნების, ბასილა და კვირიკაო! ციხეს მართმევს, მინდორს მაძლევს, დავჯდე, უნდა ვირიკაო?! წადით, უთხართ თქვენსა მეფეს: მე გახლავარ დიდი როსტომ! მე ერთგულად გიახელი, მიპირობდი ლალატს რატომ? სიტყვით გითვლი, წიგნსაცა გნერ, ხელი აიღე რაჭაზედ! მიხვდი, რომ აღარ გმორჩილობ, სწორი გიდგები ძალაზედ! რაჭის ბეგარას ავიღებ, არ გერიდები ამაზედ. უბანროთ ვირი დამაბით დამტვრეულ ჩელტის ბაგაზედ? თუ მიპირებ ამოწყვეტას, ან მობრძანდი, რაღას ყოვნი? ციხე მიდგას მაღალ კლდეზე და ზედ მოკვრით ბარაკონი, ხიდისკარში მცველები მყავს და კოშკები სამაგრონი. ჩემი იყო, ქვეც წაგართვი კუდარო და რაჭა-ონი. ჩემი წინაპარი იყო ერისთავი კახაბერი, თამარ მეფეს მამობილსა ყმანი ჰყავდა ორი ბევრი. მე ვარ მისი ტომისაგან, ვერ მატირებ, ტყვილა მღერი, გემორჩილო, არ გახლავარ ქაჯაია, შენი გერი!“

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

ეს წიგნი იამანიძებმა მისცეს სახლთუზუცესს. იმას არ უნდოდა ეჩვენებია მეფისათვის, მაგრამ დაფიცვაც აღარ შეიძლებოდა და მიართვა. ამ წიგნის წაკითხვაზე მეფეს ცეცხლი შემოედვა, მოიხმო სარდალი წულუკიძე და უბრძანა: წადი ახლავე ბარაკონში, ერისთვები გაწყვიტე ცოლ-შვილით, ციხები, კოშკები და ყოველივე მათი შენობა დაწვი, დაამტვრი ხიდისკარის კოშკები!.. თუმცა სალი კლდე არის გამოკვეთილი, მაგრამ წაიყვანე სტატები, მიეცი ლაღუმი და მოშალე. ერთი სიტყვით ქვა ქვაზე დაადუღეო!.. ეს რომ დარბასილებმა და კარისკაცებმა გაიგეს, იუცხოვეს: უჩვენოდ ასე მძიმე საქმე ბატონს ვერ უნდა გადაწყვიტაო. ერისთავთან ომი როგორ ეკადრება: ერთ მის თავადთან ბრძოლა სირცხვილი არისო! ამას გარდა ერისთავთან, იმის სიმაგრეების პატრონთან, არც ასე ადვილია შებმაო. ყველანი ერთად შევიდნენ მეფესთან და თაყვანი სცეს ჩვეულებრივ. მეფე ტახტზე ბრძანდებოდა; შუბლზე რაღაც მწუხარების ხაზი ჰქონდა გადაკრული. მეტი სიფიცხის გამო თვალთაგან ცეცხლს ყრისო, იტყვიდი. დიდებულნი თავდასრილი შესურებდენ, პირდაპირ თვალს ვერავინ უმაგრებდა და საძნელოც იყო. უბრძანა დაჯდომა. ჩამწკრივდენ თავ-თავის ადგილებზე. წერეთელმა მდივანს გადასცა ერისთვის მოწერილი. მდივანმა წაიკითხა. ყველანი განცვიფრებაში შევიდენ და იწყეს დარბაზობა.

პაპუნა: მეფემ გადაწყვიტა ჯარის გაგზავნა, გაწყვეტა ერისთავების, დაქცევა და დაწვა ყოველი მათი შენობისა, – თქვენ რას იტყვით?

პაპუა აპაშიძე: ღირსია ყოველგვარ უბედურების მიყენებისა! როგორ გაბედა ან დატყუება და ან ამ წიგნის მოწერა? დიახ, კარგად უნებებია ბატონ მეფეს.

ბერი წულუკიძე: რადგან ნაბრძანები მაქვს საომრად წასვლა, ვერას ვიტყვი.

ბერი ლორთქიფანიძე (ადგება და მეფეს შეჟყურებს).

- რას გაჩერდი, ბერო?
- მეშინია, მოგახსენო.
- ნებას გაძლევ, თქვი.

– ერისთავი შენი ყმა არის. საკადრისი არ არის ერთი თავადისათვის აგრე აჩქარება, ბატონი მეფე! მასთან ამასაც წუ დაივიწყებთ, რომ სამასი კაცი იმერეთიდან, ოდიშიდან და გურიიდან თან ახლავს. ესენი ყველა კარგი ოჯახის შვილები და ძლიერ მარჯვეები არიან.

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

ორასი კაცი რაჭველი, ოსი, ჩერქეზები და სვანნი ახლავს. ამას გარდა, თავისი საკუთარი ოჯახის გამგე და მოსამსახურებიცა ჰყავს ყველა იარაღს ქვეშ. ხიდისკარში კოშკები, – ორივე მხრით სალი კლდეა გამოკვეთილი. რიონის ხიდის საძირკველის თავები ორივე მხრით კოშკების კარებზე არის მიდებული. ორმოც-ორმოცი კაცი თითოში ჰყავს ყარაულათ. ერთი ათასს დაამარცხებს. ამბრალეურის აღება კი არ არის საძნელო, თუმცა ჯარი იქაცა ჰყავს კოშკებში, მაგრამ რადგან გაშლილი ადგილი არის, როგორც ხოტევიდან დაინახავენ მიმავალ ჯარს, სასახლის კოშკებს დატოვებენ და მიემატებიან ხიდის კარის ყარაულებს. ეს კოშკები ისე მიუდგომელია, რომ ზარბაზანი არ მიუდგება და თოფიც არ მოეხერხება და იმათ კი ხელის გულზე ეყილებათ მიმსვლელები. ამ ხიდის კარს გარდა, შესვლა არ შეიძლება. ონის მხრიდან რომ მოიაროს ჯარმა, ცალი მხრით რიონის წყალი მიდის და ჩაივლის ციხის და სასახლის ძირზე და მეორე მხრით სალი კლდე მიდის, შუაში ვიწრო გზა მიჰყვება. ციხე მისთანა ადგილას აქვთ, რომ არც ონიდან მიმსვლელს და არც ხიდის კარიდან მიმსვლელს არ ააცდენენ ზარბაზნის ტყვიას. უეჭველია, დიდ ზარალს მოგვცემს ერისთავი და შევრცხვებით...

ზურაბ მიქელაძე: ეჲ, თუ ერთ თავის ყმას მეფე ვერ მორევია, რაღა მეფობა ჰქვია ამისთანა მეფობას? ყმა კი არა, ამხანაგი ყოფილა და ის არის!

ოტია ჩხეიძე: ერისთავის დასამორჩილებლათ რომ რამდენიმე ათასი თავადაზნაური დავკარგოთ, რა მოგება იქნება?

თამაზა მესხი: თუ ერთი თავადის დამორჩილება ჩვენს ქვეყანაშივე ასე გაგვიძნელდა, გარეშე მოსაზღვრე მტერი რაღათ ჩაგვაგდებს და არც ჩასაგდები ვიქნებით!

მამუკა მდივანი: ასეა ბრძენთაგან ნათქვამი: „ხერხი სჯობია ღონესო, ვინც კი მოიგონებსო“. ძალაცა და ხერხიც ორივე შეგვიძლია. რა საქები იქნება ერთ კაცს თავი შევაკლათ? და ვის? ისევ ჩვენს ყმას! ის შემძრალა კლდეში ისე, როგორც დათვი სოროში და იქადება! ამას უნდა მოტყუებით გამოყვანა, მერე რაც ეკადრება...

პაპუჩა აბულაძე: ნათქვამია ესეც: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“-ო. კაცი შემძვრალა გამოქვაბულ კლდეში, შენი ნასროლი ვერას აკლებს და მისი არ აგცილდება. ამისთანა ადგილზე ომს უომრობა სჯობია, ერთხელაც იქნება, ისეც ჩაგვივარდება ხელში.

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

ქაიხოსრო აბულაძე: ათი ათასი მეომარი რომ გაიგზავნოს ერთ კაცზე, სირცხვილი იქნება: ის არ არის მეფე და არც მთავარი. იმის-თანა დიდებული თავადები სხვებიც არიან ჩვენს სამეფოში. მისი ძალაა მხოლოდ ადგილის სიმაგრე და რად შევაწყდეთ? სჯობია, როგორმე აქეთ მოვიტყუოთ.

თანდარუს იოსელიანი: შეიძლება არც კი შეგვებას, დაგვიტოვოს ციხეები, გადავიდეს საზღვარგარეთ, შემდეგისათვის მოემზადოს, შეერიბოს ოსეთის ჯარი, მოიმხროს ჩერქეზის მთავარი – ყიზილყო ბატონი, მისი დიდი მეგობარი. ამას გარდა, სვანეთის მთავართან მომძახლეობა აქვს, აფხაზეთის მთავარი ქელებ-ბეგ შერვაშიძე შვილობილია მისი. ესენი ყველა ჯარს ათხოვებენ. ერთი სიტყვით, ყოველი კუთხით შფოთსა და უკმაყოფილებას აგვიტებს. არ ივარგებს ჯარის გაგზავნა. ვაცალოთ რამოდენსამე ხანს და მერე მოვიტყუოთ რამენაირათ.

ამ დროს მეფის ძმა არჩილ შემოვიდა. გააშინვეს იმასაც ნათათბირები და იმანაც ასე ბრძანა: მართალია, ჩვენს ყმასთან ბრძოლა საკადრისი არ არის, როცა იქნება, ჩაგვივარდება ხელშიო. მეფე სრულებით გაჩუმებული იყო, ხმა არ ამოუღია. კარისკაცებმა თაყვანი სცეს და წავიდენ თავ-თავის სახლებში.

გავიდა რამდენიმე წელინადი, ეს საქმე სრულებით დაჩუმდა. ეს კი იყო სამწუხარო, რომ თითო ოჯახიდან რამდენიმე სული ზოგი მეფეს ახლდა და ზოგი ერისთავს. ძმა ძმას ვეღარ ხედავდა, მამა შვილს, შვილი მამას და ნათესავი ნათესავს. ტკბილი მოყვრობა მწარე მტრობათ შეიცვალა და აირიენ ოჯახები რაჭა-იმერეთში. ერთ დღეს, რჩევისამებრ ვეზირთა და დიდებულთა, მეფემ შეიხმო ძმა მისი იოსებ ქათალიკოსი და შეჩივლა: ხომ ხედავ, რომ როსტომ ერისთავი გამიორგულდა!.. მასთან ჩხუბი მრცხვენია და ისე კი არ მეპუება. რომ შეინანებდეს, ყოველსავე მივუტევებ, შევირიგებ და დავიხლოვებ, რადგანაც ყოველგვარათ შესანიშნავი კაციაო. მშვიდობისმოყვარე ქათალიკოსმა ეს რომ გაიგონა, იამა, მოუწონა მეფეს და შეამავლობაც თავს იდვა. დაიბარა ქაიხოსრო აბულაძე და დაუყოვნებლივ გაემართა თავის კრებულით და მხლებლებით რაჭისკენ. რაჭის საზღვარს რომ მიაღწია, ერისთავმა შეიტყო და მოაგება თავად-აზნაურები და ერთი მარქაფა ბედაური, ძვირფასი უნაგირით და რახტით აკაზმული. მიეგებენ ნიკოლოზ წმინდის ტაძართან. თაყვანი სცეს და გაუძღვენ, როგორც ჩვეულება იყო. ყველა წინ მიუძ-

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

ლოდა, გარდა მეჯინიბისა, ის კი უკან მისდევდა: ცოტა მოშორებით მიყავდა მარქაფად ძუაფაარშელებილი ულაყი. მიაღწიეს რა ამბრალ-ეურის სასახლეში, დაკრეს ეკლესიის ზარი და კოშკებიდან ჯაზაირები დასცალეს. იქ დახვდნენ ერისთვის შვილები. იდგა ჯვარით თავში კარის მწირველი, მისი სასახლის მოძღვარი იოანე – მისივე აზნაური, გვარად ბაქრაძე. გადახტა ცხენიდან ქათალიკოსი, მივიდა და ჯვარს ემთხვია. წინამძღვარმა შესხმა მოახსენა: „მღვდელმთავრობისა კვართითა შემკობილმან ღვთის მეცნიერათ ქადაგე, შენ, სახარება სასუფევლისა, იოსებ, და მართლმადიდებლობისა სწავლანი აღმოთქვენ და ეკლესია განამდიდრე მოძღვრებითა და ან განათლებულათ მამისა თანა ძესა სულით წმინდითურთ ღვთისმეტყველებდეთ და ვადიდებდეთ ყოველნი მეუფებასა შენსა, რომელსაც ევედრე ცხოვრებათ და განათლებათ სულთა ჩვენთათვის“. ქათალიკოსმა ჯვარი გადასახა, ერისთვის შვილებმა ხელი მოჰკიდეს, შესვეს იმ ცხენზე, რომელიც მიაგებეს და გაუძღვენ წინ. ხიდისკართან დახვდნენ სამღვდელოება და ხალხი მრავალი საეკლესიო ბაირალებით. ესენი წინ გაუძღვენ და ჩავიდენ ერისთვის ეზოში. დაპკრეს დიდი ხმოვანი ზარი – ეს სამღვდელო წესი ანუ პატივისცემა იყო სამღვდელოებისა – და ამას გარდა, რადგანაც ეს ქათალიკოსი გვარათ ბაგრატიონი იყო და მეფის ძმა, მეფის წესისამებრ დაუხვდენ: ციხიდან ზარბაზნის სროლა დაიწყეს, ჭიშკარს შიგნით ერისთვის ცოლი მოეგება, თან ახლდა ელის-აბედ მონაზონი ღვთისმშობლის ხატით. მოეგება თვით ერისთავიც, უამბორეს და ხელმოკიდებული მივიდენ ეკლესიის კარებთან. აქ მოართვეს მანტია და კვერთხი. ერისთვის შვილებმა გალობით შესხმა მოახსენეს: „იქსო მთავარი მშვიდობისა მოვიდა დღეს“ და სხვანი. დაპკრეს დიდხმოვანი გუსლი. მგალობლებმა ზედვე კილოთი დაიწყეს: „უფალო, ლალადვყავ შენდამი, ისმინე, ისმინე ჩემი, უფალო!“ შევიდენ ეკლესიაში, ხატებს ემთხვია, მერე საკურთხეველში – ტრაპეზს და გამოვიდა, ორივე ხელით ჯვარი გადასახა ჯარს და მერე შებრძანდა ერისთვის სახლში.

საუბრის დროს ქათალიკოსმა სიტყვაში გამოურია, რომ დადიანისა და გურიელისაგან ნამეტანი მორჩილება არის მეფისადმიო: ცხენზე შეჯდომის დროს ერთმა აღვირი უნდა დაუკავოს და მეორემ უზანგი უნდა დაუწიოს. მიხვდა ერისთავი და უპასუხა: „ვიცი, თქვენმ მეუფებავ, ყველანი თავადნი და დიდებულნი ამ წრეში უნდა იდგენ, რადგან მეფობა წარმოადგენს გარეშემოუწერელ უფლებას

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

თვისთა ქვეშვრდომთა ზედაო“. – „თუ იცი, მაშ შენი ურჩობა რაღას ნიშნავსო?“ – განაგრძო ქათალიკოსმა. – „მენც კარგად იცი, კანონში სწერია: უკეთუ მეფეს მეფობა არ გაუვა, უნდა დატოვოს მეფობა მისი და შენ კი ერთი დიდებული თავადთაგანი არ ემორჩილები. ეს სამარცხვინო საქმე არის მეფისათვის: გარეშე მტრები რომ გაიგებენ ამას, შემოქანილი სამეფოს და ქრისტიანობა შეირყევა. მართალია, შენი დამორჩილება არ გაუჭირდება მეფეს, მაგრამ ბევრი უბრალო სისხლი დაიქცევა და ამას ერიდება. როგორც სულიერი მამა, გირჩევ, დაფიქრდი ამაზედო“. ერისთავმა თავი იმართლა: „მე ვიახელი მეფეს, ჩემს გულში ღალატი არ ყოფილა.“ – „ნუ გავინყდება ხრესილის ომი, როდესაც მეფეს უმუხლებელ და დაატყუუო“, – გააწყვეტია სიტყვა ქათალიკოსმა: – „მაგრამ ყოველივე უნდა დაივინყოთ, რადგანაც ქვეყნისათვის საჭიროა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება, – მე შეგარიგებ მეფესო“. როსტომ ერისთავმა სიხარულით თანხმობა განაცხადა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ქათალიკოსს ეკლესიაში ბარძიმზე დაერწმუნებია ერისთავი. ქათალიკოსმა აღუთქვა და რომ მეფის თანხმობაც მიეღო, გამოეშურა მეფესთან ქუთაისისაკენ.

მეფემ რომ ერისთავი ვერ ნახა მოყვანილი, დიდად ეწყინა. ქათალიკოსმა ყოველიფერი დაწვრილებით უამბო და დაამატა: „ცხადია, რომ მხოლოდ სიკვდილის ეშინიაო“. მეფემ გაილიმა: გაძლევ სიტყვას და ვფიცავ შენს ხახულის ღვთისმშობელს, არც ის და არც მისი შვილები არ მოვკლა და ისეთი პატივისცემითაც მივიღო, რომ საარაკოთ დარჩესო. ამ სიტყვების შემდეგ ხელმეორეთ წაბრძანდა ქათალიკოსი რაჭას და ბარძიმზე ხელის დადებით დაარწმუნა ერისთავი. შეიქნა დიდი სიხარული. დიდი ხნის დაშორებულები ან კი ფიქრობდენ თავისი ნათესავებისა და მოყვრების ნახვასა და შერიგებას. ამ დღესვე დაიბარა ერისთავმა ციხის მოურავი ალი ენგიჩარი და იმას ჩააბარა ვყელა ციხეები. ეს ალი ენგიჩარი სტამბოლელი იყო – დიდი ხნის კაცი, მაგრამ ოცდაათი წლის კაცად თუ ჩაითვლებოდა. ოცი წლის რომ შესრულებულიყო, ასისთაობა მიეცათ, მაგრამ გულუმაძლარ ახალგაზრდას მეტი მოენდომებია, მით უფრო, რომ ენგიჩების ამბავი გულში ჩაჭროდა. ერთ დროს ენგიჩებს დიდი ძალა ჰქონდათ სტამბოლში: ხონთქარს ხან აიყვანდენ ტახტზე და ხან გადააგდებდენ. ვინც კი კარგი გამოვიდოდა მათ სამეფოში, ყველა ენგიჩართ მიდიოდა და ამგვარად ენგიჩების რაზმი დღითი-დღე სქელდებოდა. მათი თავგასულობა უსაზღვრო იყო. უკანასკნელ ენგიჩარს რომ

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

ეთხოვა პირველი დიდებული კაცის ქალი, უნდა დათანხმებოდენ; უარს ვინც გაბედავდა, შეიკრიბებოდენ ყველა ენგიჩები ერთად, დაქსმოდენ თავზე ურჩის, აიკლებდენ და ქალს კი მათ ამხანაგს მიგვრიდენ. გზაზე მომავალ ენგიჩარს ხელი ხმალზე ედვა და ვინც წინ შემოეყრებოდა, თუ ნებით არ გადაუხვევდა, ვინც უნდა ყოფილიყო, თავს გააგდებინებდა.

ერთმა ახლათ ტახტზე აბრძანებულმა ხონთქართაგანმა ველარ აიტანა მათი ძლიერება, მოიტყუა ყველა და ლალატით ამოწყვიტა. ეს ამბავი რომ ჰქონდა გაგონილი ახალგაზრდა ალის, მოინდომა ძველი დროის აღდგინება და ახალი ენგიჩების გაჩენა. შეუტყვეს შეთქმულებს და ბევრი მათგანი ჩამოახრჩეს. ალი ასისთავმა კი მოასწრო გადავარდნა. დაუწყეს დევნა. ოცდათხუთმეტ წელინადს გადავარდნილი იყო, იმალებოდა სათათრეთშივე და ბოლოს ერთი მისი ნათესავი კიკიანი ფაშა რომ დანიშნეს იმერეთში მყოფ ჯარის უფროსად, გადმოვიდა და მოენდო მას. ფაშამ მისი მეფის მოღალატის შენახვა რომ ვერ გაბედა, როსტომ ერისთავს გაუგზავნა. ერისთავმა მიიღო და ციხეები ჩააბარა. დიდ პატივში ჰყავდა და ალი ენგიჩარიც მიეთვისა, ალარ შორდებოდა და მეციხოვნებიც გამოუზარდა. აი, ეს კაცი დატოვა ერისთავმა მოადგილეთ და თვითონ კი მეფეს ეახლა.

მეორე დღეს სადილი ტყიბულში ჭამეს; იმ ღამეს ქაიხოსრო აგიაშვილის საზაფხულო სადგომში დაბინავდენ ცუცხვათს; იქიდან კი მეფეს უნდა ხლებოდენ ვარციხეს. ერისთავის მგზავრობა ესრუთი იყო: ბარგს, სამზარეულო იარალს, პურს და ღვინოს ასი ცხენი და ჯორი უნდებოდა. სადაც დაბინავდებოდა, იქვე უნდა გაკეთებულიყო ხარჯი. თანვე მიჰქონდათ შეაზე გახერხილი თორნეები და მალე გამართავდენ ხოლმე. უკეთუ სხსილი იყო, ჯოგად მირეკავდენ სახორცეებს. ახლაც ამრიგად მოგზაურობდა. მეფე დიდი ჯარით მიეგება და, ცოტა არ იყოს, ერისთავს გაუკვირდა ეს სიმდაბლე. ერისთავებმა ხელზე უამბორეს მეფეს, და მხლებლები კი დამწკრივდენ, დაიჩოქეს და ისე თაყვანი სცეს მეფეს. აქ შეიქმნა ერთი აღღომის ლიტანიობა. დიდი ხნის უნახავი ძმები ერთმანეთს ეხვეოდენ, კოცნიდენ და ტიროდენ. ზოგმა მამა ნახა, ზოგმა შვილი და ზოგმა ძმა. ჯარმა თოფის სროლის ნება გამოითხოვა. მეფემ დასტური ბრძანა. სულ სროლით მივიდენ ვარციხეს; მაგრამ ერისთავის ჯარისგან უფრო ფიცხელი თოფის ხმა ისმოდა, რადგანაც სვანური წამალი ჰქონდათ; თვითონ ერისთავი თავის სასახლეში აჭრევინებდა.

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

ვარციხეს ერისთავს სახლები მიუჩინეს, მაგრამ არ ისურვა, რადგანაც ნაბდის კარვები ჰქონდა საკმაოთ წამოლებული ჯარისთვის, და ერთიც დიახ დიდი და ძვირფასი ნაბდის კარავი სარკმლებიანი თავისთვის და თვითონაც იქ მოისვენა შვილებთან ერთად. ერისთვის ჯარს თავისი ხარჯი ჰქონდა, მაგრამ მეფეც აძლევდა. ერისთავი კი შვილებიანად ყოველდღე მეფის იჯრაზე იყო და მხოლოდ შემდეგ ბრუნვებოდა ხოლმე ბინაზე. ოც დღეს ამ ლხინსა და შექცევაში იყვნენ. ერთ დამეს შეკრიბა მეფემ საიდუმლოთ კარისკაცები და გამოუტყდა: „ვერ ხედავთ, რა სიფრთხილით გვეკიდება ერისთავი? მაგის გული არ გასწორდება, კიდევ ბევრს ცუდს შეგვამთხვევს და დრო არის, ქვეყნის მოღალატეს ახლავე საკანონო მოვახდევინოთ!“ დიდხანს ითათბირეს კარისკაცებმა, მაგრამ ერთმანეთს ვერ დაეთანხმენ. არჩილ ბატონიშვილი ბრძანებდა: მე გიორგის მიმაჩემეთ, რადგანაც დიდი ვაჟუაცია და სხვა თქვენ იცითო. პაპუნა წერეთელი ურჩევდა, რომ ოთია და ივანე მესხიც მოეწვიათ. ბერი წულუკიძე და ზურაბ მიქელაძე ამბობდენ: ხელცარიელი არც ისინი დაგვრჩებიან, ერისთვის ჯარი ხელს გამოიღებს და ბევრი სისხლი დაიღვრებაო. თამაზა მესხი შექმას თხოულობდა. მამუკა მდივანი წინააღმდეგი იყო. ბოლოს წამოდგა პაპუჩა აბულაძე და მოახსენა მეფეს: ხედავთ, ბატონო მეფევ, რომ ამგვარი რჩევით არა გამოდის რა! თუ არ გამისრისხდებით, მე მაქვს საიდუმლოთ ცოტა რამ მოსახსენებელი და თუ მოგეწონოსთ, მე მომანდეთ მისი ასრულებაო. მეფე დათანხმდა. დაშალა დარბაზი და დარჩენ მარტო ორი – მეფე და პაპუჩა აბულაძე.

მეორე დღეს დილით ადრე მეფე გაბრძანდა და სეირნობა დაიწყო; ცოტ-ცოტად ერისთავის ბინისკენ ინია. ერისთავმა რომ დაინახა, მაშინვე მივიდა, თაყვანი სცა და მოახსენა: ასე ადრე რად აბრძანებულხართო? – როგორც მონადირე, კურდღლობას ვარ დაჩვეული, აგერ ოცი დღეა, აღარ მინადირნია; დღეს სურვილმა ამიყოლია და აღარ დამეძინა, – ბრძანა მეფემ. ერისთავი ნადირობის დიდი მოყვარული იყო და კურდღლობაზე რომ სიტყვა ჩამოვარდა, გამხიარულდა. მეფემ ბრძანა: მოდი, ერთი ვენათო – დღეს გავიდეთ გეგუთს იაშვილისას, საღამოს იქ ვიკურდღლოთ, ხვალ დილით ჩემი კურძულები ბევრ სეირს გვიჩვენებენ: იქიდან ქუთაისამდე კარგი სანადირო ადგილი არისო. ჯერ ხომ შენ არ გინახავს ბრონეულას კურდღლები, თუ რა ცქვიტნი არიან?

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

თქმა და ასრულება ერთი იყო. განაძრახა პაპუნა წერეთელი და ნინდანინ გაგზავნა იაშვილისას. მეფეც მალე მიბრძანდა სანაოზე. რადგან ეს რიონი მეფის სახლის წინ მიმდინარეობდა, ნავით უნდა გასულიყვნენ. პირველად მეფე გაბრძანდა, მთელი მისი ხლებულებიც გაიკრიფენ. მეფე მაშინვე იაშვილისას წაბრძანდა. შემდეგ, როსტომ და მისი შვიდი შვილები და რვა აზნაური, რომელთაც ბატონების თოფები ეჭირათ, ჩასხდენ ნავში და გავიდენ გაღმა. პაპუნამ მენავეებს მიაძახა: ჩქარა, აბა თუ გიყვარდეთ. ბატონი მეფე, სანამ ერისთავი არ მიბრძანდება, მანამ სადილს არ მიირთმევსო. პირველად ცხენები მოართვით ერისთავებს და შემდეგ ჯარის გამოყვანასაც ნუღარ დააგვიანებოთ. მენავეებმა ნავი გააქანეს, ატაკეს ჯილეს და გადააბრუნეს. მენავეები გადაცვიდენ წყალში და როგორც კარგი მცურავები, ყვინთვით წავიდენ, ზოგმა კოდმეს ცურვით მიმართა და ზედ ჩამოკიდებულ ხის ფესვებს დაეკიდა. შეხედეს, რომ ნავიც დაიღუპა და მენავეებიც დაიხრჩვენ. აბულაძემ დაუძახა ერისთვის ჯარს: ქუთაისზე მოიარეთო; ერისთავს კი ასე მოახსენა, რომ თქვენთვის ცხენები უნდა დავიბაროთო. რამოდენსამე ხანს შემდეგ მოუვიდათ იაშვილიდან ცხენები. შეჯდენ და წავიდენ. ერისთავს ეგონა, რომ ან მეფის საჯდომ ცხენს გამოუგზავნიდენ და ან ხუცისას მაინც. მაგრამ რომ ვერ ხედავს, არ მოსწონს პატივისცემა და ფიქრობს: ვაი, თუ მიპირებდნენ რამეს, მაგრამ ქათალიკოსი ბარძიმს როგორ ულალატებდაო! ამ მოგზაურობაში ძალიან დიდი ხის წვეროდან სკვინჩამ დასძახა. გიორგიმ თოფი მოთხოვა თავის აზნაურს, ესროლა ცხენდაცხენ. თავი მოწყვიტა და სიცილით სთქვა: ყველა ჩვენი მტრისათვის ასე მექნასო! როსტომ ერისთავი ფიქრებისაგან იყო წალებული და ხმას არ იღებდა. იაშვილისას რომ მივიდენ, გადახტენ. ჭიშკარში შესვლისთანავე მიეგებათ რამდენიმე კაცი, ვითომ პატივისასაცემლათ. ერისთავებმა გამარჯვება უბრძანეს და მიმართეს მეფისაკენ. ისინი უკან მოექცენ და მოულოდნელათ თითოს ათხ-ოთხი კაცი ეცა. ესენი წინათვე არჩეულები იყვნენ, როგორც მარჯვე და ღონიერები. როსტომი სხვა შვილებით მალე დაიმორჩილეს, გიორგი კი გაუძალიანდათ: ორი კაცი ცალი ხელით დასცა; ერთ მათგანს, ჯიმშელა ორჯონიკიძეს, რომელიც იკვეხდა, გიორგიზე მომხმარე რათ მეჭირვებაო, ხანვალი დაჲკრა და შუა გააპო. შეუტია მეფეს. მეფე შუა ეზოში იჯდა. გიორგის ორი ახოვანი კაცი ზურგზე მოეკიდა, სხვებმა მკლავში სტაცეს ხელი, მაგრამ

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

მაინც ვერ შეაჩერეს, თრევით წაიღო ისინი და მიუახლოვდა მეფეს. მაგრამ მეფემ შეხედა მრისხანეთ; ადგომა და იმ ადგილის გადანაცვლება არ იკადრა. ამ დროს მოქმედები ჯარისკაცები და დაურთეს თავში თოფის დუმები; მაგრამ მაინც ვერა დააკლეს რა, სანამ ერთმა მათგანმა ჩამახა არ დაპერა თოფის. ჩამახას ვერძი ტვინში ჩავიდა და მაშინ კი წაიქცა. მივარდა თეიმურაზა ორჯონიერი ძმის სისხლის ამოსალებად და დანით ამოკუჭა თვალები. როსტომი, მეთოდი, ცაგუნი, კუხნიტი, გივი, ბარძიმი და სვიმონ, თოკებით შეკრულნი, ხედავდენ გიორგის თვალების ამოჭრას და თვითონაც იმავე სატანჯველს მოელოდენ. ახლა სხვებსაც მიჰყვეს ხელი. პირველად როსტომი დააწვინეს გულალმა, ბევრი აცოდვილეს და მაშინ თვითონ ურჩია თვალის კილოები ჩამჭერით და მერე თავისით გამოცვივდებიან თვალის კაკლებიო, და მართლადაც, სხვებს უფრო ადვილათ მოთხარეს თვალები.

ეს ამბავი რომ მოხდა, მეფე შეტრიალდა სახლში და გარეთ აღარ გამობრძანებულა. იახლა შიგ სარდალი წერეთელი და მეფე რომ შეწუხებული ნახა, თვალცრემლიანი, გაკვირვებულმა მოახსენა: – თუ მაგრე სანანებლათ დაგრჩებოდათ, ნეტავი არ დაგესაჯათ ის ცოდვისშვილებიო... მეფემ წყენით ბრძანა: „მებრალება კაცი და დავსაჯე კი ღვთისა და ქვეყნის ორგული მოღალატე“...

– კიდეც ეგ არის, მეფეო, – კადრებს სარდალი, – განა არ მოგეხსენებათ, რა კაცია როსტომ ერისთავი? ეგ გულს ვერაოდეს ვერ გაიწმენდა და, თუ ოდესმე შეიძლებდა, იმას, რაც დღე დღეს დაადგა, ჩვენვე დაგვაყენებდა!..

– კი, მაგრამ შვილები? – ჰკითხავს მეფე.

– შვილები უარესიც იქნებოდენ. ეკალზე ვარდი ვის უნახავს? მაგის ნაშიერი არ უნდა დარჩეს!.. ფიცი რომ არ დაგედვათ, უმჯობესი იყო ყველასთვის თავი დაგვეყრევინებია. ამ შვიდ შვილს გარდა კიდევ ჰყავს სხვა შვილებიც საშუალო ცოლის ხელში და ნულარც იმათ დავტოვებთ თვალდაუთხრელად. დრო არის გავგზავნოთ ჯარი რაჭას, ავიკლოთ მაგის სახლკარობა და დავანახოთ ქვეყანას, თუ რა დღე მოელის თქვენს მტერს და ორგულსო.

მეფე დიდხანს ყოყმობდა, მაგრამ წერეთელი აღარ მოეშვა და მოახსენა: მაგისი ცოდვა ჩემ კისერზე იყოსო. მაშინ უბრძანა მეფემ: „მიჩუქებია შენთვის, როგორც გინდოდეს, ისე მოეპყარიო!“ თვითონ ხანდაუყოვნებლათ შებრძანდა ცხენზე და იმ დღესვე გაეშურა

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

ქუთაისისაკენ. დარჩა იქ პაპუნა წერეთელი მისიანებით და გაიმართა ლხინი. იმღერიან, ივსებენ ღვინით ყანწებს, მიდიან და ულოცავენ სარდალს: ლმერთმა ყოველთვის ასე გაგამარჯვებიოს ქვეყნის ორგულზე და თქვენს მტერზეო! პაპუნა ამბობს: ახლა დამიფარცხოს ჩემი ხვადაბუნებიო!.. სადილს ვახშამიც მოაბეს დიდი განცხრომით. ერისთავები კი ხელშეკრულები ეყარენ გარეთ ეზოში. ეს დრო დეკმბრის თვის მეორე დღე იყო. დაღამების დროს დაიწყო თოვა-ქარიშხალი, მაგრამ ვინ გაბედავდა, რომ დასჯილებისთვის შემწეობა აღმოეჩინა. როსტომ ერისთავს ერთი ძალი ჰყავდა, რომელიც მოართვა ალი ენგიჩარმა. ის ძალი, როგორც სიდიდით, ისე გონიერებითაც შესანიშნავი იყო. არასოდეს არ შორდებოდა პატრონს და ახლაც ფეხთით მიუწვა. შუალამე გადასული იყო, წერეთელი ისევ სუფრაზე იჯდა; მხიარულების გამო ღვინო მოკიდებოდა. ძალის ყმუილი რომ შემოესმა, იკითხა: ეს რა ამბავიაო? მერიქიფემ მოახსენა: ერისთავების მოტირალი გახლავსო. ბრძანა და მაშინვე მოაკვლევინა ის გულშემატკიცვარი ძალიც.

მეორე დილით პაპუნა ადრე გამოვიდა გარეთ, გადახედა და დაინახა, რომ ერისთავები ეზოშივე ეყარენ თოვლში, მაგრამ ნაბდები კი ჰქონდათ გადაფარებული და რომ დაინახა, იკითხა: – ეს ვის უქნიაო? მოახსენეს: ქაიხოსრო აგიაშვილმა – ნამალავათო. ერთმა ჯარისკაცთაგანმა სიცილით მოახსენა წერეთელს: წუხელის კარგი მხეცები ვინაღირეთ და მოსამკვლელოც ერგებათ: კიკნაძეს, ორჯონიკიძეს, დევდარიანს და ცოტა გურგენიძესაცაო. როსტომმა მოჰკრა ყური მათ ლაპარაკს და თქვა: „ცუდრუკეობდნენ ჩემზედა ყოველნი მტერნი ჩემნი და იტყოდენ ჩემთვის ბოროტსო“. მერე მიუბრუნდა შვილებს: „შვილებო, ღვთის განგებას ვერავინ აცდება! ყოველივე ღირსეულად მოგვეგო, ნუ ვიტყვით ძვირსა და საყვედურსო. ავიტანოთ ეს სასჯელი ისე, როგორც ეკადრებოდეს ჩვენს ოჯახს!“ – ჰქმარიტათო, მიუგეს შვილებმა, ჩვენი სულმოკლეობით ნუ გავახარებთ მტერბსო. მართლაც, ვერც ერთისაგან ვერ გაიგონებდით ვერც კვნესას და ვერც საყვედურს ვისმეზე!.. ეს დიდი კაცები, ბრწყინვალე ტანისამოსებით და სხვადასხვა ძვირფას ფარჩებით შეკულნი, ეყარენ თოვლში და მაინც მედიდურობა ეტყობოდა. ხმას არ იღებდენ; მხოლოთ მოხუცი როსტომი კი აიტანა სინანულმა და მისი ბოხი ხმით წამოიძახა: „დიდებულო რუსთველო, ლხინში ძლიერი ჭირშიაც მანუგეშებელი ხარ!.. ტყუილად არ გითქვამს:

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველნი, სუსტი და ძალ-გულოვანი.
ბოლოს შეყარნეს მინამან ერთად მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი.“

მაგრამ, ვაი, რომ სახელოვანათ ვეღარ ვკვდებით“, – დაამატა ამოკვენესით. – არა, ბატონო, დიახაც სახელოვნათ ვკვდებით, – გააწყვეტინა მეთოდემ, – დიდებულმა მეფემ, რომელმაც სტამბოლი შეაძრნუნა, პირდაპირობა რომ ვეღარ გაგვიძედა, ლალატით დაგვიმორჩილაო. სირცხვილი მისი და არა ჩვენი. ქვეყნის დასაბამიდან დასასრულამდე სულ ერთი კანონი ბრუნავს: „იყვენ და აღარ არიან, ვართ და აღარ ვიქნებით, იქნებიან და აღარ იქნებიან“. ამით დაასრულეს საუბარი და გაჩუმდნენ. როსტომმა პირველი გამოისახა და დაფიქრდა. წარმოუდგა მას მის ბარაკონში დილაობით სხვადასხვა ფრინველების ხორცზე ბრძოლა და მისი ირმების ბლავილი, როდესაც ჩვეულებისამებრ მარილს ითხოვდენ. გაიხსენა თავისი შემკობილი ცხოვრება და გულში სევდამ გაუარა... მოაგონდა, ნებიერს რომ დაკლავდენ ხოლმე ყოველ დილაობით, გაატყავებდენ და მიუშვებდენ ზედ სხვადასხვა მემძორე ფრინველებს; მიცვივდებოდენ ზედ ქორები, მიმინოები, შევარდნები, სონღულოები, ორბები, სვავები, ყვავები, კაჭკაჭები და სხვანი; ჰქონდათ შფოთი ერთმანეთთან, მეტადრე თოვლის დროს, მაგრამ ბოლოს, როდესაც გამოიყვანდენ არწივებს, მაჩუბარი ფრინველები შიშით მიიფანტ-მოიფანტებოდენ. – აი, რა ყოფილა ჩვენი ცხოვრება და აქამდის არ ვიცოდით!.. ყველგან შფოთი და ძალმორებაა, ყოველი კაცი ცრუ არს და სცდება, მხოლოდ შენ ხარ უტყუარი და შეუცდომელი, მაღალ ღმერთ! ცანი და ქვეყანანი წახდენ, მხოლოდ სიტყვანი შენი არა! სად მე და სად მეფე სოლომონ?! მიეცით კეისრისა კეისარსაო. რატომ არ ვჯერდებოდი ჩემს ყოფა-ქონებას? სად არიან ახლა ჩემი ბარაკონის სასახლე, ამბრალეური, ხიდის კარის კოშკები, სევას სასახლე, ონში ციხე-სასახლე და ქალაქი? სხვა სიმდიდრესთან ოთხმოც მეშველ შინაურ იორებს რომ ვეღარ ვნახავ!.. ესენი ამიერიდან ყველა სიზმარი-ვით გაქრებიან... ვინდა გამაგონებს ჩვეულებრივ ლხინს და შეწყობილ ძლისპირებს!.. – გაიტაცა ისევ სოფლიურმა ძრახვამ, გაიღვიძა ისევ მის გულში ძველებურმა მედიდურობამ, მით უფრო, რომ

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

იქვე იმ დროს მისმა შვილმა გიორგიმ სული დალია და წარმოთქავა შეჩვენება: ჰოი, ყოვლად ძლიერო მაღალო ღმერთო, სადაცა დაიქცა სისხლი თვალთა ჩემთა და ძეთა ჩემთა, აღმოფხარი ქვეყანა იგი და მიეც ნიავქარსა გასაფანტად ჰაერთა შინა!.. ჰოი, ყოვლის შემძლებელო, გარს შემოუწერელო უფლებითა ღმერთო, მოკითხე სისხლი ჩემი და შვილთა ჩემთა მეფე სოლომონს, ქათალიკოსს იოსებს და არჩილ ბატონიშვილს!.. მიაგდე სამაგიერო შურის მაძიებელთა ჩემთა: პაპუნა წერეთელს, პაატა აბაშიძეს, ზურაბ მიქელაძეს, ბერ წულუკიძეს, ბერ ლორთქიფანიძეს, ოტა ჩხეიძეს, თამაზა მესხს, მამუკა მდივანს, თანდარუს იოსელიანს, ქაიხოსრო და პაპურა აბულაძებს. შეაჩვენე და აღმოფხარ მათი სახლ-კარი და გასწყვიტე სახსენებელი მათი უკუნისამდე! – წერეთელმა გაიგონა ეს წყევა და შეუტია: – აღარ იშლი? გინდა დასძინო უსჯულოება უსჯულოებასა ზედაო? შენს სახლში საღმრთო წერილი იბეჭდება და როგორ არ წაიკითხე, თუ რას გვიწერს ყოვლის შემძლებელი: „დაემორჩილენით უფალთა თქვენთაო“. შენზეა ნათქვამი: „ხნარცი თხარა და აღმოკვეთა და შთავარდა მთხელელსა მას შინა“. – წერეთელო, მართალს ამბობ, მაგრამ არ მეგონა, თუ საღმრთო წერილი იცოდი და ნურც იმას დაივიწყებ, რომ: „ნურცა უფალი განირისხებენ მონათა თვისთაო“. ნუ გიხარია, შენც ეს დღე მოგელის, წერეთელო, მეფეს ფრთებს აკვეც, გინდა დიდებულები ჩამოაშორო და შენთვის კი ყოველივე მოაგვარო!.. შეგშურდა ჩემი ციხე-ქალაქები და მონასტრები? ახლა კი იშოვი, მაგრამ ნუ დაივიწყებ: რა გზითაც მიგილიეს, იმ გზითვე გაგებევის. ახლა კი, ძლევამოსილო, როგორც დამორჩილებულს, ერთი თხოვნა ამისრულე: შემაცედრე მეფეს, რომ ასე ნუ გვტანჯავს და თავები დაგვაყრევინოსო. წერეთელმა აღუთქა, მაგრამ წავიდა მხოლოდ მიტომ, რომ რაჭაში ჯარი გაეგზავნა და ერისთავის ოჯახობა აეკლო.

ამ დროს მოვიდა იაშვილის მოურავი – ბუჭუა გრიგოლაშვილი. ის ორი კვირის წინეთ სადღაც ყოფილიყო წასული. რომ დაბრუნდა და მისი ბატონის სახლში ეს ამბავი წახა, ცეცხლი მოეკიდა და უსაყვედურა ბატონს: „რა გინია ეს, რომ შენი სახლი გოლგოთად გაგიხდია! რატომ არ დაამშვიდეთ ბატონი მეფე და მის დიდებულ სახელს წიშანი დაადევითო? ან ახლა რატომ არ უპატრონებთ ამ საბრალოებს?“ მივიდა თვითონ, გაუხსნა ხელები დასჯილებს, წამოაყენა,

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

მოკიდა ხელი, და საყდრის უკან საქალებოში შეიყვანა, რადგანაც შიშით მათ სახლში შეშვებას ვერავინ ბედავდა. იქ მოასვენა, მკვდარი გიორგიც იქვე დაასაფლავა. ამ დროს იაშვილი სხვაგან წავიდა, რომ ბრალი საკუთრად მის მოურავს დადებოდა და რისხვა თავიდან აეშორებია. მთელი ღამის ნაწვალებმა ერისთავებმა საქალებოში სული მოითქვეს და ძლისპირებით ევედრებოდენ უფალს. როსტომ ერისთვის უცნაური ბოხი ხმა გულსაკლავათ გამოისმოდა. ბუჭუა წავიდა მეფესთან, შემოიხსნა ხმალი და ყოველი იარალი დაუწყო მეფეს წინ. მეფე ბუჭუას იცნობდა, როგორც კარგ სახელოვან ვაჟუაცა და ჰკითხა: – რა დაგიშავებია, ბიჭო? მოახსენა: თვალდათხრილი ერისთავები ეკლესის გადახურულში შევიყვანე და მკვდარი იქვე დავმარხეო; ჩემმა ბატონმა სიკვდილი მომინდომა ამისათვის, მეც ვიცი, რომ ლირსი ვარ სიკვდილის და ახლა თქვენ გადამახდევინეთო. მეფემ უბრძანა: – ადექი, კარგი გიქნიაო. სამართალი გაუსწორდათ, საკანონო მოხდილი აქვსთ და მეტი რაღა ეჭირვებათო. დაუბრუნა იარალი და გაისტუმრა. ეს რომ ქაიხოსრო აგიაშვილმა გაიგო, მაშინვე გაუგზავნა ერისთვებს მომკითხავი, ტანისამოსები გაატანა და გადაიყვანა თავის სახლში. ერისთვებს ყმა და მამული ჩამოერთვათ, რაჭაში დაბრუნების ნება აღარ მიეცათ და დიდხანს სხვის კარზე ცხოვონდენ. თვითონ როსტომ ერისთავი პაპუნა წერეთელმა საჩხერეში გაგზავნა და მეთოდე სვიმონ კანდელაკმა გადაიყვანა თავის სახლში და იქ ემსახურებოდა ერისთავს, სანამ ორ წელს შემდეგ ქართლ-კახეთის მეფემ ირაკლიმ არ მიიწვია თავისთავთან და თვითონ მასპინძელიც თან იახლა.

სარდლის გაგზავნილმა ჯარმა ბრძანებისამებრ პირველად ანტონი მონახა და ყარაულები დააყენეს. დედამისი, როსტომის ცოლი, იაშვილის ნანართმევი, ეზოში ფეხით ათრიეს და საბრალო მუცელს გადაჰყვა. შემდეგ შეესიენ ოჯახს, ააოხრეს, აიკლეს, ციხეები ლალუმებით დაამტვრიეს, დაიჭირეს ნიშა ირემი ქორბუდანი; ის იყო ჩერქეზთ ბატონის გამოგზავნილი, ძლიერ დიდი იყო, შეუკრეს ფეხები და წააქციეს დასაკლავათ. ამ დროს მოვიდა ხიტუა გავაშელაშვილი – ის იყო მეჯოგეთუშუცესი. ბატონის შემთხვევა არ იცოდა და რომ დაინახა, ნიშა ირემს კლავენო – დაიყვირა: ვინ უბედავს ბატონს ამ საქმეს? მივარდა, მისი ხელთსაჭერი დიდი თავსხვილი რკინის ჯოხი დაჭრა თავში თეიმურაზა დევდარიანს და ტვინი ამოასხმევია. მოცვივდენ ჯარისკაცები და საწყალი ხიტუა ნაკუნ-ნაკუნათ აიღეს. ააოხრეს

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

იქაურობა, გადაწვეს, გადაბუგეს და გამოემგზავრენ ქუთაისისაკენ. პატარა ანტონიც თან წამოიყვანეს მისი ძიებიანათ. ქუთაისში რომ მივიდენ, სახლთუხუცესმა პატარა ანტონის თვალების დათხრაც ბრძანა, მაგრამ პატარა მეფის ასულმა ელენემ ანტონს თვალი მოჰკრა, მიიკრა გულში და აღარავის ანებებდა; იმ დღიდან მეფის სასახლეში იზდებოდა. მაგრამ პაპუნამ მაინც საიდუმლოთ გააძრახა მსახურები. ერთხელ ბურთი ჩაუგდეს ანტონს გახურებულ თონეში და რომ გადიხედა ბავშვმა, იმდენ ხანს გააჩერეს ძალათი და აყურებიეს, სანამ თვალები არ გაუფუჭდა. ამას ყველაფერს, როგორც მეფეს, ისე მის ასულსაც უმალავდენ. ბოლოს თვალდამდგარი და ავადმყოფი ყმანვილი ჩააბარეს ძიებს და მათთან რაჭაში გაისტუმრეს.

იოსებ ქათალიკოსმა რომ შეიტყო გაენათში ერისთავების თვალების დათხრა, შეიცხადა, გადმოვარდა ტახტიდან, დაეცა მიწაზე, წაიშინა თავ-პირში ხელები და წვერ-ულვაში დაიგლიჯა. შეიმოსა ძაით და გაცხარებული მიეჭრა მეფეს ქუთაისს. მეფემ თვალცრემლიანი ქათალიკოსი რომ დაინახა, მიაყვირა:

– რა ამბავია, ქათალიკოსონ?

– მე დღეს ქათალიკოსი აღარ ვარ, – მიუგო მან, – არამედ იუდა ისკარიოტელი, ჭეშმარიტების გამცემელი!.. მეფეო, რად შეურაცხებავ ან შენი მეფიობა და ან თვით სამეფო?! სად არის შენი აღთქმა და რად გამატებინე ფიცი მე ცოდვილს!

მეფემ შეიკრა ნარბები და მდაბალი ხმით ბრძანა:

– მე დიალაც ავასრულე ჩემი სიტყვაო. როგორც აღგითქვი, სიკვდილით არ მომიელავს და საარაკოთაც მოვექეციო. – არა, ბატონო მეფევ, ღმერთთან სიტყვის ჭახრაკობა გამოსადექი არ არის!.. სისმალეთის მხედრობა განდევნება და ერთი თავადის დამორჩილება როგორ გაგიჭირდა, რათ ჩამაგდე საფრთხეში? რა პასუხი ვაგო უკანასკნელი განსჯის დროს? – შემცდარი ხარ, ქათალიკოსო, ერისთავების თვალების დათხრა გაშფოთებს და იმას კი ივიწყებ, რომ თვით იმ ერისთავს უნდოდა საქრისტიანოს სამეფოს თვალების დათხრაო, – უპასუხა მეფემ და გადახედა დარბაისლებს. ისინი თავ-ჩაღუნულნი იდგენ შენუზებული, ხმას არავინ იღებდა. მეფესაც სახეზე მწუხარება დაეტყო. სიჩუმეს შემდეგ ხმის კანკალით წამოიძახა ისევ ქათალიკოსმა.

– მეფეო, შეჩვენებული იყოს შენი მეფობა, უკეთუ მეც არ გამსწორო ერისთავთან და თვალები არ დამთხაროო! – კარისკაცები

— სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე —

აშფოთდენ. მეფემ ზურგი მიაქცია ქათალიკოსს, გაბრუნდა. ქათალიკოსი კი თითქმის გონებადაკარგული გავარდა გარეთ და წავიდა გაენათისკენ. უბრძანა კრებულს შეორე დღეს წირვის მომზადება, შევიდა ეკლესიაში; უბრძანა არქიელს კათედრაზე შემოსვა, თვითონ შიგნით შეიმოსა. არხიდიაკონს მისცა დაწერილი ქალალდი და უბრძანა: რაც სწერია, არ შეცვალოო. გამოვიდა შემოსილი, შევიდა კათედრაზე: მიართვეს ჯვარის სანთლები, და ააპყრო ხელები. უკმიეს. დიაკონმა დაიძახა: უფლისა მიმართ ვილოცოთო. არხიდიაკონმა გადანაცემ ქალალდში ამოკითხა: „არა ბრწყინევდის ნათელი შენი წინაშე კაცთა და არცა იხილონ საქმენი შენი კეთილნი და არცა ადიდე შენ მამა ზეციერი ყოვლადვე ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდეო“. იმ სიტყვაზე ქათალიკოსმა თვითონვე დაამხო ჯვარის სანთლები და გადასცა. კიდევ დაიძახა დიაკონმა: უფლისა მიმართ ვილოცოთო. არხიდიაკონმაც ლალად ჰყო: „არა დაგადგა თავსა შენსა გვირგვინი პატიოსნის ცხოვრების, არა თხოვე და არცა მოგცა შენ ყოვლადვე ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდეო“. მოიხადა გვირგვინი და ამგვარათ განიძარცვა ყოველივე სამღვდელ-თმთავრო წირვის შესამოსელი. ყოველ გახდის დროს არხიდიაკონი ბრძანებისაებრ მისისა იძახდა: „არა ლირს არსო“. ფერმიხდილი ჩამოვიდა ქათალიკოსი კათედრიდან, შევიდა საკურთხეველმი, ემთხვია ტრაპეზის, გამოვიდა, მივიდა ხახულის ღვთისმშობლის ხატის წინ, დაიჩიქა და ტირილით დაემხო. იმ დღიდან აღარც უწირავს, თავს უღირსათ ხდიდა და იყო მარად სინანულში.

[1895]

ვარიანტები
შენიშვნები
კომენტარები

ტექსტისთვის

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის VII და VII ტომში იძეჭდება დღემდე გამოვლენილი ყველა პროზაული მხატვრული ტექსტი; წინამდებარე გამოცემაში აკაკის პროზაული ნაწერები დალაგებულია ჟანრობრივ-თემატური პრინციპით (კონსულტანტი – ირ. კენჭომებილი), რაც, ერთი მხრივ, მკაფიოდ გამოკვეთს აკაკის პროზაული მეტკვიდრეობის მრავალფეროვნებას, მეორე მხრივ კი, დაბმარებას გაუწევს საგანმანათლებლო თუ პოპულარული გამოცემების მომზადების მსურველებს, რომლებიც, ცხადია, სწორედ აკაკი წერეთლის თხზულებათა ახალი აკადემიური გამოცემით იხელმძღვანელებენ.

VII ტომში მკითხველი გაეცნობა ცალკეული რუბრიკების სახით წარმოდგენილ აკაკის ლეგენდებს, ზღაპრებს, იგავებს, ავტობიოგრაფიულ პროზას, მინიატურას, ლექსებს პროზა, წრილ-წრილი ამბებს, ნაკვესებს და დაუმთავრებელ თხზულებებს. აქვე იქნება წარმოდგენილი ისტორიული ქრონიკა „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე“, რომელიც, ჩვენი აზრით, ასევე აკაკის კალამს უნდა ეკუთვნოდეს (უფრო დეტალურად ამის შესახებ იხ.: ქვემოთ).

VII ტომში წარმოდგენილი პროზაული თხზულებების ქრონოლოგიური საზღვრებია 1875-1912 წლები. თხზულებათა განლაგებისას დაცულია ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპი. ყველა თხზულება შედარებულია ავტოგრაფთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასლთან და მწერლის სიცოცხლისდროინდელ ნაბეჭდ ტექსტთან. ძირითადი ტექსტის დადგენისას უპირატესობას ვაძლევდით ავტოგრაფს და თხზულების მწერლის სიცოცხლეში დაბეჭდილ უკანასკნელ რედაქციას. ტომს ერთვის შენიშვნები, ვარიანტები, ტექსტოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის კომენტარები; აგრეთვე პირთა, გეოგრაფიულ სახელთა, თხზულებათა ანბანური და შექმნის თარიღის მიხედვით განყობილი საძიებლები.

ტომი ეფუძნება მწერლის სიცოცხლისდროინდელ ყველა გამოცემასა და პუბლიკაციას, მათ შორის „აკაკის თვიურ კრებულს“ (1897, 1898, 1899 წწ.), „ჩემი ნაწერების“ II წიგნს (1913 წ.); ასევე, თავად ავტორის მიერ განხორციელებულ ცალკეულ გამოცემებს. გაზეთებში („ივერია“, „კვალი“, „დროება“, „თემი“, „ფასკუნჯი“, „ძმე“), ჟურნალებსა („ნაკადული“, „ჯეჯილი“) და კრებულებში („საყმანვილო ამბები“, „გადია“) გამოქვეყნებულ ტექსტებს. წინამდებარე ტომში შედის აგრეთვე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, გიორგი ლეონიძის სახელობის ქარ-

თული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდებში დაცული ავტოგრაფები თუ ხელნაწერი ასლები.

ტომის სამეცნიერო აპარატის მომზადებისას ძირითადად დავეყრდენით აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად) VII და VIII ტომებს (რედ. გომრგი აბზიანიძე, თბ., 1958 წ.), აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის შვიდტომეულის IV ტომს (რედ. იოსებ გრიშაშვილი, თბ., 1947), ნოდარ გურგენიძისა და ილია გორგაძის „აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეს“ (თბ., 1989), კრებულს „უცნობი აკაკი“ (შემდგ. იუზა ევგენიძე, ნანა ფორუიძე, თსუ., 2001) და კრებულს „აკაკი წერეთლი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ (შენიშვნები და კომენტარები დაურთოთ თამაზ ჯოლოგუამ, თბ., თსუ, 2004). ასევე, გამოვიყენეთ ცალკეულ მეცნიერთა ნაშრომები (ინფორმაციას ვუთითებთ შესაბამის ადგილს) და ინტერნეტ-რესურსი, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული გვერდი „პიოგრაფიული ლექსიკონი“. ისტორიული თხზულებების კომენტირებისათვის ძირითადად ვისარგებლეთ მიხეილ რევიაშვილის ნაშრომით „იმერეთის სამეფო (1462-1819 წ.)“ (თსუ, 1989).

ახალი აკადემიური გამოცემა წინა გამოცემებისაგან არაერთი სიახლით გამოიჩინება: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინამდებარე ტომში წარმოჩენილი იქნება აკაკის პროზის ჟანრობრივ-თემატური მრავალფეროვნება. გარდა ამისა, მკითხველი გაეცნობა როგორც მივიწყებულ ან ახლად გამოვლენილ ტექსტებს, ისე წინა გამოცემებში გამორჩენილ ან განზრას გამოტოვებულ ფრაგმენტებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავის თხზულებათაგან აკაკის განსაკუთრებით ეძირდასებოდა, „ჩემი თავგადასავალი“, რომელიც ცალკე წიგნად თავის სიცოცხლეში ორჯერ დაბეჭდა: 1893 და 1903 წელს. ეს უკანასკნელი გამოცემა ავტორს მრავალტომეულის პირველ წიგნად ჰქონდა ჩატიქებული და რაკი ნივთიერი სახსარი არ გააჩნდა, ხელმოწერა გამოაცხადა. წამოწყებამ არ გაამართლა და გულდანყვეტილმა აკაკიმ 1903 წლის გამოცემას შესავალი დაურთო. ეს შესავალი მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ, ისიც თავად ავტორის სურვილით დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ (1903, №230, გვ. 1-2), შემდეგ კი აღარასოდეს გამოქვეყნებულა. რაკი ჩვენს გამოცემაში „ჩემი თავგადასავლის“ ძირითად წყაროდ სწორედ 1903 წლის გამოცემაა შერჩეული, მეტოველს ტექსტს იმ სახით შეთავაზებთ, როგორც თავად ავტორმა დაბეჭდა, ანუ შესავლით, რაც მნიშვნელოვანი სიახლეა.

მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ VII ტომში შეტანილია აკაკი წერეთლის ბოლო წლებში გამოვლენილი მინიატურის ჟანრის თხზულება „ოცნება“. ეს უკანასკნელი ცხადყოფს, რაოდენ კარგად გრძნობდა აკაკი ეპოქის ლიტერატურულ მაჯისცემას და არა მარტო გულწრფელ აღტაცებას გამოთქვამდა ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალთა მიერ შექმნილი „პატარ-პატარა ფსიხოლოგიურის ეტიუდების“ გამო, არამედ თავადაც „სინჯავდა“ კალამს ამ მიმართულებით. აკაკის აღნიშნული ტექსტი, მართალია, დაუთარიღებელია, მაგრამ პირველი პუბლიკაციის დრო, ვფიქრობთ, დიდად დაშორებული არ უნდა იყოს შექმნისას. „ოცნება“, სავარაუდოდ, 1905 წელს შექმნა აკაკიმ. მას ახლდა ლექსი, რომელიც სათაურით „გაზაფხული“ („გამხიარულდი, ბუხარო...“) პირველად „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1905 წელს, შემდეგ კი სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა აკაკის თხზულებათა გამოცემებში, თავად პროზაული ესკიზი კი მხოლოდ 2001 წელს შევიტანეთ კრებულში „უცნობი აკაკი“; ძნელია დაბეჯითებით ითქვას, თავად აკაკიმ ჩამოაცილა „ივერიის“ პუბლიკაციას პროზაული ტექსტი თუ ამგვარი გადაწყვეტილება რედაქციიმ მიიღო და ცენზურას მიაგო ხარკი; ვფიქრობთ, უკანასკნელი ვერსია უფრო უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს, რადგან პროზაული ესკიზის გარეშე სრულიად იცვლება ლექსის იდეური შინაარსი.

VII ტომშივე გაეცნობა მკითხველი ეპოქის კიდევ ერთ ჟანრობრივ სიახლეს, ლექსა პროზად, რომელმაც, სავარაუდოდ, დააინტერესა აკაკი, რაკილა კალამი ამ კუთხითაც მოსინჯა. იმ ორი ტექსტიდან, რომლებიც ტომში იქნება წარმოდგენილი, ერთ-ერთი – „ეიფელის კოშკი – თხუთმეტტომეულშიც იყო დაბეჭდილი, მაგრამ პუბლიცისტიკის განყოფილებაში (იხ.: წერეთელი, აკ., თსკ., ტ. XIV, თბ., 1961, გვ. 315), რაც შეეხება მეორე წანარმოებს – „უცხოელი ქალი“ - ის პირველად გამოაცვეყნა მკვლევარმა ე. ზარდიაშვილმა (იხ.: კრებ. „აკაკის უცნობი წანერები“, თბ., 2005, გვ. 83). ეს ორი თხზულება გარკვეულ სიუჟეტურ მსგავსებას ავლენს: ეიფელის კოშკის „ტექსტის საკმაოდ დიდი ფრაგმენტი პრაქტიკულად უცვლელადაა ჩართული „უცხოელ ქალში“, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი დამოუკიდებელი წანარმოებებია და ამიტომ ძირითად წანილშია წარმოდგენილი.

კიდევ ერთი სიახლე, რომელსაც წინამდებარე ტომში ვთავაზობთ მკითხველს, გახლავთ არაკი [ქვეენის ყბაში ჩაგრდნილი]. როდესაც აკაკი გამოსაცემად ამზადებდა „ჩემი წანერების“ პირველ ტომს, საჭიროდ მიიჩნია, ზოგიერთი ლექსისათვის საკმაოდ ვრცელი შენიშვნისა თუ კომენტარის დართვა, რათა თითოეული მათგანის შექმნის ისტორიასთან დაკავშირებული პერიპეტიონისათვის წათელი მოეფინა; ერთ-ერთი ლექსის („ნადირობა“) კომენტარი ინყება არაკით „ქვეყ-

ნის ყბაში ჩავარდნილი“ (სათაური ჩვენ მივეცით – ნ.ფ.). ვინაიდან ეს უკანასკნელი პრაქტიკულად დამოუკიდებელი ნაწარმოქმია, შესაძლებლად ვცანით მისი წინამდებარე გამოცემის შესაბამის განყოფილებაში მოთავსება. „ჩემი ნაწერების“ გამოცემაზე მუშაობისას ავტორმა ლექსისათვის „საგულისხმო“ შენიშვნის ნაცვლად (ავტოგრაფული კრებული K83) რამდენიმე მცირე მოცულობის ჩანაწერი გააკეთა საერთო სათაურით „საგულისხმო“, რომლებიც შემდგომში აღარსად დაბეჭდილა. ვფიქრობთ, მკითხველი სიამოვნებით გაეცნობა აკაკის ამ მართლაც საგულისხმო ჩანაწერებს.

წინამდებარე გამოცემას შეემატა აკაკის ოთხი ნაკვესი. ხსენებულ მოსწრებულ გამონათქვამთაგან სამს ა. ოვიძემ მიაკვლია საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდებში (იხ.: საისტორიო მოამბე, თბ., 1953, გვ. 341; 377). ეს მოსწრებული გამონათქვამები გაზ. „ივერიაში“ უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ცენტურამ აკრძალა. სწორედ ეს ცენტურის მიერ აკრძალული ამონაბეჭდები ინახება არქივში. მეოთხე ნაკვესი კი გამოქვეყნებულია 1911 წელს გაზ. „თემში“ (დასაბუთების შესახებ იხ.: შენიშვნები და კომენტარები).

აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად) VIII ტომში დაბეჭდილი დაუმთავრებელი რომანის „იმერლები“ პასპორტში მითითებულია, რომ თხზულება იქცევდებოდა გაზ. „დროების“ 1875 წლის №№ 13-18, 22, 23 და 128-129 ნომრებში. ნაბეჭდი წყაროს გადამოწმებისას გაირკვა, რომ არც თხუთმეტტომეულსა და არც შვიდტომეულში „დროების“ ბოლო ორი ნომრის მასალა გამოქვეყნებული არ იყო. ამჯერად წარმოვადგენთ რომანის „მერლების“ მესამე თავსაც, თუმცა თხზულება კვლავაც დაუსრულებული რჩება.

ჩვენ გავიზიარეთ აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის (თხუთმეტ ტომად) რედკოლეგიის პოზიცია და მართებულად მივიჩნიეთ, კვლავ საგარაუდის სტატუსით შეგვეტანა ტომში ისტორიული ტერატურული ქრონიკა „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე“, რომელიც, ავტორის თქმით, სიკო კანდელაკმა ჩაწერა პაპის ნაამბობის მიხედვით. აკაკი არსად მიანიშნებს, დაბეჭდვამდე იმუშავა თუ არა ტექსტის „გაჩალხვაზე“, მაგრამ თხრობის სტილი, თხზულების არქიტექტონიკა და პერსონაჟთა ხატვის მანერა გვაფიქრებინებს, რომ მან მსატვრულად გადაამუშავა სიკო კანდელაკის ჩანაწერები და პრაქტიკულად ახალი ტექსტი შექმნა (იხ.: ფრუიძე, ნ., აკაკი წერეთლის მხატვრული პროზის პრობლემატიკისა და მხატვრული სტრუქტურისათვის, თსუ, 1999, გვ. 161-172). მიუხედავად ზემოთქმულისა, პატივს ვცემთ ავტორის ნებას, რამეთუ აკაკის არასდროს მიუჩნევია თავი „სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფის“ ავტორად.

წინამდებარე გამოცემაში უარყოფილია აკაკი წერეთლის თხზულებათა სრულ კრებულში (თხუთმეტ ტომად) გატარებული ე.ნ. ფორმათა უნიფიკაციის პრინციპი და ზედმინევნთა ალდგენილი აკაკისეული ორთოგრაფია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ე. ნ. კალმისმიერ ან სტამბურ შეცდომასთან გვაქვს საქმე. თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით არის გამართული მხოლოდ პუნქტუაცია და კომპოზიტების მართლწერა (მცირე გამონაკლისით).

თხზულებების უმეტესობა არაა დათარილებული ავტორის მიერ, ამიტომ კვადრატულ ფრჩხილებში ვუთითებთ პუბლიკაციის და/ან კვლევა-ძიებით დადგენილ თარიღს.

ტომის სამეცნიერო აპარატი მოამზადა ნანა ფრუიძემ; თხზულებების ტექსტების შედარებასა და ვარიანტულ ნაირნაკითხვათა დაზუსტებაზე იმუშავეს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა ნანა ფრუიძემ და ნათელა ჩიტაურმა. ასევე, სხვადასხვა ეტაპზე გარკვეული დროით მუშაობაში ერთვებოდნენ თსუ ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები: თ. აბრამიშვილი, მ. გიორგაშვილი, ბ. დადუნაშვილი, ს. კუპრაშვილი, გ. ლეთოდიანი, ა. ფედოროვი, მ. ყოჩიშვილი, ბ. ყულიაშვილი და ა. წერედიანი.

ნანა ფრუიძე

ჩანართზე წარმოდგენილია აკაკის სურათი ვახტანგ კოლხიდაშვილის კერძო კოლექციიდან და „ჩემი თავგადასავლის“ ავტოგრაფი, დაცული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკის ფონდში – № 227.

პირობითი ნიშნებისთვის:

განყოფილებაში „ვარიანტები და შენიშვნები“ მოთხრობების სათაურების შემდეგ დასახელებულია წყაროები, რომელთა მიხედითაც მომზადდა ჩვენი გამოცემის ძირითადი ტექსტი. თითოეულ წყაროს მრგვალ ფრჩხილებში მიწერილი აქვს ლიტერი, რომლითაც ის აღნიშნულია ვარიანტების ჩვენებისას:

K ლიტერით აღნიშნულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული აკაკი წერეთლის ფონდი.

T ლიტერით აღნიშნულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული აკაკის წერეთლის ფონდი.

Z ლიტერით აღნიშნულია საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდი.

A ლიტერი ყველგან აღნიშნავს იმ წყაროს, რომლის ტექსტიც ძირითად ტექსტადა მიღებული.

ვარიანტულ ნაირნაკითხვათა ჩვენება უფრო კომპაქტური რომ ყოფილიყო, გამოვიყენეთ შემდეგი პირობითი ნიშნები:

+ ტექსტს ემატება, მაგ.: „უსმინე + და გაუმარჯვე BC. ნიშნავს: BC ვარიანტში „უსმინე“-ს ემატება „და გაუმარჯვე“.

] ნაცვლად, მაგ.: დიახ] რასაკვირველია B. ნიშნავს: ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი „დიახ“-ის ნაცვლად B ვარიანტში იკითხება: „რასაკვირველია“.

< არ არის, მაგ.: შესახედავი <C. ნიშნავს: „შესახედავი“ არ არის C ვარიანტში.

~ სიტყვები გადასმულია, მაგ.: პატივს სცემდენ ~ BC. ნიშნავს: BC ვარიანტებში იკითხება: სცემდენ პატივს.

ნაირნაკითხვების საჩვენებლად გამოტანილი ორი ციფრიდან (მაგ.: 78.12) პირველი მიუთითებს ტომის გვერდს, ხოლო მომდევნო - ტექსტის სტრიქონს (ზევიდან). როცა ციფრი მძიმის გარეშეა, იგი აღნიშნავს უკანასკნელად დასახელებული გვერდის სტრიქონს. (ტექსტის გამყოფი ცარიელი არები სათვალავში არ შედის).

ავტობიოგრაფიული პროზა

ჩემი თავგადასავალი (გვ.7)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი: ავტოგრაფები: K- 227, 1 r -12 r, 25 v -31 v; გვერდები: 12 v -25 v გადაწერილია სხვისი ხელით; (A)1. K-84 2r - 4v (შესავალი) (H).

6 ა ბ ე ჭ დ ი: „ჩემი თავგადასავალი“, 1893 (G); „კვალი“ 1894, №10-11, 13, 15, 16, 18, 21, 22, 26, 35, 39, 43 (I ნაწილი I თავი) (C); უკან. „აკაკის კრებული“, 1897, №3; 1898, №9; 1899, №10 (I ნაწილი) (D); „ჩემი თავგადასავალი“, 1903, ავტორის გამოცემა (I ნაწილი), (A)2; გაზ. „ივერია“, 1903, №230 (L); გაზ. „მზე“, 1908, №1, 2, 3 (II ნაწილი) (E); გაზ. „ფასკუნჯი“, 1908, №2, 3, 4; 1909, №2, 3 (II ნაწილი) (F);

ს ა თ ა უ რ ი: თავგადასავალი (A)1. ჩემი თავგადასავალი (A)2.

თ ა რ ი ღ ი: [1893-1909].

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა: აკაკი (H).

აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალის“ შექმნასა და გამოცემას ხანგრძლივი, რთული და ნინაძმდეგობებით აღსავე ისტორია აქვს.

XIX საუკუნის 50-60-იან წლებში ყველა და ყველაფერი იყო გაუღენ-თილი იმის შეგნებით, რომ საფუძველი ეყრება რაღაც ახალსაკუთრებულს. რუსული საზოგადოებრივი აზრის მონინავე წარმომადგენლები ცდილობენ აღბეჭდონ წარსულისაგან აწმყოს ფორმირების ყველა წვრილმანი, რათა საცნაური გახადონ მომავლის შობის კანონზომიერება. ზედიზედ ქვეყნდება ა. ტოლსტიოს „ბავშვობა“ (1862), ა. გერცენის „ნამყოდა ფიქრები“ (1868), ი. ტურგენევის „ლიტერატურული და ცხოვრებისეული მოგონებები“ (1869) და სხვანი. ალბათ, ბუნებრივია, რომ აკაკისაც უჩნდება სურვილი, შემოქმედებითი ინტერესის საგნად აქციოს საკუთარი სულიერი ფორმირებისა და მოქალაქეობრივი მრნამსის ჩამოყალიბების პროცესი.

აკაკიმ „თავგადასავალზე“ მუშაობა 90-იან წლებში დაიწყო და ეს პროცესი თითების 15 წელი გაგრძელდა. ავტობიოგრაფიული პროზის ამ შესანიშნავი ნიმუშის პირველი ნაწილი აკაკი 1893 წელს დაბეჭდა კ. თავართქილადის სტამბაში. მომდევნო 1894 წელს პოეტმა „კვალში“ დაიწყო თხზულების ბეჭდვა, ხოლო როდესაც „აკაკის კრებულის“ გამოცემის ნებართვა მიიღო, 1897-1898 წე. საკუთარ უკრნალშიც გამოაქვეყნა „ჩემი თავგადასავალის“ პირველი ნაწილი (ეს ნაბეჭდი წყარო ჩვენს გამოცემაში D ლიტერით არის წარმოდგენილი), რომელსაც სქოლიოში ამგვარი შენიშვნა დაურთო: „დღეიდან შევუდგებით ჩვენი „კრებულის“ მეორე განყოფილებაში „ჩემი თავგადასავალის“ ბეჭდვას. ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში, რაც ჩვენი თვალით გვინახავს და ან რაც სარწმუნოდ გაგვიგონია, ყველაფერს მოვიხ

სენიორთ იმდენად, რამდენადაც ნებას დაგვრთავს ჩვენებან დამოუკიდებელი გარემოება. ამასთანავე, შეგადაშეგ ჩემი ძველი ნაწერებიც იქნება ჩართული. ადრევაც მოვიხსენიო და ახლაც ვიმეორებ, რომ საზოგადოდ მე ხელოვენებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი და ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დღიური ავკარგიანობის საპრძოლველ-სასამსახუროდ.

თუ რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძალაუნებურად და შემთხვევით მომხდარა, თვარა ის ჩემ დღეში არა მქონია ფიქრად, რომ მომავლისათვის გნერო-მეთქი, ამიტომაც უმეტეს ჩემ ნაწერს დღეს იმდენად დაკარგული აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც დრო და უძინი იცვალა და მხოლოდ მაშინ იგულისხმება, როცა მოვიხსენებთ იმ გარემოებას, რასაც გამოუწევებია ჩემის მხრით რომელიმე გვარი მნერლობა. თვითონ ჩემთვის და ჩემი მნერლობისათვის არაფერი სასარგებლო იქნება ესეები ყველა, მაგრამ მევფიქრობ, რომ ამითი უფრო დახასიათდება ის დრო და მოვლენა, რომელიც მე მსურს მკითხველებს გაუკუთვალისწინონ“.

მწერლის დიდი სურვილი იყო, „თავგადასავალი“ რამდენიმე ტრმად გამოეცა, რისთვისაც დაუღალვად ცდილობდა ნივთიერი სახსრის მოპოვებას. „ჩემი თავგადასავალის“ პირველი ნაწილის გამოცემასთან დაკავშირებით აკაკი 1902 წელს წერდა: „ერთადერთი ჩემი თხზულებათაგანი, რომელიც განსაკუთრებით მიყვარს... არის „ჩემი თავგადასავალი“. ნათქვამის, „ყვავსაც თავისი ძახალა მოსწონს“. შეიძლება დიდი არა იყოს რა, მაგრამ მე კი ნმინდა გული და წრფელი სული მაქვს შიგ ჩადებული. ამ თხზულებაში ყველაფერია მოხსენებული, რაც კი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მინახავს და სარწმუნოდ გამიგონია. საკუთრად ჩემ შესახებ საინტერესო, მაინცდამაინც, იმდენი არა არის რა, რამდენიც სხვებისა. აქ არიან მოხსენებული 1) ჩვენი მოლვანეების წერილები, მაგალითად: გაბრიელ ეპისკოპოსის, დიმიტრი ყიფიანის, იაკონ გოგებაშვილის, გორგო წერეთლის, 6. ნიკოლაძის, ვანო მაჩაბლის და სხვათა მრავალთა, ვისიც წერილი კი საზოგადო საქმეს შეხებია. 2) ბიოგრაფია საზოგადო მოლვანეებისა და ჩემი პირადი შეხედულება მათ შესახებ. 3) ბანების დაარსება ჩვენში, წერა-კითხვის საზოგადოების, თეატრისა და მათ გამო გამოწვეული არჩევნები, ზედმოყოლებული ავანჩავანით. 4) ბატონობის ამბავი. 5) სველებური ზე-ჩვეულებანი. 6) მათი გადავარდნა და სამაგიეროს შემოღება. 7) საისტორიო ანეკდოტები და სხვანი... ერთი სიტყვით, ჩემი შეძლებისდაც გვარად, ნამდვილი სარკე ნახევარსაუკუნისა! ეს ნაწარმოები, რომლის ხელმძღვანელობას თვითი მე ვკისრულობ, რომ ჩემი გუნებისად გამოიცეს, მრავალტომიანი იქნება და რადგანაც ერთად მათი გამოცემა არ მეტერება, კერ უნდა გამოიწვეოს პირველი ტომი, რომლის ბეჭდვასაც ამ იანვრიდან შეუცდებია“.

„თავგადასავლის“ თავის „გუნებისად“ გამოსაცემად აკაკიმ გადაწყვიტა ხელმონერა გამოეცხადებონა (იხ.: გაზ. „ივერია“, 1902, 30/XI, №257), მაგრამ, სამწუხაოოდ, საზოგადოება გულგრილად მოუკიდა პოლტის შემოთავაზებას.

ტასო მაჩაბლისადმი მინერილ წერილში გულნატკენი მწერალი აღნიშნავდა: „მინდონდა „ჩემი თავგადასავლის“ დაპეჭდვა და რადგანაც თვითონ საშუალობა არ მქონდა, ჩემი ფულით დამებეჭდა, გამოვაცხადე, რომ, ვისაც სურს შეძენა, ხელი მოაზეროს და ერთი მანეთი წარმოადგინოს-მეთქი. ამგვარად, შეგროვდებოდა რამე და გამისტუმრებდა ქალალდისა და სტამბის ხარჯე. მაგრამ წარმოიდგინე, რომ ამდენი ხანია, თითქმის შვიდი თვევა, და მთელ საქართველოში მხოლოდ 38 ხელისმომწერი და მსურველი გამოჩნდა, მეტი არა. ამის შემდეგ მოდი და ნუ იტყვი, რომ ჩვენი ხალხი მხოლოდ პატივსა სცემს უფლებასა და ქონებას, თორებ ზნეობრივი იმას ყოლითერი სამასხარაო ჰგონია და მათი ღარიბ მოღვაწეების სიკვდილის შემდეგი ქება-დიდება და გვირგვინები მხოლოდ თავშესაქცევარი და საკუდაბზიკო მაიმუნობაა!“ (წერეთელი, ა.კ., თსკ (თხუთმეტ ტომად), XV, 1963, გვ. 154). ეს „ნამიერის გულის წყრომით“ ნათქვამი სიტყვები არ იყო. „ჩემი თავგადასავლის“ 1903 წლის გამოცემას ავტორმა საკმაოდ ვრცელი შესავალი დაურთო, რომელშიც საზოგადო მოღვაწისა და, კერძოდ, მწერლის გასაჭირზე ისაუბრა. როგორც ჩანს, აკაკისთვის იმდენად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, გაცნობოდა თუ არა ამ ტექსტს ფართო მეითხველი აუდიტორია, რომ წიგნის გამოსვლიდან მალევე გამოაქვეყნა „შესავალი“ ცალკე სტატიად „ივერიაშიც“ (იხ.: გაზ. „ივერია“, 1903, 29/X, №230). ამ პუბლიკაციას უსიამოვნო გაგრძელება მოჰყვა: გამომცემელმა ალ. ჭყონიამ საკუთარ თავზე მიიღო მწერლის სიტყვები და განმარტება მოთხოვა (წერეთელი, ა.კ., თსკ (თხუთმეტ ტომად), ტ. XV, 1963, გვ. 271), რამდენიმე დღეში კი გაზეთის რედაქციას წერილი აახლა (იხ.: „ივერია“, 1903, №234), რომელშიც ირწმუნებოდა და აკაკისაც იმოწმებდა, რომ „ჩემი თავგადასავლის“ შესავალში მასზე არ ყოფილა საუბარი.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია „ჩემი თავგადასავლის“ შესავლის ავტოგრაფი (K-84). ამდენად, ამ ტექსტის სამი წყარო გაგვაჩინია: ავტოგრაფი, 1903 წლის გამოცემა და „ივერიის“ პუბლიკაცია. „ჩემი თავგადასავლი“ ამ შესავლით მნიშვნელობათა არცერთ გამოცემაში არ დაბეჭდილა (ხსენებული „შესავლის“ თაობაზე ინფორმაცია მოცემულია აკაკი წერეთლის ბიობიბლიოგრაფიაში (იხ.: გურგენიძე ნ., გორგაძე ი., აკაკი წერეთელი. ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, თბ., 1989, გვ. 373). ვინაიდან „ჩემი თავგადასავლის“ ტექსტის ძირითად წყაროდ სწორედ 1903 წლის გამოცემაა აღიარებული, საჭიროდ მივიჩნიეთ გაგვეთავალისწინებია ავტორის ნება და წინამდებარე გამოცემაშიც ამ სახით შეგვეთავაზებინა მეტხველისათვის აკაკის ეს შესანიშნავი თხზულება.

1903 წლის ავტორისეული გამოცემის შესავალისა და „ივერიის“ პუბლიკაცის ტექსტები იდენტურია; მცირეოდენი სახვაობა აღინიშნება ავტოგრაფისა და ნაბეჭდ ვერსიას შორის, რასაც ნაირნაკითხვების სახით ნარმოვადგენთ.

რაც შეეხება „ჩემი თავგადასავლის“ || ნაწილს, მის ძირითად წყაროდ დღემდე მიჩნეული იყო 1908-1909 წლების პერიოდულ პრესაში გამოქვეყ-

ნებული ტექსტი (გაზ. „მზე“, 1908, №1, 2, 3 და გაზ. „ფასკუნჯი“, 1908, №2, 3, 4; 1909, №2, 3). ჩვენ გადავწყიტეთ, ამჯერად ე.ნ. A წყაროდ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ავტოგრაფი (K-227) გამოგვეყენებინა. ტექსტზე დაკვირვება აშკარად ავლენს, რომ მწერალი ძალიან ჩქარობდა: თხზულებაში ხშირია ასე ვთქვათ, „შეუსრულებელი დაპირებები“: „რადგანაც წინ ბევრჯელ მომიხდება იმაზე (გ. წერეთელზე – ნ.ფ.) საუბარი, ამიტომ გადავდივარ სერგე მესხზე..“, „აქ მხოლოდ ამით გავათავებ ამ კაცზე (ნ. ნიკოლაძე – ნ.ფ.) ლაპარაქს, რადგანაც წინაც ხშირად შეგვევდება..“ და ა. შ., რომ არაფერი ვთქვათ 1902 წელს გამოქვეყნებულ „გეგმაზე“, რომლის ძალიან ბევრი პუნქტი არ არის ასახული ტექსტში. ვფიქრობთ, სწორედ ეს ნაჩქარევობა უნდა იყოს იმის მიზეზიც, რომ აკაკი „თავგადასავლის“ II ნაწილში არაფერი წერს თავისი ეპოქის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურისა და თანამოსაგრის – ილია ჭავჭავაძის – შესახებ. როგორც იტყვიან, ჯერაც თბილია ილიას სამარე. ბუნებრივია, ნაუცხათევ სტრიქონებს აკაკი მას ვერ შეჰქადრებდა, შემდეგ კი, როგორც ჩანს, ვერა და ველარ გამოინახა საამისოდ დრო. დაუნერელი დარჩა ის, რაც ყველაზე მეტად დამშვენებდა თხზულებას. ვინ იცას, ამის გამო იქნებ აკაკისაც არაერთხელ გაუმეორებია დავით გურამიშვილის სინაზულით აღსავს სტრიქონები: „ვიცდიდი, მოცლას ვუცდიდი, ნეტამცა არა მეცადა“.

„თავგადასავლის“ II ნაწილის ფრაგმენტები ავტორმა 1908 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გამოაქვეყნა. როგორც ჩანს, იუბილემდე სურდა პუბლიკაციის განხორციელება, მაგრამ მაინც ვერ მოასწრო – 7 დეკემბერს თბილისში აღინიშნა აკაკის იუბილე, 14 დეკემბერს – ქუთაისში შედგა საზეიმო შეხვედრა, „ჩემი თავგადასავლის“ ბოლო ორი ფრაგმენტი კი – გრიგოლ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი – 1909 წლის დასაწყისში დაიბეჭდა. ის გარემოება, რომ „ჩემი თავგადასავლის“ II ნაწილის ბეჭდვა გაზ. „მზეში“ იწყება და შემდეგ გაზ. „ფასკუნჯში“ გრძელდება, გვაფიქრებინებს, რომ მწერალს არცთუ ხელსაყრელ გარემოში უხდებოდა მუშაობა; გასათვალისწინებელია ზოგადად ამ პერიოდში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაც. არ ის ვიცით, მიეცა თუ არა ავტორს სამუალება, გადაეკითხა საგაზეთო ტექსტის ამონა-ბეჭდები პუბლიკაციამდე, ამიტომ ჩავთვალეთ, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ „ჩემი თავგადასავლის“ მეორე ნაწილის ძირითად წყაროდ აკაკის ავტოგრაფს ავიღებდით.

სენებული ავტოგრაფი არის ტექსტის საბოლოო, გადათეთრებული პირი, რომელიც, სავარაუდოდ, აკაკიმ გამომცემლობისათვის მოამზადა. ერთი ნაწილი (12 v – 25 v) სხვა ხელითაა ნაწერი. ხელნერა მეტით და აუჩქარებელია, შეცდომების გარეშე. სავარაუდოდ, ეს ადამიანი დაეხმარა აკა-

კის ტექსტის გადათეთრებაში (ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ პოეტი ჩქარობდა), შემდეგ კი ტექსტის წერას ისევ აკაკი აგრძელებს (25 v-ს შეიძან). ჩანართი ხელნაწერი კირილე ლორთქიფაინიძისას შეავს (თუმცა ამის დაპეჯითებით თქმას სათანადო კვლევა სჭირდება). ცნობილია, რომ კირილეს აკაკი ძალიან ენდობოდა და არა მარტო ხშირად სარგებლობდა მისი დახმარებით, არამედ მის რჩევასა და რეკომენდაციასაც ითვალისწინებდა ხოლმე. სწორედ კირილეს თხოვნით შეადგინა აკაკიმ ლექსების კრებული „სალამური“, რომელიც კირილემ გადაწერა და გარევეული სწორებებიც განახორციელა, რომელთაგან ზოგიერთი გაიზიარა ავტორმა (ეს კრებული კირ. ლორთქიფაინიძემ 1893 წელს გამოსცა. ამის შესახებ იხ.: გაბოძე, ჯ., აკაკის თხზულებათა გამოცემები, თბ., 2009, გვ. 108). ასევე, კირილემ გადაუთეთრა აკაკის პოემა „თოონიკე ერისთავი“. კვლევით დადგინდა, რომ აკაკიმ „განთიადი“ კირილეს უკარნახა და ერთად ასწორეს ტექსტი. (იხ.: გაბოძე, ჯ., დასახელებული ნამრომი, გვ. 118). კირილე ლორთქიფაინიძის გარდა, აკაკის სპირიდონ ზაბახიძის, დიმიტრი თომაშვილისა და სხვათა დახმარებითაც უსარგებლია, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენთვის საგულისხმო მხოლოდ ისაა, რომ აკაკი განსაკუთრებით სანდო პირებს აძლევდა საკუთარი თხზულებების ჩანერისა თუ გადათეთრების ნებას და თანაც შემდეგ უსათუოდ თავად ამონმებდა და ასწორებდა ტექსტს. ცხადია, ყველა ამგვარ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე.ნ. ავტორიზებულ წყაროსთან, რომელიც მნიშვნელობით ავტოგრაფს უთანაბრდება.

როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ, აკაკის „ჩემი თავგადასავალი“ გაცილებით მასშტაბურ ქმნილებად ჰქონდა ჩაფიქრებული. მართალია, მიზეზთა გამო, ვერ შეძლო ჩანაფიქრის ხორცმებს სრულყოფილად, მაგრამ მას, რისი დანერაც მოასწრო, მხატვრული ლირებულების გარდა, უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების შესასწავლად.

შესავალი

7.9 საზოგადოთ]საზოგადოდ L. 11 ჩვეულება]ჩვეულებაც L.13 ხანა]დრო L. 16 ხელნაწერები]წიგნები L. 17 როგორმე დაც და L. ლონესაც ლონეს L. 18 ადგილი წიგნებს]წიგნებს L. 19 „რუსუდანანას“] + „გისრამიანს“ L. 21 ხელნაწერს] ხელნაწერებს L. 22 გამრავლდებ[გამრავლდნენ L. 23 ალარა] არა L. 24 ხელშისახლშიL. 26 დროშიაც]დროშიც L. 27 ყოველიფერს] ყოლიფერს L. 30 ვერავინ]ვინ L. 34 ოჩოპენტრეს] ოჩოპინტრეს L.

8.1 ერთ ფაში]+ერთიარად L. 2 სქლად გაბერილს]+ რუსთაველი აბაზად და ოჩოპინტრე ერთი-ორად. L. 3 ეხიმხება]ახამუხება L. რადგანაც]რადგან L. 4 ბეჭვდა]ბეჭვდა L. 5 უსამართლობასა]უსამართლობას L. უგნურებას] უგუნურებას L. 7რომელიმე]რომელსამე L. გაზეთში]გაზეთს L. 12 ვაებართელაა]ვეებერთელაა L. 17 დაიბეჭვდა ცალკე] <ცალკე L. 18 ალელვდა]+ისე განრისხდა და ალელვდა L.20 იმ წიგნის L. 21 ვერაფერ]ვერავითარ

L. და თვითონ] < და L. 22 ის] იმ L. მიმდევარი ვაუბატონი [მიმდევარ ვაუბატონს L. 22-23 საზოგადოთ]საზოგადოდ L. 23 შეადგამდა] მიადგამენ L. 24 მიუხედავად მათის გაჭირვებისა] მიუხედავად გაჭირვებისა L. ამოილებდა] ამოილებენ L. 25 დამზრახველი]დამძრახველი L. 28 ნარსდგება]ნარდგება L. 32 ნელინადები]ნელინადი L. 33 დათენებია]დასთენებია L. თვით ნაწერებში]თავისს ნაწარმოებში L. 33-34 თუ ჩალის ფასად] თუ ბოლოს ჩალის ფასად L. ანგარებას]ანგრადა L. 37 კიდევაც გაუდიესტ] კიდეც გაუდიოთ L.

9.3 და აი სხორცე] აი სხორცედ L. 4 საპირადოთაც] საპირადოდაც L. 7 მცოდნე და ნიჭირი პირები] მცოდნე პირები L. < და მწერლები L. 12 გამომცემულთან]გამომცემლებთან L. 14 მანეთად მანეთი L. დავუკლოთ] დაუკელით L. 16 თვითეულ ტომის]თვითეული ტომი L. 20 დაგიდევსთ] დაგიდევს L. ქვეყნებშიაც]ქვეყნებში L. 21 ფასსაც იაფს] ფასსაც დიდს არ L. 28 ნაიკითხავენ]ნაიკითხვენ L. კაპეიკის]კაპიკის L. 32 ვისაც მართლა] და ვისაც მართლა L.

პირველი ნაწილი

ქვესათაური: პირველი ნაწილი <C.

10.4 დაბერდება] და ბერდება C. 5 წესსა] წესს C. 7 ბავშვივით] ბავშვივით (მეორდება C-ში – რედ.). 12 მიხტის] მიხტის C. 31 ერთს] ერთ D.

11.2 1841] 1841-თი D. 5 ეჭვი] იჭვი C. ჩემს] ჩემ DC. 23 უსიამოვნებაც] უსიამოვნობაც (მეორდება B-ში – რედ.). 25 უიმე] უიმე C. 26 გამდელს] გამზდელს C. 29 მოიკითხეო] მოიკითხეთო DC. 33 ოჯახს] ოჯახ C.

12.6 მომსვლია] მოსვლია DC. 10 ეს<D. 17 სასახლისაკენ] სახლისკენ A. 19 ჩვენს] ჩვენ C. 21 კი <C. 24 მიზეზები] მიზეზი BDC. 26 სისხლ-ხორცობა] სისხლხორცობაც C. 34 ჩემი სოფელში ~ D. 37-38 გლეხების შეილებთან ერთად] ერთად გლეხების შეილებთან C.

13.2 სცხოვრებდა] ცხოვრებდა C. 4 ამიტომაც] მიტომაც DC. 7 მახსოვრობაც] მახსოვრობა C. 9 უფანჯრ-უსარკმლო უფანჯრო-უსარკმლო C. 12 უზარ-მაზარი] უძარმაძარი DC. 16 მიუდისთ] მიუდით DC. 18 ტრიალებენ] ტრიალობენ DC. 19 სახლის] ოთახის C. 20 ბავშვი] ბავში. 22 წლისამ+მე DC. 23 პირუტყვის] პირუტყვს C. 30 ჩუმად] ჩემით C. 31 ბამბის] ბანბის C. 32 როგორ მოხდა ეს+ მე და C.

14.10 ძიძიშვილმა] ძიძიშვილმა C. სთქვა] თქვა C. 19 ვუიმე] უიმე C. 34-35 ყმანვილი ბუნება-თანაზიარია] ყმანვილის ბუნება თანაზიარია D.

15.2 სიამოვნებით] სიამოვნობით D. 7-8 მინდვრად და ტყეში ჩემთვის სამოთხეში შესვლა იყო და იქ დარჩენა C. 17 მცენარე და+ სხვანი C. 22 მოლრუწუნებს] მოლრუწუნობს D. 23 მოსდევენ] მისდევენ CD. 25 მის-ცვივდებიან] მიცვივდებიან BC. 36> უფრო B. უჩვენებს+ და C.

16.4 შესცვალოს] შეცვალოს D. 9 ჭკვიანად] ჭკვიანი D. 12 ბძანებით] ბძანებით C. 15 ისეთია] მისთანაა CD. 17 ჩამოგითვლით] ჩამოგითვლი C. შემდეგ] შემდეგში D. 22. გამოსჭრიან] გამოჭრიან C.

17.7 შეაფერხებდენ] შეაფორხებდენ C. 17-18 ხელში ამიყვანდნენ ხოლმე,

საჩუქრებს მაძლევდენ 18 და <C. 22 არა] არ C. 34 ვტრიალებდით] ვტრიალობდით C. 36 ხან მეორე კუთხიდან <BD. 12 განზრახ] განძრახ C. 22 რასაკვირველია <C. 24 მოწყენა] მოწყენილობა CD. 31 სთქვა] თქვა D. 33 მივხვდი + კი C.

19.30 სათევზაოთ] სათევზოთ D. 35 მთვარე] თვარე CD.

20.1 პატარებს] პატარაებს D. შევყოფილ] შევყოფთი D. 5 ვუყოთ] უყოთ C. 12 მწვანე] წვანე DC. 22 მკდარი] კვდარი DC. 29 ჩემს] ჩემ D. 34 სადილობამაც] სადილობაც C. გადასძახეს D. 37 ჩამომწკრივდენ] ჩამომწკრივდენ C.

21.1 მღვდელი] ღდელი D.2 ვიღაცამ] ვიღამაც A. 13 კაკა-კუკი] კაკი-კუკი D. 16 გაცვივდენ] გაცვინდენ C. 17 სუფრის] სუფრას CD. 26 შემძრალიყო] შემძრალიყვნენ C. 29 სჭირს] ჭირს D. 31 მომსვლოდესო] მომსვლოდეს C. 37 ყოველ] ყველა D. იჯრაზე] იჯრაზედ C.

22.1 მოგერქა] გერქა D. 3 სადილობამდე] სადილობამდინ D. 11 ეკურთხებინა] ეკურთხებია C23 ცოტა რამ] ცოტა რომ D. 25 გაუჩენია + და C. რა საჭიროა] რალა საჭირაოა BD. 29 გულ-მოდგინეთ] გულ-მოდგინეთ D. 31 ედვა] ედგა D.

23.8 აგასრულე] ალვასრულე C. 11 გამოჰკრეს] გამოკრეს D. 13 თავს ლაფი] თავსხლაფიო D. 19 გაცვივდენ] გაცვინდენ D. 20 აძალებდენ] აძლევდნენ C. 21 მხოლოდ] მხოლოთ D. 32 ზრდილობიანად] მხიარულათ D. მხიარულად C. 34-35 დარჩენ მხოლოდ ბატონები] მხოლოდ ბატონები დარჩენ C. დარჩენ მხოლოდ ~ D. 36 დარჩა] დარჩენ D.

24.2 აგრილდება] აგრილდეს C. 3 ასდისო] ადისო CD. 6 გინდოდეთო] გინდოდესთო D. 10 ვიფიქრე] ვამბობ CD. 11 ყოფა] ყოფა D. ვარგა] ვარგია. 17 შევნიშნე + რომ D. 19 „გუგუ, გუგუ“ „გუგუ“ C. 22 ვსთქვი] ვთქვი D. 26 ჩამოკიდებული] ჩამოკიდული D. 29 იატაკზე] პოლზე CD. 32 სანამ] სანამდი CD.

25.2 დაამშვიდეს + სწორი C. 23 გონება-განვითარებულმა] გონებაგანვითარებულ C.

26.1 მრისხანების] მრისხანის D.

27.24 ეძინა + აივანზე C.

28.24 ააყოლებდენ + და დაიწყებდენ C. 29 რომ] თუ D.

29.3 შეჟენს] შეჟენმენს DC. კომედია] კამედია C. 4 იტირეს სუყველამ] ატირეს სუყველა C. 10 ეგებ] ეგება C. 22 ყოველიფერი C. 29 მივიდა] მოვიდა C.

30.8 მახსოვს + მაგრამ ამას შემდეგში ვიტყვი C. მახსოვს + „ისევ მამაჩემზე უნდა ვისაუბრო, მიტომ კი არა, რომ ის მამაჩემი იყო, არა, მხოლოდ მიტომ, რომ იმდროინდელ მებატონების სახე იყო და სანიმუშო მაგალითად მომყავს“ C. 17-18 ფოსტის უფროსი] ფოსტიმეისტერი (მეორდება CD-ში რედ.). 23 გაკვირვებული] განკვირვებული CD. 34 შემოგფიცო] შემოგფიცოთ D.

31.16 მაგისი] მაგის C. 21 ლირსი] ლირს C. 31 ისეთი] ისეთის C. 32-33 შეიკავეს] მოიკავეს C.

32.2 ჭალარისათვის] ჭალარასთვის D. 7 მოუგიდოდა + ხოლმე C. 11 კულებიაკინი] კულებიაკინი D. 15 ამალა] სვიტას CD. 17 თავად-აზნაურთა-განი] თავადაზნაურებთაგანი CD.

არ იბეჭდებოდა სხვა გამოცემებში და C-ს მიხედვით თხუთმეტტომეულის VII ტომში აღდგენილია შემდეგი ადგილი: 32.22-36 „ეს ყველას ეწყინა, მაგრამ კრინტი ვერავინ დასძრა. თავჩალუნული მიჰყვებოდნენ დიდხანს. ბოლოს შენიშნეს, შორს, რომ ერთი დონის ყაზახი რუსი მოდიოდა ცხენით. მამაჩემი დაწინაურდა და რომ დაუახლოვდა ყაზახ რუსს, ჩამოხტა ცხენიდან და მძიმედ თავყანი სცა. ეს სუყველამ დაინახა. კულებიაკინმა წარბი შეიკრა და გამოიკითხა: თუ რად ჩაიდინა როსტომმა მაგისთანა უსაქციელობაო. მამაჩემმა უპასუხა:

– „რუსი გახლდათ და პატივი არ მეცაო?

– კი მაგრამ თავადიშვილს როგორ გეკადრება დონის ყაზახის წინ თავის მოხრაო, განა ვერ შეატყე, რომ უბრალო ვინმე იყოო?

– როგორ არაო. მაგრამ შეიძლება ერთი ათი წლის იქით დიდი კაცი გახდეს და მეც მომადლიერებული მეყოლება, ხომ მოგეხსენებათ, წინაძლოლილი საქმე, ხანდახან კაცს კეთილად გამოადგებაო“.

კულებიაკინი დაფიქრდა, გაიცინა და ბრძანა, რომ სატუსალოში გასაგზავნი უკანვე დაებრუნებინათ“ C.

33.4 აბა] აპა DC. 16 მოჭადრაკეთა] მოჭადრაკების CD. 20 უგდეთ] უგდე D. 30 ჭალრაკი და + სხვა ამგვარი CD. 36 ყოფილიყო] ყოფილიყოს CD.

34.2 დედაჩემის] დედიჩემის C. 4 არავინ] აღარავინ C. 10 რომ თავის] რომ მის C. 14 ეს ამბავი + არავის CD. მოსწონდა] მოსწონდა D. 20 და <C. ვუყოთ] უყოთ C. 22 მაგრე] მანგრე (ხშირად მეორდება D-ში რედ.). 33 კილოთიც] კილოთითაც C. 37 პერმდა] გმობდა + ხოლმე C.

35.2 ქრისტე] ქრისტეც D. 4 ლაფა + ვინ C. 8 ვისა და + ამ D. 21 რამე რამე C. 24 ცუდი] ცუდის C. 31 იყო <C. 37 მის] მათ C.

36.25 უწოდებენ] ეძახიან CD, 28-29 არ ექნებოდა] არ ყოფილიყო C. 30 რასაკვირველია] რასაკვირელია C. 33 აშენდა] შენდება C. 34 ტიტველი] ტიტველა CD.

37.8 ეგბე] ეგბეა CD. ვინმე] ვინმე C. 12 ძველთაგანვე] ძველთაგანვე C. 13 მიაჩნდათ + ამ ბატონ-ყმობაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ C. 16 გადაეხდევინებინათ] გადაეხდევინებიათ C. 23 შუაზე] შუა C. 24 ბეგარას + ეს C. 25 რომ რამდენჯერმე] რო რამდენჯერმე CD. 29 ჩვენს] ჩვენ C. 33 სამსახურისათვის + კი C. 35 და <C.

38.24 ოფშეკითელი] ოფშეკითელი CD. 30 სიკვდილის] სიკვდილს C. წინ] წინათ CD.

39.15-16 და<C. 34 მიუგზავნა] მოუგზავნა C. 17 გნებავთ] გნებავს C. 22 კალიასავით] კალიასებ CD. 34 შეიკაზმენ] შეეკაზმენ CD. 37 მათზე] იმაზე C.

40.3 თქვენს] თქვენ C. 4-5 გაგვამეტებიებთ] გაგვამეტებიებთ C. 10 გასცემს] გაცემს CD. 12] ეს CD. 18 სანიმუშოდ] სანიმუშორ C. 26 შეჰკრიბეს] შეჰკრიბეს CD. 29 დარბასელ] დარბასელს C. 32 არზგვნებს + რუსულად C.

41.3 სამუშაოდ] სამუდამოდ BD. 5 მოსჭრა] მოჭრა CD.

42.3 კაცისა] კაცის D. 15 შვლის] შველის C. 20 ჰკითხულობდა] ჰკითხულობდა D. 21 წაცდეს-რა] წაცდეს-რა D. 25 იდგა + ხოლმე C. 26-27 მოხერხებული და ნიჭიერია] მოხერხებულია და ნიჭიერიო CD. 29 სთქვი] ჰთქვი C. 34 დედაც] დედამაც C. 37 აქამდიო] აქამდე D. გაატანინა] გადაატანია C.

43.2 დიდის] დიდი D. 25 გავმხდარიყავი] გავმხდარვიყავი D.

44.5 მეფიქრებოდა-რა + და C. 19 რამდენსამე] რამოდენიმე C. 25 ერთ წამს] ერთი წამი CD. ახირებულად] სიხარულით CD. 32 წლამდე] წლამდი D.

45.5 „სტუმრობისა“] სტუმრობიაში C. 27 ამოგვსვლოდა] გამოგვსვლოდა C. 35 „ალდგომას სულნასულობით მოველოდით.. მას უკან წახევარმა საუკუნემ გაიარა, მაგრამ დღესაც“<A.

46.7 ბედავდენ] ხედავდნენ D. ხედავდენ C. 11 სამოახლოში] სამუახლოში C. 20 გადავწი-გადმოვწიე] გადავზი-გადმოვზიე CD. 23 დავაპირე + და მოვინდომე CD დავაცდინე] გადავაცდინე C. 36 მივიჭრი + და D.

47.15 მოვაგროვე] მოვაგროვეთ D. დავიდევი] დავადევი C. 21 იმ ხანებში] ამ ხანებში D.

48.1 გვაქცევდნენ] გვაქცევევნენ CD. 7 მოვდეომივარ და გარეთაც ბევრ-ჯერ <A. და <C. 27 გასცემდა] გაცემდა D. 33 მოგიშორებია] მოგიგერებია D. მოგიგერებია C.

49.17 ისე გამაგულადა და გამაგულიშარა ~ გამაგულადა და ისე გამაგულიშარა C. 31 დროს] დღეს CD. 35 ასტეხეს] ატეხეს D. 37 აიჩოქენ] აიქოჩენ CD.

50.17 საყდართან] სახტართან CD. 25 გაკვეხებულიყო] გაკვეხებულიყო D. 29 წაუხდენსო + და ჭიას გაუჩენსო C.

51.2 მაგრამ + რადგანაც C. 4 იარეთ-მეთქი] იარეთ-თქვა C. 5 მომდიოდა + და C. 7 რომ + მე D. 21 გაბერავდი + გავახმობდი და C. 27 მიჰკარებია] მიკარებია D. 29 თავიც] თავი D. 34 ახალნელინადს + და ნათლილებას, მერე გამხადეს CD.

52.3 ქუსლზე] მუხლზე CD. 4 ეშველა-რა] მეშველა D. 13. საკითხავებიც] საკითხებიც C. 17 ითამაშესო] ათამაშესო C. 18 თვითონაც] თითონაც D. 26 მიჩვენა + და C. 28 მაგრამ რაღა გაეწყობოდა <C.

53.5 როცა + სულ D9 საათამდე] საათამდი D. 14 კითხვაც] კითხვაც D. 34 ტკბილის] ტკბილი D.

54.12 იყვირა] ბძანა D. 34 ზედამხედველები] ზედდამხედველები D.

55.2 ცემა-ტყებაზე] კი + ისე D. 18 დორექტორმა] ინსპექტორმა D. 19-20 სწავლა რომ გათავდა] კლასი რომ გამოვიდა D. 23 იყო + იმ D.

56.14 ხმარობსო] ხმარობს D. 17 მიზეზია] მიზეზია D. მიმიხმო] მომიხმო D.

59.3 მიივლ-მოივლიან] მიივლ-მიივლიან D.

- 60.1 ანგარიში] არითმეტიკა D. 18 გამოიღვიძოსო] გამოვაღვიძოვო D.
 61.27 გამოვიდოდი] გამოვიდოდა D. 29 წრთვინიდენენ] წრთვინიდენD.
 62.3 ყველა მაშინდელი მასწავლებლები ~ მაშინდელი მასწავლებლები ყველა D.
63.7 ჯერ <D. 14 ჩუმად] ჩემით D. 17 ვერ] ველარ D. 28 დამაგვიანდეს-მეთქი] დაგვინახოს-მეთქი D.
 64.2 ისეთი] ისე D. 35 შემდეგ კი <D.
 65.4 გაგვეგებოდა-რა <D. 32 დავინყე + ჩემი სიცილის ბრალი-მეთქი D.
 33 წამოდგა + ზეზე D.
 67.2 მოაგდო] მიაგდო D. 36 დავწერ] დავაწერ D.
68.13 თამაში] თამაშა D. 14 „ტრეპაკა“] ტრიპაკა“ D. 20 ქველ დროში+ საფრანგეთში და D. 23 თუ] რომ D. 26 გაგაფუჭოსთ] გაგაფუჭოს D. 32 ფრანგულის] ფრანცუზულის D.
69.9 ქვეყნისათვის კონრადივით <D. 10 ეს<D. 12 სამსახური? + უნდა D. გავხდები] გავმხდარიყავი D. 21 მყოფობის] ყოფობის D.
 70.37 თავადს] ქნაზის D. 32თუმანიშვილისა] თუმანიშვილის D.
 74.19 მიჰქონდა] მოჰქონდათ D.
 76.2 სხვების] თათრის D. „ნავიდენო + და მცხეთა ბორჩალოდ გადაგვიქციესო!“ D. 6 გაყიდა] გაპყიდა CD. 9 მომიბრუნდა + მე D.
 77.23 თურმე უფრო ადრე მიმელოდა] უფრო ადრე, თურმე მიმელოდა D.
 78.3 ღენერლის] ღენარლის D. 15 და + მისი D. 37 მაანც] იმანაც D.
80.21-22 „გავუზიარე მას, რა განზრახვა მქონდა“. A-ში ეს ადგილი დამ-ახინჯებული იყო ცენტურული პირობების გამო და ჩვენ ალვადგინეთ D-ს მიხედვით: „გავუზიარე მას, თუ რა იდუმალი განზრახვა მქონდა“. 23 რომ მომისმინა] ეს რომ ვსთქვი D. 30-31 ორ-სამ თვეს კი] ორ თვეს კი D.

მეორე ნაწილი

- 81.7 სცდილობდენ] სცდილობდენენ E. ებრძოდენებრძოდნენ E. 14 დაძინება]დამონება E. 17 რაღაი კი + ერთხელვე A. 23 „ებრძოდა“-ს შემ-დეგ A-ში დაუწერია ავტორს „ბრძოლა“ და გადაუხაზავს. 26 კოპწიაობას] კოპწიაობას E. 27 „გარეგანი“-ს შემდეგ A-ში ავტორს დაუწერია „უწმინდუ-რობით“, გადაუხაზავს და დაუწერია „უყურადღებობით“. 34 A-ში წერებულა „აზრის“, ავტორს გადაუხაზავს „ს“ და მის წაცვლად დაუწერია „თ“.
82.2 A-ში წერებულა „ცხოვრებისათვის“, ავტორს გადაუხაზავს და წაუ-წერია „ხელოვნებისათვის“; 3 ცხოვრებისათვის] ცხოვრებისათვისო E. 4 მსატერიალის] მსატრობა A.6 ნაკლენაკლებ E. 9 ტოლსტოი] ტოლსტოი E.10 უკიდურესობაში]უკიდურობაში E.17 იმავე]ამავე E.31 საზოგადოსათვის] საზოგადოებისათვის E.
83.9 მქონდა] მქონდა E. 11 A-ში წერებულა „ერთბაშად“, ავტორს „ბაშად“ გადაუხაზავს და წაუწერია „თავად“. 21 მიბძანა] მიბრძანა E. 35 წაკლებ] წაკლედ E.

- 84.12** ტყვილა]ტყვილად E.
 85.16 მანამდი] მანამდინ E.20 დ, ბ-ძეც] და 6.-ძეც E.A-ში წერებული „ბაქრაძეც“, ავტორს გადაუხაზავს და გვერდზე მიუწერია „ბ...ძეც“, ამხ-ანაგებთან] ამხანაკებთან E.21 ჰევსო] ჰევს E. უ. ი. ს-ვი] ს-ვ-მა E. 22შებ-ზიალდა] შებზილდაE; დ. ნი-ძის] დ. ვ-ძის E.30 ქართლელებმა]ქართველებმა E.
86.3 იმ ხანებში მოხდა + პირველი E.არეულობა]არეულება E. 14 კნეაუნა] კნიაუნა E. 16 ვეახელი ჰვახელი E. 18 ქმრისგან ქრმისგან E.22 დერექტო-რად]დერეკტორად E. 26 თვითქოს] თითქოს E.
87.1საქმროო] საქრმოო E.16 ათას] ათასს E.19 იქ] აქ E. 20 კნეაუნა] კნია-უნა E. მოვიდა]შემოვიდა E. 24 ბაზილევსკი]ბაზილევსკია E. 37 დიდ ხარჯს] დიდს ხარჯს E.
88.5 A-ში წერებულა: „აქამდი, რომ იძულებული გავხდი“, რაც გადაუხა-ზავს ავტორს („იძულებული გავხდი“ AE-ში ალუდგენია ავტორს – რედ.). 34 გაფლანგა! + წააგოვო A.
89.5 A-ში წერებულა „კუდს იქ“ – „იქ“ გადაუხაზავს ავტორს; თავისთვის] თავისთავის E.18 მაღლიდან] მაღლიდამ E. 34 გამოპჲატა] გამოხატა E.36-37 საწოლ-სახურავსო] საწოლ-სახურავს E.
90.2 გამემძრიოს] გამომემლოსE. 7 ეგებ] ეგება E. 9 გამომიჩნდენ] გამ-ომიჩნდენE. 13 მისის] მისი E. მოწყობილობით] მოწყობილებით E.A-ში წერებულა „მისის მოწყალებით“, გადამწერს გადაუხაზავს „მოწყალებით“ და დაუწერია „მოწყობილობით“14 საქმლით და სასმლით] საქმელით და სასმელით E.32 ჩაგვიდებდი E. 35 ჭუიანმა] ჭკვიანმა E.
91.7 ვჰყოფ] ვყოფ E.33 არც დებს] არც+ ნიკოლაძის E.
92.4 ინტელლიგენტური] ინტელლიგენტური E. 10 ინტელლიგენტური] ინტელლიგენტური E. 15 მაქ-მეთქი] მაქვს-მეთქი E.21 ივანე კერესელიძე <F. 22 „დროების“] „დროებას“ F. 28 ბარიათინსკის] ბარათინსკისF.31 კიდევ] კიდე F. 35გაუმართავდა] გაუმართდა F.
93.3 შევიდოდა] შეხედავდა B. 8 ცხელი] მცხელი B. 9 მოგწონს] მოუწონო B. 10 ძვირად] ძვირი B. 13 ყოველიფერში] ყოლიფერში AB. 18 შემოხედა და] შემოხედა B; მოიფრთხნა] მოიფრთხნა B. 22 დასამხამებაში] დასამხამე-ბაში დ B. 35 ერისთავის] ერისთვის B. მოინდომეს] მოიმდომეს B. 37 გიმნ-აზიაში] გემაზიაში AB.
94.2 სემინარიაში] სემენარიაში B. 3 დედამისს + კი B. გაათა-ვავო B. 7 ჟურნალსო] ჟურნალსაო B. 15 აწერა] აწერა B. 16-17 B-ში,ჩავალ ჩამისარია“-ს შემდეგ წერებულა: „აას გომბორის ასავალ-ჩასავალზე“ და გადაუხაზავს. 19 ალექსანდრე ორბელიანი <B, 25 მნახველი] მკითხველი B; გამგონე და + დიდი B. 28 მთავარმართებლად] მთავარმართებლადაც B. 30 მოუწერია B.
95.1 წინეთაც] მერეც AB. 4 მარტოკა] მარტვა B. 8 ველარას] ველარ აბ. 10 რაღასაც] რაღაცას B. 12 დაიჭირა] დააჭირია C. 15 სიკვდილს] სიკ-

დილს B. დაკვრაში] დაკრაში B. 19 მოკვდა] მოკვდა B. ნაწერი] ნაწერები B. 21 B-ში წერებულა „იქმნებ“ და „მ“ გადაუხაზავს. 22 ცისკრის თანამშრომლები <B. 25 პოეტ რაფიელ ერისთავის და] პოეტი რაფიელ ერისთავი A. 27 ქრელი] ქართველი AB. 28 ანტონ] ამტონ B. 29 (დავით) გ. დადიანი B. ქართლელი] ქართველი B. გრიგოლ] გრიგოლი B. 30 გადმოქართულებისა] გადმოქართულების B. 34 ლარენტი] ლარენტი B.

96.4 მოიძომა] მოიძომა B. სადგომამდის] სადგომამდი B. 6 მაქვს] მაქ B. 7 სოლომონ] სოლომან B. მეჯლანუაშვილის] მეჯლანაშვილის B. 22 გიორგი წერეთელი] < B 28 გაგზავნეს] გაუგზავნეს B. 29 ტიპოგრაფიის] ტიპოგრაფიას B.

97.3 ჩინოვნიკობის] ჩინოვნიკობას B. ყველაფერზედ] ყველიფერზე B. 11 ტყობილობდა-მეთქი + და B. 18 იმ გიორგით] ის გიორგი B; ჩემზე] ჩემზედ B. 19 იყო] დარჩა B. 24 რომელიც] რომელსაც B; 25 პირდაპირი] პირდაპირ B. 29 მგზავრის] მოგზაურის B. 34. სერგეი მესხი <B.

98.5 გუბერნატორის] ღრუბენატორის B. კანცელარიაში] კანცელიარიაში B. 9 გ. წერეთლის] გ. წერეთელის B. რადგანაც ის ~B. 10 ს. მელიქოვის] ს, მელიქოვანს B. 14 გადაიტანა] გადაიტანია B. 18 გაამხიარულებდა] გაახიარულებდა B. 19 B-ში წერებულა: „სიცილი იცოდა ხოლმე“, – „ხოლმე“ გადაუხაზავს. იმდენს] იმდენ AB. 20 თუმცა] თუმც B. 21 მოკვდა] მოკვდა B. 23 სიმხნევეს] სიმხნეს B. 24 იყრიდა] იყრიდენ B. 25 ექცევდა] ექცევოდა + და B; მოღვაწეობდა] დამწიფდა B. 28 ნიკო ნიკოლაძე<B. 31 მაგრამ] მარამ B.

99.2 სანვრილმანი] სანვრიმალნი B. 3 ჰერნდა] ქონდა B. 12 B-ში წერებულა: „ბოლოს კი როგორც თქვენი“, – „თქვენი“ გადახაზულია; 15 როგორც მატერიალურად] როგორც მატელიალურად B. 30 უკიდურესობაში] უკიდურებაში AB. 31 თუმცა] თუმც B. 33 შეგხვდება] შეგხვდება B.

100.1 ალექსანდრე ყაზბეგი <B. 2 ვიცნობდი] ვიცნობდით B. 6 ბავშვობაშივე] ბავშობაშივე B. 10 B-ში წერებულა: „ჩაიყრიდა ხელში“, – „ხელში“ გადახაზულია და ნაწერილია: „ჯიბაში“. ჯიბაში] ჯიბაში B. 11 გადაუყრიდა] გადუყრიდა B. 13 ანტენდინებს] ანტედინებს B. 15 შემოდისო] შემოდის B. 22 იქ] აქ B. 24 ვეითხე] ვეითხე B. 18 ხომ] რომ B.

101.1 დავათვალიერე] დავამთვალიერე B. 5 ახირებულობისა + იმ ხანებში B. 8 მაკლდა] მოკვდა B. 11 მსახიობებში] მსახიობში B. 14 ვისთვისაც + რამე B. 17 ღენერლის] ღენარლის B. 28 მოაგროვა] მოაგროვა B. 35 თავის <E. ბნელაში ფეხებზე ხელი მუსვა ვიღაცამ ~ ბნელაში ვიღაცამ ფეხებზე ხელი მოუსვა B.

102.6 იქ] აქ B. 18 ჰოშპიტალში] ჰოშპიტალში B. 19 მის] მისს B. 22 B-ში „კარეტა კარეტაზე“ ავტორს გადაუხაზავს და ნაუნერია: „ეკიპაჟი ეკიპადზე“. გაბმული] გადაბმული B. 27 ჰოშპიტალში] ლოშპიტალში B. ყაზბეგი] კაზბეგი B. 32 დიდბუნებოვან] დიდბუნების AB.

103.4 თანამედროვეთა] თანამედროეთა B. 5 ერთხანს] ერხანს B. 6 წარმოითქვა] წარმოითქვა B. 22 მაგრამ + საპირადოდ B. 35 დაამხო] დაამხო B.

107.11 იკისრებთ] იკისრებ B. 16 მივაშურე + პირდაპირ B. ღოლობერ-იდეს] ღოლობერიდეს B. 22 ოთხასი] სამასი B. 34 შორედან B. 35 ჩაუვარდა] ჩაუარდა B.

108.7 იდეურად] იდეიურად B. 10 მოიტანს და + მის B. 19 დაწესებულაებს] დაწესებულებაებს B. 22 დაწესებულება] დაწესებულობა B.

8.16-17 „თამარ ცბიერი“ რომ დაბეჭდა.. – აკავის დრამატული პოემა „თამარ ცბიერი“ ნიკო დაასამიძემ ცალკე წიგნად გამოსცა 1886 წელს (ცენზორს ვიზა 1885 წლის 12 დეკემბერს აქვს გაცემული). ეს ამ ნაწარმოების პირველი სრული პუბლიკაცია იყო, თუმცა მანამდე გაზ. „დროებაში“ დაბეჭდა ერთი სცენა (ცრცლად იხ.: ჯ. გაბოძე, აკავის თხზულებათა გამოცემები, თბ., 2009, გვ. 76-79).

8.17-18 „ერთმა რედაქტორმა, რომელიც იმავე დროს ნაფიცი ვექილიც იყო, იუცხოვა“ – აკავიმ „ჩემი თავგადასავლის“ შესავალი გაზეთ „ივერიაშიც“ გამოაქვეყნა („ივერია, 1903, №230), რასაც ცოტა არ იყოს, უსიამოვნო ინციდენტი მოჰყვა: ალექსანდრე ჭყონიამ საკუთარ თავზე მიიღო პოეტის ეს რეპლიკა და აკავის განმარტება მოსთხოვა: „რადგანაც, ერთის მხრით, მე არასოდეს მიეკინებია არც თქვენთვის და არც თქვენის რომელიმე წიგნის გამომცემლობისთვის წიგნის სიძვირე, და, მეორეს მხრით, კი ქართველებში რედაქტორი და იმავე დროს ნაფიცი ვექილი ერთადერთი გახლავარ, იძულებული ვარ უმორჩილესად გთხოვოთ მაცნობოთ, მე გყავდით თუ არა მხედველობაში, როცა ბრძანებდით ზემოხსნებულ რედაქტორ ნაფიცი ვექილზე“. აკავიმ განუმარტა, რომ გულისხმობდა გაზ. „**Новое Обозрение**“-ში დაბეჭდილ რეცენზიის „თამარ-ცბიერზე“, რომელიც დავით კეზელმა დავით სოსლანის ფსევდონიმით გამოაქვეყნა (დაწერილებით იხ.: თსკ, ტ. XV, გვ. 271). ალექსანდრე ჭყონიამ საჭიროდ მიიჩნია, პოეტის განმარტება გაზეთში გამოექვეყნებინა (იხ.:ალ. ჭყონიას „წერილი რედაქტორი 1894-1905 წლებში. შემდეგ რედაქტორობდა „ცნობის ფურცელს“ შესავალში მასზე არ ყოფილა საუბარი).

ჭყონია ალექსანდრე (1855-1907) – იურისტი, პუბლიცისტი, უურნალისტი. საქართველოს ისტორიის მკლვლევარი. „ქშნ.-კვ“ საზოგადოების გამგების წევრი. უ. „მოამბეს“ რედაქტორი 1894-1905 წლებში. შემდეგ რედაქტორობდა „ცნობის ფურცელს“.

12.18 „ძიძაობა და ყმანვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო..“ - აკავი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ ამ ეპიზოდის საფუძველზე საინტერესო დაკვირვებას გვთავაზოს ქართული ფსიქოლოგოკომისის შესახებ ბულგარელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი გიორგი გაჩევი (იხ.: გაჩევი, გ., რუსული ეროვნი, აკავის კრებული II, თსუ, 2005, გვ.498).

12.34 „არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული..“ – მკლევარმა მიხ. ქურდიანმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ

აკაკი სრულიად განსხვავებულ შეფასებას აძლევს ერთსა და იმავე ფაქტს – სოფელში გაძიძავებას – „ჩემი თავგადასავლის“ პროზაულ და გალერსილ ვერსიებში. მეცნიერის აზრით, ეს იმ ფსიქოლოგიური ტრაგემის ბრალია, რომელიც პოეტმა ადრეულ სიყრმეში მიიღო (იხ.: ქურდიანი, მიხ., ცნობიერი და არაცნობიერი აკაკი წერეთლის პროზასა და პოეზიაში (აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ პროზაული და პოეტური ვერსიების მაგალითზე), აკაკის კრებული, II, თსუ, 2005, გვ. 97-102).

13.32. „ჩემი ძიძიშვილი“ – იგულისხმება აკაკის ბავშვობის მეგობარი და მასთან თანშეზრდილი ამბაკო ყანჩაველი. იგი ახალგაზრდა გარდაიცვალა. (იხ. გ. აბზიანიძე, ქართველი კლასიკოსები, 1950 წ., გვ. 188).

17.9. „იტყვადა ხოლმე ჩემი ძიძა...“ – სავანის მცვიდრის, სიმონ სადუნიშვილის ქალიშვილი მანო, ფარსადან ყანჩაველის მეუღლე. იგი სოფ. სავანეში ქართლიდან გადმოსახლებულა.

მანოს ოჯახში იზრდებოდა მისი ძმის, კიკოლას, პატარა ვაჟი აბელი, რომელიც აკაკიზე რამდენიმე წლით უფროსი ყოფილა. აბელ სადუნიშვილმა იცოცხლა 104 წელი, იგი მოესწრო აკაკის ასი წლის იუბილეს (გარდაიცვალა 1940 წლის ნოემბერში). აბელ სადუნიშვილის თქმით (მისი საუბარი ჩანერილია 1939 წ. იხ.: „ლიტ. მატიანე“, № 3-4), ძიძიშვილებს 1908 წელს პოეტ-სათვის იუბილეზე მიურთმევით მისივე აკვანი წარწერით:

„შენი ვარსკვლავი სხვა არის, ბედმა გიცინაო,

იავ, ნანა, ვარდო, ნანა, იავნანინაო“

სოფ. სავანე.

ეს აკვანი ამჟამად დაცულია სხვიტორში, აკაკის მუზეუმში.

24.32. „ჩემმა უფროსმა დამ“ – იგულისხმება აკაკის უფროსი და ანა (1830–1920). იგი გარდაცვალებამდე მამისულ სახლში ცხოვრობდა, არ გათხოვილა. ეწეოდა შინაურ მკურნალობას, რომელიც დედისგან შეისწავლა. მან მეტად საინტერესო მოგონებანი დაგვიტოვა აკაკის ბავშვობის შესახებ და შემოგვინახა პოეტის ადრინდელი შემოქმედების ნიმუშები.

24.34. „დედჩემი დიდი ძველებური ოჯახის ასული იყო...“ – აკაკის დედა ეკატერინე (1808–1885) სოლომონ პირველის ასულის, ბატონიშვილ დარეჯანის შვილიშვილი იყო. მამა ეკატერინესი, ივანე აბაშიძე, ცნობილია, როგორც ერთი მეთაურთაგან 1819 წ. იმერეთში საეკლესიო „რეფორმების“ ნიადგზე აღმოცენებული აჯანყებისა. საგულისხმოა ის გარემობა, რომ პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილებმი ახალგაზრდა პოეტი ხშირად თავის ლიტერატურულ საქმებზეც კი ესაუბრება მას. ეკატერინე კი, თავის მხრივ, სტუდენტ შვილს წიგნების შეძენასა და გამოგზავნასაც ავალებს (იხ.: ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ., 1965, გვ. 46–47), პოეტის დედის შესახებ საყურადღებო ბიოგრაფიული ცნობებია მოცემული აკაკის ძმის, დავით წერეთლის ვოცელ სიტყვაში, რომელიც მან დედის დაკრძალვაზე წარმოთქვა. დარჩენილია ამ სიტყვის დედანი, რომელიც აკაკის ბიოგრაფიულ მასალებთან ერთად, გამოქვეყნდა 1850 წელს (იხ.: გ. აბზიანიძე, ქართველი კლასიკოსები, თბ., 1950, გვ. 194-197).

25.7 [ივანე] აბაშიძის ცოლი – ელისაბედ სვიმონის ასული გურიელი-აბაშიძე.

25.8-9 „ტყვევები, გარდა დარეჯან ბატონიშვილის ერთი უფროსი ვაჟისა, უკან დაბრუნეს გზიდან..“ – სინამდვილეში არც დარეჯან ბატონიშვილი დაუბრუნებიათ. იგი გადასახლეს ვორონეჟში, შემდეგ კი – პენზაში. სოცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა მოსკოვში.

დარეჯან ბატონიშვილი (1750-1827) – პოლიტიკური მოლვანე, პოეტი, იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის ერთადერთი ასული, თავად ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლე. თავგანწირვით ებრძოდა რუსეთის აგრესისა და ამ ბრძოლას შესწირა მეუღლე და ვაჟიშვილები. გარდაიცვალა გადასახლებაში.

26.18 „სულ სხვა ბუნების, მიმართულებისა და ხასიათის იყო მამაჩემი...“ – „აკაკის მამა, თავადი როსტომ წერეთელი (1802–1876) ერთადერთი შვილი იყო თავისი მშობლების – მელვინეთუხუცეს როსტომ წერეთლის და მისი მეუღლის, აბაშიძის ასულის ანასი. ახალგაზრდობაში როსტომის მონაწილეობა მიუღია დალესტნელების ნინაალმდევ ბრძოლაში. იგი დაჯილდოვდა ნმ. გიორგის ჯვრით, რომელსაც როსტომი დიდი სიამაყით ატარებდა.

როსტომი ორჯერ ყოფილა დაქორწინებული. პირველად 1825 წ. მას ცოლად შეურთავს ქართლები მემამულის, თავად ესტატე ციციშვილის ასული ნინო, რომელიც, სამზუხაროდ, მშობიარობას გადაჰყოლია. 1828 წ. როსტომი მეორედ დაქორწინდა.

1846 წ. მთავრობამ ქუთასში დაარსა ე. წ. „იმერეთისა და გურიის თავადაზნაურობის უფლებათა გამრჩევი კომისია“, რომლის წევრად დაინიშნა როსტომ წერეთელიც. სწორედ ამ კომისიაში მუშაობისათვის მიუღია კოლეგის „სოვეტნიკის“ ჩინი“ (იხ.: ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, გვ. 32–44). როსტომ წერეთელზე საინტერესო ცნობებია დაცული გერმანელი ბუნებისმეტყველის, ალ. პეტროლდის ნიგნში „კავკასია“.

26.22 „პიძებიც გადავარდნილი ყოფილან, მეფე სოლომონს ხლებიან თა..“ – იმერეთის მეფე სოლომონ II (გამეფებამდე დავით არჩილის ძე) გეირალმა ტორმასოვმა 1810 წელს ვითომდა მოლაპარაკების მიზნით მიიტყუა და დააპატიმრა. ერთგული მსახურის დახმარებით მეფემ ტყვეობას თავი დააღწია და ახალციხეს შეაფარა თავი. გაპარვისას მას ახლდნენ ქაიხოსრო, როსტომ და სვიმონ წერეთელები.

26.26 „ძელქვის პატარა სახლი გიდგიათ..“ – ძელქვა თელისებრთა ოჯახის ფოთლოვანი მცენარეა. მისი მერქანი ძალზე ძვირფასია, რადგან გამოირჩევა გამძლეობითა და ტენისადმი მედეგობით.

26.30. ზურაბ წერეთელი – (1747–1823) იმერეთის სამეფოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფოთლოვანი მცენარე. მისი მერქანი ძალზე ძვირფასია, რადგან გამოირჩევა გამძლეობითა და ტენისადმი მედეგობით.

თანამდებობა ორჯერ ჩამოართვეს (ჯერ დავით გიორგის ძემ და შემდეგ როსტომ ნიუარაძემ), მაგრამ 1807 წელს ზურაბმა შესძლო თავის ერთგულებაში სოლომონ II-ის დარწმუნება და პოსტის დაპრუნება. 1811 წელს მას გენერალ-მაიორობა ებოძა.

წყაროებში ზურაბ ნერთელი იწოდება იმერეთის „პირველ კაცად“, „უბრნყინვალეს და დიდებულ თავადად“. XIX ს-ის დამდეგისთვის ზურაბ ნერთელი 1000 კომლ ყმას ფლობდა. მას სახლთუზუკესის თანამდებობა ეპყრა იმერეთში რუსული მმართველობის სისტემის დამყარებამდე. ზურაბ ნერთელი ერთ-ერთი პერსონაჟია აკაკის პოემისა „კიკოლას ნაამბობი“.

26.36 მოზღვი – ქალაქი ამჟამინდელი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე. მოზღვი კავკასიის მეფისნაცვლის „სამფლობელოს“ უკიდურესი ჩრდილოეთი ნერტილი იყო და საგანგებოდ გამაგრებულ სამხედრო პუნქტს წარმოადგენდა.

29.14 „ჩვენ ხუთნი და-ძმანი ვიყავით“ – როსტომ ნერთელმა და ეკატერინე აპაშიძემ ხუთი შეილი გაზარდეს: ანა, დავითი, იასონი (ილიკო), აკაკი და მავრა (მატა), თუმცა მათ კიდევ თრი შვილი ჰყავდათ – სოფიო და აბო – რომლებიც მცირელოვნები გარდაიცვალნენ.

29.29 „ერთხელ განერალ-გუბერნატორმა გაგარინმა დაიბარა..“ – გაგარინი, ალექსანდრე ივანეს ძე 1850 წელს დაინიშნა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორად. იგი 1857 წელს მოკლა სვანეთის მთავარმა მურზაყან (კონსტანტინე) დადეშექელიანმა. ამ შემთხვევას აკაკიმ უძღვნა ლექსი „მურზაყან შეასვლიანი“ (იხ.: ხსენებული ლექსის კომენტარი, ნერთელი, აკ., თსკ (ოც ტომად), ტ. II, თბ., 2011, გვ. 474-475).

30.9-10 „ჩემ ძმას გადაელო თავისი სახე და გამოეგზავნა...“ – იგულისხმება აკაკის უფროსი ძმა იასონი (1837-1873), რომელსაც ოჯახში ილიკოს ეძახდნენ. იგი ქუთაისის გირზაზის მეექვსე კლასიდან გამოვიდა და 1857 წელს გამწესდა იმპერატორის მხლებელ ჯარის ნაწილში, რომელსაც „კანვორი“ ეწოდებოდა.

30.24-25 კანვოი – რუსული არმიის ელიტური ნაწილი, რომელსაც სამეფო ოჯახის დაცვა ეკისრებოდა. საიმპერატორო კანვოის ისტორია 1811 წლიდან იწყება. თავდაპირველად კანვოელები მხოლოდ კაზაკები იყვნენ, შემდეგ მის შემადგენლობაში ყველა ეროვნების ჩრეულ მებრძოლს შეხვდებოდით. ქართული ქვედანაყოფი მხოლოდ 1856 წელს შეიქმნა. კანვოიმ არსებობა თებერვლის რევოლუციის შემდეგ შეწყვიტა.

32.11 კულებიაკინი – კოლუბაკინი ნიკოლოზ (1810-1868), სენატორი. 1855-57 წლებში ქუთაისის გუბერნიისა და სამეგრელოს მმართველი. 1859-61 წნ. ერენის გუბერნატორად იყო წარგზავნილი, 1861-63 წლებში კი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ადგილი ეჭირა. სოცოცხლის ბოლო წლები გაატარა მოსკოვში და ჩაბმული იყო ვლ. ოდოევსკის ლიტერატურულ წრეში.

33.2. გენერალ-გუბერნატორი გ. ერისთავი – ერისთავი, გიორგი რომანის ძე (1812-1891) საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის შეთქმულების წევრი.

რუსეთის არმიის კავალერიის გენერალი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1829 წ. ფილიანდის პოლეში. 1858 წ. მიიღო გენერალ-ლეიტენანტის წოდება და დანიშნულ იქნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად (АКТЫ... ტ. X, გვ. XXXIV) 1858-1861 წნ. ერთხანს კავკასიის ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანი იყო, ამიტომ თანამედროვენი სიცოცხლის ბოლომდე მეტსახელად „ატამანს“ ეძახდნენ.

38.23 ნესტორ ნერთელი – (გარდ. 1883) ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ნინამდლოლი 1861-1867 და 1877-1883 წნ. გენერალ-მაიორი და იმპერიის ფლიგელ-ადიუტანტი; ბიბლიოფილი, „ქ. ნ. კვ“ საზოგადოების დამფუძნებელი წევრი. ადრესატი აკაკის ლექსისა „ჩემს მოგვარეს“ (იხ.: ნინამდებარე გამოცემის ტ. I, გვ. 377-378).

40.7. „ამ დროს გაჩინდა მისი ჭავი ცხენით ოქროპირ მლვლელი, ნერთელი“ – ოქროპირ ნერთელი, გიორგი ნერთელის ბიძა. ავტორი კომედიისა „ქორნილი იმერეთის თავადისა“, რომელიც თვითონვე დაუდგამს 1845 წ. 1 აპრილს სოფ. გორისაში.

52.14 „მთელი ქრესტომათია, ჩუბინიშვილისაგან პეტერბურგში გამოცემული, გადაიკითხე...“ – ჩუბინიშვილი დავით იასეს ძე (1814-1891) ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ლიტერატურათმცოდნე, პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი პროფესორი, ძველი ქართული სასულიერო მწერლობის მკვლევარი, ისტორიკოსი. იგი 1855-1857 წლებში განაგებდა პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენისა და სიტყვიერების კათედრას. იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების (1860 წლიდან), საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი.

ქრესტომათია, რომელსაც აკაკი ახსენებს, დ ჩუბინაშვილმა გამოსცა 1846 წელს. მისი სრული სახელწოდებაა: „ქართული ქრესტომათია ან გამონერილი სტატიები სხვათა და სხვათა მწერალთაგან, ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისაგან სანკტ-პეტერბურლს, სამეცნიერო აკადემიის სტამბასა შინა (ნანილი პირველი – ქართული პროზა, ნანილი მეორე – ქართული ლექსი).“

52.15-16 „ერთხელ ქალაქიდან ჩამოგვიტანეს ამბავი, რომ „გლუხარიჩა“ კომედია დანერაოდა ვარანცვის სასახლეში ითამაშესო“ – ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა აკაკის დის, ანას, მოგონება: „ჩემის აზრით, აკაკის შინაურ ნანერებში ყველაზე უფრო შესანიშნავი ბატონ-ყმობაზე დანერილი სცენები იყო.

1850 წელს ქართლიდან სტუმრები გვეწვივნენ, ისინი ვორონცოვის სასახლეში დასწრებოდნენ გლუხარიჩაშის კომედიას და თითო კაკლად გადმოგვცეს, რაც ენახათ და გაეგონათ. ათის წლის აკაკი ამ მუსაიფს სულგანაბული უგდებდა ყურს და მეორე თუ მესამე დღეს თითონაც დასწრეა ბატონ-ყმობაზე. სასცენოდ გამოყავდა ან ბიჭები როგორ ცულლუტობდნენ

და ერთმანეთს ბატონთან აპეზღვებდნენ, ან მოურავი როგორ გაიძვერობდა ბატონები როგორ სასტიკად მრისხანებდნენ და სხვადასხვა“ (იხ.: „ივერია“ 1904 წ., №181).

გლუხვარიჩი – გიორგი ერისთავი (1813-1864), პოეტი, დრამატურგი, ქართული პროფესიული თეატრისა და პირველი ქართული სალიტერატურო ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი. გიორგი ერისთავი იყო 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური წევრი. სოლომონ დოდაშვილმა ჟურნალში „სალიტერატურონი ნანილნი ტფილისის უწყებათა“ დაბეჭდა ახალგაზრდა გ. ერისთავის პოემა „ოსური მოთხოობა, ანუ ზარე და ყანიმათ“ რომელშიც ნათლად ჩანს „ფარული საზოგადოების“ წევრთა შეხედულებები

„ჩემი თავგადასაცლის“ ამ ეპიზოდში საუბარია გ. ერისთავის პიესის „გაყრის“ წარმოდგენაზე 1850 წლის 2 (14) იანვარს თბილისის გიმნაზიის დარბაზში და არა „გარანცოგის სასახლეში“.

52.32 „გიმნაზიაში რომ შეიყვანება...“ – აკაკი ქუთაისი გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში შეიყვანეს 1850 წელს. 1852-ში უკვე გიმნაზიის მონაცემა, ხოლო 1859 წლის თებერვალში სრული კურსის დაუმთავრებლად ტრივებს სასწავლებელს.

54.25 კოცეპტუ ედუარდ – ქუთაისის გუბერნიის სასწავლებელთა დირექტორის მმართველი 1850-იან წლებში.

55.29 „ერთ ყმანვილს, გვარად ჭაჭიაშვილს...“ – გიმნაზიის მასალებში ჩანს, რომ 1851 წელს მოსამზადებელ კლასში აკაკისთან ერთად მართლაც ირიცხებოდა მონაფე გრ. ჭაჭიაშვილი, რომელსაც გამოცდები წარმატებით ჩაუბარებია, მაგრამ ის მონაფე აღარ ჩანს შემდეგ კლასებში (იხ.: საქ., ც. არქ. ფ. 521, №21, ფ. 49; ტრ. სუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951 წ., გვ. 61).

55.30-31 „ერთხელ გამსეცეპულმა ზედამსედველმა“ – როგორც ირკვევა ეს ზედამსედველი სისასტიკით ცნობილი გიმნაზიის ინსპექტორი ივანე განგრძოვი ყოვლილა.

57.10 მაქსიმოვიჩი – მაქსიმოვიჩი პავლე (1796-1888) რუსი მწერალი და სახალხო განათლების მოღვაწე. 50-იან წლებში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანამემნე და საცენტურო კომიტეტის თავმჯდომარე. მისი „Друг детей“ დაბეჭდილია პეტერბურგში 1839 წ. ის ქართულად თარგმნა „ცისკრის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ, რომელიც 1852 წლამდის თბილისის სკოლათა დირექტორაში მწერლად იყო, ხოლო ამ წლიდან თბილისის კომერციული სასწავლებლის მეთვალყურის თანამემნედ დაუნიშნავთ შემდეგ კი გიმნაზიაში გადაუყენიათ იმავე თანამდებობაზე (იხ.: ტრ. ხუნდაძე, ნარკვევები სახ. განათლ. ისტორიიდან საქართველოში, 1951, გვ. 36).

57.25 ქესარიონ ლოლობერიძე – (1832-1879) „ეშნ.-კვ საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ უარი თქვა იქ დარჩენაზე და სამშობლოში პედაგოგიურ მოლვანეობას მიჰყო ხელი. სხვადასხვა დროს იყო

თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი, ქალთა ინსტიტუტის ინსპექტორი და თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ქუთაისში, სადაც ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაფუძნებულ სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანეს.

60.17-18 „ჩემს პატარა შვილს..“ – იგულისხმება ალექსი წერეთელი. აკა-
კის გოგონაც ჰყავდა, სოფიო, რომელიც ჩვილიბაში გარდაიცვალა.

62.4. ჭროე – ქუთაისი გიმნაზიის მასწავლებელი 1860-იან წე., ხოლო 70-იან წლებიდან იგი ქუთაისის სახალხო სკოლათა ინსპექტორია.

65.36 მონაცე კ... ლ... – კირილე ბერეანის ძე ლორთქიფანიძე (1839–1918) მნერალი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მთარგმნელი. პეტერბურგის ქართული წიგნის გამოყენელი ამხანაგობის ერთ-ერთი დამაარსებელი, „დროების“ რედაქტორი, ჭიათურის შავი ქვის საზოგადოების მუდმივი წევრი, ქუთაისის საადგილმაზულო ბანკის დირექტორი.

კირილე ლორთქიფანიძის ინიციატივით დაიბეჭდა 1864 წელს პეტერ-ბურგში ქართველ ავტორთა ლექსების პირველი კრებული „ჩონგური“. აკაკის უახლოესი მეგობარი. პოეტმა მას უძღვნა ლექსი „საბრალო გული“ (იხ.: წერეთელი, აკ., თსკ (ოც ტრმად), ტ. 1, თბ., 2010, გვ. 37, 351).

66.9 „კოშანსკის „რიტორება“ – იგულისხმება რუსა ფილოსოფოსისა და ფილოლოგის, ნიკ. კოშანსკის წიგნი „ზოგადი რიტორიკა“ („Реторика Общая“).

66.33 როდზიევიჩი – როდიევიჩი კაზიმირ ფაბიანის ძე, პოლონეთიკური არასამღედობის გამო საქართველოში გადმოსახლებული პოლონელი პრო-ფესორი. მას ქუთაისში შეურთავს მიქელაძის ქალი. ერთხანს მასწავლებლობდა ქუთაისს გიმნაზიაში. კაზ. როდზიევიჩს სიცოცხლე ტრაგიულად დაუსრულებია – თავი მოუკლავს 60-იან წლებში (იხ.: გ. აბზანიძე, „ქართველი კლასიკოსები“, გვ. 189).

68.33 მუსიკ ტურესი – ტურესი ევგენი, ფრანგული ენის მასშავლებელი, რომელსაც 50-იან წლების ქუთაისში ერთადერთი პანსიონი ჰქონია (იხ.: ტრ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951 წ., გვ. 68).

69.8-9 „მარჯვე დროს ქეყნისათვის კონრადივით სამსახური გამენია!..“ – ვალენტინი კონრად (გარდ. 1394) ჯვაროსანთა ორდენის დიდი მაგისტრი. ადამ მიცევების პოემის, „კონრად ვალენტინი“ მთავარი გმირი. ა. მიცევები ავთარებს ვერსიას, რომლის მიხედვითაც ვალენტინი ლიტველი იყო და ჯვაროსნებს თვალის ასახვევად მიემზრო, რათა სამშობლოსთვის სამსახური გამენია.

69.31 „დავალისა და ფოთის კურთხევას“ – ფოთი სანაცვადგურო ქალაქად აკურთხეს 1859 წლის მაისის პირველ რიცხვებში.

69.35. ვორონცოვის ქვრივი – ელისაბედ ქავერის ასული ვორონცოვა (ქალიშვილობის გვარი – ბრანიცკია) კავკასიის მთავარმართებლის, გრაფ მ. ს. ვორონოვის ქვრივი, ახალგაზრდობაში ა. პუშკინის ტრაფობის საგანი.

იგი საქართველოში ყოფნისას ეწეოდა საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობას, ხელმძღვანელობდა „წმ. ნინოს სახელობის საქველმოქმედო საზოგადოებას“, რომელიც მიზნად საქართველოში (და საერთოდ კავკასიაში) ქალთა განათლებისათვის ხელის შეწყობასა და საქალებო სასწავლებლების დაარსებას ისახავდა. ელისაბედ ვორონცოვა დაახლოებული იყო ქართველ არისტოკრატთა ცნობილ ოჯახებთან.

ვორონცოვი მიხეილ (1782-1856) – კავკასიის მეფისნაცვალი და განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი 1844-1854 წწ. გენერალ-ფელდმარშალი. მიხეილ ვორონცოვს განსხვავებულად ესმოდა რუსეთის სახელმწიფო ბრძოვი ინტერესების გატარება საქართველოში. მისი კურსი ითვალისწინებდა საერთო-სამმართვო სივრცეში საქართველოს სრულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ შერწყმას ნაციონალურ-კულტურული ინდივიდუალურობის შენარჩუნებით. ვორონცოვის მოქნილი პოლიტიკის ჭეშმარიტი მიზანი, ალბათ, აკაცისთვისაც ნათელი იყო, თუმცა მისადმი გამოხატულ აშკარა სიპათიას, სავარაუდოდ, ისევ საქვეყნო ინტერესები ასაზრდოებდა: ვორონცოვის კურსი კულტურული თვალსაზრისით მაინც არ იყო დამაზარალებელი პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაბეჭავებული საქართველოსთვის.

71.24 ანდრიევსკი – ანდრიევსკი ერასტი სტეფანეს ძე (1809-1872) კავკასიის მთავარმართებლის, გრაფ. მიხეილ ვორონცოვის პირადი ექიმი. იგი ვორონცოვის დიდი ნდობით სარგებლობდა. ე. ენდრიევსკის ცოლად ქართველი ქალი, ბარბარე გიორგის ასული თუმანიშვილი ჰყავდა, რის გამოც მათი ოჯახი მჭიდროდ დაუკავშირდა ქართულ კულტურულ წრეებს (Из Архива К.С. Андриевского, Записки д-ра Э.С. Андриевского, три тома. Под ред. С. А. Авалиани. Одесса, 1913 – 1914 Г.Г.).

75.35 კნ. მანანა ორბელიანი – მანანა მირმანზის ასული ერისთავი ორბელიანისა (1808-1870), საზოგადო მოღვაწე, 40-50-იანი წლების ქართული არისტოკრატიული საზოგადოების თვალსაზრი ნარმომადგენელი, „უარული საზოგადოების“ წევრი, მონინავე ქართული საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლებით თავს იყრიდნენ მის სალონში, სადაც დაიბადა ჟ. „ცისკრისა“ და ქართული პროფესიული თეატრის ჩამოყალიბების იდეა.

76.18 ჩემსავითვე გამოუცდელი მსახური – იგულისხმება როსტომ წერეთლის ერთგული შინაური ივანე კირიკაძე, რომელიც შემდგომში აკაცის ძმის, დავითის ოჯახში ცხოვრობდა, გარდაიცვალა 90-იან წლებში.

78.6 ბაგრატიონი, პეტრე რომანის ძე (1818-1876). ბოროდინოს გმირის, პეტრე ბაგრატიონის ძმისძეობი. 1835 წელს ჩარიცხეს პეტრბურგის ლაბ-გვარდიაში იუნკრად. 1845 წლიდან იგი პეტროგ მაქსიმილიან ლეიხტენბერგის ადიუტანტია. 1857 წელს პ. ბაგრატიონი გაიგზავნა ლეიბგვარდის კავკასიის ესკადრონის ხელმძღვანელად. 1858 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება და დაინიშნა იმპერატორის ამაღის (კანვოის) უფროსად. შემდეგში იგი ბალტისპირა ქვეყნების გენერალ-გუბერნატორი იყო.

პ. რ. ბაგრატიონს არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომი და აღმოჩენა ეკუთვნის ფიზიკისა და ქიმიის დარგში (იხ.: ვ. პარკაძე, პ. რ. ბაგრატიონი, თბილისი, 1956 წ.).

78.14-15 „ვსწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან, პოეტი რომ და მისი ბრალიც იყო ჩემი რუსეთში ნამოსვლა“ – პეტრე ბაგრატიონის რუსეთში გადახვენა მართლაც ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბრალია“. სწორედ პეტრეს გონივრული გეგმის წყალობით მიიღეს ადრესატებმა ნიკოლოზის მიერ შეთხული მწვავე შინაარსის ეპიგრამები, რასაც ხელისუფლების მხრიდან უმაღ მოჰყვა შესაბამისი რეაქცია: დაინიშნა გამოძიება, მაგრამ სერიოზული დამაზავებების ნაცვლად ხელთ გიმაზიის მონაფები რომ შერჩათ, მშობლებისაგან შვილების დასჯა მოითხოვეს. მელიტონი სასტიკად გაუსწორდა ტატოს, პეტრე კი მამამ პეტერბურგში წაიყვანა.

78.35 აბაშიძე – იგულისხმება აკაცის შორეული ნათესავი სამსონ ივანეს ძე აბაშიძე (1835-1894). იგი 60-იან წლებში ჩარიცხულა „კანვოიში“ და პეტერბურგის უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელადაც შესულა. 1862 წლიდან თანამშრომლობდა „ცისკართან“ ფსევდონიმებით „თერგდალეული“ და „ჯვარელი“ (იხ.: ჭუმბურიძე, ჯ., ქართული კრიტიკის ისტორია, 1, თბ., 1974, გვ. 432).

79.35-36 „ჩუპინაშვილის ლექსიკონი გადაეშალა..“ – დავით ჩუპინაშვილმა რამდენიმე ლექსიკონი გამოსცა: 1840 წელს შეადგინა და დაბეჭდა ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი; 1846 წელს – რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელსაც ქართული გრამატიკის მოკლე ნარკვევიც დაურთო. 1887-1891 წწ. კი ქართულ-რუსული ლექსიკონი. აკაცი პეტრე ბაგრატიონთან ვერ ნახავდა მხოლოდ მეცნიერის ბოლო ნამუშევარს – ქართულ-რუსულ ლექსიკონს.

80.15 „მარიამ ნიკოლაევნაშვილის ქარას, ლეიხტენბერგის პრინცს, ვახლდი ადიუტანტად“ ლეიხტენბერგი მაქსიმილიან (1817-1852) ბავარიის პერცოგი, მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა ქიმიისა და ფიზიკის დარგში, დაქორწინებული იყო ნიკოლოზ I-ის ქალიშვილ მარიამზე. 1845 წელს პ. რ. ბაგრატიონი დაინიშნა მ. ლეიხტენბერგსაკის ადიუტანტად და მასთან ერთად გაემგზავრა ევროპაში, სადაც შეიდი წელი დაპყო. გამოთქმულია მოსაზრება, რომ პ. ბაგრატიონის შრომებმა გალვანურ დენებზე გავლენა მოახდინა მ. ლეიხტენბერგსაკის მეცნიერულ მოღვაწეობაზე ამ მიმართულებით (იხ.: ვ. პარკაძე, „პ. რ. ბაგრატიონი“, თბილისი, 1956 წ., გვ. 12-13).

81.3 „ყირიმის ომშა თვალი გამოახელია რუსეთს..“ -ყირიმის ომი (1853-1856) სამხედრო დაპირისპირება ერთი მხრივ, რუსეთს და, მეორე მხრივ, ბრიტანეთის, საფრანგეთის, იმპერიის, სარდინიის სამეფოსა და ოსმალეთის იმპერიის ალიანსს მორის. რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ს სურდა ოსმალეთის დანაწევრება და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გამტკიცება, მაგრამ ამ მიზანის მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა: 1855 წლის აგვისტოში დაცა სევასტოპოლი. ნარმატებებმა კავკასიაში ვერაფერი შეცვალა – რუსეთმა ყირიმის ომში მარცხი განიცადა.

81.5-6 „თუ პარიზის თრაქთატს არა, ბატონყმობა ეგების დღესაც არ ყოფილ-იყოს გადავარდნილი“ -ნიკოლოზ I-ის გარდაცალების შემდეგ (დაილუპა სევ-ასტოპოლის ალყის დროს) ტახტზე ავიდა მისი ვაჟი, ალექსანდრე II. 1856 წელს მან ხელი მოაწერა პარიზის საზავო ხელშეერულებას, რომლის თანახმადაც რუსეთმა დაკარგა დუნაის შესართავი, ბესარაბია და შავ ზღვაზე ფლოტის ყოლის უფლება. სამხედრო მარცხმა, საერთაშორისო ავტორიტეტის დაცემამ და ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურ-პოლიტიკურმა ფონჩა ძალზე დაძაბა ვითარება იმპერიაში. აშკარა გახდა, რომ თუ ხელისუფლება გადამჭრელ ზომებს არ მიიღებდა, სიტუაცია უმართავი გახდებოდა.

81.8-9 „გარიბალდი, მაძინი, კოშუტი გაუხდათ იდეალად ყველა შეგნებულ მამულიშვილებს“ -გარიბალდი ჯუზეპე (1807-1882) იტალიის ეროვნული გმირი, განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი. მაძინი ჯუზეპე (1805-1872) – იტალიის წინააღმდეგიობის მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პოლიტიკოსი და მოაზროვნებული კოშუტი ლაიშ (1802-1894) – უნგრელთა ეროვნული გმირი. რევოლუციის შემდგომ ჩამოყალიბებული უნგრეთის დამოუკიდებელი ხელისუფლების ფინანსთა მინისტრი.

81.10-11 სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი – ნიკოლოზ გავრილის ძე ჩერნიშევსკი (1828-1889) – რუსი ფილოსოფონისი, რევოლუციონერ-დემოკრატი, მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი. შეეცადა, თანამოაზრების დახმარებით ჟ. „სოვრემენნიკი“ რევოლუციონერ-დემოკრატთა მთავარ ტრიბუნად ექცია. 1855 წელს მისი დისერტაციის – „ხელოვნების ესთეტიკური მიმართება სინამდვილისადმი“ – დაცვა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენად იქცა.

81.11-12 „დობროლუბოვთან, ანტონოვინთან, ნეკრასოვთან ერთად დასცა რუსეთს კიუნა..“ -დობროლუბოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1836-1861) ლიტერატურის კრიტიკოსი და პუბლიცისტი; ანტონოვინი ვლადიმერ ბონიფაციის ძე (1834-1908) ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი; ნეკრასოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1821-1877) რუსი პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი.

81.36-37 „გამოჩენილ ტურგენიევს საზღვარგარეთ არ გაესწრო..“ – ივანე ტურგენევმა ბოლო ოცი წელი საზღვარგარეთ (ბადენ-ბადენი, პარიზი) გაატარა და პარიზის მახლობლად, ბუჟივალში გარდაიცვალა.

ტურგენევი ივანე (1818-1883) – XIX ს. რუსული ლიტერატური თვალ-საჩინო ფიგურა. ლიბერალური მსოფლმხედველობის მქონე მწერალი.

82.2-3 „ხელოვნება მარტო ხელოვნებისათვის თუ ცხოვრებისათვის“ – ჩერნიშევსკის ამ თხზულების ზუსტი სათაურია: „ხელოვნების ესთეტიკური მიმართება სინამდვილისადმი“. 82.9 გრაფი ალექსი ტოლსტოი – ტოლსტოი ალექსი ნიკოლოზის ძე (1882-1945) რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

82.14 „ნიჭიერი პისარევი და მყვირალა ზაიცევი..“ -პისარევი დიმიტრი ივანეს ძე (1840-1868) რუსი პუბლიცისტი და კრიტიკოსი. მიიჩნევა მესამე

დიდ სამოციანელად 6. ჩერნიშევსკისა და 6. დობროლუბოვის შემდეგ. ზაიცევი ბართლომე ალექსანდრეს ძე (1842-1882) პუბლიცისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი. ცნობილი იყო, როგორც ფიცი პოლემისტი.

83.6 ვ. თუ-შვილი, გ. ჯავ-შვილი, მ. ჩო-შვილი – ვასილ თუმანიშვილი, გრიგოლ ჯავახიშვილი, მიხეილ ჩოლობუშვილი. პირველი ორი 1861 წლის პეტერბურგის სტუდენტთა არეულობის მონაწილეა. ვასილ თუმანიშვილი ბასილ აბაზაძის ფსევდონიმით ჰყავს გამოყანილი ნიკო ნიკოლაძეს თავის მოგონებებში „სტუდენტობის პირველი დრო“ (იხ.: 6. ნიკოლაძე, 1, 42, 378). გრიგოლ ჯავახიშვილი (დაიბ. 1837 წ.) ორი თვე იჯდა კრონშტადტის ციხეში. 6. ნიკოლაძის თქმით, პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა შორის „იგი ცნობილი იყო, როგორც კეთილი და უაღრესად წესიერი კაცი“ (6. ნიკოლაძე, 1, 103).

83.16 „ლექსი საიდუმლო ბარათი“ დავბეჭდე და უშენოდ შენი სახელი და გვარი მოვანერეუ – აკაეს ეს ლექსი, რომელიც „ცისკარში“ (1860, №1, გვ. 59-60) დაბეჭდა, ავტორს უურნალისთვის პეტერბურგიდან ხელმოუწერ-ლად (ინიციალებით) ჰქონდა გამოგზავნილი.

83.18-19 „პლატონი, ფილოსოფოს, ასწავლის ბარიათინსკის ქართულს“ – პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი (1809-1875) ისტორიკოსი და პუბლიცისტი. ათენის არქეოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი. თბილისის სასულიერო სემინარიაში ასწავლიდა ფილოსოფიასა და ფიზიკას. 1845-1856 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „ზაკავკაზიკი ვესტნიკს“. მნიშვნელოვანი წვლილი მოუძღვის ძეველი ქართული ლიტერატურის ძეგლების შესწავლასა და გამოცემაში. მის თხზულებათაგან აღსანიშნავია „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ (1893).

ბარიათინსკი – ბარიათინსკი ალექსანდრე ივანეს ძე (1814-1879) გენ-ერალ-ფელდმარშალი, მეფისნაცვალი კავკასიაში (1856-1862), ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო კამპანიის ხელმძღვანელი. სწორედ მან აიღო 1859 წლის 25 აგვისტოს აული ღუნიბი და დაატყვევა შამილი, რისთვისაც იმპერიის უმაღლესი ჯილდო, ანდრია პირველნოდებულის ორდენი გადაეცა.

83.25 შენი ივანე – ივანე კერესელიძე (1828-1892) მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. უურნ. „ცისკარის“ უცვლელი რედაქტორ-გამომცემელი 1857-1875 წლებში. (იხ.: წერეთელი, აკ., თსკ (ოც ტომად), ტ. 1, გვ. 339-340).

84.1 ნიკოლაძე ნიკო (1843-1928) – უურნალისტი, პუბლიცისტი, მწერალი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. ნიკო ნიკოლაძემ დიდი როლი ითამაშა ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარების საქმეში. ამავდროულად იგი ყველას აოცებდა საინუინრო-ეკონომიკური აზროვნების სიღრმითა და გაბედული პროექტებით. ნიკო ნიკოლაძის სახელთანაა დაკავშირებული ფოთის ნავსადგურის, თბილისი-ფოთის რკინიგზის და სურამის გვირაბის

მშენებლობა. მას დიდი ლვანლი მიუძღვის თბილისის მუნიციპალურ განვითარებაშიც: ააგო ავჭალის წყალსადენი, გახსნა „კონკა“, რეკონსტრუქცია გაუკეთა თბილისის აბანოებს და ა. შ. დიდ სამოციანელთაგან მხოლოდ ნიკოლაძეს ხედა წილად პატივი, 1918 წლის 26 მაისს ხელი მოეწერა საქართველოს დამუკიდებლობის აღდგენის აქტზე.

84. 7 „სიმღერა მკის დროს“ – პირველად გამოქვეყნდა ქ. „ცისკარში“ 1863 წ. №7. ლექსის ავტოგრაფი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (№3723).

85.2. ნეკლიუდოვი – ნეკლიუდოვი ნიკოლოზ (1840-1896) ერთ-ერთი აქტიური მონანილე 1861 წლის სტუდენტთა მოძრაობისა, რისთვისაც ერთხანს დაპატიმრებულიც იყო. სანქტ-პეტერბურგის, ბერლინის, ჰაიდელბერგისა და უნენევის უნივერსიტეტებში განსწავლული იურისტ-კრიმინალისტი. სხვადასხვა წლებში იყო სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის ობერ-პროკურორი, იუსტიციის სამინისტროს იურისკონსულტი და საკონსულტაციო საბჭოს წევრი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და სხვ. იგი მოხსენიებული ჰყავს 6. ნიკოლაძეს თავის მოგონებებში 60-იან წლებზე (იხ.: 6. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 98, 100).

85.15 კოხტა აფხაზი – ალექსანდრე (კოხტა) აფხაზი, ილია ჭავჭავაძის მეგობარი და ნათესავი, მას ეკუთვნის მოგონებები ილია ჭავჭავაძის ყრმობის ხანაზე.

85.20-29 დ. ბ-ძე, ი. სერ-ვი, დ. ნი-ძე, ნ. ლ-ძე – აკაკის სტუდენტობისდრო-ინდელი მეგობრები. **დ. ბ-ძე** – დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე, 1858 წ. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა 1861 წელს. უკანასკნელი კურსის გამოცდები ჩააბარა ექსტრინად. საქართველოში დაბრუნდა 1864 წელს. 1868 წელს დაინიშნა გურიის მომრიგებელ მსაჯულად. იგი ქუთაისში 1881 წელს გაზ. „შრომის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი იყო.

ი. სერ-ვი – ილია (სერებრიაკოვი) ოქრომჭედლიშვილი (1838-1898) – მეცნიერი, პედაგოგი, მეცნატი. 1868 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დასრულების შემდეგ დ. ჩუბინაშვილის რეკომენდაციით მიიწვიეს მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, შემდეგ კი იყო მოსკოვის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის დოკენტი. 1884 წელს მის ხელშეწყობით გამოიცა „ვისრამიანი“. ილია სერებრიაკოვმა დიდი ლვანლი დასდო წინამდლვრიანთკარის სასიფლო-სამეურნეო სკოლის გახსნას, ქართულ თეატრს, ქართული ხელნაწერების გამოცემას და ა. შ. სოფ. საჭილაოში აგებული ხე-ტყის სახერხი ქარხნის თითქმის მთელ შემოსავალს უანგაროდ ახმარდა ილია ოქრომჭედლიშვილი ქართული კულტურის განვითარების საქმეს.

დ. ნი-ძე – დავით (დიმიტრი?) ნიკოლაძე – 6. ნიკოლაძის ახლო ნათესავი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი 1850-1860-იან წლებში, ადრე გარდაიცვალა.

6. ლ-ძე – ნიკო ლოლობერიძე (1838-1911), მეცნიერი, პედაგოგი, პუბლიცისტი. 1861 წელს წარჩინებით დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-გილოლოგიური ფაკულტეტი. შესთავაზეს პრივატ-დოკუმენტობა, მაგრამ მან უარი თქვა და სამშობლოში დაბრუნდა. 1863 წ. უკრ. „საქართველოს მოამბის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელი იყო. 60-იან წლებში იგი ქართული სტამბის დაარსების ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია. 80-იან წლებში აქტიურ მონანილეობას იღებდა საბანკო საქმეებში. ამავე პერიოდში მოპეიდა ხელი მარგანეცის წარმოებას („ქველი საქართველო“ 1, ტ. II, გვ. 12). 1879 წლიდან ნიკო ლოლობერიძე „ქმ. წ.-კვ საზოგადოების“ დამფუძნებელი წევრია, იმ დროისათვის დიდალი თანხა (66 ათასი მან.) უანდერძა მან „ქმ.-კვ“ და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებებს.

86.36 „ის ქალი ვითხოვე...“ – იგულისხმება აკაკის მეუღლე, ნატალია პეტრეს ასული ბაზილევსავა (1848-1933). სიცოცხლის ბოლო წლები ვაჟთან, ალექსისთან ერთად საფრანგეთში გაატარა. დაკრძალულია პარიზთან ახლოს, სენტ-უანის სასაფლაოზე. ამჟამად საფლავი დაკარგულად ითვლება.

87.13-14 სამ. აბ-ძე – სამსონ აბაშიძე (1835-1894) – პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი. მისი კრიტიკული წერილები იძექდებოდა „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“.

88.19 ვ. მაჩაბელი – ვასილ მაჩაბელი (1845-1918), იურისტი, საზოგადო მოღვაწე, ივანე მაჩაბლის უფროსი ძმა. 1873-1894 წწ. იყო ნიკო დადიანის კონსულტანტი. 1885 წელს ნიკო დადიანმა ვასილ მაჩაბელს რწმუნება მისცა, რომ ეხელმძღვანელად დადიანების საგვარეულო ბიბლიოთეკის „ქმ.-კვ“ საზოგადოებისათვის გადაცემის საქმისთვის. ბიბლიოგრაფია აკაკი წერეთელმა შეადგინა და ნუსხა „ივერიაში“ გამოაქვეყნა.

89.13-14 „მაშინ დაიწერა „ადვოკატი“, „კატა და ძალლი“, „ვაის უნდა შევეყარო და სხვანი...“ – „ძალლი და კატა“ დაიწერა 1872 წ. 3 ნოემბერს. ავტორმა იგი გაზ. „დროებაში“ გამოაქვეყნა სათაურით „ახალი სამართალი“. ლექსი „ადვოკატებს“ გამოქვეყნდა გაზ. „დროებაში“ 1881 წლის 6 თებერვალს. თარიღდება პუბლიკაციის მიხედვით (ავტოგრაფი ინახება ქუთაისში 2173/974). ასევე, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდებში მივაკვლიეთ პუბლიცისტურ წერილს „ვაის“ გაყიდებებს „უის“ შევეყარეთ“, რომელიც არც მწერლის სიცოცხლეში და არც მისი გარდაცვალების შემდეგ არ გამოქვეყნდებულა. სტატიაში საუბარია საკანონმდებლო ცვლილებებზე და, კერძოდ, იმგვარ მოვლენაზე, რომელსაც კანონის სახელით ჩადენილი უკანონობა შეიძლება ეწოდოს. ეს წერილი უახლოეს მომავალში თავის ადგილს დაიკავებს ჩვენი გამოცემის შესაბამის ტომში (დაწვრილებით, იხ.: ფრუიძე, 6., აკაკი საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. ქუთაისის II საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 2013).

90.2-3 „ყველასაგან მოძულებულს, ბევრჯელ კარგი ადგილი, ღირსი რომ არ ვიყავი მისთანა, მაძლია მთავრობამ. . .“ – 1889 წელს ქუთაისის საადგ-

იღმამულო ბანკის საზოგადო კრებამ აკაკის ერთხმად შესთავაზა ბანკის დირექტორის თანამდებობა, რაზეც პოეტმა კატეგორიული უარი განაცხადა: „მე რომ დირექტორობა ვიყისრო, საკუთრად მე მოხელეობას უნდა დავუდვა გული და ეგ იქნება ჩემთვის ბორკილი, თუმცა ოქროს ბორკილი ჩემთვის პირადად სარგებელია, მაგრამ მაინც ბორკილია და იმ საქმეში ხელის შემშელი, რომელსაც მე ამდენი ხანი ვემსახურები“.

90.24-25 ნიკოლაძის და ხელთუფლიშვილის ოჯახები – იგულისხმება ნიკო ნიკოლაძის დების, ანასტასია ნიკოლაძის (1846 – 1831), კატო ნიკოლაძისა (1854 – 1931) და მათ დედებილთა – ხელთუფლიშვილების ოჯახები. ცნობილი იურისტის და საზოგადო მოღვაწის, მიხეილ ხელთუფლიშვილის დები, ისევე, როგორც დები ნიკოლაძები, აქტიურად მონანილეობდნენ იმ დროის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. მათთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა აკაკის. პოეტმა ეკ. ნიკოლაძეს მიუძღვნა ლექსი „ახალი სამართლი“ (იხ. წერეთელი, აკ., თსკ (ოც ტომად), ტ. I, გვ. 176, 407).

91.27 „ცხელ-ცხელი ამბები“...გაუგზავნე რედაქტორის“ – „ცხელ-ცხელი ამბების“ ციკლის პირველი თბილება („ეს ორი, სამი დღეა..“) „დროებაში“ ხელმოუწერლად გამოქვეყნდა 1870 წელს (№20). ამ დროს გაზეთის რედაქტორი იყო სერგეი მესხი.

92.29 „პრივზი“ – მიხ. ვორონცოვის მიერ დაარსებული საკრედიტო დაწესებულება (ერთგვარი საადგილმამულო ბანკი), სადაც თავადაზნაურობას შეეძლო დაეგირავებანა უძრავი ქონება და ამ გზით აეღო სესხი.

93.15 „ასე გაუმასპინძლდი დიუმასაცაო“... – იგულისხმება ალექსანდრე დიუმას (მამის) სტუმრობა „ცისკრის“ რედაქციაში 1858 წელს. როგორც დიუმა თავის მოგონებებში აღნიშნავს, ივანე კერესელიძეს ფრანგი მწერლისათვის შემდეგი სახუმარო ხელწერილი მიუცია: „ბ-მა ალექსანდრე დიუმამ მონახულა ჩვენი დარიბი რედაქცია, სადაც მის საპატივცემულოდ გამართულ სადილზე მან დალია უფრო მეტი ლვინო, ვიდრე ქართველებმა. 1858 წ. 28 ნოემბერი. ქართულ უურნალ „ცისკრის“ რედაქტორი“ (იხ.: კავკა. Путешествия Александра Дюма, вып. II, Тифлис, 1861 г., стр. 534).

დიუმა ალექსანდრე (მამა) (1802-1870) – ფრანგი მწერალი, დრამატურგი, მემუარისტი. 1858 წელს იმოგზაურა კავკასიაში. იყო თბილისშიც, სადაც, სსვათა შორის, ჟ. „ცისკრის“ რედაქციასაც ეწვია.

93.30 „რომელი გულბათი შეხ იყავი..“ – იგულისხმება გულბათ ჭავჭავაძე. კახელი თავადი. გადმოცემის თანახმად, სწორუპოვარი თამადა და ლვინის მშელი.

94.20 ეგზარხების მოედანი – ამჟამად ერეკლს მოედანი.

95.24 დიმიტრი ბერიევი – დიმიტრი ბერიევილი, პოეტი. ლექსებს აქვეყნებდა „ცისკარსა“ და „დროებაში“. 1861-1865 წწ იყო თბილისის ქალაქის მმართველობის კომისარი. 1868 წ. აკაკიმ დიმ. ბერიევს უძღვნა ლექსი „ნინო“ (იხ.: წერეთელი, აკ., თსკ (ოც ტომად), ტ. I, გვ. 104, 382).

95.25 ბარბარე ჯორჯაძისა – ბარბარე ერისთავი ჯორჯაძისა (1833-1895) – ქართველი მწერალი ქალი. მწერალ რაფიელ ერისთავი და. მისი

თბილებები იბეჭდებოდა „ცისკარში“, „ივერიაში“, „დროებაში“, „კვალში“ და „ჯევილში“.

95.25 რაფიელ ერისთავი – რაფიელ დავითის ძე ერისთავი (1824-1901) – ქართველი პოეტი, დრამატურგი, ლექსიკოლოგი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი.

95.27 ქართველი ბექა – აქ მცირე უზუსტობაა; ანტონ ფურცელაძე „ცისკარში“ ქართველ ბექას ფსევდონიმით წერდა.

95.28 ანტონ ფურცელაძე – ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე (1839-1913)- ქართველი მწერალი, მათარგმნელი, პუბლიცისტი. თანამშრომლობდა „ცისკართან“, „დროებასთან“. 1869-1872 წწ. გამოსცემდა სამეცნიერო-ლიტერატურულ უურნალს „მნათობი“, ხოლო 1873 წ.-დან რედაქტორობს ქართულ სინამდვილეში პირველ აგრონომიულ უურმალს „გუთნის დედა“.

95.29 ბაქარ ქართველი (დ. ყიფიანი) – დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი (1814-1887) – პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. 2007 წელს ქართულმა ეკლესიამ დიმ. ყიფიანი წმინდანად შერაცხა.

95.30 გრიგოლ რჩეულოვი – გრიგოლ ივანეს ძე რჩეულიშვილი (1820-1877) – მწერალი, მთარგმნელი. ვახ. კოტეტიშვილი მას XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ფსიქოლოგიური რომანის ფუძემდებლად შიოჩევდა (იხ.: კოტეტიშვილი, ვ., რჩეული ნაწერები, I, თბ., 1965, გვ. 254).

95.26 დიმიტრი მგალობლიშვილი (1815-1878) – თანამშრომლობდა ივ. კორესელიძის „ცისკარში“, სადაც აქვეყნებდა ლექსებსა და თარგმანებს (კრილვი, პუშკინი, ნეკრასოვი, ბელინი).

95.26-27 დიმიტრი მელვინეთუხუციშვილი (1815-1878) – მწერალი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, რეჟისორი. აქტიურად თანამშრომლობდა მარი ბროსესთან. 1852 წელს მ. ვორონცოვის ხელშეწყობით არქეოლოგიური გათხრები ჩატარა უფლისციხეში. მის კალამს ეკუთვნის კომედია „კატანია“ (დაიბეჭდა 1869 წ. „მნათობში“).

95.29 კოლხიდელი – დავით კოლხიდელი იყო ფსევდონიმი სამეგრელოს მთავრის დავით ლევანის ძე დადიანისა. მართალია, იგი ლექსებს წერდა და თარგმნიდა, მაგრამ „ცისკარში“ არასდროს უთანამშრომლია. საკარაულოდ, აკაკი ცდება. ამ შემთხვევაში „კოლხიდელში“ უნდა ვიგულისხმოთ არა დავით დადიანი, არამედ მისი ძმა, გრიგოლ დადიანი (1814-1902), რომელიც მართლაც თანამშრომლობდა უურნალ „ცისკართან“ ამავე ფსევდონიმით. გრიგოლ დადიანმა თავისი ქონება და ბიბლიოთეკა „ქშნ.-კგ“ საზოგადოებას უანდერძა.

95.32 ივ. ბერიძე – ბერიძე ივანე (1833-1890) მწერალი, პუბლიცისტი. ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე. აქტიურად თანამშრომლობდა „საქართველოს მოამბეში“. „ცისკრის“ თანამშრომელი. აკაკის მიერ ხსენებული „ხანის ბეგი“ დაიბეჭდა „ცისკარში“ 1859 წ. № 7, 9, 10, 11 (სათაურით „ხაზინდექ“), ხოლო

„თბილისის საიდუმლოება“ გამოქვეყნდა „საქართველოს მოამბეში“ (1863 წ. №7) სათაურით: „უცნაური ნიშნობა ტფილისის საიდუმლოებისაგან“.

95.34 ლავრენტი არაზიანი (1815-1870) – მწერალი (პროზაიკოსი, მთარგმნელი, კრიტიკოსი), პუბლიცისტი, საქართველოში რეალისტური პროზის ერთ-ერთი ფუძემდებელი და სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის აქტიური მხარდამჭერი.

96.15 „კრიტიკული სტატიები მისი გ. ბარათაშვილის სახელით გამოდი-ოდა“ – სინამდვილეში „გ. ბარათაშვილის“ სახელით გამოქვეყნებული „კრი-ტიკული სტატიების“ ავტორი იყო არა ლავრენტი არაზიანი, არამედ გიორგი ბარათაშვილი.

96.15-16 „სალაყბოში, რომელსაც გაბო სულხანიშვილი სწერდა“ – „ცის-კარში“ გამოქვეყნებული „სალაყბო ფურცლების“ ავტორზე („მოლაყბე“) აზრთა სხვადასხვაობაა. ყოველ შემთხვევაში, ამ ფსევდონიმით წერდნენ მიხეილ თუმანიშვილიც და ივანე კერესელიძეც. ხოლო კონკრეტულად რომ-ელი მათგანი რომელი „ფურცლის“ ავტორია, სადღეისოდ გამორკვეული არ არის.

96.24-25 ნიკოლოზ და ბესარიონ ლოლობერიძეებმა, ვახტანგ თულაშვილმა და დიმიტრი ბაქრაძემ მონიდომეს... „დროების“ გამოცემა... აიყოლიეს სტე-ფანე მელიქიშვილი – აკაკის თანამედროვე საზოგადო მოღვაწეები.

ნიკოლოზ ლოლობერიძე – ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე (1838-1911) – პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

ბესარიონ ლოლობერიძე – ბესარიონ ლევანის ძე ლოლობერიძე (1832-1879) – პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. „ქ.შ. ნ.-კ. გ.“ საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, ქუთაისის სათავადაზნაურიო ბანკის დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე.

